

780
991

საქართველო


1991/3 85060-036060

საქართველოს
საზღვრომართო

№ 295
(3)



Handwritten signature in cursive script.



ბალახტიონ ტაბიძე. სახარება მათესი

საშუალო

1991/3-4

მაისი
აგვისტო

(103)



შინაარსი

პროზა, კოეზია

იოზეფ-ტოშანი, შიროსლავა ტოშანოვა, სოკრატე. ისტორიულ-ბიოგრაფიული რომანი. გაგრძელება. თარგმნა გურამ გოციაშვილმა	8
დენანტა შატნიშვილი, ლექსები. თარგმნა შედეა კახიძემ	189
ალექსანდრე პუშკინი, ლექსები. თარგმნა ლია ყიფიანმა	144
ანდრეი პლატონოვი, ჩემენბური. რომანი. გაგრძელება. თარგმნა გივი კიკილაშვილმა	146
პრიგორა ვიერუ, ლექსები. თარგმნა ავთანდილ გურგენიძემ	222
ვახიშ საშვილოელი, ლექსები. ავერხაიჭანულიდან თარგმნა იმირა მამედოვა	228
პრიადა ნოკონი, ჯაბირი მოთხრობები. თარგმნა მანა დიხაშიძემ	281
მსპანური კოეზია. თარგმნა გივი ნიჭარაძემ	249

წიგნილები

+ აკაკიან შრი კაჯნეში, ტანტრა, უდიდესი შემოქმედება. თარგმნა მერაბ ხერგიანმა	256
✓ ალექსანდრე შენი, პრინციანობა. თარგმნა ლია ყიფიანმა	290
✓ რუდოლფ შტაინერი, პრინციანობა გოლგოთას მისტერიის დროს და პრინციანობა საუკუნეში. თარგმნა გიორგი ნიჭიანიძემ	296
ქან-კოლ სარტრი, „უცხო“ განმარტება. ფრანგულიდან თარგმნა სიბილა გელაძემ	804
ნინო თოხაძე, „ზაზი იუმორი“ ანუ აბსურდიზმი ამერიკაშლად	814
ავთანდილ ვარტაგავა, მანძილი ერთი საუკუნით	816

საქართველოს მწერალთა კავშირი
სსრკ-ის ლიტერატურის რთმვიური მუხნალი

საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული
თარგმანის საბავრმვიური ცენტრი



«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ

На грузинском языке

1991 № 3-4

СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ИЗДАТЕЛЬСКИЙ ЦЕНТР ХУДОЖЕСТВЕННОГО ПЕРЕВОДА

მთავარი რედაქტორი:

მირთა ნიშნოსანიძე

ბივი მხნლაძე (მთ. რედ. მოადგილე)

ნანა მარჩია (კვ. მდივანი)

ხარედაქციო კოლეჯია:

ჯემალ ახიაშვილი

მუთა ბაშრაძე

ბახანა ბრეშვიაძე

ბურაკი ნობიაშვილი

ნოდარ ბურკუშიაძე

მამალაი თოდუა

ნოდარ კაკაბაძე

რენე კალანდია

გიორგი ნიშნოსანიძე

დალი შანჯიკიაძე

ნიკო შიასაშვილი

დავით შირაღლიანი

გარეკანზე: პალატითონ ტაბიძე, ავტოკორტრები

მხატვარი ა. თოდუა, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექრედაქტორი ნანა ბართია

ჩვენი მხამართი: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი 93-38-10, რედაქციის 99-73-41.

გად. წარმ. 27. 06, 91 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 30. 10. 91 წ., კალაღდის ზომა 70x108¹/₁₆, საღარ. თ. 25.51, სასტ. თ. 28. საღებავის გატ. 28.7, ტირ. 7 000, შეკვ. № 1294. შანი ე შანი.

საქართველოს მწერალ-გწერების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, 880009, თბილისი, მ. კოსტავას, 14.

ილია ტოპანი, პიროსლავა ტოპანოვა

სოციალიზმი



საბჭოთაო
ბეჭდვითი საქმე

ისტორიულ-ბიოგრაფიული რომანი

თარგმნა პურაჲ გომიანაძე

ნაწილი მეოთხე

1

19.847

თრაკიის ქერსონესი დათვების, მგლების, გარეული ცხენების, მეომარი მამაკაცების, მშვენიერი ქალწულების მხარეა! და საოცარია: გადმოცემით, სწორედ იქ არის დიონისეს სათაყვანოდ თქმული დითირამების, ორფეის ქნარის სამშობლო! პირველქმნილი ტყეებისა და პირველყოფილი მუსიკის მხარე!

თრაკიის ქერსონესი ნახევარკუნძულია, მახვილისა მსგავსი, რომელ მახვილსაც სამოთრაკიის ზღვა ვიწრო ჰელესპონტისგან მოუკვეთია. ხმელეთის გრძელ და უდაბურ განშტოებას, ზღვის წყლებს რომ ყოფს, შმაგი ქარები დასწივიან და ბნელ ცაზედ ღრუბელთა ნამუსრევს მოერეკებიან. ქარისგან აწეწილ-დაწეწილ ღრუბელთა იმ ნამუსრევში მტაცებელი ფრინველნი დაძქრიან. დაქანებული სანაპირო კლდეები სანახევროდ წყალში ჩამალულან, სანახევროდ ქარებში დგანან, უფრო ზემოთ კი ქარბუქნი ნაგარდობენ. უღრანი ტყე მთებიდან სამხრეთისკენ დაშვებულა, მთელი ის არემარე გაუვალი ტევრით დაუფარავს. ამ ქაოსში მხოლოდ თრაკიელი თუ იპოვნის გზა-სავალს.

ლამე შავი კიბორჩხალაა, ცისქვეშეთში გაფარჩხული, ნელა მიხობხავს, თან მთელ იმ მხარეს შუალამის წყვდიადით ტბორავს.

წყვდიადში ერთი პატარა ცეცხლი ციმციმებს — ნაქედი ჭრაქი ალკიბიადეს ციხე-სიმაგრეში, რომელიც თრაკიის ქერსონესზედ, მდინარე ეგოს-პოტამოსის ახლორე დგას.

აქ ალკიბიადეს კუთხე რამ მოუწყვია ტიმანდრასთვის — აღმოსავლური ფუფუნებით კი არა, თრაკიულად. სანახაობა წარმოსახვას აღიზიანებს: განებერებული, ტურფა ასული ბარბაროსულ გარემოცვაში მოქცეულა, ირგვლივ სულ ხეა, რკინა და ხრალი. სარეცელზედ, ძირს და კედლებზედ დათვის, მელის, ფოცხვერის ტყავებია, ყოველგან მახვილს, სატევარს, მშვილდ-ისარს ხედავს თვალი. არაბული და ინდური ნელსურნელების ნაცვლად მუშკის, იუხტის, აშმორებული ბალახბულახის სუნი დგას, კერაში ცეცხლი გიზგიზებს, თავლაში ცხენები ჭიხვინებენ, გარეთ ძაღლები ყეფენ, მგლები ყმუიან...

მთის ყვავილივით ნაზი, ეოლოსის ქნარივით მგრძნობიარე ტიმანდრა ამ ველურ გარემოშია; მოქარგული სელის პეპლოსი ტანზედ ეკვრის, ზედ სპი-

ლენდით მოჭედული ფართო ტყავის სარტყელი არტყია; ტყავებზეა წამოწო-
ლილი და შიშით აყოლებს თვალს ალკიბიადეს მოუსვენარ ნაბიჯებსა და ხე-
ლების მოძრაობას.

— არ მესმის შენი, ძვირფასო...

ალკიბიადემ კედლიდან მოკლე თრავილი მახვილი გადმოყოფილი
ტყავი გადააბრუნა და ზედ მახვილის წვერით რუკა მოხატა.

— აი ეს პელესპონტის ნაპირებია. აქ, ზემოთ, ლამფსაკოსია, აქა დგას თა-
ვისი ფლოტი ლისანდრე. კარგად არის შენიღბული. აქ კი, დაბლა, პელესპონ-
ტში ჩადის ეგოს-პოტამოსი, აი იმის შესართავთან ლუზაზეა ათენის ფლოტი.
ბრიყვთ არ ესმით...

— ვის არ ესმის, ძვირფასო?

— ვისა და იმ ჩლუნგ ათენელ სარდალთ: ტიდევსს, მენანდრეს, ადიმანტეს
და სხვა იდიოტთ, როგორც არის... არ ესმით, რა შეიძლება რომ მოხდეს!

— ნუ გეწყინება, ძვირფასო, მაგრამ ვერაფერი გამიგია — რა არის აქ
საშიში?

ალკიბიადემ მახვილი ეგოს-პოტამოსის შესართავში ჩაყო, ისე ატაკა, რომ
ბასრმა წვერმა ტყავი გახვრიტა და ხეს ჩაესო. ალკიბიადე წამოხტა:

— უნდა წავიდე, იმათთან უნდა წავიდე...

ტიმანდრა სასწრაფოდ წამოვარდა ზეზედ და ელდანაკრავმა უთხრა:

— ახლა! ამ ღამეში? ამ სიბნელეში? კისერს მოიტეხ! არ წახვიდე, გემუ-
დარები, ქარ წახვიდე...

— აქ ჩემმა ცხენმა ყოველი ქვა იცის...

მივარდა, ქალს ბაგენი დაუკოცნა. მუხის მძიმე კარი გაიჭახუნა, ხოლო
იმისი ხმა უკვე ეზოდან გაისმა:

— ბიჭებო! შემიკაზმეთ ცხენი! ფიცხლად!

ტიმანდრამ შალის ყარწიკა მოისხა, ეზოში გამოვარდა, და ესლა გაარჩია:
კიშკრის გაღება და მიუსაფარი მხედრის ბნელში ჩანთქმა ერთი იყო.

ფაფარში ჩააფრინდა და დაჰკრა ალკიბიადემ ცხენს, ცხენი ისარივით გა-
იჭრა, და ხირხატზედ ატეხილი ფლოქვთა თქარუნი თითქოს იმ დაირის ხმა იყო,
ბარბაროსთა ვნებიან სიმღერას თან რომ ახლავს ხოლმე.

ათენელთა საფლაგმანო გემზედ ყველას ეძინა, ალკიბიადეს თხოვნით გუ-
შაგმა სამივ მთავარი სარდალი გააღვიძა, ისინი ბანზედ ამოვიდნენ, ნაბძინა-
რეგნი, მთქნარებით.

— ვინ არის მანდ?

— ალკიბიადე!

— რა გინდა?

— თქვენთან ლაპარაკი. გამოგზავნეთ ნავი.

— ო, ღმერთო! — დაამთქნარა მენანდრემ. — მაგისტვის გაგვალვიძე?
დილაზედ ვერ მოიციდიდი?

— ვერ მოვიციდიდი, საჩქარო საქმეა.

— რა საქმეა? — იკითხა ადიმანტემ.

ალკიბიადემ კბილები გააკრატუნა და წყეპლა გადატეხა.

— ჩემზედ არ არის ლაპარაკი, თქვენზეა. ჩქარა ნავი!

მათგან მთავარმა, ტიდევსმა, დავა დაუწყო:

— რად გინდა ნავი? ასედაც კარგად გვესმის. გაგვიზიარე შენი სიბრძნე
მანდედან, სადაც დგახარ.

ალკიბიადეს გული ყელში მოებჯინა, მაგრამ წამსვე აზრმა გაუელვა, რომ იმათგან შორს ყოფნა უჯობდა — ძალას მაინც ვერ მოიტანენო. ბობოქარი ხმით უპასუხა:

— სადგომი ცუდად გაქვთ არჩეული! უაღრესად არახელსაყრელი! ნავსაყუდელი არ გიჩანთ. არა გაქვთ ზურგი, რომელიც ჯარს გამოგიკვებავდათ, სანოვაგისთვის იმ ზამორეზედ დადიხართ, სესტოში!

— თავში საცემი ბევრია! — დაცინვით გასძახა ადიმანტემ.

— ნუ აწყვეტინებ! — ირონიულად შეპყვირა ტიდევსმა. — დიდ ალკიბიადეს ჭერეთ არ დაუმთავრებია.

ალკიბიადე სიტყვებს ისე სტყორცნიდა, როგორც სანადირო დანებს:

— ან რა მანევრები გაქვთი დილიდან მთელ ფლოტს ლამფსაკოსში მიათრევთ, ბრძოლაში გინდათ ლისანდრეს გამოტყუება და გგონიათ, რომ ანკესზედ წამოაგებთ! ის კი დაძვრას არცა ფიქრობს, მაშინ თქვენ ისევ მაგ დამღუპველ, აუტანელ ადგილს უბრუნდებით და ჯარს თავის ნებაზედ უშვებთ ნაპირზედ! პირდაპირ სიგიჟეა!

ტიდევსმა გადაიხარხარა, იმას ამხანაგნიც აპყვნენ.

— ნუთუ არ გესმით, რომ თქვენი მოწინააღმდეგე ფლოტი მიჩვეულია უხმაუროდ მოქმედებას, ერთიანი წინამძღოლის ბრძანების თანახმად? თავად ყოფთ თავს ყულფში, ათენს ეგ მეტისმეტად ძვირად დაუჯდება!

— ათენსო? — გამკილავი ხმით შესძახა ტიდევსმა. — შენ რა გესაქმება ათენთან, ან იმას რა ესაქმება შენთან? შენ რა, ფლოტის სარდლად დაგნიშნეს?

— ყველა ღმერთს გაფიცებთ! — გაშმაგებით შესძახა ალკიბიადემ. — მომისმინეთ! მაგ ხიფათში ნუ აგდებთ ფლოტს, — კიდევ უფრო აუწია ხმას: — ფლოტი თქვენი საკუთრება როდია, ის სამშობლოს, ათენს ეკუთვნის...

— შენ რომ უღალატე! — შეპყვირა ტიდევსმა.

— მერმე აკი ისევ მე დავეხმარე! — ლამის გადარეულმა შესძახა ალკიბიადემ. — ხოლო თუ არ დამიჭერებთ, სწორედ თქვენ დაღუბავთ!

ტიდევსი წელში გასწორდა:

— აქ განჯარგულებებს ჩვენ ვახდენთ და არა შენ. მოუსვი, ვერ დაგვაშინებ!

და ზურგი აქცია.

ალკიბიადემ ამაოდ იყვირა, აფიცა, აფრქვია თხოვნისა და მუქარის სიტყვები. გემიდან აღარავინ ეპასუხებოდა, მან წყევლა-კრულვით შეაყენა ცხენი ყალყზედ და უკანვე მოკურცხლა.

ალკიბიადეს ჯავრისგან სული ეხუთებოდა. სასოწარკვეთილმა, ცრემლმორეულმა უამბო ტიმანდრას ყველაფერი, რაც მოუხდა. გემზედ არ მიიწვიეს, ნაპირიდან აყვირეს, აგდებულად, დაცინვით, შეურაცხყოფით უპასუხებდნენ — ალკიბიადე თავს ისე გრძნობდა, როგორაც ნაპირზედ გამორიყული უსარგებლო რამ ნაფოტი, როგორაც აღარავისთვის საჭირო, ყველას თვალში ნდობას მოკლებული.

მერმე ისიც რომ უამბო, როგორ მიახალა ტიდევსმა საყვედური, ათენს უღალატეო, ალკიბიადე უაზრო აღსარებას მოჰყვა:

— ათენელთ მთელი ჩემი ცხოვრების ოცნება წამართვეს... რა არის ჩემი ოცნება? მე სიკვდილის შვილი ვარ, მუდამ არ ვიცოცხლებ, სამაგიეროდ ათენი იქნებოდა მიწყვიტ სრულიად ელადის მეთაური! იმის საშუალება წამართვეს,

რომ ათენი მსოფლიოს მწვერვალებზედ ამეყვანა... თვითონვე მოაკლეს თავიანთ თავს ეს პატივი დაე, ყველაფერი დაღუპულიყო, ოღონდ მე არ დამარჩენოდა პატივისა და დიდების არც ერთი წვეთი! წინაპართა შეჩვეული ვიყავი არჩიეს შეუჩვეველ სახალხო ხელისუფლებას, რომელიც ჩემი გეგმებით ზღვა-ზღვა მომქონდა!

ერეკლესული

ტიმანდრა ფოცხვერის რბილბეწვიან ტყავზედ იჯდა და მისი წარმართული უსმენდა.

— ვიცი, სამარცხვინოდ მოვიქვეცი. მაგრამ განა მერე მევე არ გამოვიწყიდე ჩემი დანაშაული? სუყოველმა კაცმა უწყის — ათენს ყველაფერი გადავურჩინე, რისი გადარჩენაც ჯერეთ კიდევ შეიძლებოდა, და იმასაც დავებრუნებდი, რაიც ჩემი თუ სხვათა მიზეზით დაკარგეს...

ტიმანდრა მსუბუქად შეეხო ალკიბიადეს მოსასხამის კიდეს — ის მოსასხამი სულ გარშემო უფრიალებდა: ალკიბიადე აღელვებული აწყდებოდა კუთხიდან კუთხეს.

— ჰო, ძვირფასო, ეგ ყველაფერი ვიცი, შენ მეტს სხვას არავის შეეძლო! ალკიბიადე შეჩერდა, კიდევ უფრო გაეცხლებულმა განაგრძა:

— ათენელთაც იცოდნენ! უკანვე მიმიწვიეს, მაგრამ პირველსავე ძახილზედ არ გავიქვეცი. გული კი შინ მიმიწევდა, ათენი სამუდამოდ შემსისხლხორცებოდა გულსა და ტვინში, და შენი ზვეენაც როგორ მინდოდა, ტიმანდრა!

— დარდი მკლავდა, რომ არსაით ჩანდი...

— ჯერეთ გადამეტებით უნდა მეზლო ჩემგან მიყენებული სიივე, — აქ ისევ ის მოაგონდა, რისი მოსმენაც იმ დღეს მოუხდა, და ხმაში ეინი და ბრაზი შეეპარა. — ვინ ბედავს დღეს კიდევ ჩემს ღალატზედ ლაპარაკს? ვინ? მხოლოდ ათენის ორგულნი! მხოლოდ ბრავვი ტიდევსი! ფრთხილად, ტიდევს, ჩემზედ მეტი ბოროტება შენ არ შეახვედრო ათენს!

ტიმანდრა შეშინებული ადევნებდა ფვალს, როგორ ებვრებოდა ალკიბიადეს ძარღვები საფეთქლებზედ, როგორ აწვებოდა სისხლი სახეში, ვრძობდა — თან ახლოს იყო იგი... და თან შორს, ძალიან შორს, რა ბედნიერნი იქნებოდნენ, ერთად რომ ყოფილიყვნენ, მაგრამ ალკიბიადე გულით ყოველთვის ათენში იყო და სანამ პირში სული ედგა, ათენზედ ფიქრით დაიტანჯავდა თავს.

— მოდი, აქ, ძვირფასო, გვერდით მომიჯექი სულ მარტომმარტო ვარ...

ალკიბიადე მიუჯდა, მაგრამ ვერ დაწყნარდა ათენის უზარმაზარი ფლოტის სამთა წინამძღოლთაგან გულდაკოდილი ალკიბიადე თავის კაეშანსა და ტკივილს გულის სწორს ახვევდა:

— შენ მაინც მიპასუხე, ტიმანდრა! განაღა არ ჩამოვირეცხე ჩემი ძველი ცოდვა? და თანაც ვაჟკაცურად, ვითარ შეკადრებოდა? მე სპარტელთა ოდენ ძლევით არ ვკმაყოფილდებოდი, კუნძულიდან კუნძულზედ მივერეკებოდი იმ მძარცველთ, ვუფანტავდი, ვუწვავდი ხომალდთ, იმათ შეშის ზვინებსავით ეკიდა ცეცხლი ზღვის ზედაპირზედ, და შიგ ცოცხლად იხრავებოდნენ სისხლისმსმელი ლავდემონენი... ან იქნებ წვრილმანი ამბავია, რომ იმათგან გავწმინდე იონიის ზღვა, და უკვე ისევ შეუფერხებლად ეზიდებოდნენ ხორბალს პონტოს ნაპირებიდან ათენში?

— ეგრეა! — ამოიოხრა ტიმანდრამ. — შენ ათენისთვის უფრორე მეტი სიკეთე პქმენ, ვიდრე ბოროტება.

— მე ჯერეთ კიდევ შინ არ დავებრუნებულიყავი, საკმარისი გახდა ოდენ ალკიბიადეს უძლეველობის ამბის შეტყობა, რომ ათენს დაემხო თერამენეს

ოლიგარქთა ტირანია და აღედგინა სახალხო ხელისუფლება. განა, ტიმანდრა, მარტო ამითაც არ გამოვისყიდე ათენისთვის თავს დატეხილი ბოროტება? შენ ამბობ — კი, გამოისყიდეო! მაგრამ მაგას რატომ სხვანიც არ ამბობენ? რაღა უნდათ ჩემგან? რა? შითხარი! — ხმა უკანკალებდა, ყელი გაუშრა, კრუნჩხვა დაეწყო. — დიახ, აუხდენელ ოცნებასაც ავუხდენდი! ახლა კი აღარცაი ძალშიძს, აღარცაი, მხოლოდ მოახლოებულ სიკვდილსლა შევცქერვ. ~~149~~ თავისი სასოწარკვეთილების უძირო სიღრმიდან ამოიძახა ალკიბიადემს — ~~111~~ ~~111~~ ~~111~~ ჩემო სოკრატე! ჩემო მამავ! თვალგამჭრიახო მამავ! რატომ არ დაგიგდე ყური? ბერძენნი დღეს სულ სხვანი იქნებოდნენ...

ალკიბიადე ქანცგამოლული დადუმდა.

ტიმანდრა ნაზად უსვამდა ხელს, თითები ოფლმა დაუსველა, გრძნობდა, რარიგ უძაგდაგებდა ალკიბიადეს მკერდი გულის მძლავრი ბაგაბუგისგან. ალკიბიადე წამოდგა.

— ისევ უნდა წავიდე... უნდა წავიდე. იმის შიშით, რომ ოლონდ მე არ გავიმარჯვო, ისინი ათენს დალუბავენ!

ალკიბიადე კედელს მიაწყდა, მუშტის ქნევა დაიწყო.

— იდიოტნო! თქვენ რა სარდალნი ხართ! ამომიშვით გემზედ! — გაიძახოდა იგი უძლური და ბრაზმორეული. — თავს დავალწევ ამ ხაფანგს! გაშლილ ზღვაში შევებმი ლისანდრეს! გამეჭიბრდეს, თუ ბიჭია! გესმით, სამო ყუყუჩო?! გამარჯვება ჩემი იქნება! ათენს ვიხსნი! თქვენც ვიხსნით, თქვე ცხვრისთავიანებო!

— თენდება... წაიჩურჩულა ტიმანდრამ.

ალკიბიადემ — ელანდებოდა, ეგოს-პოტამოსის შესართავთან ვდგავარო — ტიმანდრას შეხედა, ცისკრის შუქში გაფერმკრთალებულს, მერმე დაემხო ძირს იმის გვერდით, თავი ფოცხვერის ბეწვში ჩარგო და აკვნესდა.

მეორე დღე ალკიბიადეს სიმართლის საშინელ დასტურად გათენდა.

ლისანდრე, რომელიც სპარტელთა ფლოტს სარდლობდა, ანაზდეულად ყველა თავისი გემით ათენის გემთ დაესხა ხაფანგსავით ვიწრო ყურეში მომწყვდეულთ. მხოლოდ რვა ტრიერმა მოახერხა თავის დაღწევა. დანარჩენები — თითქმის ორასი გემი — მტერს დარჩა. სამი ათასამდე ათენელი მეომარი ტყვედ ჩავარდა, და ლისანდრემ სუყველას მოკვდინება ბრძანა.

შეიტყო თუ არა, ჩემი წინასწარმეტყველება ახლათ, თანაც უფრო სასტიკად, ვიდრე ის ვარაუდობდა, ალკიბიადე სულიერად ისევ გამოცოცხლდა. თავი კვალად ათენელ სტრატეგად იგრძნო. გულში ერთი ფიქრი უტრიალებდა — ვიდრე მე ცოცხალი ვარ, ათენი არ დაიღუპება!

ტიმანდრას არ უნდოდა ალკიბიადესეული თრაკიის მამულის მიტოვება, სადაც მშვიდად ცხოვრობდა. მაგრამ ალკიბიადემ ყური არ ათხოვა, წაიყვანა იმ მყუდრო ბუდიდან და იმასთან ერთად ბითინიაში წავიდა. რა საფრთხე, რის გასაჭირი? არა, არაფერი არ გააგონოთ! რაღაც უნდა დაუჭდეს, მაინც ჩავა სპარსეთის მეფე არტაქსერქსესთან და ათენისთვის დახმარებას გამოსთხოვს!

მაგრამ ჯერ საჭიროა სატრაპ ფარნაბაზეს მიმხრობა. კეთილი და პატიოსანი!

— ჩვენ ფრიგიის პატარა სოფელ დასკილეაში დავსახლდებით, ფარნაბაზეს რეზიდენციის ახლოს. ხომ ხალისით მომდევ, ტიმანდრა?

— კი, ძვირფასო, — მაგრამ ტიმანდრას თვალეები ნაღვლიანი ჰქონდა.

ეგოს-პოტამოსთან ათენის ფლოტის განადგურებით ომი არ დასრულებულა. ამით ათენის კატასტროფა დაიწყო.

ლისანდრე თავისი ძლიერად მოსილი ფლოტით ათენისკენ დაიძრა. ზედიზედ იპყრობდა ათენის საზღვაო კავშირის კუნძულებს, ყველგან ამბობდა დემოკრატიულ წყობილებას და სათავეში ოლიგარქთ აყენებდა, რომლებიც სპარტას თანაუგრძნობდნენ; და ყოველგან თავის მეციხოვნეთ ტოვებდა.

ამასობაში სპარტის მეფემ პავსანიამ ათენს პოპლიტნი მიაყენა ზმელეთით. ოდეს ზღვაზედ სისხლიანი გზებით მავალი ლისანდრეს ფლოტი პირეოსს მიადგა, ათენი, დემოკრატიის ეს უძლიერესი სიმაგრე, ყოველი მხრიდან გარშემორტყმული აღმოჩნდა.

ოლიგარქნი დანებებას ურჩევდნენ, დემოკრატთ დანებება არ სურდათ და უკანასკნელ წუთამდე იცავდნენ ქალაქს. მაგრამ აქ მოქმედება დაიწყო ყველაზედ უფრო ვერაგმა მტერმა: შიმშილმა.

შიმშილი ოლიგარქთა მხარეს დადგა და ძლიერ გაუმაგრა ზურგი დემოკრატებთან დავაში. სპარტასთან სამშვიდობო მოლაპარაკება თერამენეს დაავალეს, ოლიგარქთა ცნობილ მომხრეს და დემოკრატთა მოწინააღმდეგეს.

ათენის რესპუბლიკისთვის ზავის პირობები დამლუბველი იყო. ათენი ვალდებულებას კისრულობდა, რომ გამარჯვებულთათვის გადაეცა ყველა სამხედრო გემი, ძირით-ძირობამდე დაერღვია ყველა ციხე-სიმაგრე, დაენგრია გრძელი გაღავანი და მთელს ელადაზედ სპარტის სუვერენიტეტი ეღიარებინა.

და ოდეს ათენი სრულიად დაუძღურდა, დაღუპვის საქმე სპარტელთა მეთვალყურეობით ათენელ ოლიგარქთ დაასრულეს. სახალხო კრებაზედ, სადაც ლისანდრეც იყო, ათენში სპარტელ მეციხოვნეთა მეთაური, — თერამენემ დემოკრატიული კონსტიტუციის გაუქმება მოითხოვა. კენჭისყრის წინ ლისანდრემ თერამენეს ააყოლა ხმა: ამ წინადადების უარყოფას სპარტელნი ზავის დარღვევად მივიჩნევთ.

ამის შემდეგ ისღა რჩებოდა, რომ მორიგი ნაბიჯიც გადაედგათ და პელოპონესის კავშირში შესულ ათენს ოცდაათი ტირანი დაპატრონებოდა. რაოდენ უცნაურია, რომ ამ ოცდაათის სათავეში აღმოჩნდა არა დემოკრატიის გამოცდილი მესაფლავე თერამენე, არამედ პოეტი, სოფისტი და თავგამოდებული ოლიგარქი კრიტია. ვისაც მრავალ წელიწადს ჩრდილში დგომის უნარი ჰქონდა.

კრიტია ვარაუდობდა, რომ ოლიგარქიულ სოროდან სწორედ ხელსაყრელ დროს გამოძერა. მაგრამ როგორც კი თავისი ახალი მდგომარეობის სხივებზედ გათბა, მაშინვე ძველი ნალველი მოეძალა, თუმცა ამ განცდას მან დაცინვა დაუპირისპირა: ნეტავი ახლა რაღას იტყვის ჩემი მკაცრი მოძღვარი სოკრატე, ოდეს იმისი საყვარელი ალკიბიადე ზერეკვერე მოწაფემ უკან ჩამოვიტოვე?

ზოგჯერ ადამიანს ძველ ანგარიშს ადამიანის მაგიერ თვითონ ბედი გაუსწორებს ხოლმე. ოდეს კრიტიას ტირანის ძოწისფერი მანტია ასხია, ხოლო ალკიბიადე, ათენიდან განდევნილი, მგლის ტყავზეა წამოწოლილი თავის პეტერას გვერდით, სადღაც იქ, ბარბაროსთა უდაბურ მხარეში.

კრიტია საბჭოზედ წასასვლელად ემზადებოდა. ვიდრე სახლიდან გავიდოდა, გაპრიალებულ ვერცხლში თავი შეითვალიერა. გამოსხედვა არ მიყარვალ.

და თავის თავს გაელრიჭა; აგრეა, ოდეს კაცმა არაფერში ზომა არ იცის. ცხოვრების ბევრი სიამე ნახა და კიდევაც ნახავს!

ისევ სოკრატესკენ გაუწია გულმა. მაგრამ თავს კი იქებდა, კარგე ვქენი, რომ სოკრატეს, როგორც მოძღვარს, დროულად ჩამოვშორდით. მას უკან დიდხანს ჰქონდა ურთიერთობა ათენის საზოგადოების ნალებთან, უმთავრესად მდიდართა შვილებთან ოლიგარქიულ პეტერიებში. მრავალი წყევლითა და სიტყვით აქეზებდა იმათ სახალხო ხელისუფლების წინააღმდეგ, ამხადებდა კანონმდებელთა შეტაკებისთვის. ბევრმა კოკაპირმა წყალმა ჩაიარა, ვინემ ამ დღეს მოქსწრო, დროული კაცია, მაგრამ ბებერი არ ეთქმის.

მონა ფეხებზედ მოოქრული სანდლების ზონრებს უკრავდა.

კრიტია ფიქრს განაგრძობდა, ის სოფისტთა კარგი მოწაფე იყო: სისხლში ჰქონდა გამჭდარი იმათი ერისტიკა, იმდენად მოსწონდა ყოველგვარი ღირებულის გახრწნის იმათეული უნარი, ინდივიდუალიზმის მიმართ იმათი თავიანთისცემა, რომ თვითონაც თავგამოდებული სოფისტი გახდა.

აქამდე კარგადაც მოქმედებდა. სპარტელ და ათენელ ოლიგარქთ აკი ღირსეულად დააფასეს კიდევც...

კრიტიამ უეცრად გაწყვიტა ფიქრის ძაფი. დრო იყო იმათთან გამოჩენისა, ვინაც ელოდა.

საზავო ხელშეკრულების თანახმად ათენელი გალავანს ანგრევენ. მუშა-ნი ერთიმეორეს ვერ ეწყობიან. დაობენ, ერთმანეთს უღრენენ...

— აი ის ურჩხული, ისა! რა უჯიშო ვინმე ყოფილა ეს კრიტია!

— ვითომ რატომ ამკობ ეგრე?

— შენთვის რა, არაფერია, მტერს რომ აუბა მხარი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ!

— იქნებ აქ რაღაც ხრიკია: ვითომ აუბა, მაგრამ მერე თავისიანთ დაიცავს.

— რაღაც ეგეთ ამბავს არა ჰგავს...

— გასაგებია: ის ხომ სოფისტია. ისინი კი ენით უფრო იბრძვიან, ვიდრე მახვილით.

— ეგ ეგრეა. ოღონდ კაცმა არ იცის, ვინ არიან იმისი „თავისიანები“. ნეტა ვის დაიცავს? ჩვენს დაცვას ეგ არ დაიწყებს!

მეორემ არა უპასუხა რა, კედელს უფრო მოუქნია. პირველმა ამოიოხრა:

— პირდაპირ გული მეკუმშება — მშობელ ქალაქს ვანგრევ! — მაგრამ მაინც ასწია მძიმე ურო.

— შე გაჭირვებულო, ქალაქს კი არა, გალავანს ანგრევ.

— ეგ ერთი და იგივეა. ტაძრის კედელთ თუ დააქცევ, საკურთხეველს რა გადაარჩენს!

— კარგი. გეყოფა! — ჯავრობს მეორე: არც ამას ახარებს ქალაქის განძარცვა-გაშიშვლება. კედლების ჯავშანი რომ ჩამოეცლება, ათენი ბედის ანაბარა დარჩება — ვისაც როგორ უნდა, ისე მოექცევა. — შე უფრო ის მაწუხებს, რით ვიცხოვრებთ ახლა ჩვენ, უქონელი! — განაგრძობს იგი აღშფოთებით. — დახმარების საქმე გააუქმეს და საზოგადო სამუშაოებისთვის გახვრებით.

ტილ გროშს არავინ მოგიგდებს. დღეში სამი ობოლოსი იყო ცოტა, და ერთსაც თუ არ მოგცემენ, უნდა მოკვდე და ეგ არის!

— პირდაპირ თითქოს ვილაცხას ვასაფლავებთ...

ჰახ! ჩამოინგრა კედლის ნაწილი, და ბული დადგა. მალე ცოტა მოშორებით ისევ — ჰახ! თითქოს ვილაცამ თიხის უზარმაზარი ამოღრა დაამსხვრია.

— ჯერ კიდევ ვნახოთ, ვინ ვის დაასამარებს. — სულაღვ—არ—მეგობრე მუშა.

ოლიგარქნი სიხარულს ვერ ფარავენ. თანამდებობათა განაწილებაში არიან, ყველა მაღალ ადგილს ეტანება და მეორის გასწრებას ცდილობს. ერთმეორეს აწყდებიან და წინ ისწრაფიან, ზეიმობენ: ჩემი დროც დადგა! ნიჩაბი მალე! საჭე! საჭე! ჩაყრილ ჯამს რა სჯობს! ათენის უბედურებას იმათთვის სარგებლობა მოაქვს. სოფისტიკაში გავარჯიშებულნი, იმ რწმენით სულდგმულობენ, რომ ვინც ძლიერია, მართალიც ის არის, ათენის დამამცირებელ კირთებასაც კი სიკეთედ ასაღებენ. მშიერ თანამოქალაქეთ ეს ცრუმხსნელნი სვესვიანობას პპირდებიან, ოღონდ ჯერეთ საკუთარ კეთილდღეობას უზრუნველყოფენ — ისინიც ხომ ათენელნი არიან! — დანარჩენი მერმე გამოჩნდება. რა ხანია ქადაგებენ ისინი თავიანთ სარწმუნოებრივ მოძღვრებას, ღმერთების მთელი ხომლი სამი კერპად წარმოუდგენიათ: ფულად, ზეგავლენად, ძალაუფლებად.

შეუდექ ამა რწმენას! თაყვანი ეც ჩვენსავით ღმერთსა იმას, რომელს სხელად პლუტოსი, ანუ სიმდიდრის ღმერთი ჰქვია! ნუთუ სმენასა შენსა არ ატკობს ძველი შეგონება: „ო, პლუტოს, უმშვენიერესო ზეციერთა შორის! მდაბალიც კი კეთილშობილდება, ოდეს შენ კეთილ თვალს შეავლები“.

გუშაგთ მავანი მდიდარი მოჰყავთ — უფრო სიმდიდრისთვის დაუბატირებიათ, ვინემ დემოკრატთათვის მხარდაქერისა გამო. მდიდარი ევედრება, გამიშვიტო, ვერცხლის დრაქმებს პპირდება... წიხლის კვრით აჩუმებენ. გუშაგთ იციან, რომ ანოფელესი, რომელმაც მდიდარი დაასმინა, შორიახლო მოსდევს თავის მსხვერპლს, აბა მართლა ჩააბარებენ თუ არა ტირანთ, უფრო სწორად — სიკვდილსო? ფულის დაპირებაც ტყუილი ამბავია. მდიდრის ფულს უკვე სხვებმა გამოუყვანეს წირვა; მთელი თანხა მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ სადაც ჯერ არს, იქ გადაიტანეს — სახელმწიფო ხაზინაში, რომელსაც ოცდაათი ტირანი განაგებს.

სოკრატე უმზერს ამ უმსგავსობას და უძრავად დგას.

ხალხი სცნობს სოკრატეს, მაგრამ არავინ ეხუმრება, ყველანი უხმოდ მიმოდინან, რომ ფიქრის ძაფი არ გაუწყვიტონ. პლატონიც კი ვერ ბედავს მიახლოებას. მოსასხამში გახვეული იქავ შორიახლო ტრიალებს.

დასახიჩრებული ქალაქის თავზედ ღამე ეშვება. სოკრატე კი ისევ არ იძვრის.

რა დროს ძილზედ ფიქრია? დაეძინება თუ რა? ათენთან ერთად მძიმე ვაში უდგას. თავის ქალაქთან სოკრატე ისეა, როგორც ავადმყოფის გვერდით, რომელი ავადმყოფიც ყველაზედ ცუდად ღამ-ღამობით არის, რამეთუ სატკივარმა ღამით იცის ატეხა.

ქალის სასოწარკვეთილი გოდება გაისმის ღამის სიბნელეში. ან იქნებ ლოცვაა? თუ მკრეხელობაა?

— ქალწულო ათენა! მფარველო ათენა! საშინელებაა წყეულიმც იყავ! რატომ პალადიუმითა შენითა არ დაიცავი ქალაქი შენი?

ხმას ბზარი ეპარება.

— შეგვიბრალე, ადამიანები მაინც შეგვიბრალე! არ დაანებო, შეილთ მაინც ნულა დაშიხოცავენს ქმარი უკვე წაიყვანეს, ახლა შეილები მიპყავთ... მიშველენ! დამიცავი დამიხსენი!

სწრაფი მძიმე ნაბიჯების ხმაა ქუჩაში. ორნი არიან? სამნი? ქალაქსაში-ნელმა კივილმა გაფატრა ღამე. აღარ ისმის ვედრება. შფოთი და არეულობაა სიბნელეში. განუწყვეტლივ ხშიანობს ქვაფენილი: ფეხშიშველა თუ სანდლე-ბიანი ხალხი ირევა. აღელვებულ ლაპარაკს დროდადრო ტკივილის, ბრაზის წამოქაბილი არღვევს... ვილაცამ გადაიხარხარა. გიჟია? თუ მთვრალია? ან იქნებ ვინმე ბედგალიმებულაა, რომელმაც დასჯილის ოქროს მიაგნო?

იქ ვინა ტირის? ბავშვი? ვინა ოხრავს? იქნებ დაფნა, კვიპაროსი, ოლეან-დრები, რომელთაც თავიანთი სურნელება დაუკარგავთ? ქარს ზღვიდან მწარე კვამლი მოაქვს. კვამლი ფილტვებში აღწევს, ხუთავს ადამიანს. ზღვა უკვე აღარ არწევს ათენის ამაყ ტრიერთ. იმათგან ოდენ მხრჩოლავი ნამუსრევილა დარჩენილა. ერთიმეორეს ეხლებიან ზღვის ტალღებში, არც ბოლომდე დაწვა უნდათ და არც ჩაძირვა. უხალისოდ სრულდება ათენის ფლოტის განადგურე-ბის სპარტელთა ბრძანება.

მთელი გრძნობით აღიქვამს სოკრატე მცხრალი მთვარით და აქა-იქ მბეუ-ტავი ჟინუღილით განათებულ ყოველ სურათს; ამ სპექტაკლის მიმოსნი უნიღ-ბებოდ არიან. ვინ იცის, უკვე მერემდენე დღეა, რაც ქალაქს ლტოლვილნი მოაწყდნენ იმ ადგილთაგან, სადაც პავსანიას ურდოებმა გაიარეს და ქვეყანა პარტახად აქციეს. ახლა ლტოლვილნი ქალაქში ეძებენ სიცოცხლის სახსარს — როგორაც უწინ ისინი ეძებდნენ, ვისაც ოდესღაც მეფე არქიდამე, ხოლო უფ-რო გვიან სოფელ დეკელიაში დაბანაკებული სპარსელნი სტაცებდნენ საქო-ნელს, უწვავდნენ სახლ-ქარს, უკაფავდნენ ზეთისხილის კორომთ.

უპოვარ-უქონელთ, რომელნიც ათენში ისედაც მრავლად არიან, ხეიბარ მეომართ, უთვალავ ღატაკს, შიმშილი და სიცივე რომ თანგავს, ახლა უსახლ-ქართ უბედურთა ახალი ბრბოები უერთდებიან. ათენა იბერება, ფეხმძიმე მღვდლს ემგვანება და, კაცმა არ იცის, რასა შობს ამა არისასურველი განაყო-ფიერების შედეგად... აღბათ ადამიანის სახელდაკარგულ ადამიანს...

ჩამოსულნი დემოკრატთა მიტოვებულ სახლებსა და ბალებში მიძვრები-ან, არცრას მიწიდან აუღებელს არ უშვებენ, თუ ვინმემ რამე სამოწყალოდ მიუგდო ანდა ვისმე სიჩქარეში რამე დაუვარდა, თავს ზოგი მკურნალად ასა-ლებს, ზოგიც წინასწარმეტყველად და მისნად, სუყველა თავთავის ქალაქელ ნათესავთან იღებს ბინას...

ათენელთ თავბრუ აქვთ დახვეული. ამ პარაზიტთ უფრო უფროთხიან, ვიდ-რე თვით სპარტელთ, რომელნიც ოჯახებში მაინც არ ექრებიან, ლუკმას არ უყოფენ ისედაც მშიერ-მწყურვალთ, სხვაგან და სხვაგვარ შოულობენ უკეთეს სარჩოს.

ერთი ღამე მეორეზედ უარესია. არც ეს ღამეა წყნარი. ავად ფუთფუთებს. ხელუბი, ჭერ კიდევ ახლახან პატიოსნად რომ ხნავდნენ მიწას, აწკი გაქურდ-ბაცაცებულან, საღმე საშოვარზედ ზედმისეულნი ძველ მძარცველთა ხელებს აწყდებიან.

მაგრამ ამ ღამეთა მიმოსნი ერთდროულად მაყურებელნიც არიან იმაზედ

უფრო დიდი ტრაგედიებისა, რომელ ტრაგედიებსაც თვითონ მართავენ და თამაშობენ.

შელამებულში პლატონი სულ უფრო მოეახლოვა თავის მტრულ სოკრატეს, აი გასძახა:

— სოკრატე!

— მესმის, პლატონ.

— შეიძლება, რომ მოგიახლოვდე?

— შენთვის ყოველთვის შეიძლება, ყმაწვილო! მაგრამ რისთვის მოსულხარ ამ ღამეში?

— შიმწუხრიდან აქა ვარ, მაგრამ შეწუხებას ვერ გიბედავდი — ფიქრებში იყავ გართული...

— რა გინდა?

— ზარდაცემული ვარ, სოკრატე. შიშმა შემიპყრო, ნუგეშსა და მხარდაჭერას ვეძებდი და დავრწმუნდი — მხოლოდ შენ შეგიძლია ხელის აპყრობა. მაგრამ, ვხედავ, თავიდაც კაეშნიანი ხარ და ვშიშობ, ვაითუ ვერცა შენ გამამხნევო... — და უცებ: — შენი დარდი მაქვს!

სოკრატემ გაიღიმა:

— კრიტიკას გამო?

— შენ არ იცი, რა სასტიკი ვინმეა ბავშვობაში თავს იმით იქცევდა, რომ ცხოველთ კუდზედ ძენძს აბამდა და ცეცხლს უკიდებდა... ხარობდა, როცა ისინი ფრთხებოდნენ და ტკივილისგან ღმუოდნენ, მეც ნიშანში ვყევარ ამოდებულნი: თავის პეტერიაში მიბარებდა, უნდოდა, რომ პოლიტიკურ კარიერას გავყოლოდი, მე კი, როგორც თვითონვე ამბობს, ვულალატე და შენთან მოვედი.

— სხვა სიტყვებით, რომ გადმოგიბირე, არა?

— არც მაგას დაგივიწყებს.

— ის კიდევ ბევრ რამეს არ დამივიწყებს, ყმაწვილო. რაო, რა თქვი, გამხნევება მინდაო? ნუ გეშინია, სიმტკიცე არც თავად გაქლია, და თანაც მეც გვერდიფა ვყევარ. აი ათენს რა ეშველება? ხედავ, როგორ მიმოანგრის? საშინელი სანახაფია, არა? მაგრამ კიდევ უფრო საშინელი ის არის, ადამიანის სული რომ ინგრევა.

სოკრატემ მხარზედ ხელი გადაჰხვია პლატონს, და ორივენი შინისკენ წავიდნენ, რამეთუ ირიჟრაჟა. წყნარად წარმოთქვა:

— როგორც კი ხალხის გამგებლობა დაეკარგეთ, საშინელება გამეფდა.

— საშინელებაა, საშინელება... — თავი დაუქნია პლატონმა, მაგრამ სოკრატეს სიცილმა შეაწყვეტინა. — რას იცინი? — ჰკითხა გაოცებულმა.

სოკრატეს სიცილი არ შეუწყვეტია.

— უსმენდი დღეს მეფე პავსანიას?

— ვუსმენდი.

— გაიგე, რა თქვა? ათენი საუკუნოდ სპარტის მორჩილიაო! ყველა ძალსა ვფიცავ, საყვარელო პლატონ, განა ეგოს-პოტამოსი და ის ამბავი, რაც დღესა ხდება, იმის ნიშანია, რომ ათენმა საუკუნოდ დაკარგა სულის სიდიადე? ათენი კიდევ მრავალ ასწლეუფს იქნება სულის სახელმწიფო, ამ უსულო და უგულო სპარტას კი, მართო ომებზედ რომ უჭირავს თვალი, მიწყვი ევად მოიგონებენ. არა, იმედის დაკარგვის საფუძველი ნამდვილად არა გვაქვს, ყმაწ-



ვილო. აჲ ბევრი რამ ჩვენზედ არის დამოკიდებული. ჩვენ მოვალენი ვართ, რომ ადამიანში თუ რამ დაიქცა და დაინგრა, კვალად აღვადგინოთ!

პლატონი სოკრატეს გადაეხვია.

— დიახ, დიახ, რა ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია შენთან ყოფნა. ეჲ, ნეტავი შენსავე ურყევი და ნათელი მქნა, მოძღვარო!

— მოძღვარო? მაშე ისმინე ჩემი დარიგება, იცო, ბრძენი რაფაელის მსგავსად არაბრძენი კაცისგან? რითა და, კეთილი იმედებით!

3

პართენონის პირდაპირ საფეხურებზედ თავის მეგობრებთან ერთად იჯდა სოკრატე. სადილობდა. თხის ყველს, ბალარჯს ანუ ქერის პურსა და ზეთისხილს ტიკიდან ღვინოს აყოლებდა.

შუადღევდებოდა. აკროპოლისზედ თითქმის არავინ იყო. ანაზღად იმ რამდენიმემატ, აჲ რომ დახეტიალობდა, პროპილეებს მიაშურა, საიდანაც მცირე რამ ჭგუფი გამოვიდა ადამიანებისა და აკროპოლისის აღმართს აუყვა.

წინ, პართენონის მიმართულებით, მიაბიჯებდა კრიტია, რომელსაც ძოწისფერი მანტია მოესხა, უკან ოცდაათი ტირანის საბჭოს რამდენიმე წევრი მიჰყვებოდა, ბოლოს კი გუშაგთა ორი მწყერი. კრიტიამ თვალი მოჰკრა სოკრატეს და იმის მოწაფეთ, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, ვითომც ვერ დაინახა. ზუსტად ასევე მოიქცნენ სოკრატე და მისი მოწაფენიც.

კრიტია თავის მხლებლებიანად ტაძარში შევიდა, რათა ზორვის, ანუ მსხვერპლთშეწირვის წესი შეესრულებინა.

— მობრძანდა ათენასთვის მსხვერპლის შესაწირავად, თან კი სულ იმის მტკიცებაშია, რელიგია სულელთა მოსატყუებლად და დასამორჩილებლად არის მოგონილი, — შენიშნა ქსენოფონტმა.

სოკრატემ გაიცინა:

— განა ყოველთვის იმას არ ვამბობ, ყოველ ადამიანში რაღაცა კარგი არის-მეთქი?

— მერედა, ეგ კარგია, ურწმუნო კაცი ღმერთთ მსხვერპლს რომ სწირავს? — სიტყვა გაუტრიზავა ქსენოფონტმა.

— მსხვერპლის შეწირვა კი არ არის კარგი, — მიუგო სოკრატემ. — კარგი ის არის, რომ ღმერთი არა სწამს.

ყველამ გაიცინა, პლატონმა კი მიმოიხედა, ხომ არავინ გვისმენსო.

— და კრიტია მაინც ყველაზედ უბედური ადამიანია მთელს ათენში, — დასძინა სოკრატემ.

— კრიტია? — გაითცა ანიტე-უმცროსმა. — როგორ? დულს და გაღმოდულს, ყველაფერი აქვს, რაც შეიძლება რომ მოკვდავმა ისურვოს. უზარმაზარი სიმდიდრე, უზენაესი ძალაუფლება, თანაც განათლებული სოფისტი და ბრწყინვალე ორატორია.

— ნიჭიერიც არის. — შეაქო კრიტია ევკლიდემ. — ელეგიებსა და ტრაგედიებს წერს. რაღა აკლია, გვითხარ, სოკრატე?

— სოფროსინე — ზომიერება, — მიუგო მან. — თანაც კიდევ თქვენ ჯერეთ მხოლოდ იმისი ღირსებანი აღნიშნეთ.

— მართლაც, — თქვა ანტისტენემ. — ათენის მოქალაქეთა რიცხვის შე-

მოფარგვლა სამი ათასი ყველაზედ უფრო შეძლებული ადამიანით უხამსობაა და მეტი არაფერი. ახლა ჩვენ შორის ათენის მოქალაქენი რდენ კრიტონი, ქსენოფონტი და პლატონია.

— კრიტიას გამგებლობის საშუალებად ტერორი მიაჩნია. უტეროროდ ვერც ერთი ხელისუფლება ვერ იარსებებსო, — აღშფოთებულად თქვა პლატონმა. — და თუმცა სულ რამდენიმე კვირაა, რაც გამგებლობის შეცვლებს უკვე ვხედავთ: დაუსრულებელ მკვლელობებს, ქონების კონფისკაციას, გიჟურ გადასახადებს, რეკვიზიციებს...

— ისინი ტაძრიდან გამოდიან, — გააფრთხილა მეგობრები ქსენოფონტმა. — კრიტია აქეთ იყურება. სოკრატე, იქნებ შენი გაცლა სჯობდეს.

— ვითომ რატომ? ესადილობ კაცი.

— მე წავედი, — თქვა ქსენოფონტმა, — არ მინდა იმასთან შეხვედრა. ქსენოფონტს ყველანი გაჰყვნენ. მხოლოდ სოკრატე დარჩა.

კრიტიამ ძოწისფერი მანტია მოიხსნა, ერთ-ერთ გუშავს მკლავზედ გადაუგდო.

— წინ წადით, დაგეწევით.

სოკრატესთან მივიდა, ფილოსოფოსი წყნარად განაგრძობდა ჭამას.

— ჭაირე, სოკრატე.

— ბედნიერი იყავ, კრიტია.

— შენ გვერდით დაჯდომის ნებას თუ დამრთავ?

— მარტო ნებას კი არა, — გაუღიმა სოკრატემ. — ყველსა და ქერის კვერსაც გიწილადებ, დამეწვიე.

კრიტია საფეხურზედ ჩამოჯდა.

— ღარიბულად სადილობ, გმადლობ, არ მინდა ჭამა.

— ტყუილად უარობ. განაღა არ გახსოვს, როგორ პურს აცხობს ქსანთიბე? ზღაპარია!

— პირდაპირ გლახაკივით ზიხარ. შენთვის კრიტონზედ უკეთესი კეთილისმყოფელი ვიქნებოდე, თუ, რასაკვირველია, ისურვებდი. არ დამვიწყებია, რომ ჩემი მოძღვარი ხარ.

— ვიყავი, — რბილად შეუსწორა სოკრატემ. — არც მე დამვიწყებია ის დროება. მაგრამ გეშლება, საწყალი რომ გგონივარ. ჩვენ ორში უკეთეს რომელიმეს საწყლობა ეთქმის, მაგას ჩემზედ ვერავინ იტყვის.

კრიტია წყენით შეიშმუშნა.

— აბა, მაშ მე რატომღა ვარ საწყალი? — ჰკითხა მან გაბრაზებულმა.

— ძაღლსა ვფიცავ! სულ უბრალო ამბავია. მე აქ სიგრილეში ამოვედი, ზღვის ცინცხალ ჰაერსა ვსუნთქავ, სიამოვნებით შევექცევი ყველსა და პურს, ნიორს, ზედ ჰუდის ღვინოს ვაყოლებ. შენ, ვიცი, ნადიმი გელის. გველთევზა, ფარშიანი შაშვები. ფსტით შეგემებულ ბატის ღვიძლის პაშტეტი, თაფლის ნამცხვარი, ქიოსური ღვინო, ჩინებულთა, დიდებულთა. მაგრამ ამ გემრიელ კერძებთან ერთად შენ ერთ ძალიან უტკბილო რამესაც მიირთმევ.

— მაინც რას? — მოუთმენლად ჰკითხა კრიტიამ.

— რასა და, შიშს, — მიუგო სოკრატემ.

კრიტიამ ავად გაიცინა, როგორც ყოველთვის, როცა თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა ხოლმე.

— სრულ ჭკუაზედ ხარ? რისა უნდა მეშინოდეს?

— შინ რომ მიხვალ, სარკეში ჩაიხედე, რა შეწუხებული ხარ, გაყვით-

ლებული, არაქათგამოცლილი, არც გასაკვირია. შენ ვერც ერთ ლუკმას ვერა
 ულაპაე სიამოვნებით, ვერც ერთ ულუბ ცივ ღვინოს ვერა სვამ დაშვიდებით.
 ვიცი, საგანგებო მონანი გყვანან, შენთვის მომზადებულ საჭმელს წინასწარ
 უსინჯავენ გემოს, ემანდ მოწამლული არ იყოსო, მაგრამ ვითაუ წამლავმა
 რამდენიმე საათის შემდეგ იმოქმედა, მერე სად მიდიხარ?

— გაჩუმდი! — აღმოხდა კრიტიას.

— არა, მართლა არის ამისთანა საწამლაეც, მე არ ვიცი, მაგრამ შენც კითხვით
 ამას ვინ ჩივის. შენ გარშემო შლიქვნილთა მთელი ბრბოა, მეგობრულად გე-
 ლუკლუკებიან, მაგრამ აბა რა იცი, რომელ შენს მეგობარს... ჰმ, უცნაური
 სიტყვაა... უფრო სწორედ, რომელ შენს პურისმტერსა აქვს კიტონქვეშ შენს
 მოსაკლავად დამალული ხანჯალი?

— ეგ ყველამ უნდა გაითვალისწინოს...

— ყველამ არა, — შეაწყვეტინა სოკრატემ — მე, მაგალითად, არა, რამე-
 თუ ჩემი მეგობარნი ჩემგან სიამოვნებს არ მოელოიან, და არც მე ველი იმათგან რა-
 მე ურიგობას. შენ კი მშვიდად ძილიც არ შეგიძლია, საწყალო.

კრიტია წამოვარდა.

— კმარა! გამოუსწორებელი ხარ. ოდესღაც ევთიდემეს გულისთვის ლო-
 რი მიწოდე, დღეს კი ესეგვარად გაკადნიერდი... დაიცა! მომაგონდა — ერთი
 შესაკითხი მქონდა, სალამინზედ, გახსოვს, სად არის?

— რა თქმა უნდა, მე იქ ვვრდებოდი დღესთან ვიყავი.

— იქ ვინმე ლეონტს ხომ არ იცნობ?

სოკრატემ კრიტიას მიაბყრო მზერა,

— მდიდარი რომ არის?

— მამულების მფლობელი, — შეუსწორა კრიტიამ.

— რა გინდა იმისგან?

— ჩემთან სასადილოდ მოვიდეს.

სოკრატემ კიტონიდან ნახორხალი გადაიბერტყა, ფიქრიანად უთხრა:

— ჰო, გიყვარს ჩასმა... — გამოასწორა, — მდიდარ დემოკრატთა გვერდით
 მოსმა...

— ლატაკი ხარაზნი და მეთუნენი ისე საშიშნი არ არიან, — მკვახედ მი-
 უგო კრიტიამ. — მსხვილთა ნადირთა დევნაში ქარმიდეს ვეჭიბრები.

— მე სულ სხვაგვარ შეჭიბრებას შემოგთავაზებდი, თანაც ხელსაც გა-
 გიმართავდი... — სოკრატე შეყოყმანდა.

— თქვი, ვატყობ, შეეძლებთ მოლაპარაკებას.

სოკრატემ წყნარად წართქვა:

— ნეტავი სხვა სახელმწიფოთა გამგებელთ, ათენის მბრძანებელო, იმა-
 ში გასჭიბრებოდი, რომ ათენი ყველაზედ უფრო ბედნიერი გაგებოდა... აი შე-
 ჭიბრი ის იქნებოდა! მთელი ქვეყნიერება შენ შემოგნატრებდა!

— ისევე ქადაგებანი! — შესძახა კრიტიამ. — შენი მოძღვრება შენთვის
 შეინახე! მოკლედ: სალამინიდან ლეონტის ჩამოყვანა მისურვებია.

სოკრატემ ტიკიდან ღვინო მოსვა და უღვაშები მოიწმინდა.

— მაგას, მართალი გითხრა, ტყუილად მავალეებ, ნუ გაჯავრდები, კრი-
 ტია, მაგრამ ლეონტის ჩამოყვანის საქმეში შემწეობას ვერ გაგიწევ

კრიტიას ბრაზისგან ხმამ უღალატა.

— გესმის, რას ლაპარაკობ?

— როგორ არ მესმის, იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ, როგორც ყოველთვის.

— შერედა, მაგეებზედ მოწაფეთ ესაუბრები?

— რატომაც არა? — გაუკვირდა სოკრატეს. — ამჟამად ასეთი/რამეები ძალზედ მნიშვნელოვანია ყოველი ათენელისთვის. შენ რა ვერც არ ფიქრობ? მაგრამ კრიტია პრობილეების გავლით უკვე ქალაქისგან მიუჩქარდა.

— აი ახლა კი მეც უნდა ავიყვიანო ვინმე საზრდელისა და ღვინის გამსინჯველ-დამჭაშნიკებელი, თანაც თვალი უნდა მეჭიროს, ემანდ, ხანჯალი არავინ ჩამცეს. — გაიცინა სოკრატემ და წავიდა, რომ, ძველი ჩვეულებისამებრ, დამტკბარიყო ფიდიას ნახელავი ფრიზით, რომელიც პართენონის შუბლზედ იყო გამოსახული.

— ესეც ასე, — კიდევ ერთი გავისტუმრეთ, მოდი, გაათრიე... — მესამსალემ თვალებში ჩახედა ძირს გაშოტილს: სიცოცხლის ნიშანი შეამჩნია. — თუმცა ცოტა დაიცა.

მესამსალის შემწვამ ხელი ჩაიქნია:

— არაფერია, ეგ დარჩენილი სული საკაცეზედ ამოუვა, ხომ იცი — ნაბრძანებია, დიდხანს არ ელოლიავეოთო.

მაგრამ მესამსალემ შემწვეს დაჩქარების ნება არ მისცა. ის კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის ხელობას, როცა კი დამნაშავეთ აბარებდნენ, და ახლაც რა, განა შეიძლება დაუდევრად მუშაობა, რაკი უდანაშაულო მსხვერპლთანა აქვს საქმე? მესამსალე მზერას არ აცილებდა მოწამლულის თვალთ, სადაც სიცოცხლე არ ქრებოდა.

— მე ვიცნობდი ამას, ბრძენი და სამართლიანი კაცი იყო, სიტყვით გამოდიოდა ხოლმე აგორაზედ, პორტიკის ქვეშ...

— მაშ, აბა, რატომ...

— ბევრს ლაპარაკობდა.

მესამსალის შემწვამ თავი გააქნია:

— საკვირველია პირდაპირ, ბრძენი და ასეთი ბრიყვი...

ოცდაათელთა საბჭოზედ სიტყვას კრიტია ამბობს.

— ღმერთნი ამწყალობნებენ ჩვენს მუშაკობას...

ხმა:

— მუშაკობას?

კრიტია გაბრაზებით:

— ეგ ვინა თქვა?

დუმბილი.

კრიტია:

— ჩვენ აღვადგენთ ათენს სპარტის დახმარებით, როგორ თუ სპარტის? ჩვენი ძველი მოწინააღმდეგეა? ჩვენი მხსნელია! და ვისაც ამის გაგება არა სურს...

ხმები:

— დიდება სპარტას! დიდება მეფე პავსანიას! დიდება...

ლისანდრეს სახელს ძლივს წარმოთქვამენ თვითონ ოცდაათიანელთა ბაგნიც კი. კრიტია მშვიერი მზერით აკვირდება იმათ, ვისაც ნაკლებად ეხალისება მისთვის კვირის დაკვრა: ცდილობს იმათ დამახსოვრებას.

კრიტია:

— კიდევ რა სურთ პრიტანთ საბჭოსგან?

პრიტანი:

— სიკვდილის განჩინებანი, გუშინ სალამოს გამოტანილი, ხელმოსაწერია.

პრიტანი განაჩენთ კითხულობს.

— კენჭი უყარეთ! — ბრძანებს კრიტია — და ხელს აწერს.

ხმა:

— ამბობენ, გუშინ ლესიოსისა და თედისიოსის გაუსამართლებლად დასჯა გიბრძანებია!

დუმილი. ქუჩიდან შემოდის ტირილის, გოდების ხმა.

თერამენე:

— ვშიშობ, რომ საზღვარს გადადიხარ, კრიტია. ადამიანის სისხლი ილისოსის წყალი არ გეგონოს. თედისიოსი პატივცემული მოქალაქე იყო — და შენთვის საკმარისი გამოდგა ვინმე სიკოფანტის ჩაჩურჩულება. იქნებ ცილი დასწამა?

კრიტია გაფითრდა, სტილო დადო, მზერით გაბურღა თერამენე და მოუჭრა:

— ჩემთვის ის საკმარისი იყო!

თერამენე:

— შენ ერთი ჭერეთ კიდევ არა ხარ ოცდაათთა საბჭო!

კრიტია:

— განა თქვენ არ მომეცით იმის უფლება, რომ ზოგ შემთხვევაში თვითონ გადამეწყვიტა საქმენი?

— ერთპიროვნულად გადაწყვეტის უფლება მოგეცა მხოლოდ ჩვენი გამგებლობის პირველ დღეებში და მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევებისთვის. ლესიოსნი, თედისიოსნი და სხვანი, რომელნიც შენ ჩამოცილე, განსაკუთრებული შემთხვევა არ ყოფილან!

კრიტია:

— აქ უკვე რამდენჯერ გაისმა ჰირვეულთა ხმა. პირველ რიგში კი შენი ხმა, თერამენე. მაგრამ განვაგრძოთ საბჭოს სხდომა, რომ დავასრულებთ, ყველა გავა, თვინიერ თერამენესი.

ოლიგარქნი ძველებურად იკრიბებიან თავიანთ ჰეტერიებში. მსჯელობენ შექმნილ მდგომარეობაზედ. ნუთუ ყველაფერი მართლა ისე კარგად არის, როგორც ჰგონიათ? თუ — ცუდად არის, და თანაც ისე, როგორც ზოგიერთნი აშინებენ?

ვერ მოლაპარაკებულან, ვერ შეთანხმებულან, რას რა უნდა მოჰყვეს, ვისი ამაღლების რიგია, ვისი ჩამოცილების ეამი. ერთნი კრიტიას უჭერენ მხარს; ჩვენ ცოტანი ვართ, მოწინააღმდეგე კი ბევრიაო. და თვითონ კრიტიას სიკვ-

დილისმთავრელი ხელი ისე ეჩვენებოდა აღარ ეჩვენებოდა იმათ სიმრავლესთან შედარებით, რომელთა დაშინება და მოსპობა საჭიროდ მიაჩნიათ. სხვანი თერამენეს მხარეზედ დგანან. გონიერული, ფრთხილი მოქმედებისკენ მოუწოდებენ. ხალხს ნუ გააღიზიანებო. შესამენი არც აქეთ არიან, არც იქით, აღარ იციან, ვის და რას დაუჭირონ მხარი.

ოლიგარქთა თავყრილობა პირველ ხანებში რაღაც ^{ეჩვენებოდა} ~~გვეჩვენებოდა~~ წესითა და რიგით იმართებოდა, ჯერ იმაზედ საუბრობდნენ ხოლმე, რაც სისხლს უწყამლავდათ: ხალხის გამგებლობაზედ ყველა იმ ახალ იმბავს იშველიებდა, რის შეტყობაც მოესწრო. წინადადებანი სეტყვად მოდიოდა: როგორ და რა გზით დაესუსტებინათ საძულველი დემოკრატია. შემდგომ დგებოდა ეამი ღრუობისა, რომელიც ისევე აზავებდა მონაწილეთ, აზრთა სხვადასხვაობისა გამო არცთუ იშვიათად სამკედრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულთ. ვინაც აღვირახსნილ დროს ტარებას ხალხით არ ეძლეოდა, ვისაც არა ძალედევა თავისი თუ სხვათა ინსტიტუტების ჯეროვნად აღგზნება და მერმე დაკმაყოფილება, როგორც დანარჩენთაგან განსხვავებული, სავჭვოდ ცხადდებოდა.

მაგრამ ახლა პეტერბურგში კეთილისმყოფელი დაზავება აღარ ხდებოდა. აღარც ძელგი ღვინო შველოდა საქმეს. დავა გრძელდებოდა, თვით ორგების დროსაც კი, ჭაბუკთა და ქალიშვილთა თანდასწრებით. კრიტიკა? თუ თერამენე? რომელი მეთოდი ჯობს — მკაცრი თუ რბილი?

და არც ერთ იმათგანს. ცალ-ცალკეც რომ ჰკითხო, არა აქვს მტკიცე, უცვლელი თვალსაზრისი. იმათი სიტყვა, როგორაც აფქიო, იქითა ტრიალდება, საითაც ქარი დაუჭროლებს. მაგრამ ერთ რამეში კვერცხებივით ჰგვანან ერთმანეთს ოლიგარქნიც, პეტერბურგის შეთქმულნიც და თვით ოცდაათი ტირანიც კი: ათენის ხალხი სულ უფრო და უფრო მეტს შიშსა ჰგვრის იმათ, ხოლო ხალხის შიში ტერორის წინაშე სუსტდება.

დემოკრატთა წინაშე შიშით კრიტიკა არ წყვეტს მკვლელობას, თანაც ტირანთა გამგებლობის სისასტიკეს ლამაზი სიტყვებით ნიღბავს. ამ სამუშაოსთვის გასამრჯელოს უხვად იძლევა და ორატორთა პოენაც არ უჭირს.

ორატორს ორატორი ცვლის პორტიკთან, ენებით ბანენ ტირანთ, და ისინიც, განწმენდილნი, უბედური ათენის სახელოვან მხსნელებად ჩანან.

ქადაგებს რიტორი ლიკონიც. იმისი ყოველი გამოსვლა გამოირჩევა ოსტატური წყობით, გულმოდგინებისგან ყბების სახსრები უსივდება — ოლიგარქთ ეჩვენებათ, ჩვენს სასარგებლოდ ლაპარაკობსო. ხალხს კი რატომღაც საპირისპირო შთაბეჭდილება რჩება.

კრიტიკა — თერამენეს.

— კიდევ უკმაყოფილო ხარ? ყველაზედ მდიდრული ვილა გარგუნე, სულ ძვირფასი ნივთებით გატენილი, აი იმას რომ დარჩა... კარგად იცი, ვისაც ვამბობ... ჩვენ ყველანი ვილაყას არ ვეჭაშნიკებით, თვითონ ზოგიერთ არისტოკრატსაც კი, არც ერთს ოცდაათიდან შენოდენი არ მიუღია — და მაინც კმაყოფილნი არიან. მეტი გინდა? მონანი? თქვი, რა გინდა?

თერამენე:

— არაფერიც არ მინდა, რა ვქნა, არ მიყვარს შავი ფერი. ძილი დაგვარ-

გე. ღამლაშობით ტირილი და მოთქმა მესმის. ცრემლი არ მიყვარს, გარშემო კი სულ ცრემლმორეულ თვალებსა ვხედავ...

კრიტია:

— ვითომ რატომ მეუბნები მაგას?

თერამენე:

— სიკვდილის წინ პერიკლემ წართქვა: ჩემი უდიდესი ბედნიერება არის, რომ არც ერთ ათენელს ჩემი მიზეზით ძაძა არ უტარებიაო. ჩვენ რას ვიტყვით, სიკვდილი რომ გვეწვევა?

კრიტია გულმოსულია:

— „ჩვენო“, რატომ ამბობ? საბჭოზედ აკი განშიცხადე, შენს მოქმედებას არ ვეთანხმებიო. თავს ნუ იძვრენ!

თერამენე:

— მაშ, აბა... უწინარეს ყოვლისა — თავად რას იტყვი?..

კრიტია:

— ჩემი მოვალეობა მე ვიცი, ხოლო ვინც ხელს მიშლის, ჩამოვიშორებ.

თერამენე:

— მაგრამ, დიდო ზევსო, სათვალავმა უკვე ითასთ გადააჭარბა!

კრიტია:

— თუ კიდევ განაგრძობ მაგისტანა ლაბარაკს, შენც ჩვენს მოწინააღმდეგეთ მიგათვლი.

თერამენე:

— შენ ხომ მდიდართ იმისთვისაც ხოცავ, რომ იმათი ქონების დასაკუთრება გინდა!

კრიტია:

— აბა ერთმანეთში როგორ ურევ მაგ ორ სულ სხვადასხვა რამეს? დიახ, იმ მდიდართა ვხოცავ, ვინაც ჩვენი მოწინააღმდეგეა. რაც შეეხება ქონებას... შენ არ იცი, როგორ გამოიყურება ჩვენი ხაზინა? ჩვენ იძულებულნი ვართ, რომ უმოწყალონი ვიყვნეთ და ვახდენდეთ ქონების კონფისკაციას. ვზრდიდეთ გადასახადებს, ვაწარმოებდეთ რეკვიზიციას...

თერამენე:

— მე, კრიტია, ჩემდაუნებურად მიხდება ადამიანებთან ურთიერთობა — მეც ხომ ერთი „ოცდაათ მტარვალთაგანი“ ვარ, როგორაც ხალხი გვიწოდებს — და ვისთვისაც კი რამის თქმა მინდა, ყველა ზიზღით მიყურებს! ღამით ძილში ის მიცვალებულნი მეცხადებიან, რომელთა გვერდითაც გუშინ თუ გუშინწინ ნადიმზედ ვმჯდარვარ...

კრიტია:

— უვარჯისი ადამიანი ხარ, თერამენე, მიმიფურთხებია შენი უბადრუკი განცდებისთვის! სპარტელთა ბრძანებაა...

თერამენემ იფეთქა:

— სპარტელნი კვლას არ გვიბრძანებენ, თუმცა სინარულით კი უხარიათ, როგორ ვანადგურებთ ჩვენიანთ.

კრიტია გაშმიგებით:

— ბევრის უფლებას აძლევ თავს, თერამენე! მე ჩემი პირადი ამბისთვის არავის არა ვკლავ, საზოგადო საქმე მოითხოვს ამას. თუ დაველოდოთ, ისინი როდის დაგვიწყებენ ხოცვას?

თერამენე:

— ათენის სათავეში ალკიბიადე რომ იდგა, ის არავის არ აწყენინებდა, ღარიბთათვის ნადიმთაც მართავდა — მხიარულება იყო აკროპოლისის ძირას. კრიტია.

— რაო?! შენც მოინდომე უკვე ჩემს ადგილზედ ალკიბიადეს დასმა? თერამენემ უკან დაიხია.

— სად შენი პოეტობა და სად ჰეკატომბეთა მოწყობა? — თუ სოკრატეს მოწაფე არ ყოფილხარ?

კრიტია:

— სოკრატეს ჯერიც მოვა!

თერამენე:

— მაგას ვერ იზამ!

კრიტია:

— კმარა, ერთი ოცდაცხრის წინააღმდეგ გამოდიხარ. ხვალ საბჭოზედ გამოცხადდები და სუყოველის წინაშე განაცხადებ, რომ უკან მიგაქვს ყველაფერი, რაც კი რამ ოდესმე ჩემზედ და სპარტელებზედ გითქვამს!

თერამენე:

— თუ არ წავიდე?

კრიტია უპასუხოდ გავიდა.

მზის ჩასვლის შემდეგ ციხის ბნელ საკანში ბეუტის მკრთალი ალი ციმციმებს. მისჯილს სხეული უბუჟდება. სიჩლუნგე ფეხთაგან გულისკენ მიიწევს.

შესამსალე ფილოსოფოსობს:

— ეპ, ჩემო კეთილო, ნანგრევებში ვცხოვრობთ. მერე, ვისი ბრალია, თუ იცი? მარტო სპარტელთ გაუძლებდა კაცი? ჩვენები უარესსა შვრებიან. თავდაც უბადურების ნანგრევი არიან, მე და შენც. — თავს იმ კაცისკენ იქნევს, ესდენ ნელა რომ კვდება.

მაგრამ უეტრად გონს მოდის, მოკრძალებულ იერს იღებს — შემოდის კრიტია, გრძელ მოსასხამშია გახვეული.

არც სალაში, არც რამე მიმართვა, კრიტია პირდაპირ ეკითხება:

— როგორ არის საქმეები?

შესამსალე გაუბედავად:

— სამუშაო ბევრია... ველარ მოგვევ, ბატონო.

— რა კადნიერებაა? ველარ მომდევი? ალბათ იმის თქმა გინდა, რომ ველარ მოგვდევი, არა?

— წამომცდა, — თავს იმართლებს ჯალათი.

მაგრამ კრიტია პასუხით კმაყოფილი არ არის; ნაბიჯით უკან დაიხია, შეუყვირა:

— როგორ თუ ველარ მოგვდევით? განზრახ?

— არა, ბატონო, ცდას არ ვაკლებთ. მაგრამ ჩვენს საქმეს დრო სჭირდება — ხოლო როცა მათოთის შხამი ცოტაა, მით უმეტეს. მთელი ღამეები არა გვძინავს.

— რამდენის დამუშავება შეგიძლიათ ერთ ღამეში?

— ყოველთვის ერთნაირად არ გამოდის, — ორჭოფულად უხსნის ჯალათი. — არც ჩვენზეა დამოკიდებული. ზოგიერთი, მოგეხსენებათ, ვისაც

ვეულისხმობ, უკვე ნახევრად მკვდარია შიშისგან, როცა ჩვენთან მოპყავთ. ზოგიერთს კი — მწოლარეს დახედა. — თითქოს ცხრა სული უდგას, ერთი თასი არა ყოფნის.

კრიტიამაც იქით გადაიტანა მზერა, საითაც ჯალათი იყურებოდა, და კბილებში გამოცრა:

— სხვა რამ ხერხი არ იცი?

მესამსალე გაჩუმდა.

კრიტია გასასვლელისკენ გაემართა. მესამსალე მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს ამბავი მისთვის, და სწრაფად დაადევნა:

— გაგუდვაც ვიცი.

ერქვისში
ბიზნიუსი

საპყრობილის წინ — ბრბოა. იქავ საშინელი გრძელი ყუთებია, რომლებშიც ყოველთვის შიშის მომგვრელი დუმილია: ვინც აქ მოპყავთ, პირში ჩვარი აქვს ჩაჩრილი; ვინც აქედან მიპყავთ, იმას ჩვარი უკვე აღარ სჭირდება. სიკვდილის საშინელი ქარავანი გუშავთა რიგებს შორის გადის.

ხმები:

— დაგვეჩერებინა ალკიბიადესთვის და გავიმარჯვებდით ეგოს-პოტამოსთან!

— ალკიბიადე რომ ყოფილიყო ათენში — ამგვარ სასკლავს ვერავინ გამართავდა!

— ცრემლის ნაცვლად ღვინო იდენდა!

ალკიბიადე! იდუმალ უბუსავით გაისმის ეს სახელი მთელს ათენში.

მესამსალის შემწე მებარგულთაგან მორიგ მსხვერპლს იღებს.

მესამსალე ათვალეირებს — როგორც ყველა მანამდე მოყვანილს. ჩანს, მსჯავრდებული თავს იცავდა. ერთიანად გასისხლიანებულია. ჯალათი მაინც იცნობს და შესძახებს:

— ო, ყოვლისშემძლე ზევსო! ეს შენა ხარ, ბატონო?! თერამენე?

თერამენე პასუხს არ აძლევს. პირი ჩვრითა აქვს გამოტენილი.

მაგრამ მესამსალე ისევ თავისას განაგრძობს:

— საშინელეებაა! თქვენ უკვე ერთმანეთსაც აგზავნით ჰადესში! თუმცა რას ვამბობი რა არის აქ საშინელი?

შემწე ჯალათს ეჩურჩულება:

— შენ კი მითხარი, შენი ჯერია, შენ უნდა გაგუდოო, მაგრამ ამას მე ვერ გავგუდავ, შენ თვითონ...

მესამსალემ გაიცინა:

— დამშვიდდი, არც ერთი ჩვენგანი ამას ხელს არ ახლებს. ეს სამსალით უნდა მოკვდეს, ბევრი დროც რომ დასჭირდეს, მაინც...

დილ-დილაობით სოკრატე ილისოსის ნაპირებზედ დასეირნობდა, სადაც ყმაწვილკაცობაში კორინას და ანაქსაგორას ხვდებოდა ხოლმე.

უკან დაბრუნებისას ყოველთვის იტალიურ ფიჭვთა ჩრდილში ჩერდებოდა, იმ სახლის მახლობლად, სადაც კაცთა შორის უმარტოესად სახელმწიფო დიდი სახელმწიფო მოღვაწე კაცის არისტიდეს შვილიშვილი/თავისი ოჯახით ცხოვრობდა.

არისტიდეს შვილიშვილი სახლიდან მხოლოდ დილაობით გამოდიოდა — თავისი ნახელავის გასასყიდად. ასეთი სიძვირის უამს ძნელი იყო თავისი თავის, ცოლ-შვილისა და კიდევ დის — მირტოს რჩენა ოდენ მანულის კალათ-კალანჩხების წვნით.

მირტო ხმელა პურზედ იყო, დღენიადაც ძმისა და რძლის ლანძღვა-გინებას ისმენდა. დილაობით, როცა ძმისა და რძლის სფირიდი, ანუ დაწნული ჭურჭელი ბაზარში მიჰქონდათ, მირტო კითარას აიღებდა, გავიდოდა თავიანთ უმესრო ბაღში და მღეროდა — როგორც სხვათათვისაც ცნობილ, ისე თავის სიმღერებს, რომელთა სიტყვებსა და მელოდიას იქვე თხზავდა, იცოდა — ფიჭვებქვეშ სოკრატე იდგა, დღესაც ასე იყო.

მაგრამ დღეს სოკრატე ახლოს მივიდა და გამოელაპარაკა:

— შენ არისტიდეს შვილიშვილი ხარ?

— დიახ, სოკრატე, მირტო ვარ.

— ხშირად მესმის შენი სიმღერა.

— მე ყოველთვის შენთვის ვმღერი, როცა ფიჭვებქვეშ დგახარ.

— მსიამოვნებს შენი სიმღერა, შენი ყურება. — თავი ოდნავ აუწია. —

რა გატირებს?

ქალმა თავისი სავალალო ხვედრი გაანდო, სოკრატე ჩაფიქრდა. თუ სთხოვა, კრიტონი, ცხადია, უარს არ ეტყვის და მირტოს თავის მდიდარ ჭერქვეშ აცხოვრებს. მაგრამ სოკრატეს უმაღლესიანიობის ჭია გაუჩნდა — რატომ უნდა იყოს ეს მომხიბლავი ქმნილება კრიტონის ახლოს! თავისავე გრძნობამ გააკვირვა, განდევნა სცადა — არ გამოუვიდა. ხმაძალა გაიციანა.

— იქნებ გამაგებინო, სოკრატე, რა გაციინებს?

— ჩემს თავსაც და სხვათაც სულ იმას ჩავჩიჩინებ: შეიცან თავი შენი-მეთქი და საკუთარი თავი მაინც ვერ შემიცვნი. კიდევ მეტი, ჩემს სულში ისეთ კუთხე-კუნჭულთ ებოულობ, ძალსა ვფიცავ, სულაც მე რომ არ შეკუთვნის! — ქალიშვილს ოქროსფერ თმაზედ გადაუსვი ხელი. — ასეთი მზეთუნახავი და გაუთხოვარი?

— უმზითვო ვარ. უობოლოსო, ცოტა წუნიაცა ვარ...

— რამდენიმე დრამის გულისთვის ხარ დაჩაგრული! ნამდვილად უბედურებაა — ჩვენნი საერთო უბედურებაა...

— ძალიან მიჭირს, ძმის ოჯახში ყოველი ლუკმა ყელზედ მადგება. აღარ გადამდის, როცა ვფიქრობ, რომ იმ ლუკმას ბავშვთ ვაკლებ... ამასვე ვკითხულობ ძმისა და რძლის თვალებში...

— ვნახოთ, მირტო, იქნებ რამე ვიღონო შენთვის.

უკანასკნელ ხანს ქსანთიპე ავადმყოფობდა. ძალზედ გაეზარდა, რომ მირტო საოჯახო საქმეებში დაეხმარებოდა, ცოტა ხელს მოუნაცვლებდა. და ქსანთიპე თვითონ წავიდა მირტოსთან, თავის ჭერქვეშ თავშესაფარი შესთავაზა.

— ოღონდ იცოდე — გაჭირვებიდან გაჭირვებაში გადმოდიხარ: ღარიბნი ვართ.

— სამაგიეროდ კეთილი და თბილი ხალხი ხართ. ეს კი სიმდიდრეზე მეტია.

მირტო მარტო გაჭირვებიდან გაჭირვებაში კი არა, უშიშარი ადგილიდან იქ გადავიდა, სადაც საშიშროება ემუქრებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის აუზის კიდზედ იჯდა, ჭაბუკებითა და მოზრდილებით გარემოცული. ადამიანთ მუდამ სჭირდებათ ნათელი შეხედულება ცხოვრებაზედ და გარს ეხვევიან სოკრატეს, რომლის სიტყვებიც ნაწილობრივ მაინც ფანტავენ წყვდიადს ამ ძარცვა-რბევისა და მკვლევლობის დროებაში.

— ოცდაათის აკრძალვის მიუხედავად, შენ მაინც მოძღვრავ ახალგაზრდობას, არა? კანონს არღვევ, სოკრატე? — გაისმის მეგობართა წრეში შემოხხირული ანოფელესის ხმა.

— სულაც არა, ძვირფასო ანოფელეს, მე კანონს არ ვარღვევ. შენ ოღონდ კარგად წაიკითხე იმ კანონის ტექსტი, პრიტანეუმში რომ არის გამოკრული. იქ ის არის ჩაწერილი, რომ უფლება არა მაქვს და ახალგაზრდობას ვერ ვასწავლი რიტორიკის ხელოვნებას, მაგრამ ერთი სიტყვაც არ არის თქმული, რომ ვინმესთან საუბრის უფლება არა მქონდეს, და აი სწორედ ამით ვსარგებლობ. ვინმეს მე ხომ არცრას არ გასწავლით, მეგობარნო. აი, აქა ხართ ყველანი, ვისაც გესაუბრებით ხოლმე. მითხარით ერთი: რომელიმე თქვენგანისგან ამიღია რამე გასამრჯელო, როგორაც მასწავლებელს შეჰფერის? ერთი ობოლოსი თუნდაც? არა, ხედავ, ძვირფასო მეგობარო! პირი კი ჩემთვის კანონს არ ამოუკერია.

სიცილი, ტაში.

მოწაფეთ თავიანთი მოძღვარი მიჰყავთ პალესტრის შორეულ კუთხეში, იმ იმედით არიან, რომ იქ მაინც იქნებიან მარტონი. ეს სასიამოვნო ადგილია, ბეგქონდარას სუნი დგას და ნაკადული მორაქრაკებს, წყლიდან ამოშვერილ ქვებს ლოკავს. ნაკადულის თავზედ ნემსიყლაპიები დაჰქრიან.

— ოდესღაც მითქვამს, როგორი უნდა იყოს კარგი გამგებელი, — დაიწყო სოკრატემ, — მაშინ ჩემთან იყვნენ ალკიბიადე და კრიტია — მართალს ვამბობ, კრიტონ? მაგრამ ქსენოფონტი, აპოლოდორე, ანიტე და შენ, პლატონ, მაშინ ჯერეთ კიდევ არ იყავით ჩვენთან. დღეს თქვენც გეტყვით.

— შენ აქ გინდა მაგის ლაპარაკი? — ჰკითხა კრიტონმა და მიმოიხედა.

— აქაც და ყველგანაც, — მშვიდად მიუგო სოკრატემ.

და დაიწყო მოყოლა, თუმცა კარგად დაინახა, რომ ნაკადულში ანოფელესი ჩასხლტა: ალბათ იმასაც სურდა დამოძღვრა.

— მე ალკიბიადე და კრიტია მოვიხსენიე. დიახ, ორივეს იმაზედ ვესაუბრე, თუ რაოდენ დიდი პატივია სამშობლო ქვეყნის გამგებლობა. მართვა-გამგებლობის ხელოვნება ყველაზედ უფროისად რთულია ადამიანის ყველა საქმიანობას შორის. კაცი, რომელიც საზოგადოების სათავეში დგება, ბევრ რამეს უნდა იყოს დაუფლებული, განსჯის უნარი და გაბედულება არ უნდა

აკლდეს. და საჭიროა, რომ იმის გონებასა და გულში სიკეთისა და სილამაზის პარმონია სუფევდეს.

შეიძლება თუ არა მართვის ხელოვნების სწავლა? დარწმუნებული ვარ, რომ შეიძლება. დღეს. — თავად განსაჯეთ! ალბათ იტყვიან, მმართველი უპირველეს ყოვლისა სამართლიანი უნდა იყოსო. მერედა, იოჯაჲ ეს კამბევი? სიკეთე ცაში მონაეარდუ ფრინველი როდია. რაც ერთი ჭკმელსუფრესუქსეკეთეა, მეორესთვის ხშირად ბოროტებია. ზუსტად ასევეა სამართლიანობაც. იმასაც ყოველმხრივ აწონ-დაწონა უნდა მანამ, სანამ განვსაზღვრავდეთ — ვის მხარეზედ, ვის დამცველად უნდა დადგეს. რომ სამართლიანობად იწოდებოდეს.

პლატონი გაშტერებული, ყურგამახვილებული უსმენს სოკრატეს, რომელიც თავის მსჯელობაში სულ უფრო უახლოვდება ყველაზედ მეტად საშიშ საზღვართ. ყველა მიუხვდა სათქმელს. რაც ყველა მოქალაქისთვის სამართლიანია, კრიტიკისთვის სამართლიანი ვერ იქნება.

ანოფელესის კინკრიხო ნაპირის ხაზის მიღლა ჩანდა — მახეზლარა მდინარეში ქვაზედ იჯდა და ფიცხლად იწერდა ფირფიტაზედ სოკრატეს სიტყვის ნაწყვეტთ. ფრაზის მთლიანად ჩაწერას ვერ ასწრებდა, და ბოლომდე ვერც იგებდა.

სოკრატე, ჩვეულებისამებრ, მაგალითს სოფლის ცხოვრებიდან იშველიებს, რათა აზრი უფრო კარგად განმარტოს.

— ბევრი ათენელის პატივმოყვარეობა იმით არის გამოხატული, რომ ქალაქს სათავეში ჩაუდგეს და განაგოს ათასობით თანამემამულის ბედი. ახლა განდიდებას არ იტყვიან! იმას კაცი ყოველთვის მოახერხებს, უკეთუ სიტყვა „განდიდება“ მეტისმეტად ზოგადად გავიგეთ და თავს არ დავეკითხეთ — როგორ. მაშ, აბა რარიკ უნდა იმოქმედოს მმართველმა, მეუფროსებ, რომ განდიდებას შესაძლებლობა ერთი სიტყვით გამოიხატოს? აი ავიღოთ თუნდაც მწყემსი, რომელსაც ცხვრის დიდი ფარა აბარია. უკეთუ მწყემსი კი არ ამრავლებს, არამედ ამცირებს თავის ფარას, ცხვრისთვის განა ის უფრორე მგელი არ იქნება, ვინემ კეთილი მწყემსი?

მეგობრები სოკრატეს ახლოს მიუსხდნენ, თითქოს აეფარნენ, რომ ნათქვამი უცხოს არავის გაეგონა. თან ეთანხმებოდნენ, და იმათი გულები უფრო თავისუფლად ძგერდა.

— მეთანხმებით? — გაუღიმა სოკრატემ და მხიარულად განაგრძო: — მაგრამ მგელ მწყემსს მწყემსობა კიდევ ეთქმის? არა ხომ? მეც მაგ აზრისა ვარ. სწორად იწერ, ანოფელეს?

პლატონმა შეშინებულმა წაიჩურჩულა:

— ანოფელესმა გაიგონა?!

ყველა ნაკადულისკენ მიბრუნდა, სოკრატე კი განაგრძობდა:

— და ნათქვამს დაესძენ: თუ მმართველი აგრე იქცევა, განა ის კიდევ მმართველია?

მსმენელთ ზურგზედ სუსხმა გადაუარა!

— კალიროეს წმინდა წყალი ათენს ბუნებამ შესძღვნა, მაგრამ ადამიანის სისხლის ნაკადულნი ათენში ადამიანებმავე გააჩინეს.

ანოფელესი წელში მოხრილი გარბოდა წყალ-წყალ, სულ ქვიდას ქვაზედ ხტოდა.

ახალი ტანისამოსით თავის მოწონება ყოველთვის მოესწრებოდა, თქვა გუნებაში ანოფელესმა და დაძონძილი დარბის ქალაქში.

— ხალხნო! თავისუფლებაა! ვისაც რა უნდა, ისა ქნას! აღარა გვეყვანან მმართველნი და გამგებელნი!

— შეიშალე, მასხარაე? — უკვირთ კაცთ.

— აღარა გვეყვანან მმართველნი! აღარ არიან გამგებელნი! — ყვირის ანოფელესი.

— ჩვენს უბედურებას დასცინი! — მისძახიან დიაცნი.

— არაფერიც! სოკრატემ ბრძანა, ვინაც ქვეყანას ცუდად მართავს, ის არც მმართველიაო! აბა, რა გეგონათ!

— ენას კბილი დააჭირე, რეგვენო!

— განა ბრძენი სოკრატე მართალი არ არის? ვისაც კერვა არ შეუძლია, ის არც მკერავია, ვინც კერძს ვერ ამზადებს, ის არც მზარეულია! იქნებ თქვათ, არაო? — ანოფელესმა გადაიხარხარა, თან ყური დაცქვეტილი ჰქონდა, აბა ერთი რა შთაბეჭდილება მოვახდინეო.

მოახდინა კიდევ. ბრბოში ვილაც კაცმა ჩაიბურტყუნა:

— მართალს ამბობს. ეს ჩვენი საშინელი მმართველობა დიდხანს ვერ იბოგინებს...

— რა გაკლია, ძმობილო? — ჩააცვივდა ანოფელესი.

— რაც ჩვენა გვაქვს, იმაზედ არცა ღირს ლაპარაკი, რალა ქაშაყით საესე კასრი და რალა ათენი, ხალხის ტევა არ არის. კლებით კი რა გვაკლია? რა და, პური, ხორცი, ფული, მიწა, სამუშაო, ჭერი... — და წყნარად დაუმატა: — აგრეთვე დემოკრატია რაც ისევ ხალხად გვაქცევდა....

— ჩვენც რალაც რკინები გვაქვს ქურაში, — გამომხნევებლად წართქვა მეორე ათენელმა. — პირველი თრასიბულეა, რომელიც კუნძულ ფილებზედ აფარებს თავს; მეორე რკინა თებელი დემოკრატნი არიან, მაგრამ არის შესამეც, იმისგან უკვე დიდებული მახვილი გამოიჭედებოდა!

— ეგ შესამე ვინლაა? თქვი! — აცივდება ანოფელესი.

და გლახაკი იგი მიამიტურად ენდობა ვითომდა გლახაკს:

— ალკიბიადე.

ანოფელესი ექვს გამოთქვამს:

— აბა, იმან რა უნდა გვიშველოს? ვინ იცის, სად არის ახლა...

— მე ვიცი, სადაც არის, — დაიტრაბახა ხეიბარმა მეზღვაურმა. — თავის ტიმანდრასთან ერთად გაიქცა აზიაში, სპარსეთის მეფის სუფრაზედ ზის და ყოველდღე თხოვნა-თხოვნით თითო ტრიერს ართმევს, როგორც კი ორასამდე მოუყრის თავს, აქ გაჩნდება!

— ნეტამც! ნეტამც! — შესძახებს ანოფელესი და სახეგაბადრული ხალხში იმალება.

კრიტიკის მდიდრულ აგარაკზედ მონამ პატრონს მოახსენა: ანოფელესი მოვიდაო. რა უნდა იმ არაკაცს, რისთვის მოვიდა? მოწყალების მისაღებად? დასასმენად?

— შემოუშვი.

ანოფელესი კარში შემოდგრა და მონური მოკრძალებით დადგა შორი-
ახლო. კრიტიამ ცივი მზერით გაზომა:

— მოწყალება გინდა? მერედა, გეთქვა მეკარისტვის.

— კეთილშობილო, სვიანო ბატონო! არც არაფერი არ მინდა უბრალოდ
მოვედი, რომ თავი დაგიკრა — როგორც ძველმა ნაცნობმა, შენმა თაყვანის-
მცემელმა, შენი სახით ათენს, როგორც იქნა, მაგარი ლაქსში ამთულო. — მან
ხელები ასწია და ქადაგად დაცემული წინასწარმეტყველებისგან გა-
ხელებულმა: — ვხედავ, შენგან განწმენდილი ათენი ახალი დიდებით იმოსე-
ბა! ვხედავ, აკროპოლისზედ, ფიდიას ათენას გვერდით, შენი ძეგლი დგას...

— გეყოფა, სიკვდილს არ ვაპირებ, რომ ძეგლები დამიდგან.

— ღმერთებო, დამიფარეთ, მე პატივისცემამ მომიყვანა...

— გეყოფა მლიქვნელობა, რას ითხოვ მაგისტვის?

— ღმერთებო, დამიფარეთ! მე სათხოვნელად არ მოვსულვარ. რალაც
კიდევ უფრო ძვირფასი მოგიტანე, ვიდრე რისი ყიდვაც ვერცხლით შეიძლება.

— ვის აბეზლებ?

— ღმერთო, დამიფარეთ! მაბეზლობა კირივით მეზარება, მაგრამ გან-
მე, პატიოსან მოქალაქეს, გულხელდაკრეფილი ჯდომა შემიძლია, როცა... ენაც
კი არ მემორჩილება! რა საშინელ რამეებს ლაპარაკობენ შენზედ, თითქოს
ცუდად მართავდე ქვეყანას და, მაშასადამე, არცა მმართველი და გამგებელი
ხარ.

— მერედა, მაგის სათქმელად მოსვლა გამიბედე? გაეთრიე აქედან! —
დაუღრიალა კრიტიამ.

— ნუ ჩქარობ, კათილშობილო ბატონო. საქმე სერიოზულია. თანაც სა-
შიში. ხალხი უკვე იმეორებს... უკვე კედლებზეც გაჩნდა შენი მოსაყვივებელი
წარწერები: „განა ის მწყემსია, ვინც ნახირს აცოტავებს? განა მმართველია
კრიტია, რომელიც თანამემამულეთ მუსრავს? კრიტიას არ შეუძლია სახელ-
მწიფოს მართვა — ალკიბიადეს შეუძლია! დაე, დაბრუნდეს!“

— შენა გგონია, მე არ ვიცი, რამდენი მტერიცა მყავს? ეგ მწყემსთან
შედარება რომელმა სულელმა მოიგონა?

ანოფელესი ეშმაკურად გაჩუმდა.

კრიტიამ კიდობანაკიდან ქისა ამოიღო, მაგიდაზედ დააგდო. ვერცხლმა
გაიწყრიალა.

ერთ წუთში შეიღჯერ ეცვალა ფერი ანოფელესს.

— სულელმაო, ამბობ? არა, ბატონო, არა, თვითონ დელფოს ორაკულ-
მა გამოაცხადა ის კაცი ბრძენთა შორის უბრძნესად.

— რა?! მაშ, ეგ ჩემმა...

კრიტია ჭარხლისფერი გახდა. მაშ ისიც არ იკმარა, ღორი რომ მიწოდა,
არა? მაშ, მმართველი არა ვარ, ხომ? ალკიბიადეს დასაბრუნებლად ამზადებს
ნიადაგს? თავისი საყვარელი მოწაფე მოენატრა?

— ყბედი ბაიყუში, — ავლებულად შესძახა კრიტიამ და სიტყვაც აღარ
დაუმატებია, ისე მიუგდო ქისა ანოფელესს.

მძიმედ შეიარაღებული სკვითი ცხენიდან გადმოხტა და მოკლე მახვილი
სამჯერ გამეტებულად მიართყა კუტიკარს. სოკრატე საუზმობდა, მირტო ყვა-
ვილებს რწყავდა.

კაცუნი რომ გაიგონა, სოკრატემ გასძახა:

— რომელი ბრიყვი მოიწევ ძალით?

სკვითი შემოვიდა:

— ჩემი თანხლებით დაუყოვნებლივ წამოსვლა გმართებს ბულვეტერი-
ონში ოცდაათიდან პირველთან, კრიტიასთან.

— ჰო-ჰო!— გაიცინა სოკრატემ, — შენისთანა ყოჩალი მანჭმღოწმანი მე-
ომრის თანხლებით! რა პატივია! — გულდამშვიდებით განაგრძო თაფლხმია-
დის ჭამა, თან თხის რძეს აყოლებდა. — ერთი ესეც მითხარი, ძმობილო, იქ
მარტო ერთი იმისი უგანათლებულესი თავი მელოდება, თუ კიდევ მრავლად
იქნებიან მისთანანი?

— ქარმიდესთან ერთად გელოდება.

— ჩინებულია, შვილო, ორივე ჩემი მოწაფეა, და ოდეს იმათივე ბრძა-
ნებით გამოვეცხადები, ღირსეულ საზოგადოებაში აღმოჩნდებიან.

— არ წახვიდე! — შესძახა ქსანთიბემ.

— შენს ნათქვამში, ქსანთიბე, არის რაღაც...

— პირველის ბრძანება გაუწყებს... — ის იყო წამოიწყო სკვითმა, მაგ-
რამ სოკრატემ, თითქოს ის იქ არც იყო, განაგრძო:

— შენ მართალი ხარ, ქსანთიბე, ფეხით წასვლა არ შეკადრება: კრიტიას
ჩემთვის ტახტრევანდის გამოგზავნა მართებდა. მაგრამ ის ყოველთვის ცოტა
უზრდელო იყო. ვაპატიებ და წავალ.

— მთელი ათენი დაინახავს... — გული ამოუჯდა ქსანთიბეს.

— დაინახავს ჩემს დიდებას — დაასრულა სოკრატემ.

კრიტიამ ის კედლის ღიობში დაინახა. ჩუმად შეიგინა. მეტისმეტად გვიან
ისაზრა, რომ შეცდომა დაუშვა. სკვითს ადევნებულ სოკრატეს მთელი ბრბო
მოსდევდა — კაცები, ქალები, ახალგაზრდობა... მოდიოდა ბრბო და იმუქრე-
ბოდა, დრტვინავდა.

კრიტია ამალლებულ ადგილზედ სავარძელში იჯდა, სოკრატეს უფრო
დაბალ ადგილზედ მიუთითა, თავის მოპირდაპირე მხარეს.

სოკრატეს ლოდინი არ დაუწყია, ხმას როდის გამცემენო, მზერით გაზომა
სავარძლებს შორის სიმაღლეში განსხვავება.

— ო, მაღლადასმულო კრიტია, აი მოველ შენის მოწვევით ამ მყუდრო
შენობაში. რა არის შენთან ახალი?

კრიტიამ პაპირუსის ფურცელი გაუწოდა. ზედ ჩამოწერილი იყო კანონი,
რომელიც სოკრატეს უკრძალავდა რიტორიკის სწავლებას გიმნასიებში, პორ-
ტიკთან და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში.

— შენთვის ეს ცნობილია?

— როგორ არა! ეგვევა გამოკრული ქვემოთაც, რათა ყოველთ წაიკით-
ხონ. და ორივე ტექსტში ერთნაირი გრამატიკული შეცდომაა. აი აქ, ხედავ?
აქ ომიკრონი უნდა ეწეროს და არა ომეგა.

კრიტიამ გახარებულმა ასწია წარბი:

— ნუ მაცდენ! მაგის დრო არა მაქვს. მაშ კანონს იცნობ, არა?

— კი, ოღონდ არ მესმის, მე რა შუაში ვარ?

კრიტიამ ბრაზიანი მზერა ესროლა.

— თავს ნუ ისულელებ, დიდო ფილოსოფოსო!

— აბა, შენ თუ თავს იდესპოტებ, დიდო მსახურო...

— რა? ვინ არის მსახური — მე? — იწყინასავით კრიტიამ. მაგრამ საჩო-

თირო ადგილს უმაღლესი თავი მოაჩინა, და მკვახედ განაგრძო: — ჩვენთვის ცნობილია, რომ შენ კავშირი გაქვს ახალგაზრდობასთან და რიტორიკის ხელოვნებას ასწავლი!

სოკრატე ადგა და თითქოს თავისდაუნებურად მივიდა კედლის ღირბთან, რათა ქუჩაში თავმოყრილ ხალხსაც გაეგონა იმისი ნათქვამი.

— აღტაცებული ვარ შენი ყოვლისმცოდნეობით. პირდაპირ შენც ვიფიქრებ, ჩემი შევირდი რომ იყავ, ყოვლისმცოდნეობით არ გამოირჩეოდი. ჩანს, იდუმალ რამ წყაროს დასწაფებიხარ; ამალღებულ ადგილებზედ ბევრი რამ არის იდუმალი. თლიმბიც ხომ ღრუბლებშია გახვეული, რათა თვითონ ჰელიოსმაც ვერ დაინახოს, რაც იქა ხდება, მაგრამ საქმეს დავუბრუნდეთ, არა მცალიაო, თქვი, და, ვგონებ, მართლაც ცოტა დრო გაქვს...

— რასა გულისხმობ?

— როგორც გინდა, ისე გაიგე, სწავლებას რაც შეეხება, გეშლება.

— არა, ვიცით — ასწავლი, თავად ვიცნობ შენს ტექნე მანეჯტიკას და იმასაც, თუ რაოდენი მზაკვრობა იმალება იმის უკან.

— კი, მშვენიერი ფილოსოფიაა, რომელიც ადამიანს აზრის გაჩენაში ეხმარება. მაგრამ, რაოდენადაც ვიცი, აქ ის აზრი არ მოგწონთ, რომ ათენელთა აზრები უჩნდებოდეთ...

გარედან ხარხარის ტალღა შემოიჭრა.

— აქეთ დაჯექი — მბრძანებლურად შეუძახა კრიტიამ, დაბალ სავარძელზედ ანიშნა და მძიმე ფარდა ჩამოაფარა ლიობს, შემდეგ სოკრატეს ცხვირწინ გაშალა ხელისგული და მუშტად შეკრა. — რაკი შენ აგრე რიგად გიყვარს ხალხში აზრების გაჩენა, გეტყვი, რა აზრიცა შეი ჩემში, მმართველში, გამიგე, ბებიაქალო?! მე ახალ კანონსა ვცემ: სოკრატეს საერთოდ ეკრძალება ლაპარაკი ახალგაზრდობასთან!

— აი აკრძალვაც ამასა ჰქვია... ნეტავი გამოცემულა სადმე ოდესმე მსგავსი რამ?!
— უკეთუ თავს არ მოიდრეკ, ფრთხილად იყავ, სოკრატე, ჯერჯერობით კიდევ გინდობ! — მძიმე ფარდაშიც კი ატანდა ხალხის დრტვინვა. — იმიტომ გინდობ, რომ ჩემი მასწავლებელი იყავი, მაგრამ თუ არ დამემორჩილები, ჯალათი გელოდება...

მოედანზედ მოუთმენლად აყვირდა ხალხი:
— სოკრატე! რა მოუფიდა სოკრატეს? ახლავ გამოუშვით სოკრატე! კრიტიას მკვდრისფერი დაედო.
ეს რომ შენიშნა, სოკრატემ დამამშვიდებელი კილოთი უთხრა:

— ნუ გეშინია, ჩემო ძვირფასო, მე დაგეხმარები.

ადგა, ჩვეული იხვისებრი ბაჯბაჯით მივიდა კედელთან, ფარდა გადასწია, ხალხი საზეიმო შეძახილებით შეხვდა. სოკრატემ ხელი ასწია, სიჩუმე ითხოვა.

— აქა ვარ, ჩემო კეთილო მეგობარნო! თავს ძალიანაც კარგად ვგრძნობ, მაღლადასმულმა სტუმარივით მიმიღო და ეს-ეს არის სახელმწიფოებრივ პატივსაც დამპირდა...

— შეწყვიტე! — შეუყვირა კრიტიამ.

სოკრატე ლიობს მოშორდა და ჰკითხა:

— რომელ ასაკამდე უკრძალავ ახალგაზრდობას ჩემთან საუბარს?
— ოცდაათ წლამდე.

— ლედას გედის კისერსა ვფიცავ, ციფრი ოცდაათი დია გულზედ გა-

ხატია. თუმცა ახლა უკვე ოცდაცხრაც მოგწონს. კიდევ ბევრია. ათიოდეს მოცელვაც ხომ არ შეიძლებოდა?

— ყელამდე ვარ შენი ხუმარსიტყვით! — შეჰყეფა ტირანმა.

მაგრამ სოკრატე გამოკითხვას განაგრძობდა:

— როგორ მოვექცე ბაზარში ზეთისხილის გამყიდველს, ~~დაეყოფა~~ დაეყოფა ათზედ ნაკლებისა იქნება? რა ვიცი, კაცნი ვართ, იქნებ ფულად არც მყიდეს, და ერთბაშად ვერც გადავუხადო, ხომ იცი, ყოველდღე სულ უფრო ცეცხლი ეკიდება ბაზარს, — მე კი იმასთან დალაპარაკების უფლება არა მაქვს და ვერ ვეტყვი, დანარჩენს ხვალ მოგიტან-მეთქი. ადგება ისიც და, რომ წამოვალ, სკვითს დამადევნებს, არიქა, ქურდიო... შენ, რა თქმა უნდა, დამეთანხმები, რომ სოკრატეს ეს არ ეკადრება...

— სისულელეებს იგონებ!

— არამც და არამც, აბა ერთი შედი დღეს ბაზარში უფულოდ! ერთ მუჟა ცერცვს არ მოგცემენ ნისიად. ანდა, ვთქვათ, გზად შემხვდა ჭაბუკი ვინმე და მკითხა: მითხარ, მოქალაქევ, როგორ ვიპოვნო სახელგანთქმული კრიტიკაო? არც იმას არ უნდა ვუპასუხო?

კრიტიკა უცებ მიხვდა, რომ სოკრატე სულაც ისე არ ელაპარაკებოდა, როგორც მმართველს, და ამაში ანოფელესის ბეზღების სიმართლე დაინახა. წამოდგა და სოკრატეს კარზედ მიუთითა.

ბულევეტერიონიდან რომ გამოვიდა, სოკრატეს თავისი მოწაფენი შემოეხვივნენ. კითხვას კითხვაზედ აყრიდნენ — როგორ არის საქმეო?

— კრიტიკამ ახალი აკრძალვით მცა პატივი. ამიერიდან საერთოდ არა მაქვს ოცდაათ წლამდე ასაკის ახალგაზრდებთან დალაპარაკების უფლება.

— ეგ იმიტომ, ერთხელ ღორს რომ შეადარე, ევთიდიმეს რომ ეხახუნებოდა, — წართქვა კრიტონმა.

— უფრო იმიტომ, რომ ათენში აზრი გაავრცელე: ის მმართველი არ არის, ვინაც უხეირო მწყემსს ემსგავსება და თავის სამწყსოს ამცირებსო, — მიუგო ქსენოფონტმა.

— ეს შიშია, — წარმოთქვა პლატონმა. — შიში, სოკრატე რომ უნერგავს კრიტიკას.

— ჩვენ კი გვინდოდა, რომ მოგეყოლა... — საწყალობლად წართქვა აპოლოდორემ.

სოკრატემ ჩაიჭირჭილა:

— ვინაც ოცდაათ წელს გადასცილდით, მხოლოდ იმათ დაგელაპარაკებით — მაგალითად, კრიტონსა და სიმონს. უმცროსებთან საუბარს კანონი მიკრძალავს. დაიცათ! ნუ შფოთავთ, ნუ იქოჩრებით, ყურადღებით იყავით: თქვენ, ახალგაზრდებს, კანონი მოსმენას არ გიკრძალავთ, ოდეს უფროსთ გავუბამ საუბარს. ამაზედ, ცერბერის ტყავსა ვფიცავ, კანონში სიტყვაც არ არის თქმული!

სოკრატეს ეხვევიან, მხიარული ჟრიაბულით მიჰყავთ.



სოკრატემ ბულევტერიონი რომ შიატოვა, ერთ-ერთი კრესანდელი გა-
დაიწია, და დარბაზში ქარმიდე შემოვიდა.

— კარგად გაიგონე ყველაფერი, ქარმიდე?

— თითოეული სიტყვა, განსაკუთრებით — იმისი. მაგრამ დაუწყებუ-
ლი ვარ, ის არც ახლა დაგვემორჩილება, შენ ამბობ, უნდა დავაშინოთო. მე-
რე, განა იმ უჭიათმა იცის, რა არის შიში? ის აქეთა გვეგვის შიშს!

— ხან ვფიქრობ, წამქეზებლობისთვის ხომ არ მივცეთ-მეთქი სასამართლო-
ში: ერთი მოწმე მყავს, სხვათაგ იოლად გამოვნახავთ, შერმე ერთი ფიალა მა-
თოთი, და მაგისი ჯანი.

— არ გამოვა, ძვირფასო კრიტია.

— შენ მართალი ხარ — ეგ მკვდარიც გვაენებს. და უფრო მეტსაც. —
ვიდრე ცოცხალი, ათენელთ ჩვენ ვძულვართ, ეგ უყვართ. და მაინც უფრო
დამშვიდებული ვიქნებოდე, ეგ რომ ჩამოგვეცილებინა.

— გაჩუმდი — ის არა მართო შენი, არამედ ჩემი მასწავლებელიც იყო,
— უთხრა ქარმიდემ და კრიტიას მიმართ ზიზღმა შეაძრწოლა.

— არა, ჯერჯერობით დავაცადოთ. ახლა ალკიბიადე უფრო საშიშია. ხა-
ლხი უკვე ხმამაღლა გაჰყვირის, მოუხმობს, ხოლო თუ იმან სპარსეთის მეფე
აგვიმხედრა, საქმე გვექნება იმასთანაც და ათენის დემოსთანაც. ვიდრე ალკი-
ბიადე ცოცხალია, საკუთარ სახლში უშიშრად ვერ ვიქნებით.

— რა ჩაიფიქრე? — ქარმიდეს ხმა ბოროტად, გაღიზიანებულად ეღერ-
და. — ათენმა ისიც გულით შეიყვარა, ჩემი და შენი ნათესავი.

— ამ სამუშაოს სპარტელთ მივანდობ. ლისანდრესთან მივალ. სოკრატეს კი
მეთვალყურეს დავუნიშნავ.

— ჰქმენ, როგორც გენებოს, მე ხელები დამიბანია. მაგრამ ფრთხილად:
რასაც თერამენე გასაყვედურობდა, ახლა იმისი სიკვდილის შემდეგ დარჩე-
ნილი ოცდარვაც უკვე იმას გასაყვედურებს. ყველაფერი კარგად აწონე. უკე-
თუ ალკიბიადესა და სოკრატეს გაუწწორდები, ვაითუ ჩვენს რიგებში ჩამო-
ვარდნილმა განხეთქილებამ დაგვლტობს!

კრიტიამ თვალები დაუბრიალა:

— გმადლობ, რომ გამაფრთხილე, — ვხედავ, მაინც მოგვიხდება სოკ-
რატეს დასჯა! ფარას რომ ვამცირებთ — ეს მხოლოდ ნაწილია სიმართლისა,
ხოლო მთელი სიმართლე ის არის, რომ ქეციან ცხვართ ვიშორებთ თავიდან.
და თუკი ქეცი სწრაფად ვრცელდება, ჩვენც უფრო სწრაფად უნდა ვიმოქმე-
დოთ.

8.

და ამჟამინდელ მდგომარეობაშიც კი რჩებოდა სესტი იმედი, რომ
ათენელთა საქმე საბოლოოდ არ იყო დაღუპული, ვიდრე ალკიბი-
დეს სული ედგა. რამეთუ როგორაც უწინ, დევნილებაში, არ უყ-
ვარდა ალკიბიადეს უმოქმედო და წყნარი ცხოვრება, ასევე ახლაც,
თუკი საკმარისი სახსარი ექნება, ვერ შეეგუება ლაკედემონელთა
ცუდმედობასა და ოცდაათთა აღვირახსნილობას. ხალხის ეს ოც-
ნება არ იყო დაუქრებელი.

ალუბარმა

ეს აზრი დღითი დღე უფრო და უფრო აშინებდა ტირანთ. კრიტია ლისან-
დრეს ეწვია, ჩემი მოსვლა მოახსენეთო, ბრძანა; ხეპრე ლისანდრე არც კი ამ-

დგარა, ისე მიიღო პოეტი, სოფისტი, მთავრობის მეთაური, დაჯდომაც კი არ შესთავაზა!

— სპარტელნი გულდამშვიდებით ვერ განაგებენ ათენს, ვიდრე მოცხი-
ლია ალკიბიადე, — ასე დაასრულა კრიტიკამ.

ლისანდრემ კრიტიკა თავის დაქნევით გაისტუმრა და მაშვერდნი მალემსრბოლი პროპონტიდის დასკილეიონში, სატრაპ ფარნაბაზემ დასაჯა საჭირო საქმენი მოეგვარებინა.

იმდღევანდელ დღეს უცნაური ფერები, ხმები და სუნნი ახლდა ქარი თრაკიის მთებიდან უბერავდა, სადაც საბაზიოსი ჰგაეხს, როგორც აქ დიონისეს უხმობდნენ. ცივი, შმაგი ქარი ძვალ-რბილში იტანდა, სულს უფთრიაქებდა და უბრუებდა ყოველთ, გაბმული, გულგამგმირავი ხმით კიოდა.

დღე ნისლისფრად იყო შეღებილი, რომელმაც ნისლმაც ზედ მიწაზედ იცის გაწოლა, ყოველი ნაპრალიდან მოცოცავს ვერაგულად და გაუქლენთავს არც-რას არ უშვებს.

ალკიბიადემ ავი სიზმარი ნახა, იძილისშორისა, ვითომ სატრფოს სამოსი ეცვა და ტიმანდრამ სახე შეუღამაზა, თითქო ქალი ყოფილიყო.

ალკიბიადე მოლუშული იყო; მოუსვენრად ვიდოდა ოთახში, გუშინ ფარნაბაზესთან ისადილა, მაგრამ რამდენჯერაც გადაუკრა, დროთა, რომ სპარსეთის ჯარს წარვუძღვე და გავათავისუფლო ათენი როგორც სპარტელთაგან, ისე ოცდაათთა ხელისუფალთაგანო, იმდენჯერ მოიყრუა მან, ფარნაბაზემ, სასმენელნი.

— ხომ უნდა მიხმოს ფარნაბაზემ და ჩამაბაროს სპარსთა ჯარი? რატომ აყოვნებს? ჩემ გარდა სხვა ვინ იხსნის ათენს?

უკვე მრავალი დღე ტიმანდრა შეშფოთებით ადევნებდა თვალს ალკიბიადეს მოუთმენლობას. არც იმას მოსწონდა სატრაპის სიზანტე, და ახლა, როცა საყვარელი ადამიანის ხმაში სასოწრკვეთილებას გრძნობდა, ქალი მთლად კანკალს აეტანა. როგორ იტანჯება! რით დავეხმარო? როგორ დავამშვიდო?

— რას მოასწავებს ჩემი სიზმარი, ტიმანდრა?

სუსხმა დაურბინა ქალს ტანში, თავით ფეხთამდე, ჭიაფრით შეღებილ ფეხის ფრჩხილებამდე. ტიმანდრა ცრუმორწმუნე იყო და ეშინოდა ცუდი სიზმრებისა. ნაზად უპასუხა:

— იმას მოასწავებს, რომ შენ ჩემში ხარ, ხოლო მე შენში ვარ. მე და შენ ერთი ვართ, გესმის?

ხელები მოჭხვია, მიიზიდა კერძის წინ დაგებულ ტყავებზედ, მოეფერა და უთხრა:

— როგორ მიყვარხარ, ალკიბიადე! როგორ მიზნდა, რომ შენც ასეთივე სიყვარულით გიყვარდე...

მისი გიშრის თვალები, სხვა დროს მუდამ მომაჯადოებელნი, დღეს ამაოდ კრთოდნენ.

— სატრაპი ფარნაბაზე ცბიერი ბარბაროსია, — თქვა ალკიბიადემ, — ხოლო სპარსეთის მეფე იმაზედ იმოდენად უფრო ცბიერია, რამდენადაც უფრო ძლიერი და ყოვლისშემძლეა — და უეცრად შესძახა: — კიდევ დიდხანს აპირებთ ჩემთან კუკუმალულობანას?! მომისმენთ თუ არა ბოლოს და ბოლოს? გამიგონებთ?!

ტიმანდრამ იმისი ხელისგული მკერდზედ მიიკრა. შესაბრალისად ჩაილაპარაკა:

— დღეს ხელსაც კი არ გადამისვამ შენს პატარა ტიმანდრას? აღარ გიყვარვარ, ძვირფასო?..

— რით ავხსნა სპარსეთის მეფის ყოყმანი? ეგება ისევე სპარსეთელი შეუყვარდნენ ჩვენზედ მეტად?

ტიმანდრა ცახცახმა აიტანა. რატომ ტანჯავს აგრე რიგად ეს ამბავი ალკიბიადეს? რად ეცოტავება ასე ჩვენი მცირე რამ ბედნიერება?

— მე მცირეა, როცა არ მეაღერსები, — უთხრა ქალმა ჩურჩულით. — მერე რა კარგი სიზმარი ვნახე: — მე შენში ვიყავ. შენ — ჩემში...

— გესმის ის ხმა? — შეაწყვეტინა ალკიბიადემ.

— რა ხმა, ძვირფასო?

— გაბმული, გულგამგმირავი...

ტიმანდრამ ყური მიუგდო.

— არაფერი არ მესმის. ჩანს, ყურები გიწივის, მტანჯველი მოლოდინის გამო.

წამოდგა. ტყავებზედ გადაირბინა, კითარა ჩამოიღო. სიმები შეარხია.

— აწ ველარ გაიგონებ!

ამღერდა.

ურიგო რამ წამერთ ხდება, თუმცა ნელა გვიახლოვდება, გაიფიქრა ალკიბიადემ. მაგრამ რა ურიგო რამ, რა მიზეზით?

რა უნდა იყოს ჩემთვის იმაზედ უარესი, ვიდრე სპარსეთის სატრაპის ალაყაფის კარებთან დგომა! თანაც გლახაკივით ვდგავარ. არა, ათენში უნდა დავბრუნდე, უნდა დავბრუნდე! თანაც — დიდებამოსილი! აი უკვე მესმის ხალხის ზარზეიმის ხმა, ვხედავ მოგიზგიზე ჟინქლილთ...

ტიმანდრას კითარა ჟღერდა — ყრუ, თალხი აკორდები იღვრებოდა; ქალს ხმა უთრთოდა შიშისგან, ამოდ ლამობდა იგი სიყვარულის ვნებიანი წყურვილით თავის ხმის შეფერადებას. იგრძნო, რომ უნდა ატირებულყო, და გაჩუმდა. კითარა გადადო, მივარდა ალკიბიადეს, კოცნიდა, ეფერებოდა...

— გიყვარდე! გიყვარდე! თუ არა შენი სიყვარული, დავიღუბები!

კაციც კოცნით, ხვევნით უბასუხებდა.

— მე კი მიყვარხარ, მაგრამ, ვიცი, მალე მომიბეზრებ უბადრუკ მათხოვარს. ახლოს არ მიშვებს, თორემ მივიდოდი, მუხლებზედ დავეცემოდი სპარსთა მეფის წინაშე, ცრემლით მოვულობოდი გულს!

— შეხე, ალკიბიადე. — ტიმანდრამ მალაღზედ გამოჭრილი ფანჯარა დაანახვა, მძიმე კოზიმიტით დაფარული. — ასეთი სისხლიანი დაისი ჭერეთ არ მინახავს.

— აქ ჩრდილოეთში, უფრო დიდმშვენიერი დაისი იცის, ვიდრე ათენში...

მაგრამ კოზიმიტზედ აღისფერი ანარეკლი შეიარხა.

ალკიბიადე ზე წამოიჭრა.

— ო, ღმერთო! — შეჰყვირა შეძრწუნებულმა. — ნახე! აღმოსავლეთის მხარესაც დაფიონია! ეს დაისი არ არის, ტიმანდრა, სახლი იწვის!

ძელური სახლი, ოთხივ მხრიდან ცეცხლმოდებული, აღში გახვეულიყო.

ალკიბიადემ ტიმანდრა ბავშვივით აიტაცა, სახლიდან გამოიყვანა. ერთი

ნახტომით შემობრუნდა, მარცხენა მკლავზედ მოსასხამი დაიგრაგნა, მარჯვენა მახვილს დასტაცა — მტერს ელოდა და არა ჩასაფრებულ მკვლელთ.

ცეცხლ-ცეცხლ გამოიჭრა მტრის შესახვედრად. ხანძრით გაბრძნობილ-ბულს ხელში ლაპლაბა მახვილი ეჭირა და გაშმაგებული, შიშისმომგვრელი დემონივით იღგა. დაჭირავებულ მკვლელთ, ცეცხლწაკიდებულ სიბლესკენ რომ უნდა გამოიჭრილიყვნენ, ტყისკენ დაიხიეს. ალკიბიადეს სახელი — შიშისკენ გვერ-და. პირადად თვითონ ელდასაც ზედ უმატებდა.

აღმოდებული სახლის წინ ალკიბიადე ისე ჩანდა, თითქოს ცეცხლში ღვა-სო, ხანჯამისად კვამლის ღრუბლები ფარავდნენ.

— აქეთ, ჩემთან, უკეთურნო! მოდი, ვისაც ძალა შეგწევთ! თავი არც ერთს არ შეგრჩებათ!

შორიდან ისმოდა ტიმანდრას სასოწარკვეთილი ძახილი:

— ალკიბიადე!

ცეცხლის ტკაცატკუცისა და დაქცეულ ძელ-კოჭთა გრუხუნში გაისმა ალკიბიადეს ღრიალი:

— ნუ გეშინია, ტიმანდრა! ჩემი მომრევი ჯერეთ არ დაბადებულა!

მხდალ ჩრდილთ ტყისპირიდან შუბები დაუშინეს, ისართა წვიმაც იქიდან წამოვიდა, ალკიბიადე უსულოდ დაეცა.

ქარი წიოდა, აღს აღვივებდა, მაგრამ ფარნაბაზეს დაჭირავებულთა ჩრდილ-ნი წყვდიადში ჩაიკარგნენ, ღამემ შთანთქა ისინი.

ტიმანდრამ საყვარელი ადამიანის უსულო გვამი რომ მოიძია, სახლი უკ-ვე ფერფლად იყო ნაქცევი.

მწარედ აქვითინდა ქალი. და ასე იჯდა სატრფოს გვამთან გათენებამდე. დილით მან ალკიბიადეს ნელსურნელოვანი ზეთები წააცხო, თავის თეთრ სამოსში გაახვია, თავი მწვანე ფოთლების გვირგვინით შეუმკო.

როცა ალკიბიადეს მარხავდნენ, პატარა სამგლოვიარო ასაბიის წინ მისი შუბი მიჰქონდათ — ნიშნად იმისა, რომ ვინც იმან დატოვა დედამიწაზედ, მის მკვლელებზედ შურს იძიებდნენ.

9

ბეი, დღეს სუყოველნი კაცნი დათვერით, ქალითაც კი სვითი კრი-ტია მოკვდა!

წარწერა ათენის კედლებზედ.

მრავალი ათენელი დემოკრატი განერიდა ტირანთ, დროზედ დატოვეს ათენი და მთელი ატიკა, თავი შეაფარეს თებეს და სანაპირო სიმაგრეს — ფი-ლეს.

და აი მრავალი თვის სისხლიანი მშართველობის შემდეგ კრიტია ათას-გვამიან მალალ კვარცხლბეკზედ იღგა, ტირანნი კი ერთმანეთში ვერ მოლა-პარაკებულყვნენ, უკვე აღარ იცოდნენ, რა ექნათ — მეტი დაეხოცათ თუ ნაკლები, ვინ და რატომ, ვისთვის რა წაერთმიათ და ვისთვის მიეცათ; როცა ერთნი ათენელნი დახოცილთა მდიდრულ ჭერქვეშ სახლობდნენ, ტირანთ ადი-დებდნენ, მეორენი კი სანაგვეებზედ იდებდნენ ბინას და სამართალს ითხოვდ-ნენ. — ძველი მეომარი და ნავკოსალარი თრასიბულე, სახალხო ხელისუფლე-ბის ერთგული შვილი, თავჩენილი და პატივდებული კაცი, დემოკრატთ სათა-

ვეში ჩაუდგა, პირეოსსა და მუნიქიას მიადგა, შემუსრა ოლიგარქნი და გაუ-
მაძღარ მკვლელთაგან იხსნა სახელმწიფო.

კრიტია ფიცხელ ბრძოლაში დაეცა, წინიდან და ზურგიდან მეყენებული
მრავალი ჭრილობისგან განგმირული.

აგორასკენ დიდი ასაბია მიემართება, სათავეში უდგანან თრასიბულე და
ანიტე. ხალხში ცეკვა-ცეკვით მიაბიჯებს ერთი უცნაური კაცი, თავზედ გვირ-
გვინი ადგას, რომლის ირგვლივ ნაირ-ნაირი ბაფთები უფრიალებს. აღტაცებუ-
ლი მალლა იწვდის ხელებს და გაიძახის:

— გაუმარჯოს დემოკრატიას! გაუმარჯოს თრასიბულეს, განმათავისუფ-
ლებელს!

ეს ანოფელესია. მოქალაქენი მხიარულად მიესალმებიან ტაკიმასხარას.
ქალაქის განუყრელ საკუთრებას.

ასეთივე ენთუზიაზმით, როგორაც თრასიბულეს, მიესალმება ხალხი სოკ-
რატესა და იმის მოწაფეთ. სოკრატე, ჩვეულებისამებრ, ფეხშიშველად, ტანთ
ისევ ის თავისი — ერთადერთი — ჰიმატიონი აცვია, მაგრამ სახე სიხარულით
უბრწყინავს.

გოგონამ მიიბრინა, ვარდებით შეამკო. ვილაცამ დოქი გაუწოდა:

— დალიე, სოკრატე! დღეს შეუზავებელია!

სოკრატემ მოსინჯა და შესძახა:

— ბედნიერ ცხოვრებას გაუმარჯოს!

ორატორთათვის განკუთვნილ ამალღებულზედ, სადაც ახლახან პავსანია,
ლისანდრე და კრიტია გამოდიოდნენ, სახით მოედნისკენ, რომელიც ხალხით
ისეა გაჭედილი, რომ ზეთისხილიც ვერ ჩავარდება, დღეს თრასიბულე, დემა-
გოგი, ანიტე და რიტორი ლიკონი დადგომილან.

ანოფელესი თავისი ჭრელი ბაბთების ფრიალ-ფრიალით გაძვრა სოკრა-
ტესთან:

— შენ რატომ არა ხარ ორატორებში ესდენ საზეიმო დღეს?

სოკრატე თითის წვერებით წასწვდა ერთ-ერთ ბაფთაში და უთხრა:

— აბა რაში მჭირდება?

ანოფელესი ხმამაღლა, მალაღფარდოვნად.

— შენ ხომ სისხლიან დესპოტთა წინაშე ყველას უშიშრობის მაგალითს
ამღევდი, იმათგან ყველაზედ უარეს კრიტიკასაც არ ურიდებოდი! ეს მთელმა
ათენმა იცის!

— მერე, განა არა კმარა, რომ მთელმა ათენმა იცის? — გაუკვირდა სოკ-
რატეს. — ნუთუ მეც ამაზედ უნდა ვილაპარაკო?

ძველ მეომარს თრასიბულეს მტრის ურდოსთან შებმა ურჩევნია, ვიდრე
ამალღებული ფრაზების თხზვა, მკაცრად და მოკლედ ლაპარაკობს.

ანიტემ განსაჯა, რომ თრასიბულეს ლიკონიურობამ საკმაო ბრწყინვალე-
ბა ვერ მიანიჭა დიდ დღეს და უმეტესი რისხვით დაიწყო თავისი საზეიმო გამო-
სვლა — ღმერთების მტრობაზედ, სპარტელთა სისასტიკეზედ, ოდენ კრიტიკას
მეთაურობით ჩადენილი ათენელ ვლიგარქთა მხეცობა რომ ჩრდილავდა.
ხალხს დაჰპირდა:

— სუყოველ კაცს გამოვუშვებთ საპურობილეთგან, ვინც იქ ოცდაათმა
ტირანმა ჩაყარა, სუყოველს დაგუბრუნებთ ჩამორთმეულ ქონებას... განვაახ-
ლებთ სახელოვან დემოკრატიას, აღვადგენთ სახალხო კრებას, ბუღესა და
პელიეას, ისევ შემოვიღებთ არქონტთა სამართლიან არჩევას, ასევე კენქის-

ყრით ავირჩევთ თავისუფალ მოქალაქეთაგან პრიტანთ. დავაწესებთ უფასო შესვლას თეატრებში და გასამრჯელოს იმ დროის საფასურად, რომელიც დროც ქალაქის სამსახურს მოხმარდება. უქონელ მოქალაქეთ გავუწევთ დახმარებას...

დიდხანს ლაპარაკობდა ანიტე, ბევრი რამ შეჰპირდა ხალხს, მაგრამ აქტუალურ შედეგებში ქვას ქვაზედ აწყობდა იმ განახლებულ დემოკრატიის ტაძრის საძირკველში, რომელ დემოკრატისაც ამიერიდან უნდა ებატონა ათენში.

ლიკონმა, რიტორიკაში ფრიად დახელოვნებულმა, პომეროსით დაიწყო და აწინდელ დიად დღემდე მოვიდა. ქადაგება მაღალფარდოვანი ფრაზით გაასრულა:

— ათენის მოქალაქენო, მეგობარნო! სახალხო ხელისუფლება ყველაფერს მოგცემთ, რაც დღემდე თქვენთვის მიუწვდომელი იყო!

ბრბო გაიშალა. სახელმწიფო მონებმა ღვინით სავსე ამფორები გამოიტანეს — პირველი რამ, რაც მართლა მიუწვდომელი იყო ღარიბ ათენელთათვის.

ინტერმედია მეოთხე

დღეს ჩემთან შემოვიდა თუ არა და ჩვეულებრივ ბაჭბაჯით დაუბატიყებლად მიამურა საგარძელს, რომელსაც ყოველთვის ვთავაზობდი ხოლმე, მაშინვე მოუთმენლად მივმართე კითხვით:

— როგორ მოხდა, სოკრატე, რომ უვნებლად გადაურჩი ტირანთა მეუფებას? როგორ დაემორჩილე კრიტიას ბრძანებას და როგორ გაანებე ახალგაზრდობასთან საუბარს თავი?

სოკრატეს მრგვალი მუცელი გულიანმა სიცილმა შეაქანა.

— ეგრეთი რამ ახრად როგორ მოგივიდა, ჩემო კეთილო ჩრდილოელო? შენ ხომ ცოტათი უკვე მიცნობ! აბა, საუბრებს თავს როგორ გავანებებდი. ეგ იგივეა, რომ სუნთქვა შემეწყვიტა... გეტყვი, როგორც იყო, გამოვდიოდი, როგორც ყოველთვის, ქუჩაში სახეტიალოდ, შევხვდებოდი ვინმე ნაცნობ კაბუკს და დაველაპარაკებოდი თუ არა, თითს ტუჩებთან მიიტანდა და მოყუსვამდა! მე კი ვიდექი და ვეძახდი, სად მიდიხარ, სად გარბიხარ-მეთქი! ყველაზედ უფრო სასურველ მოწაფეთაც აღარ უნდოდათ ჩემი ცნობა. მიფრთხილდებოდნენ, ჩემივ თავისგან მიცავდნენ კეთილნი. ტყუილს არ ვიტყვი, ეს იყო ჩემი ბედნიერება — სხვა მხრივ იმ დროებას ჩემთვის ძალიან ცოტა სიხარული მოჰქონდა. კრიტიას იმედი ჰქონდა, რომ სოკოფანტნი სადმე წამასწრებდნენ, როცა ახალგაზრდებს ძველებურად დავუწყებდი იმის წინააღმდეგ „წაქეზებას“ და მაშინ საკუთარი თავით ვაგებდი პასუხს. მაგრამ არ დაგიმაღავ — დუმილი იმ დროს, ოდეს კრიტია მრავლად აკვდინებდა თავისიან ათენელთ, ჩემთვის ძალიან მტანჯველი იყო... სამაგიეროდ მოგვიანებით თავს უხვად ვისაჩუქრებდი, — იმასაც კი...

— ვიცი, — შევაწყვეტინე, — როცა ათენი კვლავ თავისუფალი გახდა, თვით დემოკრატიის ბელადთაც კი ესხმოდი თავს.

— ცდები, მეგობარო, — არ დამეთანხმა სოკრატე. — თავს ვესხმოდი ისევ კრიტიას, დემოკრატიისას კი ყოველთვის მხოლოდ გაუმჯობესებას ვცდილობდი. გაიხსენე: უფლება ქალთ, შეღავათი მონათ, კარგი განათლება სუყოველს... განა შემეძლო დუმილი, ოდეს ანიტეს ვუყურებდი? მაგრამ უსამარ-

თლობა იმის მიმართაც კი არ მინდა, პელოპონესის ომის შემდგომ მან დანგრეული მემკვიდრეობა მიიღო, მძიმე დრო იყო ძლევამოსილი ათენისგან, რომელიც ოდესღაც მძლავრ საზღვაო კავშირს შეთავებდა, ოდეს გაძარცვულ-გაპარტახებული ერთი გოჯი მიწადა გადარჩა... რა თქმა უნდა, მხელი იყო მეურნეობის გაძლოლა ესეგვარ მძიმე პირობებში. გარნა მდებარეობდა ანიტემ და მისთა მსგავსთ სრულიად მიუშვეს სადავენი. რაღაც მსხრუტე მსხრუტეებისდა ნაცვლად ქვეყანაში სრული თვითნებობა და გარყვნილება გამეფდა, ამიტომ ნუ გეწყინება, უკეთუ შეგისწოროვ. ისეთებს, როგორც ანიტე იყო, დემოკრატი ველარ ვუწოდებდით — ისინი სოფისტიკით დაავადებული დემაგოგნი იყვნენ. განმარტებით ხალხს ყველაფერს განუმარტავდნენ, გადაწყვეტით კი ვერაფერს წყვეტდნენ, სამაგიეროდ რასაც მოივარგებდნენ, სულ თავიანთკენ ფარცხავდნენ, როგორაც ის ვირთხანი, იმჟამად სოროთაგან რომ გამოძვრნენ და ნურც შემეკითხები, რარიგ გულისწყრომას ვიწვევდი იმ ხალხში ჩემი უბრალო ცხოვრებით, თავმდაბლობისა და ზომიერების ქადაგებით, მოხუცებთან და ახალგაზრდებთან გულაბდილად ვმსჯელობდი იმაზედ, რაც იყო, იმაზედ რაც უნდა ყოფილიყო და რაც არ შეიძლება რომ ყოფილიყო.

— ბევრი წამიკითხავს უგრეთ წოდებულ პლუტოკრატებზედ. — ჩავურთე მე. — იმათ უფრო მეტი ამდიდრე მიიტაცეს, ვიდრე ოდესმე ძველ არისტოკრატი ჰქონიათ. ლისია უფერად გამდიდრებულთა შესახებ ასე ამბობდა: „ეს კაცნი სამშობლოს პოულობენ ნებისმიერ ქვეყანაში და საზოგადოებაში, სადაც კი მეტი გამდიდრების საშუალება მიეცემათ, იმათი სამშობლოა არა საზოგადოება, არამედ ქონება“.

— მშვენივრად დაუწერია ლისიას. — შეაქო სოკრატემ. — აგრე მოსწრებულად მეც ვერ ვიტყოდი, მაგრამ უნდა აგიხსნა, მთელი სოფისტიკიდან გრეთ კიდეც განსაკუთრებით რა უფრო შეეფერებოდა ყველა იმ ვირთაგვას, თვითონ ანიტესაც.

სოკრატემ წვერი აიჩენა და სოფისტთა ცოდვები ჩამოთვალა. ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფა. ყოველ კაცსა აქვს მეორე კაცის დარწმუნების უფლება, რომ ჭეშმარიტება თითქოსდა ის არის, რაც იმას ჭეშმარიტებად ეჩვენება. ერთადერთი ავტორიტეტი ინდივიდუუმია. ძალა იგივეა, რაც სამართალი, ზნეობრივია, რაც სასარგებლოა ძლიერისთვის გონივრულად აგებული ქადაგებაც კი შეიძლება რომ ძალის იარაღი გახდეს.

— ხომ საკმაო ყურადღებით მისმენ? — მრავალმნიშვნელოვნად იკითხა სოკრატემ. — გესმის, რისთვის იყენებდნენ ისინი რიტორიკას? იმის თქმა უნდოდათ, რომ სიტყვის სიმარჯვით კაცს მეტის მიღწევა შეუძლია, ვიდრე სიბრძნითა და ჭველმოქმედებით. ახლა სოფროსინეს არ იკითხავ? იმათი აზრით, ეს არის უბრალოდ უაზრობა, ბებერმა ახირებულმა სოკრატემ რომ მოჩმახა. თვითონ ისინი, პირიქით, ყველაფერს უზომოდ, ძალდატანებით მოითხოვდნენ და საკუთარ თავშეუკავებლობას სიცოცხლის სიხარულს უწოდებდნენ. უხეშობა და უგრძნობლობა იმ თვისებებად მიაჩნდათ, რჩეულთ რომ ამშვენებენ, თავიანთ ცუდმედიდობას საკუთარი ღირსების გრძნობად რაცხდნენ. უწესრიგობას კი თავისუფლებას ეძახდნენ. თვითნებობის დაუსრულებელმა ქადაგებამ, რასაც ისინი ეწეოდნენ, შემდეგში საშინელი შედეგები გამოიღო.

სოკრატე თავჩაღუნული იჯდა, ხელები მუხლებზედ დაეწყო, ძალიან ფერმკრთალი მეჩვენა.

მაგრამ ძველი ფილოსოფოსი წამერთ გასწორდა, წამოჭარხლდა, სწრაფად ამეტყველდა:

— მე ვიამბე, რა ცუდი დროც იყო მაშინ, პურითა და სხვა საქონლით მოვაჭრე გადამყიდველნი შეუბრალებლად სტაცებდნენ ადამიანს ხელიდან უკანასკნელ ობოლოსს — და ჩემი პატარა ოჯახი სხვებზედ უკეთესად არა ცხოვრობდა, სწორედ იმხანად მოხდა ერთი ისეთი ამბავი, მიწა რომ გამსკდომოდა, მერჩივნა... სულ კი ქსანთიბეს ბრალი იყო...

აღრევე მინდოდა სოკრატესთვის ცოლის ამბის კითხვა, მაგრამ ვერ გავუბედე. ახლა ვისარგებლე შემთხვევით და ენიდან მომწყდა:

— მართალია, რომ ქსანთიბე ავი და ანჩხლი ქალი იყო?

— ცერბერის შუანსა ვფიცავ! — აღშფოთებით შესძახა მან. — რანაირად არა ხატავდნენ ბოროტი ენანი ჩემს საცოდავ ქსანთიბეს! ნამდვილ მეგერად! ხალხის ამბავი ხომ იცი! მერჩია, რომ ჩემზე ელესათ კბილები... ეს მე ვიყავი გაქირი! ის ჩემგან იტანჯებოდა და არა მე იმისგან!

— ეჰ, სოკრატე! ისევ აზვიადებ. ვხედავ, თავი იჩინა ბერძნის ტემპერამენტმა.

— კარგი, კარგი, — იწყინა სოკრატემ.

სავარძლიდან წამოდგა, ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა — ნობზედ იმისი შიშველი ფეხების ხმა არ ისმოდა, მაგრამ იატაკზედ ტყაპუნით დადიოდა. ჩემ წინ გაჩერდა.

— მხოლოდ ერთი მაგალითით გიპასუხებ და იმედი მაქვს, საკმარისი იქნება ჩვენი ურთიერთობის ნამდვილი სურათის საჩვენებლად. ქსანთიბე ცოტა დაავადმყოფდა — ორმოცდაათს გადაცილებული იყო. მთელს ოჯახურ საქმეთ მირტო უძღვებოდა, ვახარებული იყო, რომ მირტო ავიყვანეთ, თვითონაც შეიყვარა ქალიშვილი, ერთ ურიგო სიტყვას არ შეახვედრებდა, მაგრამ... მაგრამ რა დასამალია და, როგორც ხდება ხოლმე, უმძიმდა, რომ გულს შუაზედ ვყოფდი... რაც მართალია, მართალია, ნახევარი გული ქსანთიბეს დავეუტოვე, ნახევარი კი მირტოს მივუბოძე. ამას სრულებითაც არ გაუუმჯობესებია ჩემი ცოლის განწყობილება, და ზოგჯერ მართლაც საფუძვლიანად მჭორავდა, გარნა აქ მე სულაც არ ვიყავი დამნაშავე, თავად მოგეხსენება, მამაკაცი ესეგვარ საქმეებში არასდროს არ არის დამნაშავე. — თქვა სერიოზული სახით, ოღონდ ცალი თვალი ეშმაკურად ჩამიკრა.

მეც სერიოზული გამომეტყველებით დავუქნიე თავი, თუმცა ვინ იცის — იქნებ ჩემმა ცალმა თვალმა გამცა, მეც ეშმაკურად რომ ჩავუყარი სოკრატეს.

— მერმე კი არასასიამოვნო ამბავი მოხდა. — სოკრატე მოიღუშა. — და ეს უსიამოვნება მე მივაყენე ქსანთიბეს, ჩემმა ყოფილმა მოწაფემ კირენელმა არისტოტელემ, კირენე ჩრდილოეთ აფრიკაშია, თავის სამშობლოში სკოლა დააარსა. მან მიიღო ჩემი აზრი, რომ განათლება ადამიანს უმაღლეს ნეტარებას განაცდევინებს. მაგრამ ცბიერმა მელამ, არისტოტელემ, პირველ ადგილზედ დააყენა ტკობა, ჰედონე გამოაცხადა სიცოცხლის მიზნად და ამით მოიპოვა უზარმაზარი პოპულარობა, დაღათუმცა მორცხვად დასძენდა, ყოველ ტკობაში სოკრატესეული სოფროსინე უნდა დავიცვათო. მარჯვე ვინმე იყო, უნდა გითხრა, ეს არისტოტელე, მოწაფეთაგან დიდ გასამრჯელოს იღებდა და გამდიდრდა. აი აქედან დაიწყო მთავარი. ამ ჰედონისტმა არისტოტელემ არად ჩააგდო ჩემი პრინციპი — არავისგან არ აგველო გასამრჯელო სწავლებისთვის; ეტყოდა, აგრე მსჯელობდა: მე აქ ისე ვცხოვრობ, როგორც ელისიაში, სოკრატეს კი ძალ-

ლური ცხოვრება აქვს, ჩემს მოხუც მასწავლებელს ამ სიბერეში მაინც ნულა შეაწუხებს სიღარიბეო. განზრახვა კეთილი ჰქონდა, ჰოდა, ადგა და გამომიგზავნა საგანგებო შიკრიკის ხელით ოცი მნა. ვითომ იცი ამ შორეული მომავლის კაცმა, რა არის ეს ოცი მნა?! — შესძახა აღელვებულმა სოკრატემ. — ეს ორი ათასი დრაქმაა! თანხა, რაც ბევრად აღემატება მასწავლებლის ჩემს ქონებას!

ამრიგად, ციდან დაგვეცა თავზედ ოცი მნა: ყოველი ძნელბედობის დასასრული, ღრმა სიბერემდე უზრუნველყოფილი ვიქნებით მოციმციმე ვერცხლით, შეძლებით. ქსანთიბე უკვე მადლობას სწირავს ღმერთს, ფული თითქოს ზეცის წყალობით მოგვევლინა. სულზედ მოგვისწრო. ვიცი, ყველაფერი ვიცი, ისიც ვიცი, რომ ეს პირველ რიგში შევებას მისცემს ავადმყოფ ქსანთიბეს... ისე ვკანკალებ, ვითარცა ციებიანი — მაგრამ სხვანაირად არ შემოძლია! უარს ვამბობ ძღვენზედ! ჩემი იპა მავედრებელ მზერას მაპყრობს, ხელებს მიწვდის — ამოდ: მე უკან ვუბრუნებ არისტოტელს მეფურ საჩუქარს ლამპროკლემ და მირტომ ძლივს მიიყვანეს ქსანთიბე საწოლამდე. ქალი ცნობას კარგავდა, და მაინც თავის ქისიანად მიბრძანება ვუბრძანე შიკრიკს.

ახლა რაღას ფიქრობ ჩემზედ, ჩემო უცნობო ჩრდილოელს, რომელთანაც მე გამოვეცხადდი, აღარ ვიცი, რამდენი ოლიმპიადის შემდეგ?

პირდაპირ კბილებს ვაკრაჭუნებდი მღელვარებისგან. არისტოტელს თავისი მასწავლებლის წინაშე უწინარესად ხომ იმით იყო დავალებული, რომ კირენეში ფრიად სახელიანი სკოლა გახსნა და გამდიდრდა. მაგრამ იმ დროისთვის უკვე შეტისმეტად კარგად ვიცნობდი სოკრატეს და მივხვდი, რა დღეშიც იყო ოჯახის ცოდვით, ესდენ სასტიკი გადაწყვეტილება რომ მიიღო: ოღონდ ისიც შესმენილი მქონდა, რომ მხოლოდ ასე შეეძლო მოქცევა.

სოკრატემ ვერ აიტანა ჩემი ღუმილი მისთვის ეგზომ მტკივნეულ საკითხზედ და მკითხა:

— როგორ ფიქრობ, ყოველივე ამას ესეგვარი სიშორიდან რომ უყურებ: იქნებ უნდა ჩამეჩხრიალებინა ის ვერცხლი? მთელი ცხოვრება სულ უარი ხომ არ უნდა შეძახა იმ გასამრჯელოზედ, ადამიანის შვილთა ერთი საფეხურით მაღლა აყვანაში რომ მეკუთვნოდა?

— არა, სოკრატე! — თითქმის შევყვირე. — არა, შენ არ შეგეძლო იმ ვერცხლის აღება!

— ძალიანაც კარგი, რახან შეთანხმები, მაგრამ ქსანთიბეს მიმართ ნამდვილად შეუბრალებლობა იყო, და აღარ მიკვირდა, უკეთუ მერმე, როცა ვახშნად არცრა ჰქონდა, იმ ოც მნას გამიხსენებდა და ისე ილანძლებოდა, რომ მთელი ქუჩა ჩვენ მოგვაწყდებოდა ხოლმე, ვითარცა ხანძარგაჩენილს. დამიჯერე, სხვას არ დაუგდო ყური, კარგი ცოლი იყო ჩემი იპა, სხვა უიმისო იმწამსვე პარპიასივით მეცემოდა, სულ დამკაწრავდა და წივილ-კივილით ამიკლებდა, სანამ იმ ვერცხლს არ ავიღებდი — ჩვენ შორის დარჩეს, და ცოტა მაინც დამსახურებული არა მქონდა თუ რა? მაგრამ ის სოკრატე აღარ ვიქნებოდი, ამჟამად რომ მიცნობთ.

ამოიოხრა.

— ჯერეთ სადა ხარ! მოგვიანებით ქსანთიბესა და ჩემიანთ კიდევ უფრო უარესად მოვექეცი. მოხარული ვიქნები, მეგობარო — მე უკვე დავრწმუნდი, რომ ჩემი მეგობარი ხარ — მოხარული ვიქნები, უკეთუ იმ ჩემთა ავის მხდომ-

თა გზას არ დაადგები, ქსანთივე ავ დედაკაცად რომ მონათლეს. სიმართლე დაწერე — ჩვენი ცოლ-ქმრობის უღელში მე კი არა, იბა არ მიდებდა ტრუს.

ნაწილი მესამე



ქართული
საბჭოთაო

იალღუნის დაბალი ბუჩქების ქვეშ, პირდაპირ მიწაზედ, კაცი და ქალი სიყვარულობენ. სამი შხრინდან სანაგვე ჰფარავთ, მეოთხე მხარეს ბალახმოდებულ ჯამოქცეული კედლების ნაშთია.

წველიდან ერთ უტევანზედ უძრავად დგას სოკრატე. კედლის ნანგრევებზედ მისი მოწაფენი ჩამომსხდარან.

ნელა ახლოვდება ზელარგოსანი სკვითი. ყველაფერს ხედავს, მაგრამ არაფერში ერევა. ხარბად აკვირდება, რაც ხდება, ბრაზი ერევა. იმის ფეხთა ქვეშ კენჭებმა გაიხრჭიალა. მამაკაცმა თავი ასწია, სკვითის თვალები დაინახა. სასიყვარულო ჯაფა შეწყდა.

სკვითმა მხოლოდ მაშინ დაიღრიალა:

— თქვენ ზნეობის კანონი დაარღვიეთ! ეს საჯარო გარყვნილობაა! ამ გომბიოს ისე აუბლაკვია ფეხები, თითქოს თავის სახლში იყოს!

ქალმა პეპლოსი ჩამოიწია, წამოჯდა, უყირილითვე მიუგო:

— მე ვარ გომბიო? გესმით, ღმერთო?

მამაკაცი წამოდგა, სკვითს შეუტია:

— რაო? ზნეობაო, საჯარო გარყვნილობაო? გომბიოთ? უნდა მოგახსენო, ქეციანო ბარბაროსო, რომ ეს ჩემი ცოლია! უზნეო კი შენ თვითონა ხარ, რომ თვალს არ გვარიდებ... და სიერთოდ, როგორა ბედავ, ცოლქმრული მოვალეობის შესრულებას აბრკოლებ?

— საზოგადოებრივ უკივლებში ეგ აკრძალულია, შინ კი არა ხართ...

— ჩვენ სახლი არა გვაქვს! ჩვენი სახლი — აქ არის! ჩვენი სასახლე — აი ეს არის, — მამაკაცმა ბრაზით გაშალა ხელები. — აგე ის ნანგრევი — ჩვენი მაგიდაა, ეს კი ჩემი სავარჯიშოა! აი ესეც პერიტილია, მდიდრული ყვავილებით დამშვენებული. — და ხელი თბუნციის ბირკავას და იალღუნის ბარდებისკენ გაიშვირა, თან ახლავდა შენიშნა მეგობრებში ჩამდგარი სოკრატე და დასძინა: — არც ქანდაკებები აკლია! ქანდაკებები კი ცოცხლებია, ხედავ? — ხელი უძრავად მდგარი ფილოსოფოსისკენ გაიქნია.

სკვითი მაინც არ აპირებდა დანებებას:

— გიცნობთ, მაწანწალებო! უსაქმურებო! ტკიპებივით მიძკვრიხართ ათენს!

— ხმა ჩაიწყვიტე, ბრიყვო! შინ ნუ მივარდები, მოუსვი აქედან!

სკვითმა ცხელ გულზედ თავისი მოკლე მახვილი გააფლარუნა, ცხელ გულზევე წამოიყვირა რაღაც ციხითა თუ ჯარიმით სამაგალითოდ დასჯის თაობაზედ.

მაშინ ბუჩქები შეირბა, და კედლის ნანგრევებიდან სხვა უბედურნი წამოყელყელავდნენ:

— ვინა ღრიალებს?!

— ჯერეთ მხოლოდ ვიწყებ, — დაიყვირა მამაკაცმა, როგორც კი მხარდაქერა იგრძნო, — შენ აქ რას აქლარუნებ მაგ შენს მახვილს? ერთს ისეთს

დაგკრავ, სული სხეულს განშორდეს! ხედავთ ამ რეგვენს? — მიუბრუნდა ამ-
ხანავთ. — ჩვენი დასჯა გადაუწყვეტია იმის გამო, რომ სახლი და კარი არ გა-
გვაჩნია! მოგვეცი ანტიეს სახლისთანა, მერე მოდი და ისეთ რამეს გიჩვენებ,
რასაც აქ ვერა ხედავ! ათენში თავისუფლებაა... კარგი თავისუფლებაა —
საკუთარ სანაგვეზეც არ გვაყენებენ!

ორმო-ხნარცვთა ბინადარნი ერთიმეორის მიყოლებით — მტკიცედ დნენ.
ჩამოძონძილთა მთელი ჯგუფი დაიძრა სკვითისკენ. იმან უკან დაიხია:

— აბა, რას მერჩით... მე, მოქალაქენო, ამ ცოლ-ქმრის გაფრთხილება
მინდოდა... ცუდი რამ გულში არც გამივლია — ამათივე გულისთვის... აი
ეს ბერიკაცი მოწმეა...

მაგრამ სოკრატე დუმდა, არ იძვროდა, და სკვითმაც მოუსვა.

ჩამოძონძილნი სოკრატეს მიუბრუნდნენ, მაგრამ იმას სიტყვა არ დაუძრავს,
ისე განშორდა იქაურობას, და მოწაფენიც უკან მიჰყვნენ.

გზადაგზა იმის გარჩევაში იყვნენ, რაც ნახეს და გაიგონეს. უსახლკარო-
ნი ქალაქის სანაგვეზედ ცხოვრობენ და სიყვარულობენ, ის სანაგვე სახლის
მაგივრობას უწევთ. კანონი კი ამას კრძალავს, ამავდროს იგივე კანონი თვალს
ხუჭავს და ვერ ხედავს იმ ადამიანთ, რომელთაც თავშესაფარი არ გააჩნიათ.
ქსენოფონტმა იკითხა:

— აქ სად იბოვნი დამნაშავეს? ამ კაცს სხვა საშუალება არა აქვს, გარდა
იმისა, რომ ნანგრევებში დასახლდეს. რა ქნას, არც დამნაშავეა. მაშ ვინ არის
დამნაშავე, სოკრატე?

სოკრატემ ნაღვლიანად გადახედა და ოდენ წარმოთქვა:

— ვიაროთ!

2

ისინი კალიროეს რუსთან გაჩერდნენ. სოკრატე რუს პირას ჩამოჯდა. ის
რუ გამოდიოდა წყალსაცავიდან, რომელშიც ქორწილის წინ ქალიშვილნი ჩა-
დიოდნენ. სოკრატემ ფეხები ჩაიბანა და მეგობართ მიუბრუნდა:

— კარგია, რომ ახლოს მოხვედით: დაინახავთ, რა ჭუჭყიანი ფეხებიცა
მქონია. ჭუჭყი უკვე მიაქვს წყალს... მაგრამ რომელი წყალი წაიღებს უარეს
ათენურ ჭუჭყს?

— ჭუჭყი შეუფერებელი სიტყვაა, როცა ლაპარაკია ათენზედ, მასწავლე-
ბელო, — შეედავა პლატონი.

— შენ ის არ გინახავს, ხომ მართალია? — წამოდგა სოკრატე. — წამო-
დით, წაგიყვანთ, როგორც დაგპირდით...

— სად?

— რომ ნახოთ.

— სად-მეთქი, სად მიგყევართ.

— ტარტაროსში.

— ეს კიდევ რა ახირებაა? — წყნარად ჰკითხა ანტისტენეს ფედონმა.
წავიდნენ.

რაც უფრო შორს შეიღწიეს უბანში, სადაც უმიწაწყლონი ცხოვრობდნენ,
მით უფრო ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული იყო ქუჩაბანდები. აქა-იქ, ამოლე-

ბული კბილის ადგილზედ რომ ხვრელი რჩება, ისე დაელოთ პირი ნაქობარ ადგილთ.

იმ ნაქობარებზედ, ქვის გროვაზედ, ბირკავა ამოხუჩხუჩებულიყო, ქვეშ კი სარდაფები იყო. სარდაფებში წყვედიადი სუფევდა, ვირთხები დაბტოდნენ, ციოდა, ზევით, ზედაპირზედ საკმლის ნარჩენები ყარდა.

— პიმატიონი აიწიე, კალთები დაგესვრება...
გზაჯვარედინი. საით კიდევ?

სოკრატემ წართქვა:

— აქ ტარტაროსში ჩასასვლელი ხვრელია. — ხელით უჩვენა მოწაფეთ პატარა შუკა-ფოლორცნი, სადაც ლატაკთა ბრბოები, არაქათგამოცლილი ქალები და რაქიტიანი ბავშვები ირეოდნენ. — აი მდინარე სტიქსი, საშინელების მდინარე, იქ აქერონტია, გოდების მდინარე, ეს კი კოკიტორია, გლოვის მდინარე... პაერი აქ თითქოს ჩირქით არის გაუღენთილი.

— ლეთალა ჰკლებია, დავიწყების მდინარე, — ამოღერლა ანტისტენემ. ფედონი:

— ლეთა ყოველთვის ბოლოშია.

— გადავეშვათ აქერონტის ზვირთებში, — შესთავაზა სოკრატემ.

ნელა განაგრძეს გზა — უცნაური ფიგურები ირეოდნენ ამ შუკაში, რომელიც ოხვრის ტალღებში იძირებოდა.

— სადა ხარ, მთის ფერდობზედ გაშენებულო ჩემო ვენახო? თუნდაც ერთი მტევანი თუ დაგიმწიფდა? ან იქნებ გადაგთელეს, უკვალოდ გაქრი?

— მე თვითონ ვიყავი ჩემი თავის ბატონი... ყანაცა მქონდა და საძოვარიც, ავი თუ კარგი — სახლიც მედგა. არც ძროხა მაკლდა, მთელი ნახირი მყავდა, ბევრი რამ სიკეთე მქონდა, ახლა კი მთელ დღეს ერთი კვერის საფასურიც ვერ ვიმათხოვრე!

— ო, ჩემო ზეთისხილის კორომო, რა ტკბილი იყო შენს ჩრდილში განსვენება! ოდეს ზეთისხილი შემოვიდოდა, რა სჯობდა იმის კრეფას! ახლა კი, ახლა ჩემ თვალწინ მხოლოდ სიმახინჯეს ვხედავ.

— მორჩი მაგ ოხვრას! თავის დახრჩობა გიჯობს...

სანაგვიდან მყეფარე სიცილი მოისმა:

— აქ სად დაიხრჩობ თავს? ტალახში თუ, რომელიც აქ მეტია, ვიდრე წყალი ილისოსში.

— ვაი, როგორ მტკივა! მტკივა! მარგული დღითი დღე მისივდება... რა დამემართა? ო, დიდო პერა, მიხსენ, მიშველე!..

ვითომ ხედავენ მახვრალნი, როგორ მოუყვებიან აქერონტის კალაპოტს ჩრდილნი? ან იქნებ სულაც კაცნი არიან? ზოგ-ზოგთ ლამაზად აცვიათ, მდიდრულადაც კი, მაგრამ ის ახალაგაზრდა კაცი დაგლეჯილმოსასხამიანია, წინ კი ფეხშიშველა მოხუცი მოუძღვით. მოხუცს დაცრეცილი პიმატიონი მოსავს...

— აქ რა უნდათ?

— რა გინდათ, პეი, — გაშმაგებით შეუძახეს, — ჩვენები არა ჩანხართ! ჩვენები ეგეთები არ იქნებოდით!

და ქალი წივილით:

— მოშორდით!

და კვალად იტალღება ოხვრა-გოდება...

სოკრატემ თავის მეგობრებიანად მარჯვნივ შეუხვია.

ეს რა მდინარეა, სოკრატე?

— არც მე ვიცი, აპოლოდორე, დაიცა, ვნახავთ. შუკის დასაწყისში — დაქცეული ქოხის ალაგას პარტახია ერთი ბებერი ზეთისხილიდა შემორჩენილა ჯერ კიდევ... მაგრამ ეს რაღაც უცნაური ნაყოფი ჰქიდიას

— ჩამოხრჩობილი! — შეძრწუნდა პლატონი. — ზეთისხილის ქვეშ ქალი ზის და ქვითინება, სოკრატე ახლოს მივიდა, წყნარად ჰკითხა:

— თუ შეიძლება, უნდა გკითხო? რა მოხდა?

— თავი ჩამოიხრჩო! ჩემი ქმარია! ხუთი შვილი გვყავს... გამიგე?

— გაგიგე. — სოკრატეს ნაცვლად მიუგო, პლატონმა და უბედურ ქალს ხელში ფული შეაჩეჩა.

ქალმა ხელი გაშალა, დახედა, გაშეშდა...

— წავედით, — აჩქარდა პლატონი.

კედლის გაყოლებით კონკიაჟლარუნა მილასლასებს, უკან მეორე იმისთანავე ეპარება, ხელში დანა უჭირავს.

პირველი სწრაფად მობრუნდა, დანიან ხელში სწვდა, გადაუგრობა, დანა დააგდებინა.

— შენა, ბასონ? მოკვლა დამიპირე? რისთვის?

ბასონი კვნესის, ნალრძობი ხელი სტკივა, სუნთქვა ეკვრის

— წელან სამი ობოლოსი მოგცეს! ჯერეთ არც ერთი არ დაგიხარჯავს, ვიცი, უკან მოგყვებოდნ...

ბასონი ცრემლად იღვრება, ტკივილისგან? სირცხვილით?

იმათ პირდაპირ მოტირალი ქალი გამორბის, უკან ორი მცირეწლოვანი ბავშვი მოსდევს.

— დედა, დედა, წაგვიყვანე! ნუ გარბიხარ!

— თქვენი დედა არა ვარ!

— ჩვენი ხარ, ჩვენი! ჩვენი დედა ხარ! ყოველთვის შენთან ვიყავით.

— სხვა დედა მონახეთ, რომელიც პურს გაქმევთ!

და ქალი უკან მოუხედავად გარბის, ბავშვები ტირილით მისდევენ.

— ეს სტიქსია, საშინელების მდინარე... — ჩურჩულებს აპოლოდორე.

დედაბერი დაკეტილი ქოხმახის კარზედ აკაკუნებს:

— გამიღე, ელიადა, მე ვარ!

ხმა შიგნიდან:

— ახლავე, მაკალე, კარამდე გამოვხიხდე.

დედაბერი:

— ამჯერად გამიმართლა: რვა ობოლოსი მაქვს ნაშოვნის.

ხმა შიგნიდან:

— ოო, ღმერთნო, გაჩუმდი! ვინმე გაიგონებს!

კარი ოდნავ იღება, დედაბერი ხელს ხერხელში ყოფს:

— აიღე ხუთი, მე სამიც მეყოფა...

პლატონი:

— შემცივდა, უფრო სწრაფად სიარული არ შეიძლება, სოკრატე?

აპოლოდორე:

— სტიქსი ნელა მიედინება.

ნაბიჯს მოუმატეს. იმათ წინ ბარბაციოთა და კვნესით ხანდაზმული კაცი მიხანხალვებს და უეცრად პირქვე ეცემა.

სოკრატე დაიხარა:

— რა მოგივიდა? რა მოხდა?

— აღარ შემიძლია... ფეხზედ ველარა ვდგები... ჰაერი დაგვირგნო მყოფნის. წყალი!

ფედონი ჭოხთან მივარდა.

— კაცი დავარდა! გამოდით მალე! წყალი გამოაწოდეთ!

— შერე შენ რა? — გაისმა შიგნიდან მამაკაცის უხეში ხმა.

— წყალი გამოაწოდე დაცემულს... იქნება კვდება!

— ეგ ჩვენი საქმეა. არა შენი, მოუსვი!

— საშინელების მდინარე! — იმეორებს აბოლოდორე.

მომდევნო შუკაში შეუხვიეს. ყოველი მხრიდან ისმის ტირილი, გოდება, წყევლა, ჩივილი, სასოწარკვეთილების შეძახილები...

— რატომ გოდებენ ასე შესაბრალისად? — ჰკითხა სოკრატემ ჭოხის წინ ჩამომჯდარ კაცს.

— ავად არიან. დასნებოვნებულნი. დაწყლულებულ-დაჩირქებულნი. ოდენ ცივი წყალი დამაქვს და იმას ვასმევ. მეტი არცრის თავი მაქვს.

— წავედით, — თქვა პლატონმა. — ყველა ღმერთს გაფიცებთ, წავიდეთ. განვეშორეთ!

გალაენის გასწვრივ მიდიან. მიღმა უნუგეშო ტირილი ისმის, ჭიშკარს აღებენ — ხედავენ: ჩია ვინმე კაცი მლიქვნელურად დახრილა ვილაც ახმახის წინ, რომელსაც ფეხები გაუფარჩხავს და ხარივით შარდავს.

ჩია კაცის გვერდით გაშიშვლებული გოგო დგას, დაწვები სირცხვილისგან უხურს. შიშველ სხეულს რით დაიფარავს — ხელები პატარა აქვს!

— საუკეთესო რამ არის, ბატონო. დია, ხარისხეულია. შენ მართო ხელი შეახე. ას დრაქმად დაგიტმობ. ისე კი ოთხასი ღირს. — კაცუნა გამოცოცხლდა. — კიდევ მყავს ერთი, ჭერეთ ათისაა!.. თვალს მოგტაცებს! ახლავე მოგგვრი.

— დია ხარისხეულია, — ხარხარებს მყიდველი და გოგოს მკერდსა და მუცელს უწკებლავს.

გოგო ყოველ დარტყმაზედ კივის, ტირის... სოკრატე ერთი ნახტომით აღებს ჭიშკარს, აყლაყუდასთან მიიჭრება, წკებლას გამოჰგლეჯს:

— შეხეთ, კეთილშობილო უფალნო, რა მამაცი ვინმეა! ახალი ბრძენი გმირი! აქილევსი!

ბრაზისგან აცახცახებული ახმახი მონათ უხმობს და ბრძანებს, რომ სოკრატეს და მისთა მეგობართ გაუსწორდნენ.

მაგრამ მონანი მოახლოებას ვერ ბედავენ — გაურკვეველ მდგომარაობაში არიან. ამასობაში ჩია კაცუნას ფარდულიდან მეორე მსხვერპლი გამოჰყავს...

— წავიდეთ აქედან დროზედ. — წაილულულა ანტისტენემ. — საშინელი მდინარეა სტიქსი...

ბოლოს, თითქმის უკვე მიმწუხრისას, სოკრატემ მოწაფენი ლეთასთან, დაეწყების მდინარესთან მიიყვანა. ფეხზედ და მძინარენიც პირდაპირ

ქუჩაბანდებში ყრიან. იმათ შორის არიან მიცვალებულნიც. მაგრამ ყველაზედ უფრო მეტნი მთვრალნი არიან, რამეთუ ღვინომ დავიწყება იცის.

— შევალ ფარაონთან, ეგვიპტის მეფესთან, და თავსაც არ დავეუკრავ გაიგეთ, არ დავეუკრავ... — ლულულულებს გაღეშილი.

მეორე სირსვილს იფხანს:

— ჰო, რა კარგია აქ ყოფნა, ოღონდ სახეზედ ჩხლაც სჭექლეს სვირთხანი დამიდიან. მაგრამ, სამაგიეროდ, მაგრილებენ...

— ერთი დამაჭერინა ეგენი და გემოზედ მაჭამა...

— მოიყვა ვაცი, პანს შევწიროთ მსხვერპლად, წესია დღესასწაულზედ...

— ბატონო, — ისმის ახალგაზრდა ქალის ხმა ქობიდან. — დროებით მიყიდე! სულ ხუთი დრაქმა ვღირვარ...

ამ ხმამ თითქოს მთელი შუკა-ფოლორცი გააღვიძა, სადღაც კითარა ააქ-ღარუნეს, ვიღაცამ ნალვლიანი სიმღერა წამოიწყო.

ერთბაშად ამოძრავდა უამრავი ხალხი, ყველანი ერთიმეორეზედ ხმამალ-ლა ყვიროდნენ. ქუჩაში უთვალავი ქალი გამოეფინა — ახალგაზრდები, შუა-ხნისანი, ხნიერნი.

— მშიერი ვარ, მიყიდე, ბატონო...

— ეგ კი არა, მე მიყიდე, მაგან გუშინ მიირთვა! თანაც მე უფრო ახალ-გაზრდა ვარ, — ქალწი ანტისთენეს ეცა — შენ, რა თქმა უნდა, მდიდარი არ იქნები, მაგრამ ხუთ დრაქმას ვერ გაიმეტებ?

— არ მინდინარ! არ მოგცემ! — ზიზლით გაიწია უკან ანტისთენემ.

ქობიდან მამაკაცი გამოხტა.

— რატომ არ გინდა, ბატონო, ჩემი ცოლია... ის საქმე იცის... იყიდე! ოთხი შვილი გყავს... ოთხ დრაქმადაც მოგცემს — თითო ბავშვს თითო ხომ ეკუთვნის... შეიბრაღე!

პლატონს მთვარეულივით აეკიდა ერთი ახალგაზრდა გოგო, თან ნელ-სურნელებანაპკურებ ქლამინდაზედ სუნავდა:

— ოპ, რა სურნელებაა... ზსეთი სუნი ჰქონდა ოდესღაც ჩემს პეპლოსსაც, ამიყვანე, ლამაზო ჭაბუკო, ერთი საათით ამიყვანე, ტკბილად მეყვარები, მოგეფერები! — ჩურჩულზედ გადავიდა. — მუქთად წამოდი! არაფერი არ მინდა შენგან! მარტო თავდავიწყება მინდა!

გოგო გამხდარი ხელებით მოეხვია პლატონს, ის ხელები ბნელში ანათებ-დნენ, პლატონი ძლივს დაუსხლტა, სოკრატეს მივარდა:

— ზევსს გაფიცებ, მოძღვარო, წავიდეთ, მალე წავიდეთ აქედან!

ბარბაციით, ბორძიკით გამოვიდნენ ტარტაროსიდან — და თვალწინ და-უდგათ მარმარილოს სასწაული, ქათქათა აკროპოლისი, იმის თავზედ კი — მთვარის ნათელი დისკო.

ანიტეს მდიდრული სახლის ლაფაროს ჩრდილში უმუშევარი კაცნი მო-კალათებულან. ეს არამოხალისე ზარმაცნი, წურბელებივით რომ მიჰკვრიან ქალაქს, დროსა კლავენ კამათლის თამაშსა და წკიპურტობანაში, უხეშად ხუმრობენ, იგონებენ თავიანთ სახლ-კარს და შექმნილ ვითარებას აგინებენ.

შორიახლო, პირდაპირ მზის გულზედ, სოკრატე დგას, ღრმა ფიქრით მო-

ცული. გაოცებითა და შეშფოთებით უყურებენ. ვინ არის? რა უნდა? ლატაკია ვილაყა — გაზინზლული ჰიმატიონი აცვია. ფეხშიშველაა... სულელი — ამ სიციხე-პაპანაქებაში გოგრა მზისთვის მიუშვერია.

ძირს მსხდომარეთა შორის ერთი ახალგაზრდა კაცი წამოდგა, ცას ახედა — მზე შუბის ტარზეა თუ არაო, და ქალაქის შუაგულისკენ გაეშურა.

— საით, კირონ?

— სამუშაოდ ამიყვანეს — ბელელი აქვთ დასადგმელი.

— უყურეთ ერთი! დემეტრასა და კორესა ვფიცავ, აიყვანეს! მერედა, ვგ რატომ აიყვანეს? მე რატომ არ ამიყვანეს? იმიტომ რომ ეს ახალგაზრდაა, ღონე ერჩის. ჩვენ კი, ხნიერთ, ახლოსაც არ გვიკარებენ.. თუ გინდა, დაწეჭი და მოკვდი!

— გაჩუმდი შეჭამანდს ხომ გაძლევენ?

— მიმიფურთხებია იმ სალაფავისთვის! ოქროს მთებს დაგვპირდნენ და, საქმე საქმეზედ რომ მიდგა, ბრანწი გვარგუნეს!

— რა გიკვირს, — მხარს უბამს ერთი ზეთისხილის და ვაზის სამოთხიდან გამოდევნილი მეორე გამოდევნილს. — აქ ჩვენისთანა ბევრია.

— რა მიკვირს და ის მიკვირს, რომ მეოთხე წელია საჭეთმპყრობელნი ვითომ ხალხის შვილნი არიან და ჩვენთვის ჯერეთ თითიც არ გაუნძრევიათ. საბაგიეროდ ლაქლაქი, იცოცხლე, ემარჯვებათ. სულ თავისუფლებას და თავისუფლებას გაიძახიან! მერედა, ვისთვის? — უპოვარმა მუშტი აღმართა და ანეტეს სახლს დაემუქრა. — ცოტა დამაცა, ყბედო! თავისუფლად შეგიჩანჩხარებ მაგ ქისას, მონათ რომ ავსებინებ.

— კარგი, ნუ ტრაბახობ, ამ კამათელთ მიხედვით, — შეაწყვეტინა მოთამაშემ, უკმაყოფილოდ იმით, რომ თამაში შეფერხდა; თასი შეანჯღრია და კამათელნი გადმოყარა. — სამიანი, ორიანი, ოთხიანი! ცხრა მაქვს. იცი, რა მოხდა კორინთოში, დოყლაპიავ? არგოსშიც, მშვიერნი მდიდართ ჩაუხტნენ და დახოცეს.

— მერე, რა სარგებლობა ნახეს? სათქმელი არცა გაქვს! ვერაფერიც ვერ მოიგეს, მხოლოდ თავები წააგეს.

— ყოველთა სატირთა ჩლიქთ ვფიცავ, ის ახირებული კაცი, მზეზედ რომ დგას, სისხლს მიმღვრევს! — შესძახა ბირონმა. — ჰეი, შენ! რას ჩივი-შვია ლუზა მაგ მზის გულზედ? რა ბოძივით დაყუდებულხარ?

სოკრატემ გაიგონა, იმათკენ გასწია.

— მოდი, მოდი ჩვენთან, ნათესავო! მგონი, რომ შენც ჩვენს დღეში ხარ, არა?

სოკრატე მივიდა, მიემშვიდობა. გულდასმით ათვალერებდნენ. ფეხშიშველაა. დაკრეცილი მოსასხამი მოსავეს. არა, იმათი სამოსი უკეთესი ქსოვილისაა, უკეთესი დროიდან შემორჩენილია, ფეხთაც ტყავის სანდალნი აცვიათ.

— სიმართლე რომ ითქვას, შენ ჩვენზედ უარეს დღეში უნდა იყვი.

— ნაპარტალი გმოსავეს. ფეხშიშველი დახვალ?

— მე საკუთარი ძირები მაქვს, — გაიცინა სოკრატემ. — ესენიც ტყავისაა, თანაც მაგრებიია!

სიცილი.

— მგონი, სადღაც მყავხარ ნანახი. ქალაქში წყალობაზედ დადიხარ, არა?

— არა, მეგობარო...

— აბა-აბა, ცოტა ფრთხილად! ხელად მეგობარი ნუ გვიხდები! ანდა იცი მაინც, რა არის მეგობარი?

— ცხოვრების საუნჯე და სიკეთე.

— რა არისო? უფრო გარკვევითა თქვი, ქარონის წილ-კრძო!

— მგონი, სადღაც მისმენია შენთვის?

— იმათგანი ხომ არა ხარ... როგორ ეძახიან... ჰო, სოფისტიკანტი? გლახაკნი რომ არიან?

— სოფისტიკანი გლახაკნი არ არიან, — გამოექომაგა სოკრატე თავის მოწინააღმდეგეთ, — ისინი თავიანთ ცოდნას ჰყიდიან.

— იმათი ცოდნა რა საყიდელია, შეხიმც დამეცეს მაშინ! ხელშიაც არ აიწონება...

— ის ხან იმ ქონებაზედ მეტი ღირს, რაც ხელში აიწონება, — აგრეთა აგრეთ, ათენის მოქალაქე! — შეედავა სოკრატე.

— მორჩი დაცინვას, ბებერო! ჰო, ათენის მოქალაქე ვარ, მერე რა? რა ვიცი, რაღას არ დაგვპირდნენ! ყველაფერი ქარს გაჰყვა — ისე, რომ უსმენ ქარგია. ცოტათი მაინც გრძნობ — ვილაცა რაღაცას აკეთებს, რომ ათენს უკეთესობა დაეტყოს...

— მერედა, იცი, რა არის მაგისტვის საქირო? — ცოცხლად შეაწყვეტინა სოკრატემ.

— აბა საიდან მეცოდინება? ეს იმათი საქმეა — ათასი რამის გამოგონება, ჩვენი კი არა. ჩვენი საქმე მიწაა, და არა ფულის ანგარიში.

— ჰესტიას მადლობა! შინაურ კერასაც, ცხვრის ფარასაც და მიწასაც გემრიელი სუნი აქვს! ეჰ, რა დროება იყო, გარშემო სულ ოქროსფერი ქერი მიბიბინებდა.

— ცოტა იქით კიდევ ყურძნის ლურჯ მტევანთ თვალი ეპარებოდა, მწვანედ ხასხასებდა ზეთისხილი... ეჰ, გახსენებაც კი გულსატკენია! ცეცხლი, ალი — ცარიელი ფერფლიდა დარჩა... წყვეული სპარტელნი!

— დაბრუნება რა, აღარ შეგიძლიათ? — ჰკითხა სოკრატემ.

— სხვის მიწაზედ? ის ხომ რა ხანია ჩვენი აღარ არის, ჩალის ფასად გაყიდვა მოგვიხდა, რომ შიმშილით სული არ ამოგვძრობოდა. სქელჯიბიანნი, რომელთაც ყველაფრის ყიდვა შეეძლოთ, ბლომად მოგვაწყდნენ, რომ დავფიქრდები, ჩემი ქერი ვისთვის ბიბინებს, გული მეკუმშება...

უპოვართა ჯგუფიდან კიდევ ერთმა წამოიწია.

— დროა, მეც ჩემს გზას ვეწიო, პატრონთან წავიდე, — წელში მოხრილს პირიდან სიტყვები ძლივს ამოსდიოდა.

— როგორ პატრონთან? — დაინტერესდა სოკრატე, რაზედაც მეორე უპოვარმა მიუგო:

— რა გაგკვირდა? პატრონთან მიდის, სასამსახუროდ. დღიურ მომუშავეა.

— ათენელი ათენელს ემსახურება? — შეძრწუნდა სოკრატე.

— აბა რა ვქნა? სხვა გზა არა მაქვს.

— მოქალაქის ღირსებას კარგავ?

ლატაკი — ბრაზით:

— შიმშილსა ვკარგავ! აი ამ ზურგით გადმოვზიდავ მთელ ტვირთს იმისი იალქნიანი ნავიდან, და ჩემი ოჯახიც დაკარგავს შიმშილს.

ანიტეს სახლის პერისტილიდან გაისმა კითარის ჟღერა, სიმღერა. პერისტილში გამავალ სასადილო სამყოფელში ქეიფია გაჩაღებული. ნუგბარ-ნუგბარი საზრდელის სუნი კედლის ზემოდანაც კი აღწევს.

ამ ათასგვარი გემრიელი სუნის მიხედვით უპოვართ ზეპირად იციან, რაც ხდება იქ, და, რაც მთავარია, რას მიირთმევენ იმ სახლის ბინადრები.

— ახლა ტყისქათამი შემოიტანეს, კვერცხისგულით *სამრტენძლი*, — თქვა სოკრატემ.

— შენ მართალი ხარ, ბებერო. მართლაც ტყისქათამია, ჩვენ, ნაგუთნისდედართ რომ სუნი ვიცი, გასაკვირი არ არის. შენ საიდანღა იცი?

— ლხინის სუფრებს არც მე ვაკლდება.

— აჰა, დგახარ ალბათ კარებში და პომეროსის ლექსთ კითხულობ ხოლმე, არა!

— არც უმაგისობაა, — გაიცინა სოკრატემ.

— პანის ვაცსა ვფიცავ, ნერწყვი მომადგა!

— მაგრა ცხოვრობს, არა?

— ვინ?

— ვინ და... ანიტე! ხალხის ბელადი! ჩვენი ბელადი.

— ჰა-ჰა! ჩვენი! თავი მოაქვს ეგრე, ვითომ ჩვენი! სასაცილოა, პირდაპირ კრატინეს კომედიია!

— ტყავის სუნად ყარს, რაღა ეგა და რაღა სათრიმლავი! აი მაგის ტყავის ძრობას როდისა ვნახავთ?

— გაძნელდება. უჩივლე რა! თავისი თავის მსაჯული თვითონვე იქნება. უკეთესია, ენას კბილი დააჭირო.

სოკრატემ წართქვა:

— მე ვიცი ერთი ძალა, ძალიან დიდი ძალა, მაგისთანა დიდ კაცსაც რომ დასცემს, აოტებს ანდა მოაკვდინებს.

— მაგისთანა რა ძალაა, ბრძენკაცო? მეც ვიცი თუ არა?

— იცი, განა ვერა გრძნობ კერძების იმ ათასგვარ სუნში, კედლებშიც რომ ატანს? ის ძალა კაცის საზღვარგადასულობაა. ყველა მონობაზედ უარესად იმონებს ძალა იგი ადამიანს.

— შენცა თქვი რა!

— დაიცა: ახლა იქ შემწვარი ქამბალა შემოიტანეს, — თქვა სოკრატემ.

— ქამბალა არა, გამბალა! ცხვირზედ ხელი მოიჭირე, მსუნაგო! მაინც რანაირად იმონებს ეგ საზღვარგადასულობა ყველა მონობაზედ უარესად?

— რანაირად და, ვნებათა მონად აქცევს. ის ვნებანი კი ადამიანს მანამ არ ეშვებიან, სანამ უბედურებას არ შეამთხვევენ... — აქ სოკრატემ ჰაერი იყნოსა და პირი გააწკლაპუნა. — ძაღლსა ვფიცავ! ახლა მონათ სუფრაზედ ჩინებულად შებრაწული გოჭები შემოაქვთ...

— ო, ზევსის ელგავ! — ვერ მოითმინა ბირონმა. — შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს გუშინაც ის გოჭები გეჭამოს. წყვილ ხარზედ სანაძლეოსა ვდებ, თუ ოდესმე გემოთი მაინცა გქონდეს გასინჯული.

სოკრატე ღიმილით შეესიტყვა:

— შენი ავლა-დიდება და მამულები დაკარგული რომ არა გქონდეს, წყვილ ხარს ხალხად წავაგებინებდი.

— ნუ მაგონებ ყოველ წუთს ჩემთა მამულთ. ნიშნს ნუ მიგებ, თორემ თავს ვერ შევიკავებ და ეგრევე შევუვარდები იმ ღორმუცელას, იმას...
ქსირონმა წყნარად წააქეზა:

— ჩემი ყოფილი მონის შვილი ახლა ანიტეს მონაა, იმან მითხრა: ჩემს პატრონს ქვეყნის ფული აქვს შენახული, მაგრამ მაინც უნდა დაჩაბავსო... იმ ფულით ასი კაცი მთელი სიცოცხლე იცხოვრებდა...

სტუმართ კამეს, სვეს და წავიღნენ — ანიტეს ჩვეულებად არა ჰქონდა ნასადილევს ფილოსოფიური მუსაიფი, არ წასულა მხოლოდ ახალგაზრდა პოეტი მელეტი, ანიტეს შვილის — უმცროსი ანიტეს მეგობარი. მელეტი ყოფიერ-ამაყურად გაიჭვიმ-გაიჭიმა და ნამთვრალევი ხმით დაუწყო თავის ახალ ლექსთა კითხვა მეგობარს. უმცროსი ანიტე, რომელიც პოეტზედ ცოტა უფრო მთვრალია, იმის ლექსთა გაგებაში არ არის; მაგრამ სოკრატე საჯაროდ ამას-ხრებდა იმ ლექსთ, და უმცროს ანიტესაც მეტი არ უნდა. პოეტის ხმა ბუზის ბზუილად ჩაესმის, რა უბრალო ვინმეა, ფიქრობს უმცროს ანიტეზედ მელეტი, არც კი ღირს, რომ კაცმა ლექსნი უკითხოს. თუმცა, ჯანდაბას, ტყუილად მაინც არ ირჩება...

— შეამჩნიე, ძვირფასო ანიტე, როგორ ვცვლი მეტრს? სამ სპონდეს ენაცვლება დაქტილი. ეს სიახლეა, არც ერთი პოეტი ჩემამდე...

— არცა შენ შემდეგ, — ძლივს მოიბრუნა ენა მთვრალმა ანიტემ. — შენ იწყებ ახალ ერას... თუ მოდაა?

მეტყავის შვილი მარმარილოს სავარძელში იჯდა, უცხოდ შეფერილი მელიის ტყავი რომ ჰქონდა გადაკრული; მან ზანტად დაუბრუნა მონა ქალს სუნამოიანი პატარა შუშა:

— არ მინდა მეტად სუსტი სუნი აქვს, პირდაპირ უბიწო. — და მონა ქალს თითი იტაკა მუცელში. — რას ხითხითებ? უბიწობა რომ ვახსენე? მე რე შენ რა? მეორე მოიტა, ცოცხლად! — მონა ქალმა მეორე შუშა მიაწოდა. — ეს მეტად მძაფრია. არ მინდა, სხვა მომეცი!

მელეტი ანიტესკენ მიბრუნდა:

— რა წუნია ვინმე ხარ, ძვირფასო ანიტე... თუმცა არა! ჩვენს დროში წუნიაობა ამადლებული ბუნების ნიშანია...

— აი, შე კიკინა ვაცო შენა, მე შენთვის ვარჩევ!

მელეტი გაუბედავი ნაბიჯით მიუახლოვდა, თავისი წყალწყალა თვალებით დაუწყო ბურღვა ანიტეს. მე ვარ კიკინა ვაცი?... მაგრამ წყენა არ გამოუხატავს.

— მოიტა ერთი, გლიკერია, არაბული ნელსურნელება. შენთვის ზედგამოჭრილი იქნება, მელეტი, ცხრანაირი სუნი აქვს... მიდი, გლიკერია, დედაჩემის საწოლში ნახე. ცოცხლად!

მონა ქალმა, სიჩქარეში რაც უცებ მოხვდა, იმ შუშას დაავლო ხელი და გამოარბენინა ქალბატონის საწოლიდან, მაგრამ შუშაში ვარდის ზეთი ესხა, ანიტე კი ვარდის სუნს ვერ იტანდა... დაყნოსა თუ არა, ისე გაისროლა ვარდისზეთიანი შუშა, რომ იატაკის მარმარილოზედ ნამსხვრევებად იქცა.

— სულელო, თხავ, ეს ვარდია!

გლიკერია იატაკზედ დავარდა. არც უფიქრია, რომ შუშის ნამსხვრევებზედ დაიჭრებოდა, ისე დაუწყო ძვირფას ზეთს ხელისგულებით მოგროვება, თან სახეზედ, მთელ ტანზედ ისვამდა...

მელეტმა თვალები დააჭყიტა:

— ვარდის ზეთის ყოველი წვეთი, ღმერთმა უწყის, რამდენი ვერცხლი ღირს, შუშა კი საგსე იყო... ათასები...

— არაფერია, — ანიტემ ყიფურად ჩაიჭნია ხელი. — ვარდის სუნი ისევე მძაგს, როგორაც მამაჩემის სათრიმლაგის სუნი. მთელი სახლი აყროლდა... ჩვენც ამ საძაგლობით გავიყვინით, მყრალი სუნი გვდის...

მელეტმა მლიქვნელური ღიმილით შესციცინა, თითქოს ეუბნებოდა, არა, სულაც არა დგას სუნით; ამასთან გაიფიქრა, რომ სახლი მართლაც დაუბუშავებელი ტყავის სუნადა ყარდა, სამაგიეროდ ანიტეს ვერცხლს არ ასდიოდა სუნი.

— ო, რა სუნია! ზევსის ელვას ვფიცავ, ასეთი სუნი იფრქვეოდა ოდესღაც ჩემს ბაღში, როცა ვარდები...

კედლის გარეთ კაცნი ხარბად იყნოსავენ, პირში ჩასადები არა აქვთ რა, ვარდის სუნით მაინც დაძლნენ!

უყურეთ ერთი! მონანი ჭიშკარს აღებენ, გამოდის ანიტე-უფროსი, განზრახ უბრალოდ ჩაცმული, თითქმის ღარიბულად. მაგრამ იმისი მოძრაობა და წარმოსადგობა სრულად შეეფერება ათენის ერთერთ უმაღლეს მმართველს. კედელთან თავმოყრილ ღარიბთ რომ მოჰკრა თვალი, ანიტემ უცებ მიხურა ჭიშკარი და არ გაჩერებულა, ისე მიესალმა ხმაშალლა:

— სალამი, ათენელნო!

აღტაცება, ტაში, შეძახილები:

— გაუმარჯოს ანიტეს! ცაცხლობდეს ხალხის ბელადი დიდება დემოკრატო!

ანიტე თვალს მიეფარა, და მაშინ აენტო ბირონი:

— ზურგს უკან აგინებთ, გამოჩნდება, და ტაშს უკრავთ — გმირები ვართო, თქვენ უნდა თქვათ! დამბალნი ხართ!

— შენც ხომ უკრავდი! დაგინახე! — აღშფოთდა ქსირონი.

— აბა როგორ! რომ არ დამეკრა, შეამჩნევდა, და მერე გენახა! მაგრამ უნდა გაუწყოთ, რომ სულაც არ დამიკრავს. მხოლოდ მოვაჩვენე.

ნელა მიაბიჭებს ანიტე, ხალხი თავს უკრავს. უბოვარნი წამოიშლებიან, საზოგადოებრივ სამზარეულოში მისდევენ. სოკრატეც უკან მიჰყვებათ.

— ყოჩადო, დემოკრატნო! — ამბობს ქსირონი, თითქოს თავის ელ მოდგინებას ამართლებდეს. — შექამანდს მაინც გვაძლევენ! არისტოკრატნი სულ ფეხებზედ დაგვიკიდებდნენ.

— კარგი, ქსირონ, ფრთხილად იარე, შენს ქებას ფეხი არ წამოჰკრა. ხალხის ბელადთ ყელში ამოუვიდათ ყველაფერი და გადმოუვიდათ კიდევ! საზღვარგადასულობა სჭირთ! აი რაზედაც ეს ბეჩაფი ლაპარაკობდა, — სოკრატეზედ უჩვენა. — ეგენი უზომობის ოსტატები არიან: თვითონ უზომოდ მირომევენ, ჩვენთვის კი უზომოდ ცოტას იმეტებენ...

კაშკაშა ცეცხლით ანთია ფიჭვის მუგუზლები, მზარეულნი ქვაბთ ურევენ. დემაგოგნი მუქარე და სუსია, რიტორი ლიკონი შეჭამანდს გემოს უსინჯავენ, პირს აწკლაპუნებენ — ნუგბარიაო! ყველანი ანიტეს ელოდებიან.

აი ისიც: დიდის ამბით მოაქვს ძველ ჰიმატიონში გამოხვეული გვამი. მეგობართ თავს უკრავს და ქვაბებთან მიდის. გასინჯა, ფიჭონად მოჭუტა თვლები, ტუჩები მოილოკა, ისევ გასინჯა.

— ჩინებულია, მზარეულნო!

ის თვითონ იღებს ჩამჩას, უსხამს პირველ მშიერთ.

— ძალსა ვფიცავ, ტყუილს უბნობს ეს გაჭირვებული! — ლულულულებს ქსირონი. — ისევ რაღაც ნარეცხია! — მაგრამ აქ ანიტეს მკაცრ მზერას ეჭვებს და დუმდება, რათა წუთის შემდეგ განაცხადოს:

— ო, რა კარგი რამეა! ძალიან კარგია! ჩინებულია! დიდება ანიტეს! დიდება დემოკრატის!

ანიტეს საოცარი მეხსიერება აქვს. ყველას სახელით უხმობს. ცოლ-შვილის, ავადმყოფი ძმის ამბავს ეკითხება. ნამდვილად ხალხმოყვარეა. მერე რა კარგად განარიგა: თავს დაუქნევს პრიტანს, და ისიც მაშინვე წინ გამოდის, კერძის მომლოდინე ღარიბთ უკითხავს იმ უქონელთა სიას, რომელნიც, წილის ყრით, ხაზინიდან დახმარებას მიიღებენ. ამასთან დასძენს, დროთა განმავლობაში ასეთ დახმარებას ყველა მიიღებსო. ბედნიერი ლატაკნი ზეიმობენ. კვლად ხალხის ბელადთ აღიღებენ.

ანიტე ქვაბთ თავზედ დასდგომია, მკერდი ამაყად წინ წამოუწეგია. ბრწყინვალე იერი აქვს. ეტყობა, სიტყვის წარმოთქმას აპირებს, და მისი თვლები სოკრატეს თვლებს ხედებიან. პირდაპირ სუნთქვა შეეკრა: სოკრატეს თვლებში ველარ დაინახა ჩვეულებრივი მხიარულება, ალერსი. თუმცა სიმრგვალე შერჩენიათ, იჩხვლიტებიან. ანიტემ ანაზღად დაუშვა ხელები, მაშინვე დაკარგა ლაპარაკის ხალისი. აქ რა უნდა ამ გაიძვერას? ნუთუ შეჭამანდისთვის მოვიდა? გამორიცხებულია. ესეგვარად თავს არ დაიმცირებს. მზვერავს? ალბათ აგრეა. საკმარისია — სიტყვა დავძრა, რომ სასტიკად დამცინოს, მაგრამ რატომ არის აქ, ამ კაცუნათა თანა? რა აქვს ამათთან საერთო? თავადაც გუდამშიერი, ვითარცა ესენი არიან, — ჩვენზედ, დემაგოგთა თავაშვეებულ ცხოვრებაზედ ხომ არ ჩამოაგდებს სიტყვას? არა მგონია. ისიც სავსებით საკმარისია, რომ თავის ძონძიანად აქა დგას და ასე გამომწვევად მიყურებს...

სოკრატეს მზერა კიდევ უფრო მსუსხავი გაუხდა. ანიტეს მუხლები და ხელები აუკანკალდა. აღარ იცის, რა ქნას. სული ყელში მოებჯინა. ღმერთნო, ყველა ეს ხალხი ხომ ხმებიან! ხმები სასამართლოზედ, ყოველგან, სადაც საქმე ხმის მიცემით წყდება, მეტადრე არჩევენებზედ! უცილოდ უნდა გამოვიდე ამ ხალხის წინაშე!

სულწასული ბრბო სულ უფრო და უფრო დრტვინავს. ანიტეს კი კრინტი ვერ დაუძრავს. ათასი ცერბერიმც სტაკებია ამ ოხერ ბერიკაცს! რა საშინელი ძალა ატყვია გამოხედვაში თითქოს ერთიანად მომნუსხა... მაგრამ ანიტე მაინც იკრებს ძალას:

— ჩემო ძვირფასო მეგობარნო, როგორაც ათენელ დემაგოგს, თქვენ წინაშე გამოსვლა მინდოდა. — ორატორის გამოცდილება დაეხმარა, რომ სათანადო კილო გამოენახა. — მაგრამ ეს-ეს არის შემატყობინეს — საჩქაროდ უნ-

და წავიდე ბულგევეტერიონში ერთ მნიშვნელოვან თათბირზედ. ასე რომ დღეს უნდა მამატიოთ. გისურვებთ კარგ მადას. ჰაირეტე, მეგობარხო.

ბრბო საგონებელში ჩავარდნილი დუმს: რა უნდა მომხდარიყო? ანიტე საჩქაროდ გადის და ზურვს უკან ესმის სოკრატეს ესდენ ნაცნობი სიტყვები.

მეგობარხო
მეგობარხო

ოცდაათთა დამხობისა და ათენში დემოკრატის გამარჯვების მეოთხე წლის თავზედ ხალხის წინაშე სიტყვას ამბობს დემოკრატთა მეთაური დემავოგი ანიტე. ენა ვერ გამოუგია, უჭირს ლაპარაკი, თუმცა გამოცდილი ორატორია და იცის ხალხურ ყაიდაზედ მეტყველების ყადრი. მავანთაგან და მავანთაგან დაჭრილი ჩვენი საზოგადოება მიძიმედ იშუშებს კრილობებსო, ლაპარაკობს ანიტე და თან სულ სხვა რამ აზრი ეპარება ნათქვამში: რა სწრაფად ვესება ქისა — მონათმფლობელობის ქისა...

— ჩვენ ხალხმა აგვირჩია, ათენელხო, ყველაფერს ვაკეთებთ ხალხისთვის, ხალხის ბედნიერებისთვის, იმისი სიკეთისთვის, ათენის აყვავებისთვის. — წყალ-წყალა ტაში, და ანიტე უცებ განაგრძობს: — ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში დღითი დღე უფრო საამური ხდება...

— დაგვიბრუნეთ ჩვენი კარ-მიდამო, ჩვენი ზოდაბუნები!

— ჩვენ მოვითხოვთ!.. მოვითხოვთ!..

დღესაქამომდე ათენში ვერაფერს გაუბედავდა ორატორს სიტყვის შეწყვეტინებას. ანიტემ შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— მოთმინება იქონიეთ, ათენელხო! ჩვენ დავუბრუნებთ ათენს ოდინდელ დიდებას, სიმდიდრეს და ძლიერებას...

— რანაირად?! — შესძახა ვილაცამ.

მეორემ:

— როდის?!

ანტინემ არასასიამოვნო კითხვანი უბასუხოდ დატოვა.

— ხალხი უზენაესი შეუფეა ყველა ჩვენი საურავ-საკარგავისა, ჩვენი და თვით კანონისა...

ამის თქმა იყო და, ანიტეს მოეჩვენა, რომ ბრბოში სოკრატე იდგა. იმისი დიდი თვალების დაფინებული მზერა მოელანდა.

ანიტემ ახლა ბრბოს მეორე მხარეს შეავლო თვალი — საშინელებაა! იქაც სოკრატეა, ანიტე ხედავს იმის დიდ თვალებს, დაფინებით რომ უმზერენ. ისეთსავე გამჭრიახს, როგორიც იმას. პირველ სოკრატეს რომ ჰქონდა... საითაც არ უნდა გაიხედოს, ანიტე ყოველგან სოკრატეს და იმის დიდ თვალებს ხედავს.

— ათენელხო, ქალაქის აყვავება... თქვენ ხელთ არის... არჩევის უფლებები... კენჭისყრა...

ანიტე შიშმა მოიცვა. ესმის ლიკონის ჩურჩული:

— მორჩი მალე!

რამდენიმე დვლარჭილი სიტყვით ამთავრებს ტირანთაგან ქალაქის განთავისუფლების მეოთხე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ქადაგებას და ხალხს ეპატიჟება, საღამოს პრიტანეუმში მიბრძანდით, იქ სუყოველ კაცს ღვინით გაგიმასპინძლდებიანო.

ათენელნი და ჩამოსულნი მიპატიჟებას უჩვეულოდ ცივად იღებენ.

ბრბო იმედგაცრუებული იშლება. ისევ ცარიელი დაპირებები, ბაქიობა, სიცრუე...



ქართული

ანიტე საბჭოს დარბაზში ზის, შუბლს იწმენდს, საიდუმლოდ წყურჭურჭლით ჩამოსდის ოფლი.

— ცუდად ხარ, ანიტე? — ეკითხება ლიკონი.

დემადოგმა კითხვითვე მიუგო:

— ბრბოში სოკრატე თუ დაინახე?

— არ დამინახავს.

უყურე ერთი! ტყუის. უნდა დაენახა.

ლიკონმა მიმოიხედა — მარტონი თუ ვართო — და წართქვა:

— შენ გჯერა, რაზედაც ილაპარაკე? გჯერა? გწამს ახალი აყვავება?

— ცხადია, — წარბი შეიკრა ანიტემ.

— ჩვენ აქ მარტონი ვართ, — ცივად მიუგო ლიკონმა.

ანიტე ახლოს მიუჩოჩდა, ხმას დაუწია:

— აბა, რა ვუთხრა ხალხს, მალე საქმე სამოწყალოდ გაგვიხდება-მეთქი?

პერიკლე — და ჩვენი ფიქრიც საშინელია. აბა, როგორ გავუმხილო ხალხს, რომ ჩვენი ხაზინა ცარიელ-ტარიელია? რაც შეგვიძლია, ვწურავთ გადასახადთ უცხოელთ, ვაჭართ, ცოტაა თვით ის ბაეიც, პირეოსში რომ ვახდევინებთ...

ლიკონის სახის გამომეტყველებას ადევნებდა თვალს, და მოეჩვენა, რომ იმის სახეზედ ეჭიდნური ღიმილი გაჩნდა. წამოხტა:

— ვინდა ბრალი დაგდო, რომ არაფერში არ გვეხმარები, პირიქით, სახელმწიფოს ძლიერებისთვის ძირის გამოთხრას ცდილობ?!

წამოხტა ლიკონიც, აღშფოთებით შეჰყვირა:

— რაო? ძირის გამოთხრას ვცდილობ? მე?

— თქვენ, სოფისტნი, უკვე მრავალი წელიწადია — სრულ თავისუფლებას ითხოვთ. აი ხომ გაიგონე, როგორ მაწყვეტინებდნენ ყვირილით? წინათ ეს როდის მომხდარა? ყვირილიდან მოქმედებამდე რა, ვითომ შორია? პირველად ვხავდათ ეს ჩამოსული სოფლის ხალხი, ქალაქის ღარიბობაც. მერე, როცა დავთვალეთ, და ბევრნი აღმოჩნდნენ, უკანალის ლოკვა დაუწყეთ, ქვეყანას ამცნეთ თქვენი კეთილი შეგონებანი — რაც ადამიანს მოესურვება, ის უნდა ქნასო! და მართალი ის არის, ვინც ძლიერიაო... ო, ჯოჯოხეთის დემონო! აწ ყველა დგას და აფურთხებს კანონთ! მერედა, რა გამოდის? ბრბოს მხარდამხარ თქვენაც იმის მტკიცებაში ხართ, დემოკრატის ვებმარებითო. საქმით კი წინააღმდეგნი გამოდიხართ!

ლიკონმა თვალეები გადმოკარკლა:

— ოლიმპის მბრძანებელო! აგრე რიგად რას ჩამაცივდი, ძვირფასო? კაცი იფიქრებს, თითქოს შენ თვითონ იცავდე კანონთ!

— მაშ როგორ? — შეუღრინა ანიტემ. — განა ვარღვევ?

ლიკონმა ცბიერად გაიღიმა:

— ეგ შენ უკეთ მოგეხსენება. მაგრამ ხალხი ფიქრობს, რომ ხალხის გამგებლობა ხალხისთვის ზრუნვას ნიშნავს.

ანიტემ აღელვებით აუწია ხმას:

— აბა რა ვქნა? ავდგე და ისევ დავუბრუნო სუყველას თავ-თავისი მიწები? კიდევაც უნდა უხაროდეთ, რომ ჩვენ ეს მიწები შევისყიდეთ — ხალხმა რაღაც მაინც მიიღო. სხვათა შორის, ლიკონ, შენც ჩინებული საზოგადოებრივი მოიგაჭრე...

ლიკონი თვითკმაყოფილების იერით გაიჭიმა.

— დიახ, ჩემი დამსახურება ეგ არის! ახალი სოფელში ვაქრობო, საქონელი მოვაშენე, მიწა დავამუშავე, ზეთისხილი ვაზარე. საზოგადოება ჩვენი მადლიერი უნდა იყოს, ჩემისთანა ლიკონებისა, იმისათვის, რომ უდაბნო გავაცოცხლებთ და ათენსა ვკვებავთ!

— მართალია, — დაეთანხმა ანიტე. — მაგრამ რაკი ეგრეა, ჩვენგან რაღა გინდა? ჩვენ რა, სახრით დავტიშოთ ქალაქიდან ეგ პარაზიტნი? ეს იქნებოდა, შენის აზრით, ხალხისთვის ზრუნვა? სად ვუშოვნოთ იმათ ობოლოსნი, არ გვეტყვი? აბა ამდენ მშიერ-მწყურვალს რა სახელმწიფო ხაზინა ეყოფა?

ლიკონი მაინც კარგ სახადელზედ იყო.

— ხედავ! მაინც მოვილაპარაკეთ. ათენი გატენილია მშიერებით, შენ კი ამბობ, ხელს ვერ აღვუპყრობო. სიძვირე მატულობს. ყველაფერს ფული უნდა, მევახშეთა სარგებელი ცამდე ავარდა...

— ეგ რა გადაშკარი, ფული რომ გასესხე? — შეაწყვეტინა აჭარხლებულმა ანიტემ. — მერე ქალაქს არ დავებმარე? იმ სარგებლით ჩვენი წლის მოსავალი არ მოვიყვანეთ?

— ცხადია, ცხადი, საყვარელო, — ტკბილად მიუგო ლიკონმა. — ფული, იცოცხლე, კიდევ დამჭირდება. საძოვრები უნდა ვიყიდო დამატებით.

ანიტემ შუბლი შეიკრა.

— მაგისტვის ახალ სესხსაც არ დაგიჭერ, საქვეყნო საქმეს არ ელაღტების. — ამოიოხრა. — მერწმუნე, მე თვითონაც გული მტკივა, რომ ამდენი ჩვენი მოქალაქე მედღეურედ იქცა... იძულებულნი არიან, რომ ქირით უმძიმეს სამუშაოზედ იარონ, და უფრო შავი დღე აყრიან, ვიდრე ჩემთა მონათ.

— ეგ მართლაც სამწუხაროა, — მოიღუშა ლიკონი. — რას ვიზამთ, ასეთნი ვართ — მონათ ჩვენ უფრო ლმობიერად ვეპყრობით, ვიდრე სადმე სხვაგან. უცნაური ამბავია — თავისუფალნი გაცილებით უარეს დღეში არიან... და ხშირად ვეკითხები ჩემს თავს: ხვალ რა მოხდება-მეთქი? ვითომ არ აგვეშლებიან?

— აი სწორედ მაგისტვის გისაყვედურებთ უფრორე მეტად თქვენ, ორატორთ. სულ თქვენი სოფისტიკით წუწუნებთ... რას ავრცელებთ ხალხში? ვითომ სასარგებლოს რასმე? არა მგონია! თქვენგან მხოლოდ ჩივილი ისმის, სულმოკლეობა, უიმედობა, სასოწარკვეთილება. ყოველთ, ვინც თქვენ ემენტ, ქვეყანას შავად წარმოუდგენთ, და ისინიც სხვას ვერცრას ხედავენ არასობის წყვედიადისა გარდა. ძალა შეგწევთ მხოლოდ ნგრევისა, არა შენებისა. ავტორიტეტთა წინაშე უპატივცემლობას აღძრავთ. მერედა, რა მოჰყვება ამას? რა და, დაშლა და ნგრევა, რაიც ოდესმე ყველას დაგვლუბავს.

ანიტე გაჩუმდა, დაქანცული სახით დაეშვა სავარძელში. ლიკონი არ დამჩდარა, ზემოდან დახედა და თანაგრძნობით უთხრა:

— სული მოითქვი, ანიტე. აბა შენისთანად სხვა ვინა კვებავს ხალხს სოფისტიკით!

ლიკონმა თავისთვის გაიფიქრა: ერთხელაც იქნება ჩვენ ერთიმეორეს ყელში წავეტანებით, მაგრამ ახლა სხვა საზრუნავ-საფიქრალი გვაქვსო. და

სოფისტმა სოფისტიკას მიმართა:

— შენ აღელვებული ხარ, საყვარელო ანიტე. ვითომ რატომ? გაჩუმდა და თვითონვე უბასუხა: — იმიტომ რომ ბრბოში ის კაცი დაინახე, რომელიც სამარეს გითხრის, — სოკრატე.

ანიტე შეწრიალდა: უეცრად მიხვდა. რარიგ მართალი იყო ლიკონი.

— რას ამბობ, ლიკონ? შენ ალბათ იმის თქმა გინდოდა, რომელიც მამცირებს, ჩემს უმეცრებას დასცინის, ყველას ჩემს შვილზედ უთითებს როგორც გარყვნილების საშინელ ნიმუშზედ. შენ კი მეუბნები, რომელიც სამარეს გითხრისო.

ლიკონი ანიტეს პირისპირ დაჯდა და მეგობრულად გაუღიმა:

— კეთილი, არ გედავები, მხოლოდ ერთ ადგილს დავიმოწმებ სოკრატეს იმ სიტყვიდან, რომლითაც ღარიბთ მიმართა — შემთხვევით მოვისმინე. სოკრატე ესეგვარად უბნობდა: „ათენელნო, მე არც მათემატიკოსი ვარ და არც ეკონომისტი, რომ დავიანგარიშო, რამდენად მდიდრდება სახელმწიფო ხაზინა და რამდენად სჭელდება ამავე დროს რომელიმე დემაგოგის ქისა. მე უბრალო კაცი ვარ. მაგრამ მხედველობას არ ვუჩივი — ხედავთ, რამხელა გადმოკარკლული თვალები მაქვს?“

სოკრატეს თვალების ხსენებაზედ ანიტე კანკალმა აიტანა. ლიკონი კი სოკრატეს სიტყვის გადმოცემას განაგრძობდა:

— „სმენაც კარგი მაქვს. მე მესმის, რასაც გვპირდებიან დემაგოგნი. შემდეგ კი, რასაც ხალხი ამბობს ამ დაპირებათა შესრულებისა გამო. მე თხუნულა ვარ, მიწისქვეშ ხვრელნი რომ გაჰყავს. მეხი ვარ, მაღალ ხეთ რომ ეცემა. ქარი ვარ, ნისლს, მტვერსა და ღრუბელს რომ ფანტავს, ჰაერს რომ სწმენდს. ჩემი ბრალი არ არის, თუ ზოგ ვინმეს ქარისა და მეხისა ეშინია. მე, ძვირფასნო, ხილვასა და სმენას გასწავლით, ოღონდ ამასთანავე გასწავლით აზროვნებასა და შეპირისპირებას...“

ანიტე ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ თავი მშვიდად დაეჭირა. ლიკონი კი განაგრძობდა:

— ეს უყო კერამეიკონში ამას წინათ. — იქაურ მეთუნეთ მიმართავდა. ვუსმენდა და ვხედავდი, რა ზეგავლენასაც ახდენდა წვრილ ხელოსან ხალხზედ, ჩვენს დროში თავის გატანა რომ უჭირს.

— კიდევ რას ამბობდა? — ვერ მოითმინა ანიტემ.

ლიკონი განზრახ გულგრილი კილოთი განაგრძობდა თავისი სიცრუის ხლართვას:

— სწორედ შენზედ ლაპარაკობდა. იმაზედ ლაპარაკობდა, რომ შენი შვილი ფუფუნებაშია ჩაფლტული, თითქოს სამეფო გვარის შთამომავალი იყოსო, ამავე დროს კი ჩვეულებრივი მეტყავის შვილია, რომელიც სხვათაგან ოდენ იმით განსხვავდება, რომ ზანდუკი ვერცხლითა აქვს გამოტენილიო.

— რა უნდათ ჩემგან?! — კარედ შესძახა ანიტემ. — ნუთუ მეც უნდა გავლატაკდე იმისა გამო, რომ ათენი სავსეა ღარიბ-ღატაკი ხალხით? ქალაქში უსაქმურთა ბრბოებია — რა ვქნა, მივატოვო საქმე და იმათთან ერთად ვიგორავო სანაგვეთა ზედანი? ან არადა, ვათავისუფლო მონანი და ამით ვამრავლო რიცხვი უბედურთა, რომელთა თავშესაფარი არცხად გააჩნიათ? ხომ არ უნდათ, რომ სახლი დავაგდო და ტილიან უბირთ შევერიო სადმე თავვეებითა და ვირთაგვებით სავსე სოროში?

— ეჰ, რა იოლად ცხარდები, საყვარელო ანიტე. მე მართო ის გითხარი. რაც მოვისმინე, სულაც არ მინდოდა შენი წყენინება...

— შენ იქნებ არ გინდოდა. მაგრამ იმ ცრუბენტელს მაწანწალა სოკრატეს ხომ უნდოდა ჩემი მშვენიერ ცხურობა, ჩემთვის ნაწილაკების დაყრევინება... რა უძლური ვარ იმის წინააღმდეგ, ხალხის საყვარელი ფილოსოფოსის წინააღმდეგ!

ლიკონმა მხრები აიჩეჩა, ხელი ჩაიქნია და წამოდგა.

— ხალხში ფუხელის დროა, დღესასწაულია, სხვა არა იყოს რა... ანტიემ ხელსგულებში ჩამოისვან სახეზედ, თითქოს დაბნეულობა უნდა ჩამოიბანოს, მდიდრული მოსასხამის კალთა მარცხენა მხარეზედ გადაიგდოს და პირველი გამოვიდეს.

ისინი პორტუეფი ფაფუნენ, აგორაზედ, შორიხლო, კოლონასთან, შეჯგუფებული ხალხის წინაშე ხიტყვას ამბობდა ვილაც კაცი — ჯმუხი, ფეხშიშველი, მელოტი, ვაცვეთილი პიმატიონო ემოსა. ანტიე შევრთა, სხვა მხარეს წავიდა. მაგრამ სხვა მხარესაც ის ფეხშიშველად, მელოტი, ჯმუხი მოხუცი დაინახა, რომელიც ახლად სხვა შეჯგუფულთ ესაუბრებოდა. ანტიე შეყოფმანდა. გაუბედავად შეჩერდა. ლიკონს მიუბრუნდა.

— რა იქნება, ჩვენც მოვიხილოთ ამისი განთქმული სამეანო ხელოვნება! სახეები მოსასხამებით დაიფარეს და ყური მიუგდეს. ძლიერი ხმა ქუხდა:

— მე თხუნელა ვარ, მიწისქვეშ ხვრელნი რომ გაპყავს. მეხი ვარ, მაღალ ხეთ რომ ეცემა, ქარი ვარ, ნისლს, მტვერსა და ღრუბელს რომ ფანტავს, პაერს რომ სწმენდს. ნეტავი რისთვის არიან, ათენელნი, ამქვეყნად ისინი გაჩენილნი, ვისაც ქარისა და მეხისა უშინდა?

ორატორი მობრუნდა, და ანტიემ დაინახა — თუმცა სოკრატეს სიტყვებით ლაპარაკობდა, მაგრამ სოკრატე არ იყო.

სოკრატემ ისაუზმა და აკადემეს გიმნასიაში წავიდა. იქ ხშირად დადიოდა მეგობრებთან სასაუბროდ და მტრებთან საკამათოდ.

ლიმნეს დემოსს ჩაუარა, დიონისეს თეატრთან შეჩერდა, ჩაფიქრდა. რამდენი წელი გავიდა მას აქეთ, რაც აქ არისტოფანემ დასცინა თავის „ღრუბლებში“, სოფისტად რომ გამოიყვანა? ოცდაოთხი, ბევრი რამ შეიცვალა მაშინდელ „ღრუბლებსა“ და ახლანდელ ღრუბლებს შორის განვლილ დროში. რამდენჯერ იქუხა ათენის თავზედ! რაერთი მეგობარი დავკარგე! ჩემო ალკიბიადე, რამდენი სისხლი მდენია შენთა უსწორმასწორო გზათა და საშინელი აღსასრულისა, გამო!... ახლად, სხვა საყვარელ კაცთ არ იკითხავთ: პერიკლე, ანაქსაგორა, ევრიპიდე... ყველანი ელისიაში გაიხმო ღმერთმა პადესმა... ამ კაცთა წასვლამ საშინლად გააღარბა ათენი! თდენ მვლა დავრჩი, ბერიკაცი, დავებეტები ქუჩა-ქუჩა, ფურიგებ კაცთ ჩემთა აზრთ და ერთადერთ მიზანს ვესწრაფვი: შევეცვალო ადამიანი, უფრორე უკეთესი გავხადო, ნუთუ ჩემი სურვილისე უზომოა, რომ ესდენ მცირეს ვალწევ?

გზა განაგრძო, და შინაგან ხმას მიაპყრო, ყური თავისი დემონიონი აფრთხილებს: ნუ მიდიხარ აკადემიაში! სოკრატე ისევ ჩერდება: რატომ? რა საფრთხე მელოდება იქ? თუ ჩემი ჯერიც დადგა?... კაცმა რომ თქვას, რატომაც არა? განა არა ვთქვი ყველაფერი, რაც მინდოდა? რაც მინდოდა — ალბათ ყველაფერი ვთქვი, მაგრამ ყველაფერი ვთქვი თუ არა, რაც უნდა მეთქვა? ბევრი რამ წარსულში თქმული, დღეს უფრორე მეტად მოქმედებს და არცა მომავალში დაკარგავს თავის მოქმედებას. დრო უღმობელი მოანგარიშება: განუწყვეტილად აკვირდება ანგარიშობს, რა შესრულდა და რა დარჩა შესასრულებელი ჩემს ანგარიშზედ კიდევ ბევრი. ძალიან ბევრი დარჩა.

სოკრატე აჩქარდა. აუცილებელია დღის სინათლეზე კვლავ გამოტანა ყველაფრისა, რაიცა იქმულა, მაგრამ დღემდე არ აღსრულებულა.

აგორა გადაჭრა, პორტიკის ქვეშ გაიარა და დროშოსისკენ წმინდა გზისკენ გაემართა, რომელიც დიპლონის ჭიშკრამდე გადის, შემდეგ იქით, ქალაქგარეთ, აკადემიისკენ მიიმართება. უკვე ახლოს იყო, რამდენიმე ნაბიჯზედ, როცა თავისმა დემონიონმა ისევ გააფრახილა: იქით ნუ მიდიხარო! სოკრატეს უკვე შეჩერება უნდოდა, ოდეს აკადემიის კარებში მელუტი შეამჩნია ანიტეს შვილთან ერთად. ორივე დიდის მოკრძალებით მიემშვიდობა ფილოსოფოსს. ისიც იმათ შეჰყვება.

ახლა რარივ შეხედნენ ლიკონი და მისნი მიმდევარნი! მლიქვნელური აღტაცებით, მაამებლური ხარ-ხეიმით, ტაშით...

სოკრატე მეგობართ მიესალმა. ვერ შეამჩნია, რაოდენ გონებაწამხდარნი და ფერმკრთალნი იყვნენ ისინი. ვერც ის შეამჩნია, როგორ გადახედეს ერთიმეორეს ლიკონმა, ანიტე-უმცროსმა, მელუტმა და ანტიფონტის მოწაფემ სპეკიონმა, უხმოდ შეთანხმებულთ იმაზედ, თუ ვინ ვის შემდეგ ილაპარაკებდა.

მაღალფარდოვანი სიტყვანი ქებისა, მლიქვნელობისა, მონური მორჩილებისა აცვიუოდა სოკრატეს მელოტ თავზედ.

ლიკონმა პირველმა გამოავი ენა: მან განაცხადა, სოკრატეს პირველობა ყველა ათუნელს შორის უდავოა, რადგან ამისი სიტყვა და საქმე ერთიმეორეს არ შორდებაო. ანიტეს შვილმა, ამ ცბიერმა ვაებატონმა, ოჯახში განებივრებულმა, მანკიერებასა და გახრწნილებაში ჩაფლულმა, სიმართლით დაიწყო: იმ დროს, ოდეს ბევრნი დიდძალ ფულს იღებენ წვრილმანი რამ რჩევაში - თუ ვითარ უნდა წარუმატოს კაცი პირად საქმეშიო, სოკრატე დელფოს ორაკულის მიერ დამოწმებულ თავის სიბრძნეს სუყოველ კაცს უფასოდ ხმღვნისო, იმათაც კი, რომელნიც არ ითხოვენ, ახწავლის, რარივ უნდა გახდნენ უკეთესნი და უფრო ბედნიერნიო...

პლატონს ყურადღებით ეჭირა თვალი, ვინ და როგორ ლაპარაკობდა, - შემსწოთებული იყო. დაინახა - ლიკონმა თვალთ ანიშნა, და სიტყვა სპეკიონმა აიღო, ახალი ფორმაციის თავგადადებულმა სოფისტმა, სოკრატეს ისეთივე მტერმა, როგორიც მისივე მასწავლებელი ანტიფონტი იყო. ხმელ სახეზედ აღბეჭდილი მოთაფლული ღიმილით დაიწყო სპეკიონმა, თვალთმაქცურად წუხდა:

- და აი ხედავ, სოკრატე, მაინც არიან უმადურნი, რომელნიც შენს გულუხეობას არ აფასებენ და ერთიმეორის მიყოლებით აცხადებენ, რომ თუკი შენ თვითონ არ აფასებ შენს რჩევა-დარიგებას, მაშ ამისთანა არც რჩევას და არც დარიგებას არავითარი ფასი არა ჰქონია.

- ვისთვის არა ჰქონია, სპეკიონ! - შეედავა სოკრატე. - იმათთვის ვისაც კესაუბრებით, ჩემთვის თუ საზოგადოებისთვის? ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩემთა მოწაფეთაგან და ერთგულთაგან, რაც შეიძლება, უმეტესმა აითვისოს ის სათნოებანი, რომელთა ზედანი დაფუძნებულია ოჯახისა და სახელმწიფოს კეთილდღეობა. როგორა ფიქრობ, ღირსეულ კაცთა რიცხვის გაზრდა უსარგებლო საქმეა და არავითარი ფასი არა აქვს?

- ხეგს გუფიცები, ეგრე არა ვუფიქრობ! - შესძახა სპეკიონმა, - მე ოდენ ის გავიმეორე, რასაც სხვანი უბნობენ.

- შენ იმიტომ გაიმეორე, რომ თავად გუპარება ეჭვი. შენც გიცხადებ და სუყოველ სხვასაც: მე არავისგან გასამრჯელოს არ ეიღებ, რადგან არ ვიყიდები, - ყურადღება არ მიაქცია სპეკიონის სახის უკმაყოფილო გამომეტყველებას და განაგრძო: - არცროდის გავხდები ის მონა, ვინაც ვალდებული იქნება, რომ ფულის მიძცემს ესაუბროს. მე თავისუფლება მინდა. თავისუფლად უნდა განვსაჯო მეგობართა თანა, მიწყივ გაუყარ, სათანადო მოყვსთან ერთად უნდა მოვიძიო ყოველი, რაიცა უფრორე სრულყოფილს

გახდის კაცსა. ჩემთვის ჯილდოა იმის შეგნება, რომ ქვეყნად უფროსი სრულყოფილ კაცთ ვამრავლებ.

მელეტმა პრანჭვით გადაივლო მოსახლამის კალთა მხარზე და თავხელურად გადახედა სოკრატეს:

- ამით იმის თქმა გინდა, რომ ვინც სოფისტებთან სწავლობს და ცხულებს იმის, სათნოებისკენ ანდა სრულყოფილებისკენ არ ისწრაფვის და ოდენ პირად გამორჩეულად ფიქრობს, არა? ხომ არ გეჩვენება, რომ მსგავსი მტკიცებით შეურაცხყოფ სოფისტთ, იმათ მოწაფეთ და კიდევ ბევრ ვინმეს, ვინაც ახლა აქ იმყოფება? რაკი შენ, ვინაც მუქთად ასწავლი, გადაჭრით არ თვლი თავს მონად, მამ, გეტყობა, სიბრძნის სხვა მოძღვარნი მონებად წარმოგიდგენია, იმათი მოწაფენი კი - მონათმფლობელებად.

პირველი, მოულოდნელად ძლიერი დარტყმა. სოკრატეს მეგობართ შეჭირვებულთა გრძნობით მიაპყრეს მზერა თავიანთ მოძღვარს. იმან კი მშვიდად გასცა პასუხი მზაკვრულ ბრალდებაზედ:

- ვინც ვისმე ფულს ართმევს, იძულებულია და იმიტომ იქმს იმას, რისთვისც საზღაურს იღებს. იქნებ აგრე არ არის?

ლიკონმა ხელისგული ჩამოიხსვა ფიჩხივით ხეშეშ წვერზედ, ხელი ჩაიქნია, მაგრამ მბრძანებლური ფესტი შუაგზაზედ შეწყვიტა და ვიწრო ბაგენი ძლიქვსელური მორჩილებით მოღრიცა:

- ვერც ერთი ჩვენგანი ვერ შეედრება სოკრატეს თავმდაბლობაში. ეს ყველაზე უფროსი თავმდაბალი კაცია მზისქვეშეთში. არავის გასამრჯელოს არ ართმევს, რამეთუ არავისი მონობა არა სურს, იმ სასმელ-საჭმლითა და საშოსითაც კმაყოფილია, რითაც მონაც არ იქნებოდა კმაყოფილი. მე რომ შე ვარ, - ამას აქ საქვეყნოდ ვაცხადებ - ჩემთა მოთხოვნილებათ იმ დონეზედ დაბლა ვერ დავაყენებდი, რომელი დონეც მონას შეპფერის: - და გესლიანი ღრუჭით დაუმატა: - არ შემძლია და ვერ ეივლი ფეხშიშველი, ნახევრად შიშველი, ვერ მოვიტმენ შიშვილსა და წყურვილს...

მელეტმა, სპეკიონმა და ანიტემ ბოროტად გადაიხარხარეს.

სოკრატემ კი ზომიერება შეინარჩუნა და ასე მიუგო:

- ბევრი ფიქრობს, რომ კმაყოფილება და კეთილდღეობა - ვის არა სურს ერთიცა და მეორეც! - ფუფუნებასა და სიმდიდრეშია. მე კი მიმაჩნია, რომ ყოველგვარ მოთხოვნილებათა უქონლობა ღმერთთა თვისებაა. რაც შეიძლება ჩაკლებ მოთხოვნილებათა ქონა იგივე ღვთაებრივთან მიახლოებაა. ხოლო რაც ღვთაებრივთან ახლოა, ის საკაცობო სრულყოფილებასთანაც ახლოა.

- ბრწყინვალება! - გაისმა ხიხბი.

- ბრწყინვალება, - ჩასჩურჩულა ლიკონმა მელეტს. - თავად მიძვრება იქით, საითაც ჩვენ გვინდა მაგის შეტყუება. ახლა შენ, მელეტ, მიდი, დამციხე.

მელეტმა ხელები გაშალა:

- ჰოი, ძვირფასო ლიკონ, დაგცხო, მაგრამ რა დაგცხო! ვაი, შე საწყალო... გამოდის, რომ ძალიან შორსა ხარ სრულყოფილებისგან! ახლავე გაიხადე სანდალნი, დააგდე ქლამნიდი, წუთითაც არ დარჩე ამ სამარცხეინო მდგომარეობაში!

- მე როგორღა მოვიქცე, სოკრატე? - ყალბი გულუბრყვილობით ჰკითხა ანიტემ, - სულ გაუიხადო? მეც მინდა ღვთაებრივთან მიახლოება...

- შენ უკვე ძალიან ახლოსა ხარ ღვთაებრივთან, საყვარელო, - უთხრა ლიკონმა, - ლამის ხელით შეეხო. ჩვენს შორის სოკრატე ხომ ერთადერთია, ვისაც ღმერთი ეცხადება და ესაუბრება კიდევ. მაგრამ ღმერთთან ვის შეუძლია საუბარი? ისევ მხოლოდ ღმერთს!

დარტყმა ისეთი გამანადგურებელი იყო, რომ სოკრატეს თვალთაგან ნაპერწკალნი

დასცვივდა. ფეხები განხედ გადგა, გაიღაჯა, რომ თავი უფრო მტკიცედ ეგრძნო. ყველანი გაისუსხნენ ლიკონის არაორაზროვანი ბრალდებით შეცხმებული. ახლა სოკრატემ წამერთ იაზრა, რომ მტერთა შორის იყო, რომელ მტერსაც უფრო მეტი სწადდათ, ვინემ უბრალოდ იმის დაშცირებამ და გამასხარავებამ სწავლას დაეწინააღმდეგებინათ.

დუმილი ძელეტმა დაარღვია, კარგად ნაქალბუკი ცბიურებით ჩაიღვრა.

- ეგ როგორ, ხევსა ვუციავ? მზის ქვეშეთში ყოვლის უფროსისთვის დაბადდა კაცი და ღმერთი?

ლიკონმა დაძაძმვიდებელი კილოთი მიუწერა:

- ვიხუმრე, მეგობარხო.

- ეგ მთლად ხუმრობა არ არის, ლიკონ, - ჩაერია სპეკიონს. - აბა, მითხარით ერთი, კაცთაგან რომელი დაიტრაბახებს, დემონთან ხშირი ურთიერთობა მაქვსო... მაპატიეთ! დემონიონი უნდა მეთქვა! - სპეკიონმა გარშემო მოიფიქრა თავისი მწვანე ცივი თვალებით გადახედა, - თქვენგან ვერცვინ? - დაიცადა, - აგრეა, ვერცვინ! მნებე ჩემი აღტაცება, სოკრატე! მე მეშინია ხმაშაღლა იმის გამოთქმა, რაზედაც აწაქა კფიქრობთ, - ვაითუ დაძსაჯონ ღმერთთ, ვისთანაც შენ აგრე რიგად ახლოსა ხარ. ვინ ხტის, იქნებ, მონაკვდინონ კიდევ, რაკი შენს ღვთაებრივობას არა უცნობ...

- ეგ სიძდაბლეა, სპეკიონ! - აღშფოთებით მოსძახა პლატონმა, - სად გაგონილა აგრე ყველაფრის შერყვნა და დამახინჯება, ისიც სოკრატეს წინააღმდეგ!

- ვინ არის ეს ყმაწვილი? - სპეკიონმა ისეთი სახე მიიღო, ვითომ არ იცნობდა პლატონს - აჰ, ვიცვი, ვიცვი, ნეტარხსენებული სისხლიანი კრიტიკის ძმისწულია...

- კიდევ უფრო ბინძური სისაძაგლე ამასა ჰქვია! - შესძახა კრიტონმა. - შენ პატივსა სდებ შენს მასწავლებელს ანტიფონტს და აღუმატები კიდევ, მაგრამ ფრთხილად, აღსასრულშიც არ აღუმატო და იმაზედ ადრე არ მოხუდე ჯალათის ხელში!

სპეკიონი და ლიკონი კრიტონზედ თავდასახსმელად გაემზადნენ, მაგრამ ანტიხთენე უფრო მარჯვე გამოდგა - მაშინვე კრიტონთან გაჩნდა.

- აი, რარიც მოქმედებს სოფისტთა ექსეგონი! ეს უკვე სიბრძნის მოყვარული კი არა, საქმის უკუღმა გადაბრუნების მოყვარულია! სიტყვას ვერ იტყვი, რომ კუდი არ გამოაბას... მიზანი?

სოკრატე ანტიხთენესთან მივიდა:

- დამშვიდდი, ძვირფასო, - აცალე სპეკიონს თავისუფლად ლაპარაკი, - სიტყვათა ამგვარ ჯამბაზობასაც თავისი მარული აქვს. კარგად გაუიკებთ, რაც არის სოფისტი. სათქმელს ბოლოც მოაყოლე, სპეკიონს, ვთხოვ.

სპეკიონმა თავისი მწვანე თვალები მოჭყუტა:

- არა, არ მოვაყოლებ! მაგრამ ერთი რამ უნდა გკითხო, სოკრატე, მიპასუხე, თუ შეიძლება. მართალია, რომ ათენში ახალი რელიგია შემოგაქვს?

სოკრატეს მეგობართ თავხარი დაეცათ, მოწინააღმდეგეთ ყურები დაცქიტიეს. ყველა გაირინდა. სოკრატეს ზურგზედ სუსხმა გადაურბინა. მიხედა, რომ ხაფანგში მოხვდა. თავმოყრილო გადახედ-გადმოხედა, - მისი გადმოკარკლული თვალები ჩვეულებრივზედ უფრო ელავდნენ: სახეები, სახეები ირეოდნენ მის წინ: მეგობრულნი - დასაღვლიანიებულნი იყვნენ, მტრულნი - ბიროტად აღრენილიყვნენ, და ყველა ელოდა, დააღწევდა თუ არა თავს ამ ფაცერკოდს. სოკრატემ ნებისყოფა დაძაბა, ნელ-ნელა სძლია დაბნეულობას. თავი იმდენად დაიურვა, რომ მისი ხმა ძველებური სიმტკიცითა და რიხით გაისმა:

- მოხარული ვარ, საყვარელო: შენი იმაზედ დაიწყე ლაპარაკი, რაც შენთვის ნათელი არ არის და, ჩანს, არც ზოგიერთ მსმენელს გაუგება. აბა, დაუფიქრდით, მეგობარხო, დედაძინაზედ, წყალში და ჰაერში მცხოვრები რაოდენი არსება დაბადეს ღმერთთ,

ოღონდ ოდენ ადამიანი შექმნეს ჩატად თვისად - თავიანთი მსგავსი. შესძინეს სრულქმნილი სხეული, კიდევ მეტი - ხული შესძინეს, ყოვლის აღმატებული საუნჯე. სუფოვლი ქმნილებიდან მხოლოდ ადამიანი, - მერე რა უყვოთ, რომ მოკვდავია, - ცხოვრობს დედამიწაზედ უკვდავ ღმერთთა მსგავსად. გრძნობა და გონება მისი აღჭურვილია შექმნის უნარით, და ქმნის იგი არა ოდენ ყოველდღიურ ცხოვრებაში მხოლოდ, არამედ ხელოვნების ქმნილებათაც - ქმნის სიტყვათაგან, აზრთაგან, მარტოფიქსგან, ხალებათაგან, ბგერათაგან, ხმათაგან, შუქისგან და ჩრდილთაგან...

მეგობართა მოწონების შეძახილებმა დაფარეს სოკრატეს ხმა. მაგრამ ყელში მარწყუქმა მოუჭირა:

- ეგ შენი ნათქვამი ისე ხომ არ უნდა გავიგოთ, რომ სოკრატე ადამიანს ღმერთს უსწორებს? - დაკითხა ლიკონი.

- არაფერი მსგავსი სოკრატეს არ უთქვამს! - წამოიყვირა ანტისტენემ.

- სიტყვით ისე კლაკნი, როგორც გველი კუდს! - აღშოთებით ჩაურთო აპოლოდორემ.

- ეს დაკითხვაა და არა კამათი! - რისხვით წარმოთქვა ფედონმა.

ლიკონმა კმაყოფილებით გაიცინა:

- დაკითხვა? საიდან გაჩნდა აქ ეს სიტყვა? რისი შეგეშინდათ, ძვირფასო სოკრატელნო?

- ჩვენში ხომ სიტყვის განუსაზღვრელი თავისუფლებაა; ამაღ მთელი მსოფლიო გადიდებს. თქვენ კი დღეს ისეთსავე შიშს აუტანიხართ, როგორაც ტირანიის უამს. რატომ?

სოკრატემ მაგრად შემოიხვია ჰიმატიონი, თითქოს თავს ახალი თავდასხმისგან იცავსო. რომ დაინახა, - ყველას თვალი იმისკენ იყო მიპყრობილი, ნებისყოფა მოიკრიბა და წართქვა:

- ზოგნი კაცნი ფრიად ცდებიან, ოდეს ვარაუდობენ, ცხოვრების საკითხთა შიგან უკვე კარგად ვერკვევით და რაღა საჭიროა ზედმეტი ფიქრიო. მე კი მგონია, ღმერთთ კაცთ საშუალება მისცეს, რომ ყოველ თავიანთ მოქმედებაში, ყოველი საქმის გადაწყვეტაში ცოდნით ხელმძღვანელობდნენ. ამაღ საჭიროა ადამიანის გონის განვითარება, მისთვის იმის ჩვენება, თუ რა არის სასარგებლო, რა არა, რა არის სათნოება, რა - მანკიერება. მაგრამ უწინარესად ადამიანმა უნდა შეიცნოს თავი თვისი. მაშინ ჩახედება იგი, აქვს თუ არა ამა თუ იმ მოღვაწეობის უნარი, იმ საქმის აღსრულების უნარი, რომელი საქმეც ვალად აღეგს. - სოკრატე უფრო ლაღად ხუნთქავდა, ხმა გაუმაგრდა. - საკუთარ თავში ჩახედვაც ისევე უცილობელია, როგორაც გარემოს მოხილვა. კაცი გულდასმით უნდა აპყრობდეს ყურს თავის თავს, რათა ესმოდეს ის შინაგანი ხმა, რომლითაც ადამიანში ღვთაებრივი მეტყველებს, თუ არა ეს გამაფრთხილებელი შინაგანი ხმა, ადამიანი ბრმად გადაწყდებოდა ათასგვარ უბედურებას. ეს ხმა ოდენ ჩემი უპირატესობა არ არის, მარტო ჩემი ნიჭი არ არის. ჩემი უპირატესობა სხვათა წინაშე მხოლოდ ის არის, რომ მახვილი სმენა მაქვს და კარგად მოსმენა ძალმიძმს...

სოკრატეს მეგობრები შეჩოჩქოლდნენ, რაც ნიშანი იყო იმისა, რომ გულისყურით უსმენდნენ, მაგრამ დამაბულობა არ შენელებულა. მელეტმა ჩურჩულით ჰკითხა ლიკონს - სოკრატეს რა აქვს მხედველობაში, თავის ღემონიონზედ რომ ლაპარაკობსო: მხოლოდ ამისი პრივილეგიაა, თუ იგივე ღემონიონი ჩვენც გვევლინება ხოლმეო? ლიკონმა ვიწრო თავი გააქნია ნიშნად იმისა, რომ არ იცოდა, რა ეპასუხა. მელეტმა ახლა ის ჩაურჩურჩულა - სოკრატე ხომ არ ცდილობს, რომ თავისი ახალი რელიგია ყველა მსმენელს მოახვიოსო? ლიკონმა ჩხინკორა თითუბი იდაყვში მოუჭირა მელეტს:

- შენ ძვირფასი აზრი გამოთქვი, მელეტ! მაგრამ ამჯერად კმარა ამის ღემონიონზედ ლაპარაკი: ამან ისედაც იმაზედ მეტი იყბედა, ვიდრე გვეჭირვება.

ლიკონმა გამჭვალავად შეხედა სპეკიონს, რაღაც ჩასჩურჩულა, იმან კი სოკრატეს

ჰკითხა:

- მაშ, აბა, თვითონ ადამიანს არა სცოდნია, რა არის სასარგებლო და სათნო?

მაშინვე ლიკონის მინიშნებით სოკრატეს კითხვები დააყარეს ლიკონის სხვა მოძრებებმა და ნაშეგირდლებმა.

- მაშ, ვისაც ბრძენთაგან სოკრატესთან არ უსწავლია - სულ მოღვაწეობს და, თვითმკვლელის თუ გიჟისა არ იყოს, ან ცეცხლში დაიწვავს თავს, ან კლდეზედ გადავარდება, ან ზღვაში?

ქირქილი გაისმა. მაშინ კიდევ ერთმა მამლაყინწამ, რომელიც სხვებთან ერთად გამოცხადდა, რათა სოკრატე გაეცამტვერებინათ და საუკვო დიდების ერთი ნაგლეჯი მაინც წაეღოთ, აღტყინებით შეჰყვირა:

- უსოკრატეოდ აბა დაღუპულნი ვყოფილვართ და ეგ არის!...

- წყნარად, მეგობარნო! - გააწვევტინა ლიკონმა მკვეთრი ხმით, - მე ნებას არ მოგკეძთ, რომ დასცინოთ იმ ადამიანს, რომელიც ყოველთა ელანთა პატივისცემის ღირსია, - სოკრატეს მიუბრუნდა. - ჩვენ გვაინტერესებს - მან ხაზი გაუსვა „ჩვენობით“ ნათქვამი სიტყვის წონასა და იდუმალებას. - ჩვენ გვაინტერესებს, რას ფიქრობს სოკრატე სახელმწიფოს სათავეში მდგომ კაცთა გამო, იციან თუ არა იმათ, რა არის სასარგებლო და სათნო, თუმცა ისინი შენი მოწაფენი არცროდის ყოფილან, სოკრატე?

მსმენელთ მღელვარება დაეტყოთ, ყველას მოეჩვენა, რომ სოკრატეს აღსასრული დადგა. მაგრამ ის უკვე მოერია შიშის გრძნობას და მხიარულად ამეტყველდა, როგორც ყოველთვის, როცა მოწინააღმდეგეს ეკამათებოდა:

- ცნობილია, თუ არა თქვენთვის, მეგობარნო, რა არის პირისწყალი, ანუ სინდისი? ეს სიტყვა, მგონი, მოიგონა და შემოიღო ჩემმა საყვარელმა ევრიპიდემ. რაც დრო გადის, სულ უფრო მეტ ფასსა ვდებ ამ სიტყვას, ამ ცნებას და მოუწოდებ ყველას, ვინაც ახლა ლიკონმა სიტყვა „ჩვენობით“ აღნიშნა, რომ თვითონ ჩაიხედონ საკუთარ სინდისში. უკეთუ დღემდე არ იციან, რა არის სათნო და სასარგებლო, დადათუმცა ავერ ნახევარი საუკუნეა ვქადაგებ ამას ათენის ქუჩებში, მაშინ მზადა ვარ, რომ კიდევ გავიმეორო. ვიცი, ხალხის ბელადთა, დემაგოგთა შორის, სოკრატემ თავისი გადმოკარკლული თვალეები ლიკონს მიაშტერა, - არიან ჩინებულნი ორატორნი, და ისინი ცდილობენ ხალხის სიყვარულის მოპოვებას, რისთვისაც სიტყვით გულმოადგიხედ არჩევენ. მაგრამ ორატორული ხელოვნება, რომელიც მოკლებულია იმის ცოდნას, რაც საზოგადოებისთვის სასარგებლოა, საზოგადოებისთვის სასარგებლო არ არის, ცრუა და მავნეა.

მოწონების შეძახილები მეტია, ვიდრე წინააღმდეგობის წამოძახილები. სოკრატე აენტო. სიფრთხილუ დაივიწყა, ხმაძაღლა ამეტყველდა:

- დემაგოგი მოწოდებულია, რომ ხალხის მახვილი და შუბი იყვეს, ხალხს ღირსეული ცხოვრება მოუპოოს. ვისაც საზოგადოებისთვის სარგებლობის მოტანა სურს, ყველაფერზე მაღლა საზოგადოებრივ სარგებლობას უნდა აყენებდეს და არა პირადს.

მოწონების ქარიშხალმა მოიცვა თვით მოწინააღმდეგეთა ნაწილი.

მელეტე ამ ქარიშხლის ჩაწყნარებას ცდილობს, ხელსა სწევს და ყვირის:

- წყნარად! წყნარად! ილაპარაკებს დემაგოგი ლიკონი!

ლიკონმა დაიცადა, როდის ჩაცხრებოდა ვნებათა ლელვა, და დაძაბულ ღუმილში ხაზგასმული მნიშვნელობით ალაპარაკდა:

- მაგას რომ ამტკიცებ, ალბათ დარწმუნებული ხარ, რომ ახლანდელნი მძარტველნი უფრო საკუთარ გამორჩენაზედ ფიქრობენ, ვიდრე ათენის კეთილდღეობაზედ, და რომ ამისთანა მძარტველია უპირველესად ყოვლისა დემოკრატთა მეთაური ანიტე...

ლიკონმა განზრახ შეისვენა, და ღუმილში გაისმა სოკრატეს გესლიანი კითხვა:

- ლიკონ, შენ რა, ეტყვს გამოთქვამ, რომ ჩვენი ხალხისმოყვარე ანიტე ხელს ულამაზო

საქმეთა შიგან ურევს?

სოკრატეს მეგობრებმა ხარხარი ატეხეს. ლიკონს მიწისფერი დაედო.

- ეგეთი ეჭვი შენა გაქვს! - შესძახა მან.

- მაგრამ, საყვარულო ლიკონ, მე ხომ არც ანიტე და არც შენ არ დამისახელებდითხართ.

სოკრატეს მომხრეთა სიცილმა ახალი ძალით იფეთქა: იცვან, რომ ლიკონის დაქირავება ნებისმიერ საქმეზედ შეიძლება, ისეიზუც კი, რომელიც მიმართული იქნება ათენის დემოკრატიის წინააღმდეგ.

სოკრატე იერიშზედ გადავიდა:

- ან იქნებ თვალეში ვერ იყურები, ლიკონ, და ვერა ხედავ, ყველაფერი რიგზედ გააქვს თუ არა? სამართლიანობის ქალღმერთის სახელს გაფიცებ, რომელსაც აგრე ხშირად კუხობთ, ჩვენში რამე გაუმჯობესება შეიმჩნევა იუ ყველაფერი წყალს მიაქვს?

მრავალი ხმა ბრბოდანი:

- წყალს მიაქვს! წყალს მიაქვს!

ეს ხმები სოკრატეს სასარგებლოდ გაისმა და არა ლიკონისა. ისე ჩანდა, რომ ლიკონი კუთხეში მოემწყვდა, და სოკრატე იმარჯვებდა.

ლიკონი დაძაბული და ფერწასული იდგა, სახე ჩასტეტკოდა, მაგრამ აი ხელი ასწია, ხმასაც აუწია:

- გესმის, სოკრატე? გესმის, რარიგ აღვიძებს ხალხში შენი საუბარი ამბონის სულს და რარიგ უბნევს თაე-გზას?! ნუ, ძვირფასო, ნუ გეშინის, მე მიხლოდ სიმართლეს გულპარაკები, შენთვის სიკეთე მსურს, რამეთუ სიმართლე არცროდის საზიანოა, სიმართლე ყველას შემწეა, პოდა, სიმართლე ის არის, სოკრატე, რომ შენ სათხოებას კი არ ასწავლი, არამედ რვენი ჩვენს ახალგაზრდობას!

თავად ანიტე, მელეტე და სპეკიონიც კი დამუნჯდნენ, ლიკონის სიმარჯვით გაოცებულნი, და იმათი აღტაცება სოფისტკით, რომელსაც ბოროტებით სიკეთის ჩახშობა ძალუმს, ახლა ბევრად უფრო დიდი იყო, ვიდრე მაშინ, აქ რომ მოვიდნენ.

აპოლოდორემ კრიტონს წყნარად უთხრა:

- სოკრატეს ხვედრი მზარავს...

- მე ათენის ხვედრი მზარავს, - ხმამაღლა შეგპასუხა სოკრატე, რომელმაც აპოლოდორის სიტყვები გაიგონა.

6

ანიტე-უმცროსი და პოეტი მელეტე სიყვარულის სახლში წავიდნენ.

ეროსის პატარა ქანდაკება რომ დაინახა, ანიტეს გაეცინა:

- სალაში, მეფის ასულის ფსიქეს სატრფოვ! გუთაყვანები, თუმცა უღმერთო სოკრატემ ღმერთობიდან დემონად ჩამოგაყენა... ჰეი, დემონასა! — მიუბრუნდა აფროდიტესული საშოთხის მფლობელ ქალს, - ჩვენ გვინდა, რომ ამას მსხვერპლი შევწიროთ!

დემონასამ სტუმართ ოლეანდრის ყვაკილნი მისცა საზორველად.

- მე კი თქვენი მობრძანების პატივსაცემად, ძვირფასო სტუმარნო, როგორც ყოველთვის, აფროდიტეს მივაგებ პატივს.

დემონასა ღმერთქალთან მივიდა და მის ფერხით არაბული ფისის მარცვალნი დააკმია.

შემდგომ სტუმარნი დასხა და ტაში შემოჰკრა. მძიმე კრეტხაბმელნი გადაიწია, და შემოვიდნენ ქალიშვილნი - ამა ხელის ყველასათვის ცნობილი სამკაულნი.

- ათენის ღამეული ცის პირველი სიდიდის შვიდი ვარსკვლავი! წაიჭრაბაზა დემონასამ.

- შვიდი ვარსკვლავი ბრუნავს შენი სახისა გარშემო, ოდენ მცირე მძებრებთა მსგავსნი, ო, დემონასა, რომლის სილამაზეს დაუჩრდილავს ყოველნი ვარსკვლავნი, მშვენიერო, მშვენიერო, მაგრამ მიუწვდომელი! - სახელდახელოდ წაუღიქსა მელეტმა.

ანიტე თვალმომწერული აკვირდებოდა დემონასას და უცერად ამ მოწიფული ღამაზი ქალის სახით წარმოუდგა ჯადოქარი კირკე, რომელიც ოდესღაც თავის გუნძულზედ დაუხვდა ოდისეესს, ითაკას მფუფს.

კირკე-კირკე, მზის ღმერთის ქელიოსის ასული. ახლახან ესმა ანიტეს სახელი მისი. როდის იყო? ვისგან ესმა? ვისგან და, სოკრატესგან - იმ კაცისგან, რომლის გულისთვისაც დღეს აქ მოათრია ეს ლექსიჯღაბნია ჯორი...

მელეტმა უკმაყოფილო სახით მოიშორა პირველი ქალიშვილი, რომელიც მოხვევას უპირებდა.

- არა, ეს ვერ ამაგზნებს. მეორე!

ნეერა დაიტოვა, უდაბნოს ასული, შავი ნალწრდალივით მხურვალე. ენების ცასცახმა აიტანა. შესძახა:

- აი ეს იქნება ჩემი, კარგი?

ეს ჯამლოკია, რომელიც უკვე წლების მანძილზედ მუქთასირობდა მეტყვაის ტურქუმ, ანიტეს სძაგდა, იმას კი არ ანგარიშობდა, რომ თვითონაც მამის ხარჯზედ მყოფი ასეთივე მუქთასირობა იყო. საძაგებროდ გარყვნილებაში მელეტზედ უკეთეს თანამზრახველს კერცვის იპოვნოდა.

- არა, ეგ ჩემი იქნება. - მოუჭრა ახლა ანიტემ.

სოკრატე მოაგონდა, და ამან რაღაც იღუა ჩააგონა. სახლის უგანა მხარეს გავიდა, სადაც საჭურისი მონები საქმიანობდნენ, და ძალე შემობრუნდა, გრძელ მოსასხამში გახვეულიყო.

- ცოტა შემცივდა, - წართქვა.

მელეტი ჯერეთ კიდევ ათვალეირებდა ქალიშვილთ - თანაც უნდოდა, რომ დარწმუნებულიყო, ჯანმრთელნი თუ არიანო, - და, ბოლოს, ქარინა აირჩია, მდიდრულად მორთული ყვითელ-ოქროსფერი ძუ ღოძი.

ანიტემ თამაში დაიწყო, რომლის აზრიც არავის ესმოდა; უკმაყოფილო სახე მიიღო.

- შენ რა, დღეს გამოუძინებელი ხარ, ძვირფასო? - შემოფოთებულმა ჰკითხა მელეტმა, რაშეთუ ეშინოდა, ვაი თუ აფროდიტესეული სამოთხის სიამე ხელიდან დამისხლტესო. თუ გუნებაზედ კურა ხარ?

- პირიქით, ზევსა ვფიცავ! ახლა ყოველის უკეთეს სახადელზედ ვარა როგორის წარმოდგენაც კი შეგიძლია.

ანიტემ მოსასხამი განიდარცვა. ქვეშ ჯვალოს პერანგი გამოუჩნდა, როგორსაც მონები იცვამენ. საერთო გაოცებას წურადლება არც მიაქცია, ისე გაიხადა ფეხზედ.

- რა საჭიროა, რომ თავი გაინებივრო, საკუთარ ძირებს კიდევ მეორეები მიაძაგლო? - შენიშნა მან.

მელეტი გამომცდელი თვალთ უყურებდა. ჯვალოს პერანგი? შიშველი ფეხები? რა არის ეს - მდიდრის აზირება?

სახლის დიასახლისმა სტუმართ იშვიათი ტკბილეულობა შესთავაზა.

ანიტე საკარძელში გაიშხლართა, ფეხები გაჭიმა და ბუხლუნით თქვა:

- კუს შეჭამანდი? არა, არა! არცა კიდევ ღვინოში მოხარშული ბატკანი მინდა. ქაშაყი

ჯონჯოლით? საწებლიანი ხბოს ხორცი? კვერცხი ქვირითით სკვითურად? არ დამანახოთ!

- შენ რა, უკვე გამოძებნი? კუჭი აგეშალა? - ჩაუკითხა მელექტი, რომელსაც პრწყალი მოსდიოდა დასახელებული კერძებისა გამო.

- პირიქით, მშვიერი ვარ. ისეთი მადა მაქვს, ნულარ იტყვი. ამიტომ, - ანიტე დემონასას მიუბრუნდა, - ყველას თხის ყველი და ქერის პური მოგვიხდებოდა.

- რას ბოდავ? - განცვიფრდა პოეტი.

- ნუ ჩქარობ, ძვირფასო სტუმარო, - უთხრა დემონასამ, - თირკმელა სოკოსთან შერეული ნუშითა და სანელებლებით კარგა მაგრად შეზავებული ღვიძლის პასტეტითა მაქვს.

- არა, არაფერი აღმაგზნებელი არ გვინდა! - ჯიუტობდა ანიტე.

მელექტს ბრაზი მოაწვა. უფურეთ ერთი ამ ბატონიშვილს! და მან ჭირვეულად წარმოთქვა:

- მაშ, სულ უჭმელობა აჯობებს.

- შენ უკვე გამაძლარხარ და უკ არის, კუჭიც მოგშლია, რაკი მადის გაღვიძება გინდა და იმას ნდომულობ, რაც სხეულსა და სულსა ვნებს. კეთილი ინებე, ძვირფასო დემონასა, და მოატანინე, რაც გითხარ: თხის ყველი და ქერის პური.

ქალიშვილები სიყვარულით უღიმოდნენ ანიტეს, თუმცა იმათ ღვიძლში ერთგვარი სიმწარე იკითხებოდა: ეს რა დამართნია? მამის დრაქმები გასთაყვებია?

მოიტანეს მოსატანი. ყველანი უკმაყოფილონი იყვნენ. უხალისოდ ციცქნიდნენ ქერის პურს, ყველს, დიდხანს ლეჭავდნენ, ყელში არ გადასდიოდათ, რამეთუ ხამზარულოდან მოხრაკულისა და მადისმომგვრელი საწებლების გადასარევი სუნი მოდიოდა. ანიტე კი სიამოვნებისგან პირს აწკლაპუნებდა, ყველსაც აქებდა და პურსაც: რა გემრიელია, რა საღი რამ საჭმელია, რა მსუბუქად სძინავს ადამიანს ესეგვარი ვახშმის შემდეგო...

ვითომ რატომ გვექცევა ასერიგად? - ფიქრობდა ნეერა. - და რა ბოროტი თვალები აქვს ამხელად... არა, ამასთან სიყვარულის ზღვაში ცურვა არ გამოვა, არადა, საჭიროა ვნების გამოხატვა, თორემ დამტანჯავს...

- რატომ ხარ ეგრე მოგრძალებული, ძვირფასო? - ჰკითხა დემონასამ ანიტეს. - რისთვის იკლებ სიამოვნებას?

- გეშლება, საყვარელო ქალბატონო. უდიდესი სიამოვნებით მივირთმეე. დაგვდე პატივი, ბარემ წყაროს წყლითაც გაგვიმასპინძლდი.

მელექტმა გაშმაგებით დაჰკრა მუშტი მაგიდას.

- დაგაკვიწყდა, სადაც ვიმყოფებით? ღვინო! როგორც ყოველთვის - ქიოსური!

- ეჰ, მელექტ, რა ცოდოში იგდებ თავს! რა უფსკრულში მიექანები! ჯერ ცხარე კერძები, ახლა მძიმე ღვინო, მერე ალბათ შიშველი ქალის ხვევნაც მოგინდება, არა?

მელექტს ისე უფურებდნენ, თითქოს მართლა ცნობა ჰქონდა დაკარგული. ის კი ჯიუტად განაგრძობდა:

- გაიხსენე ჯადოქარი კირკე, რომელმაც ოდისეუსის თანამგზავრთ ჯადოსნური ბანგი დააღვეინა. რა იყო ის ბანგი, თუ არა ღვინო? - თან სულ იშვიათი რამ კერძნი მიართვა, რათა ღორებად ექცია!

დემონასა შეურაცხყოფილი სახით წამოდგა.

- მაშ მე კირკე ვარ?

მან ქალიშვილთ ანიშნა. ისინიც წამოდგნენ, სანათის შეუქხედ გამჭვირვალე ქსოვილში უცხოდ ჩანდა იმათი მშვენიერი სხეული.

მელექტი კვლარ უძლებდა ჭამა-სმისა და აშვიკობის მოუთმენელ სურვილს. მან დემონასას ხელში ხელი ჰკიდა და შესძახა:

- მშვენიერო ქალბატონო, იყავ ჩვენი ჯადოქარი კირკე! დაგვათვრე! გავტყვი! მოგვკვარე შენი სასახლის უღამაზესნი ქალიშვილი! უკეთუ ჩემი კეთილისმყოფელი და მეგობარი უარს ამბობს ტყობაზედ. მე დაგატყობთ! ხედავ, კირკე, ამ ოქროს ჩაღთას? ბედ მოშიროთმეცია და გთხოვ, რასაც დაგვპირდი, ნულა დაგვიგვიანებ უკონსს შაშხინითა და სიყვარულით გაშაძლარი კირკეს ღორად იქცე, ვიდრე გღმნაჩაგებთ! უარს თქვა ყოველსვე ამაზედ! - ქალიშვილნი კვალად დასხა, თან მიჯგვლიმ-მოჯგვლიმა და უთხრა: - რას იტყვით, წარმტაცო გოჭუნებო? გასინჯავთ ჩემთან ერთად სახელებლიან პაშტეტს, შემწვარ ბატკანს, შებრაწულ ტყის ქათამსა და ქიოსურ ღვინოს? - მელეტმა დრუტუნნი დაიწყო. - რას ირჩევთ, გოჭუნების ტყბილ ცხოვრებას თუ კაცთმოხულება მწარე არსებობას?

ქალიშვილები თამაშში აწყენენ, გოჭებივით მორთეს ჭყვირილი:

- ტყბიილს, ტყბიიიილს!...

- გესმის? - მიუბრუნდა მელეტ ანიტეს. - იმის უარყოფა, რასაც ადამიანს ქალღმერთი დემეტრა და ღმერთი დიონისე სძღვნიან, ოდენ მკრეხელსა და სულელს ძალუძს!

- სხვას არავის? - ხმამაღლა, სხვის კილოზედ წარმოთქვა ანიტემ.

დადგა, იხვისებრ ქანაობით გაიარ-გამოიარა, მოზაიკურ იატაკზედ შიშველი ფეხები აატყაპუნა. რადგან არავინ არ უპასუხა, თვითონ წართქვა:

- უწყით თუ არა, ძვირფასო, რომ აფროდიტეს ჭერქვეშაც საჭიროა ზომიერების დაცვა?

- სოკრატეა! - შესძახა მელეტმა, და ყველამ ტაში შემოჰკრა. - აბა, კომედიანტი თუ გინდათ, ჩვენი ანიტეა, დიდებულად გამოუვიდა - სიხარულის სახელში შემოიყვანა სოკრატე მისივ ზომიერებით!

მელეტმა გადაიხარხარა, ოქროსთმიანი ქარინა ჩაიხუტა. და კოცნა დაუწყო.

- უბედურო! - ხელები აღმართა ანიტემ, რომელიც ჯერ კიდევ სოკრატეს როლს თამაშობდა, - რას შვრები? შხამსა სვამ მაგის ბაგეთაგან?

- ჰერაკლესა ვფიცავ, სოკრატე, კოცნა-ამბორს შენ მეტად მრისხანე ძალას მიაწერ! - მიუგო მელეტმა.

- არ იცი, რომ არსებობენ ნახევარ ობოლოსზედ პატარა შხამიანი ობობანი? - საკმარისია, რომ ადამიანის კანს დააცხრნენ და ეგრევე ტკივილით სულს ამოხდიან და ჭკუას დააკარგვინებენ. არ იცი, რომ ცხოველი, დედაკაცად სახელდებული, შხამიან ობობაზედ უფრო საშინელია, რამეთუ მისთა ბაგეთა შეხება აგიჟებს ადამიანს? თავს უშველე, ვიდრე გვიან არ არის, ჩუმს კვალს შეუდექი!

და ანიტე ჯიუტი გამოიმეტყველებით ხელიდან სტაცებს მელეტს ქარინას, თან გაპყვირის:

- აქ სულაც საჭირო არ არის გარყვნილება! რა უმსგავსობაა! ახლავ გაეთრიოს ყველა გომბიო!

- უნდა მაპატიო, ძვირფასო ანიტე, - ეუბნება დემონასა, - უკეთუ ჩვენს დღევანდელ შეხვედრას სხვარიც დაუამთავრებ. ქარინა! მიართვი ბატონთ ქლამინდნი და ჭიშკრამდე გააცილე!

ანიტემ უკვე თავისი ჩვეულებრივი სმით გადაიხარხარა:

- კეთილო დემონასა, მაშ შენი მოტყუებაც შევძელი და ეს არის! თქვენც დაიჯერეთ, - ახლა სხვებს მიუბრუნდა, - რომ სოკრატემ, ვინც ადამიანის შეცვლას ღამობს, მეც კი სათნო ჭაბუკად მაქცია? - და დაიწყო ოთახში წინ და უკან სიარული, თან გაიძახოდა: - დაიჯერეთ, რომ შეუძვე ყოველგვარ სიტყობებას, ყოველგვარ ნეტარებას და გლახაკობა დაეიწყე?! რომ სოკრატემ ანტიხთენესაკით უსულგულო გამხადა? რომ ასჯერ დაბერებულსა და ასჯერუ გაახალგაზრდავებულ პლატონს დამამგვანა? ან იქნებ იმას

ფიქრობთ, რომ რაკი ხიმონმა სანდლების კერვაში საჯლომი გაიცივითა, მეც დავდგები და მამაჩემის სახელოსნოში აყროლებულ ტყავს დავუწვევ ფხეკას? - ანიტემ ჯვალს პერანგი განიდარცვა, რომლის ქვეშაც ვარდისფერი ქიტონი ეცვა, და თავის მამასავით ხელები ისე გაშალა, თითქოს ყველანი ერთად უნდა ჩაიხუტოსო, - ნუ გეშინიათ, ჩემო მტრედნო! სოკრატეს ჩემგან არაფერი გამოუვიდა! მე ერთ-ერთი მარცხი ვარ სოკრატესი. დიახ, დიახ, ჩემი მაგალითი იმას მეტყველებს, რომ სოკრატე რევნის ახალგაზრდობას! იმ ბუხლუნა ბერიკაცმა თავი ისე მომაბუზრა თავისი არეუტით, რომ რაღაც იმის საპირისპირო რამ მომინდა!

- აი ჩინებული ნაყოფი იმისა, თუ რასა სწავლობენ ახალგაზრდობის ამ ძველი გამხრწნელისგან! - დაიდრინა მელეტმა.

ანიტე უკვე ტრახახ-ტრახახით ახდუნდა განკარგულებებს.

- მაშ ვინადიმოთ! შემოიტათ კერძნი! პირსაქმების ჯამიც მოაყოლეთ - ვჭამოთ, ვაღებინოთ და თავიდან დავიწყოთ! ნურაფერს დავიკლებთ! თითო გოგო კაცზედ? სამსამი ღამეში! აი, შე ზომიერო ბებერო, შენა, დღეს გიჩვენებთ სოფროსინეს! ყველას გეპატიუებით.

დემონასას ოქროს ბალთა გამოართვა, მელეტს დაუბრუნა. გულში ჩაიკრა მეგობარი:

- ბოლოს და ბოლოს ანიტე ისევე ისეთი გაგვიხდა, როგორიც იყო! თორემ ღამის უკვე ყელი გამიძრა. მაგარი მადა მაქვს მოხრაკულისაც და ქარინასიც! - აცუნდრუკდა პოუტი.

- დაიცა წუთით. ძვირფასო დემონასა, ბრძანე შენი საკადრისი კერძების მომზადება, მე და მელეტე კი აგურ პერისტილში გავალთ, შრომანის სუნს ჩავისუნთქავთ.

- ვითომ რატომაო? - არ დაეთანხმა მელეტე, - რატომ გავაჭიანუროთ?

ანიტემ ხელი ჩაავლო და პერისტილში გაიყვანა. იქ ქვის გრძელ სკამზედ დასვა.

- რისთვის გამომიყვანე აქ? - ჰკითხა შეცბუნებულმა მელეტმა.

- გაჩსოვს, რა თქვა აკადემეს გიმნასიაში სოკრატემ მამაჩემზედ?

- როგორა არა. ბერიკაცმა მაგრა გაჰკრა კბილი... - მელეტმა ხმას დაუწია, - ნუთუ მამაშენი გაჩუმდება?

- გაჩუმდება? - ანიტემ თითქოს გემო გაუსინჯა ამ სიტყვას. - არა, არც ერთი არ გაჩუმდებით, ეისაც ის შეგვეხო. არც შენ არ უნდა გაჩუმდე, მელეტ.

- განა მეც შემეხო?

- უარესად, ვიდრე ყველა ჩვენგანს, მეგობარო! სოკრატე პოეტად არა გცნობს. შენს ხელოვნებას დასცინის.

- ისე მართალი ხარ. ეგრეა. არა მცნობს.

- არა გცნობს, და უსამართლობაა! - გაცხარდა ანიტე, - მე პოეზიის მცოდნე არა ვარ, მაგრამ იმდენს მაინც ვარჩევ, რომ დამშვიდებული სინდისით ვამტკიცო - შენ, ჩემო მელეტ, ახალ მიმართულებას კვალავ ბერძნულ პოეზიაში. შენი ლექსები - გულწრფელად ვლაპარაკობ - ისე თავისებურია, ისე არაჩვეულებრივი, რომ ყველა ვერ გაიგებს. შენთა ლექსთა ღრმა აზრი მისაწვდომია მხოლოდ ყველაზედ უფრო განათლებულთავის... - ანიტემ ჩაახველა. - თანაც ისინი სხვადასხვანაირად აღიქმება... აი, შე ეშმაკო! - თითოთ დაემუქრა. - რარიგ გონებამახვილი ხარ, ზოგჯერ პირდაპირ განცვიფრებული ვარ, რა ნაირ-ნაირ გააზრებას ითხოვენ შენი ლექსნი...

- ო, ნუ იტყვი... - თავმდაბლობს მელეტე.

მაგრამ ანიტე უკან არ იხევს:

- შენ უფრორე მეტის მიღწევა გინდა, ვიდრე ობმოდებულმა პომელოსმა, ალკეოსმა ან საფომ მიაღწიეს... აბა, როგორ უნდა გაჩუმდე, როცა სოკრატე საჯაროდ დასცინის შენს ყოველ სიახლეს?!

მელეტი იმ ზომამდე აღელვებული, რომ აღარ შეუძლია - როგორც მიჩვეულია - მხოლოდ იმის ლაპარაკი, რის ჩაგონებასაც ისურვებდა კაცთათვის თავის თავზე; ახლა თავის ნამდვილ აზრთ გამოთქვამს:

- შეეჭვება...მე... შენ ხომ მეგობარი ხარ ჩემი, ანიტე?
 ანიტემ სიცილით მოიფუნებდა მარჯვენა ხელის თითები, თითქოს სწავლიდა რაღაც მონღოლურს:
 - მერედა, განა საკმაოდ ცხადად არ გიმტკიცებ?
 - რა თქმა უნდა, მიმტკიცებ, - საჩქაროდ დაუძინა მელეტმა, - ამიტომ გულს გადაგიშლი... მე მომწონს იმის კეთება, რაც ჩემამდე არცვის უკეთებია. და ვამაყობ კიდევ ამით. მე უნდა უკუვაგდო ძველი, რაიცა ერთხელ უკვე იყო, სხვანაირად არც შეიძლება, ვფიცავ ლაიკონის გულთ! მაგრამ როგორ მივაღწიო იმას, რომ მსმენელნიც სახტად დაუტოვო? სახტად დატოვება ცოტაა. თავბრუ უნდა დაეახვიო. თორემ ისე არაფერი გამოვა. დაიცა! არ ადგე! ბოლომდე მათქმევინე! თავად იცი, აწ სუფველას თავში სოფისტიკა გვიხის, სხვა არაფერი - ყველაფერი თავდაყირა უნდა დავაყენო, როგორაც სოფისტნი იქცევიან... ჩემი ლექსი ცდაა ცდის პასუხად. შენ გეჩვენება, რომ ან ეს, ან ის მშვენიერია? ტყუილია! სიმახინჯეა. შენა გგონია, რომ ან ეს, ან ის სიმახინჯეა? შეცდომაა! სიმახინჯეში მინდა სილამაზის დანახვა. რად გვინდა მოძველებული ღირებულებანი? მთავარია სრულიად უჩვეულო, სრულიად არაბუნებრივი რამ! ვაღმერთებ ქაოსს! ღირიკაში, დრამაში, ყველაფერში. თავს ვიმტკიცებ, მაგრამ მიწვივ ვგრძნობ, რომ რასაც ვწერ, ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი, რაღაც ბედნიერი, დიადი... - მელეტი დაღონდა, ხმამ უღალატა. - შენ ამბობ, რომ ჩემთა ლექსთ ჭკუის ბეჭედი აზის. არ გეწონის, მაგრამ არა მჯერა. მე ჩემს ქმნილებათ იმ საშინელი ბერიკაცის სოკრატეს თვალებით ვხედავ და არა ჩემი, არა შენი თვალებით. ანიტე, შენ მეტისმეტად კეთილი ხარ ჩემდამი.

ანიტე ყურადღებით უსმენდა, სუნთქვაშეკრული. პოეტის აღსარებამ გააოცა. ამ აღსარებამ კიდევ უფრო დააკაუშირა ისინი.

- ძვირფასო მელეტ, - უთხრა ანიტემ, თუმცა მისი აზრი მელეტის ლექსთა შესახებ კიდევ უფრო ცუდი იყო, ვიდრე სოკრატესი და თვით მელეტისა, ერთად აღებული, - რატომ იტანჯავ თავს მტრის განსჯით და არ გაჩარებს მეგობრებისგან ბოძებული ქება და ძღვენი?

მელეტმა გულდამძიმებულმა აღიარა:
 - მე, ანიტე, მიწვივ მესმის მისი ხმა... ის ხმა მიწვივ ჩემში ისმის!
 - სოკრატე ბოროტი ხულია! - შესძახა ანიტემ. - ჯადოსანია. აი, რატომ დაგიპყრო აგრე რიგად. რომ მიუშვა, მაშაჩემსაც მონად გაიხდიდა და ბევრ ჩვენგანსაც, ვინაც ჩვენი გუნებისად ვცხოვრობთ...

მელეტმა უფრო თავისუფლად ამოისუნთქა. ანიტეს ხელზედ მოუფერა, მის მუხლზედ რომ ედო, და ნდობის კილოთი განაგრძო:

- მაგრამ არც მამაჩემია ხული. მშვენივრად იცის, ვის წინააღმდეგაც არის მიმართული სოკრატეს ყოველი საუბარი. მამაჩემმა იცის, რა ცილსაცა სწამებს სოკრატე. ვითომ მამაჩემი ცუდი დემოკრატია! შეიძლება უარუსის თქმა? - ანიტემ გადაიხარხარა.
 - ვისგან ითხოვს სოკრატე ყველა ამ სათხოვბას? თავმდაბლობას, სიფხიზლეს, ზომიერებას? დატაკთაგან, რომელთაც უკანალი უჩანთ? არა, ეს ჩვენ გვეხება მდიდართ. ჩვენ გვესმის თავს! მაგრამ მამაჩემს არა აქვს ღუშილის, ცდის უფლება...

ანიტემ უცებ შეწვიტა ლაპარაკი, თითქოს რაღაც წამოაგონდა. მელეტმა მაგრად მოუჭირა ხელზედ ხელი.

- რაღას ვუცადოთ?
 - თუნდაც ახალ კორინთოს, ახალ არგოსს. არ შეიძლება ღოდინი, თორემ მონანი



ღარიბთ შეუერთდებიან და დაგვიხიციან.

- შენ იმის თქმა გინდა, რომ სოკრატე ღარიბობას გვიმხედრებს?

- არა, მაგას არა შერება. - ანიტე სიძულელით ცრიდა კბალებში ხიტიებს. ისიც საკმარისია, რომ ქალაქში დაეხეტება ეს ფეხშიშველთა მამა და ვეღას უხსნის, რა სამართლიანია, რა უსამართლო.

ერქუნსუნი
სინგნიქსიქა

მელეტმა კუშტად წართქვა:

- დიახ, ეგ საკმარისია. მე კი მაგაზედ ნაკლებიც მყოფნის: დაცინვას არ მაკლებს.

- შერედა, თავის დაცვას არ აპირებ? - დაეკითხა ანიტე.

- ჯერ მამაშენმა დაიცვას თავი.

- დაიცავს კიდეც. შენა გგონია, მე და შენ აქგასართობად ვბაასობთ? მე უნდა ვიცოდე

- დაეხმარები თუ არა მამანემს?

მელეტი შეშინებული წამოდგა:

- მე - მამაშენს? შერე რანაირად?

ანიტეც წამოდგა და მეგობრულად დაჰკრა მხარზედ ხელი.

- რანაირად? ეგ რა კითხვაა! როგორც პოეტნი, როგორც ორატორნი.

მელეტი დუმდა, გონს ვერ მოსულიყო.

- ჯილდო დიდი იქნება, მელეტ.

დუმილი.

ანიტე უფურება მელეტის გრძელ, მხრებზედ დაშვებულ ოფლიან თმას. ფერმკრთალ, გაღუულ სახეზედ დიდი ცხვირი რუმბივით აჯდა.

ანიტემ იატაკზედ მოუთმენლად დაუბაკუნა ფეხი.

მელეტმა ხელი აუწია - თითქოს ფიცს აძლევსო.

ანიტემ გულში ჩაიკრა:

- მადლობა, მეგობარო. სოკრატე ვეღლაზედ მეტად სინათლეს აფასებს - მაშ, წავიდეთ ჩვენს ციციანათელებთან!

გაიცინა და პოეტს ხელკაეი გამოხდო.

პატარა მაგიდებზედ უკვე გამოეტანათ ცივი საუზმეული, გაცივებული ღვინო, მონა ქალთ გამოქჟონდათ მოხრაკული, რომელსაც ორთქლი ახდიოდა.

სტუმრები თავთავიანთ რჩეულთა თანხლებით ეგრევე ეცხენ გემრიელ საჭმელთ, ხარბად აყოლებდნენ მელეტ ღვინოს, ხან ნანადირევს, ხან შემწვარი ბატკნის ნაჭურთ მიირთმევდნენ, და ისევ სვამდნენ, მერე ტბილეულსა და ხილს ეცემოდნენ; ისევ ხორცი, ღვინო, ბატის ღვიძლი, ღვინო, ქაშაყი, ღვინო...

ანიტე ისეთ ხალისიან გუნებაზედ იყო, რომ თვითონ დემონასაც კი, რომელიც იმას თავის ჭურჭელში არცთუ იშვიათად ხედავდა, ახლა ვეღარა სცნობდა. იქნებ რაღაც დღეობა აქვს ამ ლაწირაკს? ეს ღამე ძვირი დაუჯდება! მაგრამ საშიში არაფერია. თუ შეიღოს არ ეყოფა, მამა გადაიხდის.

ანიტე ახალ-ახალ განკარგულებათ აფრქვევდა. ზოგთ დემონასა ასრულებდა, სხვათ-სხვა, მაგრამ დაფაზედ ვეღლაფერს იწერდა. ღვინომ ანიტეს უკვე შეუბორკა ენა, მალე დააჩლუნგა მელეტიც, რომელიც კურანაირად ვერ ახერხებდა ქარინას სასმენელთა საკადრისი სიძღვრით შეძკობას.

ქალიშვილნი დემონასას ხშირ-ხშირად გადახედავდნენ ხოლმე: დღეს უადრესად უხვი თევზაობა აქვთ, არაჩვეულებრივად ბევრს დაიჭერენ. ახლა კი კმარა, არ ღირს ანიტე-მამის რისხვა დაიტეხოს თავზედ.

- დროა, სტუმართ მერე საღერდელიც დაგუცხროთ - წაიჩურჩულა ნეერამ.

ქალიშვილთ სუნთქვას ჟინიანად მოუხშირეს.

ანიტე და მელეტი ბარბაცით წავიდნენ თავიანთი „ციციანათელების“ თანხლებით

მეზობელ სამყოფელში, რომელიც უფრო მეუდრო და ნაკლებად განათებული იყო. მელეტი სულ უკან მიბარბაცებდა.

- ფარდა არ ჩამოგიფარებია, ოქრო! - თქვა ქარინამ, ღოვინსხედ რომ დაუკრდა. ნეერამ, ანიტეს რომ მიჰყვებოდა, უკან მიიხედა.

- არაფერია, - წაიბურტყუნა მელეტმა - არაკის არ უზიზღება ხვეწნა-ხვეწნობის ცქერა. მაგრამ ნეერამ ფარდა ჩამოაფარა. სწრაფი ტემპით აფლერდნენ ერთმანეთს და დაირა, შემდეგ ავლოსის საამის ხმამ გადახდალა. სასიყვარულო თამაში, მხეცილი, გოცნა... ნეტარების ოხვრა... ყრუ კვნესა.

თავისი ახალგაზრდული ძალით ანიტე ათვინიერებს ნეერას, ის კი, როგორაც სოკრატეს ნახსენები შხამიანი ობობა, ისე დააცხრა და წაართვა ვუფნი.

- მოგწონვარ, ჩემო ქოსმენო?

- რომელი თქვენგანია სიყვარულში უფრო დახელოვნებული? შენა, ნეერა თუ ქარინა? - ეკითხება ანიტე.

ქარინა აქებს ნეერას, ის - ქარინას.

- ასე ვერაფერს გავიგებთ! - აცხადებს ანიტე. - გოგოები გავკვალთ, მაშინ აშკარა გახდება.

ახლა მის მკლავებშია ფაშფაშა სხეული, რბილად რომ ერწყევა გვერდები...

გრძნობიერი ნეერა, თვითონ სტიქია, იერიშით იპყრობს მელეტს, იგრძნობს, აღანთებს მის ჩამქრალ ჭინს, ის კი ერთიანად კანკალებს, ევეღრება: გეყოფა, გეყოფა!

სტუმართ ღონე გამოეღიათ. ხავსე კუჭები, გაბერილი მუცლები... გაღუშვილ-გატრეტილნი ბუნდოვნადლა არჩევენ ახალმოსულ ქალიშვილთა ხმას, წარმოდგენაც არა აქვთ, როდის მოვიდნენ ესენი;

- ძვირფასო, მოდი ჩემთან, ეს მე ვარ, შენი იდეა.

- გიყვარდე, შენი ნეუელე ვარ...

- თვალი გაახილე, ნახავ, რა ლამაზი ვარ...

დილით აქ ჯადოქარი კირკე შემოვიდა, ფერმკრთალი მარგალიტნი უმშვენებდა ყელ-კისერს.

ჭერეხივით ყრია სხეულნი. ანიტე მელეტს ჩაჰხუტებია. ნოხები და საწოლები აღარ ინახვის, ისეთ დღეშია - პირდაპირ ზედ უღებინებიათ. მყრალი, აუტანელი სუნი დგას...

- ღორები! - თქვა ზიზღით კირკემ და ფარდა ჩამოაფარა...

სადაც ილისოსი მუსეიონის გორაკთან უხვევს, იქ ანიტე-უფროსმა ნაპირზედ დიდი სათრიმლაკი ააგო.

ტყავებს როფებში აღბობენ. რეცხავენ გამდინარე წყალში. ბეწვს აცლიან, ფხეკენ ნიჟარებით ან დანებით. თელავენ, ამუშავენ მუხის ქერქის წვნით, შაბით, ქონით არბილებენ, ქნიან.

ყოველ ხელობას თავისი ნაკლი აქვს. დაბადობის ნაკლი მეტად საგრძნობი რამ არის - საზიზღარი სუნი, რომლითაც იფლინთება ტანისამოსი, მთლიანად ადამიანი, საკმარისია მხოლოდ სახელოსნოში გავლა.

და კიდევ ანიტემ დიდბალიანი, უცხო რამ აგარაკი ააშენა. გამდიდრდა და გაკეთდა. ახლა სტუმარნი ჰყვანან: ლიკონი და მელეტი. სამნი არჩევენ, რა თქვა სოკრატემ აკადემიის გიმნასიაში.

ანიტე უსმენს. სტუმარნი აღშფოთებულნი არიან. ის კი დუმს. დიდი სიამოვნებით აუეღიდა გვერდს მთელ ამ ეპიზოდს. მაგრამ არ შეიძლება. ბევრმა თავისი ყურით გაიგონა, როგორ დაადანაშაულა სოკრატემ დემაგოგნი, უწინარეს ყოვლისა ანიტე, თუმცა სახელით არ უხსენებია. ანიტეს დუმილის უფლება არა აქვს, უცილობლად რამე

უნდა იღონოს, რომ საზოგადოების თვალში თავი დაიცვას.

ლიკონმა გამამხინვეებლად წართქვა:

- ეს სულაც არ არის ძნელი საქმე - ბერიკაცი ფრიად მარჯვედ წამოიწყო ჩვენს ანკესზედ.

ანიტე მოიღუშა.

ამ დროს ფარდა გადაიწია და მისი ვაჟიშვილი შემოვიდა.

- კეთილდღეობა - აი ჩვენი მიზანი, ამბობს სოკრატე! ეს ჩვენც ვიცით. ნეერა ხომ მარგალიტი გოგოა, მელეუტ? რას იტყვი, წნელივით არი, არა?

- გაჩუმდი! - შეუყვირა მამამ. - ისევ ზედმეტს როშავ, რეგვენო!

- მე ფილოსოფიურად ვსაუბრობ.

- მაგას გასწავლის სოკრატე? ილოთეო? იმრუშეო? სად არის იმისი ზომიერება?

- სოკრატეს სოკრატესული ზომიერება აქვს, მე ანიტესული. ადამიანი ხომ ყოველგვარი ნივთის საზომია, ასე არ არის? მე სხვა საზომი მაქვს, ვიდრე იმ მიხრწნილ ბერიკაცს.

ანიტე მიხვდა, რომ შვილი სოკრატეს წინააღმდეგ აჰყვა, და მაშინვე ამას ჩაუჭიდა:

- ნეტავი რისთვის გავაგზავნე მე უბედურმა იმ ზნეობის დამლუპველთან? იმედი მქონდა, შვილს პოლიტიკური კარიერისთვის მოძიშნალებს, ჩემს ღირსეულ მემკვიდრედ აქცევს-მეთქი...

- ღირსეულ მემკვიდრედ? - სიცილი წასკდა ახალგაზრდა ანიტეს. - რა ვიცი, ჯვალოს პერანგიანი კი დადიხარ ხალხში, გარეგნულად მაინც ჩამოვგავდე სოკრატესო! ღირსეული მე ვარ, შენ კი არა! მე შენსავით მოსაჩვენებლად არაფერს არა ვშვრები, მამაჩემო!

- როგორ მიბედავ ეგრე თავხედურად შეჰასუხებას, არამზადავ?!

- რას იზამ, მამიკო! შენ არ გამაგზავნე სოკრატესთან, რათა შენზედ ჭკვიანი გაგვხადე? მგონი, გამხადა კიდეც...

- რა თავხედობაა! - შესძახა ანიტემ, მაგრამ ლიკონმა ხელისგული რბილად დაადო ხელზედ.

- ნუ ლანძღავ შვილს, ანიტე! ეს დამნაშავე არ არის. აშკარაა, რომ სოკრატემ გააფუჭა.

- სწორედ ისევე, როგორც კრიტია და ალკიბიადე, - მწარედ დაუმატა უფროსმა ანიტემ, - დიდებული ბარტყნი მოყვრინავენ იმისი ბუდიდან... ტრაბახობს, ჭიან ვაშლთ საღად ვაქცევო, სინამდვილეში კი დამლუპველ ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდობაზედ.

- მე ვარ ჭიანი ვაშლი? - თავხედურად გაიცინა შვილმა, - ჰო, მართალია, ჭიები მამიკოს ტყავებიდან დამეხვნენ, ჰა-ჰა! მთელი გულ-მუცელი ამივსეს - აი რატომ ვარ ჭამა-სმად ქცეული.

ანიტემ შვილი მოიშორა. მაგრამ სოკრატეს სახელი იქ დარჩა. ის სახელი ყოველი კუთხიდან მუქარასავით ესმის.

- ისეთს, როგორიც ის არის, პირს ვერ აუკრავ, - თქვა ანიტემ და ლიკონს მიუბრუნდა.

- სოკრატე ღარიბულად ცხოვრობს, როგორაც სუყოველი ღარიბი, და ეს აძლევს მდიდართა ბრალდების უფლებას.

ლიკონი მიხვდა, - საჭირო იყო, რომ ეკონომიკის დარგში დემაგოგთა უძლურებაზედ ლაპარაკი რელიგიის ნიადაგზედ გადაეტანათ.

- მაგრამ სოკრატეს ახალი ღვთაება შემოჰყავს. ის ამტკიცებს, ჩემში რაღაც ღვთაებრივი ხმა, ღვთაებრივი დემონიონი ცოცხლობს, რომელიც ჩემს მოქმედებას წარმართავს, და ჩემი ენა-პირით თავად ღმერთი მეტყველებსო.

ღუმიღღი, გაუღენთილი წყნარი სიხარულით.

- მერედა, როგორ იკიდებს ფეხს ამისა გამო ხალხში ურწმუნობა! - შესძახა

ლიკონმა.

-თავის თავს ღმერთთა მადლა აყენებს! მკრეხელია, უკულო ამპარტავანია! - აყუფდა მელეტე.

- მკრეხელი, ამპარტავანი... - გაიმეორა ლიკონმა, - სწორედ ამას ჩაუჭიდოთ.

- საჭირო იქნება... როგორ ფიქრობთ, რა იქნება საჭირო? - იკრახებოდა მელეტე.

- რა იქნება და, კანონს უნდა მივმართოთ, - მოუჭრა ლიკონმა, - ზამთრის დროს უნდა მივცეთ.

- ო, ღმერთო, არა, არა! - შეეშინდა ანიტეს. - სოკრატე ჩინებული ადამიანია. პატივსაცემ და მიყვარს კიდევ...

- შენმა კეთილშობილურმა გრძნობებმა ხელი მაინც არ უნდა შეუშალოს მოვალეობის აღსრულებას, - მიეძალა ლიკონი, - აი თავად ბრძანე - ზევსია მოწმე! - თავს დამნაშავედა ვგრძნობ, შვილის აღზრდა იმას რომ მივანდო.

- ვთქვით. მაგრამ სოკრატე ხომ ათენის სიამაყეა! სხვაგანაც იცნობენ და პატივსაცემ.

- დაღათუმცა შენთვის ცნობილია...

- ათენას გაფიცებ, გული შოილბე, ლიკონ! ნუ ითხოვ მაგას ჩემგან! ძველ მეგობრობას ვუღალატო? აბა, როგორ გავწირო კაცი, რომელსაც იქნებ მართლაც ღვთაებრივი სიტყვა მოაქვს ჩვენთვის...

- შენ უნდა გაწმინდო ათენი ამა ბოროტი სულისგან! - შესძახა ლიკონმა.

ანიტემ ქიტონზედ იტაცა ხელი, მკერდი გაიშიშვლა და იყვირა:

- მერე, ვინ იკისრებს ბრალმდებლის საშინელ მოვალეობას?!

- მე! - ძღველვარედ წარმოთქვა მელეტმა, - დღესვე დავეწერ...

- არა, არა! - შესძახა ანიტემ - მომშორდით! მართო დამტოვეთ ჩემს მწუხარებასთან

- იმისი ყვირილი სულ უფრო ხმამაღლა გაისმოდა, - ვაი, რა უბედური ვარ! ყველაზე უბედური და ბედგამწყვრალი კაცი ვარ!

ლიკონი და მელეტე გავიდნენ, მაგრამ კედლის იქითაც ესმოდათ ანიტეს მოთქმა. კარს უკან მდგომმა მონამ იკითხა, ბატონთან ხომ არ შეუხდეთ.

- არ შეხვიდე. დამწუხრებულია და მართო ყოფნა სურს.

მიმავადთა დამშვიდებული სახეები კმაყოფილებას გამოხატავდნენ. მელეტმა მეკარეს გაუღიმა. ლიკონმა კართან დაბმულ ძაღლს ხელი გადაუსვა.

ანიტემ ნაბიჯების ხმას მიუგდო ყური - წავიდნენ თუ არაო. რომ დარწმუნდა, წავიდნენო, მაგიდას მიუჯდა, ლიკონის ფიალაში ჩარჩენილი ღვინო შესვა, თითი ღვინოს გუბებში ჩააწო და მაგიდას მიაწერა:

ΣΩΚΡΑΤΙΣ¹

ამ დროს კი დიპილონის ჭიშკრის მიღმა საზოგადოებრივ ბაღში, სადაც სხვათა და სხვათა ღმერთების სახელზედ აგებული მრავალი წმინდა სამლოცველო და სამსხვერპლოა, ზეთისხილებს შორის გაფენილ ჩვრებს ქარი არხევდა. პეფესტოსის საკურთხევლის საფეხურებზედ ქალი იჯდა და ხელში აყვანილ ასლოკინებულ ბავშვს უნანავებდა.

ამ ქალის ქმარი ქალაქიდან ორ თავისაკუთს ღარიბთან ერთად დაბრუნდა. ხმამაღლა იცინოდა.

1. სოკრატე (ბერძნ.)

ქალმა თავი ასწია და შეხედა:

- ამჯერად გაგიმართლა, ფორკინ?

- მეც გამომართლა, - თავი მოიწონა ფორკინის ამხანაგმა ჰიპერიონმა. - სამივეს კენჭი შეგვხვდა, ნაფიცნი ვიქნებით სასამართლოში..

- ვის გასამართლებთ?

- აბა, რა ვიცით? - ჩაერია მესამე, კიპარისე. - დღეს პირველად შემხვდა კენჭი და უნდა გითხრათ, ჩემო ძვირფასო, სულაც არ შეჭაშნიკება.

- იქნებ შენ არ გიჭირს? - მკვანედ მიმართა ფორკინმა.

კიპარისემ მხრები აიწურა.

რაც საჩემო საქმე არა მგონია. დაგიყენებენ წინ უცნობ კაცს, უნდა აღვე და გასამართლო! იქნება სწორედ ჩემი ცერცვი გამოდგეს გადამწყვეტი, და სულაც უდანამაულო ვინმე სიცოცხლეს უნდა გამოვასაღო!

- მართალი ხარ, - უთხრა ქალმა, - უბრალო კაცის მოკვლა აბა ვის უნდა? შენც ადექი და, შაუი კი არა, თეთრი ცერცვი ჩააგდე!

კიპარისემ მწარედ ჩაიციხა:

კეთილი რჩევა იგივე რქოა! ჩააგდებ თეთრ ცერცვს და იქნებ სწორედ პირწავარდნილი მკვლეელი გაამართლონ...

ამაზე ქალს აღარაფერი უთქვამს. ბავშვისკენ დაიხარა და სახე მზისგან პეპლოსის გიდიტ დაუფარა, რომელ პეპლოსშიც ჩუდილი იყო გახვეული.

- მე კი რა ხანია მაგ ამბისა გამო თავს აღარ ვიტყვ, - აგდებულად წარმოთქვა ფორკინმა. - სიკვდილითა და შეწყვალებით თავის სარჩენსაც ვშოულობ და გასართობსაც.

- ვერ გამოვიდა, რა არის აქ გასართობი, - მოიღუშა კიპარისე.

- არის, როგორ არ არის! თეატრსავით არის, - აუხსნა ფორკინმა ახალბედას - ხან ტარილია, ხან სიცილი, ცოტა სოფოკლეა, ცოტა არისტოფანე...

- მართალია, - ჩაერია ჰიპერიონი. - სასამართლოზედ ყოველთვის მშვილდივითა ვარ დაჭიმული - ერთი სული მაქვს, ხანამ გაირკვევა, რა ბედი ეწევა ბრალდებულს; ოფლის მაგივრად ლამის სისხლი მომდის...

- ნახეთ რა გასართობი! სისხლის მოღენა, აბა რა გართობაა! კიპარისემ ძირიდან ორი კენჭი აიღო და ერთმანეთს გაუხახუნა.

ფორკინმა კიპარისეს ხელები კისერზედ შემოაჭდო.

- სასამართლოში, ძმობილო, უნიღბოდ თამაშობენ. სახენიც უთამაშებთ, ცრემლიც ნამდვილია. ფიალა, რომელიც მისჯილს ელოდება, ცარიელი არ არის, როგორც სცენაზეა. არა, იმ ფიალაში ნამდვილი შხამია, ამიტომ მსხვერპლი სასამართლოზედ მეტად იკრუნჩხება, უდრე მსახიობი დიონისეს თეატრში...

რაებს მიუღ-მოუღები, სისხლმოწყურებულო მხეცო! - იფეთქა კიპარისემ - მომაშორე ეგ შენი თათი!

მაშინ ფორკინმა ხელები ჰეფესტოსის საკურთხევლისკენ გაიშვირა და ჩხუბის გილოზედ შექსძახა:

- ფეხნაკლულ ჰეფესტოსსა ვფიცავ, ცეცხლივან მჭედელს, ვერ მოვითმენ, ოდეს ვინმე იმ სასამართლოს ღანძღავს, რომელიც რომ პურს გვაჭმევს!

- მისმინე, კიპარისე, - გულთბილად უთხრა ჰიპერიონმა - აბა, დაფიქრდი, რამდენი კაცი რჩება ამ ხაქშიდან მოგებული. ცარიელი ჩუდილი გული ვერავის გამოკვებავს! აი სიკოფანტი დააბეზღებს ვინმეს და აგორდება საქმე! იცი, რამდენი ვინმე ჭამს ამით პურს? თვით სიკოფანტი, მწერალი, პრიტანი, სკვითნი, არქონტი, და ჩვენ, ხუთასამდე ნაფიცი, ანუ ხალხის წარმომადგენელი, ციხის დარაჯნი, და, ბოლოს - ჯალათი, ოღონდ ჩვენს სიღარიბეს რა სასამართლო საქმე უშველის...

კიპარისე ჰიპერიონს უყურებს და ვერა ხედავს. ჰიპერიონი თითქოს გაქრა. სადღაც შორს იყურება კიპარისე გაოგნებული, სასაძარტლოში მონაწილეობისთვის დაპირებული ობოლოსნი ვერანაირად ვერ აგრძნობინებენ იმ სიხარულს, ფორკინს რომ დაუფლებია.

- რა უნდა ვქნა იქ?

უხელო ხეიბრის ხმა:

- ძალიან უბრალო რამე. ხმას მისცემ და შინ სავსე ქისით დაბრუნდები, იმათაც ნუ დაივიწყებ, ვისაც ბედნიერი კენჭი არ შეხვდა...

კიპარისე გრძნობდა - ამ საქმეზედ აგულიანებდა არა მარტო შეხვედრილი კენჭი, არამედ აგულიანებდნენ ის კაცნიც, რომელნიც ამას წინათ დაეხმარნენ, ოდეს ამო ბრძოლისა შემდგომ თავისი პატარა მამული დაკარგა. აღელვებულმა მიუგო:

- თქვენთვის იოლია ლაპარაკი! ვინ იცის, დამნაშავეა ბრალდებული თუ არა? როგორ გავარჩიო? - უცებ ფორკინს მიუბრუნდა. - აი შენ, როგორ გაარჩევ. ვის უნდა მისცე ხმა?

- ეგ იმაზე და მოკიდებული, რასაც ბრალდებულზედ მოვისმენ.

კი ბატონო, მოუსმენ ბრალდებულსა და დამცველს. მერე, როგორ გაიგებ, რომელია იმათგან მართალი? ან თვით ბრალდებულს რანაირად ასწონი?

ბავშვი ატირდა. ქალმა მწარედ წარმოთქვა:

- ისევ მოშივდა.

ფორკინი ცოლთან მივიდა:

- შოთშინე, სხუა რამეს მოვიტან... - და კიპარისეს: - მე თითქმის არასოდეს არ ვიცნობ ბრალდებულს. პირველად ვნახულობ ცხოვრებაში. ბრალდება ამბობს, დამნაშავეაო, თვითონ უარყოფს, არა, მე წესიერი ვარო. როგორ უნდა მოიქცე კაცი?

ქალმა ისევ დაუნანავა ჩვილს.

კიპარისემ წყნარად წაიბურტყუნა:

- მაშ, ეს ყველაზედ უფრო ძნელი სამუშაო ყოფილა:

- თუთრ ცერცვს ჩავაგდებ თუ შავ ცერცვს, ორსავე შემთხვევაში სამ ობოლოსს მივიღებ, - თქვა ფორკინმა. - მაშ, აქ მსჯელობა რაღა საჭიროა?

ქალის წყნარ სიმღერა-სიმღერაში ჰიპერიონმა წაიღულღულა:

- კარგად თქვა კიპარისემ - ეს ყველაზედ უფრო ძნელი სამუშაოა...

კიპარისემ შორს გაისროლა კენჭები.

- არ წავაღ! ხულაც არ მესასაძარტლოება!

- ნუ ხარ დედაკაცი! - მიაძახა ფორკინმა.

- არ წავაღ! სამი ობოლოსის გულისთვის ვერც მართალ კაცს მოვაკვლეუვინებ და ვერც დამნაშავეს გავაშვებინებ!

- ეგ მხოლოდ პირველად. მერე მიეჩვევი.

- ვერ მივეჩვევი.

- ჩვენი გულისთვის უნდა წახვიდე! ტყუილია, თავს ვერ დაიძვრენ.

კიპარისე გაჩუმდა. იავნანა ღამის სიბნელეში უფრო ხმამაღლა გაისმა და უფრო ტკბილადაც. ფორკინი შოლბა:

- იცი, როგორ გადავწყვიტოთ დაუა?

- თუ მაცოდინებ, კარგი იქნება, - მშვიდობიანად თქვა კიპარისემ.

- კენჭი ვყაროთ. - ფორკინმა აბგიდან ჩვარი ამოიღო, რომელშიაც მონეტა იყო გახვეული. - შენ იქნები ბუ, ანუ შავი ცერცვი, მე - ათენა, ანუ თუთრი.

მონეტა ააგდო. ყველა ყურადღებით აღევნებდა თვალს.

- ათენაა! თუთრი! - პირველმა დაიფვირა ჰიპერიონმა.

- მორჩა და გათავდა, - გაიცინა ფორკინმა, - მაშ, მე თუთრს ჩავაგდებ, შენ კი - შავს.

რალა უნდა ვიწვალათ.

ყველას გაეცინა, რაკი იმათ ასე ერთი დაკვრით ჩამოიხსნეს პასუხისმგებლობის ტვირთი და ბედნიერების ქალღმერთ ტიქეს გადააბარეს.

ქალმა სიმღერა შეწყვიტა და თქვა:

- აი, როგორა წყდება ადამიანის ბედი.

ბუ- ათენა, შავი ცერცვი - თეთრი ცერცვი... როგორც მონეტა დაქარაღებულსაქმეც ისე წავა.

8

სოკრატე კედელს მიყრდნობილი დგას. ირგვლივ ბავშვები თამაშობენ. მზე დასაუვალს უახლოვდება. მზის საპირისპიროდ თვალმოჭუტულმა სოკრატემ დაინახა, როგორ მოქპონდათ მონათ მდიდრული ტახტრეკანდი.

ბრძანების მორჩილი მონანი შეჩერდნენ. ტახტრეკანდიდან ძვირფასად ჩაცმული კაცი გადმოვიდა. დიდის ამბით მივიდა სოკრატესთან. მსუბუქ გესლიან ღიმილს მის სახეზედ ნაოჭები გაეჩინა, „მისი ყოველი მოძრაობა მოწმობდა, რომ ფილოსოფოსთან შედარებით ეს კაცი თავის უპირატესობას გრძნობდა.

- ჰაირე, ძვირფასო სოკრატე!

სოკრატემ თვალები ხელით მოიჩრდილა. ვერ იცნო. ნელა უპასუხა:

- ჰაირე, მაგრამ ძვირფასი რატომ მიწოდებ?

- იმიტომ რომ დარწმუნებული ვარ, არცერთ სხვა ქალაქში, მთელს ქვეყნიერებაზედ, ათუნისა გარდა, არ არის მეორე სოკრატე.

- ვერ გამიგია, შენი სიტყვა დაცინვაა თუ მოთხრობა?

- როცა გაიგებ, ვინ ლაპარაკობს, მიხვდები: არც ერთია, არც მეორე. უბრალოდ, მინდა, რომ პატივი გცე.

- არ ვიცი, ვინა ხარ. მაპატიე, მზის პირდაპირ ცუდად ჩანხარ.

კაცმა ხელი ჩაიქნია. ამ მოძრაობაში ამო სუნი დააყენა, რომელი სუნითაც გაქვნილი ჰქონდა თმა, კანი, სამოსი.

- მე საძულველი გლახა, მაწანწალა ვარ. ოდესღაც ქუჩის ბიჭები „კოლო! კოლო!“ შეძახდნენ. ბევრნი, იმის ნაცვლად, რომ გაშვერილ ხელში ობოლოსი ჩაედოთ, ხელისგულზედ მაფურთხებდნენ. და თვითონ შენ ერთხელ კაცურად არ შემოგიხვდავს ჩემთვის. მგონი რომ, სახელიც კი გმაგდა ჩემი...

- ანოფელესი ხარ, - სახელით მიმართა სოკრატემ.

- დიან, ის კოლო ვარ. მაინც მიცანი. სანამ კაცი ახალგაზრდაა, სწორედ ვერ განსჯი, რამეთუ ოდენ მოწიფულობის ვამსა ჩანს, იღბლიანი იყო თუ უიღბლო ეს კაცი ცხოვრებაში.

- შენ როგორ ფიქრობ? - ჰკითხა სოკრატემ, - იღბლიანი იყავ?

ანოფელესმა აბრეშუმის მოსასხამის კალთა აიწია და ჩაიციხა:

- ვითომ გიპასუხო?

- გთხოვ, - მიუგო სოკრატემ, რომელიც გრძნობდა, რომ თავის სტიქიაში შედიოდა.

- შეგისრულებ სურვილს, თუმცა ძალიანაც არ მიყვარს ამაზედ ლაპარაკი.

- მიმოგონება არა გსიამოვნებს? - დაეკითხა სოკრატე.

- არც ვგრეა. მაგრამ ძველი წყენა, უსამართლობა... გახსოვს, ტირანთა ბატონობის ვამს ჩემზედ ხმა დადიოდა, ვითომ სიკოფანტი ვიყავი?

- მერედა, არ იყავი? - ბავშვური გულუბრველობით ჰკითხა სოკრატემ.

ანოფელესმა შეურაცხყოფა უყურადღებოდ დატოვა.

- მბრძანებელით ვესაუბრებოდი ხოლმე, ძალაუფლების მფლობელით - შეეპასუხა, - შენ რა, არ ვესაუბრები ხოლმე? საუბარი რა, სიკოფანტობაა?

- გააჩნია, ვისზედ ვესაუბრებოდი და როგორ. იმას, ვინაც დესპოტობა/საუბარში ზურგს უკან ცილსა სწამებს ან ასმენს ადამიანს. ვინაც თუნდაც ერთი სიტყვით/ხირქსა სცხებს და დესპოტს ცილდაწამებულზედ აზრს უცვლის ცუდი თვალსაზრისით, თვითონ კი ჩრდილში რჩება, - სიკოფანტს, ანუ მამბუზლებელს ეძახიან.

- მაღლობა სწავლებისთვის, - ირონიულად გამოეხმაურა ანოფელესი, - მაღლი ღმერთით, მოშურნენი არ მაკლია! ამ საქმეში იღბალი არცროდის მქონია.

- რით ზომავ შენს იღბალს, რა საზომით? - ცოცხლად ჩაუჭიდა სიტყვას სოკრატე.

- რითა და, სწორედ შენით! შენ ჩემთვის ყველაზედ უფრო დამაჯერებელი საზომი ხარ. ღარიბი იყავ, აწ კიდევ უფრო ღარიბი ხარ. მოსასხამი ლამის მხრებიდან ჩამოგვარდეს, შიშველი ფეხები ჭუჭყისგან საცოდავ დღეში გაქვს. მთელ სიცოცხლეში ალბათ ერთხელაც არ გამაძღარხარ. - ჯერ კიდევ მარტოც რომ იყავი. ახლა ცოლ-შვილი გყავს და კიდევ ის მათხოვარი გოგო მირტო. სახლი სანახევროდ ჩამოგექცა, შენთა ქანდაკებათაგან ქვათა ნამტვრევნილა დაგრჩა, ეზოში რომ გიყრია. სიბერემ უფრო მეტ გასაჭირში ჩაგაგდო, ვიდრე მე ვიყავ ახალგაზრდობაში. ახლა - მაპატიე პირდაპირობა, სოკრატე! - ერთი ვინმე ღარიბი, მაწანწალა ხარ, რომელიც ხალხს თავს აბეზრებ...

- ძალიან მოსწრებულად ბრძანე, - ცოცხლად მიუგო სოკრატემ, - ვარ ღარიბი, რა ექნა. არც ვერცხლი მაქვს, არც ოქრო, არც ვილა, არც მონანი ძეგანან. მაწანწალა ვარ: დიდიდან საღამომდე ქალაქში დაუკნეულები, აბუჩარიცა ვარ. ხან ვის გადავეკიდები, ხან ვის, ვისაც მოვიგდებ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჩემთვის არცვის არაფერს ვართმევ. პირიქით, ვაძლევ.

ანოფელესმა გადაიხარხარა.

- ვიცი! აძლევ! ცარიელი ხელებით ურიგებ სიტყვებს, კაციშვილს რომ ვერ აძლობენ და კვამლისებრ იფანტებიან.

- სუ მაწყვეტინებ, ანოფელეს. ხან ვის გადავეკიდები, ხან ვის შეთქი, მე თვითონ გითხარი. გადავეკიდები და, როგორაც ბებიქალი ყრმას, ისე ვაბადებინებ, რაც ამ ადამიანში დაფარულია. ვესაუბრები, ვეხმარები კაცთ იმის გაგებაში, რომ თავად ყველაგვარი სათხოვბის შეთვისება შეუძლიათ.

სიტყვა „სათხოება“ ისე უბრალოდ და მართლად წარმოთქვა სოკრატემ, თითქოს „სათხოება“ კი არა, „პური“ წარმოეთქვას.

- დიან, უკეთილშობილეს, საუკეთესო მიზანს, ესწრაფვი, მაგას ვერავინ წაგარიამევს, - შეაქო სოკრატე ანოფელესმა, - და მაინც მხოლოდ ღარიბთა მასწავლებელი ხარ. შენ გძულდნენ სოფისტნი, გადაჭრით უარყოფდი იმათ მოძღვრებას. და აი, ის სოფისტნი, რომელთა რიცხვსაც ახლა მეც ვათვლი თავს, - ცხოვრებაში უფრო პრაქტიკულნი გამოდგნენ: ყოველთ კარგადალი ქონება შეიძინეს, დემაგოგთ შეუთანხმდნენ, ზოგმა მაღალ თანამდებობასც მიაღწია, ყველანი ჩინებულად ცხოვრობენ.

ანოფელესს მოეჩვენა, რომ ყოფილი მქანდაკებელი სოკრატე თავად იქცა ქანდაკებად, ჰიმატიონის ნაკეცები გაუქვავდა, მხოლოდ ხელებილა უმოდრავებდა, რომელთაც ბებიქალის ხელებსავით იხმარდა - თითქოს ანოფელესს სულის წიაღიდან რალაციის აბადებინებდნო.

და მან გულწრფელად მიიპატიუა სოკრატე:

- სეტავი აქ რას ვუდგევართ? ჩამიჯექ ტახტრევანდში, ჩემს ვილაში განვაგრძოთ საუბარი! დროა, რომ ვახშამზედ ვიფიქროთ...

სოკრატე არც შერხეულა და ანოფელესმა ჰიმატიონზედ მოსწია:

- წავიდეთ, ძვირფასო! ჩემი სუფრა საკმაოდ უხვია, შენს გემოვნებას დაატკბობს!

სოკრატემ მსუბუქად გაითავისუფლა ხელი, გაიღიმა:

- გმადლობ, ანოფელეს. დღეს უკვე დაპატივებული ვარ ვახშამზედ, ანოფელესმა წამერთ იპოვნა სხვა გზა:

- მე შემიძლია, რომ თითო-ორიღა მნა მოგაშველო. ჩემგან ბოძებულ ძღვენს შენგან ბოძებულად მივითვლი.

სოკრატემ მოკლედ და მხიარულად გაიცინა:

- კეთილშობილო ანოფელეს, სოკრატესგან შენ არცრა გჭირდება!



ეროვნული

ბიბლიოთეკა

9

ხშირად კაცს მთელ სიცოცხლეში რაღაც სიჭაბუკისუბანი გაჰყვება ხოლმე - მიმოხრა, სიტყვა, ჰანგი, ჩვეულება. მირტო იმ ჩვეულების ერთგული დარჩა, ჯერ კიდევ ბავშვობაში ჰაპისგან რომ ჰქონდა შეთვისებული: ვახშამად გამოპრანჭვა უყვარდა.

ტანთ გრძელი თეთრი პეპლოსი ემოსა, ფეხთ მსუბუქი სანდლები, უხმაუროდ მოძრაობდა, სტუმართათვის შემწვარი თევზი და ღვინო შემოჰქონდა.

ქსანთიპე მოვახშმეთ ქერის პურს სთავაზობდა, თევზს უხდებო. შავ თმაზედ შუქი დასთამაშებდა. სახის მცირე ნაოჭთ უღრმავებდა. მარცხნივ ლამპროკლე უჯდა, მარჯვნივ ანიტე-უმცროსი. სოკრატეს გვერდით აპოლოდორე და პლატონი ისხდნენ, პირდაპირ - კრიტონი და სიმონი.

ტაბლის გარშემო დახელისებული კრავი ხტოდა, წყალობას ითხოვდა.

სოკრატეს პატარა ეზო მხიარულ სიცილს გამოეცოცხლებინა. არ იცინოდა მხოლოდ ერთი სტუმარი, თუმცა თავი ისე ეჭირა, ვითომ იცინოდა: ანიტე. მან რაღაც ისეთი უწყის, რაც აქ ჯერ არავინ იცის. დღეს ის სოკრატესთან მხოლოდ იმიტომ მოვიდა, რომ იმ კაცის მარცხით დატკბეს, ვინაც მკაცრად შეუგინა ზნეობა. ანიტე თითქოს ჩემსებზედ ზის; ცალი ყურით სოკრატეს უსმენს, როგორ შეხვდა ანოფელესს, ოდესღაც გლახას, დღეს კი ვახშამად რომ მიიპატიუა, მეორე ყური ქუჩისკენ უჭირავს: როდისღა უნდა გაისმას ფლოქეტა თქარუნი?

- იმის მიხედვით, რასაც შენ ამბობ, - მიუბრუნდა მირტო სოკრატეს, - ამ უეცრად გამდიდრებულ ანოფელესს ბევრი ვინმე დაუსმენია.

- მახეზღარი და ცილისმწამებელი კაცად ვერ იწოდება, - შენიშნა სოკრატემ.

ანიტე თავს ძლივს იჭერდა.

სიმონმა თქვა:

- ეგ აზრი პირველად ამ ექვსი ოლიმპიადის წინათ წარმოთქვი.

- ეგრე ზუსტად როგორ განსოვს? - იკითხა აპოლოდორემ.

სოკრატეც გაოცებული დარჩა:

- მე თვითონაც არ მახსოვს, როდის ვთქვი ეს სიტყვები.

სიმონი ქვაყორზედ გადაძვრა თავისთან და ძალე მთელი ერთი იღლია ჰაპირუსის გრაგნილნი მოიტანა. თან შლიდა, თან ლულულულებდა:

- დაიცათ, ახლავ ვიპოვნე...

- ყოველთა ძაღლთა ვფიცავ, დიდი ჯაფა დასდგომია! - შესძახა სოკრატემ, როცა გრაგნილთ გადახედა, თან სათაურთ კითხულობდა: „სიკეთისთვის“, „სიღამაზისთვის“, „პოეზიისთვის“, „ღმერთისთვის“, „სიყვარულისთვის“, „სიბრძნის შეტყვევებისთვის“, „კარგი გუნება-განწყობისთვის“, „ძმობისთვის“, „პატიოსნებისთვის“...

- აი! - შესძახა სიმონმა, - აქ არი! ხედავ? „მახეზღარი და ცილისმწამებელი კაცად ვერ იწოდება...“

- რაოდენი ხანია, რაც ამეებს იწერ? - იკითხა გაოცებულმა აპოლოდორემ.

- ჯერეთ კიდევ ყმაწვილი ვიყავ, სოკრატეს სიტყვა რომ შემეფარდა. ვიჯექ, ვაკერავდი სანდალთ და თან იმაზედ ვფიქრობდი, რაც გამეგონა. იმ დროს სოკრატემ ძველ სოფისტთაგანაც სწავლობდა, მაგრამ რასაც ეს უბნობდა, იმას არცერთი სოფისტი არ ლაპარაკობდა. აი ამან გამიტაცა და დაეწყე წერა. თუმცა, კრიტონი, სიმონი და კებეტიც იწერენ სოკრატეს ნათქვამს.

- მეც ვიწერ, - ჩაურთო პლატონმა, - ყოველ საღამოს ვიწერ. ქსენოფონტმაც ბევრი რამ ჩაიწერა. სხვათაც ჩაიწერეს.

აპოლოდორემ ჰკითხა:

- რატომ არის, ძვირფასო მოძღვარო, რომ ადამიანს სულ სხვარიგად უდგები, ისე არა, როგორც სხვანი?

სოკრატემ ჭაბუკს გაუღიმა:

- მე უბრალო კაცი ვარ. ჩვეულებრივი და მიამიტი. უფრო მეტად ადამიანის ერთ სულხორცად შეყვრა მსიამოვნებს. ვიდრე ნაწილ-ნაწილ დაშლა. მართალია, პირველად ნაწილ-ნაწილ ვშლი, მაგრამ მერე ისევ ერთ მთლიანად ვაქცევ. მქანდაკებულნი ათობით მამაკაციდან ან ათობით დედაკაციდან ყოველსავე საუკეთესოს იღებენ და მერმე ერთ ქანდაკებაში ასხამენ ხორცს. ჩემი ოცნებაც ეს იყო. მინდოდა, რომ მელაგრე მოვქცეოდი ცოცხალ ადამიანს თავის აზრებიანად და გრძნობებიანად. სულ ერთი აზრი მბურღავდა: დედაჩემს უშწუო ჭიაყელა გამოჰყავდა წიაღიდან, მამაჩემი მოზრდილ სრულქმნილ ადამიანს ძერწავდა ქვაში; და ქვეყნად არცვინ არა ფიქრობდა, მაინც რა ხდება ამ ორ მდგომარეობას შორის, რაგვარ ვითარდება შინაგანად ეს უშწუო ჭიაყელა, ვინემ მოზრდილ ადამიანად გადაიქცეოდეს. მაშ, ვინ ჩაუნერგავს ადამიანს ცოდნას, ვინ ასწავლის აზროვნებას, სათნოებას და ვინ გაუძღვება კეთილწარმატებისკენ? აი სწორედ ამ საქმისთვის ხელის მოკიდება ვცადე...

სოკრატეს ყოველი სიტყვა ანიტეს სისხლს უშრობდა. ეჩვენებოდა, რომ ყველანი იმის წინააღმდეგ იყვნენ. მოხუცმა ფილოსოფოსმა წამერთ პირდაპირ თვალებში ჩახედა. ანიტე გაწითლდა, თავი დახარა.

- არიან სიბრძნის მასწავლებელნი, - განაგრძო სოკრატემ, - რომელთა მიზანია გახრწნა, დანგრევა, ძირში მორყევა. ჩემი უდიდესი წადილია აგება და აღსება. მქანდაკებელი აგებს და, უკეთუ ოდესღაც გულისტკივილით მივატოვე მქანდაკებლობა, სამაგიეროდ მისი პრინციპის - აგების - ბოლომდე ერთგული დავრჩი. ამაზედ ვრუდუნებ უკვე რა ხანია და არცა ვნანობ.

სოკრატე ადგა, თავის დეინიან ფიალას თავი წაუქცია.

- ზედაშესა ეწირავ ჩემთვის სამ ძვირფას ხატებას, რომელნიც ერთგულად მიდგნენ მუდამ მხარში, პირველია აპოლონი, ნათლის მოძნიჭებელი, მეორე - დიონისე, სულიერი აღტაცების მომმადლებელი, მესამე - არტემიდა, მონადირე ქალწული.

ანიტეს ქუჩიდან ფლოქვების ხმა მოესმა. ფერი დაკარგა. ადგა და სხვებსავით იმანაც წაუქცია ღმერთთ ზედაშე. ხელი ისე უკანკალებდა, ღვინო ექცეოდა. სოკრატეს მშვიდი სიტყვების, მისი სიმტკიცის, მისი ცხოვრების უდიდესი აზრის წინაშე ანიტემ თავი არამზადად იგრძნო. ყველაფერი კარგი, რაც მასში ჯერ კიდევ დარჩენილიყო, იმის წინააღმდეგ ადგა, რაც მალე უნდა აღსრულებულიყო. ანიტეს უეცრად საზიზღრობად ეჩვენა თავისი ღალატი, სისამაგლედ - მამისა და მელეტის საქციელი. მაგრამ გვიანდა იყო.

საფუთქელნი დახეთქვაზედ ჰქონდა. ვუღარ გაუძლო. წამოხტა და უსიტყვოდ გავარდა ეზოდან.

- რას გარბის? რა მოუვიდა? - შეშფოთდნენ სოკრატეს მეგობრები, სოკრატემ კი გაიღიმა და მიუგო:

- ნუ შიქცევთ ყურადღებას, ძვირფასო. ხანჯამისად ცუდ ადამიანშიც გაიკიაფებს ხოლმე წამით ნაპერწკალი სინდისისა - ანდა სირცხვილისა...

- ცუდ ადამიანში? რას ამბობ, მოძღვარო? - საგონებელში ჩავარდა აპოლოდორე. - ცუდი რა გიქნია ანტიტემ?

- დამშვიდდი, ჩემო უძრწემესო. ცუდი ვერცრა ვერ გამაკვირვებს კრიტონმა თქვა:

- რაღაც უცნაური ჩანდა ამ ბოლო ხანს, არ მომწონდა. - კრიტონი მართალია, - დაუმოწმა პლატონმა. - არც მე მომწონდა.

სოკრატემ უდარდელად ჩაიქნია ხელი, და ამ დროს ეზოში სკვითი შემოვიდა. ყველას მიესალმა და წარმოთქვა:

- არქონტი ბასილევსი ამა უსტარს უგზავნის სოკრატეს. ნაბრძანები მაქვს აქავ შენი პასუხის მოსმენა.

მირტო ცახცახია აიტანა. ქანთაჲ თვალს ველარ აცილებდა დაუპატიჟებელ სტუმარს. მეგობრები შეშფოთებით შესცქეროდნენ სოკრატეს. მან გრაგნილი გაშალა და ხმამაღლა წაიკითხა:

- „არქონტი ბასილევსი ამა უსტარით იბარებს სოკრატეს, ალოპეკოსის დემოსში მცხოვრები სოფრონისკეს შვილს, რათა დღეიდან მეხუთე დღეს, მამლის მესამე ყივილზედ წარუდგეს სახალხო სასამართლოს იმა ბრალდებისა გამო, რომ არა ირწმენს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ღმერთთ, შემოაქვს სხვა, ახალ ღმერთთა რწმენა, თანაც კიდევ რყენის ახალგაზრდობას“.

თავზარდამცემ სამარისებურ ღუძილში აპოლოდორეს ყვირილი გაისმა:

- ჩემო სოკრატე!

სოკრატემ მხრებში ხელები ჩააქლო, დასვა და შიკრიკს მიმართა:

- გადაეცი არქონტ ბასილევსს, რომ დანიშნულ დროს ვეახლები. ჰაირე. გულდამძიმებული ღუძილი.

- ხულით ნუ დაეცემით, მეგობარო. ათენი მოუსმენს ჩემს ბრალმდებელთ, მაგრამ მეც მომისმენს.

კრიტონმა ძველ მეგობარს ხელი მოჰკიდა.

- კარგად დაფიქრდი, სოკრატე, ასეთ ფაშს ათენის კანონი...

სოკრატემ სწრაფად შეაწყვეტინა, საფეედურით უთხრა:

- ვიცი, რისი თქმაც ვინდა. დამაბული ღუძილი. თუთრად განათებული სახლის კედლები იმ შუქს ასხივებენ, დღის განმავლობაში მზისგან რომ გასჯდომიანთ. ოლეანდრის ბუჩქს ცვარ-ნამი დაეცა, ჰაერში მათრობელა ხუნი ტრიალებს.

მაგრამ ვერავენ გრძნობს საღამოს მომხიბლლობას. სიმონმა ყველას მაგიერ გამოხატა შიში:

- რა მოვივა ნეტავ?!

- მთავარი მე როდი ვარ, მეგობარო. მთავარი ჩემი აზრებია: რა მოუვა ჩემთა აზრთ? წუთისოფელში მუდამ ყოფილა და იქნება ბრძოლა ძმაცვასა და სიბრძნეს შორის. ხან ერთი გაიმარჯვებს, ხან მეორე. მაგრამ რაოდენიც არ უნდა იქანაოს სასწორმა- ბოლოს და ბოლოს ძმაცვისა თუ ცბიერების პინა უფრო მსუბუქი გამოდგება... - სოკრატემ აპოლოდორეს გრუზა თმაზედ ხელი გადაუსვა, - სიბრძნე მარმარილოს უძრავი ლოდი როდია. სიბრძნე - ცოცხალი აღია, რომელსაც მუდამ უნდა ვუფრთხილდებოდეთ და ვასაზრდოებდეთ. ეს კი თქვენი საქმეა, მეგობარო.

აპოლოდორე მოწიწებით უსმენდა, თვალს არ აშორებდა მოძღვარს.

- შენც ხომ მოჰკიდებ ხელს ამ საქმეს, - უთხრა სოკრატემ. - ჩემო უძრწემესო?

ნაწილი მეექვსე



ქართული

თავისი სიცოცხლის მანძილზედ სოკრატეს მრავალი განთქმული ღია ცის ქვეშ მზის ამოსვლის მოლოდინში. უყვარდა ეს ღუმელი, ოდეს ადამიანის სული შეუფერხებლად დაეხეტება იმ ბილიკებზედ, რომელთა გავლაც დღის სინათლეზედ არცთუ ადვილია. აწინდელი ღამე კი სულ თუთრად გაათენა.

მარმარილოს კუბზედ ავიდა, რომ უკეთ დაუნახა ჰიმეტოსი, საიდანაც უნდა ამოსულიყო ნათელია მისი - მზე.

დღეს სიწყნარე არ იყო. ალოპეკოსის პატარ-პატარა სახლებიდან, ერთიმეორის მიჯრით რომ იდგნენ, გათყნებამდე დიდი ხნით ადრე, ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოისმოდა ალელკებულთა ხმა: ხან აქედან, ხან იქიდან, ყოველი მხრიდან!

ძილის ღვთაება ჰიპნოსი არ ბატონობდა ამ ღამეს ათენულთა სახლების ბანებზედ. მრავალი კედლის მიღმა ისმოდა ალელკებულ ადამიანთა ლაპარაკი: ამ დილით წარუდგება სასამართლოს ათენის მოქალაქეთა შორის ყველაზედ უფრო კაცადკაცი - სოკრატე.

ის კი უძრავად დგას მარმარილოს კუბზედ, ესმის ეს მოუსვენრობა, ეს შეშინებული ხმები, ესმის, რომ დღეს მის ქალაქს არ შეუძლია მშვიდად დამინება. იღიმება: მეტ სიკეთეს ვერც ვინატრებდი! ამ ბოროტ ქაშს მართო არა ვარ.

ოლეანდრებისა და კვიპაროსების სურნელებას კვამლის სუნი ერევა. ბევრი უკვე ამდგარა, საუზმეს ამზადებენ, რძეს აღუღებენ, კვირებს აცხობენ - სასამართლო საღამომდე გაგრძელდება. ჩქარობენ - არ დააკვიანონ, მოიხილონ, მოუსმინონ, გვერდიდან არ მოშორდნენ.

არა სძინავთ არც ქსანთიპეს, არც მირტოს. ეს უკანასკნელი ფეხშიშველა გაიპარა კარში, თვალი შეავლო მარმარილოზედ შემდგარი სოკრატეს სილუეტს. ქსანთიპეც გამოვიდა. ორივე ქალი შიშით ერთიმეორეს ეკვრის, ხედავენ: სოკრატეს სილუეტის გარშემო ცა ფერმკრთალდება.

მირტო ჩურჩულით ამბობს:

- სულაც ნუ ამოსულა დღეს მზე!

მელეტმა აბისას უბრძანა, ადრე გაძაღვიძეო, ჩვეულებრივ, როცა გასაღვიძებლად მიდიოდა, ქალს თმა ჩამოშლილი ჰქონდა ხოლმე, როგორც ამ ვაებატონს უყვარდა. დღეს აბისას მკვრივკვანძად აუხვევია თმა და ფერადი ბაფთით შეუკრავს. იცის, საითაც ემზადება ბატონი, ამიტომაც არ მიუწვება, როგორც ყოველთვის, რათა დღის დადგომას სიაშოვნებით არ შეაგებოს.

აბისამ ნაზად აკოცა მელეტს.

- თენდება, ძვირუახო. წინ დიდი დღე გელოდება.

სინაზეს სისასტიკით უქახუნა: ისე უჩმიტა ძუძუზედ, რომ ქალი ტკივილისგან ატირდა.

- მართალი ხარ, აბისა, - უთხრა, რომ დგებოდა, - წინ დიდი დღეა. ჩემი და სოკრატესი. სოკრატესი და ჩემი.

აბისამ სახეში შეხედა, როგორ დაკბერებია ერთ ღამეში. თუ თვალები დაუბერდა? რატომ? ამას ხომ არ ასამართლებენ?

- აბაჩანა მზად არის?

- რა თქმა უნდა, ბატონო, - მიუგო მონა ქალმა და სააბაჯანოში გაუძღვა, - რომელი სამოსი მოგიმზადო?

მელეტმა გონებაში გადასინჯა ყველა საჩუქარი, გუშინ ანიტესგან ავანსის სახით რომ მიიღო. უკვე მაზმართში იჯდა, რომ დაიძახა:

- ტერაკოტისფერი ქიტონი, ოქროს სამაჯური და... რომელი მოსასხამი აჯობებს? - აღისფერი? - შესთავაზა აბისამ.

- არა! იტყვიან, ალკიბიადეს ჰბამავსო.

- იქნებ ახალი მწკანუ ქლამინდი, ოქროთი მოქარგული?

- ეგ კარგია. სულ ახლებში ვიქნები.

იბანავა, ჩაიცვა და საუზმედ დაჯდა. აბისამ უთხრა, ქალაქში დიდი მღელვარებააო. მაგრამ თავისი ყველა ფიქრით და ზრახვით ის უკვე არუიპავში იყო.

ჭამას რომ მორჩა, სარკის წინ გაიმეორა თავისი საბრალდებო სიტყვა სოკრატეს წინააღმდეგ. ზუსტად იცავდა ორატორული შესტყობისა და მიმიკის სისწორეს.

უეცრად ბოროტად გაიცინა: დამაცა, ბებერო! ჯადოქარ კირკეს მიერ ღორად ქცეული უფრო კარგად დაგიღრუტუნებ!

პიმეტოსის მწვერვალზედ დაბუდებული არწივნი აფრინდნენ და ჩრდილოეთის მიაშურეს. ისინი ყოველთვის ცოტა ადრე იღვიძებდნენ, ვიდრე ფებოსი თავის ოქროს რაშს თავლიდან გამოიყვანდა.

თავისი სახლის ბანზედ იდგა ხაბაზი მერინი და თვალებს იფშვნეტდა. ხელავს-არწივნი პენტელიკონის მხარეს მიცურავენ.

- თუნდება, - თქვა თავისთვის, რადგან ელინთ ასე იციან, თუნდაც არავინ ჰყავდეთ მსმენელი, საკუთარ თავს ებაახებიან.

მაგრამ მეზობელი სახლის ეზოდან ვიღაცა გამოეხმაურა:

- ჰო, მალე წახელის დროც მოვა! - ეს იყო მერინის მეზობელი ლუსტრატე. - ცოტა რამე წახახემსებელი მოამზადე ჩემთვისაც.

- კყურებს წამოვიღებ, უკვე გამოვაცხობინე. ღუქანში დღეს ცოლი და შვილი დარჩებიან. შენ ღვინო წამოიღე. ჯოჯოხეთურად ცხელ დღეს დაიტყრს.

- სულაც არ მიზარია, რომ კენჭი შემხვდა, - კუშტად თქვა ლუსტრატემ.

- მე კი პირდაპირ ტანში მცრის მოუთმენლობისგან. მთელი დამე თვალი არ მომიხუჭავს. - და მერინმა ისევ მოიფშვნითა თვალები.

- არც მე, - ლუსტრატეც ბანზედ იდგა, ფეხებგაფარჩხული; ხელები აიქნია, - რა საშინელი პასუხისმგებლობაა! არ ვიცი, რა ვარგუნო.

- იქა ვნახავთ... - დაამშვიდა მეზობელი მერინმა.

მაგრამ ლუსტრატეს დამშვიდება არა სურდა.

- იქ ისეთს რასა ნახავ, რაც ახლავე არ იცი? დახლართული საქმეა! ვურ გაარჩევ. საკუთარი ყურებით მოვისმინე, როგორ ჩააგონებდა აქ ერთს, ჯობია, რომ უფრო საკუთარ გონებას ენდო, ვიდრე აპოლონის ორაკულთა ნათქვამსო. რამდენი კითხვაც გაგიჩნდება, სულ დელფოში კი არ უნდა ირბინო, პასუხი თავად უნდა მოიძიო. ვითომ უფრო უკეთ გამოგივაო. ჰო!... იქნებ მთლად აგრეც არ უთქვამს, როგორც გუბნები, მაგრამ ვინც იქ ვიდევით, სუყოველმა კაცმა ისე გავიგეო, რომ ადამიანის გონება ღვათებრივზედ ძალდა დგას. სისამაგლეა, არა? ისიც საკუთარი ყურებით გავიგონე, რარიგ უბნობდა, ჩვენთვის, ათენელთათვის რა უფრო საჭიროა. დანარჩენი შენზედ იყო, დამდგარიყავი და ამოგერჩია, თუ რამ უფრორე მნიშვნელოვნად მიგაჩნდა!

მერინი არ იზიარებდა მეზობლის შეშფოთებას. გაიცინა:

- წინასწარ საგონებელში რატომ იგდებ თავს? იქ ხომ ქსანთიპეც იქნება, ყველაფერს ის გადაწყვეტს, წარმოდგენილი მაქვს, რასაც ის მოახდენს. აი სად წაადგება სოკრატეს იმის მჭევრმეტყველება! ნახავ, მუხლებზედ დაეცემა, ტირილით შეგვთხოვს შეწყალებას,

ლამაზ თმას გაიწეწავს... სუყოველ ნაფიცს გულს აუჩუყებს, სახსრებში დაგვშლის ყოველთ - შენც! ჰოდა, უნებურად გული მოგვიღებება. ღარიბი ხალხია! თავად განსაჯე, ბიჭი ჰყავს, კიდევ მეორე ქალი - ნუთუ ისე გავწირავთ, რომ ჯარმას წაგვლეჯო? ან განვდევნით? ისერიგად უყვარს თავისი ათენი, ნუთუ ჩვენ... ფიქრიც არ მინდა.

ლუსტრატემ თავი გააქნია:

- აბა რა ვიცი, რა ვიცი, ძალიან დახლართული საქმე კია. შენ რაც გინდა ისა თქვი, კარგა გვარიანად ნახშირნაჭამია, ამ ამბავს სუყოველი შენსავით იოლად არ უყურებს.
- გინდა სანადლეო დაუღოთ, რომ არც დააჯარიმებენ და არცა კიდევ განდევნიან!
- არ მინდა.

აღმოსავლეთის ჰორიზონტის, ანუ კინკროს თავზედ ღია მოციმციმე არეში ოქროს სეგმენტები ამოცურდა და ხულ უფრო მადლა-მადლა წამოვიდა.

სოკრატემ მიმშვიდობების ნიშნად ხელები ალაპყრო:

- მოგიკითხავ! დიდო მნათობო! დალოცვილი იყავ, რახან გამოჩნდი!
- მდაბლად დაუკრა თავი და მობრუნდა. ნელი ნაბიჯით მიმოვლო ეზო, ქვიდან ქვამდე. რომელ ქვასაც გვერდით ჩაუვლიდა, შეეხებოდა, ხელს ხორკლიან ზედაპირზედ გადაუსვამდა. გრანიტის კუბს მზის სხივები რომ დაეცა, მოციმციმე ნამცვეცთა შუქით აკიაფდა.

აგერ მომეც! ჩემი კეთილი მოხუცი მომე, ქილიკი, ჩემი ბიძა და მასწავლებელი! შენ დღესაც ქილიკობის გუნებაზედ ხარ, თუმცა იცი, რა დღევ მომელის, რას იზამ, ძმობილო, შენ შუაგზაზედ ხარ შეჩერებული: ვერ გაგიგია, რომ დაცინვა სიცილზედ ნაკლებია...

სოკრატე არტემიდას მიუბრუნდა და მუხლი მოუყარა იმის სილამაზეს.

- ჩემო საყვარელო ქალღმერთო! შენ სდარაჯობდი ჩემს დაბადებას, ოდეს მზე თავისი გზის ზენიტზედ იდგა. შენ მიესალმე ჩემს პირველ სიცილს...

გაჩუმდა, მერე როგორც ყოველთვის, მშვენიერი მუხლები დაუკოცნა.

ჰიმეტოსის ძირას უკვე გაიელეკს ოქროსფერმა ფუტკრებმა.

- დროა, - თქვა სოკრატემ და ტაბლიდან ადგა.
- წავიდეთ, - ერთდროულად თქვეს ქსანთიპემ და მირტომ.
- ნუ მოძღვეთ.

ხმა არ გაუციათ, უსიტყვოდ აიღეს ხელთ დიდი ხნის მომზადებული კალათნი.

უსიტყვოდ გაუიღნენ ეზოში - წინ სოკრატეა. ქსანთიპე მირტოს მიუბრუნდა და წყნარად უთხრა:

- ლამპროვლე იქ პირდაპირ მაძაჩემთან ერთად მოვა.
- გთხოვ, ქსანთიპე! შენც ძალიან გთხოვ, მირტო, ნუ მოძღვეთ, შინ დარჩით.
- სოკრატე - შეაწყვეტინა ქსანთიპემ, - მე კვერები მომაქვს შენთვის. იქნებ გაჭიანურდეს, - და ნადვლიანად გაუღიმა.
- მზის ჩასვლამდე მიუბრუნდები. იქ წამოსვლას ის გირჩევნიათ, კარგი ვახშამი დამახვედროთ.

- ნეტამც კარგი ვახშმით შეხვედრა გვეწეროს, - ამოიხრა ქსანთიპემ.

- რისი გემინია? - ჰკითხა სოკრატემ.

- აბა ეს ცოტა ამბავია, ღმერთთა დამხობაში გდებენ ბრალს? როგორ გინდა, რომ თავი დააღწიო? მე ყველაზედ კარგად ვიცი, რომ არცრომელი ღმერთი არა გწამს, დასცინი ხოლმე. აი ამ მარმარილოს არტემიდასთან მხოლოდ იმიტომ ერთობი, რომ ქალია...

სოკრატემ გაიცინა.

- პო, მოსამართლე რომ ქსანთიპე ყოფილიყო, ჩემი საქმე ცუდად იქნებოდა, ანაქსაგორას გვალზედ წასვლა მომიხდებოდა! თავს როგორ დააღწევო, მეკითხები? შენ, საყვარელო, ჩემზედ კარგს კაცი ვერ დაგაცდენინებს. მაგრამ ყველაფერს მართლა ცუდად როდი ვიქმოდით! ათენმა ეს იცის. წუხელ მთელი ღამე მესძოდა ათენის ხმა.

ქალებმა არა უპასუხეს რა. ამ დროს კუტიკარის კაკუსი გაისმა. გარეთ ორი ხვეითი
იღვა.

- არქონტი, აბასილევსმა გამოგვაგზავნა...

- ვიცი, მზადა ვარ, - მიუგო სოკრატემ.

ქუჩაში გამოვიდა, სადაც უკვე მოყვარა თავი ცნობისმოყვარეთა ჯგუფს. ქსანთიპე და მირტო უკან მიჰყვნენ. სოკრატემ შემრიგებლური ხმით უახრა:

- კარგი, ცოტა გამაცილეთ. მაგ კალათაში რა გაქვს, მირტო?

მირტოს უნდოდა, რომ კალათისთვის ხელი დაეფარებინა, მაგრამ სოკრატემ დაასწრო, შიგ ჩაუსხედა:

- რა არის? ვაპ, ძაღლთ ვუციცავ, ვარდების გვირგვინია!

გაუღიმა, თან გაიფიქრა: აი, როგორ აპირებს ჩემს შეხვედრას, სამსჯავროდან გამართლებული რომ გამოვალ, - ვარდებით უნდა შემიმკოს ბებური თავი!

მაგრამ გარშემო დოყლაპიებიც იდგნენ, და მან თქვა:

- რა კეთილი რამ განგიზრახავს - სასამართლოდან რომ გამოვალ, ჩემდა პატივსაცემად თავს ვარდებით შემიმკობ!



დემაგოგ ანიტესაც არ ეძინა მთელი ღამე. იმისი სარეცელი უძრავად არა მდგარა მოზაიკურ იატაკზედ - ზამბარებზედ ირწეოდა. მაგრამ ამაოდ ცდილობდა ანიტე რწევად-რწევაში ჩაძინებას; თვალწინ სოკრატე ედგა. ანიტე მარჯვენა გვერდზედ გადაბრუნდა, სარეცელი უფრო დაირწა, ოღონდ სოკრატე არ გამქრალა, მარცხენაზედ გადმობრუნდა და თვალწინ ისევ სოკრატე აღეძაროთა, იმავე ირონიული გამომეტყველებით, როგორც გამომეტყველებითაც აგორაზედ ლაპარაკობდა: მდიდარს კიდევ უფრო გაძდიდრება სურს, დემაგოგი ზედდემაგოგობის მოწადინება, ანიტეს კი არქიანიტეობა მოსდომნია... რა სასჯელია, სულ იმას ვხედავ! აქ ჭკუაზედ შეიძლება კაცი!

გათუნებამდე ჯერ შიორს იყო, როცა ანიტე ადგა. აი ლოგინშიც არ აყენებს...

ანიტემ ერთგვარი მტრული დამოკიდებულება, ზიზღიც კი იგრძნო დღევანდელი სასამართლოს მიმართ. ნუთუ ჩაშლა არ შეიძლება? თავი მოიავადმყოფოს? უეტარი გამგზავრება მოიგონოს? თუ არაკეთილსასურველი წინასწარმეტყველება? არა, არა, უკან არ უნდა დაიხიოს.

მისი მზერა ათენას ქანდაკებას მოსვდა. ის შენც შეურაცხგოფდა, როცა - როგორაც შეილმა მითხრა - გიმნასიაში ჩამოთვლა დაიწყო, რამდენი ათენაა ქვეყნად! მამ, დამლოცე და გამამაგრე! იდგეს საღამოს ამისთვის მსხვერპლს შემოგწირავ...

არა, კაცმა რომ თქვას, რისი მეშინია? რაკი გავასამართლებთ, სუყოველი კაცი ზურგს შეაქცევს, გიცხვას დაუნწყებს, ყველაფერ უბედურებას დააბრალებენ, სიმართლე და ცილისწამებას ერთმანეთში აურევენ - და ბოლო მოელება კიდევ ათენელთა სიყვარულს თავიანთი სათაყვანის ადამიანის მიმართ! ან იქნებ სულაც მე დაგვარგო იმათი სიყვარული? ვუყვარე არ კია?

- მაქინ! - უხმო მონას. - ანისულის არაყი! დიდი ფიალით!

აპოლოდორე ჭიქა რძეს უჯდა მაგიდასთან. დედა გვერდით ედგა. შეწუხებული ადევნებდა თვალს შეილის სახის გამომეტყველებას - ლოყებზედ ცრემლი მოუცურავდა. დედამ თავზედ ხელი გადაუსვა.

- ნუ სტირი, ჭამე, - უთხრა, - აი, ნახავ, ყველაფერი კარგად დამთავრდება.

აპოლოდორე ბავშვივით აქვითინდა:

- შენ აგორაზედ არ ყოფილხარ! არ წავიკითხავს არქონტ ბასილევს განცხადება! შენ არაფერი არ იცი, დედი!

- ნუ სტირი, შვილო. უსაოუოდ დაამტკიცებს თავის უდანაშაულობას. შენ უსაოუოდ გაამართლებს.

ყმაწვილკაცი თავისას გაიძახოდა:

- საშინელებაა, რომ იმისთანა კაცს საერთოდ ასამართლებენ! იმისთანა ალაღმართალ კაცს!

- ნუ სტირი, შვილო, ნუ სტირი, ალაღმართალი კაცია, არცრა ავი არ მოუვა.

მაგრამ აპოლოდორე არ მშვიდდებოდა. აენტო:

- აბა, რა ვიცი, იმის გამსამართლებელნიც ალაღმართალნი არიან? მერედა, ვინა სდებს ბრალსა - მესუფრია მელეტი, ქამელეონი ლიკონი და შურისმაძიებელი ანიტე!

- პერას გაფიცებ, გაჩუმდი! ხომ იცი, რაერთი სიკოფანტია ათენში? გაიგონებენ, დაგახმენენ და სასამართლოში წაგათრეკენ...

აპოლოდორე ცოტა დაწყნარდა.

- მაგრამ მარტო მე როდი ვუქირობ ავრე, დედაჩემო. ეს აზრები გარშემო მოტრიალებენ - როგორ დავაღწიო თავი? გუშინ, მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც სოკრატეს ვიცნობ, პირველად დავუნახე თვალებში ნალგველი...

სოკრატე თავისიანებთან ერთად არეოპაგის გორაკზედ ავიდა, ზუღ მსაჯულთა შესასვლელთან. გზად ქალები ცოტას ლაპარაკობდნენ, არც აღევნებულნი ხალხი ლაპარაკობდა ბევრს. სოკრატემ ერთი პირობა მხიარული ამბების მოყოლაც კი დაიწყო, თაუისი ახალგაზრდობა გაიხსენა, მაგრამ არავის გასცინებია. ისიც გაჩუმდა, მიდიოდა წყნარად და მზესუძნირას აკნატუნებდა.

არეოპაგის წვერზედ უკვე ელოდნენ ლამპროკლე თავის პაპასთან ერთად და მეგობართა ჯგუფი. ყველა იმის მახლობელი და ძვირფასი მეგობარი აქ იყო. სოკრატემ მხიარულად მიესალმა:

- ბედნიერება არ მოგშლოდეთ, ძვირფასო! რა დიდებულაა, რომ ჩემდა თანადგომად მოსულხართ...

- შენი დაუძსახურებელი დამცირების ჭამია! - იფეთქა ანტისთენემ.

- არა, არა, ძვირფასო, - სოკრატემ მხარზედ ხელი მოუჭირა, - კანონის პატივისცემა ყოველი მოქალაქის ვალია. - მერე თავის ქალთ მიუბრუნდა. - თქვენს თავსა და ლამპროკლეს ჩემთა მეგობართ ვანდობ, ესენი გაგყვანენ აგერ იმ გორაკის ქიმთან, იქიდან ყველაფერს დაინახავთ და გაიგონებთ. ის ნათესავთა ადგილია.

- არა! - შესძახა ქსანთიპემ, - ცოლს უფლება აქვს, რომ სასამართლოზეც თან ახლდეს ქმარს! შენ რა, იცი შენი თავის დაცვა? სხვათა კი, - შენი თავისა - არა! ვინ უნდა მოითხოვოს შენი შეწყალება, თუ არა მე... უკეთუ მსჯავრი დაგდეს?

- მერედა. განა შეუძლიათ, ქსანთიპე, სოკრატეს დასჯა? - ჩაერია ფედონი.

ტირილი. გიდედა, ჩივილი, თხოვნა, სულ ამაროდ - სოკრატემ არ დათმო.

- ჩემთან მარტო კრიტიონი და პლატონი წამოვიდნენ... - აქ აპოლოდორეს მაკედონელი მზერა შენიშნა, ხელი ჩაავლო და დასძინა: - შენც, ჩემო უმრწემესო.

ქსანთიპე გაპკიოდა:

- მე შენთან მინდა! მე უფლება მაქვს! მე უნდა ვითხოვო შენი სიცოცხლე!

მეგობრები გარს შემოეხვივნენ ქსანთიპეს, მარტოს და ლამპროკლეს, რომ იმ გორაკის ქიმზედ გაეყვანათ, რომელიც „სოლონის მაგიდად“ იყო სახელდებული.

- ნუთუ არც გამოძევიდობები? - აქვითინდა ქსანთიპე.

სოკრატემ გადაკოცნა ქალები, შვილი, გაუღიმა:

- კიდევ ხომ შევხვდებით!

წავიდნენ. ქსანთიპე მოსთქვამდა. ძირტოს თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, სოკრატე სამ შეგობართან დარჩა. ერთ-ერთმა სკვითმა მოკრძალებით უჩვენა ქვედაკადაჯდომა სთხოვა, ვიდრე მიუხმობდნენ.

- თავად დაჯექი, ძმაო, - მიუგო სოკრატემ. - მე ღვომა მიყვარს.

ხალხი გუნდ-გუნდად მოეფინა მადლობს, სარტყელივით რომ ერტყა არეოპაგის ბუნებრივ ამფითეატრს, სადაც გამოყოფილი იყო ადგილები ლიკასტერიონისთვის - უზენაესი სახალხო სასამართლოს ხუთიათასწევრიანი საკრებულოს მეათედი ნაწილისთვის: აქ იკრიბებოდა ჰელიეა. ამ შემოზღუდული ადგილების მისასვლელებთან იყო ყველაზედ ძლიერი ზედახორა. ნაფიცნი, რომელნიც დღეისათვის ჰყავდათ წილისყრით ამორჩეულნი, სულ ტყუილად აწყდებოდნენ და იჭყლიტებოდნენ: შესასვლელნი ჯერ დაკეტილი იყო, წინ გუშაგნი იდგნენ.

-ო, ჰერაკლე! პინაკი დაძვეარგა... გაიწიეთ! მაპოვნინეთ! მთელი სამი ობოლოსი ღირს!

როგორც იყო, გუშაგთ შესასვლელნი დახსნეს, დაიწყეს პინაკთა შემოწმება და ნაფიცთა სათითაოდ შეშვება. სულ ბოლოს ტახტრეუნიდან არისტოკრატნი და მდიდარნი გადმოდიოდნენ, რომელთაც კენჭი რეგნობდათ; ისინი მთელი თავიანთი მოქმედებით ამტკიცებდნენ, რომ მდიდარი კაცი არასოდეს არა ჩქარობს.

ამფითეატრის ყველაზედ უფრო ქვემო რიგის პირდაპირ მსაჯულთათვის ბოლცომი რამ ადგილი იყო, რომელსაც განსაკუთრებული შესასვლელი ჰქონდა. იმა ბოლცომის შუაგულში დიდი მაგიდა იდგა მსაჯულის, მწერლისა და შულტასთვის, მარჯვნივ ბრალმდებელთა ადგილი იყო, მარცხნივ - ბრალდებულისა.

მაღე ბოლცომზედ ავიდნენ მწერალი, შულტა, მდივანი, სამსჯავროს მსახური და ორი სკვითი. შემდეგ სახეიმო სამოსის ფრიალით გამოჩნდა სამსჯავროს თავკაცი, არქონტი ბასილევსი, ესე იგი არქონტი-მეფე. იგი შუა ალაგას მიუჯდა მაგიდას, ხანით ნაფიცთა მიმართ, მწერალს დღევანდელი გასამართლების ჩანაწერისთვის შესავალი უკარნახა, მოივარგა ჩაქუჩი, რომლის მაგიდაზედ დარტყმითაც დუმილი ჩამოაგდო, და ბრალმდებელთა შემოყვანა ბრძანა.

მელეტი, ვითარცა მთავარი ბრალმდებელი, პირველი უნდა შემოსულიყო, მაგრამ გზა სახელმწიფოს მეთაურ ანიტეს და ასაკით უფრო ხიერ ლიკონს დაუთმო. ანიტეს ლურჯი ჰიმატიონი ემოსა, ლიკონს - რუხი, მაგრამ ყოვლის უფრორე მეტი ყურადღება მელეტმა მიიპყრო თავისი მწვანე-ბალახისფერი, ოქროცურვილი ქლამინდით, რომელიც მხარზედ ოქროს ბალთით ჰქონდა შებნეული. ნაფიცთა რიგებში გაიცუბის ჩურჩული გაისმა:

- ეს ვინლაა?!

არქონტმა ხალხს წარუდგინა მელეტი: მოყტი და მთავარი ბრალმდებელი.

- შემოიყვანეთ ბრალდებული! - ბრძანა მან შემდეგ.

მთელს ლიკასტერიონში ახლომანლო ქიშებზედ განლაგებულ მაყურებელთა ბრბოში უეცრად დუმილი ჩამოწვა. ათასობით თვალი მიამტერდა კარს, რომელიც ორმა სკვითმა შემოადო.

გამოჩნდა სოკრატეს დიდი, ჩადგმული, დიდებული ფიგურა: როგორც ყოველთვის, ყვანშიშველა, ტანის რხევით, აუჩქარებლად შემოვიდა. მხედაკრული მელოტი თითქოს სპილენძისა ჰქონდა. ჩაცმულიც ისე იყო, როგორც ყოველთვის - თეთრი ქიტონის

ზემოთ გაცვთილი ჰიმატიონი ემოსა.

აქ უჩვეულო რამ მოხდა: ნაფიცთა უმრავლესობა ფეხზედ წამოდგა და მჭუხარე ტაშით მიესალმა სოკრატეს!

შეცბა. თვალებსა და ყურებს არ უჯერებდა. მორცხვად მიუბრუნდა კრიტონს, რომელიც პლატონთან და აპოლოდორესთან ერთად მოჰყვებოდა.

- ხედავ, როგორ გეგებება შენი ათენი! - უთხრა პლატონმა.

სოკრატემ გაუღიმა:

- მოიცა, ვნახოთ, ჩემო კარგო, როგორღა გამაცილებს!

ტაში შეწყდა, ნაფიცნი დასხდნენ და თვითონ არქონტმა მიუწია სოკრატეს სკამი.

შემდეგ მარმარილოს მაგიდაზედ ჩაქუჩი დაჰკრა და გამოაცხადა:

- იწყება სასამართლო განხილვა საქმისა გამო ათენელი მოქალაქის სოკრატესი, სოფრონისკეს შვილისა, ალოპეკოსის დემოსიდან რომ არის. იმაზედ შემოსული სარჩელი მეტყველებს: სოკრატემ დანაშაული ჩაიდინა კანონის წინაშე იმით, რომ არა ირწმუნს ღმერთთ, სახელმწიფოში აღიარებულთ და სხვა, ახალი ღმერთნი შემოჰყავს, და კიდევ იმით, რომ ახალგაზრდობას რყვნის. მთავარი ბრალმდებელია მელეტე.

2

მელეტმა ორივე ხელით უკან გადაიყარა გრძელი წითური თმა და ხელები ცადა აღაპვრო:

- ყოვლისშემძლე ზევსო! მეხთამტყორცნელო ზევსო! შეგლალაღებ სუყოველი აქა მყოფი ათენელი მამაკაცისა სახელით და გვედრი: გარდმოუვლინე შენი მზურა ჩვენსა მოქმედებას, რომლის მიზანი ის არის, რომ დაგიბრუნოთ შენ და ოლიმპის ყოველთა ღმერთთ პატივი და დიდება, სიყვარული, ანუ ყოველივე, რისი წართმევაც მოგინდომათ ამ კაცმა - სოკრატემ! ეს დაგცინის არა მარტო შენ, დიოს, არამედ დასცინის ათენას, აფროდიტეს, ეროსსა და სხვა უკედავთ... - მელეტე სახით აკროპოლისისკენ მიბრუნდა:

- თქვენ ყველანი, ოლიმპიელნი ღმერთნი, მიწის, წყალთა და მიწისქვეშეთის ღმერთნი, იყავით მოწმენი ამა ბრალდებულის გასამართლებისა. გვედრით ყოველთა ჩვენთა მფარველთ, კეთილისმყოფელთ, სიცოცხლისა მომნიჭებელთ - ყოველთ, რომელთაც ძვირად გიღირთ ჩვენი კეთილდღეობა და აყვავება - ნუ იძიებთ ჩვენზედ შურსა! ნუ გვეტყვიით უარსა თქვენს კეთილმოწყალებაზედ, თუმცა მძიმეა ჩვენი დანაშაული, რამეთუ დიდხანს უტყვად ვისიმენდით ესეგვარი ბოროტების გავრცელებასა. სოკრატე, როგორაც მოწმენი ადასტურებენ, აპირებდა თქვენსა დამხობას და თქვენს ადგილზედ ახალ ღვთაებათა დადგინებას!

მსგავსად ავი ქარისა, ჭექა-ქუხილის წინ რომ ჩაუქროლებს ხოლმე ველებს, ელდის თაგზარმა ჩაუქროლა მოელს არეოპაგს, ბოლცომს, სად მსმენელთა ბრბო იყო მჭიდრო რიგებად განლაგებული. ქსანთიპემ ქვითინით ჩაიკრა შვილი, თითქოს მისგან უნდა ესესხა ძალა, რათა ამ თავზარისთვის გაემდლო.

მელეტის საბოლოო სიტყვებმა კიდევ უფრო დაამატა ცეცხლზედ ზეთი. ხმას აუწია და ბრალდების დაზეპირებული ფორმულა გაიმეორა:

- სოკრატეს დანაშაული ის არის, რომ არა ირწმუნს ღმერთთ, რომელნიც ჩვენს სახელმწიფოში აღიარებულნი არიან, და სხვანი, ახალი ღმერთნი შემოჰყავს. დანაშაულა კიდევ იმიტომ, რომ ახალგაზრდობას გვირყვნის..

ხალხი გაირინდა: ხალხი შიშს მოუცავს და ისეთი სიწყნარეა, რომ ისიც კი ისმის, როგორ სცვივა ქალაქის კედელთან გამწკრივებულ იტალიურ ფიტჯის წიწვი. რომელიღაც ნაფიცს შეგუბებული სიტყვა აღმოხდა:

- დადუქულია...

სოკრატე მზეს უმზერს. როგორც ამბობენ, შუადღისას დაბადებულა, როცა მზე ყველაზედ უფრო მწველია. მზე თავისი საკუთარი ძმასავით უყვარდა. რა იქნება დღეს, როცა ის ზენიტზედ დადგება და ჩრდილები გაქრებიან?

სოკრატეს ეჩვენება, რომ დღეს მზე ადრე დილიდანვე მთელი ძაღლის მსგავსეობას. ძალა უნდა რომ შემმატოსო, ფიქრობს, ძველმა მეგობარმა მოხუცს ძველები უნდა გასმობოსო... რა ბედნიერი ვარ, რომ დღეს ჩემთანა ხარ, ჩემო ოქროს თაველო!...

ქსანთიპე მირტოს მხარზედ ეყრდნობა და ქვითინებს:

- ვერა, ვეღარ ვუყურებ, თავი აღარა მაქვს, რა ბავშვივით კეთილი და მიამიტია...

- დიდი, ალალი ბავშვია, - ჩურჩულებს მირტო.

მელეტი საკმარისად გაძღა იმ საშინელებით, ხალხი რომ მოეცვა. არ მოსწონდა მხოლოდ თავისი მარჩენლის- ანიტეს თვალები. მოსალოდნელი კმაყოფილების ნაცვლად იმ თვალებში შიში და ბრაზი ამოიკითხა. მაგრამ იცოდა, რომ იქ ანიტესთან დალაპარაკების უფლება არა ჰქონდა. უკანასკნელ თათბირზედ ანიტემ და ლიკონმა უთხრეს: ამაში და ამაში დასდე ბრალიო, რაც უთხრეს, მონურად ასრულებს კიდეც, მეტი რა ქნას? მსმენელი ხალხის განწყობილებისდა მიხედვით ჩანს, რომ კარგადაც ასრულებს. ასე რომ, შეშფოთების საბაბი არ არსებობს - უნდა განაგრძოს. მელეტს კარგი მეხსიერება ჰქონდა. ახსოვდა, რა უნდა ეთქვა შემდეგ. ხელი ასწია, ოქროს სამაჯურმა მზეზედ გაიფლვა - თითქოს ზევსის ელვააო!

ამ გაელვებით დაიწყო თამაში, რომელშიც ფსონი ადამიანის სიცოცხლე იყო.

- ერთიმეორის მიყოლებით დაგისახელებთ სოკრატეს დანაშაულის დამამტკიცებელ საბუთთ. მერე, თავის დასაცავ სიტყვაში აღბათ შეეცდება იმ საბუთთა უარყოფას, და წინასწარ გაფრთხილებთ, ძირითადად იმის მტკიცებას მოჰყვება, თითქოს სამაგიეროს ეუხდიდე, რაკი ხშირად საჯაროდ უხეირო პოეტს მიწოდებდა.

ერთ-ერთმა ნაფიცმა მსაჯულმა, მეორე რიგში რომ იჯდა, პირზედ თავისი აბრეშუმის ჰიმატიონის კალთა აიფარა.

- რატომ იცინი? - წყნარად ჰკითხა მეზობელმა.

- იმიტომ რომ მეც ვიცი მაგ მელეტის ლექსნი...

- მაგრამ ეს ხელს არ შემშიშლის, - უფრო აუწია ხმას მელეტმა და ყურადღება არ მიუქცევია, რომ ამ მაღალმა კილომ ხმა უგვანოდ დაუხრინწიანა, - ხელს არ შემშიშლის, რომ ჩვენი დიდი ღმერთნი ამის აუცილობისგან დავიცვა.

აქამდე სოკრატე მზისკენ პირშექცეული იდგა. ახლა მელეტისკენ მობრუნდა. ჯიბიდან მზესუმზირა ამოიღო, მუჭით დაიტყრა, აკნატუნებდა და ჩუნჩოს ძირსა ყრიდა. ამისთვის არაუის არაფერი უთქვამს, მაგრამ უცებ თვითონვე შეეშინდა - სად ვაკნატუნებ, რომ ვაკნატუნებო! - და დამნაშავის იერით გადახედა არქონტს. იმანაც კარგად იცოდა სოკრატეს ჩვეულება, გაუღიმა და თავი დაუქნია, არაფერია, შეიძლებაო. სოკრატემ მაღლობით გადახედა და მზერა ისევ მელეტზედ გადაიტანა. მოაგონდა ერთი იმისი მაღალფარდოვანი, მაგრამ შინაარსით უსუსური ლექსი და გაიღიმა, მაინც რამდენი წლისა იქნება ეს ყოჩალი ბრალმდებელი? ოცდაათის... ჰო, ოცდაათი წლის კაცი უკვე დაუფლებული კი უნდა იყოს თავის ხელობას...

მელეტი განაგრძობდა:

- ჯერეთ კიდეც ჭაბუკი სოკრატე ცისმარე დილით დასეირნობდა ილისოსის ნაპირებზედ თავისი მასწავლებლის თანხლებით და ითვისებდა იმის შეხედულებებს. მაგრამ ვინ იყო, ო, ათენელო მამაკაცნო, ის მასწავლებელი? ვინა და, ფილოსოფოსი ანაქსაგორა, რომელსაც ათენის სასამართლომ უღმერთობისთვის სიკვდილი მიუსაჯა. მხოლოდ პერიკლეს დახმარებით შეიძლო ფილოსოფოსმა გაქცევა და თავი ლამფსაკოსს შე-

აფარა. იმისი წიგნი „ღმერთთათვის“ საჯაროდ დაწვეს აგორაზედ, მაგრამ მისი მკრეხელური აზრები ათენში დარჩა!

სოკრატეს გამომწვევი მზერა ესროლა. ბერიკაცმა ჩენჩო გადმოაფურთხა და თქვა:

- აბა, როგორ უარუყოფ იმას, რაიც პატივსა მღებს?

- გესმით?! - შესძახა მელეტმა, - აღიარებს! სადაც არ უნდა ყრუიღმერთი, სოკრატე ყველგან ანაქსაგორას შეხედულებებს ავრცელებდა...

- არა! მე ჩემს შეხედულებებს ვავრცელებ;

მელეტი განცვიფრებული იყო - სოკრატე თვითონ ეხმარება ბრალდებაში.

- მით უარესი შენთვის, რადგან შეხედულებანი, რომელთაც ჩვენთა ღმერთთა შესახებ ავრცელებ, გმობისა და მსჯავრდების ღირსია... მსგავსად იმისა, შენგან პატივდებული უღმერთო დემოკრიტე აბდერაში ქალღმერთი ლეტოს წმინდა ბაყაყთ რომ დასცინოდა, შენ ათენში დასცინი ჩვენთა ღმერთთ! ვინ იცის, რამდენი წელიწადია, რაც შენი საყვარელი ხუმრობა ზევსის ოინთა ჩამოთვლათ, სწორედაც ოინთ უწოდებ ქალღმერთთა და მოკვდავ დიაცთა თანა ზევსის ურთიერთობას - სულ ერთია, თაჲისი საკუთარი სახით თუ გუდის, ხარის, ამფიტრიონის, ოქროს წვიმის სახით...

- მერედა. ტყუილია? - ხმა ნაფიცთა რიგიდან.

- ეს შეურაცხყოფათა! - მეორე ხმა.

- არა!

- კი!

დარბაისლური იერის კაცი წამოდგა:

- ო, არქონტო ბასილევსო, სარწმუნოების ყოველი საქმის გადასაწყვეტად ხალხის მიერ უფლებამოსილი, გვითხარ, ეს მართლა შეურაცხყოფათა?

არქონტი ისე დაიბნა, რომ ყურებიც კი გაუწითლდა; ეშინოდა სოკრატეს შეხედვისა, ვარაუდობდა, რომ იქედნურად იღიმოდა. არქონტი ხელში ჩაქუჩს ათამაშებდა, თითქოს ცხოვრებაში პირველად ხედავსო... მაგრამ აქ ნაფიცთა შორის კიდევ ერთი კაცი წამოდგა:

- ნებას დამრთავ, არქონტო, რომ დასმულ კითხვაზედ ვუპასუხო?

არქონტი, თუმცა არ იცოდა, რამეს უშველიდა თუ უარეს საგონებელში ჩააგდებდა ეს კაცი, თავის დაქნევით მაინც დაეთანხმა, მაგრამ ხელი, რომლითაც ჩაქუჩი ეჭირა, ისე უკანკალებდა, რომ ტარი მაგიდას ეკაკუნებოდა.

კაცმა დამრიგებლური კილოთი დაიწყო:

- იმის ლაპარაკი, თუ რომელ მოკვდავ დიაცთა და ქალღმერთთა თანა ჰქონია ზევსს ოდესმე კავშირი, შეურაცხყოფათა არ არის. ის ხომ ღმერთია, და იმის სარეცლის გაზიარება პატიუია, მეტადრე მიწიერთათვის.

- მერე, ზევსს ისე... ისა... კიდევ თავი აქვს თუ აღარა აქვს? - იკითხა ხაბაზმა მერინმა.

- ვინ იცის! ღმერთნი, ვგონებ, არ ბერდებიან! - მიუგო ვილაც ნაფიცმა.

- მხედველობაში მიიღეთ კიდევ არა, - განაგრძო იმან, ვინც პასუხის გაცემა იკისრა, - ასეთი კავშირის შედეგად, როგორც წესი, ჩნდებოდა ხოლმე ახალი ღმერთი ან ნახევრად ღმერთი. განა უზენაეს ღმერთთა შორის არა სხედან ოლიმპზედ ზევსის მარჩბივი უკოლნი - აპოლონი და არტემიდა, ლეტოსგან რომ ეყოლნენ?

ორატორი ტაშით დააჯილდოვეს. არქონტმა თავი დაუქნია: ორატორმა სწორედ ისა თქვა, რისი თქმაც სასამართლოს თავკაცს უნდოდა.

მელეტმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ბრალდების ეს მუხლიც მოეგოს, და მორიგ მტკიცებებზედ გადავიდა:

- როგორაც სოკრატე უბნობს, - ამისი კი მრავალი მოწმე გყავს და დაკითხვას ელოდებიან, - როგორაც ეს უბნობს, მწარედ დასცინის ჩვენს ბრწყინვალე ქალღმერთ

აფროდიტეს! ერთი ცოტააო, ამბობს, ორი გვინდაო! ერთი ციური, მეორე მიწიერი, ანუ ყველასთვის მისაწვდომიო. უკანასკნელი მყარჯელობს პირულის მქდავთ, ხოლო ციური - ელევსინელ ქალწულთ და კეთილშობილ ათენელთა კეთილშობილ მეტყერებსო, თანაც თავის მეუღლეს ჰეფესტოსს რქებით ამკობს, ღმერთ არესთან დალატობსო...

რიგებში ხომხითია.

- ეგ ხომ ყოველმა იცის! ამ ბერიკაცს რაღატომ არ უნდა უთქვამს შესძახა ღუსტრატემ.

მელეტი გაწითლდა: ქლამინდის კალთას იწვალეზდა, ენის ბორძიკით მიუგო:

- მართალი ხარ, მოქალაქევ... მაგრამ მთავარია, რა ტონით უბნობდა ამას სოკრატე.

- მერე, შეგიძლია დაძტკიცება, რომ ის ტონი მტრული იყო? შეგიძლია იმ ტონის მოტანა და ჩვენება? არ შეგიძლია!

- მოწმენი... - წაიღულულა მელეტმა, მაგრამ არქონტმა, რომელსაც აღარ ეხალისებოდა ასეთ თხელ ყინულზედ სრიალი, საჩოთირო თემასთვის გვერდის ავლა ამჯობინა.

- კმარა, - უთხრა მელეტს, - შემდგომი ძტკიცება! - და მკაცრად გააფრთხილა ბრბო, რომელიც უკვე იცინოდა: - შეწყდეს ხმაური!

ანიტეს თვალები სისხლით აევსო. რაღა ეს რეგენი აირჩია. ზევსმა განგძიროს თავისი ელვით!

- მდიდარი მემამულის კალიას ჭერქვეშ სოკრატემ ნადიმზედ განაცხადა, ძლევაძმოსილი ღმერთი ეროსი სულაც არ არის ღმერთი, ღემონიაო.

- დიდი ამბავი! თუნდაც ღემონი იყვეს... ჭმთვის სულ ერთია, დაიღუპე ჭაობში!

- შემდეგ, შემდეგ, - აჩქარებდა ბრალმდებელს არქონტი, რომელიც ხედავდა, როგორ ცხრებოდა ნაფიცთა გულისყური, როგორ ცმუტავდნენ ადამიანები, თითქოს კრაზანები დაძხვეყიათო, როგორ ებერებოდათ ლოყები ლუკმისაგან, ჩუმ-ჩუმად რომ იღებდნენ პირში, და წინ მსხდომთა ზურგს უკან როგორ წრუპავდნენ ღვინოს ძალევით ტიკჭორებიდან.

სოკრატეს მეგობართ იმედი გაელვიდათ. „დაიღუპე ჭაობში!“ წკეპლა გადაუჭირა მელეტს ვიდაცის ხმამ და განა მარტო ერთის ხმამ? უთუოდ ასე ფიქრობდნენ სხვანიც. ოღონდ ყველა ვერ ბედავს წამოძახებას. ქსანთიპე ცდილობს, რომ დაიჭიროს სოკრატეს მზერა, გარშემო კლდოვან ფერდობთ რომ მიძტერებია. მირტო ისე ღელავს, რომ ვერ ამჩნევს, როგორ ჩასჭიდებია ფრჩხილებით თავის სადღესასწაულო პეპლოსს - ლამის გაფხრიწოს...

მელეტი ცალ მუხლზედ დაეშვა, ხელები აკროპოლისის გიგანტურ ქანდაკებას მიაშვირა და შესძახა:

- ო, ათენა, ჩვენო საყვარელო, რარიგ გარცხვენდნენ და შეურაცხგოფდნენ! გული მეკუმშება, მაგონდება თუ რა, რარიგ ჩვეული დაციხვით უბნობდა ეს უღმერთო შენთა ყოველთა ღვთაებრივ სახელთ: პართენონისო, პოლიადეო, ნიკეო, პრომაქიდეო... ოპ, ნუთუ მარტო თორმეტი ათენა გყავსო? რატომ ოცი არაო? მეცოცხვთათვისო, ჯირთა მარეკთათვისო...

- ცრუობ!

- სოკრატეს ეგ არ უთქვამს!

- როდისა თქვა? ვის უთხრა, სად?

მელეტმა იგრძნო: აი ახლა უნდა დასცხოს სოკრატეს სასიკვდილოდ; ახლა უკანსაკუთრებულესად უნდა აღინიშნოს ამა ქალღმერთის მნიშვნელობა ქალაქისთვის, მისი მნიშვნელობა ყველა და ყოველგვარი ვაჭრისთვის - აქ ხომ მრავალნი სხედან, რომელთაც თავიანთ კართა ზედან ცხოვრების დევიზად მიუწერიათ: „პატივი და საღამი, სარგებელო!“

ვინ ჩაყარა და ვინ აჩუქა ათენს ზეთისხილის კორომნი? ვინ იცავს ქალაქს სტიქიისა და მტრის მიმინვარებისგან? ვინ ზრუნავს ათენელთა სარფისთვის? სად იქნებოდით, უმისწაწყლონი, ვისი მინდვრებიცა და სახლებიც მტერმა გადაბუგა, ვისი ნაჩირ-ჯოჯონიც იმან გაირეკა, უკეთუ ათენას არ ჩაეკარით გულში და არ შეეფარებინეთ თავის ქალაქში, სადაც თავად ბრძანებლობს და მეუფეობს? სად იქნებოდა თქვენი ავლა-დიდება ათენელთა ვაჟკაცნო, უკეთუ ათენა არ შეეგწყოდათ სპარტელ მარზიკთაგან და ძაობართაგან ქალაქის განთავისუფლებაში?

ნაფიცნი და მაყურებელნი სმენად იქცნენ: ამღაგვარი სიტყვები მუდამ ძლიერ ზემოქმედებენ ყოველ ელინზედ. ანიტემ ნასიამოვნებმა გაუღიმა მელეტს. სოკრატემ, რომელიც თვალს ადევნებდა პატარა მწვანე ხვლიკს, ფეხის გულთან რომ გაურბინა, შეკრთა და თავი ასწია.

სოკრატემ იცოდა სიტყვის ყადრი. თუმცა არც გრამატიკოსი იყო, არც რიტორი - სიტყვის ძალას სრულყოფილად ფლობდა. კარგად იცნობდა თვისთა ათენელთაც - ყველა ამ მეწვრილმანეს, ჯიბიდან გაკარდნილთ და ახორმაზთ, ყოვლის უფრორე ფულს რომ ხლებენ პატივს. ძალსა ვფიცავ, ამათ სულში ჩაბუღებულ სწორედ რომ ამ მოხვეჭის ინსტიქტს უტრიალებ თითქმის ერგასი წელიწადია და ვცდილობ, რომ აზრისა და სინდის-ნამუსის საუნჯით შევუცვალო.

საკუთრება, მოხვეჭა... აი ის სიტყვები, რომელთაც მათელი ცხოვრება ეჯახებოდა სოკრატემ, რომელთაც შუბლს ახლიდა ზედ ადამიანის გაუკეთესების სურვილით შეპყრობილი. გამოუცნობი, იდუმალი სიტყვებია, აღმოსავლელ მაგთა იმ ბუნდოვანი შელოცვებისა მსგავსი, სამსხვერპლო კოცონთა სქელ კვამლში რომ დნებიან, მაგრამ ათენში უთვალავი ადამიანის ყურს ესაღბუნებიან ისინი...

სოკრატემ ნაფიცთ გადახედა: ზოგიერთნი, სულ ახლახან დამცინავად რომ გამოიყურებოდნენ და აშკარად ეტყობოდათ, რარივ აბუნად იგდებდნენ პოეტს თავის ბრალდებებიანად, ერთბაშად შეიცვალნენ, ყველანი თითქოს ერთმანეთს დაემგვანენ, ერთსაჩოვან არსებად იქცნენ, რომელსაც უძრავი მშვიერი თვალები და ჩასაყლაპავად დაფრენილი პირი მოუჩანდა... რის ჩასაყლაპავად? რისა და, ყველაფრისა, რაცა გნებავთ! ოღონდაც მეზობელზედ მეტი ჰქონდეს, ოღონდაც! საჭმელი, სასმელი, ობოლოსები, ყურძენი, ხორცი, ძვლებიც კი...

სოკრატემ უკვე საგულდაგულოდ ადევნებდა თვალს მელეტს, როცა მან იმის ლაპარაკი დაიწყო, თუ როგორ შეურაცხყო ახლახან სოკრატემ თავისი მასხრული ცეკვით ქალაქის მყარველი ქალ-ღმერთი! ის ბრალად სდებდა სოკრატეს, რომ იმ დროს, როცა ელაღის უდიდესი მოქანდაკენი - ფიდია, მირონი, პოლიკლიტი სიყვარულითა და მოწიწებით ქმნიდნენ ღმერთთა გამოსახულებებს, სოკრატემ მიატოვა ჩაქუჩი და საჭრე-თელი, აღარ ისურვა ქვათაგან ღმერთთა ხორცშესხმა!

- ყოველი ჩვენგანი საუბარში ვახსენებთ ღმერთთა სახელთ, ყველაზედ ხშირად ზევსისას, რომელსაც უსაკუთრესი მოწიწებით ვცემთ თაყვანს. სოკრატემ? სოკრატეს ოდენ ერთი „ძაღლის“ ხმარება უყვარს! ალბათ ზევსი ამისთვის - ნუ გამიწყრებით სიმართლისთვის, ღმერთინო! - იგივეა, რაც ძაღლი! განა მართო ესეც იმის სარწმუნო საბუთი არ არის, რომ საქმე გვაქვს შეურაცხყოფილი უღმერთობის გამოვლინებასთან? შემდეგ: ყოველ დილით სოკრატემ მზეს მიეგებება, მიემშვიდობება და თაყვანსა სცემს. მაგრამ არ იყიქროს, რომ ამით ჰელიოსს ეთაყვანება, რომელი ჰელიოსის ცცისმარე დღე ოქროს ეტლით დაბრძანდება! ამისი მასწავლებელის - თვით უღმერთო ანაქსაგორასი არ იყოს, სოკრატესაც მზე ოდენ გაკარვარებულ მასად, რაღაც მოგიზგიზე მუგუზლად თუ ღუმლად მიაჩნია. რაოდენ სასაცილო და სულელურია ეს ყოველივე, რაოდენ აშკარა უღმერთობაა! თანაც ღმერთთ ისე კი არ ემცევა, როგორაც უნდა ექცეოდეს,

როგორც დადგენილია სახელმწიფო ძალაუფლებით: დგას და ღმერთთ, ვითარცა ჩვეულებრივ ადამიანთ, იმგვარად ელაპარაკება, თავის სამეანო ხელოვნებას იმათზეც ივარჯიშებს.

რაკი მელეტმა ერთმანეთზედ შიში-შიში ბრალდებები დაახვავა, მარჯველ გამოკვანდა და ამ კვანძით სოკრატეს დახრჩობა დაუწყო, კრიტონი, პლატონი და აქლქორე წამერთ გარს შემოეხვივნენ თავიანთ მოძღვარს უნებლიედ დაცვას შექმნიდნენ.

- რა იყოთ, ძვირფასნო? - უთხრა სოკრატემ, - რატომ მიფარავთ ამ კაცისგან? არ გესმით, როგორ მადიდებს? პირდაპირ ეწითლდები...

მელეტმა მოზეიმედ გაიცინა:

- რა უპასუხა პითიამ ქერუფონეს, ოდეს იმან ჰკითხა, ვინ არის ელინთა შორის ყველაზედ უფრო ბრძენიო? რაღა: ბრძენია სოფოკლე, იმაზედ უფრო ბრძენია ვერიპიდე, გარჩა ყოვლის უფრორე ბრძენი სოკრატეაო. მერე. რა მიაგო სოკრატემ აპოლონის წინასწარმეტყველს უმაღლესი პატივისთვის? აგორაზედ თავმოყრილ ზღვა ხალხს იმას ჩააგონებდა, რომ თითქოს მხოლოდ ხულელნი ითხოვდნენ იმ კითხვათა წინასწარ ახსნას, რომელთა გადაწყვეტაც ცოდნით თვითონვე ადამიანთ ძალუძით! ასეგვარად ამცირებს სოკრატე მისან-ქურუმთა დიდებას, პირს უხშობს და თავის თავს იმათზედ მაღლა აყენებს - დაუფიქრდით, ათენელნო, თავის თავს სამისნოთა მაღლა აყენებს, მოკვდავს - ღმერთთა მაღლა, ადამიანის გონებას კი - ორაკულთა მაღლა! ყოველივე ამასთან ერთად ღმერთთა უშპენიერესი ქმნილების - ადამიანის შეცვლას კადნიერობს.

ნაფიცთა და მსმენელთა შორის ჩოჩქოლდა. უკვე ისადგურებს მტრული განწყობილება სოკრატეს წინააღმდეგ: აღბათ მართლა რაღაც ნარუქთა შემოტანას ცდილობდა, თორემ რატომ დასცინებდა თავის კომედიებში არისტოფანე?

აპოლოდორე კრიტონს ჩურჩულით ეუბნება:

- სოკრატეს ბედი მაშინებს!

სოკრატე ხედავს, როგორ ჩაისველა მელეტმა ყელი: ფიალიდან წყალი მოხვა. არუიპაგზედ ადამიანის ოფლისა და გამხმარი თევზის სუნი ჩამოწვა. არემარე ქინქლით აივსო. იკბინება ქინქლა, იგესლება, სისხლსა სრუტავს...

მელეტი სიტყვების ახალ ნაკადს აყრქევს:

- ეს უღმერთო ღმერთთ იმისთვის კი არ ადიდებს, რომ ისინი მფარველობას გვიწვევენ და ზრუნავენ ჩვენთვის, არამედ იმისთვის, რომ ესდენ კარგად შექმნეს ადამიანი. ადამიანი, ამისი აზრით, ისე ჩინებულად არის შექმნილი, რომ უთუოდ მაგანი ბრძენი და კეთილი ოსტატის დიადი ნახელავია! გამოდის, რომ არა ზევსს, ათენელნო, არა ათენას, აპოლონს ან სხვა რომელსამე ღმერთს, მოწინებით რომ ადიდებს პომეროსი, არამედ ადამიანს უნდა ეცემდეთ თავიანთ! და შემქმნელი მისი, მაგანი იდუმალი ოსტატი ესე, მხოლოდ იმად გამხდარა სოკრატეს აღიარების დირსი, რომ კარგად შეუქმნია ადამიანი... ვითომ ეს ის ახალი ღვთაება არ არის, მხოლოდ სოკრატე რომ იცნობს? მართალია, თავის თავზედ თვალთმაქცურად უბნობს, ის ვიცო, რომ არაფერი არ ვიცო, მაგრამ აი ამ ახალ ღვთაებაზედ ამან ყველაფერი იცის, ჩვენ კი - არაფერი! აღბათ ეს ის გამოუცნობი ახალი ღმერთია, რომელთანაც სოკრატე ისე ახლო დგას, რომ ესაუბრება კიდევ, როგორც ტოლი ტოლს...

- დემონიონია! დემონიონი! - გაისმა ყოველი მხრიდან.

- ... მაგრამ ეს ღვთაება ჩვენთა ღმერთთათვის უცხო ძალაა. ეს ახალი ღმერთია, სოკრატეს დემონიონია, შავი დემონი, იმ ღმერთთა მტერი, რომელთაც უხსოვარი დროიდან მიაგებენ პატივს ჩვენს სახელმწიფოში...

შიშიმე დუმილი, ამ სიტყვებს რომ მოჰყვა, ნაფიცთა აღელვებულმა წამოძახილებმა დაარღვია:

- შეჩერდით! ვის აწერს სოკრატეს დემონიონმა? თქვას ვინმემ! ხედავთ? არავის!...

- არავის! არავის! - უპუსავით გაისმა ფერდობებზედ.

არქონტმა გაშმაგებით დააკაკუნა ჩაქუჩი. რა თავხედობაა! სად გაგონილა ეხვევარი ღრიალი სასამართლო საქმის განხილვის დროს?

- წყნარად! ნუ ხმაურობთ! ნუ გვიშლით! - გაჰყვიროდა არქონტი, მსჯენს ჩხპური არ წყდებოდა.

წესრიგი დარღვეულია - მატულობს ურჩობა. არქონტი თვითონაც მოიცვამ ცნობისმოყვარეობამ - ნაფიცნი კიდევ რითი დაარღვევენ სასამართლოს მსჯელობასო, - და არასაკმაოდ მკაცრად იქცევა.

ფეხზედ დგება კიდაც ღარიბულად ჩაცმული ბერიკაცი:

- მე სოკრატესთვის სამართალს ვითხოვ! ამისთვის ვარ აქა!

- მოესწრები! - უპასუხებს არქონტი.

- მეც ვითხოვ სამართალს ათენისა და იმის ღვთაებრივ მფარველთათვის! - იძახის ერთ-ერთი ევპატრიდი. - მოქალაქენო, იხსენით ათენი ამ თხუნულასგან, რომელიც ნიადაგში ჩამძვრალა და ყველა ფესვსა ღრღნის. იმ ფესვებით ათენი ხომ წინაპართაგან ნაანდერძევ ძველ სასიცოცხლო ტრადიციათა წვეწვს იწოვს!

მელეტმა ხაზგასმული დაუჩინებით მიმართა ნაფიცთ:

- ათენელნო, ვინმემ ურნაში თქვენ-თქვენს ცერცვთ ჩაჰყრიდეთ, მოგიწოდებთ: კარგად დააკვირდით სოკრატეს - საოცარ რამეს დაინახავთ, ხომ არ გგონიათ, ერთი კაცია? არაფერი შეგეშალოთ: სოკრატეში ორი ადამიანია!

ხალხში მღელვარებაა.

- რომელია ორთაგან ნამდვილი? ის ხომ არა, რომელსაც ჩვენი ღმერთნი ურწმენია? მაშინ დაცინვასაც არ დაუწყობდა და არცა უარყოფდა იმათ არსებობას! თუ მეორე, რომელსაც ღმერთნი უარუყვია, მაშინ მსხვერპლთ საჯაროდ არ უნდა სწირავდეს იმათ! თუმცა, აბა, ის უბადრუკი მსხვერპლი რა სალაპარაკოა: საკურთხეველზედ ერთ კონა სამკურნალო ბალახბულახს მიიტანს, თავის ბაღში გაგლეჯილს, ორიოდუ წვეთ ღვინოს გაძოადუნს თხიერს... - აქ უცნაურად აუწია ხმას: - ერგასი წელიწადია, რაც თავის განჩინებას აღგენდა უღმერთო სოკრატე, ათენისა და ყოველი ჩვენგანის მტერი! ანაქსაგორასა და პროტაგორასთვის გამოტანილი განჩინებით გაფრთხილებული ეძალედა სოკრატე, ყველაგვარი ნარუქი საქმის ეს საშიში განმაერცვლებელი, ამგვარივე განაჩენს ეძალედა დელფოს ორაკულს ამოფარებული, თავის საცოდავ საზორავს ამოფარებული, რომელი საზორავიც ხალხის თვალწინ მიაქვს საკურთხეველზედ... ათენელნი მსაჯულნი, კარგად აწონეთ ეს მრჩობლობა სოკრატესი და გამოუტანეთ სამართლიანი განაჩენი, განარჩიეთ ტყუილი და მართალი!

ტაში ადგილ-ადგილ გაისმა: სადაც მდიდარნი ისხდნენ, შეთანხმებული, სხვაგან - კანტიკუნტი, და იყო მთელი რიგები, სადაც ერთსაც არ დაუკრავს ტაში. არქონტმა მზეს ახედა, ივარაუდა, კიდევ ორი ბრალმდებლის მოსმენას მოვასწრებოთ, და გადაწყვიტა საქმის განხილვის გაგრძელება შეუხვეწებლად...

არქონტის ნიშანზედ ბოლციომის კიდესთან მოვიდა ალაწოდა, თხელი ლიკონი. ვიწრო სახე ჰიმატიონის კალთით დაიფარა და აქვითინდა. ხმა კარგად ჰქონდა დაფენებული - ამადლებაც შეუძლო, დადაბლებაც, ჩურჩულიც, დაქუხებაც, თუ უნდოდა, აითრთოლებდა კიდევ მეტისმეტი გრძნობიერებით. ამ უკანასკნელი ხერხის გამოყენება გადაწყვიტა ახლაც.

- ათენელნო მამაკაცნო! ცრემლმორეული ვიწყებ - მაპატიეთ ეს სისუსტე. მე ვტირი, რამეთუ მოვალეობა მაიძულებს, რომ თქვენს წინაშე ბრალი დაედო ამ ბერიკაცს... იქნებ კაცმა ცუდადაც დაიწყო, მაგრამ კარგად უნდა დაამთავრო - ასეთი უნდა იყოს ცხოვრების მდინარება. ოღონდ ეგზომ ბევრის დაპირებით დაწყება და აგრე დამთავრება, ოდეს გაშიშვლებული და შერცხვენილი დგახარ სასამართლოს წინაშე, რომელიც დაათი ნაფიცის, მეგობართა წინაშე... მტერს! ვაიმე, ვაიმე! რა ღრმაა ჩემი თანატოლები ამა კაცისა მიმართ. რომელსაც უკვე აღარ შეუძლია ბოროტების გამოსწორება, მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ ეწეოდა...

აქ ლიკონმა ასწია თავისი გველურად გრძელი სახე და უფერული თვალები გამოაჩინა:

- ვგონებ, ამას აღარ ძალუძს იმის გამოსწორება, რაიც მოახდინა, რადგან ამის დამლუპველ იდეათა თესლი უკვე გალივდა ახალგაზრდობის სულში, იზარდა და უკვე თავად გამოიტანა ღვარძლის მთესველი ახალი ნაყოფი. ბერიკაცმა ამან დააჭირიანა მთელი ათენი. გარყვნა ძრავალთუძრავლესი ჩვენი ყმაწვილკაცის სული, და მეტად მძიმე სამუშაო დაგვიტოვა - ჩვენ უნდა ამოვიძიროთ ყოველივე ის მავნე ცუდი და ბოროტი, რაიცა ამან თესა. ხედავთ, ათენელნო მამაკაცნო, რარიგ დაუჭირი სოკრატეს თვისონ ამისავ მეგობრებთან, ამისავ ცოლთან ქსანთიპესთან და შვილთან ლამპროკლესთან ერთად! რატომ ვიზრჩობი მწუხარებისა და სიბრაღისგან, თუმცა კაცსა ამას ბრალსა ვდებ? იმიტომ, ათენელნო მამაკაცნო, რომ ეს გზააბნეული კაცი თვისი ბუნებით კარგი კაცია. იმიტომ რომ ამას ნამდვილად კარგი უნდა თქვენთვის და თქვენთა შვილთათვის. იმიტომ რომ სწამს, რაკილა თავის სიბრძნეს თქვენს კუთვნილსა ხდის, ამით გაკარგებთ და გაუკეთესებთ. მე დაწინაურებული ვარ, ამას წარმოდგენილი აქვს, რომ თანამოქალაქეთა თანა დაუცხრომელი საუბარ-მუსაიფით თავის მიზანს მიაღწევს - ათენს, ქვეყნად ულაძაზეს ქალაქს, - უმაღლესი სიბრძნის ქალაქადაც აქცევს.

ლიკონმა რიტორიკულ პაუზას მიმართა და პირი წყლით გაისყუდა.

ახალგაზრდა ნაფიცი შეზობელს მიუბრუნდა:

- გაიგონე? განთქმული ორატორია, და როგორი ზღუქუნი ატენა!

ხანდაზმული ნაფიცი:

- იმასა ვეღარა ხედავ, რომ ლამის ბევრმა ჩვენგანმაც შეჰბღავლოს სოკრატეს?

ახალგაზრდა:

- მერედა, განა ეს სწორია, როცა ამას ნამდვილად ჩადენილი აქვს დანაშაული, რის გულისთვისაც სიკვდილის ღირსია? ნეტავი რას უყურებს ეს ლიკონი, რატომ ისე არ მოჰკიდებს ხელს, როგორაც საჭიროა? თან ეცოდება, თან აქებს და ადიდებს. მეონი, დაფნის გვირგვინსაც ჩამოაფხატებს მულოტ თავზედ, და საქმე იმით დამთავრდება, რომ სოკრატე უბრალო რამ ჯარიმით გადარჩება.

ხანდაზმული:

- ძალიანაც კარგი იქნება. ღარიბი კაცისთვის ჯარიმაც საკმარისია.

ახალგაზრდა:

- არა, არა. მე ათ დრაქმაზედ ვარ დანაძლეუებული, რომ სიკვდილით დასჯიან. უკვე პირში ნერწყვი მომდის: ერთი მაგრად წავუქეიფებ ცოლ-შვილთან ერთად!

ხანდაზმული:

- აბა შენ იცი, მადა არ გაიფუჭო! მაშ, ვახშმად სოკრატეს ხორცს მიირთმევ. კიდევ კარგი, ათენში ჭკვიანი კაცნიც არიან. ვერა, ვერ გაუსინჯავ სოკრატეს ხორცს გემოს, კაციჭამიავ!

აქ ორივეს ყურადღება ორატორის შეძახილმა მიიპყრო:

- უბედურო სოკრატე! რამხელა თვალები გაქვს და მაინც ბრმა ხარ! როგორ, რით გინდა სრულყო ათენელი მოქალაქენი, რომელთა სწავლა-განათლება, ხელოვნება და

სათნოება მთელს მსოფლიოში განთქმულია? შენ ყველაზე უარესი გზა აირჩიე: ისარგებლე ახალგაზრდობის თვალში პოპულარობით, როგორაც ნარუქ საქმეთა მომხრემ, ისარგებლე იმით, რომ აღმოსავლეთის ხალხთა ენით თუ ვიტყვი, ახალგაზრდობის კერპი ხარ და ამ ახალგაზრდობაზედ ზედმოქმედება მოახდინე ყოველნაირი ხერხით, იქნებ ჯადოქრობითაც, რათა ჩამოგეშორებიან ჩვენგან ჩვენი შეიღებები, ჩაგვეწყვტებიან თითოეულის სულში შენი დამღუპველი ახალ იდეათა შხაში შეხასებ ადამიანის განკარგებისა - და სწორ გზას ააცდინე ისინი.

ათენელნი კაცნი, მერწმუნეთ, ყოვლისშემძლე ზევსისა ძალას გაფიცებთ, მერწმუნეთ - მე თვითონ დიდხანს ვეჭვობდი იმას, რაც ახლა ვთქვი! მაგრამ ჩემთა სიტყვათა უკან უდავო დამამტკიცებელ საბუთად დგანან: ალკიბიადე, კრიტია, ქარმიდე - ჩვენთა ძველთა გვართა შვილნი. იმათი მამანი იცნობდნენ სოკრატეს, კაცს, რომელსაც სძაგს ანგარება და საკუთრება, ვინაც ყველაფერზედ მაღლა სათნოებას აყენებს და ქადაგებს, რომ სათნოების სწავლა შესაძლებელია; სოკრატეს სათნოება მრავალწახნაგია, შეიცავს სიმამაცის, სამართლიანობის, სიმართლისა და სამშობლოს ერთგულების, ზომიერების ცნებათ, რომელი ზომიერების წყალობითაც კაცი ცხოვრებაშივე მიაღწევს უმაღლეს სიკეთეს და ამ სიკეთეს აზიარებს თავის მახლობელთ და სახელმწიფოსაც კი...

ვინ არ ანდობდა შვილს ესეგვარ მასწავლებელს, ესეგვარ ბრძენს? ვინ არ ოცნებობს, რომ შვილი სახელმწიფოს მართვის ხელოვნებაში გაწაფოს?

მაგრამ ვაგლახ! ამ მოხუცში თავმდაბლობა განდიდების მანიას ერწყმის, ზომიერება - ალვირახსნილობას, მორჩილება - ქედმაღლობას და გულკეთილობა - ბოროტებას. მელეტმა პოეტის ალლოთი სწორად დაინახა: სოკრატეში ორი ადამიანია. ძლიერ უხალისოდ ვიღებ ხელში დანას, რათა სოკრატე სათნომყოფელი განვაკალკევო იმ სოკრატესგან, ახალგაზრდობას რომ გვირყენის.

მამანი სოკრატეს უმანკო, სულით წმინდა, სამშობლოს სამსახურზედ მეოცნებე შვილთ უგზავნიდნენ. როგორთ უბრუნებდა უკან სოკრატე? ამპარტავანთ, უკადრისთ, პატივმოყვარეთა და უწესურთ. როგორ უნდა გავიგოთ, რომ თავად თავმდაბალმა თავმდაბლობა ვერ ჩაუნერგა? თავად ზომიერმა - ზომიერება? განა ეს უცნაური არ არის?

ნაფიცთა შორის ზუზუნი დაიწყო, თითქოს სკა აზუზუნდაო. ლიკონმა წყალი მოსვა. სოკრატეს მოწაფეთ, რომელნიც ქსანთიპესა და მირტოს გვერდით იდგნენ, ცხარე კამათი გამართეს. პლატონი დამაბული უყურებდა სოკრატეს, გემრიელად რომ აკნატუნებდა მზესუმზირას. პლატონი იღუშებოდა. ბრაზი მოხდიოდა მასწავლებელზედ, რატომ არის აგრე გულგრილად, ოდეს თავზედ ბრალდებათა კიკლოპურ ლოდთ აყრიანო.

- პასუხი ჩემს კითხვაზედ თქვენთვის ალბათ ნათელია, - განაგრძობდა ლიკონი - სოკრატეს თავმდაბლობა მხოლოდ გარეგნულია, შიგნით კი ამპარტავნობა ჩაჰბუდებია. ამ ქედმაღლობით რყვნიდა ახალგაზრდობას, გადასდო თავისი დამცინავი ზნე, ღმერთთა უპატივცემულობა. ახალგაზრდობა იქამდე მიიყვანა, რომ ღვიძლი მამანი შეაძულა. ყოველივე ამას სოკრატე იქმოდა არა იმ ზომიერებით, რაიც ერთ-ერთ უმაღლეს სათნოებად თვითონვე გამოაცხადა, არამედ, პირიქით, დაუღალავი ენერგიითა და გატაცებით - და იქმოდა დღესაქამომდე. რა თავდადებაა, რა თავგანწირვა! ეს უძილობას და უჭმელობას ამჯობინებდა, ოღონდ დაეკმაყოფილებინა თავისი შერყვნილი წყურვილი - ბოროტება ეთესა თვისთა „საუბართა“ წყალობით. და ისე მოხდა, რომ ამისი ყველაზედ უფრო ნიჭიერი მოწაფენი, ათენის სიამაყედ რომ უნდა ქცეულიყვნენ, ათენის სირცხვილად იქცნენ...

სოკრატეს ამხანაგნი აღშფოთდნენ, კრიტონმა მშვიდად, მაგრამ მტკიცედ უთხრა:

- ნუ აუკუღმართებ, ლიკონ!

ფედონმა შესძახა:

- ბინძური სოფისტიკაა! ცრუ ცილისწამებაა!

მაგრამ ლიკონი იმათ ყურადღებასაც არ აქცევდა. ისევ შეტევა განაგრძობდა:

- ოდენ სოკრატეს დარწმუნების ხელოვნებას უნდა ვუმაღლოდეთ, რადგან ყველაფერი ათენის უდიდესი იმედი, გახდა წმინდა პერმების შემბილწველი, ბრწყინვალე მშენებელი ღოთი, დაბოლოს, სამშობლოს მოღალატე. ახლა კრიტიკას არ იკითხავთ, სადამდე მიიყვანა სოკრატეს აღზრდამ! სადამდე და, გადააგვარა და გაამხეცა, რომელ მხეცსაც ტოლი არა ჰყავს, რომელიც ბღალავს სრულიად ამა ქვეყანას...

ანტისტენე „სოლონის მაგიდის“ ყველაზე უფრო მაღალ ადგილზედ ავიდა, ქსანთიპესთან დადგა და მთელი ამფითეატრის გასაგონად შესძახა:

- ცრუობ, სოფისტო! კრიტიკამ სოკრატე მიატოვა და შენი მასწავლებლის გორგიას მოწაფე გახდა!

ლიკონმა ეს წამოძახილი ყურადღების ღირსად არა ცნო.

- რა წარმოგიდგება თვალთა წინ? რა, თუ არა შიშველი ფეხები, დაგლეჯილი სამოსელი, საცოდავი ქონხაზი, შიმშილისგან პირდაღებული მთელი ოჯახი? რა, თუ არა თავდაც პირდაღებული და მიწყვიტებული სამართლიანობაზედ, ადამიანის სრულყოფაზედ მოლაქლაქე? ათენი ელის ჩვენგან სამართლიან განაჩენს - სასარგებლოა იმისთვის სოკრატე თუ ძვენი. ათენს ის ახალგაზრდა კაცნი უჭირვებიან, ძველ დიდებას, სიმდიდრეს და ძლიერებას რომ დაუბრუნებდნენ. მაგრამ ესეგვარნი არ გამოხსულან სოკრატეს „სააზროვნოდან“. ამან ვერ მისცა თავის ათენს ამისთანა კაცნი!

სოკრატეს მოწაფეთა და მეგობართა აღშფოთება მატულობს, მაგრამ ლიკონი უფრო სწრაფად ალაპარაკდა. ხმაც ძლიერი ჰქონდა და ფარავდა დრტყინვასა და წამოძახილთ.

- ეს ახალგაზრდობას ასწავლის თავის სამეანო ხელოვნებას, მაგრამ სინამდვილეში ამ ხელოვნებას არცხვენს, კი არ ამაღლებს. ამასთან კიდევ ბრალსა ჩვენა გვდებს, სოფისტო, - ლიკონმა მკერდზედ მიიდო ორივე მუშტი, - ჩვენ, ვინაც ვცდილობთ, რომ ავამაღლოთ ახალგაზრდობა, ბრბოზედ ძალა დავაყენოთ, ვასწავლოთ ამ ბრბოს გაძლოლა! - ამ ადგილას ლიკონმა ხელები ორივე მხარეს გაშალა, თითქოს მკერდიდან რაღაცა მოიშორაო.

სოკრატე ზედ მზისგულზედ იდგა, ლიკონს უყურებდა და ფიქრობდა. დიდებულად კი შეთანხმებულან, ერთხელ კიდევ თვალადსაჩენი გახადეს, რომ სოფისტიკა ყველაფერს აუკუღმართებს, ამახინჯებს, ყველაფერს ბორიჭად იყენებს. მერმე, რარიგ კარგად წარმოაჩინეს, რაიც ოდესმე მიკეთებია და მიმტკიცებია! ვხედავთ, ნაფიცთ ცვილსავით ასორსლებენ ხელში. პოეტია, გამოცდილი რიტორია! არა, მე აგრე ვერ ვათამაშებ სიტყვით, რაღა ესენი და რაღა მათგანნი... აბა ამათთან მე, უპერანგო ყრმასაებრ შიშველი და ტიტკელი, ჩემი სიმართლით რას გავხდები? არა, ამ ჩემთვის მოზომილ მცირე დროში ნამდვილად ვერ გავაქარწყლებ მთელს ამათ ცილისწამებას... თანაც ჯერეთ არ გამოხსულა ამათში ყოვლის უარესი, ანტი, რომელსაც სხვათა მეტად ვძულვარ...

ნუთუ ათენი უნდა დავაგდო? არა, ძალსა ვფიცავ, არ შემიძლია! უათენოდ ცხოვრება არ ძალმიძმს - ანდა რა იქნება ათენი უჩემოდ? ჩემი ოჯახი?... მეგობარნი?...

სოკრატეს აზრთა ძაფი ლიკონის შეძახილმა გაწყვიტა:

- მე კი არა, მთელი ათენი ხდებს ბრალს სოკრატეს, ეს მამათ ყოვლის უფროსე ძვირფასს - სამშობლოს იმედს ართმევს. შენ, სოკრატე, ვაუიშვილნი მოგვპარე! ვინდა დაგვიბრუნებს იმათ?

იმით თავმოწონებული, რომ ეფექტურად გაასრულა საბრალდებო სიტყვა, ლიკონი

თავის ადგილზედ დაბრუნდა, თან მლიქვნელურად უღიმოდა ყველას, ვინაც საჯაროდ უკრავდა ტაშს. თავი ისე ეჭირა, ვითომც არ ეყურებოდა ნაფიცთა შორეულ ნაწილის ყვირილი:

- სირცხვილი ლიკონს! სირცხვილი!

არქონტი ამ დროს წყნარად ელაპარაკებოდა ანიტეს, ძორივ ბრძანებებს სოკრატე ამჟამად ცდილობდა აღშფოთებული პლატონის დაწყენებას. ჭაბუკი-თაქისი-ჩუქლების საწინააღმდეგოდ გადაჭრით ედაკებოდა:

- კი, ეს შენი საქმეა, ჩემო ძვირფასო, მაგრამ ჩემიც არის! ლიკონი მეც შეურაცხყოფს შენთან ერთად!

და ნაფიცთა და მაყურებელთ მეხსავით დაატყდა პლატონის ბოხი ხმა:

- აბა, რატომ დაგიდგებოდი მოწაფედ, სოკრატე, უკეთუ მართლა სწორ გზას ააცდინე ჩემი ახლო ნათესავნი - ალკიბიადე, ქარმიდე და კრიტია? მაშ, სულელი და ბრმა ვყოფილვარ! მაგრამ მეც, სხვათაც, თვითონ ლაკონმაც, ძალიან კარგად ვუწყით, რომ იმათი ბოლო ესდენ საკვალალო სწორედ იმიტომ იყო, შენ რომ ჩამოგშორდნენ, სოკრატე!

ნაფიცთა შორის, პლატონის სიტყვები კარგად რომ გაიგონეს, ხმაური ატყდა:

- რა გუნაღვლება, რა! შოდი და გაიგე! ახმახი ლიკონი სულ იმას ჩაგვიჩინებს, ვითომ სოკრატე ახალგაზრდობას რყენიდეს, ეს ახალგაზრდა კაცი კი, პლატონი. რომელსაც იმოდენი ფული ჰქონია, რომ თურმე სხვა ბევრ მასწავლებელსაც გადუხდიდა, ამ წვეროსან ბერიკაცს ნებაყოფლობით დამოწაფებია... თანაც ახლო ნათესავი ყოფილა იმ სამი არამზადასი, ასე რომ საქმე გაეკება... აბა, რა უნდა ვიფიქროთ?

- შენ ეგა თქვი! რა უნდა ვიფიქროთ?

იმ რიგებში კი, სადაც მდიდრული სამოსი მოსავთ:

- როგორ არა სცხვენია პლატონს! საჯაროდ აღიარებს თავის სიახლოვეს ამ კონკიაჟლარუნასთან!

- დიახ... დიახ... ამისთანა დიდებული გვარის ჭაბუკია - და ამისთანა ჭუჭყში ჩაივლო თავი...

- ჰოდა, ჩანს, რა ძალაცა აქვს ამ ბერიკაცს!

სოკრატემ მსუბუქი ღიმილით უთხრა პლატონს:

- მადლობა, ძვირფასო, რომ შენი თავის დაცვით მეც მიცაე.

- მართალი ბრძანებაა! - პლატონი მღელვარებისგან ჯერ კიდევ კანკალებდა - მე არა მარტო ჩემზედ, არამედ შენზეც ვფიქრობ, ჩემო ძვირფასო მოძღვარო! ისეთი შიამუჭდილება მრჩება, თითქოს სწორედ დღეს ივიწყებდე საკუთარ თავს...

- არა, - მიუვო სოკრატემ, - მე ძალიან ბევრს ვფიქრობ იმაზედ, როგორი ვარ და როგორად უნდა დავრჩე.

სხვათა წინ სიარულის მიჩვეული კაცის ნაბიჯით გამოვიდა ანიტე. სათრიმლაკი წამლების მყრალი სუნი აქაც კი მოიყოლა, სასამართლოში: ან უკვე აღარც გრძნობდა, ანდა ამაყობდა კიდევ ამ სუნით...

- ო, პოლიტე! მოქალაქენო! - მკვეთრად შეჰყვირა და ხელი დაუღვევრად ასწია მისაღმების ნიშნად, - თქვენ ხშირად დადიხართ ჩემთან თქვენ-თქვენი სათხოვრით. დღეს მე მოვედი თქვენთან სათხოვნელად: განსაკუთრებით დაფიქრებულნი და სამართლიანნი იყავით დღევანდელ საქმეში! თქვენი გადასაწყვეტია არცათუ მცირედი მნიშვნელობის დავა. რაზედაც ბრალსა სდებენ სოკრატეს, რაზედაც ბრალსა ვდებ მე,

მძიმედ წარმოხატიქმელია, მაგრამ იძულებული ვარ და უნდა გავიძეორო, რათა საგულდაგულოდ განსაჯოთ და აწონ-დაწონოთ, ჩემი ბრალდებაა: სოკრატეს ხელი უდიდეს ბოროტმოქმედებაში ურევია. სოკრატე სახელმწიფოს ძლიერებას უთხრის ძირს!

აქა-იქ შეშინებული წამოძახილი გაისმის, ზოგი ეინმე ნაფიცთა წინა რიგებიდან წამოიჭრა კიდევ და შეძრწუნებულთ ხელები ასწიეს, რათა ანიტეს შეეძინია ისინი და დაემახსოვრებინა, იმისი კუთილგანწყობილება ხომ ესოდენ მნიშვნელოვანია!

სოკრატე თვალს ადევნებდა ნაფიცთ: ეს-ეს არის პლატონს უკრავდნენ ტაშს, აწდა უძალე საწინააღმდეგო მხარეს მიბრუნდნენ და ყოვლისშემძლე დემაგოგის წინაშე მათებლური ერთგულებით წელში იკაკვებიან...

მწველი წყურვილი და შიმშილი იგრძნო სოკრატემ. ტუჩებზედ მლაშე იოფლი მოიღლოცა. მზე უწყაუდა ხაჩეს და მელოტ თავს, ისე აჭერდა და ისე სჭრიდა თვალს, რომ ნაფიცთა სახეები ერთიან ვარდისფერ ღუფხად ეჩვენებოდა. სოკრატეს უკვირდა. ასეთ კაცად არ იცნობდა თავის თავს. ასეთი განცდები აქამდე არა ჰქონია. ნუთუ სწორედ დღეს გადააბიჯა ფიზიკური ამტანობის საზღვარს? მაგრამ არა, სისუსტეს არ უნდა დანებდეს. არა მარტო თავისი თავის დაცვის მოვალეა, არამედ რაც მთავარია, თავისი იდეები, თავისი მოწაფენი და მიმდევარნი უნდა დაიცვას. ერთი ყლუპი წყალი ითხოვა. ანიტეს არ უყურებდა, საკუთარი რისხვისა ეშინოდა, რომელი რისხვაც მუდამ უჩნდებოდა ამ კაცის შემყურეს.

ანიტემ კი ემაყოფილმა შეამჩნია, რომ სოკრატეს წინააღმდეგ მისმა ჯიქურმა შეტევამ ნაფიც მსაჯულთ შეწყალებისა და შებრალების განწყობილება წამერთ შეუმუსრა. პირველივე დარტყმით მან სოკრატეს მრავალი ნაფიცის თანაგრძნობა ჩამოაცალა, მაგრამ არც ამით დაკმაყოფილდა, იცოდა - სოკრატეს ბევრი მტერი ჰყავდა, მეტადრე იმ ხალხში, ვისთვისაც ამკარა უმეცრების ნიღაბი ჩამოეგლიჯა, მაგრამ ჰყავდა უამრავი მეგობარიც, ვისთვისაც ის ძვირფასი მრჩეველი იყო. აუცილებლად უნდა მოეძალა სოკრატეს მიმართ ამათი მადლიერების გრძნობაც. ანიტე უკვე ფლობდა სოფისტიკის ხერხთ, მით უმეტეს, რომ ამას დღესაც აკვირდებოდა ლიკონის გამოსვლაში. მაგრამ ანიტე წინდახედული იყო. უკვე იმდენი სასამართლო საქმე ენახა, რომ კარგად იცოდა, რა ცვალებადია ბრბოს დამოკიდებულება. ერთი რაღაც წერილმანი და - ნაფიცთა განწყობილება უკანასკნელ წუთის ისევ სხვა მხარეს შებრუნდება...

ანიტე თავს უშიშრად გრძნობდა. მთავარი ბრალმდებელი მელეტი იყო და ჩავარდნის შემთხვევაში ის აგებდა პასუხს - ზნეობრივსა და მატერიალურს (ამ უკანასკნელში, სხვათა შორის, თვითონაც იოლად მიეშველებოდა), მაგრამ მაშინ ანიტე თავს ვერ დააღწევდა ყოვლის უფრო საშინელ მოწინააღმდეგეს! სოკრატე უწინდებურად სათითაოდ აუმხედრებდა ყველას, დაურღვევდა მოსვენებას, სიმშვიდეს, ძილს... ზედიზედ გაამიშველებდა ამომრჩეველთა წინაშე... და ანიტემ რბილად განაგრძო, თითქმის აღურხით:

- მეგობარნო! ყოველთ კარგად მოგეხსენებათ, რომ სოკრატემ ბოროტად მხარჯებდა თავისი ზედგავლენით, ოდეს ჩემი საკუთარი შვილის აღზრდაც ითავა...

- კოო. ეგრე, ეგრე! - გაისმა პირველ რიგებში.

- ასე და ამგვარად, მე თვითონ ვარ დაზარალებული იმ „ზრუნვით“, რომელსაც სოკრატე ახალგაზრდობის მიმართ იჩენდა. რამდენი რამ უნდა ვიღონო ახლა, რომ სასიკეთოდ მოვაქციო ეს შერყვნილი ნორჩი სული! იოუმცა, გუფიცებით, მოწმედ თორმეტსავე მთავარ დმერთს ვუხმობ, არცრა არის საერთო სოკრატეს მიმართ ჩემს ბრალდებასა და ჩემს შვილზედ სოკრატეს ცუდ ზედგავლენას შორის! - უხერხული ტაში. - ჩემი შვილი უკვე რა ხანია სიბრძნის განთქმულ მასწავლებელთა, სოფისტთა

მოწაფვა, - ანტიემ მონოლოგის წარმომთქმელი მთავარი მსახიობის პოზა მიიღო, - მაგრამ რა არის ჩემთვის შვილი ქალაქის კეთილდღეობის საქმესთან შედარებით, რასაც მოღვაწიად შევწირე თავი?!

ხმაურიანი ტაში, მაგრამ უკმაყოფილების ნაწყვეტ-ნაწყვეტი შეძახილებიც.

- ალბათ ხედავთ, - ზომიერად განაგრძო ანტიემ, - რომ პარფედი წყნესწერ ცუდად განწყობილი არა ვარ სოკრატეს მიმართ. ამის დასტურად უნდა მთავაზოროთ ამ კაცის კარგი საქმენი, ამ კაცის დამსახურება სახელმწიფოს წინაშე. ამან საშავალითო გმირობა გამოიჩინა პოტიდეას, ამფიპოლისის და დელოსის ბრძოლებში. მცირეოდენი დამსახურების წართმევა არ მინდა და იმასაც მოვიხსენიებ, რარიგ ვწინააღმდეგებოდა ოცდაათი ტირანის ბრძანებათ, თუმცა იცოდა, რომ სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდა ისეთი არაკაცისა და მკვლელის წინაშე, როგორც კრიტია იყო.

სოკრატეს მიმართ კეთილად განწყობილი ნაფიცნი გამოცოცხლდნენ; დამტყრებულნი გულში იხრიდნენ ქედს ანტიეს სულის სიდიადის წინაშე, რამეთუ მან თავის მტერს დამსახურება არ დაუკარგა და აძით წინა ორატორთა ბრალდებასაც დაუბლაგვა ფხა და საკუთარსაც კი. თავისივე მტკიცებისდა წინააღმდეგომ, სოკრატე სახელმწიფოს ძლიერებას ძირს უთხრისო, ანტიემ უკლებლივ ჩამოთვალა სოკრატეს საუკეთესო საქმენი იმავ სახელმწიფოს სასიკეთოდ...

სოკრატეს ზოგი მეგობარი ხარობს, სხვანი კი, მეტადრე პლატონი, მოღუშულია. მიხვდნენ: იშუამად, როცა სოკრატეს დიდი დამსახურებანი ანტიემ ენახედ დაიკერა, ისინი სოკრატეს წაპვლიჯა პირიდან. ახლა რალათი დაიცავს თავს?

პლატონმა მასწავლებელს გადახედა. დაინახა: შუბლზედ მძიმე ფიქრის ნაოჭები გასჩენოდა, ღიმილს, რაც განუყრელად თან ახლდა სოკრატეს, ტკივილის იერი დასდებოდა. პლატონის მხერა სოკრატეს გამოხედვას გაუსწორდა. ეს იყო ჩამქრალი გამოხედვა, მაგრამ პლატონის მხერას რომ შეეხო, კვალად იელვა თავისი ჩვეული შუქით. პლატონმა სძლია შიში თავისი მასწავლებლის ხვედრის წინაშე, სულმოკლეობის მოძალეობა ჩაიქრო, გამამხნევებლად გაუღიმა ბერიკაცს.

ამასობაში ანტიე ბრბოს მიმართაქლა:

- დემოკრატიას რომ ტირანია არ დაემხო, სოკრატეც უსათუოდ სიკვდილით დასჯილი იქნებოდა იმ ათას ხუთას ათენელს შორის!

აქ შეჩერდა, რაკი დაინახა, რომ მწერალი ჩაწერას ვერ ასწრებდა; მცირე პაუზის შემდგომ მწერლისთვის თავისი უკანასკნელი ფრაზები გაიმეორა. მერე ისევ მიუბრუნდა ნაფიცთ და ნაწყვეტ-ნაწყვეტ შეჰყვირა:

- ხვენს დემოკრატიას რომ დროზედ არ გაემარჯვნა, სოკრატე ყოველ დილას ვერ მიესალმებოდა თავის ჩვეულებისამებრ ამომავალ მზეს! გარნა ეს უმაღურია სწორედ იმ დემოკრატისა, რომელმაც სიცოცხლე შეუნარჩუნა!

დარტყმის ძალა იმან გააორკეცა, რომ აქამდე ანტიე სოკრატეს აქებდა. სამარისებური დუმილი ჩამოვარდა - მხოლოდ ათასი რამ მწერი ირეოდა ზუზუნით შეშინებულ კრების თაკზედ.

ანიტიემ უკვე აღშფოთებით განაგრძო:

- ეს უმაღურია სწორედ იმ დემოკრატისა, რომელიც ხალხს ისეთ სრულ თავისუფლებას აძლევს, როგორსაც არც ერთი ქვეყნის არც ერთი მთავრობა არ იძლევა, - ანტიეს ხმა მტკბარად აფლერდა, - მან ნაფიცთა გულის მოგება გადაწყვიტა: - სწორედ იმ დემოკრატისა, რომელიც ესდენ უხვად გძღვნით თეთრს ხაზინიდან ყოველთა უქონელთ და შეჭირვებულთ!

ნაფიცნი, მზის გულზედ რომ სხედან, ნელ-ნელა ისველებენ ყელს ღვინის ყლურწვით. ეს მუხანათი ნუნუა ზოგს ამხიარულებს, ზოგიც მოუსვენრად იშმუშნება და

უცებ გაუცხებულა წამოიყვირებს:

- ამ ბუნულს არა? შავ ფულს?!

ამ წამოძახებულმა ერთბაშად გაარღვია სასამართლოსადმი პატივისცემის იხუდაც გათხელებული ჯებირი.

- სამუსო მოგვეცით!

- დაგვიბრუნეთ ჩვენი მინდვრები!

არქონტი დიდი ჯაფით ძლივს ახერხებს ხალხის ცოტათი დაწყენარებას.

- აცალოს, თყვირონ, რაც საყვირული აქვთ! - ჩურჩულით ეუბნება ერთი მდიდარი მეორეს.

- აბა, რა ვიცი...

- თუ ეგენი იმას შვრებიან, რაც უნდათ, ჩვენც იმას ვიზამთ, რაც გვინდა. არაფერია, აცალოს.

მაგრამ ანიტემ ისე იქუხა, რომ ნაფიცნი შეშინდნენ:

- და მაინც! აღმოჩნდა ჩვენ შორის კაცი, რომელიც ყოველდღე დადის ქალაქში და სადაც კი ჩურდება, უმაღლეს ხალხს იკრებს გარშემო, რომ მოგვადგეს და გვლანძლოს ჩვენი, დემაგოგნი! ისმინეთ, ათენელნო მამაკაცნო! და სოკრატეს ეს ქადაგებანი, ეს დამანგრეველი იდეები ნიადაგს პოულობენ, ფართოდ ედებიან ქვეყანას!

ანიტე ნაფიცთა პირწყალს შეუხო, და ისინიც გაჩუმდნენ: ვის ეხალისება ნაფიცი მსაჯულობიდან ბრალდებულად ქცევა?

- დიონისეს თეატრის სცენიდანაც კი მიმართაუდა ათასთ! - ქუხს ანიტე, - გიკვიროთ, რანაირადო? გუტყვით. თავის მუგობარ, პოეტური იმიჯის, ის აზრი ააკვირებინა, რომ ლექსებში მონახს დაეცვა და კანონის წინაშე დედაკაცისა და მამაკაცის თანასწორ უფლებათა იდეისთვის ებრძოლა!

აქ დემაგოგმა შეატყო, რომ აქა-იქ ხალხში კვლავ გაჩნდა მოუსვენრობა, აღარ დაუცადა წამოძახილთ და უცებ გაასრულა:

- ძალიან საყურებელი კი იქნებოდა ათენი, სახელმწიფოს სათავეში დედაკაცი რომ დაგვესვა და ჩვენი, თავისუფალ მოქალაქეთ, მონათათვის ფეხები გვებანა!

იმისმა წარმოდგენამ, რომ ანიტეს ნაცვლად სახელმწიფოს სათავეში დადგებოდა ძავანი ლამაზი ქალი, ხოლო ანიტე ხელებდაკაპიწებული ფეხებს დაბანდა ვინამე მონას, ხალხში მხიარული ხარხარი გამოიწვია. გამხიარულებული ბრბო გაპყვიროდა:

- დიდება სოკრატეს!

მონათმფლობელთ, რომელთა რიცხვი აქ საკმაოდ დიდი იყო, ლიკონის დაჟინებით საწინააღმდეგო ვიერილი ატყეს:

- ხირცხვილი სოკრატეს, სიკვდილი!

ანიტე მდიდართა მხარდაჭერამ გაამსწევა და ცოცხლად განაგრძო:

- სოკრატე ბოროტებას იმაში ხედავს, რომ ამჟამად საზოგადოების სათავეში მდგომთა ხაკუთარი ჭერი აქვთ და წესიერი ტანისამოსი აცვიათ. ამას, ჩანს, უნდა, რომ იმათაც მონებსავით იცხოვრონ! ფეხშიშველებმა იარონ და მზესუმზირა აკნატუნონ, როგორაც თვითონ აკნატუნებს!

გესლიანობამ, რითაც ის ნაფიცთა გაცინებას ვარაუდობდა, მხოლოდ ნაწილობრივ იმოქმედა. მრავალთ უცებ გაიხსენეს, რა თვალთმაქცურად ცხოვრობდა ანიტე, როგორ იცვლიდა ტანსაცმელსაც და მიმართულებასაც, როგორ იცვლიდა გარეგნობას იმისდა მიხედვით, ვაჭარათაოების შეჭამანდის დასარიგებლად მიდიოდა თუ საბჭოში, ანდა სტუმართ რომ იღებდა შინ.

ანიტემ ეს წამიერად იგრძნო და უმაღლეს მოახდინა რეაგირება:

- სოკრატე პირფერულად აცხადებს: „ვიცი, რომ არაფერი არ ვიციო“. ეს მთელს ათენში გავრცელდა, მაგრამ მან იცის, მან ერთმა იცის, როგორი უნდა იყოს სამართლიანი კაცი და სამართლიანი მმართველი! მან ერთმა იცის, როგორი უნდა იყოს სრულყოფილი სახელმწიფო და ამას ჩააგონებს თავის მოწაფეთ, სოკრატე ითხოვს, რომ სახელმწიფოს ის კაცი უნდა განაგებდეს, ვისაც ფიქრი უყვარს! მაშ, იქნებ ფილოსოფოსი იქნებ თვითონ სოკრატე? - დუმილში, ამ ნათქვამს რომ მოჰყვა, ანიტემ კითხვა ჩართი:

- ჩვენი უდიდესი მონაპოვრის, განუსაზღვრელი თავისუფლების სამაგიეროდ რასა გთავაზობთ, იციო? - ხმას აუწია, - ცრუ თავისუფლებას, შვეწროებულს იმით, რასაც ძალდაუტანებლად წესრიგს უწოდებს, რაც ვითომც სულსერი მონობისგან გვათავისუფლებს!

სოკრატე ანიტესკენ მობრუნდა, პირდაპირ თვალებში ჩახედა - ხვლიკის თვალებში! ანიტე დაიბნა, აღელდა. მზერა მოაშორა, ნაფიცებზე გადმოტანა და უეცრად საზიზღარმა განცდამ მოიცვა - თითქოს წინ რიგებად სოკრატეები და სოკრატეები უსხდნენ, ასობით სოკრატე...

ოფლი მოასკდა. კიდევ უნდოდა ბევრი რამის თქმა, მაგრამ მოკლედ მოჭრა ამჯობინა...

ათენულნი მამაკაცნი! თქვენ მოისმინეთ ძელუტის, ლიკონისა და ჩემი ბრალდებანი და თითოეული მათგანი ცალკე ამხელს სოკრატეს. მაგრამ ჩვენ წინაშეა სამი ბრალდება და სამივე ერთად ამტკიცებს, სოკრატეს საუბრებმა რაოდენად უფრო მეტი ზიანი მოუტანა ათენს, ვიდრე სარგებლობა. თქვენ თვითონ განსაჯეთ, განგებ თუ უნებლიეთ გველუჯდა ხელიდან ათენს, რათა თავის ზედგავლენაში მოექცია. თქვენ უნდა გადაწყვიტოთ ჩვენი სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანესი საქმე - დიდი საქმე.

ერთ-ერთი შეზარხოშებული თამამი კაცი შეწრიალდა:

- ო, სახელოვანო ანიტე! დიდო ღემაგოგო! - მაგრამ აქ მისი პათოხი ნდობის კილოთი შეიცვალა. - რახან, ძმობილო, როგორც შენ ამბობ, ეს საქმე ესდენ დიდი მნიშვნელობისაა, განადა არა ჰგონებ, რომ გასამრჯელოდ სამი ობოლოსი მეტისმეტად მცირე თანხაა? იქნებ ხუთ-ხუთი მოგვეცე?

ყოველი მხრიდან აჰყენენ:

- ხუთიც ცოტაა ამისთანა საჯახირო საქმისთვის! მოუმატე! მოუმატე!

- ჩემად, ბიჭებო! ენას კბილი დააჭიროე! - შეაგონებდა დოღრიალებს იმათთანაკუ ლატაკი ვინმე, - თორემ ღუკმა პურს მოგვანატრებენ!

არქონტის ნიშანზედ სასამართლოს მსახურნი აყვირდნენ:

- წყნარად მანდ! წყნარად!

და ამ მოუსვენრებისკენ დაიძრნენ.

მაგრამ შეზარხოშებულმა ნაყისცმა - თუძცა ერთის მაგიერ ორ ანიტეს ხედავდა უფრო აშკარად, ვიდრე ბრალდებულნი ორ სოკრატეს ხედავდნენ - მზერა მათს იქით წარმართა, საითაც საჭირო იყო, ხელისგულები ბუკისებრ მიიღო პირზედ და დაიღრიალა:

- პა, ანიტიკო, მოგვიმატებ? თუ ხაზინა სულ დაგიცარიელდა?

გაბედულის ხმა შემახილების, სიცილის, ლანძღვის ქარიშხალში დაიკარგა. არქონტმა მხოლოდ მუქარიით დააცხრო, ეხლავე გავათავისუფლებთ იმ სკამთ, საიდანაც კაღნიერი შემახილები ისმისო.

ეს ეპიზოდი უაღრესად არასასიამოვნო იყო ანიტესთვის. უტიფართა ხმაში სოკრატეს ხმა ეღანდებოდა და ეს ხმა ამტკიცებდა, რა შორს იყო წასული ყოველგვარი წესრიგის ხრწნა ათენში, და ამ ხმამ იმაშიც დაარწმუნა, რა სწორად მოიქცა, როცა ასეთი სამსჯავრო გამართა. ახლა კი უნდა დაასრულოს!

ხელები ასწია:

- ოღიმპის ღმერთთაგან და წინაპართაგან დაწესებულ კანონთა სახელით მეც

ბრალსა ვდებ სოკრატეს! ამის დანაშაული ის არის, რომ ათენში პატივდებულ ღმერთთა არა ირწმუნს, ახალი ღვთაებანი შემოჰყავს. ახალგაზრდობას რყვნის და ძირს უთხრის სახელმწიფოს ძლიერებას!

5



საქართველოს
საბჭოთაო სოციალისტური
რესპუბლიკის

ბრალმდებელთა თავიანთი სათქმელი ჩაათავებს და უკანა რიგში გავიდნენ. არქონტმა ბასილევსმა თავზედ შირტის გვირგვინი შეისწორა, ხელშეუხებლობის სიმბოლო, ადგა და ბრალმდებელს მოუბრუნდა, საზეიმო იერით წარმოთქვა, როგორც პელიოქაში ხამს ლაპარაკი:

- შენი დაცვის დრო დადგა, სოკრატე, იუბნე!

კლეფსიდრამ დროის წვეთების ანგარიში დაიწყო.

სოკრატე დუმიდა. თავი ოდნავ განზედ გადაეხარა, თითქოს ვიღაცას უსმენსო. ჩქაში არ ისმოდა. კაცს ეგონებოდა, არა მარტო სოკრატე, არამედ მთელი არესის გორაკი, მთელი ათენი, მთელი ცა, მთელი დედამიწა დუმიდა. სოკრატე კი ისევ იდგა, სმენად იყო ქცეული, ხმებით თუ უნდოდა ამ დუმილში რაღაც უცხო ხმის დაჭერა. დუმილი გრძელდებოდა, წყალი კლეფსიდრიდან წვეთავდა, მაგრამ სოკრატეს დროში შეჭრას ვერავინ ბედავდა, რომ თუნდაც სიტყვა ჩაერთო, აეჩქარებინა.

ვიდრე ბრალმდებელნი ლაპარაკობდნენ, ნაფიცნი იმათ უყურებდნენ, ხანაც - არქონტს, სამსაჯულოს წევრთ, შულტას, პრიტანს, ხოლო სოკრატეს მარტო წამიერად თუ გადახედავდნენ. მაგრამ ახლა მხოლოდ ერთი სოკრატე ედგათ თვალწინ. ხუთახი წყვილი თეალის მზერა დახუნძლიდა სოკრატეს, იმის შიშველ ფეხებს, ძლიერ ხელებს, იმის თეთრ ტილოს ქიტონს, იმის სახეს, მეტადრე მოკუმულ ტუჩებს. როდის განეხვნება ბოლოს და ბოლოს! ძვირფასი დრო ხომ გარბის!

ახლავა შეათვალიეროს ჯეროვნად ნაფიცთ - განსაკუთრებით ახალმოსახლეთაგან - სოკრატე. მკვიდრი ათენელი კი გონებაში უპირისპირებდნენ ერთმანეთს ბრალმდებელთა მიერ დახატულ სოკრატეს და იმას, როგორსაც თვითონ ამთავითვე იცნობდნენ.

სოკრატეს გარეგნული იური არცვის არ აღუძრავდა სიბრალულს. ნაფიცთა წინაშე იდგა ხელაც არა ვინმე საცოდავი ღარიბი, უძლური და დაშინებული ბებერი, რომლის მარტო ერთი შეხედვაც ხელს გაუჩერებდა ნაფიც მსაჯულს და ურნაში შავცურცვს არ ჩააგდებინებდა. სოკრატე ხამოცდაათი წლისაც კი წარმოსადეგი, ჯმუხა, ბევრად უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა. სხეული, უმეტესად მზეში მოტრიალუ, ვინემ სრდილს შეუარებული, ჰუდის ვენახების ნიადაგის ფერი ჰქონდა და თეთრ ქიტონთან შედარებით კიდევ უფრო მუქი ჩანდა. ესეც უფრო აახალგაზრდავებდა სოკრატეს. მაგრამ ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებოდა ახაკს სახე, მომრგვალო სახე, ხელაც არა სიბერის ჩაოჭებით დახერილი, რომელსაც ხშირია, ჩამოღვევილი წვერი უმშვენივრად. ამ ძლიერ სახეზედ ვერ იტყოდით, ილიმებათ: მაგრამ არც ამისი უარყოფა შეიძლებოდა. სოკრატეს სახე ნებისყოფის ძალას, ხალისის მომკვრელ მზიარულებას და შუქს ასხივებდა.

მოხეტიალე ფილოსოფოსი, ახირებული კაცი... რარივ უნდა მოექცნენ?

სოკრატეს უძრავად უდევს ხელი მეორე ხელის მოხრილ იდაყვზედ. არქონტის ხელი კი მაგიდაზედ ცახცახებს. როდის ამოიღებს ხმას?! არქონტის ხელი უკვე მისწვდა ჩაქუჩს, მაგრამ აქ სოკრატემ ფართოდ გაიღიმა და მშვიდი ხმით წარმოთქვა:

- ათენელნი მამაკაცნი! სიჩუმის ამ წუთებში მივხვდი: უკეთუ აქ ავმკვთველდი, ამით არავითარ საფრთხეში არ ჩავიგდებ თავს და არცრა ცუდს ეს არ მომიტანს. საკმაოდ დიდხანს ვუსმენდი, ხმას ხომ არ გამავიწყებს-მეოქი ჩემი დემონიანი, ხომ არ გამაფრთხილებს-მეთქი, ნუ გამოიხეალო...

ნაფიცთა შორის აღშფოთებული შეძახილ-შემოძახილი გაისმა:

- გესმით? პირველივე სიტყვებით აღიარებს თავის დანაშაულს!

- სიგიჟეა!

- სირცხვილია!

სოკრატემ ხელი ასწია, ხიჩუმე ითხოვა.

- მე კმაყოფილი ვარ იმით, რომ ჭამა-სმა შეწყვეტეთ და ყურს მივდებთ. მაგრამ ვისურვებდი, რომ ზომიერება დაგეცვათ, მოყვასხო, მსჯელობაში. ეს თქვენთვის უფრო ადვილია, ვიდრე ჩემთვის! მე აქ მსჭვრენ ყელში და არა თქვენ; მე კი არა ვყვირი. თუ თქვენ იყვირებთ, მეც იძულებულს გამხდით, რომ ავევირდე, მე კი, დამეთანხმებით, ყვირილი არ მეკადრება.

უარესი სხვა რამეა: მე არ ვიცი, რა ეოქვა, რით ვიმართლო თავი, რადგან ბრალმდებელთ, როგორაც იტყვიან, ყოველი თავდასაცავი იარაღი ხელიდან გამოშვლიჯეს, უზარმაზარი შრომა გაუწყვიათ მეღეტს, ლიკონს და ანიტეს! აბა, რა გამახსენებდა ჩემი ცხოვრების ყველა იმ წვრილმანს, ამათ რომ გაიხსენეს! მაგრამ ესენი არა მარტო ბრალსა მდებდნენ, არამედ მიცაუდნენ კიდევ. ეს მეტად კეთილშობილურად გამოიყურებოდა, უაღრესად სამართლიანად ჩანდა და თქვენც, ჩემო მსაჯულხო, კარგი შეხედულება დაგრჩებათ ბრალმდებლებზედ. მაგრამ თავად განსაჯეთ: ამ სამსაჯულოში ხომ ამათვე მომიყვანეს, ამა კეთილშობილთ და სამართლიანთ. და ოდეს ბრალდება ბრალდებაზედ მესმის, დაუჯერებლად მიმაჩნია, რომ, მაგალითადრე, მთავარმა ბრალმდებელმა, ჩემგან შერცხვენილმა პოეტმა მეღეტმა ოდენ იმისთვის დამაყენა თქვენ წინაშე, რომ ერთი სული ჰქონდა, სანამ ათუნელთა სასარგებლო ზრუნვისთვის შემაქებდა და დამადგამდა დიდების გვირგვინს, რომელი გვირგვინიც თავად არ ადგას. არა მგონია, ორ დანარჩენ ბრალმდებელსაც ოდენ იმად შეგვიქე ათენის წინაშე ჩემი დამსახურებისთვის, რომ ჩემი დიდება უფრო შორს განევრცოთ, ანდა ესერიგად იმიტომ მაქებენ და მასხამენ ხოტბას, რომ ჩემი სიცოცხლის დასასრულს შეუყვარდი და პატივსა მდებენ! ამ სამთ თავიანთ ბრალდებაში ჩემი დაცვაც ჩართეს, ის ქიითვისეს. რისი თქმაც მე მევალებოდა, რათა თქვენ წინაშე თავი შემართლებინა. ასე და ამრიგად განმაიარადეს.

სოკრატემ ხელა დაუშვა ხელები.

- ჩვენი დროის სოფისტთა საკადრისი ეს კერაგული ხერხი, ეს ორატორული სიმარჯვე, ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო. ჩემი ენა, რომელიც მუდამ ჯაფით იკვლევს გზას სიმართლისკენ, ისე მოქნილი ვერ არის და, მერწმუნეთ, სულაც არ მიგავს გველთევზას ანდა გველსა.

უკეთუ ახლა, ჩემთა ბრალმდებელთა შემდეგ, ავდგები და გავიმეორებ, რაც ჩემს ცხოვრებაში სამშობლოსთვის კეთილი რამ მომიღონისძიებია, ამას უკვე მხოლოდ იმიტომ ვიზამ, რომ ამათ ჩემამდე იგდეს ხელთ ეს ყველაფერი; ვიცი, იფიქრებთ, აი თვითონვე იმეორებს იმათ ნათქვამს საკუთარი თავის წინააღმდეგო. ჩემი ყოველი დამსახურება აკი უკლებლივ მიწასთან გაასწორეს, - და მეშინია ძირიდან აღება, რამეთუ უკვე ისე შეურყვნელი აღარ იქნება.

მაგრამ ჩემს მთავარ დამსახურებას სამშობლოს წინაშე, რაც ბევრად აღემატება ჩემთა საბრძოლო საქმეთ და ოცდაათთა ტირანთა თვითნებობისთვის გაწეულ ჩემს წინააღმდეგობას, - ჩემთა იდეათ, ხალხში რომ ეთესავ, ამ ყოველის უფრორე მთავარს ჩემი ბრალმდებელნი არ შეხებიან. ამიტომ მოვმართავთ ამხელად, ათუნელხო.

ვითომ ამბობენ: სოკრატეს ყოველთვის იქ ნახავთ, სადაც ბევრი ხალხი იკრიბებო? სწორედ იქ იყენებს თავის სამეანო ხელოვნებას და ხელს უწყობს იმის გავების გაჩენას, თუ რა არის სიკეთე და ბოროტება, სილამაზე და სიმახინჯე, სათნოება და მანკიერება, რა სამართლიანობა და რა უსამართლობაო? არა, სოკრატეზედ ამბობენ, უბრალოდ,



ქართული
საბჭოთაო გამომცემლობა

შეპყრობილია ამ მოღვაწეობითო. აბა, როგორ არ უნდა ეჩქარა სოკრატეს აქეთკენ, სადაც ხუთი ასეული კაცი მოუსმენდა? განა ძალუდვა, რომ ხელიდან გაეშვა ესდენ იშვიათი შემთხვევა, როცა უკვე სამოცდაათმა წელმა მოუკაკუნა, როცა უზომისაზარი გამოცდილება დაუგროვდა და როცა მისი ყოვლის უფრორე მხურვალე ოცნება კეთილ ხალხთან ამაზედ ბაასი და ლაპარაკი?

ხედავთ- სრულიად ბუნებრივია, რომ დაუყოვნებლივ დავეშურე ^{ესდენ მიმწოდველ} მოპატიუებას და თქვენთან სასიამოვნო შეხვედრის თავის ასარიდებლად არავითარი საბაბი არ მიძებნია. მაღლობელი ვარ ანიტესი და მისთა მეგობართა - მელეტისა და ლიკონისა ესეგვარი მოწვევისთვის. ყოველმა უწყით, პესიმისტი არა ვარ და ქვეყანას შავად არა ვხედავ. ამიტომ ვამბობ: ვინ იცის, ვის რა სიკეთეს მოუტანს ეს დღე? მე, ბრალდებულს, ჩემთა ბრალმდებელთ თუ თქვენ, ჩემთა ნაფიც მსაჯულთ?

მოდით, ერთად გავსინჯოთ ის რამდენიმე ნამცეცი, ჩემთა ბრალმდებელთ შემთხვევით საჩემოდ რომ დაუცვივდათ, ისიც გავარჩიოთ, მომიტევონ მართალი სიტყვისთვის, სად რა აურ-დაურიეს.

სოკრატემ ბოლცომის კიდისკენ გაიწია და ხელები გაშალა:

- მე ხომ, და ამას ვერავინ უარყოფს - უბრალო ვინმე ვარ, არაფრით არ გამოვიჩრევი, და უადგილოა მელეტისგან ჩემისთანა მოკვდავის შედარება ისეთ სახელოვან კაცთან, როგორიც ჰომეროსია. ჰომეროსის მიერ გამოსახულ ღმერთთა შიგან ბევრად მეტი მღელვარე სიცოცხლეა, ვიდრე მრავალ მიწიერ ადამიანში. ეს ღმერთნი აღსაესენი არიან საკაცობო გრძნობებითა და ვნებებით. ამიტომ მელეტს ეშლება: არა, მე არ შემითხზავს არც ერთი ეს ოდინდელი ანდერძი შესახებ ღმერთთა, რომელთაც ჩვენი სახელმწიფო აღიარებს. მე არა ვარ მომგონი მრავალი მომხიბლავი საშიჯნურო რამ თავგადასავლისა, რაიც ამა ღმერთებზედ თქმულა. მე ოდენ ცნობისმოყვარე ვარ, ცოდნისმოყვარე, მე ოდენ განვიხილავ და ვსჯი ყოველივე ამას სხვა კაცთა თანა. ვითომ რა, საუბრისთვის საგულისყურო საგანი არ არის? ვითომ რა, ვერ შევნიშნე, რარიგ გამოცოცხლდით სუყოველნი, როცა ამაზედ სიტყვა დაეძარი? დიახ, დაუთვალე, რაერთი მოკვდავი დიაცი გააბედნიერა ზეესმა თავისი კეთილგანწყობილებით. დავთვალე, რაერთი აფროდიტე და ათენაა. უკვე თვით ამ სათვალავშია რადაც ღვთაებრივი სიამე, რასაც, სამწუხაროდ, ვერ განიცდის მელეტი. თქვენ ყოველთ შეგიძლიათ დათვლა - ბევრს ჩემზედ უკეთესად და ამ ბევრმა იცით, რომ ბოლო რიცხვამდე არ მივსულვარ ამა ღმერთთა ეროტული წრის ჩამოთვლაში, რატომ უნდა განიკიცხოს მოვლელი? ის ხომ ოდენ ითვლის? მაგრამ გაოცებული ვხედავ, რომ მელეტი კიცხავს არა მარტო ჰომეროსს, არამედ თვით მეხომტყორცნელ ზეესსაც - იმის გულისთვის, რომ არასაკმაოდ უბიწო და თავშეკავებულია...

ყოველი მხრიდან სიცილი მოზვირთდა. მაგრამ სოკრატე არაფერს ყურადღებას არ აქცევს, მშვიდად განაგრძობს:

- და ჩემი სახით, გულცივი მოვლელის სახით, მელეტი უსაყვედურებს ქალღმერთ ათენას: რატომ ხარ ესდენ ნაირშესახედავი და ესდენ ნაირსკვებდიანიო...

სიცილი გაძლიერდა. მელეტი ბრაზისგან წამოჭარხლდა. შეუძახა:

- ხუმრობ კიდევ?!

- ძაღლსა ვფიცავ, არა ვხუმრობ! - მიუგო სოკრატემ, - მხოლოდ ვტყბები ჩვენი ღვთისმეტყველების სიძლიდრით. ჩემი ბრალმდებელნი ამბობენ, რომ ღმობოკრიტე მიგვარს, ფილოსოფოსთა შორის ყველაზედ უფრო მხიარული. კი, მიგვარს. იმის შრომა- „სულის კეთილგუნებაგანწყობილებისთვის“ ჩემი საყვარელი საკითხავია. ოდეს ნადიმზედ ადამიანი პურისმტეთა თანა ღვინოს შეეცევა და ვინმე მარცრის ცქერით ერთობა, იმას ნებისყოფის დაძაბვა სულაც არა სჭირდება სულის კეთილგანწყობილების შესანარჩუნებლად. ეს

თავისთავად ხდება. დემოკრატე კი გვიჩვენებს - და მეც ვუთხარხარებ - სულს კეთილგანწყობილება თვით ყოველის უფროსე მძიმე უამსაც შევიტყუარხოთ. დარწმუნებული ვარ, არც ერთი თქვენგანი მტკიცებას არ დაძინებებს, ვითომც აქ ქიოსურ ღვინოსა ვსვამდე და მზერას ძაოცართა სიმარჯვით ვახარებდე. ყველანი ალბათ დამეთანხმებით, რომ ელფსიდრა ჩემი ცხოვრების საკმაოდ მწარე წუთთა ითვლის, და უკეთუ აქ ჩვენ შორის ძაოცარნი არიან, იმათ ალბათ აზრადაც არ მოხდით ჩემი გამხარულება. ამიტომ მოძიებოთ, თუ მეუღესავით შემწედ ღმერთთ არ მოეუხმობ, ღიკონსავით ნიანგის ცრემლთ არა ვღვრი და ანიტესავით ვინმე მეუფროსეს დარად არა ვყვირი და არა ვკრიადლებ...

ამ სიტყვებზედ ატეხილ ხმაურში სოკრატემ ჩართო:

- ოღონდ ცოტათი ხომ არ გადაუხვიეთ?...

შინაგანი სიცხის შეგრძნება სოკრატეში უფრო მატულობდა. მატულობდა გარეთა სიცხის შეგრძნებაც. პაპანაქება სულს უხუთავდა. მზეს ახედა, ზენიტს რომ უახლოვდებოდა. რა ხდება? ნუთუ დღეს შენც აღარა ხარ, საყვარელო ძმაო, ჩემდამი კეთილი? სოკრატემ შუბლზედ ოფლი მოიწმინდა. ხელის უბრალო მოძრაობა წერილმანი რამ არის. მაგრამ მისთა მახლობელთ, რომელთაც ადრე ასეთი რამ არცროდის შეემჩნიათ, ამ მოძრაობამ შიში მოჰგვარა.

- ვიცე, უფრო მოვეწონებოდი ბრალმდებელთ - და ალბათ იმ ნაფიცთაც, აქ რომ სხედან და აგონდებთ, როგორ დაუადგი ოღესლაც ფეხი მტკივნეულ ადგილზედ, რომელიც ახლა მრავალი წლის შემდგომ, როცა აქ უსუსტესის როლში მომიხილეს, წაღიან იარად გადაქცევიან, - დიახ, უფრო მოვეწონებოდი, უკეთუ თავპირჩამომტირალს მინახავდნენ, უკეთუ მოეყვანდი ცოლსა, რათა ტირილითა და მუდართ მოეღბო გული თქვენი, უკეთუ აქ, ამოდენი მოწმის წინაშე დავიფიცებდი - თუნდაც ისევ ძაღლსა ჩემსა, - რომ აღარ ვიწანწალებდი აგორაზედ, გიმნასიებში, ბაზრებში და აღარც არავის გავესაუბრებოდი. ჩემო კარგო მელეტ, და თქვენც, ღიკონ და ანიტე, - ამას თქვენზედ ადრე ჩემგან სხვანი ითხოვდნენ. ნუ გამოჯავრდებით სიმართლისათვის, გარნა ეს სხვანი იყვნენ კრიტია და ქარმიდე - როცა არ დავემორჩილე, იმათ კანონიც კი გამოსცეს, რომელიც მიკრძალავდა, რომ ახალგაზრდობას დავლაპარაკებოდი და რიტორიკის ხელისუნება მესწავლებინა.

რიგებში ჩოჩქოლია.

სოკრატე კი შეუოკებლად განაგრძობს:

- ვითომ შემთხვევითია ათენის წყეულ მომსრველთა და თქვენთა სამთა ესეგვარი დამთხვევა. თუ ამაში რაღაც კიდევ უფრო ღრმა კავშირია ასახული? ...

- ვაპროტესტებ! - ზეწამოიჭრა ანიტე, ბრაზისგან სახეწამონთებული, - ამისთანა თავდასხმანი დაუშვებელია! მოვიითხოვ, რომ არქონტმა...

- მოვიითხოვ, რომ არქონტმა ანიტეს ღაპარაკის უფლება არ მისცეს ჩემთვის გამოყოფილი დროის განმავლობაში, - ხაფად და მტკიცედ შეაწყვეტინა სოკრატემ და ისევ ანიტეს მიუბრუნდა: - რაში ხედავ აქ თავდასხმას? იმაში ხომ არა, რომ ახლანაჲნ მომხდარ ამბავთ ვიგონებ და ძველი ჩვეულების თანახმად ხმაძაღლა ვსჯი? ეს ვის შეურაცხყოფს? და რატომ?

- მოვიითხოვ, რომ არქონტმა... - ისევ სცადა დაწყება ანიტემ.

- გვიან მოხვედით გონს, ანიტე! ახლა ხუთასი ათენელი ისმენს და კვლავაც მოისმენს იმას, რისი დაფარვაც გინდოდა ამათგან. თვითონ შენს თავსა ჰკითხე, მელეტსაც და ღიკონსაც - რატომ გამოიჩინეთ ესეგვარი წინდაუხედაობა და მაიძულეთ, რომ საჯაროდ მელაპარაკა?

ანიტე მსაჯულთა მაგიდასთან მიიჭრა, მაგრამ არქონტმა ხელის მოძრაობით

შეაჩერა:

- მაპატიეთ, ანიტე, მაგრამ ახლა კანონით ლაპარაკის უფლება მხოლოდ ბიჭულებულსა აქვს.

ანიტემ სიშმაგისგან ტუჩი მოიკვნიტა. მართალია, რას ვერხა ამ დემონურ ბერიკაცს! მუ თვითონ მოვიყვანე აქ! სულელი ვარ! მაგრამ დამაცა, ბოლო სმტყეჲ ჩემსაჲ!

- ისევ მეღვტს უნდა დაუბრუნდე, - განაგრძო სოკრატემ, - მან განაცხადა, თითქოსდა ორთავიანსა მხელავდეს და ერთი პირით ვლაპარაკობდე, ღმერთთ ვირწმენ-მეთქი, ხოლო მეორეთი - არა ვირწმენ-მეთქი.

რიგზედ მივევტო. დიახ, მივაგდე მოქანდაკის საჭრეთელი, მაგრამ მე ხომ უკეთ ვიცი, რა მიზეზითაც მივაგდე. ჯერეთ კიდე ახალგაზრდობაში ერთი აზრით ვიყავ შეპყრობილი - ქვის უძრავი სხეულის ნაცვლად დამყვალბებინა და გამომქმერწა ცოცხალ კაცთა სულნი. მიხლოდა, რომ ათენის მარმარილოს მშუქნიერებათა შორის ყოფილიყვნენ ასეთივე მშუქნიერი, კეთილშობილი და სულით ამალღებული კაცნი. როგორც ჩანს. საშიში რამ აზრი ამეკვიატა, არა? ეჰ, რა ბავშურად ვუიქრობდი! ძერწვაზედ რომ იმდენი მეძრომა, რამდენს შრომასაც კაცთ ვახარჯებდი, ერთი რიგიანი მოქანდაკე მეც გავხდებოდი, ვიცხოვრებდი მშვიდად, ვისარგებლებდი პატივითა და ავტორიტეტით, აღარც ჩემს ქანთიპეს ვაჟაწვალებდი, აღარც ჩემს თავს და არცა თქვენს, ათენელხო. მაგრამ ერთი აბუხარი გრძნობა ცოცხლობდა ჩემში და მორიელსავით მხესტრაჲდა, ბერძენთ, რომელთაც თავიანთი ფიღია და მირონი ჰყავთ, თავიანთი სოკრატეც ეჭირვებათო...

- დიდებულია, სოკრატე! - იფეთქა ხალხმა.

- აი ხედავ, მეღვტ, შენ ვერ მიხვდი, ვინ არის სოკრატე და რატომ დაუნიშნა თვითონ ათენმა სხვა სარბული, ვიდრე მქანდაკებლის სარბიელია. უბადრუკია შენი მხნრეკელობა, მეღვტ. ბრალსა მდებ, რომ ქალაქის სამსხვერპლოებზედ ოდენ ჩემი ბაღის სამკურნალო ბაღახბულახი მიმქონდა და ღმერთთ ჰუდის წითელ ღვინოს წავუქცევიდი ხოლმე.

ვეჭვობ, სამარცხენიო რკოს ჩემთვის, რაკი არავის ხარჯზედ არა ვმდიდრდები, რაკი უარარაო ვარ. გარნა სწორედ ჩემი სიღარიბე აიძულებს ანიტესა და ლიკონს, რომ ჩემს პირადობას ყურადღება მიიქციონ. რამეთუ იციან: ჩემი სიღარიბე, დაე უტყვი, ათენელთ რალაცას ეუბნება სოკრატეზედ - და იმათზეც, სხვებზედ; მერე რა, რომ ჩემს სიღარიბეს თვალები არა აქვს, მაინც კარგად არჩევს ყველაფერს.

ნაფიცთა შორის მღელვარება გაძლიერდა. ერთნი უკმაყოფილონი არიან, სხვანი მოწონებას გამოხატავენ სოკრატეს სახარგებლოდ.

- შენ კი, მეღვტ, მხოლოდ იმას ხედავ, რისი დანახვაც თვალებით შეიძლება. ბაღახბულახს ხედავ, მაგრამ ვერ ამჩნევ, რომ საზოგადოებრივ სამსხვერპლოზედ მივიტანე ყოელის უფრო რე ძვირფასი რამ, რაიცა მაქვს, - სიცოცხლე ჩემი და უკეთუ არა ვცდები, ეს ჩემი სიტყვები ოდენ პოეტური მეტაფორა არ არის. - ხელები გამაღა. - ეგების პირდაპირი აზრითაც მართალი გამოდგეს.

სოკრატემ ხმას ოდნავ აუწია - ყჩვენებოდა, რომ როცა ხმადაბლა ლაპარაკობდა, კანკალს იწყებდა, დადუმდა.

ახლა ნაუიცნიც დუმდნენ, თითქოს დაფიქრებულნი, - სოკრატეზედ და იმაზედ, აქ რატომა ვართო. სამარისებურ პაპანაკებიან მღუმარებაში შორით ოდენ ყრუ ქვითინი ახმოდა. კენჭისყრა ახლა რომ დაწყებულიყო, ურნებში ბეურად მეტი თეთრი ცერცვი აღმოჩნდებოდა, ვიდრე შავი. მაგრამ ჯერ კენჭისყრა არ იყო.

ნელა, უღმობელი განზომილებით წვეთავდა წყალი კლეფსიდრაში, და სოკრატე ისევ ამეტყველდა:

შენ, მეღვთ, რაკიდა არ იცოდი, რა მხრიდან მომდგომოდი შენი საყვარელი ქალაქის მხარეს, ჩემს დემონიონს ჩააცივდი. შავი დემონი უწოდებ, რათა ზიანი მოგვეყვინებინა ხეძოვს. მე კი - და არცროდის დაძიფარავს - იმას ღვთაებრივ ხმას ვუწოდებ. ღვთაებრივს იმდენად, რამ ხმა ესე ყოველთვის კეთილი იყო, გონივრული და ჩემდა სასიკეთოდ იხმოდა, მიწვევ მათროთხილებდა ყოველგვარი ხაშხმროვნისა ჟამს, რომელ ხაშხმროებაშიც დაუფიქრებლად გადავეშვებოდი ხოლმე. სოკრატე და გადავეშვებოდაო? მაშ, რიგორღა გავივლი იმის განთქმული ზომიერება, სოფროსინო? - ძვითხავთ. არა შეგეშადლოთ რა, ათენელნო კაცნო! ჩემში სისხლი ცივი როდია. არცაოღუნ იბადლი როდი ვარ. გული ჩემი ჩალასაებრ აბრიალდება ხოლმე ყოველივე მშვენიერისა და კეთილის მიღვაზედ. სილაშაზის და სიკეთის ცნებანი მე ერთი სიტყვით გამთვხაბუე: ვალოკაგათია დაფარევი.

ჩემი კეთილი დემონიონი! საკუთარი თავისგანაც კი მიცავდა. თქვენ, ჩემო ბრადმოებულნი, ახლაც კი შეგიძლიათ დარწმუნება, რომ ადამიანს ვერცვინ იმდენ ზიანს ვერ მიაყენებს, რამდენსაც ის თავის თავს უზამს. თუ დაუფიქრდით მაინც, რა ზიანი მიაყენებთ თქვენზე თავს თქვენ სამთავემ, კეთილ დემონიონს მოკლებულნო?

შენ, მეღვთ, ჩემს დემონიონს, შავ დემონად რაცხ. მაშ რაღატომ ველაპარაკებოდი ესდენ ხმით, ამ ჩემს დემონიონზედ ვაჭართ, მეწაღეთ, ათენის მსახლობელთ, მედღეურ ხაღნს, ჩემთა მოწაღეთ? მერწმუნებთ, სულაც არა იმისთვის, რომ დაგედანაშაულებინებთ. არამედ იმ მიხით, რომ ვინაც ხიკეთესთან წიღსაყარია, ვისაც მოსმენა ძალუმს, ყველას უსწავდა ამ ხმის ყურის ვდება, რომელი ხმაც სულში წყნარად უუღერს. თუძცაჲ ამისთვის დიდი მოთმინებაა საჭირო, რაიცა ადამიანთ არა აქვთ, და გარდა ამისა, გამათროთხილებელი ხმა ესე ადამიანს ხშირად ხელს ალებინებს იმ ნაბიჯზედ, რომლის გადასადგმელადაც სული უკანსკაწებს, და არაფრით უკან არ იხევს. ვინ იცის, იქნებმეგრის იხმობენ ვაღეც სულში ამ ხმას და აზრზედაც არ არიან, რომ ის იცავს იმათ კეთილდღეობის?

იქნებ შენც გესმის, მეღვთ, ესეგვარი გამათროთხილებელი ხმა. იქნებ დღესაც გესმოდა, როდეს გარწმუნებდა, სოკრატეს წინააღმდეგ ცრუსა და დამახინჯებულ ჩვენებათ ნუ მიმართავთ - მაგრამ შენ ყურა არ ათხოვე!

მაფიცდა შორის ამ განცხადებამ მღელვარება გაამღიერა.

- საით იუფრება? - შკათსა მერინმა ღუსტრატეს.

არცსაით, უფშემნ - მეც ხომ რახმე არ მეუბნება ჩემი ხმა...

ქუთის ვოლოფონ, ის ხმა მხოლოდ მაშინ გვესმის, როცა მნიშვნელოვან რახმე გადაწმინტალებას ვიღებთ!

როცა ესჯით, კაცი დამნაშავეა თუ არა, მნიშვნელოვანი არ არის?

- ხაერთოდ კი! ამთიონრა მერინმა.

სოკრატე ისეუ მეღვთს მიმართოვდა:

- შენის სიტყვით, მე რაღა თავი მაქვს... - მან მეღვთისკენ წაიწია, ის უკან გახტა შემინებელი. - ხეჯშინია, - გაიცინა სოკრატემ და ჩანდა, რა გულწრფელად იცინოდა, იქნებ ხულაც აღირჯ ახსოვდა, სად იმყოფებოდა და ვის ელაპარაკებოდა. - ჩემი თრი თავიდან არც ერთი არ შეგეჭამს! ოღონდ ახლოდან შემომხედე, - აი ხომ ხედავ, თავი ერთი მაქვს, მართალია, საკმაოდ დიდი, და ბევრს საფიქრალს უჩენს, რომ შიგ ამოდენი რამ ახარშება... ასე თუ ისე, ჩემს თავში რაღაც წესრიგია, რამეთუ არცროდის ზრუნვას არ ეკიდებ, ყოველდღიურად ვგვი, თანაც ნაკავს, ჩვეულებისამებრ, რაც შეიძლება, შორსა ვური: ეს ცუდი ჩვეულება არა მგონია, მეღვთ, თუძცა ზოგჯერ მეზობლისთვის არც ისე სასიამოვნოა, ხომ აგრეა?

პოეტთან კიდევ უფრო ახლოს მივიდა, მან ხელები ასწია, კაცი იფიქრებდა, თავს

იცავსო. სოკრატემ გაიცინა და გაჩერდა.

- ისე გეშინია ჩემი, თითქოს ღომთათვის მისავებად მინდოდე, მე კაშხალად ამის დანახება მინდა, რა მრუდე გზებით უღიან შენი კოჭლი ახრებს, მთისმთიან რაჭეს ხმა უფრო გაუხაფდა, გაუგებზნებარდა, - მაინც რა ხარია ის ღვთაებრივი? რაღაც გელაპარაკები? სახიზღარია თუ საძულველი? თუ, პირიქით, სამართლიანი და მართალია? ან იქნებ ფიქრობ, რომ ღვთაებრივი შეუთავსებელია სამართალს და სიბრძნესთან? მაშასადამე, შენის ჭკუით, ღმერთი უსამართლოა არა და იმეცინი არ არიან, არა? უბრალოდ, მოკვდავნი არიან? აი ხედავ, რა უღმერთო ყოფილია?



- სასტიკმა ირონიამ, მელეტი რომ გასრისა, ნაფიცნი ვაძინაარუდა, მაგრამ შეამჩნუნა სოკრატეს მოწაფენი და მეგობარნი, რომელთათვისაც ნაცნობი იყო ეს შეზნებარება, ეს ცეცხლი, როცა სოკრატე საბოლოო დასკვნამდე მიდიოდა თავის ამა თუ ამ საუბარში ანდა იხიბლებოდა რაღაც დიადითა და მშვენიერით. მაგრამ, აქ, ამ ადგილას, ეს შეზნებარება მოწაფეთაც აკრთობდა და შეგობართაც.

- არაფერი ისეთი არ მითქვამს... - ღულღულულებდა მელეტი, მაგრამ სოკრატე არ იხუვდა:

- ჩემი მიზანი, მელეტ, ღვთაებრივი სრულყოფილების პოვნაა, თუმცა ვიცი, რომ სრული სრულყოფილება არც არაფერშია...

- ისევ მკრეხელობ! - დაუღრინა მელეტმა, - თავად ითხოვ ხასჯულს!

სოკრატე - მოჩვენებითი გაოცებით:

- როგორ? განა მე ათენში არა ვარ, ხალა, თქვენის განცხადებით, აბსოლუტური თავისუფლებაა? - გაიცინა. - დამავიწყდა: ამ ჩვენს აბსოლუტურმა თავისუფლებამ ისე შორს შეტოპა, ყველაგვარი ბოროტმოქმედება მოიყოლა... - რაკი მჩინძნა, რომ ამ სიტყვებმა აღაშფოთა ბრალმდებელნი, სოკრატემ ჰკითხა:

- განა ამ ხუთასი მოქალაქის წინაშე ვიდგებოდი ახლა და თქვენს შიამშიან ბეზღობას მოვისმენდი, ათენში რომ მართლა თავისუფლება ყოფილიყო? არავითარ შემთხვევაში! ერთის სიტყვით, ამ თქვენს უსაზღვრო თავისუფლებას არც ჩემს თავს ეუსურგებ და არც მით უმეტეს ათენელთ! ეს თავისუფლება ძალიან ძვირი უჯდება სუფილ კაცს, ვინაც კი თავის მოწინააღმდეგეზედ უფრო პატიოსანია!

აღვზნებული ხმაური ნაფიცთა სკამებიდან ერთიან გუგუნს შეუერთდა, რომელშიაც ჩაიძირა არქონტის ჩაქუჩის ხმა.

სოკრატე ისევ მიუბრუნდა მელეტს:

- ხედავ, მელეტ, მარტოოდენ მომეროსის ღმერთით და გმირთ როდის ვართმეც კეთილს - კაციდან კაცთან რომ მივდივარ, მაშინაც ვაგროვებ; სულ იმას მიუბამი ვარ, საიდან მომდინარეობს გულკეთილობა, ადამიანურობა და სამართლიანობა. აგრე ახროვნებს ფილოსოფიის მოყვარული, ასევე მუშაობს მქანდაკებელი.

შენ ამტკიცებ, მელეტ, რომ ესეგვარად ჩამცეც-ჩამცეც კეთილის გრადებით ახალი ღვთაებანი შემომყავს; უნდა შეგისწორო: ჩემი ხურვილია, რომ ჩვენს ხასჯულმწოდებს შევძლენა ახალი მოქალაქენი, უფრორე სრულყოფილნი და უკეთესნი, ვინემ აწინდელნი არიან, მაგრამ აქ, სწორად რომ ითქვას, უკვე ღიკონს მივადექი, აგრე რიგად რომ დამტირის, არა, ეგ საქმე არ გამოგდისო. მაგრამ, ძალღსა ვფიცავ! ნეტავი ერთი ისეთი ვინმე მაჩვენა, ვისაც ჩემი მარცხი ჩემზედ მეტად მოუკლავდა გულსა. ღიკონი წუნს, რომ ახალგაზრდობას ვაფუჭებ, ამ შემთხვევაში ზებუნებრივ ძლევამოსილებასა და ძალას მომაწერს. მთელი ამჟამინდელი ათენელი ახალგაზრდობა აღბათ იხეით ეგრ არის, როგორიც ვვინდა რომ იყოს, საეშმაკოდ და ხაონბაზოდ კი იცის გამოსოცხლება; მაგრამ უძალ იძინებს, უკეთუ მნიშვნელოვანი საქმე ან შრომა მოუღოს. თუმცა ესეგვარნი მაინც ცოტანი არიან, და არცა მოზრდილნი ამღევენ ხშირად კარგ მაგალითს. ისიც კი

უნდა ვაღიარო, რომ ახალგაზრდობის არამცირე ნაწილი დღეს უფრო მეტად წახდენილია, ვიდრე უწინ იყო.

გმ, ნეტავი შემძლებოდა, რომ მეტი ცოდნა დამეგროვებინა და გამეცოცხლებინა, რამდენადაც ვამჩნევდი, რომ ათენელთა სულს იმ წუთიდან, რაც ლიკონმა თავს დასატყუა, უსულოდ დატოვა კატასტროფის ბრალდება, სულ იმის თავის მტკიცებაში ვარ, როგორც ჩანს, დანაშაულის რა ნაწილი მოდის ამა თუ იმ გარემოებაზე, რა სხვებზე და რა კონკრეტულად.

შენც ხუმრავით რომ გეტყვია, ლიკონ, ამაზე თავი, მაშინ შენს ტირილს - ამხელად უკვე გულწრფელს - დახასრული არ ექნებოდა, მით უმეტეს, რომ ძრავა და ბრალდებულს შორის ძალიან ბევრ მოქალაქეს აღმოაჩენდი, რომელნიცა შენთან ხუმრავლად უფრო ახლოსა დგანან!

ნაცნობია ხმა ქსანთიპემდე აღწევს, არ გამოჰპარვია არც ერთი სიტყვა, ვგზომ მანძილზედაც კი, მაგრამ თითოეული ის სიტყვა შიშსა ჰკვრის.

- დამეცოცხლო, შეიწყალეთ! თავს კი არ იცავს, თავის საწინააღმდეგოს დაპარაკობს!

მირტი, რომელსაც ქსანთიპე დაყრდნობოდა, გრძნობდა, რომ ის სულ უფრო და უფრო მძიმედ აწვებოდა მის მხრებს.

უკეთუ მაშანი ჩიუიან, ძენი არ გამოგვადგენენო, - განაგრძობდა სოკრატე, - პირდაპირ უცნაურია იმათ მხრივ ამა ამბავში ერთადერთი ადამიანის დადანიშნულება, თანაც იმის, ვინაც მთელი საათობით ესაუბრება ამ ყმაწვილთ სათნოებაზე და თუთონაც მთელი ცხოვრება სათნოების სამსახურშია, იმათ მხრივ უცნაურია აგრეთვე, რომ ისეთი აქებენ, სათნოებაზე ბევრს რომ დაპარაკობენ, მაგრამ მანკიერ ცხოვრებას ეწვეიან...

- ის ნაფიცნი მსაჯულნი, საქმის გარჩევის დასაწყისში რომ ბუზღუნებდნენ, გმინვითა თუ სიცილით ანიტეს მხარს რომ უჭერდნენ, და ის ბრალდების შთამაგონებლად მიაჩნდათ, ახლა, თითქოსდა თავად ბრალდებულნი, მოიკუნტნენ, დადუმდნენ. სხვანი კი, ვინაც სოკრატეს სიტყვა თავისად მიითვალა, ღვინისგან თანდათან გამხნეებულნი ახმაურდნენ:

- სახელდობრ! დაასახელე!

ანიტე ცოცხლორეული ძაგდაგებდა.

- სახელდობით ვინდათ, კეთილი ხალხო? - ცოცხლად გამოეხმაურა სოკრატე, - არა, ვე არ უნდა მკითხოთ! ვერე არ შეიძლება! იყავით კეთილგონიერნი! ყოველთა სახელი ათენელთათვის ცნობილია, ხუმგან მიმატებულნი ბუკიოტნი აღარ ეჭირვებიან ათენს!

ისევ სიცილი. პლატონმა შემოყრთებით გადახედა კრიტონს: რა ვქნათო? იმან თავის ქნეკით ანიშნა, გავიგეო. მაგრამ ამათ აღარ ძალუძთ სოკრატეს შეჩერება, თუმცა ნაფიცთა თვალში იმისი დაცვა სულ უფრო ნაკლებად ჰგავს დაცვას.

კრიტონი სოკრატეს ხელს შეეხო - სოკრატე კი მოსცილდა და განაგრძო:

- ელადისა და სხვა ქვეყანათა უდიდესნი ბრძენკაცნი საუკუნეთა განმავლობაში უკირკიტებდნენ სამყაროს, უფრო ხშირად ცას აკვირდებოდნენ, ვინემ დედაშიწას, და თვითონ ადამიანის შვილნი, მცირე რამ გამოინაკლისთა გარდა, გაურბოდნენ კაცობრივი საქმის გამოკვლევას. ადამიანის გამოკვლევას.

ჰოდა, აი! მეც ვინაც მთელი სიცოცხლე ადამიანის გამოწვლად შევწირე, ვგონებდი, ხალხი უფრო მეტად შემიყვარებს. ვიდრე შემძებლებს-მეთქი, - ახლა კი ვხედავ, რომ მშვიდი ცხოვრება თუ მიხდოდა, კაცობრივ საქმეთ არ უნდა გაეკარებოდი. რამეთუ ვინაც კარსკვლავთა, ატონთა, სამყაროს მიმოქცევის სტიქიათა ოდენობისა და მისთანათა ბუნებასა სწვდება, არცროდის არ დაიტყნს თავზე ისეთ უბედურებას, როგორცაც ის იტყნს, ვინაც ადამიანის ბუნებას შეეხება.

მოწონების შეძახილთა ქუხილმა დაფარა სოკრატეს სიტყვები. ათენის ნაფიცთა

ჯანსაღი ბირთვი ჯერეთ კიდევ მის მხარეზედ იყო.

- ანიტეს კარგად გაუღესავს ხანჯალი ჩემთვის გულში ჩასარტყმელად, დარტყმა, რომელიც მან მომაყენა, რა თქმა უნდა, ყველაზედ მძიმედ გერწვნებათ.

მე კი განცვიფრებული ვარ ამ დარტყმის მხოლოდ მოულოდნელობა-უღმრთელობით, და არა სამართლიანობით, რამეთუ სამართლიანობა ანიტეს საერთოდ არა ერწვნება. ამიტომ გული სულაც არა მტკივა. გესმით? მე ხომ სასამართლოდ წინასწარ განიხილეთ სიყვარულისთვის წარუდექი, ესენი კი მამრალეუბენ, ათენს ზიანს აყენებდაო! თქვენ, ცხადია, თავადაც შეაძინეთ წინააღმდეგობა ანიტეს საბრალდებო სიტყვაში: მთელი სიცოცხლე რაც უყვარდა, იმას ებრძვისო!

მეგობრობისა და თანაგრძნობის უთვალავი წვრილმანის გამოვლინება იფრქვევა სოკრატეს მისამართით: აქნათელი გამოხედვა იელვებს, იქ მეგობრული თავის ქნევაა, გამამხნეველებელი ღამილი...

მეორედ დგება წუთი, ოდეს მრავალთა ხელი უკვე ამზადებს თეთრ მარცვალს;

ხოლო ისინი, ვისაც ანიტეს სიამოვნება სურს ან მეტისმეტად გულახდილ სოკრატესთან პირადი ანგარიშის სწორება უნდა, მოუსვენრად იბუჩებიან, მზერით ეძებენ ანიტეს მხარდაჭერას თავიანთი შავი საქმისთვის.

ანიტე ყურადღებით ადევნებს თვალს საქმის მსვლელობას. არა, ეს მსვლელობა არ მოსწონს, ანიტე მძიმედ სუნთქავს. სოკრატეს თავდასაცავი სიტყვა უარყოფს ჩვენთა ბრალდებათა უდიდეს ნაწილს, რჩება სულ მცირე ნაწილი, რასაც აღიარებს. ვაითუ ყველაფერი სასჯელის მესამე საფეხურით - ჯარიმით დასრულდეს, ხოლო მსაჯულთა ამდაგვარი განწყობილებით იქნებ სულაც გამართლდეს. მეღვტმა მეტისმეტი მთინდომა - სიკვდილი ითხოვა. მაგრამ არა, არ გამოვა - სოკრატე ძალიან უყვართ. არც ერთია საჭირო და არც მეორე. ყოვლის უფრორე ხელს მაძლევს მესამე გზა - განდევნა.

როგორც კი ეს გაიფიქრა, ანიტემ ჩაიციხა. იქ, სადმე მაკედონიის პელაში ან სარდისში, - იქ განსაჯე რომელიმე მონარქთან ერთად, როგორი უნდა იყოს მონარქი!

ანიტემ ენაზედ იკბინა: მაგრამ როგორ მიაღწიოს ამ მესამეს?

სოკრატეს ხმამ გამოარკვია ფიქრებიდან:

- ჩემთა ბიროტმოქმედებათა მაგალითად ანიტემ თავისი შვილი დაასახელა. მეც ამა მაგალითს მოვიმარჯვებ. ჩემთვის ეს ძალზედ მნიშვნელოვანი იყო, და ბევრი ოფლიც უღარე, რათა ათენის დემაგოგის შვილი კაცად შექცია. მაგრამ რა აღზრდა ჰქონდა ამ ახალგაზრდას, ვიდრე მამამისი ჩემთან მოიყვანდა? ბევრი თქვენგანიც გასცემდა ჩემ მაგიორად ამაზედ ჰასუხს. ფუფუნება, განუსაზღვრელი თავისუფლება, აღვირაზსნილობა. ის ისეთ გარემოცვაში იზრდებოდა, რის გამო ვაფრთხილებ ახალგაზრდათ, ერიდეთ-მეთქი. მე ზედმეტად შევაფასე ჩემი ძალა, როცა ეიმედოვნებდი, თუმცა არა დიდი ხნით - გამოვასწორებ-მეთქი. ვინაც უკეთურებას მიეჩვენა, ვედარ გადაეჩვენა, და იმასაც იძულებს, ვისაც უნდა, რომ ამ უკეთურებას ჩამოაშოროს. ის განელტვის ამისთანა კაცს, არც რაგვარად გული არ მისდის ამისთანა კაცზედ და მით უმეტეს არა სურს, რომ ამ კაცს თავმდაბლობაში აჰყვეს.

არა მარტო ანიტეს შვილი, მრავალი სხვა ჭაბუკიც მოდიოდა ჩემთან, მამათაგან განუბივრებული, მაგრამ სულაც არა იმისთვის, რომ უკეთურების სიძულვილი მესწავლებინა. ისინი იმ მიზნით მოდიოდნენ, რომ, როგორაც ჩემთა მოწაფეთ, ძალაღ თანამდებობათათვის და წოდებათათვის მიეღწიათ. ათენს კარგი მხედველობა და სმენა ჰქონდა, რა ხანია უწყის, რომ თუ რამ მამოქმედებდა, ის მამოქმედებდა, რომ ახალგაზრდას უკეთესი გამეხადა და შემეგნებინებინა, რა არის სიკეთე და სამართლიანობა, და ამით ეხელმძღვანელა - არა სიტყვით, არამედ საქმით, რათა დროთა განმავლობაში მთელი სახელმწიფოც ეგებ ამ სიკეთის გზით წაეყვანა.

ჩემი მიზანი მიწყვი იხ იყო, რომ სუყოველ ვაცს ეცხოვრა როგორაც თავის, ისე სრულიად მოთელი ქვეყნის ბუნდირებასა და კეთილდღეობაში! ვალიარებ, მეგობარნო, ათენს განვლილი მცირე დროის მანძილზედ ჯერეთ არა ძალყდვა კეთილდღეობის შექმნა, მაგრამ იმისთვის კი საკმაო დრო გავიდა, რათა ათენის ტარტაროსი ელისიად თუ არა, - არც ამოდენს ვითხოვ - ყოველ შემთხვევაში ისეთ ადგილად მანც გადაქცულიყო, სადაც ადამიანის შვილნი ნადირ-მხეცთა უარესად არ იცხოვრებდნენ...

ანიტე უწინდებურად დაძაბული ადევნებს თვალს სასამაროლოს მსვლელობას. ყველაფერი გამოსდის ამ ბებერ ჯადოქარს! ჩვენ გვძირავს, თავისი საქმე კი სულ უფრო კარგად მიჰყავს... აი ხალხის ხელზე დახვევაც ეს არის! როგორ გააჩუმა ყოველნი! რა მოწინებით უსმენენ!

სოკრატე კი აგზნებული განაგრძობდა:

- გახსოვდეთ: ათენის მოქალაქენი ამომრჩეველნი არიან, და სურთ, რომ სახელმწიფოს სათავეში ჩემსაკით თავმდაბალი კაცი ჰყავდეთ, და არა დიდების წყურვილით შეპყრობილი ამპარტაკანი დ მომხვეჭელი. აწ, ათენელნო, დიახაც უპრიანი იქნებოდა, თუ იტყოდით ჩემზედ: აი მეორე სიზიფუო. ვასწავლი, ვასწავლი და სწავლებას რა დავასრულებ - მოწაფე უკეთესი კი არა, უარესი ხდება, და მეც კვალად ვიწყებ კატორღულ მუშაობას ახალ მოწაფესთან. არა, მიწყვი სიზიფესავით უშიზნოდ არა ვჯახირობ! იცით, რაერთ ვინმესთან მისაუბრია ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში? ეს მე თავადაც არ ვიცი, ჩემო ძვირფასო მეგობარნო. როგორა ვარაუდობთ, სუყველა მათგანი კრიტია გახდა? აგრე რომ გვეარაუდათ, მაშინ, ცხადია, საკუთარ თავსაც შეურაცხყოფდით და საკუთარ შვილთაც. წუთისოფელი შავად არ უნდა წარმოიდგინოთ!

ამ სიტყვებით გაღიზიანებულთა დრტვინვა თანხმობის წამოძახილებმა დაფარა, ხან ახლოდან რომ მოისმოდა, და ხან შორიდან.

- გესმით, ისინი აქაც არიან, ჩემთან არიან!

ანიტეს ზურგი აეწვა. ასი სოკრატე! აი უკვე ესმის კიდევ იმათი ხმა!

- არცა ამ განსაცდელში მიმატოვეს ბერიკაცი, ოდეს თავზედ უმძიმესი ბრალდებანი მეფრქვევა, და ამით სარწმუნოდ ასაბუთებენ თავიანთ ზნეობრივ სიმაღლეს!

თქვენს შორისაც რა ხანია მრავალნი მიცნობენ, ნაფიცნო, და არცთუ ცუდის მხრიდან, თქვენ საუკეთესო მოწმენი ბრძანდებით ყოველივე იმისა, რაც რამ ჩემს სიცოცხლეში მომიმოქმედნია. აკი თქვენც გინაწილებდით მოთელს ჩემს ცოდნას, როგორაც მშიერნი ინაწილებენ ხოლმე ლუკმა პურს. თქვენზედ კარგად ვინ უწყის, ვინცა ვარ? მაშასადამე, სუყოველზედ სწორად თქვენ განსჯით, ათენის საზიანოდ ემოქმედებდი თუ, პირიქით, თუნდაც მისხალ-მისხალ, ხელს ვუწყობდი ათენის სულიერ გაძლიერებას, ამაღ თქვენ მართო მსაჯულნი კი არა, მოწმენიც ხართ ჩემი.

ხალხი ფეხზედ დგებოდა, ხელების ქნევით გაიძახოდა:

- მართალს ამბობ! ჩვენ მოწმენი ვართ შენი!

მაგრამ აქ ანიტეს ჯგუფიდან ერთი ნაფიცთაგანი წამოდგა, ბოლცომისკენ გზა გაიკვლია:

- მეც შენი მოწმე ვარ, სოკრატე! ჩემი თვალით ვნახე, როგორ ასასაცილოებდი და შეურაცხყოფდო ათენას აგორაზედ უსირცხვილო ცეკვით! და ამისა შემდგომ უნდა შეგიწყალოთ, ჩვენ დავიტყვით თავს ქალღმერთის შურისძიება? ათენელნო...

- გაჩუმი! - შესძახა არქონტმა. - შენ არა გაქვს ნება, რომ საქმის გარჩევაში ჩაერიო!

მაგრამ სოკრატემ სთხოვა:

- დრო ჩემია, გარნა მაგას მიეცი სიტყვა, არქონტო. იყავ კეთილი! დაე, თქვას, დაამტკიცოს, რით იყო ჩემი ცეკვა ქალღმერთის შეურაცხყოფელი.

- დაგიმტკიცებ! - შეუღრინა ანიტეს დამქაშმა, - დე, აქაც ისე იცეკვოს, როგორაც

აგორაზედ ცეკვაუდა ათენას ალაღობის წინაშე!

ველური აზრი! პროტესტის ქუხილი...

- სასამართლოს წინაშე იცეკვოს? ასეთი უპატივცემულობა სამსჯავროს მამართ? - გადაჭრით უარყო არქონტმა.

- იცეკვოს! - ითხოვს მელეტე.

სოკრატეს თათის განძრევის თავიც არა აქვს, მთელი დიდი მელეტის მსგავსი, მთელი სახე ოფელში ეწურება.

ჰაერი გიჟურმა წამოძახილებმა შეძრა:

- დიას, იცეკვე! დაუარე!

სოკრატე არ იძვრის.

ნაფიცო ისე იჭიფხება, ლამის ხმის იოგები დაიწყვიტოს:

- ხედავთ? არა ხერს! ეშინია!

სოკრატეს შუადღის მზე ადგას, თავის ციურ გზაზედ ზენიტს მიღწეული, იგივე მზე, რომლის ქვეშაც შვიდი ათეული წლის წინათ დაიბადა.

რა საოცარი უამბია შუადღე! დღის მწვერვალი, როცა არაფერს არა აქვს ჩრდილი...

- ცეკვა, ცეკვა...

არქონტს ის იყო ჩაქუჩი უნდა დაეკაკუნებინა მაგიდის მარმარილოზედ, რომ ანიტეს მბრძანებლური მზერა დაიჭირა: ნუ ჩაერევით! არქონტის სახეზედ გამოხატულია გაოცება, გაოგნება, მაგრამ ჩაქუჩის გვერდზედ დებს.

სოკრატე მორჩილად გაძოდის წინ, ცეკვისთვის ემზადება.

პლატონი წყნარად სთხოვს:

- გვედრები, ძვირფასო, ნუ იზამ მაგას...

სოკრატე გაუგებრად უყურებს.

ქსანთიპე ხედავს, როგორ იხრუკება სოკრატე - ცალკე მზე ხრუკავს, ცალკე აქეთ-იქიდან შეძახილი. მერე როგორ შეუპოვრად ებრძვის ერთსაც და მეორესაც.

ქალმა სასოწარკვეთილმა შეჰკვივლა:

- მოელვარე პელისოსის გულსთვის, შეიწყალეთ! ნუ ჯენჯავთ! სოკრატე, ჩემო უბედურო, ნუ უსმენ მაგათ! წამო, შინ წავიდეთ!

მაგრამ სოკრატემ უკვე ასწია დაბუფებული ფეხი, რომ საცეკვაოდ პირველი ნაბიჯი გადაედგა.

- არ გინდა, სოკრატე! - სთხოვს კრიტიონიც.

იმან კი უკვე ხელიც აღმართა, მეორე ფეხიც, გაცვეთილი ჰიმატიონის კალთა მწიკვით აიწია და ხელი რიტმით იწყო როკვა.

შიშველი დაფანჩული ფეხები სულ უფრო და უფრო მაღლა იძლიაკვება, თეთრი ქიტონი ლამის შემოეხეხს ხორციან სხეულს, მრგვალ მუცელს თიბთიმი გააქვს.

მტრები თვალებით ჭამენ სოკრატეს. ხან იქ, ხან აქ, მერე ყოველგან გაისმა ბორბოტი სიცილი. ბორბოტი სიცილი სახიფათოდ ძლიერდება, ედება ყველას, იმათაც, რომელნიც გულიანად იცინიან, უბორბოტოდ და არ იციან, რარიგ ვნებენ ამით სოკრატეს.

ის კი მძიმედ კუნტრუშებს, ბარბაცებს, სიცხისგან გათანგული, მოვრალსავით იქნევს ხელებს.

რა საცნობი ფიგურაა! ეს ჩუბურა, მელოტი ბრძენი, დიონისეს თანამგზავრია... რომელიღაც ნაფიცმა ვეღარ მოითმინა, წამოიჭრა, ხმა გაიმეივარა:

- ეს ხომ ნახვამი სილენუა, ჩვენი სილენუ! მიდი, დაუარე, სილენუ!

- დიდი პატივი კი უცი ათენას!

- შეხტი და შეიკუნტრუშე, აბა, პე!

მთელი საკრებულო გულიანად ხარხარებს. ძალიან ცოტაა ისეთი, ვისაც გულიდან

არ გადაეარდნია, რომ სასამართლო გრძელდება, ვისაც ესმის, რა ცეკვას ასრულებს სოკრატე.

ანიტე ფეხებგაფარჩხული დგას და ისე უყურებს მოცეკვავე სოკრატეს ნიღბზე! აბა მისი, ანიტეს ეშმაკური სიტყვა რას მოვა ამ ცეკვასთან, რომლითაც სოკრატე თავს იდანიშნულებს.

საერთო ხარხარზე მოიხმის ქსანთიპეს ტირილი. სოკრატე სწელ-სწესროს მკვირად ირწყვა. მძიმედ სუნთქავს, სტკუნით და ქმუნით. აფრიალებულ კიბატიონს ხელით იჭერს და უკვე ძალაგამოლეული, ტლანქად ხტის ზენიტის წერტილიდან დაძრულ მცხუნვარე მხეში.

სიცილის ქარიშხალი ცხრება. წამერთ ერთიმეორის მყოფებით იგონებენ ათენელნი, როგორ დასწამა უღმერთობა სოკრატეს მელეტმა...

და აი უსიტყვოდ დგანან უკვე მრავალნი, თვალს არ აცილებენ საშინელ კომედიას; ბევრნი ადგილებზე დაახდნენ, თვალებზედ მოსასხამი მიიფარეს.

ხიცილი კლებულობს, დნება, წყდება, მხოლოდ არუიპავის მარჯვენა მხარეს ისევ ხარხარით იგუდება მოსცილულთა ერთი ჯგუფი, უფრო ანიტეს რომ უყურებს, ვიდრე სოკრატეს.

კრიტონი და პლატონი კუმტად ღუძან. აძილოდორე ძირს პირქვე დაეშინო, ჩურჩულით წართქვა:

- სოკრატე, ჩემო ძურფახო, ეს რა ქენი?

აქ არქონტი წამოდგა, მაგიდიდან წყლის საათი აიღო, მადლა ახწია:

- კლეფსიდრა დაიწრიტა, უკანასკნელი წყუთი ჩამოიწურა. შენი დაცვის დრო დასრულდა, სოკრატე!

სოკრატემ გაუბედავი ნაბიჯი გადადგა მაგიდისკენ, ზედ დაეყრდნო, ქშინავდა. არქონტს შეხედა და ჩუმად უთხრა:

- მაგრამ მე... მე ჯვრით არ დამიხრულებია ჩემი დასაცავი სიტყვა...

6

არქონტი ბახილუეხა ჩაქუნს ისე გამეტებით სცემდა მაგიდას, რომ მარმარილოს კიდე ჩამოატეხა; როცა ბოლოს ვნებათა დეღვა დაცხრა, ნაფიცთ უხმო, კენჭისსაყრელად მოემზადენითო. არწმუნებდა - სოკრატეს განსჯის უამს უდიდესი სამართლიანობით და წმინდა სინდისით იმოქმედეთო. ნაფიცთ ახლა უნდა გადაეწვევიტათ, იყო თუ არა სოკრატე დამნიშნავე იმაში, რასაც ბრალად სდებდნენ.

და კვალად ახმაურდნენ ნაფიცნი. ისინი დიდხანს ისხდნენ მზისა და მიწის სიმხურვალეში - მზით გავარვარებული ბოლცოში ადამიანთ შენამსჭვალ სითბოს სძღვნიდა. წყურვილს წყალმერეული ღუიხით იკლავდნენ. რა გასაკვირია, თუ თავებიც უხურდათ.

ნაფიცთ ამ პროცესს თავი და ბოლო ვერ გაეგოთ. რამდენიმე ჯგუფად დაიყვნენ. ერთნი სოკრატეს გამაფრთხლებას ითხოვდნენ, როგორც ათენისთვის უადრესად საჭირო კაცისას, მეორენი - დახჯას, როგორც მაეჩე ადამიანისას, მესამენი დაბნეულნი იყვნენ და პირველ და მეორე გადაწვეტილებათა შუა შერყობდნენ. მეოთხენი საერთოდ უარყოფდნენ ყოველგვარ გადაწვეტილებას.

ამ აბოზოქრებული არუიპავის თავზედ, სადაც ერთი მეორის დარწმუნებას ცდილობდა, მოჩანდა მადლა აწყული ხელები და გრძელი კვერთხები - ნაფიცთა სასამართლო ძალაუფლების ნიშნები.

აღორაზედ ათენას წინაშე სოკრატეს ციკვის მხილველი აზაუსებულ ბრბოში მიიკვლევდა გზას; და, სოკრატე კიდევ უფრო რომ გაემწარებინა, ტრაბახობდა:

- მე ვამხილუ! მე გიჩვენეთ, როგორ ციკვაუდა ქალღმერთის წინაშე, და ხმას დაუწია: კიდევ უფრო მეტიც ქნა ამ უხირცხვილომ...

სუნამოშეფრქვეული ნაფიცი ხელში სწვდა:

- რა ქნა, მეგობარო?

თვითმხილველმა ქიტონის კალთა აიწია და ცნობისმოყვარეს ის დაანახვა, რაც ქიტონის ქვეშ ყოველ მამაკაცსა აქვს.

ხარხარი აღშფოთების დმუილს შუერია, ის თვითმხილველი კი წინ წავიდა და ხან ერთს უჩუენებდა თავის ფალოსს, ხან მეორეს. ნაფიცნი გაუბედავად არჩევდნენ ოფლიან ხელეებში ცერცვის მარცვალთ.

ვილაცამ ნაცნობს ორი რიგის იქით გადასძახა:

- თეთრი ჩაუგდე, ლარილონ!

- არც ვიფიქრებ! - გამოუხმაურა ლარილონი, - მაგ ბებერმა ერთხელ მეც დაძვინა, ჩემი საკაჭროს წინ ბაზარში...

- ნუ იქნები წვრილმანი! თეთრი ჩაუგდე, გუბნები! თუნდაც იმიტომ, რომ ციკვა... ზევსს გეფიცები, საქმე ამის სიცოცხლეს ეხება, ამ ღიჰიან ბერიკაცს კი იმის გაგებაც არ სურდა, რომ თავს იღუპავს... ერთი მითხარი, მართლა რომ ასეთი არაძხადა იყვეს, როგორც გ-ს ჭაყენ, - აგრე მოიქცეოდა?

ზის თეთროთმიანი მოხუცი, ქვისმთლედი პანთოე, სოკრატეს მამის ამხანაგი; ზის სამსაჯულოს უკანასკნელ, ზემო რიგში და ხედავს, რა ვნებათა ღელვაც უღუღს თვალწინ. ბიჭი ყორეზედ გადმოძვრა, მოხუცს მიუჯდა:

- რას იტყვი, პაპავ, ვითომ სოკრატემ ცუდი რამ ქნა?

არა მგონია, შვილო.

- მაშ, გააძართლებენ! - გაუხარდა ყმაწვილს.

- არცა ეგა მგონია, - მიუგო მოხუცმა.

ბავშვმა თვალები დააჭყიტა:

- ეს როგორ? არ მესმის...

- არც მე მესმის, შვილო. იქნებ მაშინ, როცა ჩემსავით დაბერდები... ან იქნებ, როცა შენი შვილი ჩემსავით დაბერდება, - იქნებ იმან გაიგოს.

ღარიბ ნაფიცთა შორის ანგარიშიანი ხალხიც იყო: ანიტე შეჭამანდს მაჭმევს, ობოლოსებს მოშცემს და კიდევ ვინ იცის, რას გაიმეტებს. ამ უარარაო ყბედი მოხუცისგან კი რას უნდა ველოდე?

- მე ანიტეს დავუჭერ მხარს...

- მეც. შავ ცერცვს ისე ჩავაგდებ, რომ თვითონ დამინახოს.

- გული არა გაქვთ, ხალხო! ადამიანის ბედი წყდება!

- როცა ბედად შიმშილი გექცევა, მაშინ სხვანაირად აჭიკტიკლები!

შეძლებული ნაფიცნი ასერიგად ფიქრობენ: ანიტე თანამდებობას მოგცემს, პატივს მოგაგებს და კიდევ ბევრ რასმე... ამ უარარაო, ყბედი ბერიკაცისგან კი რას უნდა ველოდე? მაკანის სათუთი ხელი შავ ცერცვს ამზადებს.

ვილაც წინასწარმეტყველებს:

- ეს ყველაფერი ფუჭია. მეღუტი ჯარიმას არ გადაიხდის ცრუ ბრალდებისთვის. სასამართლოს სოკრატე გადაუხდის.

- რას გადაუხდის? უარარაო!

- უარარაოსაც მოეძებნება რაღაც დასაკარგავი...

ბუკმა იქუხა, მაცნემ ნაფიცთ უხმო, რომ დაუყოვნებლივ მიხულიყვნენ ურნებთან

ხმის მისაცემად.

ცვივა ურხებში ცერცვი - შავი, თუარი...

როცა ყველა ნაფიცმა მისცა ხმა, სასამართლოს მოახგარი/პრიტანის ზედამხედველობის ქვეშ დაიწყო ცერცვის თვლა სათანადო წესით/ფორმულაში/ორჯულად - ედრებოდა თუ არა ცერცვის ოდენობა ნაფიცთა ოდენობას. ზეგმუქრებდა წვერნი სრული შემადგენლობით გამოცხადებულან: ხუთას ერთი კაცი! მაშინ შავი და თეთრი ცერცვის მარცვლების გადარჩევა დაიწყო.

სოკრატე შედგეს ელოდა, მეგობრებით გარემოცული. ქვის გრძელ სკამზედ იჯდა, ისვენებდა. აპოლოდორე იქვე მის ფერხით მოკალათებულიყო და მარღვიან კოჭზედ ხელს უსვამდა. კრიტონი და პლატონი ჰკითხავდნენ, ხომ არ დაიქანცე, მოძღვარო. შემწვარი თევზი შესთავაზეს დასანაყრებლად. პლატონი ისე დადგა, რომ მხეს ჩამოაფარებოდა.

ხორციანზედ სოკრატემ უარი თქვა:

- მადლობა. სიცხეში გახამლომად არაყურსა ვჭამ. აქ კი ახლა გვარიანად აჭერს. - თავისი პატარა ბოხჩა გახსნა. - კვერიც მყოფა. შეხედვით მადას არ აღვიძრავს, მაგრამ დიდხანს რომ დეჭავ, გემრიელია. დღეს კი კვერი განსაკუთრებით კარგი გამოხვლიათ, ცდა არ დაუკლიათ ქსანთიპესა და ძირტოს! მაგრამ თქვენ რა მოგლით! თავს დამტრიალებთ, საჭმელს მიმარჯვებთ, საქმიან სიტყვას კი არ მაგონებთ! ვანა რამეში გაგაწბილეთ?

- არა, ძვირფასო! - უპასუხა კრიტონმა.

სოკრატემ უცებ გაიცინა:

- სულ ჩემი ბრალია - და შენი, კრიტონ! გახსოვს, როგორ ჩუმად დაგვაგდი მამაშენის ბიბლიოთეკაში? რამდენისანი ვიყავით? თხუთმეტ-თექვსმეტისანი, არა? მერე - მთელი ეს წლები, ჩემზედ ზრუნავდი, მეხმარებოდი... შენ რომ არა, ასე მთელი არსებით ვერ მივეძალებოდი ფიქრთ იმის თაობაზედ, თუ როგორ გაშეუქოხლებინა, როგორ შემეცვალა ადამიანი, და არცა აქ ვიქნებოდი ახლა. შენ კი ორივე ჩვენგანისთვის ასეთ ბედნიერ დღეს იღუშები და აღმაცურად მიყურებ! ნუ იქნევ ხელებს. შენც, პლატონ. არ მოგწონვარ რაღაც დღეს.

კრიტონმა იმ მაგიდას გადახედა, სადაც შავ მარცვლებს ითვლიდნენ. ქარს ხამუშ-ხამუშ მთვლელთა ხმა მოჰქონდა:

-... ორას ერთი, ორას ორი...

კრიტონს და პლატონს ელდა ეცათ. გაშეშდნენ.

სოკრატემ ხელი დანამულ წვერზედ ჩამოისვა და დამთვლელთ დასცინა:

- თვლასა სწავლობთ? კარგია; ეგვიც საჭიროა. რა ხდება, სათვალავი მაღლა-მაღლა მიიწევს? აი ავიყვანო ახლავ ხელში, როგორც დედანქმს აჰყავდა ხოლმე ახალშობილნი და ნუგეშინსა გცემთ... გიკვირთ, რამ გამამხიარულა? როგორ არ გაემხიარულდე, ოდეს ამა ჩემთა მოხერხებულ ბრალდებულს საშუალება მომცეს, რომ თავთავისი სახელი მეწოდებინა ესოდენი საგნისთვის, რომელი საგანნიც ყოველ წესიერ ადამიანს თხუთსავე ურუქენენ, მაგრამ რომელთა შესახებ ლაპარაკისა ხუყველას ეშინია! მიირთვიოთ ჩემთან ერთად, მეგობარნო...

ბოხნიდან ერთი კვერიც ამოიღო, დატეხა და დაუნაწილა.

- რას მიყურებ, პლატონ, - ხელი მიკანკალებს? ვბერდები, ძვირფასო.

- შენს დასჯას ვერ გაბედავენ, - უთხრა პლატონმა.

- გაბედავენ, ჩემო კარგო. დამსჯიან, მაგრამ ჩემზედ ნუ იფიქრებთ. საქმე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. ახლა ხომ ათენელთ თავად დაიდგეს თვალწინ სარკე - და მალე გავიჯებ, რაც დაინახეს.

- შენს დასჯას ვერ გაბედავენ! - გაიმეორა პლატონის სიტყვები ცრემლმორეულმა

აპოლოდორემ.

სოკრატემ გაიღიმა.

- ბავშვად იქცაო, თუ ყიჭობთ ჩემზედ, მართალი ხართ - ისეთ ახაკში ვარ, ჩემი გაბავშვება ადვილი შესაძლებელია - მაგრამ გამოვიტყუებით, ძვირფასო: რა ვარ უნდა დამატყნონ თავს, თაფლად მომეჩვენება, თუ მეცოდინება, რომ აქაც, ვარა მომეჩვენება, რამდენიმე სული დავიჭირე. ჩემი ანკესი ხანდახან იჭიმებოდა და ვგონებდი, ჩემთვის იჭიმებოდა... ვფიქრობ, მარტონი არ დარჩებით, ამ ხასამართლოს შემდეგ უფრო გამრავლდებით.

პლატონმა გაოცებით ჰკითხა:

- მოძღვარო, სულთ აქაც იჭერდი?

სოკრატემ გაიციხა:

- განა სხვანაირად შემუძლო მოქცევა?

- მაგრამ, ძვირფასო, - პლატონმა გადაწვიტა, რომ ნაწილი მაინც გამოეთქვა იმისა, რაც ამისებდა, - შენ ბრალმდებელთ ისე ებრძოდი, როგორაც მოჭიდავე იბრძვის პალესტრაში! ხერხეძალს უმტვრევდი, ურტყამდი, მერე რა შეუპოვრად... პირდაპირ გვანცვიფრებდი...

- ისინი რა კითხვას მიხდობდნენ? - შეედავა სოკრატე.

კრიტონს, სოკრატეს უძველეს მეგობარს, სხვაზედ მეტის უფლება ჰქონდა:

- მეტისმეტად ჭირვეული ხარ. ნაფიცნი მიჩვეულნი არიან, რომ ბრალდებულნი მორჩილნი და თვინიერნი უნდა იყვნენ, გარეგნობითაც და სიტყვითაც, რომ შეწყალებისთვის და შებრალებისთვის, თანაგრძნობისთვის უნდა ილოცვიდნენ და ითხოვდნენ, ოჯახთ ნუ დაგვიღუპაყთო...

მერე ჩემგანაც მაგას ელოდით? - გაუკვირდა სოკრატეს.

- არა, რასაკვირველია, - მიუგო პლატონმა. - მაგრამ შენ ხომ ყოველთვის ზომიერებას ქადაგებდი! ხალ გაქრა ის შენი ზომიერება დღეს?

- ...ორას ორმოცდაათნი, ორას ორმოცდახუთი... - მოისმა მთვლელთა ხმა. სათვალავი საბედისწერო ციფრს უახლოვდებოდა.

- ზომიერებას სეტარებაში, ზამა-ხმაში, აღერსში ყოველთვის ყველას ვურჩევ და თაყადაც დაცვას ვცდილობ. მაგრამ როცა ჭეშმარიტებაზედ არის ლაპარაკი, პლატონ, როცა ლაპარაკი ჭეშმარიტებაზეა, ზომიერებას სულ კუდათ ქვა ასროლინეთ, როგორაც ნახირზედ მოტყუელ მგელსა!

სოკრატეს სული შეეხუთა. საფუთქელზედ დაკლავნილი ძარღვი წამოებერა, სისხლისაგან ჩამუქებული. მაინც ერთი დრმად ამოიხუნთქა და კიდევ მეტი მგზნებარებით განაგრძო:

- ჭეშმარიტებას რბილ-რბილი სიტყვებით ვერ დაიცავ! თუთონ ყოველის უფრორე მგზნებარე სიფიცხეხაც არ ძალუძს ჭეშმარიტების დაცვა, როცა მის წინააღმდეგ ხელისუფლებაა. აქ კი რაზედ იყო ლაპარაკი? სოკრატეზედ თუ ჭეშმარიტებაზედ? არ ხედავთ?

მაგრამ ესენი მგზნებარებას არ ვაპატიებენ, ძვირფასო, - უთხრა პლატონმა, - თენ მაინც ცდა არ უნდა დაგუკლო, რომ თუ მთლად არ გაგამართლებდნენ, უმცირესი ხასჯელით მაინც დაველწია თავი...

- მერუდა იცი, რომელია ჩემთვის უმცირესი? - გაიცინა სოკრატემ, - ეგ მე მომანდო, ყმაწვილო...

ხმების დათვლა დასრულდა. პრიტანმა არქონტს ციყრებიანი დაფა გადახცა. არქონტი ბახილვეხი წამოდგა. სოკრატე და მისი მეგობრებიც წამოდგნენ.

აპოლოდორე მიმისა და დაბნეულობისგან სოკრატეს გადაეხვია, სახე მხარზედ

დაადო.

არქონტმა გამოაცხადა:

- სოკრატე დაძნაშავეა.

აპოლოდორემ ის ერუანტელი იგრძნო, სოკრატეს რომ ტანში დაუარა, ატირდა, შეჰყვირა:

- არა! არა! არა!

სოკრატემ აღურხით დაამშვიდა:

- ნუ, ყმაწვილო! ასე რატომ განიცდი? როგორც მე უცოლი, შენც უნდა გცოდნოდა, რაც მოხდებოდა!

არქონტმა რომ გამოაცხადა, სოკრატე დაძნაშავედ ცნო ორასოთხმოცდაერთმა ხმამ, ხოლო ორას ოცმა - უდანაშაულოდ, სოკრატეს სახე გაუბრწყინდა:

- აი, ამას აღარ ველოდი! გაიგონეთ? ორას ოცი პატიოსანი ადამიანი ყოფილა! თითქმის ნახევარი! საკმარისი იყო კიდევ ოცდათერთმეტის მომხრობა და გავმართლდებოდი!

- დიას, - ხალვლიანად თქვა პლატონმა, - სულ ცოტა დაგაკლდა. ვხედავ, შენთვის ესეც სუგუშია - გიხარია, რომ ამიერიდან მეტი მეგობარი გეყოლება, ვიდრე ელოდი..

- მაგრამ ჩემხედ მეტად ეს ამბავი თქვენ უნდა განუგეშებდეთ, ჩემო მეგობარნო!

იმ წუთიდან, შავი ცერცვის მარცვალთა რაოდენობამ თეთრისას რომ გადაატარა, ესე იგი, როცა მელეტი მიხედა, რომ სასჯელი სოკრატესთვის მას უნდა განესაზღვრა, სულ დაკარგა მთელი თავისი საბრძოლო სულისკვეთება. მან, პოეტმა, უნდა დასაჯოს ბერიკაცი, რომლისკენაც ამდენი გული ისწრაფის, ვისი სიკეთეც დღესავით ნათელია? რაღა სწორედ ახლა დაკარგა ძალა, უკეთუ იმისთვის ეყო, რომ ბებურ თავსა ზედან დაეძნო ყველაფერი, რაც კი რამ შეიძლებოდა?

მელეტმა ნაფიცო მხერა მოაგლო იმ იმედით, რომ მხარდაჭერა ეპოვნა, მაგრამ ახლა უფრო დარწმუნდა, ამ ცოცხალ კელელთა შიგან მოქცეული ტუსალი ვარო. და ეს კელლები თანდათან თითქოს ვიწროვდებოდნენ... სამარისებურ ღუძილში ყოვლის მხრიდან მძიმე სუნთქვას იჭერდა სიმენით. ამ ნაფიცთა უმრავლესობასაც იგივე სურს თუ არა, რაც გუშინ, ერთმანეთს რომ შეხედნენ, ანიტესაც სურდა? მოიშორონ თუ არა სოკრატე? ან იქნებ ამათ შიშსა ჰკერის სოკრატეხედ ხელის აღმართვა?

რაღა დროს შიშია! დღესვე ათენში, ხვალ მთელს ელადაში, მერმე გუნძულეზხედ, და უფრო შორსაც, ზღვის გაღმა, გავარდება ხმა: მელეტმა ბრალი დახლო სოკრატეს და სასჯელი მოითხოვა... მელეტი კანკალმა აიტანა: მერუდა, ვინა ვარ მე, მელეტი? სიყმაწვილეში სულ სხვაგვარად მინდოდა ისტორიაში შესვლა - როგორც ალკეოსს ანდა ანაკრეონტს... უეცრად ისეთი განცდა გაუჩნდა, თითქოს ვიღაცამ ზურგზე დააჭირა ხელი. მკვეთრად მობრუნდა: ანიტე მუქარიანი მხერით მიშტერებოდა. მიხედა, ანიტე უბრძანებდა: არ გაბედო უკან დახევა! არც დაიხვეს.

ქონტი ბასილეუსი გასწორდა. პირტის გვირგვინის ქვემოდან შუბლზე და სახეზედ ოფლის წვეთები ჩამოუცურდა. მაგრამ ახლა, როცა ყველა მას მისჩერებია, უადგილოა ასეთი წვრილმანა რამისთვის ყურადღების მიქცევა. ოფლი არ მოუწმენდია, ისე მიმართა მელეტს, როგორც მთავარ ბრალმდებელს, რომ სოკრატესთვის სასჯელი განესაზღვრა.

მელეტს კიდევ შემოესმა ანიტეს ყრუ შემახილი: „მელეტ!“ - მაგრამ უკან არ მიუხედავს.

წინ გამოვიდა, ხელები გაშალა:

- ააყენლნო! ჰელიეას ნაფიცნო! სოკრატემ არც ერთი სიტყვით არ გამოხატა

სინანული თავის დანაშაულობათა გამო, პირიქით, ჭირვეულობა და სიკვრამე გამოიჩინა. თქვენ პური აჭამეთ სამართალსა. ხმათა უმრავლესობამ გვიჩვენა, რომ სოკრატეს სიტყვამ ვერ დაგარწმუნათ მის უდანაშაულობაში, ამ უმრავლესობას კვმორჩილები და ვცნობ ჩემს პირად პასუხისმგებლობასაც.

სოკრატე იმად არის დამნაშავე, რომ არ აღიარებს დმერთი, სუყოველი ჩვენებისგან აღიარებულთ; შემოჰყავს ახალი, თავისი ღვთაებანი; დამნაშავეა იმად, რომ ახალგაზრდობას რყენის, ამ ბოროტმოქმედებათა ერთობლიობა კი ძირს უთხრის ჩვენი სახელმწიფოს ძლიერებას.

ამიტომ მოვითხოვ სოკრატესთვის სიკვდილით დასჯას მოწამულით.

ცივი უღდის დრტვინვამ დაუარა საკრებულოს. ბევრმა ნაფიცმა სახე დაიფარა.

სოკრატე დაფიქრებული იყურებოდა ზევით, აკროპოლისისკენ, რომელსაც მზე დასჩახჩახებდა. ჩემო მშობლიური ქალაქო! ისევე ღაფვარდოვანია შენი ზეცა, მზის ოქრო დაღვრია სახესა შენსა, მეღოსის მარმარილოზედ ქათქათას. რა დიდებული, რა კეთილშობილი, რა მშვენიერი ხარ! ალაგ-ალაგ კვიპაროსნი გამშფეხებენ. შენი ტრფიალი სოკრატე ერთ-ერთი შენი კვიპაროსია, ცოცხია, შეიძლება რომ დასარტყმელად იხმარონ, მაგრამ ვერ გადაამტკრევენ. ისევე როგორც ვერ გადაამტკრევენ იმ აზრს, რომელსაც ბერიკაცი სხვათ უზიარებს...

თავი არქონტისკენ მიაბრუნა. მან წარმოდტკვა:

- კანონის თანახმად, სოკრატე, შენ უფლება გაქვს ახლა, მოთვარი ბრალმდებლის შემდეგ, თავად შესთავაზო სასამართლოს სასჯელის ზომა, რაიც შენთვის სამართლიანად მიგაჩნია.

ანიტეს სახე გაუბადრა: იქნებ სოკრატემ გამოასწოროს, რაც შელევტმა წაახდინა... სოკრატე უთუოდ თავის და, მაშასადამე, ჩემს სასარგებლოდ ილაპარაკებს. სიცოცხლის ტრფიალია. გულს აუჩუყებს ნაფიცთ, და ისინიც ხმას მისცემენ არა მელეტის სასტიკ წინადადებას, არამედ სოკრატესას, რაც, ცხადია, ყველაზედ მსუბუქი იქნება, და მაშინ აღბათ საშუალოს გადაუსწვეტენ: განდვენას, როგორც უკვე მრავალს მიუსაჯეს მის წინამორბედთაგან. განდვენა - ეს ისეთი კაცთმოფვარული გადასწვეტილებაა, გულს არაუვის მოუკლავს, და ამასთანავე მაინც მოიშორებს სოკრატეს...

სოკრატე აუჩქარებლად, ფეხების ტყაპუნით მიუახლოვდა ამალლებული ადგილის კიდეს, სადაც ნაფიცნი იხდნენ:

- კანონი გვაუსწებს, ბრალდებულო, დაახელებე სასჯელი, რომელიც, შენის აზრით, შენთვის სამართლიანი იქნებაო. რაოდენ ძნელი ამოცანაა! აბა, როგორ დავისაჯო თავი, ათენელნო, უკეთუ ცუდი არაფერი ჩამიდენია? აკი საკმაოდ ვრცლად ავიხსენით, არაფერში არა ვარ დამნაშავე, რაიც სახელმწიფოს ზიანს მოუტანდა-მეთქი, ყოველთვის იმის ცდაში ვიყავი, სასარგებლო ვყოფილიყავი როგორაც ათენისთვის, ისე მისი ყოველი მოქალაქისთვის-მეთქი. ამიტომ, უკეთუ არცრის უარყოფა არ მინდა, რაც გითხარით, რისთვისაც მიცხოვრია ამქვეყნად, - ისლა დაპრჩენია, რომ გითხრათ, არავითარ სასჯელს არ ვიმსახურებ-მეთქი, არც დიდს, არც პატარას.

მაგრამ ხომ ვიცვი, რასაც ჩემგან ითხოვთ. თქვენ იქიდან გამოდისართ, რომ ჩემთვის ცნობილია ყოველგვარი სასჯელი, რისი ღირსიც არის მკრებელი უღმერთო, სახელმწიფოს ძლიერებას ძარს რომ უთხრის.

ვინაიდან საკუთარი თავის განსჯა არ ძალმიძს, განვსჯი გონების თვალთ წარმოდგენილ ძაგან და ძაგან დამნაშავეს, ვითომც ჩვენ წინაშე მათემატიკური რამ ამოცანა იყოს. წარმოვიდგინოთ, მაგალითად, დამნაშავე, რომელიც მართლა ვნებს სახელმწიფოს და რომლისთვისაც - დაუმსახურებლად - მელეტმა სიკვდილი ითხოვა.

ჩემთან ერთად განსაჯეთ: რა სასჯელის ღირსნი არიან ისინი, რომელთა ვალია

თანამემამულეთა საკეთილდღეოდ გარჯა, მაგრამ არ ირჯებიან? რომელთაც სინათლისა უმინიათ, როგორაც უდიდესი რამ ბოროტებისა, და თავს სიბნელეს აფარებენ, სადაც სახეს სახისგან ვერ გაარჩევ!

ნაფიცთ, რომელთა მზერა ამ დროს ანიტესკენ იყო მიპყრობილი, ერთბაშად ყვირილი ატყუნეს. ყვირიან ანიტეს პურისმტენიც და წინააღმდეგობნიც.

არქონტი შეძრწუნებულია - საით მიდის საქმე!

- დაშლილად ვაცხადებ სასამართლოს! - ყვირის, მაგრამ არავინ უსმენს.

ხალხი ნიძლავდება: ხუთი დრაქმა მელეტისთვის, ათი - სოკრატესთვის.

ამ ხმაურში ანიტემ რაღაცის თქმა სცადა:

- ვთხოვ არქონტ ბასილევს...

- ძვირფასო ანიტე! - გნიასი დაფარა სოკრატეს მკაფიო, ძლიერმა ხმამ - დამშვიდდი, ყურადღებას ნუ მიაქცევ დოღრიდალა ხალხს. აკი ვთქვი, გონების თვალთ წარმოდგენილ დამნაშავეზედ ვლაპარაკობ-მეთქი, რომელ დამნაშავესაც აქ აშიშვლებდნენ მელეტი და ლიკონი, აგრეთვე შენც. სწორედ შენ დასდე იმას ბრალად სახელმწიფოს ძლიერების შერყევა. მე, ბუნებრივია, უნდა დაკადგინო გონების თვალთ წარმოდგენილი ამა დამნაშავის საზოგადოებრივი მდგომარეობა - მდგომარეობა, რომელიც საშუალებას მისცემდა, რომ ძირი გამოეთხარა სახელმწიფოსთვის, რადგან - თუნდაც მე შემომხედე: განა ძალუძს ფეხშიშველა ბერიკაცს, რომელიც სილატაკეში ცხოვრობს და არცრა საურავი ანდა სახელო არ უჭირავს, ისეთი რთული ამოცანის შესრულება, როგორიც სახელმწიფოს ვნებაა! ან იქნებ ფიქრობთ, ათენელნო, ამის მიღწევა იმით შეუძლია, თუ ხან ერთ კაცს გამოელაპარაკება, ხან მეორეს, და სთხოვს, უკეთესნი კაცნი გახდითო?

ამიტომ ჩვენს მაგალითზედ დავრჩეთ - დავრჩეთ იმ ადამიანთა შორის, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის სანაცვლოდ სულ უფრო და უფრო მადლა რომ მიფოფხავენ, ქისას ისტელებენ, გარშემო კი უწესრიგობა, თვითნებობა, დაკნინება და საყოველთაო გახრწნილება სუფევს...

უკეთუ ჩემი ნათქვამის წარმოდგენას შეიძლებთ, მაშინ უთუოდ იწამებთ ჩემთა სიტყვათა სიმრავლეს: ამისთანა სახელმწიფო, ყოველმხრივ დასუსტებული, უფრო ძლიერად მიიზიდავს მტერს და ადვილად იქცევა ნადავლად, დაფიქრებულხართ ამ საშინელ ამბავზედ, ათენელნო?

ათენი - ნადავლი? ათენელნი შეშინდნენ.

- მაგრამ ჩვენს საქმეს დაეუბრუნდეთ, - განაგრძობდა სოკრატე - ვწუხვარ, რომ არ შემიძლია პასუხის გაცემა არქონტის კითხვაზედ, რა სასჯელს დავუწესებდი იმ დამნაშავეს, რომელიც ახლა წარმოვიდგინეთ; რამეთუ მეჩვენება, რომ აქ სიკვდილით დასჯაც ვერაფერს უშველიდა საქმეს.

ისეთი ხმაური ატყდა, რომ სოკრატემ ლაპარაკი ვეღარ შეძლო. სიწყნარის მოლოდინში გაჩუმდა.

ანიტე გაიჯგინა. თავი ააღურა, ისეთი ზვიადი იური მიიღო, ვითომ სოკრატეს სიტყვები მე არ მეხებოდა.

როცა მღელვარება ცოტა მიწყნარდა, სოკრატე ისევ ამეტყველდა. ისევე უბრალოდ, როგორც ხალხს ბაზარში ელაპარაკებოდა ხოლმე:

- მართალნი ხართ, ათენელნო, სწორია თქვენი აღშფოთება, ოდეს ესეგვარ მმართველთა, თუნდაც არარსებულთა შესახებ ვლაპარაკობთ...

მაგრამ ნაფიცნი მშვენიერად მიხედნენ, ვისაც ეხებოდა სოკრატეს სიტყვები და იმათი დაშოშმინება უკვე შეუძლებელი გახდა. შეძახილების ახალი ქარიშხალი ამოვარდა. მუქარა. ღანძლვა, ო, ღმერთნო, ეს კაცი იმას ლაპარაკობს, რასაც ფიქრობს!

სოკრატეს ცხვირწინ ბრბოდან ამოწვდილი ხელების ტყე აღიმართა - ერთნი

ემუქრებიან, სხვები მოწონებით უქნევენ... ახშიანდა ბუკი, სიჩუმეს ითხოვს, სოკრატემ კვალად გამოაგო სიტყვა:

- აწ დროა, რომ დაუბრუნდე ჩემს თავს, ვინაც ამა საქმეს მარტო ღმერთი უწყიან, როგორ მიმატმასნეს, მაგრამ რაკი აქა ვარ, როგორმე უნდა გადაწყვეტოთ ჩემი ბედი. ცოტას ვიკარნახებთ, კარგი? აბა, დაუკვირდით, ათენელნო, რაღაც უცნაური ამბავი მოხდა. ანიტე - როგორც ყოველთვის, ამტკიცებდა და აქაც აღნიშნა, - სულ მუდამ იმის ცდაშია თურმე, რომ ჩვენი სახელმწიფო უფრო და უფრო იფურჩქნებოდეს. ცდასა და ზრუნვას არც მე ვაკლებ ჩვენს ქალაქს, სუყოველი თქვენგანის ბედნიერება მინდა, მაშასადამე, ჩვენ ორივენი - მეცა და ანიტეც ერთსა და იმავეს ვცდილობთ, ორივეს ერთი სურვილი გვაქვს; გამოდის, რომ მე და ანიტე მეგობარნი ვყოფილვართ. ვერ გეტყვით, არ ვიცი. ჩვენი მდგომარეობა არანაირად თანასწორი არ არის. ანიტეს ხელთ ძალაუფლება მიეცით, თავს უკრავთ, ადიდებთ. ნება თქვენია - არა მშურს. მაგრამ მეც ხომ მაქვს უფლება, რომ ჩემთვისაც ცოტა რამ მოვითხოვო. ბევრი თუ არა, ერთი ჩხირი ათენისთვის მეც გადამიბრუნებია! მტერს ვებრძოდი, ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის უცოდნელობას ვებრძოდი, მომისმინეთ, ბევრის მთხოვნელი არა ვარ. ვისურვებდი, რომ ქსანთიპეს სიბერეში ჩემზედ ზრუნვა არ დასჭირვებოდეს. ამიტომ ესეგვარ რასმე გთავაზობთ: ხმა მიეცით იმას, რომ მეცა და ბევრ ჩემნაირს, ღვაწლმოსილთ, - სიცოცხლის აღსასრულამდე სახელმწიფო პრიტანეუმში თავისი ხარჯით გვარჩენდეს.

გაოგნებული ბრბო წამით დადუმდა. შემდეგ ატყდა ღმუილი, რომელშიც პომერული ხარხარი, გნიასი, აურზაური, სტვენა, ფეხების ბაკუნის სჭარბობდა...

- რა თავხედობაა!

- დიდება შენდა, სოკრატე!

- ღმერთნო, რა უტიფრობაა!

- სირცხვილი სოკრატეს!

ნაფიცნი ერთიმეორეს ეცნენ, აღგზნებულთ აღარც ზრდილობა ახსოვდათ, აღარც წესიერება, მაგარ-მაგარი სიტყვები ეფრქვეოდა ბრბოს თავზედ.

- დახეთ, რა ითხოვა ბებერმა!

- ჭკუის კოლოფია, იცის, რა არის კარგი!

- ანიტე, როგორც ჩვენ, მაგასაც შეახვედრე ყოველდღე შეჭამანდი.

- ის სალაფავი? არ იქნება ურიგო სასჯელი!

- ხმა ჩაიწყვიტე, ანიტე გაიგონებს!

- შენ ბებერი უთხარი, სულაც არ არის ლაჩარი! მაგის ყოფნა-არყოფნის ამბავი წყდება, ეგ კი გაღიზიანებთ... მიაგეთ პატივი, დაუნიშნეთ კვება პრიტანეუმში!

- ბერიკაცი მართალია! რა ხანია დაიმსახურა!

- მაგას მეტი უფლება აქვს, ვიდრე იმათ, ვისაც იმ ქალაქის ხარჯზედ აჭმევენ...

- ციკუტა კი არა, პაშტუტი და ღვინო მიართვით!

სიცილი თანდათან წყდება. ბევრი ნაფიცი დაბნეულია. ისეთი განცდა აქვთ, თითქოს რაღაც უადრესად არასასიამოვნო ამბავი მომხდარიყოს. ქვისმთლეღმა პანთიუმ მკერდზედ მიიკრა შვილიშვილი, თეთრ წვერზედ ცრემლი დაუგორდა.

- რა გატირებს, პაპავ?

- რა მათირებს და, ვხედავ - სოკრატეს სიკვდილი მოსურვებია...

- სიკვდილს რა მოასურვებდა? სიკვდილი არავის არა სურს, - გაუკვირდა ემაწვილს.

- მაგასა სურს. იცის, რომ სიმართლეს შეუძლია მაგის მოკვლა, - და მაინც ამბობს ამ სიმართლეს.

არა, მსგავსი სასამართლო არქონტს ჯერ არასდროს ენახა. მღელვარებისაგან ამაგძაგებდა. რკითონაც ეჭვით იყო სავსე - სად არის სიმართლე? მაგრამ მოვალე იყო,

რომ პატივი ეცა კანონისთვის. ადგა:

- ათენელნო მსაჯულნო! მელექტმა სოკრატესთვის სიკვდილი ითხოვა. სოკრატემ კი სიცოცხლის ბოლომდე პრიტანეუმში უფასოდ კვება. მოემზადეთ ხმის მისაცემად. კანონი ბრძანებს, რომ პირველად კენჭი უნდა ეყაროს ბრალმდებლის - მელექტის წინადადებას.

მეორედ ხმის მიცემა ნაფიცთათვის ბევრად უფრო ძნელი იყო პირველზედ, აუცილებლად გადაწყვეტა იმისა- ეცოცხლა თუ მომკვდარიყო სოკრატე - მძიმე ტვირთად დააწვა ყველას.

- ახლა რა ექნათ?

- რის გულისთვის უნდა მოკვდეს? მოკლა ვინმე თუ რა? სამშობლოს უღალატა? რის გულისთვის უნდა მოკვდეს?

- პრიტანეუმი რაღასთვის? თქვენი თვალთ ნახეთ, როგორ ასახაცილოებდა თავისი ცაკით ჩვენს ქალღმერთს, დიდ ათენას. ან ჩვენ როგორ დაგვცინის, მსაჯულთ! ამისთვის ეახვათ და ვაჭამოთ აღსასრულამდე?

მიდიოდნენ ურნებთან, უხალისოდ ყრიდნენ ცერცვის მარცვალთ, შავს, თეთრს, თეთრს, თეთრს, შავს, შავს...

მთველნი ურნებზედ დაიხარნენ, თითქმის სულ შავი ეჩვენათ. ახლა შავი ოცით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე პირველად.

არქონტმა ნაფიცთ გამოუცხადა:

- სოკრატეს მისჯილი აქვს სიკვდილი. დღესვე, მზე ჩავა თუ არა, სოკრატეს ციკუტით ხავსე ჯამს მიაწვდიან.

ნაფიცნი წამოდგნენ და უძრავად გაშეშდნენ მოსმენილით თავხარდაცემულნი. კედლის იქით ქარი ბუჩქებს არხედა. თითქოს თვით არესის გორაკი ოხრავდა.

არა. ეს ადამიანების შეკავებული ოხვრა იყო, ხლუკუნი.

აპოლოდორე მუხლებზედ დაეცა, შეჰყვირა:

- არა! არა! არ შეიძლება! სოკრატეს ნუ მოჰკლავთ! მე წამიყვანეთ ამის მაგივრად! მე მომკალით!

ყმაწვილი კაცის შეძახილი ნაფიცთა ჩურჩულმა დაფარა, გაჩუმება უბრძანეს - და დაიბლდა ყმაწვილის შეძახილი: დაჭრილი ფრინველის ყივილს დაემგვანა...

სოკრატემ ზეზეულად მშვიდად მოისმინა განაჩენი. კრიტონს და კლატონს მიუბრუნდა:

- უფურეთ ერთი, როგორ ვევარებივარ ამ ყმაწვილს!

ორივემ - კრიტონმა და კლატონმა არქონტს ოცდაათ-ოცდაათი მინა შეხატანი შესთავაზეს, რომ სიკვდილის განაჩენი ჯარიმით შეეცვალა.

ხაკრებულოს უდიდესი ნაწილი ამ წინადადებას მქუხარე ტაშით შეხვდა. გაისმა 'ახილები:

- მიიღე, მიიღე, არქონტო!

- გადაარჩინე ათენის დიდება! - შეჰყვირა მოხუცმა ქვისმთლეულმა.

ფერწასული ბრალმდებელნი გასოინდნენ.

არქონტმა დაბნეულად გაშალა ხელები:

- არ შეიძლება! კანონია!

სოკრატემ კენჭში სწვდა მეგობართ:

- რისთვის უნდა მოკვდეს? მოკლა ვინმე თუ რა? სამშობლოს უღალატა? რის გულისთვის უნდა მოკვდეს?

არქონტი მიუანდლოვდა სოკრატეს და წყნისამებრ ჰკითხა, ედგა თუ არა კანონისთვის.

- რა თქმა უნდა, - უპასუხა სოკრატემ.

მაშინ არქონტმა იმის გაგება ისურვა, კანონის თანახმად ისარგებლებდა თუ არა ბოლო სიტყვის წარმოთქმის უფლებით.

რა თქმა უნდა, იმავე ტონით მიუგო სოკრატემ.

საქმე ჩვეულებრივ „ბოლო სიტყვამდე“ არ მიდიოდა, რადგან განაჩენი გამოცხადდებოდა თუ არა; ნაოციანი ფეთიანებსაკუთმ მისცვივდებოდნენ ხოლმე ხაზინადარს თავიანთი ობოლსების მისაღებად, და ყველანი იფანტებოდნენ.

დღეს საოცრება მოხდა - თითო-ოროლას გარდა ყველა ნაოცი თავის ადგილზედ დარჩა.

სოკრატემ მზისკენ მიბრუნდა, სახეოქროს სხივებსა გაუცისკროვნა. სიღუნეს ნაკვთები გაუქრა, და ისევ მხიარული ნახევარდამილი დაუბრუნდა. თითქოს ერთბაშად გაჭაბუკდა მზის ქვეშ, ნათლად აღებუჭდა თავისი დანარჩენი, მთავარი თვისებები: გულკეთილობა და აზრის სიტყვადე.

- სუყოველს მოგესალმებით, ათენელნო, ვინაც ქალაქის სახელით ჩემი პატივისცემა მოისურვებ - თუმცა არა მგონია, რომ დამემსახურებინოს: მე ათენისთვის ბევრად მეტის გაკეთება მინდოდა, ბევრად ნაკლები კი მოუახურებე. ჭამა-სმა მხოლოდ იმისთვის ვითხოვე, რომ გამემხიარულებინეთ, კიდევ იმეტომ, რომ მეგრძნობინებინა: სიკვდილით დასჯა ჩემთვის არ გამოდგება. თქვენგან გებული პატივი ფრიად მახარებს, და იმდენად აღარც კი მტანჯავს ის ამბავი, რომ თქვენ გვერდით ბევრი არიან ისეთნიც, ჩემი თავიდან მოშორება რომ უნდათ და ვერ მიძხვდარან, რომ ჩემი სახით თავიანთ კეთილმოსურნე ბერიგაცს იშორებენ. საქმიოთა თუ რჩევით მე მუდამ იმათი ხელთამპყრობელი ვიყავი. ბევრ თქვენგანს დილიდანვე ეადევნე თვალყური, მეტადრე იმათ, ვინაც მსჯავრი დამდო, ესეგვართა გამოცნობა კი ძნელი არ არის. სულ ახლახან ისინი მკვლელობის ფინით იყვნენ ანთებულნი, და აგერ ახლაც ვხედავ, ფერწასულნი, შემისებულნი არიან. ვგრძნობ - თქვენც დამძიმებული გაქვთ გული. ჯერეთ კიდევ აქა ხართ, თქვენთანთა შორის, მაგრამ მაშინ რაღას იტყვით, შინ რომ დაბრუნდებით და კითხავენ: რატომ ვერ აარიდეთ თავი მკვლელობას? რომელი თქვენგანი აღიარებს, რომ სასამართლოში პატიოსანი კაცი გამოცხადდა, უკან კი მკვლელი დაბრუნდა? ფარულ კენჭისყრაში უაღრესად ხელსაყრელი სარფაა: მოკვლა შემძლია, გარნა მკვლელს ვერავინ მიწოდებს...

ყრუ დრტყვინვა გაისმა რიგებში.

ანიტეს ქედმადლური პოზის შენარჩუნების თავი აღარა ჰქონდა.

- მოგვიანებით კიდევ დაელაპარაკება მკვლელი საკუთარ თავს - როცა დაღამდება, - ასეთი იდუმალი საუბარი მით უფრო მტანჯველია, რომ იდუმალია. მაგრამ ტვირთს შევიმსუბუქებთ, გაგახარებთ. ათენელნო! დღეს უკანასკნელად ვხედავთ ერთიმეორეს. ოღონდ იცოდეთ, ჩემი დავა დღეს თავდება კიდევ და დღესვე თავიდან იწყება კიდევ. ბუნებაში ყველაფერი მოძრაობს. არაფერი არ არის უძრავი, არც ახალი, არც ძველი. აგერ ეს სასამართლოც გარკვეული დროისა შემდგომ ახალ სასამართლოს გადაეცემა:

მოუსვენრობის ტალღამ გადაუარა ნაოციტო. სოკრატე ამას არ აქცევდა ყურადღებას. ვადაწვერილი მზის ქვეშ იდგა, ოდნავ გაუაფხული და თავისი სახიამოვნო, ამღერებული ხმით ისევე მშვიდად დაპარაკობდა, როგორც დაიწყო:

- ათენელნო! თქვენ, ჩემო ძვირფასნო, და თქვენც, არა ძვირფასნო, გახსოვდეთ: ოდეს მომავალ ჟამს ამ სასამართლოს გაასამართლებენ, ძალიან მცირე მნიშვნელობა ექნება მაშინ ჩვენს ამჟამინდელ სიტყვიერ პაექრობას! მე გამომიტანენ ახალ, სხვა განაჩენს, მაგრამ თქვენც გამოგიტანენ განჩინებას. პირადად ჩემი თავისთვის, ათენელნო, იმა განაჩენისა სულაც არ მეშინის. ბედნიურიც ვარ იმ აზრისა გამო, რომ - თუმცა თავად უკვე აჩრდილთა სამეფოში ვიმუსაიფებ მეგობართა თანა - კვლად მოხვენებას არ მივცემ ამა სოფლისა სინდის-ნამუსს, რისთვისაც სულ ახალ და ახალ სასამართლოს ვადამცემენ...

რა მნიშვნელობა ექნება მაშინ თქვენს განაჩენს?

ჩემთვის არაუითარი, რადგან აქაც კი, ამ ადგილას, მე თავი დავაღწიე ყოვლის უფროსე დად სამინულებას, რაც შეიძლება რომ აღამიანს თავს დააღწეს - ხირცხვილს, თავის დამცირებას.

ამიტომ, ათენელნი, მხიარულნი წაბრძანდით შინ და როგორც ვე დგამდებო, გამიხსენებო, რამეთუ იმხანად ჩემი უკანასკნელი სერობით ვდაგვიტყებოდა ზედაშეს წავუძღვევ არა მარტო ღმერთთ, არამედ ყველა თქვენგანსაც, ვინაც დღეს ციკუტის ფიალით გამომასპინძლდით...

სოკრატე ჯერ ისევ ღაპარაკობდა, ძაღუმსრბოლი რომ შემოიჭრა და ხელშეგუბებულმა არქონტს ახალი ამბავი აუწყა:

- ნიშანი გაჩნდა და წინასწარმეტყველება კეთილისყოფელია სახელმწიფო ხომალდისთვის, რომელიც მზად არის დელოსისკენ გასაცურად და აპოლონის დღესასწაულზედ საზეიმო საელჩოს წასაყვანად! აპოლონის ქურუმმა კიჩო ყვავილებით შეუმკო, და ტრიერმა უკვე ახწია ღუზა...

ნაფიცთა რიგებში გამოცოცხლებია.

- რა ხდება! რას უნდა ნიშნავდეს?

არქონტი წამოდგა, ხელები გამაღა:

- კანონი მუტყველებს: ვიდრე ხომალდი დელოსიდან ათენში არ დაბრუნდება, ქალაქი წმინდა უნდა იყოს, და არცეინ არ მოიკვლის საზოგადოების გადაწყვეტილებით. ამრიგად, სოკრატეს განაჩენი აღსრულდება მზის ჩასვლის შემდგომ იმ დღეს, ტრიერი უკან რომ დაბრუნდება.

განცვიფრება. როგორც მეხის გავარდნა მოწმენდილ ცაზე.

ერთადერთი, ვინც ხმის ამოდება შეძლო, ქვისმთლელი პანთოე იყო. მან შესძახა:

- თავად სიცოცხლის მომნიჭებელი აპოლონი ჩაერია და სოკრატეს კალთა გადააფარა!

ხმაური ტალღებად გაიშალა ყოველ მხარეს. სულ უფრო იმატა, და აი უკვე იქუხა მრავალხმიანმა ქორთმ:

- სახწაულია! სასწაული მოხდა!

აპოლონ ფეხოსი, მოციმციმე მზიური ღმერთი, რომელსაც სოკრატე ყოველდღე თაყვანსა ხცემს, - თუთონ ჩაერია!

აი რატომ შესცქეროდა სოკრატე სულ მუდამ მზეს!

აი რატომ არ აფრთხილებდა თავისი დემონიონი!

აი რატომ ღაპარაკობდა აქ ესდენ თამამად!

მთელი თვით გადადება! ვინ იცის, რა მოხდება ამ ხნის მანძილზედ!

მელეტი ანაზდად ხისუსტემ მოიცვა და საფეხურზედ დაეშვა. კიდეც მთელი თვე იცოცხლებს სოკრატე! რამდენი რამ შეიძლება რომ მოხდეს ამ ერთ თვეში!

ანიტე ცახცახმა აიტანა, აი ხომ არ უნდოდა! ხომ ეჭვობდა...აჰ, არამზადა მელეტი!

არქონტმა შეშინებულმა დაინახა, რა ელდა გამოიწვია ამ ამბავმა ერთ ნაწილში, რა ზეიმი-მეორეში. ის მეორენი წამოცვივდნენ და შესძახეს:

- აპოლონ ფეხოსი ახალ სასამართლოს მოითხოვს! გვინდა ახალი სასამართლო!

ხრულიად დაბნულმა არქონტმა წაიდუღუნა:

- სასამართლო დამთავრებულია. წადით!

არქონტისა არცვის ესმის, არ ემორჩილებიან... თუმცა არა! ისინი, ვინც შავი ცერცვი ჩაყარა, ადვილებიდან წამოიშაღნენ, გასახველეს მიაშურეს, გროვა-გროვა გარბიან, ჩქარობენ, რომ ქალაქს მაინც შეაყარონ თავს! ობოლოსებიც კი აღარ ახსოვთ. გარბიან და ღვთაებრივი მშვილდოსნის ისრების ზუზუნისგან და კგოდებენ შიშით გონდაკარგულნი.

ამ გოდების ხმაზედ სამსჯავროდან გამოძვრა მელეტის, სხვა მხარეს გაიქცა, ყელში თითქოს მუხი გაეჩხირა... მკვდრისფერი ადევს, ეცემა, ღებდა, უკან მოუხედავად გარბის... წინ კი სისხლიანი სოკრატეს მამრქმული მზე ჩადის. ცა დედამიწის დაქვეშე წითელი ღვინის მჭვირვალი ფიალაა და შიგ ავბედითი მარგალიტი დნება...

იმავე მზეს ხედავს სოკრატე. მაგრამ მისთვის ის ოქროს ხალტვა მსჯავროდებულს სისხლიანი მორეთში რომ არ უშვებს.

ქსანთიპე, შვილი, მირტო, სიხარულისგან მტირალნი, სოკრატეს ეხვევიან, ჰკოცნიან, მეგობართ, ბედნიერთ, ღამის ხვეწით დაახრჩინი, სოკრატემ ხელი მზისკენ აღმართა:

- სიცოცხლის ყოველი დღისთვის მადლობელი ვარ! ჩემო მზეო! მე ისევ დაგიწახავ! მათელი არესის გორაკი ირყევა შეძახილებისგან:

- დიდება აპოლონს!

- სირცხვილი მელეტს!

- დიდება სოკრატეს!

- თავსლაფი ანიტეს!

- დიდება სოკრატეს!

ცრემლმორეული მირტო იღიმება და სოკრატესთვის ფარდის გვირგვინის დაღმას ცდილობს. სოკრატე გვირგვინს ართმევს, კოცნის მირტოს.

არქონტის ნიშანზედ სოკრატეს ორხაე მხარეს ორი ხვეწით ღებდა.

მან გაიციხა:

- საპატიო დაცვაა! რას იზამ, წამომყევით, რაკი უამისოდ არ შეიძლება. თქვენ კი ნუ გეშინისთ, მეგობარხო, არსად გაგაქცევით.

რწეკა-რწეკით, ფეხშიშველი, წითელი ვარდების გვირგვინით დამშვენებული, ახოვით მეგობრის თანხლებით, გამარჯვებულსაებრ შეძახილებით მატყუდებული, სამყრობილისკენ წავიდა.

ნაწილი მეხვინი

მრავალი საუკუნის წინათ პნიქის კლდოვან გორაკს თითქოს ციკლოპის ხელით უხარმაზარი ლოდი მოსწყდა; გაჩენილ გამოქვაბულში სიკვდილმისჯილითაითვის დიდუბი გამართეს. დიდი ხნით ყოფნა აქ ჩვეულებრივ არავის ეწერა; გახწირულნი ძლივს ასწრებდნენ გარემოების შეგუებას, მალღა კლდეში გამოსკვთილი ხერხულის დანახვას, რომ უკვე სარეცელზედ წვებოდნენ, სადაც სამუდამოდ უნდა მიეძინებინა ციკლოპიან ფიალას.

სოკრატე აქ ისე შევიდა, ზურგს უკან კლიტის ხმაური არც გაუგონია, და მიმოიხედა, არეოპაგის აუტანელი სიციხის შემდეგ სახიამოვნო ხავრილუ იგრძნო. ჩამავალი მზე ირეკლებოდა შავ-ყავისფერ ოინოქოიაში, რომელშიაც წყალი იდგა. ოინოქოია მშვენიერი, სახიური მოყვანილობისა იყო, ფროთებშეკვეცილ ჭრიჭინობელას ჰგავდა და გამობურცულ ადგილზედ სამი მოცკეკეკე ქარიტა ეხატა.

სოკრატემ ყურადღებით დაათვალიერა ნახატი, გაეციხა. მალღსა ვევიცავ, ჩემი ქარიტები სჯობიან. სამივეში ჩემი კორინაა, ჩემი სიჭაბუკის სიხარული... ამ მხატვარს უფრო აგლაია გამოსვლია.

- შენ მართლა ანათებ, - მიმართა აგლაიას სოკრატემ, - ნება მომეცი, გაკოცო...

მერმე წყალი დაისხა, დაღია და დასაძინებლად დაწვა. გვერდზედ იწვა და მუკ-

ხაროდა ოინოქოიას, ქარიტებგამოხატულს, რომელ ქარიტებსაც ღმერთებმა წილად არგუნეს ადამიანის ცხოვრების დამშვენება და გულის გახარება.

როცა სოკრატეს ზურგს უკან კარი ჩარახეს, მისთა მეგობარო გულწასული ქსანთიპე და მირტო მოასულიერეს, ორივ ბრბოდან გამოიყვანეს და სახლამდე მსაგრილეს! გზად ხშირად ხვდებოდათ კედლებზედ თეთრად მიწერილი წარწერები: „ნამძღვრებულომც გვენახოს მელეტი, მუხანათი მკვლეელი! დიდება სოკრატეს!“

ასეთი წარწერები უკვე მთელ ათენს მოუფინა. იმავე სიტყვებს გაიძახოდნენ ადამიანები დიდუგთან. დაღამებისთანავე ხალხმაც იმატა და ეინფლილებმაც...

ანიტეს ბალის კუთხიდან მოციმციმე ცეცხლთა ნიაღვარი ჩანდა. შრიქხანე გუგუნი მოისმოდა ყოველი მხრიდან. ხალხი ითხოვდა სოკრატეს ნახვას. გაშმაგებულს შეძახილება არყევდა ციკლოპურ კედელთ.

მეციხოვნეთ სიკვდილმისჯილთა საკანში შეიხედეს. სოკრატეს ეძინა.

ღამის მუქ სიღურჯეში სოკრატეს პატარა ეზოში ღია ფერის რაღაც არსება ჩანს: მირტოა. ქალიშვილს ძილი არ უკარება. დაესეტება ეზოში, ხან ერთ ღოდთან მიდის, ხან მქორესთან, ხელს უხვამს მარმარილოს. ჯერაც მზისგან თბილს, თითქოს ქვას გამოსთხოვდეს თუნდაც მცირეოდენ ადამიანობას სოკრატესთვის, წვეთ სამართალს, ნამცეც გულმოწყალებას...

შორს ათენი ხმაურობს - რაღა ის და რაღა აქაფებული ზღვა, ზათქით რომ ეხლება კლდეს. სოკრატეს სახელი მოჰქუხს იმ ადგილიდან, სადაც ხალხი მოსდგომია საპყრობილეს, აგრეთვე იმ ადგილებიდან, სადაც სხვანი ეძალებიან ანიტეს კილასა და არქონტის სახლს.

- მოგვეცით ჩვენი სოკრატე!

იმათი სოკრატე, გაიღიმა მირტომ. სოკრატე ჩემია! დამწუხრებულმა ბნელში თეთრი ხელები გაშალა.

- სოკრატე ჩემია! - მტკიცედ წარმოთქვა ქსანთიპემ და გარეთ გამოვიდა.

- ჯერ კიდევ არის დრო. არის იმედი, - ქსანთიპესა და თავისდა ხანუგემოდ ჩაილაპარაკა მირტომ.

უდიდესი მგზნებარებით, თითქოს სიტყვებს დედამიწის დაღებულ ხახაში ჰკრისო, ქსანთიპემ შურისძიების ქალღმერთთ მოუხმო:

- ოკერინიებო! მიწისქვეშეთის სამეფოს მბრძანებელთა - პადესისა და კორეს შურისძიებლო ასულნო, თქვენ მოგმართავთ, დასაჯეთ ბიროტმოქმედება, სოკრატეს თავს რომ დაატეხეს!

მირტო ჭადრის ხეს მიეკრა, შეშინებული უსმენდა ქსანთიპეს კრულვას.

- ამობრძანდით მიწისქვეშეთიდან! შეისწორეთ ფრთები, გადმოიქროლეთ ათენში! ბრჭყალებით დაგლიჯეთ მელეტი, ლიკონი, ანიტე! - ველური ხმით იწყევლება ქსანთიპე - ალექტო, ტისიფონე, მეგერა! - უცებ შეჰყვირა. - ხედავ, იქ ნისლის სამი ქულაა! ისინი არიან! ხედავ? უკვე ასდევნიებიან მკვლეულთ!

მირტო ცახცახებს, პასუხს ვერ აძლევს.

- შეხედე! - უბრძანა ქსანთიპემ, - ნისლი თხელდება და უკვე ჩანს იმათი შავი სამოსელი, იმათი თმა - ასპიტთა გორგლი და სისხლით სავსე თვალები! - ჭკუადაკარგულივით გაჰკავის ქსანთიპე: - საღამო თქვენდა, ერინიებო, არ შეარჩინოთ სამართლის დარღვევა!

მირტოს ეჩვენება - ხედავს: ქარისგან დევნილი სამი საშინელი აჩრდილი ათენისკენ მოფრინავს...

ნისლი პატარ-პატარა ზოლებად დაიშალა, ხელი რხევით დაეკიდა ჰაერში და დედამიწაზე დაეშვა. როცა პიმეტოსზე მზე ამოვიდა, მირტომ თქვა:

- წავალ იქ.
- იმასთან არ შეგიშვებენ.
- მერე რა, მაინც წავალ.
- წადი, მირტო.

გაძლიერებული დაცვა კედლად აღმართულა დილეგის წინ, უკვე დილაადრიანად აქ ისევ დიდძალ ბრბოს მოუყვრია თავი.

- მე მინდა..
- მე უნდა...
- გთხოვთ...

გუშაგთა კედელი ყრუა, მოვიდა უფროსიც. სმენით ესმის, მაგრამ მირტოს თხოვნასა და ცრემლს იმის გული არ შეუძრავს.

- გადაეცი მაინც...

სანდომიანი ქალი კია, გიფიქრა დაცვის უფროსმა, გაუღიმა.

- გადაეცი, რომ გულისწორი ეწვია ბერიკაცს, არა? - უთხრა დაცინვით. - და ამ დილით კოცნა უნდა-მეთქი, არა?

რისზეც ნაოჭმა დაუღარა შუბლი მირტოს.

- დიახ, გადაეცი, შენი ერთგული მირტო მოვიდა. შენი კოცნა უნდა-თქო.

უფროსს დიმილი შეაცივდა, მკაცრად მოუჭრა:

- ტუსადის ნახვა აკრძალულია.

მირტო განზედ გადაგა, კლდეს მიუყრდნო. აქ უფრო ახლოს იქნება; აქ უფრო კარგად გრძნობს თავს, ვიდრე შინ.

მეორე დღეს იგივე განმეორდა. მირტო საათობით იდგა ციხის კართან, ბუკრი უარა გარშემო, შესვლას ითხოვდა. ამაოდ. სოკრატესთან არ შეუშვეს.

არც გუშინ, არც დღეს ანიტე არ გამოჩენილა არც თავის სათრიმლაოში, არც ერგასტერიონში - რომ მონებისტვის დაეხედა. დღეს სხვა საქმეები აქვს.

ის ბაღის იმ კიდეში დაეხეტება, ქალაქს რომ გადაჰყურებს: უცქერის, უსმენს, დროდადრო სიკოფანტნი მოდიან მოხსენებით - ხულ ერთსა და იმავეს მოახსენებენ: სოკრატეს განაჩენით უკმაყოფილება მატულობს. დილეგს ბრბოები აწყდებიან. ხალხი სოკრატეს ნახვას ითხოვს.

ნახვას? - ჩაფიქრდა ანიტე. მერე რა, შეიძლება. ვითარებას ცოტა შეამსუბუქებს.

მელეტის მოსვლა მოახსენეს. მოვიდა მთავარი ბრალმდებლის როლისთვის გასამრჯელოს სათხოვნელად. დიმილს ელოდა - შავი დრუბელი დახვდა.

- არაფერს არ მოგცემ! - შეუტია ანიტემ, - რისთვის? მოგებით სოკრატემ მოიგო, მე კი არა! თავად ხედავ და გესმის... ათენი ამიმხედრე!

მელეტე ნასვამი იყო და დაუინებით ითხოვდა დაპირებულს.

- შენ და ლიკონმა მიბრძანეთ, სოკრატე მოგვაშორეო, და მოგაშორეოს!

- იდიოტო! რეგვენო! მოშორება გიბრძანე და არა მოკვლა! განდეუნაც კმაროდა!

- თქვენ მითხარით, მოგვაშორეო, - თაუისას გაიძახოდა მელეტე - მეც დაგემორჩილეთ. ახლა გადამიხადე.

ანიტემ წონასწორობა დაკარგა, ლამის გაცოფდა, მონათ უხმო და უბრძანა, ეს ღოთი აქედან გაათრიეთო.

დელოსის ტრიერის დაბრუნებამდე დრო არის, ფიქრობდა ანიტე. ჯერ კიდევ არის დრო და არქონტ ბასილევსთან წაუიდა.

- შენთვის ცნობილია, ძვირფასო, რაც ხდება?

- კი, ანიტე, ყველაფერი ვიცი.

- მე არ მინდოდა იმისი სიკვდილი მხოლოდ გაძევება მინდოდა.

- მაგრამ ბრალდება მაშინ სხვანაირად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

- სულ მეღუტის ოინია...

- შენიც, ანიტე.

- როგორ გამოვასწოროთ ახლა საქმე, როგორ დაკამშვიდოთ ხალხი?

არქონტმა ამოიოხრა:

- ბოროტი საქმე ჩაიდინე, ანიტე, და ახლა მეც შენთან ერთად ვისჯები; ხალხის დამშვიდება... ძნელია. დაიცა! მხოლოდ ერთი გზაა: თუ სოკრატე დილეგიდან გაიქცევა...

ანიტეს გაუხარდა:

- ჰო, მაშინ ვერც ჩვენ, ბრალმდებელთ, ვერც ნაფიცთ, ვერცა შენ, ძვირფასო არქონტო ბასილევს, ვედარაეინ გვიწოდებს მკვლელებს! გმადლობ!

- მადლობისთვის ნუ იჩქარებ, - ცივად მიუგო არქონტმა.

მაგრამ ანიტეს შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო.

- ჯერ ნახვის ნება მივცეთ ხალხს... ამას თვისონაც დააფასებს, მთელი ქალაქიც, ასევე იმისი მეგობარნი და ისინი თვისონვე შეეცდებიან...

არქონტი ჩაფიქრებული უყურებდა ტირისის ფარდას, ანიტეს წასვლის შემდეგ რომ ირხეოდა. არამზადა! ჯერ ამ ბინძურ საქმეში ჩამითრია...

არქონტმა მონა-მწერალი მიიხმო და უკარნახა დაცვის უფროსთან გასაგზავნი წერილი. სოკრატესთან მნახველთა შეშვებას უბრძანებდა.

როგორც კი აღიონმა ცის კაბადონი შეკურცხლა, მირტო უკვე ისევ უფროსის წინ იდგა. თავით ფეხთამდე მოსასხამში გახვეულმა გუშინდელი თხოვნა გაუძეორა. გულმა შეუბით დაუწყო ფართხალი, როცა უწინდებური ცივი უარის ნაცვლად გაიგონა:

- პატიმრის ნახვა ნებადართულია.

მირტო, მადლობის ნიშნად თაუდახრილი, მეციხოვნეს მიჰყვა.

ჯერ ადრე იყო, მაგრამ სოკრატე უკვე საწოლზე იჯდა. მირტო მივარდა და გულში ჩაეხუტა.

- მირტო! მირტო! - იმეორებდა სოკრატე და ქალს მკერდზედ იკრავდა. - ეს რა არის? მე აგრე მიხარია, შენ კი თითქოს შიშისგან კანკალებ.

- შიში კი არა, ძვირფასო, რომ გიყურებ, სიხარული მაკანკალებს.

- მირტო, მირტო, მაშ, მოხველ ჩემთან ამ ცივ საკანში?

- ყოველდღე მოვდიოდი, არ მიშვებდნენ - აი მხოლოდ ახლა...

- მე კი არც მითხრეს, აქ არისო! მთელი ორი დღის სიხარული დამაკლეს - მცოდნოდა მაინც, რომ აგრე ახლოს იყავი...

- იქნება გრძნობდი.

- რისი თქმა გინდა, მირტო?

- გუშინ, მზე რომ ახალი ამოსული იყო, ციხის წინ სულ მარტო ვიდექი. გავიგონე, რომ მღეროდი.

- ჰო, მართალია, ვმღეროდი. შენზედ ვფიქრობდი, ძვირფასო, - ჩამოჯდა, მირტო გვერდით მოისკა, - რაღაც ისეთი ნიჭი მაქვს, რაც ბავშვობიდანვე შუროთ ჩემი.

- რა ნიჭი?

- არც მაგია, არც მისტიკა, - გაიცინა, - უბრალოდ, ძლიერი ფანტაზია მაქვს.

მაგალითად: ბნელა, თვალებს ვხუჭავ. ვიდაც შორეულზედ ვფიქრობ, და აი უეცრად ცოცხალსავეთ გამომეცხადება თავისი მოძრაობით. ხმით...

- მჯერა, რომ შურთ. მეცა მშურს. ახლა მითხარი, რაც აქა ხარ, ვგრეთუ გიფიქროია ვინმეზე?

სოკრატე დუმდა, ქალს ნაზად უღიმოდა.

ქალი ლოყით მის ხელისგულს მიეხუტა.

- ვიცი, არის ათასგვარი სიაშოვნება. ერთ მათგანს ახლა განვიცდი...

- ჩემო სიხარულო, - აღერსით გამოეხმაურა სოკრატე და ყვიროვლ თმაზედ გადაუსვა ხელი, - მაგრამ ხომ შეიძლება მთელი სცენების ნახვაც! - ხელი მხარზედ დაადო, - ხედავ, ჩვენ წინ გზაა? შენ სახედარზედ ზიხარ, მე აღვირით მიმყავს, ასე ნელ-ნელა ავდივართ მთაზედ, ჩემი მზე სხივთ გვაფრქვევს, ამ სხივთაგან ჰაერში აღმური ტრიალებს - გრძნობ, როგორ გვთბილა?

- ვგრძნობ, - წყნარად მიუგო ქალმა და შეეცადა, რომ ოდნავი შერხეუითაც კი არ გაეფანტა სურათი, - ჩვენ ჰუდიში მივდივართ, შენი ვენახი ისე მწვანეა, ხუჭუჭი, ფოთლებში დამკრახული მტყუნები შემალულან... ყოვლის უფრო დიდი მტყვანი ჩემთვის მოწვევით. რა ტკბილი წვენი აქვს! აი სწორედ ახლა ვგრძნობ...

ასე წნავდნენ ოცნებებს, წარსულის ყოველ წვრილმანს იგონებდნენ.

„გახსოვს? - გაგონდება?“ ეინ გამოთქვამს ენით, რა ბედნიერებას გვანიჭებს მშვენიერი მიმოგონება! და დიდხანს ეიდოდნენ ერთად სიხარულ სინამდვილეში, ვიდრე მეციხოვნემ არ გამოუცხადა: შეხვედრის დრო ამოიწურა.

- რა მოგიტანო?

- დანა.

- რა? დანა? რატომ?

სოკრატემ ცბიერად გაუღიმა:

- რა იფიქრე - ძარღვთ გადავიჭრი? ო, არა! ვიდრე შენ ჩემთან ივლი, ჰადესთან წასვლა არ მინდა. დანა საჩუქურთმებლად მინდა, და რამოდენიმე რცხილის ნაპობი წამომიღე - ეზოში რომ ყრია. სხვა იარაღნიც დამჭირდება...

- ხეზე საკვეთად?

- ტრიერი ჯერ დელოსშიც არ ჩასულა. რამდენი დროა! კრიტონს უთხარი, ესოპეს იგავ-არაკნი მომიტანოს, - გაიცინა - იქნებ გაკლექსო. ამ სიბერეში მოლექსეც უნდა გაგხდე... როგორ ფიქრობ, მელეტზედ კარგად ვერ მოვახერხებ?

- დღესვე ვეჭვი კრიტონს.

ერთმანეთს გადაეხვივნენ და მირტო სწრაფად გავიდა, რომ სოკრატეს იმისი თვალები არ დაენახა.

3

სოკრატეს საკანში მნახველნი მოზღვაუდნენ, ერთბაშად აავსეს იქაურობა. კრიტონმა ესოპეს იგავნი გაუწოდა - მთელი გრაგნილი.

- გამაოცა შენმა სურვილმა. აჰა.

- მინდა ლექსთა შეთხზვა ვცადო... რას იტყვი?

- დიდებული აზრია, - კრიტონი ბედნიერია, რომ სოკრატე აქაც კი ეჭიდება სიცოცხლეს, - დაიწყო!

როცა ხვევნა, მიმშვიდობება, მოკითხვა დასრულდა, აღმოჩნდა, რომ ყველა სოკრატეს გარშემო იჯდა და მარტო ის იდგა ფეხზედ.

- კარგი ვინმეები ვართ! - თქვა ფედონმა; - თვითონ დავსხედით, მთავარი პირი კი

ფეხზეა.

- ეს მთავარი პირი დგომას მიუხეია, - მიუგო სოკრატემ. თანაც ძვირფასო, გამიგეთ, ახლა მთავარი პირნი თქვენა ხართ.

სტუმრები ახალ ამბავთ აყრიდნენ:

- ათენი შენთა ბრალმტყობელთა მიძართ რისხვამ ადავსო. ანტიტენი ვინაა? სტენი პირს ანიტელ! - გაჰყვირიან ქუჩებში და აგორაზედ...

- ზარაფი მაძაონი ტრაბახობდა, შავი კუნჭი ჩავუგდელი, შენზედ ამბობდა, და ისე სცემეს, რომ შინ საკაცით წაიღეს...

- ჩემო ძვირფასო სოკრატე! აუცილებლად გაგათავისუფლებენ! - აღტაცებით შეჰყვირა აპოლოდორემ.

სოკრატე უსმენდა, უსმენდა. ეცინებოდა:

- აი, თქვე საყვარელო ბავშვნი, თქვენა, რატომ იწამებთ თავს? ის მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო.

- არ უნდა მომხდარიყო! - აღმოხდა პლატონს. - თავად გადაიკიდე ნაფიცნი!

- საყვარელო პლატონ, სასამართლოში ხომ ხუთასი ნაფიცი იყო, და მე ძართლა იმდენად ის კი არა მსურდა, რომ მოვწონებოდა, არამედ იმათი ხინდისის გაღვიძება მინდოდა. იმ ხალხში იმავე განგაშის გაღვიძება მინდოდა, მე რომ სულს მიღრღნის. სასამართლომ უფრო მეტი შემძღვნა, ვინემ სანაცვლოდ მიჰყუც...

- ავრე ცოტა გიდირს სიცოცხლე, ძვირფასო მოძღვარი? - ჰკითხა პლატონმა.

სოკრატემ მიუგო:

- შენა, პლატონ, და შენცა, აპოლოდორე - ჯერეთ კიდეც მეტად ახალგაზრდანი ხართ, ამიტომ გვინიათ, რომ ყოვლის უფრო საშინელი რამ სიკვდილია. მაგრამ ჩემთვის სიკვდილზედ უფრო უარესი ის იქნებოდა, რომ სასამართლოზედ სულ სხვა რამ მელაპარაკა, ვანემ მთელი ჩემი სიცოცხლე ვლაპარაკობდი.

შემოვიდა სოკრატეს თავგანისმცემელი, ღრმად მოხუცი არქელემე, რომელიც კრიტონის სახლში ღამის დარაჯად მსახურობდა, კალათით საქმელა და ღვინო მოიტანა.

სოკრატე გადაეხვია:

- როგორ მიხარის შენი ნახვა, ჩემო ბერიკაციო! - გაიცინა. - მით უმეტეს, აქ ისეთი კაცი მოხუცი, ვისაც ბერიკაცმა ბერიკაცი შემძღვლია რომ გიწოდო! ოთხმოცდაათისა ხარ, არა?

- ჯერ არა, ძვირფასო სოკრატე, მაგრამ ძალე ვიქნები.

აპოლოდორემ თანაბრად გაანაწილა საქმელი: მუმწვარი თევზი, ქაშაყი, მოხრაკული ცხვრის ხორცი, თაფლიანი ღვეზელი, ჯინჯილა, ხეთისხილი, ღვევი...

ჭამის დროს საუბარი გაიმართა.

სოკრატემ თქვა:

- პლატონი მართალია, მე რომ სასამართლოზედ მეცრუა, თავის დაძვრენა მეცადა, ახლა ათენის ქუჩებში თავისუფალი ვივლიდი, მაგრამ ის სოკრატე აღარ ვიქნებოდი, რომელსაც იცნობთ. ის იქნებოდა სხვა საცოდავ სოკრატე, მოგვეწონებოდათ იმისთანა მოძღვარი? აღბათ იტყოდით: უკეთუ იმან უარყო თავისი თავი, განა ჩვენ კი არა გვაქვს იმის უფლება, რომ დავიცვათ თავი ვველაგვარ მეღვრთავან, ანიტეთავან და მათთა მსგავსთავან, ვინაც იქნებ იმათ შეძღვომად განდნენო?

- მაპატიე, - შესთხოვა პლატონმა.

კრიტონმა ფიალა ღვინით აავსო და სოკრატეს გაუწოდა. დანარჩენთ ტოლნაში დაუსხა, რომელიც ჩამოატარეს.

სოკრატემ მოსვა და თქვა:

- ვითომ სოკრატეს ასამართლებდნენ? საერთოდ ადამიანს ასამართლებდნენ? ო, არა! სიკვდილი მიუსაჯეს სიმართლეს - აი რატომ არის ათენი აღმფრთხილებული. პატიოსანი ადამიანს არ შეუძლია უსიმართლოდ ცხოვრება. და ათენელთა და მტკიცეს, რომ პატიოსანების გაგება ჯერეთ არ დაუკარგაუთ. - ლეონო მოსკა და განაგრძო: - ფიადლით შხამის მოწოდება - კი ბატონო, მაგრამ სიმართლის მოკვდინებაში ვაძულებ აქვს ამის თავი?

- აწ იმედი გაქვს, - უთხრა კრიტონმა, - მაგრამ თავი უნდა დაიცვა და არ მიეჩლო ძალმომრეობას!

სოკრატემ ხელი ჩაიქნია:

- თქვენ სულ ჩემს იმედს გაიძახით და შეშინებულნი მიძხურთ, მე კი ჩვენი საზოგადოების იმედზედ გელაპარაკებით. აი რაზედ უნდა ვწუხდეთ, ხალხს ემანდ ყოვლის უფრო უარესი უბედურება არ დაატყდეს: დამონება მრავალი წლის მანძილზედ!

ერთმანეთს ყვირილს არ აცლიდნენ:

- ისევ მაგ საშინელ სიტყვებს ლაპარაკობ! ათენის დამონება?!

- რა, არ მოხდარა თუ რა? - შეედავა სოკრატე. - დამონებაა ოცდაათი ტირანი, ქონების კონფისკაცია, სიკვდილით დასჯა, მოუღივებელი გარეობის მოსპობა... მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ბერძენის იყვნენ, ის ლისანდრეები და კრიტიები, შეიძლებოდა კი, რომ უცხოელნი ყოფილიყვნენ, თანაც დიდი ხნით მოსულნი! მაშინ, თავად მოგეხსენებათ, ტირანია მოგვახვიეს თავზედ ოლიგარქოსთ. რა გგონიათ, ახლა არ იკრიბებიან ოლიგარქოსნი თავიანთ პეტერიებში, არ აწყობენ შეთქმულებებს, დაფიცული არა აქვთ ათენის დემოკრატიის მოსპობა? არ იკითხაუთ, ახლა ვის უხმობენ შემწედ და ხელის ამწყვრობლად? განა ოდენ სპარტას? განა ისევ არ გაისმის სხვადასხვაგვარნი ხმანი? უცხო ხმანი, უცხო მხარუთაგან... ისინი სადღაც დასაკარგავში გაისმის და იქავ იკარგებიან, მაგრამ სულთა შიგან შფოთისა და ქაოსის კვალსა ტოვებენ...

სოკრატეს სიტყვების გამოძახილი კედელთ აწყდებოდა, როგორც სინათლისკენ გასასვლელის მაძიებელი ფრინველის ფრთები.

ანტისთენემ ქუშად წართქვა:

- დანგრეულია გკონომიკა, დარღვეულია ზნეობაც. რა უფრო უარესია? არ ვიცი. ერთი განპირობებულია მეორით. შენ, სოკრატე, გულგატეხილობას მიკვივინებ, მაგრამ მე არ შემიძლია დუმილი იმაზედ, რისაც შიში მაქვს, უკანასკნელ ხანს ათენი ისეა დაჭრილი, რომ ვშიშობ განკურნებას.

მოწაფენი გაოცებულნი მიაშტერდნენ სოკრატეს. ისინიც შეშინებულნი ჩანდნენ. სოკრატემ ხელისგულნი ხელა ამოატრიალა და ისე დაიჭირა, თითქოს შიგ რაღაცა უსხაო:

- რამდენადაც მახსოვს - და ზოგ თქვენგანსაც ახსოვს, - ოლიგარქოსთ მოახერხეს ძალაუფლებისკენ გაჭრა. თქვენა გგონიათ, იმიტომ რომ ძლიერი იყვნენ? არა, ძვირფასნი! იმიტომ რომ ათენის დემოკრატია ორჯერვე დასუსტებული იყო. დღეს რა ხდება? როცა კანონთ პატივს აღარა სცემენ, როცა უსაზღვრო თავისუფლების სახელით ძლიერი ჩაგრავს სუსტს და არავითარ დაბრკოლებას არ აწყდება, - მაშინ, ჩემო კარგნო, აღარც მე მწამს, თითქოს ამაში იყოს, როგორაც ზოგიერთნი ამტკიცებენ, ჩვენი დროის ძალა. ჩემის აზრით, ამაშია იმისი საშიში სისუსტე, - ხელები მეგობრებისკენ გაიშვირა. - რატომ ვართ მე და თქვენ აგრე მტრულად განწყობილი სოფისტისკის მიმართ, რატომ ვესხმით თავს სოფისტისკას, ვინც არ უნდა გამოდიოდეს იმის სახელით - უბრალო ვინმე თუ ყოვლისშემძლე მბრძანებელი! განა ოდენ რიტორიკული ხელოვნებით ტკბობისა გამო? განა კამათში გასაკარჯიშებლად! არა, მეგობარნო: იმიტომ რომ სოფისტისკა ოლიგარქოსთა იარაღია! და მოვალენი ვართ, რომ ამ იარაღს ჩვენი შევაგებოთ!

- ჩემის ფიქრით, - თქვა პლატონმა, - სოფისტიკის უდიდესი ბოროტება ის არის, რომ არაფერ წმინდას არა ცნობს და ახშობს ადამიანის ყველაგვარ სულიერ ღმრთობას. ანგრევს კარგს და ადიდებს ცუდს.



სოკრატემ აწონ-დაწონა ანტიხიუსებს სიტყვები და ისიც, რაც მათ უნებნებად თქვა, -
- ყმაწვილნო, სუყოველნი კარგად ხედავთ, რის დანახვების მოსურნე ვარ, -

საფრთხეს! ბრძოლა კი ამ საფრთხესთან მხოლოდ იმას შეუძლია, ვინაც იცის, რაც არის ეს საფრთხე და სურვილი აქვს, რომ ებრძოდეს. დემოკრიტე ბრძანებს: ადამიანი იგივე პატარა სამყაროაო. დიადი აღმოჩენაა! და შრომაც დიადი უნდა ამ სამყაროს მართვას, რამეთუ პატარა კია, მაგრამ მაინც სამყაროა. ანტიხიუსემ ბრძანა, ათუნის ჭრილობები განუკურნებელაო. მე არ ვიზიარებ ამ აზრს, მაშინ აბა რაღა საჭირონი ხართ თქვენ, თქვენი მომაკვლი მოწაფენი, და კიდევ იმა მოწაფეთა მოწაფენი? იართ, ახწავლეთ ადამიანთ: შეიცანით თავი თვისი, metamoeite, შეიცვალენით, გაუკეთესდიო. საერთოდ, - სოკრატე გამხიარულდა, სახე გაუბადრა, - ჩემის აზრით, ადამიანი თავად არის თავისი ბედის მჭედელი, ამიტომ მწამს, რომ ადამიანს თავისი ხალხის ბედის მჭედლობაც ძალუძს.

4

სოკრატე თვალდახუჭული იწვა; თვალის კუთხიდან ღოყაზედ ცრემლი დაუცურდა. შემოვიდა მირტო, ხმინავსო, იფიქრა. ხანდლები გაიხადა, ფეხშიშველა მივიდა საწოლთან. ფეხებთან კითარა დაუდო; ფუთა, რომელშიც ხის ნაჭრები და საკვუთი ხელსაწყოები ეწყო, ძირს დადო.

მსუბუქად, ოდნავ შეეხო სოკრატეს გაშიშვლებულ მკლავს, მოეფერა. სოკრატემ იგრძნო, მიხვდა, მირტო მოვიდაო, მაგრამ ბედნიერების წუთის გაჩანგრძლივება სურდა და თავი მოიმძინარა.

ქალმა წყნარად წაიჩურჩულა:

- ქვეყნად აღარავეინა მყავს, ვისაც შენსავით ვუყვარებოდი, ძვირფასო. რაოდენი ბედნიერება მომანიჭე, - ღოყაზედ ნაცრემლარი შენიშნა, შეშინდა, ხმამაღლა ჰკითხა: - სტირი?

სოკრატემ თვალები გაახილა წამერთ, შეიგრძნო ძთელი ის სილაძაძე, მირტო მას ერთს რომ აკუთვნებდა და გაუღიმა:

- ვტირი მაგრამ სწორედ ამ წუთას ვარ ძალზედ ბედნიერი.

- ძერე ეს ცრემლი? - ტუჩებით მოსწმინდა.

- ცრემლი? არც შემიმჩნევია. საწყენია, რატომ ტუტი არ დამდინდა, რომ კოცნით მოგეწმინდა.

- ჩანს, კიდევ რაღაცა გტკივა, არა?

სტკივა. სოკრატეს ქსენოფონტი წამოაგონდა. ო, როგორ უყვარდა, ამოდ არწმუნებდა, კაროსთან სპარსეთში ნუ წახვალო; არ გაუგონა ქსენოფონტმა. დედფოს ორაკულს დაუჯერა. სად არის ახლა?... მორჩა, ერთმანეთს ვეღარ ნახავენ... მაგრამ სოკრატემ გაუღიმა მირტოს და უთხრა:

- ეს ქვის სასახლე, გოგონი, ჰუდის ვენახი როდია, არც ჩვენი პატარა ეზო და არც აგორაა... აქ მზე არა მყოფნის.

- აი, თურმე რატომ გდენია ცრემლი...

- ო! ჩემო კითარა! როგორც ყოველთვის, მიმიხვდი სურვილს. თუმცა სიტყვა არ დამცდენია... - სიმებს თითები გააყოლა.

მირტომ ფუთა მიაწოდა.

- დანაც? - მირტოს შეხედა. - ჩემი დარდი აღარა გაქვს, არა?
 - არა. მე ყოველდღე დაუდივარ - ეგეთ მწუხარებას არ მოძაყენებ: ნუმც მოვსწრებივარ.
 - მართალი ხარ, ახლა მესიზმრა, ეითომ ქსენოფონტი ათენში დაბრუნდა და უეცრად
 ვიგრძენი, რომ აღარ მძინავს და შენ ჩემთანა ხარ.

- მაშ იცოდი, რომ აქა ვარ? გაიგონე ჩემი ჩურჩული?

- გავიგონე.

მირტომ თვალეზიდ ხელები აიფარა.

- ნუ ბრაზობ, რაც წაიჩურჩულე, იმან ბედნიერი გამხადა, - სოკრატემ ქალის ხელები
 სახეზედ მიიხუტა. - შენთან ერთად ჩემთან შემოდის ყოველივე მშვენიერი და წმინდა,
 რაც ათენშია. - მირტომ ხელი გადაუსვა, მოეფერა. - მე ხელსაყრელ მდგომარეობაში
 ვარ, - გაიცინა სოკრატემ, - ვისაც უსამართლოდ მოექცნენ, ის მეტ თანაგრძნობას
 იწვევს, ვიდრე ვინც მშვიდად ცხოვრობს.

მირტომ მღელვარებით წარმოითქვა:

- ათენელნი ნანობენ ნაშოქმედარს, მაგრამ სინანული ცოტაა. შენი თავი არავისთვის
 არ უნდა წაურომევიწინებინათ...

- ეჰ, მირტო, - მხიარულად მიუგო სოკრატემ, - მე და ათენი სამუდამოდ ერთ არსებად
 ვართ შეკრულნი, რაც არ უნდა მოგვივიდეს გინდ იმას და გინდ მე. მე ჩემი თავი
 მთლიანად შევძლვენი ათენს და ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში იმისგან უფრო
 მეტს ვეუბნობ, ვიდრე მე, ერთს, შემეძლო, რომ რაიმე მიმეგო მისთვის. გულარხეინობა
 მისურვე, მირტო.

მაგრამ მირტოს არ ეარხეინებოდა.

- ეგრე იმიტომ შელაპარაკები, რომ შენი სიკვდილი ადვილად გადამატანინო,
 საშინლად არ მეჩვენოს. მაგრამ მე მინდა, რომ შენი სიკვდილი შენც საშინელი
 გეჩვენოს და შენთა მეგობართაც! მე მინდა, რომ შენც დაიცვა თავი იმისგან და იმათაც
 დაგიცვან იმისგან!

- ნუ დარდობ, გოგონი. ისინი უკვე ზრუნავენ ძავისთვის. ანტისოენემ სამართალში
 მისცა მელეტის, ლიკონიცა და ანიტეტ. სამივეს გაასამართლებენ.

მირტომ გაიხსენა, როგორ უხმობდა ქსანთიპერინიებს.

- მაშ კიდევ ვიქნებით ბედნიერი?

- რატომ უნდა გადავიწყვიტოთ იმედი? - გაიღიმა სოკრატემ - ადამიანს უფრო
 იმედოვნება მართებს, ვინემ სასოწარკვეთილება.

გარედან ფეხების ბრაზაბრუხი მოისმა. მირტო შეკრთა, წასასვლელად განეშხადა.

- ჰაირე, ჩემო ძვირფასო!

და ვიდრე მძიმე, რკინით შეჭედელ კარს შიადწევდა, მირტომ სულ უკან-უკან იარა,
 რათა უკანასკნელ წამამდე ეღიმა სოკრატესთვის.

წმინდა ტრიერი, შავად გაფისული, წითელი სურინჯით შეღებილი, დელოსს
 უახლოვდებოდა. აფრების ბერვა-ბერვით ზურგქარი მოაცილებდა. ორსავე ქიმთან სამ
 რიგად იხდნენ მეხოფენი და გრძელ ნიჩაბთ ზომიერად უსვამდნენ.

სოკრატე გაშინაურდა. იმისმა სახელგანთქმულმა "სააზროვნომ" დილეგის საკანში
 გადაინაცვლა, სადაც ცხოვრება ისევე გაცხოველდა, როგორც ოდესღაც პატარა ეზოში
 მარმარილოს ლოდებს შორის დუღდა. მეგობარნი და მოწაფენი ყოველივე საუკეთესოს
 სძღვნიდნენ, რასაც კი შოულობდნენ, და ისიც ძველებურად ესაუბრებოდა. ყოველდღე
 მოდიოდა მირტო. ათენელნიც მოდიოდნენ თუნდაც იმისთვის, რომ სოკრატეს დილეგთან

მდგარიყენ და ესმინათ კითარის ნაზი აკორდები, კლდეში ძაღლა გამოკვეთილი ხვრელიდან რომ აღწევდა. ზოგიერთნი ამ დროს ცრემლად იღვრებოდნენ.

ერთხელ მეციხოვნემ სოკრატესთან ახალგაზრდა ქალი მიიყვანა, რომელსაც სახელად ლაგარდოვანი აბრეშუმით ჰქონდა დაფარული. ქალმა საბურველი ჩამოიხსნა დაიხოქა და ხელზედ კოცნა დაუპირა სოკრატეს. სოკრატემ წამოაყენა: ურჩუნეშა!

- ტიმანდრა!

- გახსოვარ, სოკრატე?

- მშვენიერი რამ იყავ იმ დამეს დედაშენის სახლის ბანზედ. ოდეს აღკიბიადეს ჩაუკარდი გულში, და ისევე მშვენიერი ხარ ახლაც. რა კარგია, რომ მოხვედი. მაგრამ რატომ დედაც არ მოგყვა? თქვი, თქვი, რა მოხდა, ძვირფასო?

- ვიცი, მიწვივ სიძართლე გყვარს, - ტიმანდრამ თვალები დახარა, - კო, დედაჩემი უკვე მშვენიერი აღარ არის, აღარ უნდა, რომ დაგენახოს.

- ვაი, რა უგუნური ხართ. დიაცნო, თქვენა გგონიათ, მამაკაცო ოდენ გარეგნობა მოსწონთ თქვენი. თუოდაც იმ სილამაზის პატრონი იყო, რომელსაც დრო-ჟამი კი არ აკნინებს, არამედ უფრო სრულყოფილსა ხდის.

- დედაჩემის მაგივრად მე გწირავ ძაღლს. იმას უწინდებურად უყვარხარ და პატივსაცემს.

სოკრატემ კრიტონის მოტანილ ლეინოს წყალი შეურთა. თვითონაც დაისხა და ტიმანდრასაც დაუსხა.

ქალმა სასაძართლოზედ ჩამოაგდო სიტყვა.

- ვითომც ახალგაზრდობას რყვნიდი! და პირველად თითქოსდა შენგან გარეგნილ ახალგაზრდებში აღკიბიადეს ასახელებდნენ, რაც განსაკუთრებით მძიმედ დააწვა სასწორის პინას. - ტიმანდრას აღშფოთების ცეცხლი მოედო, თავისი ნატიფი ხელი მაგრად მოუჭირა სოკრატეს ხელს, - იცი, რა მოხდა იქ, ჰელესპონტთან?

იმისმა ნელსურნელებამ საკანი საათო სუნით აავსო. სოკრატე აღელვებული უყურებდა მშვენიერ, მაგრამ დატანჯულ სახეს. ვერცხლის დიადემით შეკრული თმის სიშავეს უფრო ამკვეთრებდა სახის სიფერმკრთალე.

ტიმანდრამ აუწყა სოკრატეს, როგორ მიძქროდა ამხედრებული აღკიბიადე ღამით, ქარიშხალში, ათენის ფლოტის თავკაცებთან, რომელთა ესდენ ცუდად შეერჩიათ ღუზაზედ სადგომი ადგილი.

- მან იცოდა, აფიცებდა, ევედრებოდა... იმათ კი გეძხედ არ აუშვეს, ძაღლსავით გამოაგდეს! მშობლიური ათენის ფლოტის ხსნა უნდოდა და იხხნიდა კიდევ! - აქვითინდა უნებურად ტიმანდრა, - იმისთვის რომ წური დაეგდოთ, არც ეგოს-პოტამოსი იქნებოდა და არც ის საშინელებანი, რაც ამ ეგოს-პოტამოსს მოჰყვა!

- მოხარული ვარ, რომ ეგ გაკვირნე - და მჯერა შენი.

ტიმანდრამ მავედრებელი მხერა მიაპყრო.

- აპატიე მკედარს... უბედური ადამიანი იყო, დევნილი ვნებათაგან და მტერთაგან, მაგრამ კეთილშობილი - ხშირად შეტყობდა ხოლმე: მხოლოდ სოკრატეს წყალობით იმარჯვებს ჩემში ბოლოს და ბოლოს სამშობლოს სიყვარულით.

- მე დიდი ხანია შევუხდე იმას, ტიმანდრა.

ქალი ადგა. სოკრატეს გადაეხვია.

- შენი ბრალმდებელინი სამართალში მისცეს. მე წავალ არქონტ ბასილევსთან და დიდის ფიცით ვეტყვი ყველაფერს, რაც აქ გითხარი აღკიბიადეზედ. არ შეიძლება შენი უსაძართლოდ დასჯა.

- ეგრე მოიქეცი, ტიმანდრა. ძალიან კარგი იქნება, თუ ხალხი ხსოვნაში აღკიბიადეს საუკეთესო და ნათელ თვისებებს შემოინახავს.

ტიმანდრა გაოცებული მიაშტერდა:

- სოკრატე! შენ მკვდარ აღკიბიადებზედ მეტს ფიქრობ, ვიდრე საკუთარ თავზედ?

ათენის ტრიერმა ღუზა ჩაუშვა დელოსის ნავსადგურში, სადაც უკვე იდგა რეიდზედ მთელი ელადის ყოველი კუთხიდან მოსული უამრავი გემი. ნაპირზედ გადავიდნენ ტამრის ქურუმნი, ულამაზესი ქალიშვილნი და ჭაბუკნი, ბერაკაცნი, დღესასწაულში მონაწილეობისთვის ამორჩეულნი. აქ მოეყარათ თავი მუსიკოსთაც, კითარონ, ქნარისა და ავლოსის დაკვრაში შეჯიბრი რომ უნდა გაემართათ, აქვე იყვნენ მომღერალნი და პოეტნი. ეს უკანასკნელნი იმისთვის მოსულიყვნენ, რომ ხალხის სამსჯავროზედ გამოეტანათ თავიანთი ოდები და პაენები. და აქვე ნახავდით ფლეიტისტთა, მოცეკვავეთა მთელ გუნდებს, რომელთა ხელოვნებაც განსაკუთრებულ ელვარებას მიანიჭებდა აპოლონის დღესასწაულს.

ნაფიცთა კენჭისყრით არჩეულ ხუთასთა სასამართლოს წინაშე წარდგნენ პოეტი მელეტი და ორატორი ლიკონი. ამასწინანდელი ბრამდებელნი ახლა თვითონ იყვნენ ბრალდებულნი.

ანიტე სასამართლოზედ არ გამოცხადებულა, ზღვის გაღმა გაიქცა. დაუსწრებლად გაასამართლეს.

მთავარი ბრალმდებელი - მაღალი, წარმოსადეგი მამაკაცი, ასკეტის სახე რომ აქვს და თვალებში შურისძიების ცეცხლი უღვივის, ანტისთენეა.

დელოსის დღესასწაული აპოლონის წმინდა ჭალისკენ პროცესიით დაიწყო. ძველი ჩვეულების თანახმად, ღმერთს ხისხლიანი მსხვერპლი შესწირეს. წესის ამსრულებულ ქურუმს მთლიანად თეთრი ემოსა და თავს ჭრელბაფთებიანი გვირგვინი უშკობდა. საკურთხეველთან სამსხვერპლო დეკეული მიიყვანეს, რქებმოქროვილი და აგრეთვე ჭრელბაფთებიანი. თავსა და კისერზედ ქურუმთ ახლადგალეწილი ქერი გადააყარეს, თავზედ ბლუჯა ბალანი შეაკრიჭეს და ცეცხლში ისროლეს.

დადუმდა აპოლონის მადიდებელი და მისივე მსახოებელი ქორო. ბრბო უსიტყვოდ უყურებდა, როგორ გაუყარა ყელში გრძელი დანა ქურუმმა დეკეულს, როგორ მოუღო აქაფებული ხისხლი საკურთხეველის ფილებს, როგორ აგროვებდნენ ამ სისხლს წმინდა ჭურჭელში.

ანიტისთენე ბოლცომის ნაპირზედ იდგა და გზნებითა და რისხვით ლაპარაკობდა:

- ვინ არის ეს ანიტე, რომელსაც დღეს ასამართლებთ, ათენელნი? თქვენ, რა თქმა უნდა, არ დაგვიწყნიათ, რომ ერთხელ უკვე იყო სამართალში მიცემული, ვინაიდან იმისი მიზეზით, როცა სტრატეგობდა, ათენელთ ბრძოლა წააგეს პილოსთან! გაასამართლეს, სიკვდილი ელოდა, მაგრამ არ დასჯილა! მსაჯულნი მოისყიდა და მართლმსაჯულებას გაექცა! ახლაც, სოკრატეს საქმეშიც, ვერ მოისყიდიდა ზოგიერთს თუ რა? - ოღონდ იმისთვის კი არა, რომ სოკრატე უსამართლო სამართლისგან ეხსნა, არამედ, პირიქით, იმისთვის, რომ უსამართლო სამართალი აღსრულებულიყო! განა არ გესმოდათ, როგორ გაჰყვიროდა ათენის ქუჩებში მელეტი, სიმთვრალისგან გამოშტერებული, ანიტემ სოკრატეს წინააღმდეგ მოძისყიდა და გასამრჯელოს აღარ მადლეესო? სოკრატე სასამართლოზედ თავს არ იცავდა: იმიტომ რომ დაცვა არ ეჭირებოდა. ბრალს იქითა სდებდა - და იცოდა, რისთვისაც სდებდა! რამეთუ ანიტემ სოკრატეს სასამართლო არა ათენის გულისთვის, არა ხალხისა და უქონელთა გულისთვის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ თავისი მუცლის ტკივილისთვის მოუწყო! თავად განსაჯეთ:

განა შეეძლო ორსახოვან ანიტეს მშვიდად ძილი? დიან, სოკრატე კი არა, ანიტეა ორსახოვანი! ერთი, დათაფლული სახე, ხალხისკენ აქვს მიქცეული, მეორეთი კი, აგრეთვე დათაფლულით, სოფისტო, ანუ ხალხის მტერთ უღიმის! განსვენეთ, ვინ აირჩია სოკრატეს ბრალმდებლად! სოფისტმა ლიკონმა! ან იქნებ სოფისტმა მოწოდება ქაოსისკენ, თვითნებობისკენ, ანარქიისკენაც კი - ხელსაყრელია კეთილსინდისის?

ანიტისთვის ბოლცოვის ნაპირზედ იდგა და გზებითა და რისხევით უმჯობესობდა...

აპოლონის საკურთხეველზედ ღორის ბარკალთ აშიშხინებდნენ, წყალნარევი ღვინით ჰკურებულს. ყვითელი კვამლი, დამწვარი ხორცის სუნი სასაკმეველეთა შიგან აბოლებული არაბული ნელსურნელების საამო სუნს ერთვოდა, და ნიავს ხალხთან მიჰქონდა, ლაყვარდისფრად მოელვარე, ბავშვის თვალებსავით სპეტაკ სივრცეში აჰქონდა.

სახით აღმოსავლეთისკენ მიბრუნებული ხალხი ხელებს ცად აღაპყრობდა და ისე შეჰღალაღებდა აპოლონ ნათელმზილველს, სიცოცხლისა და წესრიგის მცველს, დაე, აწ და მარადის ჰყარავდეს ელადას!

გაისმა გალობა, მოცკვაკენი როკვას მოჰყვნიენ ფლეიტების ხმაზედ.

6

სოკრატეს მეგობართ დიდის ჯაფით გაიკაფეს გზა ბრბოში, რომელიც ციხეს შემორტყმოდა. სენაკი საკსე იყო ათენელთა ძღვენით: მწვანე რტოებით, ყვავილებით, ღვინით, ტკბილეულით...

კრიტონმა, მეგობართა შორის ყველაზედ ხნიერმა, აპოლოდორეს - ყველაზედ უფრო ახალგაზრდას - ნება მისცა, რომ ეუწყებინა სოკრატესთვის სასამართლოს შედეგი.

აპოლოდორე ძირს დაეშვა, მახწავლებულს ფეხებზედ მოეხვია და აუწყა:

- მელეტს სიკვდილი მიესაჯა, ლიკონსა და ანიტეს - განდევნა. მაგრამ სასამართლოს შიშით ზარდაცემული ანიტე ათენიდან გაიქცა. შენ დიდად კმაყოფილი უნდა იყვე, ჩემო ძვირფასო! როცა დელოსიდან გემი დაბრუნდება, მოკვდება მელეტე, და არა შენ!

სოკრატეს სახეს ჭმუნვა არ მოსცილებია. სასამართლოს გადაწყვეტილება, ცხადია, ახარებდა, მაგრამ ის იმაზედ ფიქრობდა, რა კავშირი იყო ეგოსპოტამოსის ტრაგედიის შემდეგ ათენის თავზედ დატყნულ უბედურებასა და მისთვის და მელეტისთვის გამოტანილ ორივე ტრაგიკულ განაჩენს შორის.

- პატარძალივით ვზივარ აქ ვარდებში, ოღონდ სიძე არა ჩანს... აბა, ჰე, ქორწილის სტუმარნო, საქმეს შეუდექით. გასინჯეთ, ნაჩუქარ ღვინოთაგან რომელი უკეთესია, და ერთად დავლიოთ.

ისინი ელოდნენ, სოკრატე აღბათ მოგვეთათბირება, როგორ დაიხსნას თავიო, მაგრამ მან წართქვა:

- ჩემგან ხშირად გესმით - ყველას ვურჩევ, ვისაც კმაყოფილება უნდა, დაიცვას ჩემი გამორჩეული სოფროსინე. მაგრამ აწ მინდა, რომ ჩემი მგზნებარება გაიანდერძოთ. არ შეგეშინდეთ - ვიცი, რასაც ვამბობ. იმას ნუ უყურებთ, რომ პლატონი იღუშება. მე ანდერძად გიგლებთ ჩემს მგზნებარებას: იყავით მგზნებარენი, ოდეს ადამიანთა უბედურების მიზეზთ ააშკარავენთ. იყავით მგზნებარენი, ოდეს ადამიანის სრულყოფას ცდილობთ. ხალხს ეშმაკობა კი არა, სიბრძნე ასწავლეთ, რადგან სიბრძნე სათნოების ღვიძლი დაა.

- აღარ ვიღუშები, ძვირფასო, - ჩაურთო პლატონმა,

- უინიანობა არ გიყვარს, - ჩაიცინა სოკრატემ, - კეთილშობილი ჭაბუკი ხარ, პლატონ. მართალია, ჩემი ხათრით შუბლი გაგეხსნა, მაგრამ მაინც მეტიხმეტად ჭირვეული გეჩვენები. ვერ გამომაპარებ.

პლატონს შეპასუხება უნდოდა, მაგრამ სოკრატემ დაასწრო:

- ახლავ დაგიმტკიცებ, რა ჭირვეულიც ვარ. ანტისტონემ სასამართლო იმ ადამიანთა დასასჯელად განაწყო, ვინაც დამამცირა, მადლობა კი საკმაოდ უცნაურად უნდა ვუთხრა. მის დაცრეცილ ლაბადას დღეს გუშინდელზედ უკეთესად ვხედავ, - ჩანს, ყველას უნდა დაანახვოს, რომ ფუფუნების სიძულვილში მე მხამდეს ანტისტონე, ანტისტონე, მიუტყვე თვალთა ჩემთა, მაგრამ ხედვენ: შენი დაცრეცილი ლაბადიდან გულმედობა იყურება!

პლატონი გაწითლდა. ესეგვარ მადლობას ანტისტონესთვის ნამდვილად არ ელოდა. მაგრამ თვითონ ანტისტონემ გაიცინა:

- შენი გესლიანობა, სოკრატე, კი არ შეურაცხყოფს, არამედ ამაღლებს სულს!

- მადლობა, ანტისტონე! - უთხრა სოკრატემ. - მაგრამ აი, რარიგ მავსებენ ძღვნით!

- განაგრძობდა სოკრატე და ათენელთაგან ნაბოძვარს უჩვენებდა, - რით მოვიპოვე ამდენი მეგობარი, გამოიცან! ხომ არა გგონიათ, რომ ჩემთა მოთხოვნილებათა კრძალულებით? პირიქით: სიშმაგითა და შეუპოვრობით, რითაც ყოველდღე ჩემი გამაქვს. აბა, რომელი ღვინო ამოირჩიეთ? ესა? - მოსვა - კარგი არჩევანია. სურნელოვანია, მოტკბო, კაცს ნეტარებას მოჰგვრის, საყვარელი ქალის კოცნასავით.

დაიწყეს სმა. ერთიმეორეს აწვდიდნენ ჩაფრუცებს, ჯამებს.

სოკრატემ კიდევ მოსვა, პირი გააწკლაპუნა, გაიღიმა:

- გადაიღეთ, თამამად, გადაიღეთ ჩემი სიშმაგე, ოდეს ადამიანის შინაგან ბუნებას იკვლევთ, ოდეს ცთომილებას უკიჟინებთ, რათა გამოსწორების გზაზედ შეაყენოთ. ნუ გაასულელებთ, ზარდეთ, ვინცა ხელში ჩაგივარდებათ - დაე იცოდეს კაცმა ცხოვრება - ხელისგულები მიუშვირა გარშემო მყოფთ. - ცხოვრების ცოდნა უდიდესი ხელოვნებაა, მეგობარხო, უწინარესად საკუთარ თავში უნდა გაერკვე, მერე იმათში, ვინაც შენ გარშემოა, ბოლოს კი მტერს უნდა ეძგერო - ღღონდ არცროდის არ უნდა დაკარგო კარგი განწყობილება. დემოკრიტეს ვეთიშია, ძვირფასხო, ერთ-ერთი საფუძველია ცხოვრების ცოდნისა!

- მაგრამ ყველაზედ უფრო რთულიც არის, - შენიშნა პლატონმა.

- დიახ, ყველაზედ უფრო რთულია. სოფისტნი ახლა სხვადასხვა ცოდნას აერცულებენ, მაგრამ უპირველესი იმათი საზრუნავი ეშმაკობის სწავლებაა. დროებით წარმატებიან კიდევ - თქვენ კი, ძვირფასხო, ცხოვრების მასწავლებელნი უნდა გახდეთ, და თქვენი წარმატება წარუვალთ იქნება.

- შენი არ იყოს, მეც ქვისმთლელი ვარ, სოკრატე, - აღელვებით აღაპარაკდა აპოლოდორე. - ნუთუ უნდა მივატოვო ხელობა? მე კი სწორედ ახლა დავიწყე შენი გამოქანდაკება, სოკრატე, და ეს საშუალო ფრიად მახარებს.

- მაგ კითხვაზედ, ჩემო კარგო, არცვის არ შეუძლია პასუხის გაცემა, თვითონ შენ გარდა, ხოლო შენს მასწავლებელს - მით უფრო. შეიცან თავი შენიო, ქადაგებს დელფოს ორაკულის ნასიბრძნი. ჩაუკვირდი, ამ ორი საქმიდან რომლისთვის უფრო იწვის არსება შენი. ხდება ხოლმე ორივე საქმისთვის ერთნაირად იწვის. მაგრამ იშვიათად იბადება იმოდენად ნიჭიერი ადამიანი, რომ ერთის გულისთვის მეორეს არ დააკლოს რამე.

პლატონმა ნულა წართქვა:

- რაც შეძლება მე, გადაწყვეტილი მაქვს, ღვესთ შეთხზვას თავს დავანებებ, ფილოსოფიას გავყვები. ხოლო ათენში თუ ვერ ვპოვე საკმაო სიმშვიდე და უშიშროება, სადმე სხვაგან დავემკვიდრები, ოღონდ ამ ჩემს ტრფიალს კი არცროდის მივატოვებ.

სოკრატემ დაფნის რტო აიღო, ფურცელი ხელში მოფშვნა, მომწარო სუნი იყნოსა.

მცირე ღუმელის შემდეგ ისევ ამეტყველდა - უმაღლ ხუმრობით, ვიდრე მართლა

დამშვიდობების ნიშნად:

-ანდერძად გიტოვებთ, მეკობარნო, ჩემს საბებიო ხელოვნებასაც კარგად მოგეხსენებათ, რა ხელოვნებაც არის. აქ უკვე მეტი სქეტი გულმოდგინება სჯობს, ვიდრე შუაგზაზედ გაჩერება.

- მაგას გპირდები, - გზებით მიუგო ანტისტენემ, - უკეთესი ამგვარი მდგომარეობაში ისე გულმოდგინედ მოგებად, რომ ჩემზედ ამბობენ, გლახაკისგან მხრლად იმით განსხვავდება, ხელი არ გაუშვრიდიაო, ასევე გულმოდგინებით მოგებად სხვა ყველაფერშიც, სოკრატე.

- იგულმოდგინე, ანტისტენე. იმის სწავლა, თუ როგორ უნდა ღამაზად ცხოვრება, არცროდის ზედმეტი არ მოგივა.

აპოლოდორე ხარბად უყურებდა დაუნის რტოს, სოკრატე რომ ათამაშებდა.

სოკრატემ რტო ჭაბუკს გაუწოდა, ოინბაზურად ჩაუკრა თავალი მეგობართ და მხიარულად განაგრძო:

- ანდერძად გიტოვებთ აგრეთვე ჩემს ცბიერ დემონიონს, რომელიც ციკლუს კარგ მესამედად დამიჯდა. უკეთეს იმის ხმა მესმის მე, კაცს, რომელშიაც არაჩვეულებრივი არაფერია, მაშინ დაუჯერებელია, რომ იმისი ხმა სხვათაც არ ესმოდეთ. ყური მიუკლეს და უწინარესად შინაგან ხმას ყოთობირეთ. - სოკრატემ მზერა გაიმკაცრა და პლატონს ჰკითხა: - ჩემს აზრს კარგად თუ ადევნებ თვალყურს, პლატონ?

- დიახ, - მიუგო პლატონმა, - მაგრამ რატომ არის, ძვირფასო, რომ დღევანდელი დღის ამბების შემდეგაც ისე გველაპარაკები, თითქოს გვემშვიდობებოდე?

სოკრატემ ფართოდ გაშალა ხელები და ღიმილით სახე გაუბადრა:

-ეჰ, ჩემო კარგნო! განა როდისმე გვექონია ამდენი საბაასო დრო, რამდენიც აქა გვაქვს? უნდა გამოვიყენოთ - ხომ იცით, რა გაუმაძღარი ვარ ამ საქმეში!

პლატონს ღრმა ნაოჭები გაუჩნდა სიგრძივ შუბლზედ. სოკრატე ბევრს ეცადა, რომ შეენიღბა თავისი სიტყვის აზრი, მაგრამ პლატონი მიუხვდა, რომ ის გამოსამშვიდობებულ სიტყვას ამბობდა; მიუხვდა: მოძღვარი მძიმე შიშს მოეცვა, ვაითუ ჩემთა მოწაფეთ ზურგი შეაქციონ ყველაფერს, რაზედაც ვესაუბრებოდით...

პლატონი ჩამხვდარი იყო ამ შიშს. სოკრატეს საუბრების მეთოდი იყო თავად წინასწარ გაუსვალისწინებლობა. უნდოდა, რომ ყველა თავისით მისულიყო ამა თუ იმ დასკვნამდე, და თუ მოწაფე გზას ვერ პოულობდა, სოკრატე შემაგულიანებელი კითხვებით ეშველებოდა.

უკვე ათ წელზედ მეტი იყო, რაც პლატონი თვალს ადევნებდა, როგორ აიძულებდა სოკრატე ყველას, რომ დამოუკიდებლად გაეკვლიათ გზა გაუგებარ ამბებში, ხავსმოდებულ წარმოდგენებში, ცრუმორწმუნეობასა და სხვა ათასგვარ უღრანში, - გაეკვლიათ გზა როგორც თავისი თავის, ისე მთელი საზოგადოების მიძართ ახალი შეხედულებებისაკენ, ამგვარი მეთოდი დიდად ხიბლავდა პლატონს. გადატანაც კი უნდოდა თავის შრომებში, რომელთაც უკვე ამზადებდა. ამასთან თავის ამოცანად მიაჩნდა, რომ მწყობრ წესრიგში მოეყვანა ყველაფერი, რაც რამ ოდესმე სოკრატესგან მოესმინა, და ამრიგად სამყაროს იმისეული გაგება თავის საკუთართან შეერწყა.

პლატონი სიამოვნებით აკვირდებოდა ფილოსოფოსობის ამ სოკრატესულ მეთოდს. აზრებს, რომლებსაც ამკვიდრებდა სოკრატე ელინურ სამყაროში და ელადის საზღვრებს გარეთაც, ხშირად ის თან აახლებდა ირონიას, ხუმრობას, არცთუ იშვიათად ენაგესლიანობის გვარიანი წილითაც, და ხდებოდა ხოლმე, რომ თითქოს მეთევზე იყო და თავის მსხვერპლს ნაპირზედ ამოგდებული თევზივით აფართხალებდა.

სოკრატესთან ურთიერთობა ყოველთვის ძლიერ ადაგზნებდა პლატონს. ეს ბერი ჯადოქარი ძლიერ უღელვებდა ხელს, და შერმე მღელვარება ესე პლატონს შინ მიკვებოდა. გვიანობამდე ვერ მშვიდდებოდა ხოლმე, ფიქრში განაგრძობდა საუბარს,

იწერდა, ასწორებდა სოკრატესთან გამართულ დიალოგთ.

თავისი პოეტური მგზნებარებით, აზროვნების დამოუკიდებელი მსვლელობით პლატონი დღითი დღე ეუფლებოდა სოკრატეს. მოძღვარს კი არ აჯაბინებდა თავს, არამედ უკვე თვითონ ჯაბნიდა მოძღვარს.

სოკრატე მეგობართა თანა მორთმეულ ღვინოს რომ შეექცა, პირდაპირ არ მიმართავდა პლატონს, არც ზედ უყურებდა - და მაინც დღეს უჩინრატესად პლატონზედ ფიქრობდა. ის დიდად აფასებდა პლატონს, გულით შეჰხაროდა ამ ახალგაზრდა მოწაფეს, რომელიც დაუოკებელი აღკვიბიადეს სრული საწინააღმდეგო პიროვნება იყო. თუ თავაშეუბნული აღკვიბიადე ბავშვობიდანვე აოცებდა და აღიზიანებდა ათენს თავისი განუსჯელი საქციელით, პლატონი სიყრმიდანვე დინჯი, მშვიდი იყო, ბევრს ფიქრობდა - ეს კიდევ არაფერი - რაც არ უნდა ეთქვა, ეწერა ან ეკეთებინა, ყველაფერში თავისი განსაკუთრებული მოძნობლობა და სიმწყობრე ჰქონდა.

ათენი ამ კაცის სახით დიდ პოეტსა და მოაზროვნეს მიიღებსო, თავის თავს ეუბნებოდა სოკრატე.

საკანში ბინდი ჩამოწვა. ყვაკილები და ტოტები უწყლოდ ხმებოდნენ, მოტკბო სურნელებას აფრქვევდნენ.

სოკრატე ნეტარებაზედ ლაპარაკობდა.

- ნეტარება იმ აზრისგან, რომ შენ უკეთესი ხდები და უკეთეს მეგობართ იძენ, - აქ იმისი მზერა პლატონის მზერას შეხვდა, - ერთ-ერთი უზენაესი ნეტარებაა...

სოკრატე პლატონს ნიჭს უფასებდა. ზომიერი სიტყვით და პროზით აზრის ისე მშვენივრად შემოსვა შეუძლია, რომ ყველა აღტაცებით ხვდებაო.

მე კი? - თავის თავს ეკითხება სოკრატე. - მე მხოლოდ დავდიოდი ქალაქში და აქეთ-იქით ვფანტავდი ჩემთა აზრთ... ცოტა იმას, ცოტა ამას, იმის მიხედვით, საით უხვევდა ლაპარაკი. მაგრამ თვითონ არაფერი არ ჩამიწერია ადამიანებზედ ჩემი ნაფიქრალიდან.

მეშვიდე ათეული წელი მიიწურა, სიკვდილის მუქარამ თავს დამიარა და ასე ხელცარიელს მომისწრო. თავი გავეცი და - არავითარი იმედია იმისა, მომავლისთვის დარჩება თუ არა რამე იმისგან, რაც შევიცანი. მე ძრავალი ასობით ადამიანისთვის დავიქუცმავე თავი, მაგრამ რომელ მათგანს ეცოდინება, რა ვარ დაუქუცმაველი? ყველას ვუწილადე ჩემი არსების ნაწილი. მაგრამ არავისთვის არ მიმიცია თავი მთლიანად. იქნებ პლატონს უნდა მივცე? იმას, ვინც ახლა განაცხადა, რომ თუ საკმაო სიმშვიდესა და უშიშროებას ვერ აპოვნინებს, ჩემს ათენს მიატოვებს? მეც ხომ არ მიმატოვებს?

სოკრატე დიდი ხანია ფიქრობდა, პლატონი პირდაპირ მნთქავსო, თითქმის ტკივილით შეიგრძნო მან ეს დღესაც. და თავისი გადმოკარკლული თვალებით რომ უცქეროდა, თავის თავზედ ჩაფიქრდა.

სასამართლოზედ ეს პირველად მოუვიდა, ახლა მეორედ დაემართა: დავსუსტდი, დაუჩაჩანაკდი. და აი ჩემს წინაშეა პლატონი. ახალგაზრდა, ცოდნას მოწყურებული, რომელიც იმისთვის ეძხალება, რომ ქვეყნიერება მკვდარი წურტილიდან დაძრას. სოკრატემ გაიხსენა პლატონის მტრული ანდა იქნებ აგდებული დამოკიდებულება ქსენოფონტის, სიმონის, ანტისთენეს მიმართ. სოკრატე თავის თავს უღმობელ კითხვებს უსვამდა.

არა, პლატონი არაფრით არ ჩამოუკარდება ჩემთა ამ მოწაფეთ, და არა აქვს საფუძველი ეჭვიანობისა, მაგრამ არც საერთო ენა აქვს გამონახული, და აკი ამკარადაც აგრძობინებს ამას. მაგრამ თუ იმათთან არავითარი ურთიერთგაგება არა სურს - ეითომ კარგად ესმის ჩემი?

უეცრად თვალთ დაუბნელდა - უფრო მეტად, ვიდრე საკანში ბნელოდა. თავისი თავის კითხვებით წვალებას მოეშვა. იცოდა: იმ დროში, სიცოცხლის აღსასრულამდე

რომ დარჩა, პასუხს ვერ იპოვნიდა.

პლატონმა შეამჩნია, რომ სოკრატეს თვალებში შუქი ჩაუქრა, შთამბეჭობლად უთხრა:

- რა მადლობელი ვარ, ჩემო სოკრატე, რომ მასწავლე ადამიანით მეცადინეობა! ასე დაბეჯითებით, ცოტა არ იყოს და, აკვიატებულად, შენამდე ეს აზრგმეს-გუქნაა! - ხელი მოხდენილი მოძრაობით აკროპოლისის მხარეს გაიქნია. - ოღეს დაიწყო მზისგან მშვენიერების ქალღმერთნი გამოკვეთე, შემდეგ კი წლების განმავლობაში აქანდაკებდი უკვე არა ქალღმერთთ, არამედ სულიერად მშვენიერ ადამიანთ...

- კარგად ნათქვამია, - შეაქო კრიტონმა.

- მხოლოდ ნათქვამია, - ჩაურთო სოკრატემ.

- არა! არა მხოლოდ! - აენტო აპოდორე.

მაგრამ პლატონს ჯერეთ არ დაესრულებინა სოკრატეს ქება.

- შენ მიაგენი ადამიანის სულს, ღრმად ჩაძირულს, ძველი ჩვეულებებით დამძიმებულს, პატივშიუგებულსა და ფასდაუდებულს. შენ აღმოაჩინე სილაძაზე სულისა - აღმოაჩინე ჩემთა პაპირუსთათვისაც...

შემოვიდა მეციხოვნე, შემოიტანა სანათი.

- დროა.

კრიტონი პირველი ადგა.

- კი, მივდივართ.

სოკრატემ - ახლა სახე განათებული ჰქონდა - პლატონს ხელი მიარზედ დაადო:

- დიდი რამ არის სილაძაზე სულისა, უკეთუ სული ღაძაზია, მაგრამ ბევრად უფრო მეტია სიღუჩვირე ძახინჯი სულისა. არიან კაცნი, რომელნიც ამტკიცებენ: ამ შემთხვევაში ვერაფერს გახდები, ეს ბედისწერაა, ღმერთთა ნებაო. თქვენ კი, ჩემო საყვარელნი, მუდამ ის ილაპარაკეთ, რამ შეველა ამ საქმეშიც შეიძლება - სათნოების სწავლა შესაძლებელია!

7

სოკრატესთან ცხოვრების წლებში ქსანთიპემ ყოველი იმისი ნაბიჯი შეისწავლა, როცა ის დიღ-დიღობით პატარა ეზოში გამოდიოდა ხოლმე, და მისი დაპატიმრების დღიდან მან ქმრისგან დაქნილი ბილიკებით იწყო სიარული.

ცივი წყლით რომ სახეს გაიგრილებდა, ქსანთიპე ჯერეთ ამომავალ მზეს შეეგებებოდა, მერე არტემიდესთან მიდიოდა. იყო შემთხვევა, ქალს სწყინდა, სოკრატე ქანდაკებას მუხლს რომ უკოცნიდა, - განსაკუთრებით მას შემდეგ. რაც ქმარმა უთხრა, იმიტომ კი არა ვკოცნი, რომ ქალღმერთია, არამედ იმიტომ, რომ მშვენიერიაო. სოკრატე უბნობდა, ყოველ ახალ დღეს არა მარტო მზეს, არამედ მშვენიერებასაც უნდა მივესალმოთო.

ქსანთიპეს ჯანმრთელობას სასიკეთო პირი არ უჩანდა. ძლივს მიძოდოდა მარმარილოს ლოდებს შორის, ბარბაცებდა, ლოდებს ეჭიდებოდა და როგორც ქმარმა იცოდა, ისიც თავის თავს ელაპარაკებოდა ხოლმე.

აქ უიძისოდ ყველაფერი ძველდება. ქვები სიგლუვეს კარგავენ. გაღავანი ინგრევა, გამაგრება უნდა. აი ღამპროკლე რომ... ეპ, ის მაწანწალა პაპას გაურბის, სწავლა არა ხურს, სულ პალესტრაში გდება უნდა თავისთანა ეშმაკებთან ერთად! სირბილში გაჯიბრების მოწადინე... უსაქმობაში გაჯიბრება უჯობს! დიდი წელმოწყვეტილი ვინმეა - იქნება ჭკუაში მაშინ მაინც ჩაუარდეს, სამხედრო სამსახურს რომ მოიღუვს... იქ რა ხმაური? სოკრატეს ამბავი ხომ არაფერი მოაქვთ? არა, მეზობლებთან არიან...

ქსანთიპეს სუნთქვა უჭირდა. მაგრამ ღოვინში არ ჩაწოლილა, ძირტომ რომ

გაუშალა, სახლის ზღურბლზედ ჩამოჯდა. საწოლზედ თეთრი ხაღღესასწაული პეპლოსი ეგდო. ქსანთიპემ ხელში აიღო - ლამაზი ქარვის ბალთა ებნია,

მირტომ თავისი პეპლოსი კი მიჩვენა, მაგრამ ბალთა - არა. ნეტავი, ვის არუქა? სოკრატესთან ცხოვრება ადვილი არ იყო, თუმცა, ბევრად უფრო მშვენიერი ჩანდა, ვიდრე ახლა, როცა ის გვერდით აღარა ჰყავდა. რომ გავთხოვდი, მირტოს ხელს ვიყავი. მირტო ახალგაზრდაა. ლამაზია. მიმაღლავს. რომ სოკრატე უყვარს, მან სიხარული შემოიტანა ჩვენს ყოველდღიურობაში, გამრჯე ქალია, მეხმარება, მაგრამ მალიზიანებს... ნუთუ ვერა გრძნობდა, როგორ მიძძიმდა, როცა ვახშამზედ ხელს ხელზედ უსვამდა სოკრატეს? მერე თვითონაც რა ნაზად ექცეოდა. მე ისე ნაზად არცროდის მომქცევია. ან იქნებ დამავიწყდა? ყოველდღე დადის დილეგში იმასთან და მღუმარე ბრუნდება, თუ იმის ხმა გაიგონა, ჩემი ხმა თითქოს აღარც ესმის...

ჭიშკარში დააბრაზუნეს. რა ბრაზუნია! ქსანთიპე გაჭირვებით წავიდა კარის გასაღებად, ჭუჭრუტანაში გაიხედა და ურდულს რომ სწევდა, ბუზღუნი დაიწყო:

- რა ბრაზუნი ატეხე! თითქოს თავში ჩამინახქუნე...

- მაპატიე, ქსანთიპე! თებედან სიძია და კეგეტი ჩამოვიდნენ... - მიახარა მირტომ.

- მერე რა, გიყო?

მირტომ საწოლთან მიიყვანა ქსანთიპე, ძალით დააწვინა.

- გულზედ სველი ტილო დაგადო? იმ ძირების ნაყენი დაგაღვეინო, მკურნალმა ერიქსიმაქემ რომ გამოგიგზავნა?

- არაფერი არ მინდა, - მოუჭრა ქსანთიპემ, - სულერთია, ვერაფერი ვერ მიშველის, ძალიან კარგად იცი. გუშინ ერიქსიმაქე ისეთი სიბრაღულით მიყურებდა...

- ხალხი უფრო მძიმე სნეულებისგან იკურნება, შენც მოიკეთებ, ქსანთიპე, აი ნახავ!

- კარგი, მოეშვი შენს ნუგეშინისცემას, მიდი, თხა მოწველე.

ქაფქაფა რძე რომ დალია, ქსანთიპემ ჰკითხა:

- რაო, რა თქვი სიძიასა და კებეტზედ? ძახსოვს, მოვიდოდნენ ხოლმე, მომიტანდნენ ათას რაღაც-რაღაცებს - სავარცხელს, ხანძლებს, პრიალა ვერცხლის სარკეს...

- ქსანთიპემ მოგონებას გაუღიმა. - შემწვარი ცხვარიც მოჰქონდათ ხოლმე, პაშტეტი, ყველი, გამტკიცული პური... სოკრატე მუდამ ზომაგადასულობასა და ღორმუცელობაზედ ელაქლაქებოდა, თვითონ კი ორი კაცის ოდენს მიირთმევდა, სულ პირს აწკლაპუნებდა... ნუ გეშინია, არაფერი ეშლებოდა, პო, რაო სიძიამ და კებეტმა?

მირტომ მღელვარებით გადასცა არქედემოსის ნათქვამი:

- სახედრები კი არა, ცხენები მოუჭუნებიათ, გაიგე? და მაშინვე კრიტონთან მისულან. ახლა იქ არიან და ბჭობენ, რა მოვილონისძიოთო. ათუნელთ იციან, რომ სასჯელის უმაღლესი ზომა სოკრატეს უსამართლოდ აქვს მისჯილი. სიძიას და კებეტს კი უმცირესის მიღწევა უნდათ! დიდი ჯარიმის გადახდას ეპირებიან! - მირტო მეცხრე ცაზედ იყო. - გამოისყიდიან! დაგვიბრუნდება!

- რაკი ეგრეა, - უთხრა ქსანთიპემ, - მიდი, შეიხედე იმის ოთახში. ვგონებ, აბლაბუდებით არის სავსე...

- არა, ყოველდღე ვალაგებდი...

- აჰა, მაშ ყოველდღე იქ დაძვრები არა! - ის იყო ცეცხლი უნდა დაენთო ქსანთიპეს, მაგრამ მოლბა და წყნარად დაამთავრა, - მირტო, ძვირფასო, წყალი გააცხელე, თავი დამბანე... ნუ დამზარდები!

მირტომ დაბანა ქსანთიპეს თავი, მზეზედ გაუშპრაღა, ვარცხნა დაუწყო.

- რა გადასარევი თმა გაქვს!

- ვითომ? - და ოცნებიანად დასძინა: - სოკრატე ამბობდა, შენისთანა მდიდრული თმა მთელს ათენში არავის არა აქვსო.

სულ ტყუილად მოიჭრნენ ათენში სიმია და კებუტი. მნათა მთაც რომ დაედგათ, ჰელეუათა განაჩენს მაინც ვერ შეცვლიდნენ. მითუმეტეს, ვინ ჩამოიყვანდა უმაღლეს ზომას უმცირესამდე, ანუ ფულად ჯარიმამდე!

სიმიამ და კებუტმა ვერ გაბედეს მოძღვართან ცუდი ამბით მისვლა. ციხის/ნაცვლად ისევ კრიტონს მიადგნენ.

- ფიქრიც კი საშინელია, რომ აგრე უძღურნი ვართ! - შესძინა კებუტმა

- პირდაპირ მაკანკალებს სოკრატეს ბედის გამო, - თქვა სიმიამ.

-მეც, - დაუდასტურა კებუტმა.

კრიტონმა კი თქვა:

- ჩემი შიში, მეგობარნო, ისე დიდია, რომ აღარც კი მეშინია!

- რა გინდა, რომ ქნა? - ჰკითხა კებუტმა.

- იმის სახსნელად მხოლოდ ერთი გზაა რჩება: გაქცევა.

(გავრძელება იქნება)



თარგმნა მკვლეა კახიკია



დიდკულება

გთხოვთ მივუტყვოთ
ვისაც გულგრილად
გვერდს კერ აუვლით,
არ ჩატარდება
ვის გარეშეც დღესასწაული.
ვისაც ექსპრესში,
ღვთის ტაძარში
ელის ნადიში
განსაზღვრულია სამოთხეში
მისთვის ადგილი.
წინასწარ იცის,
ხად მოუწევს მის გვამს დაკრძალვა,
სადა აქვს ადგილ — სამყოფელი
მის წილ აკლდამას.
გთხოვთ მივუტყვოთ
ვისაც ყველა ზღვა, მდინარეში
გემები უცდის,
შეუძლიათ ზღვებში თარეში,
ვისაც უცნობი ანგულოზი

ანდა ცნობილი,
შველას სთავაზობს
ისე როგორც სიყრძის დობილი,
ძაგრამ თუ უცებ აიქაფეს
პირი ზღვა — წყლებმა, უკუნ ღამეში ვერ
მიაგნეს

კარებს საწყლებმა,
ვერც ზარის დილაკს
იპოვიან ბნელში მგზავრები,
არ შეიწყალებთ
ზღვა არც ხვეწნით
არც დაზავებით,
არ გამოჩნდება არც დროულად
ზღვაზე სხვა გემი,
რომ კვლავ დაბრუნდნენ
სასახლეში ნაცემ — ნაკვემნი
მაშინ ისინი განაგრძობენ
გზას საუფლოში
დაწერილი აქვთ განწირულებს
როგორც განგებით.

ზამთარი

ბინდისას ფროთხილად
მოცვიოდა ციდან ფანტელი,
როგორც ყვაილი
ცვივა ვაშლიდან.
მსურს წლების მიღმა
გაეიტყუო დღე დღევანდელი,
გადავიქროლო კვლავ
ფროთებგაშლილმა.
გავფრინდე სადაც
თოვლის ფიფქებს
ზეცა არ მალავს,
მეც ვიფარფატო
მათ ფერხულში,

როგორც ფარვანამ.
მწუხრისას ფიფქი
ვხედავ ფროთხილად მიწას ეხება,
მწუხარე, დაღლილ გულს სწყურია
ვინმეს შეხვედრა.
არსაით ჩრდილი,
ველზე თოვლის სუდარა თეთრი,
თოვლის ფიფქები ცვივიან ფერხთით,
ცვაკვს ფანტელი
ვით ცრიდა, კვლავ ცრის,
მარტოდმარტოა როდესაც კაცი
ძნელზე ძნელია
ყურება ამ ცის.

გულუბრავილო

ტყუილად ჰკონია
 უჭკუოს, გონიერს
 ერთნაირ პატივში
 არიან ორივე.
 ბედზე ერთნაირად
 არიან გამწვრალნი
 მდიდარიც, ღარიბიც,
 ბატონიც, საწყალიც.
 ის ვინც ზის ციხეში
 ან სჯიან საჯაროდ,
 ან ვისაც არასდროს
 უნახავს სამსჯავრო.

ცალხელას ან ვისაც
 მკლავი აქვს ორივე
 უმწეოს ან ვისაც
 გვირგვინით მორთავენ.
 ისიც ვინც გააგდეს
 კარიდან უარით.
 ისიც ვინც ბრძანდება
 ძვირფასი სტუმარი.
 უფალო, ეს მე ვარ
 თუ ვინმე საწყალი,
 ჩვენზე ნუ იქნები ნურასდროს
 გამწვრალი.

უხვილო ძაღვები

მეფეო დუშან!
 შეუნდე ცოლებს
 ვინც ვერ მოძადლა
 ღმერთმა წყალობით.
 უშვილძირობა მიაგო ცოდვად,
 გაუცრიატა ფმანვილქალობა.
 მეფეს ვერ მისცა
 ტახტის მემკვიდრე,
 ვერ იგალობა ჩვილის აკვანთან.
 ღმერთმა არგუნა ფუჭი სამკვიდრო,
 შვილის აღურსის წუთიწაართვა,
 ვინც იციაგა სიზმარ-ოცნებით
 ხისხლში კვლავ უჩქეფს ჰანგი მდიდარი,
 ვის გულებშიაც ნაზად მდინარებს
 სიწმინდე ნაშის, ხმები მდინარის.
 შენ შეიწყალე უშვილძირონი,
 ვინც დედურ გრძნობებს ვერ ეზიარა,

ვისაც აღელვებს, წვიმის შირონი,
 ხიბლავს დღეები უნაპირონი.
 ასჯერ განცდილი წუთი მზიანი.
 მეფეო დუშან, ექმენ მოწყალედ!
 ვინც უხილველის არის მოწამე,
 ვისაც სიყრმიდან შემოეჩვია,
 თრთოლვა ვერხვების და პოეზია.
 ვინც მოიხიბლა
 მთვარის ნათებით,
 ჭირხლის და თრთვილის ბრილიანტებით.
 მოწყალედ ექმენ ჟანა დარკს, საფოს,
 წმინდა ტერეზას და ეფემიას.
 ვინც დიდ ოცნებებს ვერ შელევიათ,
 შენ შეიწყალე მავან-მავანი,
 დალოცე მათი გზა და სავალი
 და ყველა მათი ჩამომავალი
 — და მეც მათ შორის...

ვისაც სიკვდილის უბინა

შეუნდე ვისაც
 მკედართა ხსოვნა
 არა აქვს წესად
 და მათ აჩრდილებს
 ფიქრშიც არ მწყეშავს,
 და აბლაბუდას სუსტი ძაფივით
 ჩქარობს გაწყვიტოს სუსტი კაკშირი,
 გთხოვ მიუტევო იმ მეგობარს
 ვინც არ აღირსებს
 მეგობრის საფლავს
 ალუბლის ხეს ანდა არყის ხეს.
 გთხოვ მიუტევო ურმით მავალს
 ანდა იმ მხედარს,
 ვისაც მშობლიურ საფლავისკენ
 არ სურს მიხედვაც.

ვისაც სიკვდილზე ფიქრიც კი ზარავს,
 შეუნდე წყენა
 ხვალის დღის ზვარაკს.
 ისინი ჩაულუნ საფლავში ძრწოლით,
 თავს იგრძნობს როგორც ^{ქონესული} ~~ქონესული~~
 სხვის მიწაზე გრძნობს ^{უცხოედ} ~~უცხოედ~~
 არც ნათესავი,
 მოყვასი, სწორი,
 არც მშობლიური ენა ცხოველი,
 შეუნდე მათ ვინც
 პროტესტს უცხადებს,
 მოსალოდნელს თუ სიკვდილს უცაბედს,
 ვისაც საფლავში უჭირს მარტოკას,
 თითქოს ტყუილად მიესაჯოთ
 მისთვის კატორღა.

ჯარისკაცის საფლავები

მეფეო ღუშან!
 შეიწყალე საფლავი სამშო,
 ვინც დღევანდლამდე
 გრილ მიწაში
 უცრემლოდ გაძლი.
 ვის გულისთვისაც
 თავს არავინ
 ცრემლით არ იკლავს,
 ვისი საფლავიც ახსენდება
 მხოლოდ ჯარისკაცს.
 მოწყალედ ექმენ
 სასაფლაოს ტკივილით ავსილს,
 ვინც იყო შენგან
 წყალობის და პატივის ღირსი,
 საფლავები, ვით ფარაჯები
 საოცრად მსგავსნი
 ერთი მუორის მიყოლებით
 დამდგარან მწკრივში.
 აქ ვერც ჩიტუნებს,
 ვერც თვალს მოჰკრავ
 წყვილებს გზნებიანს,
 ირგვლივ ყვავები
 და ბილიკზე
 მხოლოდ ბზები.
 მოწყალედ ექმენ, მეფეო,

მხლად გათხრილ სამარეს,
 ჯარისკაცული მწკრივებით ვინც
 ტკივილს ამრავლებს.
 გზისპირ მწოლ მხედარს
 სხვის მიწაზე
 ექმენ მოწყალედ,
 ვერ დაიტირა
 ვინც სოფლურად
 სოფლის მოზარემ,
 ვისაც შორს დარჩა
 მდინარე და ბილიკი წვრილი,
 და მათ ხანაცვლოდ
 საფლავების დამდგარა მწკრივი.
 მოწყალედ ექმენ
 შორეული დედების კვნესას,
 ვისაც სამხრეთში,
 ჩრდილოეთში ელიან დღესაც,
 სასაკლაოზე ვინც გარეკა
 მამა ხელმწიფემ
 და გულისცემა
 უცხო ზეცის ჭერქვეშ შეწყვიტეს.
 არ მოკლებოდეს დე, მათ სულებს
 ცაში მზეობა,
 ადგეთ ღვთის მადლი
 საფლავს ქვეშ და საფლავს ზემოდან.

ერეტიკოსი

გონება მოძადლე
 საბრალო ერეტიკოსს,
 ვინც თავის სიმრავლით
 გიშლიდრებს სამეფოს,
 რომელიც იმაზე ოცნებით გაერთო,
 საწუთრო მის მხრებზე
 ჰკიდია საერთოდ.
 ვისაც სწამს რომ დღემდე
 სუფევდა უკუნი,
 არ იყო მნათობი,
 მთვარე და ვულკანი,
 არც ჭირხლი, არც ჭალა,
 არც ნელი ნიაკი,
 არც თეთრი მწვერვალი
 თოვლ-გვირგვინიანი,
 არ იცის რომ წყარო
 ჩქეფს დასაბამიდან
 და ამას არ უნდა
 მტკიცება თავიდან.
 გონება მოძადლე
 უგუნურ დიდებულს,

სიცრუის ბალიშზე
 მუდამ თავმიდებულს.
 ვინც ფიქრობს წინაპრებს
 არ ქონდათ საგნებით
 არც წმინდა ტაძრები,
 არც ოქროს თასები.
 შეუნდე ყმაწვილკაცს,
 უმეცარ ერეტიკოსს,
 თუ თვითონ არ იცის,
 იქნებ სხვას შეეკითხოს.
 რომელსაც ჰგონია
 თვითონ და სამზეო
 ერთად დარბოდნენ
 და ქვეყნის ზარ-ზეიმს
 ვეღარ შეუღევა ის აწ და მარადის,
 რომ დღემდე ასეთი
 ძალა არ ჰქონია სიყვარულს მის გულში
 კოცონად ავარდნილს.
 შეუნდე, შეუნდე
 მიაბიტი ერეტიკოსს,
 თუ თვითონ არ იცის,
 იქნებ სხვას შეეკითხოს.

წამიანები

არ უცხოვრიათ მუნანათურად
 არც ჩემს წინაპრებს
 არც ღამის მეხრეს,
 დასაბამიდან დღემდე კაცურად
 მშობელი მიწის გადასარჩენად
 და სიმართლისთვის
 რჯიდნენ მარჯვენას.
 მე მტკიცა მათი
 ყველა ტკივილი,
 მათი დარდები დამაქვს სასჯელად,
 თუ ყურს მისწვდება
 მიწის ყივილი
 მამული ლოცვად
 ხელებს ადაჰყრობს.
 ბრძოლის ველიდან
 სისხლისმიერ ძმებს
 არ გამოვიხმობ
 უკან არასდროს.
 თუ მომძლავრდება
 ყიჟინა მტერთა,

დავემუქრება მონის უღელი,
 საკუთარ მკერდით
 ყველანი ერთად
 მტერს დაუხვდებით ქედმოუხრელნი,
 გუტყვით მოვიდეთ ხელი იარაღს,
 გინდაც სიცოცხლე გაქცეთ იარაღ.
 ნუ გაიკვირვებთ
 თუ ავცრემლდები,
 როგორ ტირიან
 ჩუმად დედები. მწყინს როცა ნურგებს
 უმტკრევენ ტოტებს,
 ნადირს აგდებენ ბუნაგიდან,
 რომ ტყვიით მოკვდეს.
 ცოდოა ჩიტი მწარედ მტირალი,
 ჩამოშლილ ბუდეს რომ დატრიალებს,
 მაგრამ ვერაფრით შეუურიგდები,
 თუ ბრძოლის ველზე
 მიაწვდენს ტყვია,
 ვისაც მოყვასი
 ან მამა ჰქვია.
 მიყვარს გულმშვიდი

ყარის რონინი,
ბაღახი მწკანედ გადაბოლილი,
შუეხარი ნიავს,
სულ აურაგაძლილს,
შიყვარს ჩიტების
ღივლივი ცაში.

არ დავიშურებთ
გრძნულ მარჯვენას
თავისუფლების გადასარჩენად
მაგრამ მე ვიცი,
კვლავ დავინახებ
სიკვდილისათვის აღმზარებულს



უბვირგვინო მეფე

გავედრებთ ტახტწართმეულ გამგებელს,
ვისაც მარტოობა აგემეს.
ვინც ღამის სიხუმით გაბეზრდა
და კენტად მიიჯდარა ტრაპეზთან.
ფერნაცვალ ღვინოთი სავსენი
წინ უდგას ფიალები, თასები,
ღვინო ძმარდება და ძველდება,
თანდათან სიცოცხლე ძნელდება.
და თეთრი სამარილე
წინაპრის მოვლილი,
ღვას ხელუხლებელი
პირველი თოვლივით.
ის ძვირფას სტუმრების
თავშეყრას მოელის.
თავშეყრა არაფრის შედგება რომელიც
ვისთვისაც სიკეთის არ იყო მოხურნე,

ის ვეღარ იხილავს სუფრასთან
მოხულებს.

მე ვითხოვ ყველასთვის
განგების წყალობას,
ვისაც ხვალ მოელის ასეთი წვალემა,
ვინც უწყის მიმწუხრის
მწუხრი და ვაება,
პირქეში ღრუბლების ქსელში ვინც
გაება.

ყინულის სიცივე ბოგინობს
ვის სახლშიც,
ჩამქრალა ბუხარი,
გაუწყრა ღვთის მადლი.
გავედრებთ მათ
ვისც მუდმივი სტუმრები,
მერცხლები არიან
მკერდმოხატულები!

ნანა

დაიძინე, ჩემო ბიჭო,
იაენანინაო,
სახლში მხოლოდ დაურჩით ორნი,
ცაზე არ სჩანს დაფიონი,
ვარდონანინაო.
არაფერი მირჩევნია
შენთან სიმღერასო,
მაგრამ საქმე ულუკველი
რა ვქნა კიდევ მაქვსო.
მზემ თვალები გააჭყვიტა
ფიჩხს მოვიტან
ჭალა—ტყვიდან.
დაიძინე, ჩემო შვილო,
საქმეს ხელი მივაშუველო,

იაენანინაო!
მზე მოადგა უკვე სარკმელს,
ოქროს სხივებს ბაღჩას აკმევს,
დაიძინე, ჩემო კარგო,
პირს ღიმილი დაიქარგე,
ვარდონანინაო.
ლავაში მაქვს დასაკრავი,
მისახედი ხბო და კრავი.
საქონელი ბლავის მინდვრად,
მოატანა უკვე ბინდმა,
დამიბრიყვოს ღამის საქმემ,
შინ წყალი მაქვს მოსატანი.
დაიძინე, ჩემო კარგო, იავნანინაო,
პირს ღიმილი დაიქარგე, ვარდონანინაო!



თარგმნა ლია ჟიზიანაძე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუზა

მან სიყრმიდანვე შემიყვარა — კერპი და ურჩი
ვეწაფებოდი მის საბოძეარს უძანგო ტუჩით,
ის იღიმოდა, მე კი ჯერაც სუსტი თითებით
ლერწმის ნახვრეტებს დაუურბენდი და სადიდებელ
ჰიმნს გაუღერებდი; ხან კი, ღმერთთან ნაზიარები,
ფრიგიელ მწვემსთა პასტორალებს ვაწკრიალებდი,
ხან რიურაჟიდან მიმწუნრამდე კრძალვით და შიშით
მის გაკუთილებს ყურს ვუგდებდი მუხების ჩრდილში
და ზოგჯერ ისიც, ღვთაებრივი წყალობის ნიშნად,
განმარიდებდა მყისიერად ხილულის მიჯნას,
გაიფლუებდა ჩემს ახლორე მისა სამოსი,
გადაიყრიდა მწყაზარ შუბლზე ურჩად ჩამოშლილ
ოქროს კულულებს უნაზესი ხელით ქალღმერთის,
გამომართმევდა ავლს და ღვთიურ ბაგით ნახმევი
ჰანგი სივრცეებს იტაცებდა თრთოდა ლერწამი
და თრთოდა ჩემი გულიც, ჩვილი და უშეცარი...

ნეტავი იმ დროს, ოდეს სიყრმის ჩემის ედემი
მანეტარებდა ტკბილი შუბით და იმედებით,
რომ ბოლოს მაინც ჩამოყრიდა ტყუობის ხუნდებს
გონება ჩემი, ტრფობა ჩემი და სული უცებ
მარადისობას შეერწყმოდა წარუწყმედელი...
ყუიციავ — ამ რწმენით სულ იოლად მივატოვებდი
მთელ დედამიწას; დიდის უინით და მონდომებით
უძღურ კერპებსაც მივამსხერევდი ამა სოფლისას
და განწმენდილი სული ჩემი ყოვლის ცოდვისგან,
გაიმაღლებდა ნეტარების უცხო მხარეში,
სად არ სიკვდილი, არ ქვესკნელის ცხრო უარესი,
არამედ სუფევს აზრი წმინდა და შეურყვანელი...

მაგრამ ამაოდ — ურწმუნობის მდრეკავს უღელი,
მირევს გონებას და მიქარწყლებს ფარულ იმედებს
და სიკვდილის და ჯოჯობეთის ლუკმად მიმეტებს...
მაგრამ არც ვნება, არც სურვილი, აღარცა აზრი? —
აღარაფერი? ნუთუ ოდენ კვალი ვარ ნაცრის?
— ო, სიცოცხლეო, კვლავ შენ გესაე მიუსაფარი,
სიკვდიმდე მენტოს გულში ჩემის ხატის ლამპარი!

როს მოკვდაუთათვის მიიღევა მიმწუხრის ჟამი,
 როცა ქალაქის ღურჯი თავანი
 თითქოს მოიხდენს გამჭირვალე საბურველს დამის
 და მშვიდ სიზმრებში დაისავანებს,
 მაშინ ეწვევა დათრგუნვად და ძღვევად სიფხიზლე
 ჩემს ქენჯნილ სულს და ვნება მბორგავი
 მაშინ შეუტევს უძრაობას, მაშინ იღვიძებს
 გულს ჩამორგვილი გველის ვორგალი.
 ოცნება ღვივის და სამშვინუელს სევდით აღმიესებს
 შემონაქმედი მაცდური ფიქრის
 და აღბეჭდილი მოგონების ფრია გრაგნილზე
 მთელი წარსული ჩემს თვალწინ მიქრის
 და მე ვკითხულობ ყოველ სტრიქონს ძრწოდებით და ზიზღით
 და სულს მიხუთავს მხუთრი ფიცხელი,
 რომ აღარ ძაღმძის გარდასულში წარხოცვაც მისხლის
 და კვედრი ღმერთს და თავბედს ვიწყველი.



ვნებანი ჩემი დავასამარე,
 გამოვიგლოვე ჩემი ცხოვრებაც,
 დავრჩი უმწეო თავის ამარა.—
 და არც სიკვდილი მფუცხოვება,

ჩამოჭკნა სიყრძის ჩემის გვირგვინი,
 ვერ გაუმკლავდა ბედის ქარტყელი.
 მწირი, ეული ჩემი ქვითინით
 არარაობის ბჭეს მივაღეჭი—

ასე, გვიანი ზამთრის ბორიო,
 თდეს ხეივნებს დაურბენს ქშენით,
 ააკანკალებს სადღაც ორიოდ
 ფოთოლს, ჩემსაკვით უმწეოდ შთენილთ!...

რად შემომიდექ ასე წყალუხვად,
 ცხოვრებავ, ძღვენო ამაოების,
 თუ კაცი ტანჯვას ვერსად წაუხვად,
 ბედის სიმუხთლეს თუ ეძინები?

ვინ მიხმო, ვისი ძალაუფლებით
 არარაობის მომწყუიტეს ბურანს,
 ვნებით აღმიავსეს და დამლუპველი
 შემომაპარეს ეჭვი და ურკა?

არც მიზანი მაქვს, არრას ვესწ.
 გამოუცხოვდა გულიც, გონებაც
 და სულში ვითარ მწარე ქეძაფი
 დუღს ქაოტური ერთფეროვნება.



რომანი

თარგმნა ბივი კიკილაშვილმა



ნიკიტა კოლოშინოს სკოლის სამზარეულოში იჯდა და ქათამს ჭამდა, ხოლო კოპიონკინსა და სხვა მეომრებს იატაკზე უძინათ. ყველაზე ადრე სონიას გაეღვიძა, ადგა, კართან მივიდა და დვანოვს დაუძახა. მაგრამ ნიკიტამ უპასუხა, დვანოვს წუხელის აქ არცა სძინებია, ალბათ წინ გასწია ახალ საქმეთა საკუთებლად, რადგან კომუნისტიაო. მაშინ სონია დარაჯ პეტრუშას სამყოფელში ფეხშიშველი შევიდა.

— რას წევხართ და რას გძინავთ, — თქვა მან, — როცა საშა აქ აღარ არის!

კოპიონკინმა ცალი თვალი გაახილა; მეორე თვალი კი მაშინ გაეხილა, როცა უკვე ფეხზე ადგა და ქუდიც დაიხურა.

— პეტრუშა, — მიმართა მან დარაჯს, — შენ ყველას სამყოფი წყალი აადუღე, მე კი წაველ და შუადღისას დავბრუნდები!.. წუხელვე რატომ არ მითხარით, ამხანაგო?

— უსაყვედურა სონიას. — ის ყმაწვილი კაცია: თავკეცა — სადმე ველზე ჩაიფერფლება, თანაც დაჭრილია. ახლა ალბათ სადღაც მიაბიჯებს და ქარი თვალებიდან ცრემლებს აყრუვინებს და სახეს უსველებს...

კოპიონკინი ეზოში თავისი ცხენისკენ წავიდა. ტანსრულ, ზორზოხა ცხენს ადამიანის ტარებაზე უფრო ძორების თრევა ეადვილებოდა. იგი პატრონს და სამოქალაქო ომს მიეჩვია, ახალ ღობეებს კვებდა, სახურავების ჩაღას ღრღნიდა და მცირედითაც კმაყოფილდებოდა. მაგრამ საკმარისად რომ გამძღარიყო, ტყისპირი მოლიანად უნდა ჩამოეკორტნა და კვლავ პატარა ტბორი ამოეხვრია. კოპიონკინი თავის ცხენს პატივსა სცემდა და დაფასების მხრივ მესამე რიგში აყენებდა: როზა ლუქსემბურგი, რევოლუცია და შემდეგ ცხენი.

— გამარჯობა, პროლეტარული ძალავ! — მიესალმა კოპიონკინი უხეში საკვებით ზედმეტად გამძღარ, აქოშინებულ ცხენს. — როზას საფლაკზე წავიდეთ!

კოპიონკინი იმ იმედითა და რწმენით სულდგმულობდა, რომ ყოველგვარი საქმიანობა, ყოველი გზა მისი ცხოვრებისა უსათუოდ როზა ლუქსემბურგის საფლაკთან მიიყვანდა. იმედი გულს უთბობდა და ყოველდღიური რევოლუციური საგმირო საქმეების აღსასრულებლად აღძრავდა. ცხენს ყოველ დღით როზას საფლაკისკენ წასვლას უბრძანებდა, და ცხენიც სიტყვა „როზას“ ისე მიეჩვია, რომ ჭვინების შეძახილად მიიჩნევდა. როგორც კი „როზას“ ბგერებს გაიგონებდა, უმაღვე ფეხებს შეარხევდა, სადაც გინდა ყოფილიყო, თუნდ საფლობში, თუნდ დაბურულ ტყეში, თუნდ თივლის ნამქერთა ძორეში.

როზა-როზა! — გზადაგზა დროგამომწვევით ბუტბუტებდა კოპიონკინი და ცხე აც ზორზოხა სხეულს ძაბავდა.

— როზა! — ოხრავდა კოპიონკინი და შურდა იმ ღრუბლებისა, გერმანიისკენ რომ მიილტვოდნენ: ეს ღრუბლები გადაუვლიდა როზას საფლაკს და იმ მიწას, როზას ფეხსაცმელთა ნაკვალევი რომ აჩნდა. კოპიონკინის გუძანით ყველა გზა და ყველა ქარი გერმანიისკენ მიემართებოდა და თუ იქით არ მიემართებოდნენ, სულ ერთია, მაინც დედამიწას ირგვლივ შემოუვლიდნენ და როზას სამშობლოს მიაღწევდნენ.

თუ წინ გრძელი გზა ედო და მტერი არ შემოეყრებოდა, კოპიონკინი უფრო ძალუძად, უფრო გულუფიცხად დედავდა.

მწვავე ნალექი გულში უგუბდებოდა, შემთხვევა კი არ ეძლეოდა, რომ გამირობა

ჩაედინა და უული სხეულის წყურვილი დაეოკებინა.

— როზა! — საბრალოდლად წამოიფვირებდა კოპიონკინი და ცხენს აუღრთობდა; უკაცრიელ ადგილებში ტიროდა, მსხვილი ცრემლები ბლომ-ბლომად სცვიოდა და მერე სახეზე თავისით აშრებოდა.

პროლეტარულ ძალას, ჩვეულებრივ, გზა კი არა, საკუთარი სხეულის ჩიმძიმე ქანცავდა. ცხენი მდინარე ბიტიუგას ხეობის მდუღლოებზე გაიზარდა და ხანდახან, როცა სამშობლოს მრავალნაირი ტყბილი ბალახი გაახსენდებოდა, წამოაშლილს ლაშებიდან დორბლი სცვიოდა.

— ლეჟვა კიდევ მოგესურვილა? — უნაგირიდან ჩაუკითხებოდა კოპიონკინი. — გაისად შამბხარში ერთი თვით შეგიშვებ საიალად, მერე კი პირდაპირ საფლაავზე წავიდეთ...

ცხენი პატრონის მაღლიერებას გრძნობდა, გზისპირა ბალახს მოწადინებით თქერავდა და მიწის წიაღშივე ტვინდა. გზა თუ უცებ ორად განშტოვდებოდა, კოპიონკინი მაინცდამაინც არ ცდილობდა, ცხენი რომელიმე მხარეს წარემართა, პროლეტარული ძალა დამოუკიდებლად ირჩევდა ერთ-ერთ გზას და ყოველთვის იქ მიდიოდა, სადაც კოპიონკინის შეიარაღებული ხელი ესაჭიროებოდათ, ხოლო კოპიონკინი გეგმისა და მარშრუტის გარეშე, ალაღ ბედზე და ცხენის ნება-სურვილით მოქმედებდა; მას საზოგადო ცხოვრება საკუთარ თავზე ჭკვიანად მიაჩნდა.

ბანდიტი გროშიკოვი კოპიონკინზე დიდხანს ნადირობდა, მაგრამ მასთან შეხვედრა ვერაფრის დიდებით ვერ მოახერხა — სწორედ იმიტომ, რომ კოპიონკინმა თავადაც არ უწყოდა, საით გასწევდა, ხოლო გროშიკოვს მით უმეტეს არ ეცოდინებოდა.

კოპიონკინმა ვოლოშინიდან ხუთიოდე ვერსი გაიარა და ხუთკომლიან ხუტორს მიაღწია, ხმალი იშიშვლა და ხმლის წვერით ყველა ქოხის კარზე მორიგეობით მიაკაკუნა.

ქოხებიდან გადარეული დედაკაცები გამოცვივდნენ, დიდი ხანია, მზად რომ იყვნენ, სიკვდილს შეგებებოდნენ.

— რა გინდა, ჩემო კარგო, ჩვენი ხუტორიდან თეთრები წავიდნენ, ხოლო წითლები აქ არ იმალებიან!

— ყველანი დედაბუდიანად ახლავე გარეთ გამოდით! — ომახიანად ბრძანა კოპიონკინმა.

ბოლოს და ბოლოს შვიდი დედაკაცი და ორი ბერიკაცი გამოვიდა, — ბავშვები არ გამოუფვანიათ, ხოლო ქმრები საკუჭნაოებში მიმაღ-მომაღეს.

კოპიონკინმა ხალხს შეათვალიერა და ბრძანა:

— დაიშალეთ და სახლებისკენ გასწით! მშვიდობიან შრომას შეუდექით! ამ ხუტორში დვანოვი ნადდად არ იყო.

— პროლეტარული ძალავ, როზასკენ გავწით, — კვლავ მიმართა ცხენს კოპიონკინმა.

პროლეტარულმა ძალამ გზას ისევ ჯიქურ შეუტია.

— როზა! — საკუთარ ხელს ჩასმახებდა კოპიონკინი და რომელიმე შიშველ ბურქს ეჭვიანად შეათვალიერებდა: როზაზე ესეც ახევე დარდობს თუ არაო. თუ ისევე არ დარდობდა, კოპიონკინი მისკენ ცხენს გააქანებდა და ხმლით აკაფავდა: თუ როზა არ გჭირდება, მამ სხვისთვისაც ნუ იარსებებ — როზაზე უფრო საჭირო არაფერიაო.

კოპიონკინს ქუდში პლაკატი ჰქონდა ჩაკერებული, რაზედაც როზა ლუქსემბურგი იყო გამოსახული. პლაკატზე როზა საღებადებით ისე ლაშაზად იყო დახატული, ვერც ერთი ქალი ვერ შეედრებოდა. კოპიონკინს პლაკატის სიზუსტისა სჯეროდა და შიშობდა, ქუდიდან რომ ამოვარდვით, ნაღველი მომეძალებათ.

კოპიონკინი საღამომდე უკაცრიელ ადგილებს მიუფვებოდა და დარტაფებს ათვალიერებდა, არაქათგამოლეულ დვანოვს ხაღმე ხომ არ სძინავსო. მაგრამ

ყველგან სიწყნარე და სიცარიელე ხვდებოდა. შებინდებისას ერთ წაგრძელებულ სოფელს მიაღწია, სახელად ძალოე რომ ერქვა, და მოსახლეობის შემოწმებას კომლობრივად შეუდგა, დვანოვს დაეძებდა, რომელიმე ოჯახში ხომ არ არისო. სოფლის ბოლოს შემოაღამდა კიდევაც, ხრამს მიაშურა და პროლეტარული ძალა შეაჩერა, იქ ორივენი — კაციცა და ცხენიც — მიუჩინეს და მიუღიეს.

დილით კობიონკინმა პროლეტარულ ძალას გასაძღომად დრო მისცა, მერე ამხედრდა და კვლავ იქით გაემართა, საითაც ეწადა. გზა ქვიშის ნარჩებს მიუყვებოდა, მაგრამ კობიონკინი ცხენს დიდხანს არ აჩერებდა.

პროლეტარულ ძალას სიარული უძნელდებოდა და ოფლი ბუმბულებად ასხდებოდა. შუადღემ როცა მოაწია, კობიონკინი მცირეკომლიან სოფელს მიაღწია, შიგნით შევიდა და ცხენი სულის მოსათქმელად შეაჩერა.

ძირხვევებში ქურქიანი და თავსაფრიანი ქალი მოდიოდა.

— ეინა ხარ? — შეაჩერა იგი კობიონკინმა.

— მე? ბებიქალი ვარ.

— განა აქ ეინმე კიდეც იბადება?

ბებიქალს გულდია ხასიათი ჰქონდა და კაცებთან ლაპარაკი უყვარდა.

— რატომაც არა! კაცები ომიდან უამრავნი დაბრუნდნენ, დედაკაცებსაც ხალისი მოემატათ...

— იცი რა, დედაკაცი: ახლა აქ ერთმა უქუდო ყმაწვილმა კაცმა მოირბინა იმისმა ცოლმა ვერა და ვერ იშშობიარა, — ალბათ შენ დაგეძებს. წადი, ქოხებს ჩამოუარე და მოიკითხე, აქ სადმე იქნება, მერე მოდი და მითხარი! გაიგონე?

— გამხდარ-გამხდარი? სატინისპერანგიანი? — ჰკითხა კობიონკინს ბებიქალმა.

კობიონკინს უნდოდა, გაეხსენებინა, მაგრამ ვერაფერი გაიხსენა. ადამიანები მისთვის ორნაირი სახისანი იყვნენ: მისიანები და უცხონი. მისიანებს ცისფერი თვალები ჰქონდათ, უცხოებს — უმეტესად თაფლისფერი და შავი, ოფიცრისა და ბანდიტის თვალები; სხვა რამეს კობიონკინი აღარ აკვირდებოდა.

— ის არის! — დაეთანხმა კობიონკინი ბებიქალს. — სატინის პერანგიანი და შარველიანი.

— იმას ახლავე მოგვერი — ფეკლუშასთან ზის; ფეკლუშა კარტოფილს უზარშავდა...

— მომგვარე, დედაკაცი, პროლეტარულ მადლობას გეტყვი! — უთხრა კობიონკინმა და პროლეტარულ ძალას ხელი მოუთათუნა. ცხენი მანქანასავით იდგა — უზარმაზარი, მთრთოლარე, კუნთთა ნასკვებით შემოსალტული; ასეთ ცხენს მარტო ყამირი უნდა ახვნევიანო და ხეები ამოაძირკვინო.

ბებიქალი ფეკლუშასთან წავიდა.

ფეკლუშას კახის სახელოები დაეკაპიწებინა, გატიკნული, ვარდისფერი მკლავები გამოეჩინა და თავის ქვიშ-ობრულ ავლადიდებას რეცხავდა.

ბებიქალმა პირჯვარი გადაიწერა და ფეკლუშას ჰკითხა:

— შენი მდგმური სად არის? ვილაც მხედარი დაეძებს.

— სძინავს, — უპასუხა ფეკლუშამ. — ყმაწვილს ისედაც სული ძლივსდა უდგას, არ გავადვიძებ.

დვანოვი ღუმელზე იწვა, მარჯვენა ხელი ქვემოთ ჩამოეკიდა და ძარღვების ფეთქვაზე უტყობოდა, რომ ღრმად და ნელა სუნთქავდა.

ბებიქალი კობიონკინთან დაბრუნდა და კობიონკინი ფეკლუშასთან ფეხით თვითონ მივიდა.

— სტუმარი გაადვიძე! — ერთმნიშვნელოვნად უბრძანა ფეკლუშას კობიონკინმა.

ფეკლუშამ დვანოვს ხელი შეუნჯდრია. იგი ძილში შეკრთა, უშალ აღაპარაკდა და პირისახე შემოატრიალა.

— წავიდეთ, ამხანაგო დვანოვო! — სთხოვა კობიონკინმა. — მასწავლებელმა შენი მიყვანა დამაქალა.

დვანოვმა გამოიღვიძა და აზრი მოიკრიბა:

— არა, აქედან არსადაც არ წავალ. უკანვე დაბრუნდი.

— ნება შენია, — უთხრა კოპიონკინმა. — რაკიდა ცოცხალი ხარ, ესეც კარგია.

კოპიონკინი უკან გამობრუნდა. ცხენს დაღამებამდე მიაჭენებდა, ~~სამაგიეროდ,~~ ბევრად უფრო მოკლე გზით მიდიოდა. უკვე დაღამდა, როცა წისქვილი და სკოლის განათებული ფანჯრები დაინახა.

უკრუნეული

დარაჯი პეტრუშა და მრაჩინსკი ხონიას ოთახში შაშხა ~~თამაშობდნენ~~ ხალხო თვითონ მასწავლებელი სამზარეულოში მაგიდასთან იჯდა და ხელისგულებზე თავჩამოყრდნობილი მწუხარებას მისცემოდა.

— საშას წამოსვლა არ უნდა, — მოახსენა მას კოპიონკინმა. — მარტოხელა დედაკაცის ქონში ღუმელზე წევს.

— წევს და იწევს, — დვანოვზე ხელი აიღო სონიამ. — იმას სულ ჰგონია, რომ პატარა გოგო ვარ, მე კი, არ ვიცი რატომ, გულზე სეველა მაწევს.

კოპიონკინი ცხენებისკენ წავიდა. მისი რაზმის წევრები ცოლებიდან ჯერაც არ დაბრუნებულიყვნენ, ხოლო ხალხის საჭმელ-სასმელით გამაძლარი მრაჩინსკი და ნიკიტა უქმად იყვნენ.

„ ასე ხომ ომში ყველა სოფელს გამოვხრავთ, — გულში დაასკვნა კოპიონკინმა. — ზურგში არავეითარი ბაზა აღარ დაგვრჩება: როზა ლუქსემბურგამდე მაშინ როგორღა უნდა მივალწიო?“

მრაჩინსკი და ნიკიტა ეზოში ყასიდად ფუსფუსებდნენ, რათა კოპიონკინისთვის ეჩვენებინათ, მზადა ვართ, ყოველნაირი გულმოდგინება გამოვიჩინოთო. მრაჩინსკი ძველ ნაკელზე შეძვარიყო და ფეხით ტკეპნიდა.

— ოთახში შედით, — უთხრა მათ კოპიონკინმა, თან ფიქრობდა, მათი ბედი როგორ გადაეწყვიტა. — ხვალ კი ორივეს გაგათავისუფლებთ. თქვენისთანა წახდენილები ბარგად რაზე გავიხადო? აბა, რანაირი მტრები ხართ? მუქთამჭამლებად იქეციოთ! ახლა იცით, მე რომ ვარსებობ — ჰოდა, ესაც კმარა.

თავისი ცხოვრების ამ მდორედ მდინარე უამს დვანოვი მყუდრო ბინაში იჯდა და უცქეროდა, მასპინძელი ღუმელთან გაბმულ თოკებზე თეთრეულს როგორ ფენდა. ქილის ნატყხში ცხენის ქონი სამაზრო ქალაქში ნახახ სურათებზე გამოსახულ ჯოჯოხეთის ალის ენებად ენთო; ქუჩაში სოფლელები მიდიოდნენ უპატრონოდ მიგდებული გარეუბნებისკენ. სამოქალაქო ომს იქ სახალხო ქონება ნაგლეჯ-ნაგლეჯ მიმოეფანტა — უთავბოლოდ ეყარა მკვდარი ცხენები, საზიდრები, ბანდიტთა ზუბუნები და ბალიშები. ბალიშები ბანდიტებს უნაგირების მაგიერობას უწევდა; ამის გამო ბანდიტთა რაზმებში შემოიღეს ბრძანება: ყურთუკებზე! ამიტომაც იყო, წითელი არმიის მეთაურები ბანდიტებს ცხენების ჭენებით როცა მისდევდნენ, კვალდაკვალ მისძახოდნენ: ყურთუკები ქალებს დაანებეთო!

დაბა შუა ბოლტაი ღამდამობით ხეკებსა და ტყისპირებში გადიოდა, განვლილ ბრძოლების ნაკვალევს მიუყვებოდა და სამეურნეო ნივთებს დაეძებდა. ბევრნი რაღაცას მოიხელთებდნენ ხოლმე: სამოქალაქო ომის კვალდაკვალ საშოვარზე სიარული საზარალო არ იყო. სამხედრო კომისარიატის ბრძანებები — ნაპოვნი სამხედრო აღჭურვილობა დაგვიბრუნეთო, სულ ტყუილად ვკიდა: საომარ იარაღებს ნაწილ-ნაწილ შლიდნენ და მშვიდობიანი საქმიანობის მექანიზმებად გარდაქმნიდნენ — წყლით გასაციებელი სისტემის მქონე ტყვიამფრქვევს თუჯის ქვაბს მიადგამდნენ და არაყის სახდელი აპარატი გამოდიოდა, სალაშქრო სამზარეულოებს სოფლის აბანოებში ჩააშენებდნენ, სამღუიმიანი ქვემების ზოგიერთ ნაწილს მატყლის საპენტებისთვის იყენებდნენ, ხოლო ქვემების საკეტებისგან პალბრიცებს აკეთებდნენ წისქვილის თვალისთვის.

დვანოვმა ერთ ეზოში ინგლისური დროშისგან შეკერილი ქალის პერანგიც კი ნახა. პერანგს რუსეთის ველზე მქროლი ქარი აშრობდა, ალაგ-ალაგ უკვე გახეულიყო და გაწყალბულიყო, ეტყობოდა, რომ კარგა ხნის ნახმარი იყო.

დიასახლისმა ფეკლა სტეპანოვნამ საქმიანობა მოათავა.

— ყმაწვილო, ასე რამ ჩაგაფიქრა? — ჰკითხა მან დვანოვს. — გშია, თუ მოწყენილი ხარ?

— არა, — უპასუხა დვანოვმა, — შენს ქონში სიწყინარეა და ვისვენებ დაისვენე. ასაჩქარებელი რა გაქვს, ჯერ ახალგაზრდა ხარ ცხოვრებას მოესწრები...

ფეკლა სტეპანოვნამ დაამთქნარა და პირზე დიდი, ნაჯაფი ზეფლა დაეჭრა.

— მე კი... ჩემი ცხოვრება გავლიე. კაცი მეფის ობში მომიკლეს, რისთვისღა ვარ, აღარ ვიცი, მარტო ძილიდა მახარებს.

ფეკლა სტეპანოვნამ იცოდა, რომ არავის არაფრად სჭირდებოდა და ტანსაცმული დვანოვის თვალწინ გაიხადა.

— ჭრაქი ჩააქრე, — უთხრა დვანოვს ფეხშიშველა ფეკლა სტეპანოვნამ, — თორემ ხვალ ადგომისას ვედარაფერს აეანოებთ.

დვანოვმა ქიღის ნატყხს შეუბერა. ფეკლა სტეპანოვნა ღუმელზე ავიდა.

— შენც მაღლა ამოდი... ახლა ისეთი დრო აღარ არის — არ შეძარცხვენ და თვისონზე თვალს მომარიდებ.

დვანოვმა იცოდა, ქონში ეს ქალი რომ არ ყოფილიყო, თვითონ აქედან უმაღლეს ან სონიასთან გაიქცეოდა, ანდა ხასწრაფოდ შორს გასწევდა სოციალიზმის საძიებლად. ფეკლა სტეპანოვნამ იგი შეიფარა, თავის ალალ ქალობასა და უბრალოებას მიაჩვია, თითქოს მისი გარდაცვლილი დედის და ყოფილიყო, დედისა, ვინც საშას არ ახსოვდა და არც შეიძლებოდა, რომ ჰყვარებოდა.

ფეკლა სტეპანოვნამ როცა დაიძინა, დვანოვს მარტოობა გაუძნელდა. მთელ ღღეს ერთმანეთს თითქმის არ გამოლაპარაკებინა, მაგრამ საშას მარტოობა არ უგრძენია: ფეკლა სტეპანოვნა მასზე ასე თუ ისე ფიქრობდა, დვანოვიც მის იქ ყოფნას განუწყვეტლივ შეიგრძნობდა და აკვირებულ ფიქრებს თავს ამით აღწევდა. ახლა დვანოვი ფეკლა სტეპანოვნას ცნობიერებაში არ არსებობდა, ამის გამო შეიგრძნო, გულს ძილი როგორ დაუძძიმებდა, როცა თავადაც ყველა დაავიწყდებოდა; მის გონს სხეულის სითბო ხაღვაც გარეთ გარიყავდა და საშა იქ განმარტოებულ, ნაღვლიან მეთვალყურედ დაშთებოდა.

ძველებური რწმენა ამ განდევნილ, სუსტ ცნობიერებას მფარველ ანგელოზს უწოდებდა. დვანოვს ეს კიდევ ახსოვდა და ცოცხალი ადამიანის ჩახუთული წყვდიადიდან სიცივეში განდევნილი მფარველი ანგელოზი შეებრალა.

საღვაც თავისი გულის ღონემიხდილ სიმყუდროვეში დვანოვი სონიაზე ნაღვლობდა და არ იცოდა, რა ექნა; ის კი სურდა, რომ სონია ხელში აეყვანა და სხვა, უკეთეს შთაბეჭდილებათა საუფლოსკენ წახულიყო ხალისიანი და თავისუფალი. ფანჯრის მიღმა შუქი ჩანებდა და ქონში ჰაერი შეგუბდა, რადგან სწოლი ქარი არ უბერავდა.

გარეთ მიწა მიმავალთა ფეხქვეშ შარიშურობდა. ომის განიარაღებაზე ნაჯაფი ხაღხი შინ ბრუნდებოდა. ზოგნი რაღაც მიძმეს მოათრევდნენ და ბაღახს მიწიანად ჩიჩქნიდნენ.

დვანოვი ღუმელზე უხმაუროდ ავიდა. ფეკლა სტეპანოვნა იღლიებს იფხანდა და აქეთ-იქით ტრიალებდა.

— წუები? — უხალისოდ ჰკითხა დვანოვს ძილმღვიძარემ. — მამ რა უნდა ქნა, დაიძინე.

ღუმლის მხურვალე აგურებმა დვანოვი უფრო მეტად ააფორიაქა და მაშინდა დაიძინა, როცა სითბომ მოთენთა და თავი მიავიწყა. მცირე ნიუთები — კოლოფები, ქოთნის ნატყხები, თექის ჩექმები, კოფთები — უზარმაზარ, მიძიმე საგნებად იქცა და დვანოვს ზედ ჩამოემხო: ეს საგნები მას თავისი სხეულის შიგნით უნდა შეეშვა. საგნები გაჭირვებით შედიოდა და კანს უჭიმავდა. დვანოვს ყველაზე მეტად იმისი ეშინოდა, კანი გამისკდებაო. შემზარავი იყო გაცოცხლებული, მომაშთობელი

საგნები კი არა, არამედ ის, რომ კანი გაუსკდებოდა და კანის ნაკერებში გაჩხერილი თქვის ჩექმის მშრალი და ცხელი ბეწვი სულს შეუხუთავდა.

ფეკლა სტეპანოვნამ დვანოვს სახეზე ხელი დაადო. დვანოვს მოეჩვენა, რომ მჭკნარი ბალახის სუნი მოედინა. ამ სუნმა გაახსენა მესერი, იქ მდგარ საბრალობელ, ფეხშიშველ, უმწიფარ ქალიშვილთან გამომშვიდობება, და ფეკლა სტეპანოვნას მკლავზე ხელი მოუჭირა. თანდათან მშვიდდებოდა, სევდას ემიჯნებოდა, მკლავზე ხელს ზემოთ და ზემოთ უჭერდა და გვერდზე ეკვროდა.

— რას ბორგავ, ბიჭო? — დვანოვის აფორიაქება იგრძნო ფეკლა სტეპანოვნამ, — დაწყნარდი და დაიძინე.

დვანოვმა არაფერი უპასუხა. გული, როგორც მაგარი რამ, ისე აუბაგუნდა, მკერდს შიგნით თავისუფლების შეგრძნებამ გაუხარა და აუხშიანა. დვანოვის არსებაში მყოფი დარაჯი თავის სამყოფელში იჯდა, არც რაიმე უხაროდა, არც რაიმეზე წუხდა, მხოლოდ მოვალეობას იხდიდა.

დვანოვი ფეკლა სტეპანოვნას ნაცადი ხელებით ეფერებოდა, თითქოს წინასწარ განსწავლულად. ბოლოს ხელები გაუშეშდა გაოცებულსა და შეშინებულს.

— რა მოგივიდა? — ყურში ჩასჩურჩულა ფეკლა სტეპანოვნამ. — ეგ ყველას ერთნაირი აქვს.

— თქვენ დები ხართ, — უთხრა დვანოვმა ნაზად, სონია თვალწინ ნათლად დაუდგა და მოესურვა, სიკეთე მის მაგივრად მისი დისთვის გაეწია. თავად კი არც სინარულს გრძნობდა და არც სრულ თავდავიწყებას. ყური ერთთავად გამახვილებული ჰქონდა და თავისი ზუსტად მომუშავე გულის ძლიერი ხმა ჩაესმოდა. მაგრამ, აი, გული დაცხრა, შენეღდა, გაბათქუნდა და დაიხურა, მაგრამ უკვე დაცარიელდა. გული პირს ძალზე დიდად აღებდა და უნებურად თავისი ერთადერთი ჩიტი გამოაფრინა. მუთკალყურე დარაჯმა გაფრენილ ჩიტს თვალი გააყოლა. ჩიტს ფრთები სევდიანად გაეშალა და მჩატუნ თითქმის გამქრალ სხეულს მიაღვივლივებდა. დარაჯი ატირდა — იგი ადამიანის სიცოცხლეში ერთხელ ტირის, სინანულის გამო სიმშვიდეს მხოლოდ ერთხელ კარგავს.

ღამის თანაბარი სიმკრთალე ქოხში დვანოვს მღვრიედ ეჩვენა და თვალები დაებინდა, პატარა საგნები თავ-თავიანთ ალაგას ეწყო, დვანოვს არაფერი ეწადა და ჯანსაღად დაიძინა.

დილამდე მაინც ვერ დაისვენა და გვიან გაიღვიძა, როცა ფეკლა სტეპანოვნა ღუმელში ცეცხლს ანთებდა; გაეღვიძა, მაგრამ ისევ დაიძინა, ისეთ დაქანცულობას გრძნობდა, თითქოს გუშინ დაჭრეს და ძალ-ღონე ამან გამოუღიაო.

შუადღისას ფანჯარასთან პროლეტარული ძალა გაჩერდა. მეგობრის საძებნელად წამოსული კოპიონკინი ცხენიდან ჩამოხტა.

მან ხმლის ქარქაში მინაზე მიაკაკუნა.

— დიასახლისო, სტუმარი ჩემთან გამოგზავნე.

ფეკლა სტეპანოვნამ დვანოვს თავი შეუხუჯდრია:

— ყმაწვილო, გამოფხიზლდი, მხედარი გეძახის!

დვანოვი ვაი-ვაგლახით ფხიზლდებოდა და ირგვლივ მხოლოდ ცისფერ ბურუსს ხედავდა.

ქოხში კოპიონკინი შემოვიდა; მას ქურთუკი ეცვა და ქუდი ეხურა.

— რაო, ამხანაგო დვანოვო, აქ სამუდამოდ დაეყოფე? აჰა, შენი ტანსაცმელი, მასწავლებელმა გამოგიგზავნა.

— აქ სამუდამოდ დავრჩები, — უთხრა დვანოვმა კოპიონკინს.

კოპიონკინმა თავი დახარა, რადგან კერაფერი მოისაზრა.

მაშინ წავაღ. მშვიდობით, ამხანაგო დვანოვო.

დვანოვმა ფანჯრის ზედა ნახევრიდან დაინახა, კოპიონკინი ველზე ცხენს როგორ მიაჭენებდა და შორეული მხრისკენ მიემართებოდა, პროლეტარული ძალა ხნიერ მუშაობს იქით მიაქანებდა, სადაც კომუნისმის მტერი სულდგმულობდა. ლატაკი,

შორეული, ბედნიერი კოპიონკინი დვანოვს თვალთაგან თანდათან ეკარგებოდა.

საშა ლუმლიდან ჩამოხტა და ქუჩაშილა გაახსენდა, ფეხი რომ აწუხებდა, მაგრამ გაიფიქრა, ჭრილობას მერე გავუფრთხილდები, ახლა კი ტკივილს როგორმე გავუძლებო.

— ჩემთან რატომ მოირბინე? — ჰკითხა მას კოპიონკინმა, ცხენი ახლა ნაბიჯით მიჰყავდა. — მე ხომ ძაღვ მოგკვდები, შენ კი ამ ცხენზე მარტო დარჩები!..

მან დვანოვი ახწია და პროლეტარული ძალის გავაზე შემოიხევა.

— ხელები მუცელზე შემომჭიდე. გზას ერთად გავუყვებით და ვეფრქვებით!..

პროლეტარული ძალა მანამდე მიაბიჯებდა, სანამ არ დასდებოდა საღამოთი დვანოვი და კოპიონკინი ველისა და ტყის მიჯნაზე შეჩერდნენ, სადაც ტყის მცველს ქონი ედგა, და ღამის გასათევად მასთან დარჩნენ.

— შენთან საეჭვო არავინ ყოფილა? — ჰკითხა ტყის მცველს კოპიონკინმა.

გზად ჩავლილთაგან საყარაულო ქონში ღამე მრავალს გაეთია და ტყის მცველმა უპასუხა:

— საჭმელ-სასმლისათვის ახლა რამდენი ვინმე მოვა — ყველას ხომ ვერ გაიხსენებ! მე სულ ხალხში ვტრიალებ, ყველა სიფათის დამახსოვრება სად შემიძლია!

გარეთ ტრუსის სუნი რატომ დგას? — კოპიონკინს გაახსენდა, ჰაერი სხვანაირი რომ იყო.

ტყის მცველი და კოპიონკინი გარეთ გაუდნენ.

— აბა, ყური მიუგდე, — უთხრა ტყის მცველმა კოპიონკინს, — ქარი არა ქრის, ბალახი კი მაინც ზუზუნებს.

— არა ქრის, — ყური მიუგდო კოპიონკინმა.

— ვიღაც გამკლულებმა თქვეს, ეს იმიტომ ხდება, რომ თეთრი ბურჟუები რადიოთი სიგნალებს გადმოსცემენო. ვერ ამჩნევ, ისევ ტრუსის სუნი რომ მოედინა?

— მე ვერ ვამჩნევ, — თქვა კოპიონკინმა.

— შენ ცხვირი გაჭედილი გაქვს. ჰაერს უმავთულო ნიშნები ტრუსავს.

— ჯოხის ქნევა დაიწყე! — სასწრაფოდ გასცა ბრძანება კოპიონკინმა. — იმათი ხმაური აურიე დაე, ვერაფერი გაარჩიონ.

კოპიონკინმა ხმალი იშეშვლა და მავნე ჰაერს ჩეხვა დაუწყო. მანამდე იქნედა, სანამ ნაჩვევი ხელი გაუძლებდა და მხარი არ გაუბუფდებოდა.

— კმარა, — ხმლის ქნევა შეაჩერა კოპიონკინმა, — ახლა იმათი სიგნალები ბუნდოვანია.

კოპიონკინს გამარჯვებამ კმაყოფილება მიანიჭა. მას რეგოლუცია როზა ლუქსემბურგის სხეულის უკანასკნელ ნაშთად მიაჩნდა და ამ მცირე ნაშთსაც უფრთხილდებოდა. გაჩუმებულმა ტყის მცველმა კოპიონკინსა და დვანოვს თითო ნატყისი კარგი პური მისცა, თვითონ კი მოშორებით დაჯდა. პურის გემოსთვის კოპიონკინს ყურადღება არ მიუქცევია, — დაუგემოვნებლად ჭამდა, ეძინა ისე, რომ სიზმრებისა არ ეშინოდა, ისე ცხოვრობდა, ყოველთვის უახლოეს გზას ირჩევდა და საკუთარ სხეულს არ ემონებოდა.

— რატომ დაგვაპურე, იქნებ კარგი ხალხი არა ვართ? — ჰკითხა ტყის მცველს დვანოვმა.

— შენც ნუ შეჭამდი! — უსაყუდურა კოპიონკინმა. — პური მიწაში თავისით აღმოცენდება, გლეხი მიწას კავით მხოლოდ ფხოჭნის, როგორც დედაკაცი ძროხის ჯიქანს! ეს ნაკლული შრომაა. ხომ ასეა, მასპინძელო?

— ჰო, ალბათ ასეა, — დაუდასტურა ტყის მცველმა. — ძალაუფლება თქვენს ხელშია, თქვენ უკეთ გეცოდინებათ.

— სულელი ხარ, კულაკის ნაძმობო, — უცებ განრისხდა კოპიონკინი. — ჩვენი ძალაუფლება შიშს კი არა, ხალხის გონიერებას ემყარება.

ტყის მცველი დაეთანხმა, ახლა გონიერებას ემყარებაო. ძილის წინ დვანოვი და

კოპიონკინი ხვალინდელ დღეზე ლაპარაკობდნენ.

— რა გგონია, სოფლებს საბჭოურად მალე დავასახლებთ? — ჰკითხა დვანოვმა კოპიონკინს.

კოპიონკინი რევოლუციამ სამუდამოდ დაარწმუნა, რომ ყველანაირი მტრის დამორჩილება შეუძლებელია.

ამას დიდი ხანი რად უნდა! ერთბაშად მოვაგვარებთ: ვეღვივით, ურწყავ/მიწებზე თქვენ თუ არ გადასახლდებით, იმ ადგილებს უკრაინელები დაეპატრონებიანო, ან არადა, უბრალოდ, შრომით საჭაპანო ბეგარას იარაღის ძალით განვახორციელებთ და შენობებს ისე გადავატანინებთ: რაკილა ითქვა, მიწაა სოციალიზმის, მამას უნდაც უნდა იყოს.

— ჯერ მინდვრებზე წყალი უნდა გავიყვანოთ, — მოისახრა დვანოვმა. — იქ მხოლოდ ურწყავი მიწებია. ჩვენი წყალგამყოფები კასპიისიქითა უდაბნოების მოდგმისაა.

ჩვენც ავდგებით და იქ წყალსადენს გავიყვანოთ, — უმაღლ დაამშვიდა კოპიონკინმა ამხანაგი. — შადრევნებს მოვაწყობთ, გვალვიან წლებში მიწას დაკაბუშუბუყებთ, დედაკაცები ბატებს მოაშენებენ, ბუმბული და სივთიკი ყველას ექნება — იქაურობა აყვავდება!

დვანოვი ამ დროს ბურანში წავიდა; კოპიონკინმა დაჭრილი ფეხის ქვეშ რბილი ბალახი ამოუღო, თვითონაც თაუი ძილს მისცა და დილაძღე არ გაუღვიძია.

დილით კი დვანოვმა და კოპიონკინმა ტყის პირას მდგარი სახლი დატოვეს და ველისკენ გაემართნენ.

გატკეპნილ გზაზე მათკენ ქვეითი მოდიოდა. დროგამოშვებით მიწაზე წვებოდა და დაწოლილი მოგორავდა, მერე ადგებოდა და კვლავ ფეხით მოდიოდა.

— რას სჩადი, შე ჭირიანო? — მგზავრი შეაჩერა კოპიონკინმა, როცა მიუახლოვდნენ.

— მე, იმობილო, მიკოტრიადლობ, — განუმარტა კოპიონკინს მგზავრმა. — ფეხები ძალზე დამეღალა, ჰოდა, ამგვარად ვასვენებ, თანაც წინ მივიწვევ.

კოპიონკინი შეეჭვდა:

— რა იქნება, ნორმალურად, გამართულად რომ იარო?

— მე ხომ ბათუმიდან მოვდივარ, ორი წელია, ოჯახი არ მინახავს. რომ დავისვენო, გულზე ნალექელი შემომაწვება, კოტრიადლით კი ჩემს სახლ-კარს თუმცა ნელა, მაგრამ მაინც, ასე მგონია, უახლოვდები...

— აი, იქ რა სოფელი მოჩანს, თუ იცი? — ჰკითხა მგზავრს კოპიონკინმა.

— იქა? — მგზავრმა გადაფითრებული სახე შემოატრიალა. არ იცოდა, რომ თავის სიცოცხლეში იმოდენა მანძილი ჰქონდა გავლილი, რაც მთვარემდებ. — იქ, მგონი, ხანსკიე დვორიკი უნდა იყოს... ეშმაკმა უწყის, ველზე ყველგან სოფლებია.

კოპიონკინი შეეცადა, ამ კაცის ამბავ-ხაბარი უკეთ შეეტყო.

— გეტყობა, ცოლი ძალიან გყვარებია...

მგზავრმა მხედრებს გრძელი გზისგან დაბინდული თვალები შეავლო.

— რა თქმა უნდა, პატყესა ვცემ. როცა მშობიარობდა, დარდისგან სახურავზე ავფოფხდი...

ხანსკიე დვორიკში საჭმლის სუნი იდგა, მაგრამ საჭმელს კი არ ამზადებდნენ, პურისგან არაყსა ხდიდნენ. ამ ძალუღი წარმოების მიზეზით ვიღაც ქალი ქუჩაში გადარეული გარბი-გამორბოდა, ყოველ ქონში შერბოდა და უმაღვე უკან გამოიჭრებოდა ხოლმე.

— ხრონტი ბრუნდება! — აფრთხილებდა გლეხებს, თავად კი შეიარაღებულ კოპიონკინსა და დვანოვს დაფეთებული გამოსცქეროდა.

გლეხები ცეცხლზე წყალს ასხამდნენ — ქონებიდან ბუღი გამოდიოდა. გამოსახდელი ფაფა სასწრაფოდ გარეთ გამოჰქონდათ და ღორებს გობებში უსხამდნენ. ღორები გამოძლებოდნენ და მერე მთელ სოფელში გაბრუებულნი

დაეღუტებოდნენ.

— პატიოსანო კაცო, საბჭო სად არის? — შეეკითხა კოპიონკინი კოჭლ მოქალაქეს.

კოჭლი მოქალაქე ხელა, მედიდურად მოაბიჯებდა, რატომღაც თავი ღირსეულად ეჭირა.

— რა მითხარი — პატიოსანო? ფეხი დაშაკარგინეთ და ახლა პატიოსანს მიწოდებთ? აქ სოფსაბჭო არ არის, მე კი თემის რეკონსტრუქციის კომიტეტის რწმუნებული გახლავართ, ღატაკთა მტრების დამთრგუნველ ვარ და ხელისუფლება. იმან არ მოგატყუოს, კოჭლი რომ ვარ, — აქ ყველაზე უფრო კაცი გახლავართ; ყველაფერი შემიძლია!

— ყური მიგდუ, ამხანაგო რწმუნებულო! — უთხრა მას კოპიონკინმა და ხმაში მუქარა გაუკრთა. — ეს კაცი გუბადმასკომის მთავარი მოვლინებულია! — ღვანოვი ცხენიდან ჩამოხტა და რწმუნებულს ხელი გაუწოდა. — რეკონსტრუქციის სინდიხისა და შრომითი საჭაპანო ბეგარის საბრძოლო წესითა და რიგით გუბერნიაში სოციალიზმი უნდა დაამყაროს. თქვენ რა გაქვთ?

რწმუნებული ოღნავადაც არ შეშინებულა:

— ჩვენ ჭკუა გვაქვს ბლომად, პური კი არა.

— სამაგიეროდ, მემამულეთათვის წართმეულ მიწას არაყის ორთქლი ეფისება.

რწმუნებული მართლა განაწყენდა.

— ამხანაგო, მაგას ტყუილ უბრალოდ ამბობ! მე გუშინ მოგაწერე ხელი ოფიციალურ ბრძანებას: ცარიზმის ბატონობიდან თავის დაღწევის აღსანიშნავად დღეს სოფელში პარაკლისს ვიხდით. ხალხს ერთი დღე-ღამის განმავლობაში თავისუფლება მივანიჭე — ახლა შეუძლიათ, ის აკეთონ, რაც მოესურვებათ: მე არაფერში ვეწინააღმდეგები, ხოლო რეკონსტრუქცია ისვენებს... მიხვდი?

— ასეთი თვითნებობის ნება ვინ მოგცა? — მოიღუშა ცხენზე მჯდარი კოპიონკინი.

— მე ხომ აქ ნაღდი ღენინი ვარ! — განუმარტა კოჭლმა ის, რაც თვითონ ჭეშმარიტებად მიაჩნდა. — ამჟამად კულაკები ღატაკებს ჩემი ქეთრების მიხედვით უმასპინძლებიან, ხოლო მე ვამოწმებ, ბრძანება როგორ სრულდება.

— შეამოწმე? — ჰკითხა ღვანოვმა.

— კომლობრივად და შერჩევით: ყველაფერი წესსა და რიგზეა. არაყის სიმაგრე ომამდელზე მეტია. უცხენოები კმაყოფილნი არიან.

— მაშ იმ დედაკაცი დაფეთებული რად დარბის? — ჩაეკითხა კოპიონკინი, რადგან მიხვდა, რომ რაღაც კერ იყო რიგზე.

კოჭლი ამ ამბავმა თავადაც ძალზე აღაშფოთა:

— საბჭოთა შეგნებულობა ჯერ კიდევ არა აქვთ. ამხანაგ სტუმრებთან შეხვედრა აშინებთ. ურჩევნიათ, რაც კი გააჩნიათ, ძირხვენებში გადააქციონ, ოღონდაც სახელმწიფოს თავი ღატაკებად მოაჩვენონ. მე ხომ ვიცი, სად რა აქვთ გადამალული, ეხედავ, რითაც სულდგმულობენ...

კოჭლს ფიოდორ დოსტოევსკის ეძახდნენ: მან საგანგებო ოქმი თავად შეადგინა და საკუთარი თავი რეგისტრაციაში ხელახლა გაატარა. ოქმში ნათქვამი იყო, რომ თემის რეკომის რწმუნებულმა იგნატი მოშონკოვმა მოისმინა მოქალაქე იგნატი მოშონკოვის განცხადება იმის თაობაზე, რომ მისთვის სახელი შეეცვალათ ცნობილი მწერლის — ფიოდორ დოსტოევსკის ხსოვნის პატივსაცემად, და დაადგინა: ხვალინდელი დღიდან სახელი სამუდამოდ შეეცვალოს; ამას გარდა, გადაწყვიტა, ყველა მოქალაქეს წინადადება მიეცეს, ამიერიდან სახელი და გვარი გადაირქვან, თანაც გაითალისწინონ, რომ ახალი სახელების შესაფერისნი უნდა იყვნენო. ფიოდორ დოსტოევსკიმ ეს კამპანია მოქალაქეთა თვითსრულყოფის მიზნით ჩაიფიქრა: ვინც ლიბკნეხტს დაირქმევს, დაე, მის მსგავსად იცხოვროს, თუ არადა ღირსეული სახელი ჩამოერთმევაო. ამდაგვარად სახელის შეცვლის რეგისტრში გატარდა ორი მოქალაქე: სტეპან ჩეჩერი ქრისტეფორე კოლუმბად იქცა! ხოლო ჭის

მთხრელი პიოტრ გრუდინი ფრანც მერინგად — შემოკლებით მერინად¹. ფიოდორ დოსტოევსკიმ ეს სახელები სადავოდ მიიჩნია და ოქმი პირობითად შეადგინა: თემის რევეკომს შეკითხვა გაუგზავნა — კოლუმბი და მერინგი ღირსეული ადამიანები თუ იყვნენ, შეიძლება თუ არა, ისინი შემდგომი ცხოვრების ნიმუშებად დავსახოთ, თუ კოლუმბი და მერინგი რევოლუციისთვის ურგებნი არიანო. თემის რევეკომიდან პასუხი ჯერ არ მოსულიყო, ამიტომ სტეპან ჩეჩერი და პიოტრ გრუდინი თვითქმის უსახელოდ დარჩნენ.

— რაკი ახალი სახელები დაირქვით, მაშ რაიმე თავგამოსაჩენი გააკეთეთ, უბნებოდა მათ დოსტოევსკი.

— გავაკეთებთ, — უპასუხებდნენ ორივენი, — ოღონდ სახელები დაგვიმტკიცე და ცნობა მოგვეცი.

— ახალი სახელები ზეპირად გერქვით, საბუთებში კი ჯერჯერობით ძველ სახელებს ჩავიწერთ.

— ზეპირად მაინც გვერქვას, — ითხოვდნენ განმცხადებლები.

კოპიონკინი და დვანოვი დოსტოევსკის იმ დღეებში ეწვივნენ, როცა იგი ცხოვრების მორიგ გაუმჯობესებაზე ფიქრს მისცემოდა. დოსტოევსკი ფიქრობდა ამხანაგურ ქორწინებაზე, ცხოვრების საბჭოურ მნიშვნელობაზე, შეიძლებოდა თუ არა ღამის გაუქმება და ამით მოსაველიანობის ამაღლება, ფიქრობდა ყოველდღიური შრომითი ბედნიერების დამყარებაზე, იმაზე, თუ რა იყო სული — საბრალბოული გული თუ ტვინიანი თავი. დოსტოევსკის კიდევ ბევრი სხვა რამ აწუხებდა და ამის გამო ღამღამობით ოჯახსაც მოხვენებას არ აძლევდა.

თემის რევეკომის რწმუნებულს შინ წიგნების ბიბლიოთეკა ჰქონდა, მაგრამ ყველა წიგნი უკვე ზეპირად იცოდა და მათი წაკითხვა ვეღარ ანუგეშებდა, ამიტომ პირადად თვითონ ფიქრობდა.

დვანოვმა და კოპიონკინმა დოსტოევსკის ქონში ფეტვის ფაფა ჭამეს და მასპინძელს დაუყოვნებლივ გაუბეს საუბარი მოძავალ ზაფხულში სოციალიზმის აუცილებლად აშენების თაობაზე. დვანოვმა თქვა, ამგვარი აჩქარება თვით ლენინმა დაასაბუთაო.

საბჭოთა რუსეთი, — არწმუნებდა დვანოვს დოსტოევსკი, — ნორჩ არყის ხესა ჰგავს, რომელსაც კაპიტალიზმის თხა მოსაკორტნად ვტანება. — მერე გახუთში ამოკითხული ღოზუნგიც კი წარმოთქვა:

არყის ხე გავზარდოთ ხასწრაფოდ,
თორემ თხა შეგვიჭამს ევროპის.

გულისხმადაძაბულ დოსტოევსკის თვალწინ კაპიტალიზმის გარდაუვალი ხიფათი წარმოესახა და გაფითრდა. მართლაც, — წარმოიდგინა მან, — თეთრმა თხებმა ნორჩი კანი თუ შემოგვკორტნეს, მთელი რევოლუცია გაშიშვლდება და ყინვა მოაშთობსო.

— მაშ ამის მოგვარებაზე ვინ უნდა იზრუნოს, ამხანაგებო? — შთაგონებით შესძახა დოსტოევსკიმ. — მოდი, საქმეს ახლავე შევუდგეთ: შეგვიძლია, სოციალიზმის აშენება საახალწლოდ მოვასწროთ! თეთრი თხები ზაფხულში შემოგვესევიან, საბჭოთა არყის ხეს კი მანამდე კანი უკვე გაუმაგრდება.

დოსტოევსკის სოციალიზმი კარგი ადამიანების საზოგადოებად მიაჩნდა. საგნებსა და ნაგებობებს არაფრად აცდებდა. დვანოვი მას უმაღ მიუხვდა.

არა, ამხანაგო დოსტოევსკი. სოციალიზმი მზესა ჰგავს და ზაფხულში ამოდის. იგი მალეობზე მდებარე პოხიერ მიწებზე უნდა აშენდეს. თქვენს სოფელში რამდენი კომლია?

— ჩვენი სოფელი მრავალკომლიანია: სამას ორმოცი კომლი შიგ სოფელში ცხოვრობს, ხოლო თხუთმეტი სოფლის გარეთ, — თქვა დოსტოევსკიმ.

1. იაბო (რუს.).

— ძალიან კარგი, ხუთ-ექვს არტყელად უნდა დანაწილდეთ, — მოისაზრა დვანოვმა. — დაუყოვნებლივ შრომითი ბეგარა გამოაცხადე — ჯერჯერობით ყამირ მიწებზე ჭვების თხრა დააწყებინე, ხოლო გაზაფხულზე ურმებით ნაგებობანი გადააზიდვინე. ჭის მთხრელები თუ გყავს?

დოსტოევსკი დვანოვის ნათქვამს ნელ-ნელა შეიმეცნებდა და სახილველ ვითარებად გარდაქმნიდა. ჭეშმარიტების შეთხზვის უნარი არა ჰქონდა და მხოლოდ მაშინ იგებდა მის არსს, თუ აზრებს თავისი რაიონის ამბებად გადააქცევდა. მაგრამ ამას დიდ დროს ანდომებდა: უკაცრიელი ველი გონებაში ნაცნობ ალაგას უნდა წარმოესახა, თავისი სოფლის ყოველი ეზო-კარი იქ ჩაემწვროვებინა და თვალი შეეველო, ყოველივე როგორი იქნებოდა.

— ჭის მთხრელები გყავს, — თქვა დოსტოევსკიმ. — მაგალითად, ფრანც მერინგი. იგი წყალს ფეხებით შეიგრძნობს. ხეებში აივლ-ჩაივლის, ჰორიზონტს გაზომ-გამოზომავს და იტყვის: ბიჭებო, ამ ალაგას ორმო ექვს საეუნზე ამოთხარეთო. მერე წყალი იქიდან ღვარად მოჩქევს. ეტყობა, ასეთი რამ ღედ-მამისგან დაჰყვა.

დვანოვი დოსტოევსკის დაეხმარა, რომ მას სოციალიზმი საერთო საკარმიდამო ნაკვეთების მქონე მცირეუზოიან მეარტყელეთა სოფლებად წარმოსახოდა. დოსტოევსკიმ ყოველივე შეიცნო, მაგრამ ვერ შეიგრძნო ყველა კალოს მომცველი რაღაც საერთო სიხარული, რაც მომავლის წარმოსახვას სიყვარულად და სითბოდ აქცევდა, ცხადად არარსებული სოციალიზმის დროებით უქონლობის გამო სხეულს მოუთმენლობით გაუთანგავდა და სინდისს დაუამებდა.

კოპიონკინმა უსმინა, უსმინა და განაწყენდა.

— შე მუხისთავა, გუბადმასკომის ნათქვამი ხომ გაიგონე — ზაფხულამდე სოციალიზმი მოამთავრეო! იშიშველე კომუნიზმის მახვილი, რადგან ჩვენ რკინისებური დისციპლინა გვაქვს. აბა, რანაირი აქაური ლენინი ხარ? ლენინი კი არა, საბჭოთა დარაჯი ყოფილხარ: რღვევის ტემპს მხოლოდ აბრკოლებ, შე დამაქცევარო!

დვანოვი დოსტოევსკის მეტად და მეტად აგულიანებდა:

— კულტურული ბალახებით შემოსილი დედამიწა სხვა პლანეტებიდან უფრო მკაფიოდ, უფრო ნათლად გამოჩნდება. ამას გარდა, ტენის ცვლაც გაძლიერდება, ცა უფრო ღურჯი და უფრო გამჭვირვალე შეიქნება.

დოსტოევსკი გახალისდა, რადგან სოციალიზმი საბოლოოდ დაინახა. ეს საკვები ბალახების სუნთქვით ნაპატივები, ღურჯი, ოღნავ ნოტიო ცა იქნებოდა. ქარი ადგილ-მამულთა მაძღარ ტბებს კოლექტიურად ცოტაოდენად შეარხევდა, ცხოვრება ისეთ ბედნიერებას შეიძენდა, რომ უხმაურო შეიქნებოდა. მხოლოდ ისღა რჩებოდა, რომ ცხოვრებაში საბჭოური აზრი დაფუძნებულიყო. ამ საქმის მოსაგვარებლად ერთხმად იქნებოდა არჩეული დოსტოევსკი.

და, აი, იგი ორმოც დღეს ძილგამკრთალი და ფიქრებში თავდავიწყებით ჩაძირული ზის, ლამაზ-ლამაზ, ფაქიზ ქალიშვილებს მასთან გემრიელი საჭმელი — ბორში და ღორის ხორცი მიაქვთ, მაგრამ უკანვე ხელუხლებელი გააქვთ: დოსტოევსკი თავის მოვალეობათაგან ვეღარ გამოფხიზლებულა.

ქალიშვილებს დოსტოევსკი შეჰყვარებიან, მაგრამ ყველანი ერთპირად პარტიულები არიან და დისციპლინის გამო სიყვარული ვერ გაუმჟღავნებიათ, შეგნება აიძულებთ, მდუმარედ გაიტანჯონ.

დოსტოევსკიმ მაგიდა ფრჩხილით ჩაკაწრა, თითქოს ეპოქა ორად გაძიჯნაო:

— სოციალიზმს ვიძლევი! სანამ ჭვავი შემოვიდოდეს, სოციალიზმი მზად იქნება!.. ვამბობ, რამ დამანადვლიანა-მეთქი! თურმე სოციალიზმზე ნალველი მკლავედა.

— რა თქმა უნდა, — დაუდასტურა კოპიონკინმა. — როზას სიყვარულს ყველა ესწრაფვის.

დოსტოევსკიმ სიტყვა როზას ყური კი ჰკიდა, მაგრამ სრულად ვერ ჩახვდა — მხოლოდ იაზრა, რომ როზა, ალბათ, რევოლუციის შემოკლებული სახელწოდება

იყო, ახლა მისთვის უცნობი ღოზუნგი.

— საესებით მართალია, ამხანაგო! — უთხრა კოპიონკინს კმაყოფილმა დოსტოევსკიმ, რადგან უმთავრესი ბედნიერება უკვე აღმოჩნდა. — მაგრამ, აი, ჩემს რაიონში რევოლუციის ხელმძღვანელობის შედეგად მე მაინც შევიფერთხე.

თუმცაღა, ფიოდორ მიხაილოვიჩმა იმ დამეს მშვილად ვერ დაიძინა, ლოგინში ტრიალებდა და თავის ნაფიქრალს ნაგლეჯ-ნაგლეჯ, გაბძით ბუტბუტებდა.

— რა დაგემართა? — დოსტოევსკის ხმა გაიგონა ჯერ მღვიძარე კოპიონკინმა. — მოწყენილობისგან ყბები მოგელრიცა? ჯობია, სამოქალაქო ომის მსხვერპლნი გაიხსენო და გული დაგინალვლიანდება.

ღამით დოსტოევსკიმ მძინარენი გამოაღვიძა. ძილმღვიძარე კოპიონკინი ხმაღს მისწვდა, რათა მოულოდნელად შემოჭრილ მტერს შეგებებოდა.

— საბჭოთა ხელისუფლების გულისთვის შეგებე! — განუმარტა მას დოსტოევსკიმ.

— მაშ ადრე რატომ არ გაძალვიძე? — მკაცრად ჰკითხა კოპიონკინმა.

— საქონლის სულადობა არა გყავს, — მყის დაიწყო დოსტოევსკიმ: ნახევარი ღამე ფიქრში გაატარა და სოციალიზმის საქმეთა განჭვრეტა ძირისძირობამდე მოასწრო. — პოხიურ მიწებზე რომელი მოქალაქე გამოგყვება, თუ პირუტყვი არ ყვოლება? ბარგი-ბარხანა იქ ტყუილად რისთვის ვათრიოთ?.. მღელვარებისაგან გავიტანჯე..

კოპიონკინმა გამხდარი, წამახული ხეანი იხე მოიფხანა, თითქოს ყელი უნდა გამოიფატროსო.

— საშა! — უთხრა მან დვანოვს. — რა დროს უქმად ძილია, ამ ელემენტს შეატყობინე, რომ საბჭოთა კანონებისა არაფერი გაუგება.

მერე დოსტოევსკის პირქუშად ჩაამტერდა.

— შენ რაიონის ლენინი კი არა, თუთრების მხარში მდგომი ხარ! ნახე, რაზე ფიქრობს. ხვალევე ადექი და თუ ვინმეს ცოცხალი პირუტყვი დარჩა, ერთიანად გამოდენე, მერე ხალხს სულადობის კვლობაზე რევოლუციური გრძნობით გაუნაწილე: გათავდა და მორჩა!

კოპიონკინმა იმავე წამს ხელახლა დაიძინა: მის გულს იჭვენულობა არ სჩვეოდა, ასეთი რამ რევოლუციის დაღატად მიაჩნდა და აზრადაც არ გაიკვლებდა; როზა ლუქსემბურგმა ყველაფერი ყველას მაგიერ წინდაწინვე გაიაზრა — ახლა საქმე მხოლოდ გმირობაზე, ხილული და უხილავი მტრის შემმუსკრელი შესარაღებული მარჯვენის გარჯაზე იყო მიმდგარი.

ღიღით დოსტოევსკიმ ხანსკიე დვორიკი ეზო-ეზო ჩამოიარა და ყველა კომღს გამოუცხადა თემის რეკომისა და გუბალმასკომის გაერთიანებული ბრძანება ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე პირუტყვის რევოლუციური განაწილების თაობაზე.

მქონებელმა ხალხმა პირუტყვი ეკლესიის წინ მოედანზე მირეკა. ყველა ერთპირად ტიროდა, მაგრამ აწუწუნებულ მქონებელთა და საწყალობელ დედაბერთა შემხედვარე დატაკებიც იტანჯებოდნენ, ხოლო ზოგი უქონელი თავადაც ტიროდა, თუმცა ახლა წილი უნდა რგებოდა.

ქალები ძროხებს კოცნიდნენ, კაცებს თავიანთი ცხენები განსაკუთრებული აღურსით, მსუბუქად ეკავათ და როგორც ომში მიძავალ ვაჟებს, ისე ამხნევებდნენ, თავად კი იმას ფიქრობდნენ, ავტირდეთ, თუ წუხილი უცრემლოდ გადავიტანოთო.

ერთმა ტანწვრილმა, აწოწილმა გლეხმა, ერთი ბეწო უწვერულვაშო სახე და ქალიშვილის ხმა რომ ჰქონდა, თავისი იორღა უსაყვედუროდ მოიყვანა, ის კი არა, დანალვლიანებულ თანასოფლელებს სიტყვითაც ანუგეშებდა:

— ძია მიტრი, რა მოგივიდა? — ხმამაღლა ეუბნებოდა მწუხარე ბერიკაცს. — ჭირსაც წაუღია ყველაფერი: რა იყო, სიცოცხლეს საბოლოოდ ხომ არ ეთხოვები? რა უბედურებაა ასეთი — ცხენი მიჰყავთ, ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ, ისევ შევიძქით. გულიდან დარდი გადაიყარე!

დოსტოევსკი ამ გლეხს იცნობდა. ვგი ძველი დეზერტირი იყო. ყმაწვილობაში საიდანღაც უცნობოდ და უსაბუთოდ მოვიდა. პოდა, არც ერთ ომში არ გაუწვევიათ: ოფიციალურად არც დაბადების წელი ჰქონდა, არც სახელი, ფორმალურად ხაერთოდაც არ არსებობდა; კაცზე რამენაირად მაინც რომ მიუნიშნებინათ და საქმე როგორმე გაუადვილებინათ, მეზობლებმა დეზერტირს თავმოუბმელი შეარქვეს, ხოლო ყოფილი სოფსაბჭოს სიებში ჩაწერილი არ ყოფილა. ერთმა ადრინდელმა მდივანმა ყველა გვარის ბოლოს მიაწერა: „სხვანი — 1; სქები: სეკვი“. მაგრამ მომდევნო მდივანმა ამ ჩანაწერს ვერაფერი გაუგო და მსხვილთაგან საქონელს ერთი სული კიდევ მიაძატა, ხოლო „სხვები“ ხაერთოდ ამოაქვს — მისცნობდა თავმოუბმელი საზოგადოებისგან გამოკლებულად, როგორც სახიდრიდან მიწაზე ჩამოვარდნილი ფეტვის მარცვალი.

თუმცა, ცოტა ხნის წინ დოსტოევსკიმ მოქალაქეთა სიაში მუდნით ჩაწერა დეზერტირის ასეთი წოდება — „პირადი გვარის არმქონე, „უკლინისტი“ საშუალო გლეხი“, და ამით მისი არსებობა მტკიცედ დაადასტურა; თავმოუბმელი თითქოს საბჭოების სასარგებლოდ დაიბადა.

ველზე ცხოვრება ძველად საქონლის კვალდაკვალ მიედინებოდა, ხალხში პირუტყვის გარეშე შიმშილით სიკვდილის შიში დარჩა და ამიტომ ყველას ზარალზე უფრო მეტად ცრუმორწმუნეობა ატირებდა.

ღვანოვი და კოპიონკინი მაშინ მივიდნენ, როცა დოსტოევსკი ლატაკთათვის საქონლის განაწილებას შეუდგა.

კოპიონკინმა იგი შეამოწმა:

არ შეცდვ: რევოლუციური გრძნობით ახლა მთლიანად თუ ხართ მოცული?

ძალაუფლებით გაამაყებულმა დოსტოევსკიმ ხელით მუცლიდან ყელთამდე აჩვენა. განაწილების ხერხი სადა და ცხადი მოისაზრა: ყველაზე ლატაკებს ყველაზე კარგი ცხენები და ძროხები მიაკუთვნა; მაგრამ რადგანაც საქონელი ცოტა იყო, საშუალო გლეხებს აღარაფერი ერგო, მხოლოდ ზოგიერთს თუ შეხვდა თითო ცხვარი.

როცა საქმე დახასრულს წარმატებით უახლოვდებოდა, კვლავ იგივე თავმოუბმელი წინ წამოდგა და დოსტოევსკის ხრინწიანი ხმით მიმართა:

— ფიოდორ მიხალიჩ, ამხანაგო დოსტოევსკი, ჩვენ, რა თქმა უნდა, ერთი გაუგებარი ხალხი ვართ და საწყენად ნუ დაგრჩება, რასაც ახლა გეტყვი, ნუ გაგულისდები!

თქვი, მოქალაქე თავმოუბმელო, თქვი პატიოსნად და უშიშრად! — გულახდილად და ყველასათვის ყურადსაღებად ნება დართო დოსტოევსკიმ.

თავმოუბმელი დამწუხრებული ხალხისკენ შეტრიალდა. ლატაკებიც კი წუხდნენ, ნარუქარი ცხენები შეშინებულებს ეჭირათ, ბევრმა მათგანმა კი საქონელი ძალუღლად კვლავ მქონებლებს დაუბრუნა.

— რახან ასეა, ხალხო და ჯამაათო, მისმინეთ! ჩემი სისულელით ერთ რამეს შეგეკითხებით: რას უხამს, მაგალითად, პეტკა რიუოვი ჩემს იორლას? მთელი მაგისი საკვები სახურავის ჩაღაა, ეზო-ყურეში მარაგად ერთი ლატანიც არ უგდია, სტომაქში კი, მესამე დღეა, ნახევარი კარტოფილი უფუის. მეორეც, საწყენად ნუ მიიღებ, ფიოდორ მიხალიჩ, — შენი საქმე რევოლუციაა, ეს ვაცით, — მეორეც, ნამატს მერე რას ვუხამთ? ახლა ლატაკები ჩვენა ვართ: მაშასადამე, ცხენიანები კვიცებს ჩვენთვის გამოზრდიან? ფიოდორ მიხალიჩ, აბა, გამოჰკითხე, ლატაკი ცხენიანები კვიცებსა და ხბორებს საჩვენოდ გამოკვებავენ?

ამგვარი გონივრული ნაახრევის გაგონებამ ხალხი გააშუშა.

თავმოუბმელმა ხალხის მდუმარებით ისარგებლა და განაგრძო:

— მე მგონი, ხუთიოდე წლის შემდეგ ქათამზე მოხრდილი საქონელი აღარავის ეყოლება. ხალისი ვის ექნება, ფურს ხბო მეზობლისთვის მოაგებინოს? ახლანდელი პირუტყვიც დიდხანს ვერ გაძლებს, სული ამოხდება. იგივე პეტკა ჩემს იორლას

ყველაზე უწინ გააფშეკინებს ფეხებს კაცს ცხენი თვალით არ უნახავს, რაც თავი ახსოვს, ხოლო საკვები სარების მეტი არ გააჩნია! იქნებ დამამშვიდლო, ყვილორ მიხაღიწი, - წყენას კი ჩემზე გულში ნუ ჩაიდებ!

დოსტოევსკიმ იგი უმაღლვე დაამშვიდა:

- მართალი ხარ, თავმოუბმელო, განაწილება არაფერს მოგვცემს!

კოპიონკინი წრედ მდგარი ხალხის შუაში ცარიელ ალაგზე გაიჭრა.

- როგორთუ არაფერს მოგვცემს? შენ, რაო, ბანდიტების მხარეს იჭერ? იცოდე, ხელს ერთბაშად მოგიყვამს! მოქალაქენო, - შემზარავი მუქარით, ყბების მაკოსავით მიმართა ყველას კოპიონკინმა. იმის მაგვარი არაფერი იქნებოდა, რაც ამ თავმოუბმელმა კულაკმა გითხრათ. სოციალიზმი ერთბაშად მოვა და ყველაფერს დაეუფლება. ჯერ აღმოცენებასაც ვერ მოასწრებს ვერაფერი, საბოლოოდ დამკვიდრდება! რაც შეეხება იმ ამბავს, რომ რიჟოვს იორლა არ მივაკუთვნოთ, გთავაზობთ, იგი გუბადმასკომის რწმუნებულს - ამხანაგ დვანოვს გადავცეთ. ახლა კი, ამხანაგო ლატაკებო, დაიშალეთ და რღვევასთან საბრძოლველად გაემართეთ!

ლატაკებმა შინისკენ გასწიეს. ძროხებისა და ცხენების გაძლოლას გადაჩვეულნი იყვნენ და პირუტყვი უხერხულად მიჰყავდათ.

თავმოუბმელი კოპიონკინს გაშეშებული შესცქეროდა - ახლა ცხენის დაკარგვა კი არა, ცნობისმოყვარეობა აწუხებდა.

ამხანაგო გუბერნიელი, ნებას მომცემთ, ერთი რამ შეგეკითხოთ? - ძლივს გაბედა თავმოუბმელმა კოპიონკინისთვის ეკითხა ბავშვის ხმით.

- ძალაუფლება შენ არ გაგაჩნია და, რაც არის, არის, შემეკითხე! - გული მოიღობო კოპიონკინმა.

თავმოუბმელმა თავაზიანად, ყურადღებით ჰკითხა:

- რა არის სოციალიზმი, რა იქნება იქ და დოვლათი საიდან შეემატება?

კოპიონკინმა ხელდახელ უპასუხა:

ლატაკი რომ იყო, თავად გეცოდინებოდა; რაჩან კულაკი ხარ, ვერაფერს მიხვდები.

დვანოვსა და კოპიონკინს წახვლა საღამოთი უნდოდათ, მაგრამ დოსტოევსკიმ სთხოვა, დღემდე დარჩენილიყვნენ, რათა საბოლოოდ შეეტყო, სტეპში სოციალიზმი რითი უნდა დაეწყოს და რითი დაესრულებინა.

კოპიონკინს ერთ ადგილას დიდხანს ყოფნა მოხერხდა და ღამით წახვლა გადაწყვიტა.

- რაც სათქმელი იყო, ყველაფერი გითხრეს, - ინსტრუქცია ჩაუტარა მან დოსტოევსკის. პირუტყვი გყავთ. კლასობრივი მასები ფეხზე დგანან. ახლა შრომითი საჭაპანო ბეგარა გამოაცხადე - ველზე ჭები და ტბორები ამოთხარე, ხოლო გაზაფხულზე შენიძები გადაიტანე. იცოდე, ზაფხულში სოციალიზმი ბალახიდანაც კი უნდა მოჩანდეს! მე უსათუოდ მოგაკითხავ!

- მაშასადამე, ახლა მხოლოდ ლატაკებმა უნდა იმუშაონ - ცხენები ხომ იმათა ჰყავთ, ხოლო შემდეგულები უქმად იქნებიან! - ისევ შეეჭვდა დოსტოევსკი.

- მერე რა? - არ გაპკვირვებია კოპიონკინს. - სოციალიზმი სწორედაც ლატაკთა სუფთა ხელებმა უნდა შექმნას, კულაკები კი ბრძოლაში დაიხოცონ.

- ეს მართალია, დაკმაყოფილდა დოსტოევსკი.

ღამით დვანოვი და კოპიონკინი გზას გაუდგნენ; წახვლისას სოციალიზმის აშენების ვადა დოსტოევსკის ერთხელაც მკაცრად დაუთქვეს.

თავმოუბმელის იორლა პროლეტარული ძალის გვერდით მიაბიჯებდა. მოსახლეთა შორის სივიწროვეში ყოფნის შემდეგ გზამ ორივე მხედარს შორეთისკენ სწრაფვის სიამე აგრძნობინა და გუნება გაუხალისა. ერთ დღეს ბინადარად ყოფნითაც კი ერთსაც და მეორესაც გულში ნაღველი მოეძალა; ამის გამო დვანოვიცა და კოპიონკინიც ქოხის ჭერს უფრთხოდნენ და გზისკენ მიიღვტვოდნენ, რომელიც მათი გულებიდან ჭარბ სისხლს იწოვდა.

სამაზრო ფართო გზაზე გასულმა მხედრებმა ცხენები ველის წიაღისკენ თონარიკით მიმართეს.

მათ ზემოთ დიდი ხნის ჩასული ძხისგან ოდნავ შეფერილი ღამეული ღრუბლები ამაღლებულიყო, ხოლო დღისით ქარის ქროლით გაცრიატებული ჰაერი აღარ იძვროდა. ღონემიხდილი სივრცის სივრცეებ და მდუმარებამ დვანოვი მოადუნა და ცხენზე მჯდარს თვლელმა მოჰკვარა.

— სახლი როცა შეგხვდება, გათენებამდე თვალი მოვატყუოთ, — უთხრა მან კოპიონკინს.

კოპიონკინმა ველის მყუდრო სივრცეში მდუმარედ გაწოლილ ტყის ხოლზე მიუთითა, შორიახლოს შავად რომ მოჩანდა.

— იქ კორდონი იქნება.

გულისყურგამახვილებულ, სვედიან ხეთა ტყერში შევიდნენ თუ არა, მგზავრებმა მოწყენილობისგან ადავლაკებულ კორდონის ძაღლთა ხმა გაიგონეს, წყვილადში განმარტობებულ სამოსახლოს რომ იცავდნენ.

ტყის მეთვალყურე, ტყეებს მეცნიერების სიყვარულის გამო რომ იცავდა, იმჟამად ძველ წიგნებს უჯდა. მას სურდა, რომ წარსულში საბჭოთა დროების მსგავსი რამ მოეძებნა, ამით შეეტყო, რეკოლუციას შემდგომში რა მტანჯველი ბედი ელოდა, რათა თავისი ოჯახის გადასარჩენად გამოსავალი მოენახა.

მამამისმა, სატყეოს უფროსმა, ყველაზე უკანასკნელ, მკითხველყოფელ, მივიწყებულ მწერალთა იაფფასიანი წიგნების ბიბლიოთეკა დაუტოვა. იგი ვაჟს ეუბნებოდა, ცხოვრების განმჭკრეტელი ჭეშმარიტებანი მივიწყებულ წიგნებში იდუმალად არის ჩამარხული.

ტყის მეთვალყურის მამას მიაჩნდა, რომ ცუდი წიგნები დაუბადებულ ბავშვებს წააგავდნენ, იმ ბავშვებს, დედის მუცელშივე რომ იღუპებოდნენ, რადგან მათი ნაზი სხეული სამყაროს უხეშობას ვერ ეგუებოდა, ხოლო სამყაროს უხეშობას მშობლის წიაღშიაც შეეძლო შეღწევა.

— ათიოდე ამგვარი ბავშვი მაინც რომ გადარჩენილიყო, ისინი ადამიანს დიდებულ, ამაღლებულ არსებად აქცევდნენ, — უანდერმა მამამ შეიღს. — მაგრამ ყველაზე ბუნდოვანი ტვინის და ყველაზე უგრძნობელი გულის მქონე რამ იბადება, რაც გარემოს ფიცხ ჰაერსა და უში საჭმლისათვის ბრძოლას უძლებს.

ტყის მეთვალყურე დღეს ნიკოლაი არსაკოვის ნაწარმოებს კითხულობდა, 1868 წელს რომ იყო გამოცემული. ნაწარმოებს „მეორეხარისხოვანი ადამიანები“ ერქვა. მეთვალყურე მშრალ სიტყვათა მოსაწყენ წიაღში ეძიებდა იმას, რაც სჭირდებოდა. მეთვალყურეს მიაჩნდა, მოსაწყენი და უაზრო წიგნები არ არსებობს, თუ მკითხველი მათში ცხოვრების აზრს ფხიზლად ეძიებს; მოსაწყენ წიგნებს მოსაწყენი მკითხველი წარმოიქმნის, რადგან წიგნებში მკითხველის მაძიებელი სევდა მოქმედებს და არა შემთხვევლის სიმარჯვეო.

„საიდან გაჩნდით? — ფიქრობდა მეთვალყურე ბოლშევიკებზე. — ალბათ ოდესღაც უკვე არსებობდით, რადგან რაიმესთან მიმსგავსების გარეშე, არსებულისგან ქურდობის გარეშე არაფერი წარმოიქმნება“.

მეთვალყურის ორ პატარა შვილსა და ჩასუქებულ ცოლს მშვიდად და უზრუნველად ეძინათ. მეთვალყურე მათ დაჰყურებდა და აზრებს აღიმრავდა, გულ-გონებას მოუწოდებდა, რომ ამ სამ ძვირფას არსებას მცველად დასდგომოდნენ. მას სურდა, მოძავალი განუჭვრიტა, რათა ყოველივე წინასწარ განესაზღვრა და თავისი უაზლოესი სისხლ-ხორცი დაღუპვისგან ეხსნა.

არსაკოვი წერდა, სასარგებლო საქმეს მხოლოდ მეორეხარისხოვანი ადამიანები აკეთებენ ნელ-ნელა; ძალზე დიდი ჭკუა-გონება საჭირო სრულებითაც არ არის — ასეთი ჭკუა მსუყვე ნიადაგზე აღმოცენებულ ბალახსა ჰგავს, სანამ მომწიფდებოდეს და სათიბად ივარგებდეს, მიწაზე რომ ჩაწვება და მთიბეული ვეღარ მოთიბავს. უზენაეს ადამიანთაგან აჩქარებული ცხოვრება კარგავს იმას, რაც ადრე გააჩნდაო.

„ხალხმა, — მოძღვრავდა არსაკოვი, — ძალიან ადრე დაიწყო ქმედება, როცა ბევრ რამეს მიხვედრილი არ იყო. საჭიროა, ოდენ შესაძლოა, საკუთარი ქმედებანი ნაკლულ ჰყო, რათა სულის მჭვრეტელი ნახევარი ნებაზე მიუშვა. ჭვრეტა გარეშე ამბების მეშვეობით თვითგანსწავლაა. დაე, ადამიანებმა ბუნების გარემოებანი, რაც კი შეიძლება, ხანგრძლივად შეისწავლონ, რათა ქმედებას გვიან, მაგრამ შეუმცდარად, მყარად, განსრულებული გამოცდილებით შეიარაღებული მარჯვენით შეუდგნენ. საჭიროა, ყურად ვიღოთ, რომ ცხოვრების მცდარობანი ემწივარი გონების მქონე კაცთა ჩარევის გამოიხობით მატულობს. საკმარისია, ისტორია ორმოცდაათი წლით თავის ნებაზე მიუშვა, რომ ყველამ წარმტაცნი კეთილდღეობა დაუძაბავად შეიძინოს“.

ძაღლები განგაშისმაუწყებლად აღშუქლდნენ; მეთვალყურემ თავი აიღო და ნაგვიანევი სტუმრების შესახვედრად გავიდა.

ცხენზე ამხედრებული დვანოვი და კოპიონკინი მეთვალყურემ ერთგულ ძაღლებსა და უკვე შეღვრებულ ლეკვებს შორის გაატარა.

ნახევარი საათის შემდეგ სამივენი ადამიანთა სუნთქვით ჩამთბარ ძელურ სახლში ლამპის ირგვლივ იდგნენ. მეთვალყურემ სტუმრებს პური და რძე მიაართვა.

იგი გაფაციცებული იყო, რადგან ღამეული სტუმრებისგან ყოველგვარ საზიანოს მოელოდა, მაგრამ დვანოვის მშვიდი სახე და ძალიძალ გაშტერებული თვალები გულს უმშვიდებდა.

კოპიონკინმა ჭამა როცა მოათავა, გადაშლილი წიგნი აიღო და კითხვას შეუდგა. თავს ძალას ატანდა, რომ გაეგო, არსაკოვი რას წერდა.

მერე წიგნი დვანოვს მიაწოდა და თან ჰკითხა:

— აბა, შენ რას იტყვი?

დვანოვმა წაიკითხა.

— კაპიტალისტური თეორიაა: იცხოვრე ფაციფუცის გარეშე.

— მეც ასე მგონია! — თქვა კოპიონკინმა და მანკიერი წიგნი განზე გადადო. — შენ ის მითხარი, სოციალიზმის დროს ტყეს რა უნდა ვუყოთ? — ჩაუფიქრებულმა კოპიონკინმა მწუხარედ ამოიოხრა.

— ამხანაგო, გვითხარით, თითო დესეტინა ტყე რამდენ შემოსავალს იძლევა? — ჰკითხა დვანოვმა მეთვალყურეს.

— სხვადასხვანაირს, პასუხის მიცემა გაუძნელდა მეთვალყურეს. — გააჩნია, ტყე რანაირია, რა ასაკისა და რა ხარისხისა — განსხვავება ბევრნაირია...

— მაინც, საშუალოდ?

— საშუალოდ... ასე ათი-თხუთმეტი მანუთი უნდა ვივარაუდოთ.

— მეტი არა? ჭვავი ალბათ უფრო მეტ შემოსავალს იძლევა, არა?

შეშინებული მეთვალყურე ცდილობდა, ანგარიში არ შეშლოდა.

— ჭვავს ცოტა მეტი შემოსავალი ექნება... გლეხს თითო დესეტინაზე ოცი-ოცდაათი მანუთი სუფთა შემოსავალი გამოუვა. არანაკლები, მე მგონია.

კოპიონკინს სახეზე მოტყუებული კაცის მრისხანება დააჩნდა.

— მაშ ტყე დაუყოვნებლივ უნდა გაიჩეხოს და მიწა სახნავ-სათესად გადაიქცეს! ეს ხეები მხოლოდ ადგილს ართმევენ საშემოდგომო ხორბალს...

მეთვალყურე გაისუსა და აღუღებულ კოპიონკინს თვალგაფაციცებული შეაცქერდა. დვანოვმა არსაკოვის წიგნზე ფანქრით გამოთვალა, მეტყვეობას რა ზარალი მოჰქონდა, მერე მეთვალყურეს ისიც ჰკითხა, სატყეოში რამდენი ჰექტარიყო, და ჯამი გამოიყვანა.

— ეს ტყე გლეხებს წელიწადში ათი ათას მანუთს აკარგვინებს, — მშვიდად განაცხადა დვანოვმა, — ჭვავი უთუოდ უფრო მომგებიანი იქნება.

— რა თქმა უნდა, უფრო მომგებიანი იქნება, — შესძახა კოპიონკინმა. — მეტყვევებ ხომ თვითონვე გითხრა. მთელი ეს ტყე და ბარდ-ეკალი პირწმინდად უნდა გაიკაფოს და ჭვავი დაითესოს. დაწერე ბრძანება, ამხანაგო დვანოვო!

დვანოვს გაახსენდა, რომ შუმილინისთვის, დიდი ხანია, არაფერი ეცნობებინა. თუმცა, შუმილინი არ გაკიცხავდა პირდაპირ ქმედებათა გამო, რაც რევოლუციისთვის აშკარა სარგებლობის შესატყვისი იქნებოდა.

მეთვალყურემ მცირეოდენი შეპაექრება გაბედა:

– მე მინდა, გითხრათ, რომ ტყის თვითნებური გაკაფვა ამ ბოლო დროს ისედაც ძალზე გახშირდა, და ასეთი მყარი მცენარეების მოჭრა მეტად აღარ არის საჭირო.

– მით უკეთესი, – მტრულად მიუგო კოპიონკინმა. – ჩვენ ხალხს წინ კი არ მივუძღვით, კვალდაკვალ მივევებით. ესე იგი, ხალხი ალღოთი დაეცა გრძნობს, რომ ჭკავი ხეებზე უფრო სასარგებლოა. საშა, ტყის გაკაფვის თაობაზე უფრო დაწერე.

დვანოვმა ზემო მოტნიისკაიას ძაზრის ყველა ღატაკი გლეხისადმი გრძელი ბრძანება-მისმართვა დაწერა. ბრძანება გუბადმასკომის სახელით გლეხებს სთავაზობდა, რომ მათ ცნობები აეღოთ სიღატაკის თაობაზე და ბიტერმანის სატყეოს ტყე სასწრაფოდ გაეკაფათ. ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ ამით სოციალიზმისკენ მიმავალი ორი გზა ერთბაშად გაიკვალებოდა. ერთის მხრივ, ღატაკები მაღლივ ველებზე ახალი საბჭოთა ქალაქების ასაშენებლად საჭირო ხე-ტყეს მიიღებდნენ, ხოლო, მეორეს მხრივ, მიწა გათავისუფლდებოდა ჭკავისა და სხვა, დიდხანს მზარდ ხეებზე უფრო სასარგებლო კულტურათა ნათესებისათვის.

კოპიონკინმა ბრძანება წაიკითხა.

– ჩინებულია! – მოიწონა მან. – მოდი, ქვემოთ ხელს მეც მოვაწერ, რომ უფრო ფახი მიეცეთ: ამ არემარეში ბევრს ვახსოვარ – მე ხომ ხელთ იარაღი მიპყრია.

ჰოდა, მთელი თავისი წოდება გააშანშალა:

„ზემო მოტნიისკაიას რაიონის როზა ლუქსემბურგის სახელობის კულის ბოლშევიკთა რაზმის მეთაური სტეპან ეფიმოვიჩ კოპიონკინი“.

– ხვალ მახლობელ სოფლებში წაიღებ, სხვები კი თვითონ შეიტყობენ, – უთხრა კოპიონკინმა ტყის მეთვალყურეს და ქალაღი ჩააბარა.

– ტყის გაკაფვის შემდეგ მე რა უნდა ვაკეთო? – იკითხა დავალებამიციმულმა მეთვალყურემ.

კოპიონკინმა მითითება მასაც მისცა:

– შენც ხვნა-თესკას მიჰყევი და თავი ამით ირჩინე! ყოველწლიურად ალბათ იმოდენა ხელფასს იღებდი, რომ მთელ სოფელსა ნოქავდი! ახლა ისე იცხოვრე, როგორც მასა ცხოვრობს.

გვიანი ჟამი იდგა. განწირულ ტყეს რევოლუციური შუალამე დაჰფენოდა. კოპიონკინი რევოლუციამდე ყურადღებით ვერაფერს შეიგრძნობდა – ტყეების, ადამიანების და ქარისგან აფორიაქებული სივრცეების ავ-კარგი არ აჩანდებოდა და მათ ბედ-იღბალში არ ერეოდა. ახლა ყოველივე შეიცვალა. კოპიონკინი ზამთრის ღამის თანაბარ გუგუნს უსმენდა და სურდა, რომ ამ ღამეს საბჭოთა მიწაზე მშვიდობიანად გადაეგლო.

კოპიონკინის გულში მხოლოდ მტრის ხელით მოცედილი როზას სიყვარული კი არ არსებობდა – ეს სიყვარული თავის თბილ ბუდეში ბინადრობდა, ხოლო ბუდე საბჭოთა მოქალაქეებზე ზრუნვის მწვანე ყლორტებით, სიღატაკისგან ყველა დაბეჩავებულის მიმართ მტანჯველი სიბრალულით და ყოველ წუთას შემოფეთებულ მომხდურებზე – ღატაკთა მტრებზე შმაგური გამარჯვებებით გახლდათ ნაქსოვი.

ბიტერმანის ტყის მასივზე ჩამოწოლილ ღამეს უკანასკნელი საათებიდა დარჩენილია ჩასამღერებელი, დვანოვსა და კოპიონკინს იატაკზე ეძინათ და ცხენზე ჯდომისგან მოქანცული ფეხები გაეჭიმათ.

დვანოვს ეზმანებოდა, რომ პატარა ბაღლი იყო და დედის მკერდს ბავშვური ნეტარებით ისე ეპოტინებოდა, როგორც ნანახი პქონდა, სხვა ბავშვები რომ ეპოტინებოდნენ, მაგრამ დედის სახისათვის თვალის შეკვლებას უფრთხოდა, გული უკრთოდა და ამ კრთომას ბუნდოვნად შეიგრძნობდა. შიშობდა, დედის კისერზე სხვა სახე არ დაენახა – ისეთივე საყვარელი, მაგრამ არა მშობლიური.

კობიონკინს არაფერი უჩანებოდა, იმიტომ რომ ყველაფერი ცხადში უსრულდებოდა.

იმ უამს, შესაძლოა, თვით ბედნიერება უძიებდა თავის რჩეულთ, ხოლო ბედნიერნი გარდასული დღის სოციალურ საზრუნავთაგან ისვენებდნენ და ბედნიერებასთან სიახლოვეს კურ შეიგრძნობდნენ.

მეორე დღეს დვანოვი და კობიონკინი მზის ამონათებისთანავე გზას გაუდგნენ და ნაშუადღევს ნოვოსელოვსკის მაზრის სამხრეთ ნაწილში მდებარე კომუნის — „ლატაკთა მეგობრობის“ გამგეობის კრებაზე მივიდნენ. კომუნას კარიაკინის ყოფილი მამული ეკავა და კრება ახლა იმაზე მსჯელობდა, იქაური ნაგებობანი კომუნის წევრ შვიდ ოჯახს თავისი საჭიროებისთვის როგორ გამოეყენებინა. კრების დასასრულს გამგეობამ კობიონკინის წინადადება მიიღო: კომუნისთვის დაეტოვებინათ ყველაზე აუცილებელი რამ — ერთი სახლი, ფარდული და საცხებელი, ხოლო დანარჩენი ორი სახლი და სხვა აუღადიდება მეზობელი სოფლისთვის ნაწილ-ნაწილ დაძლილი გადაეცათ, რათა კომუნის ზედმეტ ქონებას მახლობლად მცხოვრები გლეხების გულგონება არ დაეთრგუნა.

ამის შემდგომ კომუნის მწერალი ვახშმის ორდერების გამოწერას შეუდგა; ყოველ ორდერზე ხელით აწერდა ლოზუნგს „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

კომუნის ყველა ასაკოვანი წევრს — შვიდ შამაკაცს, ხუთ ქალსა და ოთხ ქალიშვილს — კომუნაში რაღაც თანამდებობა ეკავათ.

თანამდებობათა სახელობითი სია კედელზე ეკიდა. სიისა და განრიგის მიხედვით ყველანი მთელ დღეს საკუთარი თავის მომსახურებას უნდებოდნენ; ხოლო თანამდებობათა სახელწოდებანი შრომის მიმართ უდიდესი პატივის მიგებით გაჩლდათ შეცვლილი. ამდაგვარად — იყო კომუნალური კვების გამგე, ცოცხალი გამწვევი ძაღვის უფროსი, რკინის ოსტატი — იგივე უსულო ინჟინტარისა და სამშენებლო ქონების ზედამხედველი (აღბათ მჭედელი, ხურო და ასე შემდეგ — ერთ პიროვნებაში თავმოყრილი), კომუნის დაცვისა და ხელშეუვალობის გამგე, არაორგანიზებულ სოფლებში კომუნაზმის პროპაგანდის გამგე, ახალთაობის კომუნალური აღმზრდელი — და სხვა მომსახურების თანამდებობანი.

კობიონკინი ქაღალდს დიდხანს კითხულობდა და რაღაცას ფიქრობდა, მერე თავმჯდომარეს მსუბრუნდა, რომელიც ვახშმის ორდერებზე ხელის მოწერას შესდგომოდა:

— ხვნით რანაირადღა ხნავთ?

თავმჯდომარემ ისე უპასუხა, წერა არ მიუტოვებია:

— წელს არ მოგიხნავს.

— რატომ არ მოგიხნავთ?

— შინაგანი წესრიგის დარღვევა არ შეიძლებოდა: მაშინ ყველანი თანამდებობიდან უნდა ჩამოგვეშორებინა — აბა, რანაირი კომუნაღა დაგვრჩებოდა? ისედაც ძლივს მოვაწესრიგეთ; თანაც მამულში პური ჯერ კიდევ იყო...

— ასე იყოს, რაკიღა პური ყოფილა, — აღარ უჭოჭმანია კობიონკინს.

— იყო, იყო, — თქვა თავმჯდომარემ, — უმაღლე სულ აღვრიცხეთ — საზოგადოებრივი სიმამღრის საჭიროებისთვის.

— ამხანაგო, სწორად მოქცეულხარო.

— უეჭველად: ყველაფერი ჩაწერილი და ყოველ მჭამელზე დაჯავშნული გვაქვს. ფერშალს დაუძახეთ, რომ საჭმლის ნორმა ცრურწმენის გარეშე სამუდამოდ დაეწესებინა. აქ ყველაფერზე ბევრია ნაფიქრი: კომუნაში დიადი საქმეა! ცხოვრების გართულებაა!

კობიონკინი ამაზედაც დაეთანხმა — მას სჯეროდა, რომ ხალხი ყველაფერს თვითონ გაართმევდა თავს სამართლიანად, თუ ხელს არ შეუშლიდნენ, ხოლო თავის მოვალეობად ის მიაჩნდა, რომ სოციალიზმისკენ მიმავალი გზა განეწმინდა.

ამისთვის შეიარაღებულ მარჯვენას და საფუძვლიან მითითებებს იყენებდა. კოპიონკინი მხოლოდ ერთმა რამემ შეაშფოთა — ცხოვრების გართულებამ, რაც თავმჯდომარემ ახსენა. ამის გამო დვანოვს მოუყარა ხელი კიდეც, რომ არ აჯობებს, კომუნა „ლატაკთა მეგობრობა“ დაუყოვნებლივ ლიკვიდირებულ იქნას, რადგან რთული ცხოვრებისას შეუძლებელი იქნება იმის გარჩევა, ვინ ვის ჩაგრავსო. მაგრამ დვანოვმა გადაათქმევინა: დაე, ასე იყოს, ცხოვრებას იმიტომ ართულებენ, რომ გახარებულნი არიან და გონებრივი შრომა იტაცებთ — ადრე მარტო ხელებს ამუშავებდნენ, ჭკუას ძალას არ ატანდნენ; დაე, ახლა თვითონ გონიერება ახარებდეთო.

— ჰო, კარგი, — მიხვდა კოპიონკინი, — მაშინ უფრო მეტად უნდა გავსრუტო. საჭიროა, ყოველნაირად ხელი შევეწყვოთ, ამათთვის რაიმე გამოვიგონო... უფრო გაუგებარი.

დვანოვი და კოპიონკინი კომუნაში ერთ დღესა და ღამეს დარჩნენ, რათა ცხენები კარგად გამოძღარიყვნენ, სანამ გრძელ გზას გაუდგებოდნენ.

ცინცხალი, მზიანი დილა გათენდა თუ არა, ჩვეულებისამებრ კომუნის საერთო კრება დაიწყო. კრება დღეგამოშვებით ინიშნებოდა, რათა მიმდინარე ამბებისთვის თვალის დროულად მიედევნებინათ. დღის წესრიგში ორი პუნქტი შექმნიდათ: „მიმდინარე მომენტი“ და „მიმდინარე საქმეები“. კრების დაწყებისას კოპიონკინმა სიტყვა მოითხოვა. მას სიტყვა სიხარულით მისცეს. ის კი არა, წინადადებაც შემოიტანეს, ორატორი დროთი არ შეეზღუდათ.

— შეუზღუდავად ილაპარაკე, საღამომდე ბევრი დროა, — უთხრა კოპიონკინს თავმჯდომარემ. მაგრამ კოპიონკინს მწყობრად ლაპარაკი ორ წუთზე მეტხანს არ შეეძლო, იმიტომ რომ თავში გარეშე აზრები ეჭრებოდა და ეს აზრები ერთმეორეს ისე ამახინჯებდა, მათი გამოსახატვა-გამოთქმა შეუძლებელი ხდებოდა. ამის გამო კოპიონკინი ლაპარაკს თვითონვე წყვეტდა და საკუთარ თავში ამტყდარ ხმაურს ყურადღებით უსმენდა.

ამჟამად კოპიონკინმა დაიწყო იმის წარმოჩენით, რომ კომუნა „ლატაკთა მეგობრობა“ მიზნად ისახავდა ცხოვრების გართულებას, ამით საქმეთა დახლართულობის მიღწევას და სირთულეთა შექმნის მაღული კულაკების მოგერიებას. როცა ყოველივე რთული, მჭიდრო და გაუგებარი იქნება, — განმარტა კოპიონკინმა, — მაშინ პატიოსან ჭკუა-გონებას საქმე გაუჩნდება, ხოლო უცხო ელემენტი სირთულის ვიწრო ხვეულებში ვერ გაძვრება. ამის გამო, — სასწრაფოდ დაასრულა კოპიონკინმა, რათა კონკრეტული წინადადება არ დაევიწყებოდა, — ამის გამო გთავაზობთ, კომუნის საერთო კრებები დღეგამოშვებით კი არა, ყოველდღიურად, დღეში ორჯერაც კი გამართოთ: ჯერ ერთი, საზოგადო ცხოვრების გასართულებლად, მეორეც, იმისათვის, რათა მიმდინარე ამბებმა სადღაც ტყუილ-უბრალოდ, ყურადღების გარეშე არ ჩაიაროს, — ერთ დღეს რამდენი რამ შეიძლება მოხდეს, თქვენ კი აქ, როგორც შამბნარში, მივიწყებულნი დარჩებითო...

კოპიონკინი სიტყვათა ჩამშრალ ნაკადში, როგორც მეჩენზე, ისე შეჩერდა, ხელი ხმლის ვადაზე ჩამოდო და ყველა სიტყვა ერთბაშად დაავიწყდა. ყველანი შიშითა და პატივისცემით შესცქეროდნენ.

— პრეზიდიუმი გთავაზობთ, ერთხმად მივიღოთ, — დაასკვნა თავმჯდომარემ ნაცადი ხმით.

— ჩინებულაია, — თქვა ყველაზე წინ მდგარმა კომუნის წევრმა — ცოცხალი გამწევი ძალის უფროსმა, რადგან უცხო ადამიანთა ჭკუა-გონებისა სჯეროდა. ხელი ყველამ ასწია — ერთდროულად და ვერტიკალურად, ამასთან კარგი გავაფულობა გამოამყვანეს.

— აი, ეს კი არ ვარგა! — ხმაძალდა განაცხადა კოპიონკინმა.

— რატომ? — შეშფოთდა თავმჯდომარე.

კოპიონკინმა კრებას გადახედა და ხელი გულნაკლულად ჩაიქნია:

— დაე, ერთმა ქალიშვილმა მაინც ყოველთვის საწინააღმდეგოდ მისცეს ხმა...

— რატომ, ამხანაგო კოპიონკინო?

— შტერებო, ისევ და ისევ გართულებისათვის.

— მივხვდი — მართალია! — თქვა გახარებულმა თავმჯდომარემ და კრებას შესთავაზა, ფრინველისა და ჭკავის გამგე მალანია ოტკვერშკოვა ყველას საწინააღმდეგოდ მუდმივ ხმის მიმცემად გამოეყო.

შემდეგ დვანოვმა კრებას მიმდინარე მომენტის თაობაზე მოახსენა. მან ყურადღება მიაპყრო საშინელ საფრთხეს, რაც უკაცრიელ, მტრულად მომზირალ კელზე დასახლებულ კომუნებს მოხეტიალე ბანდიტებისგან მოელოდა.

— იმ გარეწრებს, — ამბობდა დვანოვი ბანდიტებზე, — განთიადი ჩაქრობა უნდათ, მაგრამ განთიადი ხანთელი კი არ არის, დიადი ზეცაა, სადაც შორეულ, იღუმალ ვარსკვლავებზე კაცობრიობის მემკვიდრეთა კეთილშობილური და მძლავრი მომავალი იმალება. ვინაიდან უეჭველია — დედამიწის სფეროს დაპყრობის შემდეგ მთელი სამყაროს ბედ-იღბლის ფაში, ადამიანის მიერ მისი განკითხვის დღე დადგება...

— ლამაზად ლაპარაკობს, — შეაქო დვანოვი იმავე ცოცხალი გამწევი ძალის უფროსმა.

— ჩუმად უსმინე და ჩაუკვირდი, — წყნარად ურჩია მას თავმჯდომარემ.

— თქვენმა კომუნამ, — განაგრძობდა დვანოვი, — ბანდიტებს უშმაკობით უნდა აჯობოს. ისინი ვერ უნდა მიხედნენ, აქ რა არის. საქმე ისე ჭკვიანურად და რთულად უნდა მოაწყოს, რომ კომუნიზმის თვალსაჩინოება არაფერს ეტყობოდეს, სინამდვილეში კი არსებობდეს. ვთქვათ, ბანდიტი კომუნის მამულს მოადგა, ლულაგადაჭრილი შაშხანა მოუმარჯვებია და აქაურობას ათვალეირებს, რა მოვიტაცო, ან ბოლო ვის მოვუღო. იმის შესახვედრად კი მდივანი გამოდის, ხელში ტალონების წიგნაკი უკავია. მოქალაქე, — უბნება ბანდიტს, — თუ რამე გნებავთ, ტალონი აიღეთ და საწყობს მიაშურეთ; თუ ლატაკი ხართ, კუთვნილ ულუფას უფასოდ მიიღებთ, თუ სხვა ვინმე ბრძანდებით, მაშინ ჩვენთან ერთ დღეს რაიმე თანამდებობაზე, ვთქვათ, მგლებზე მონადირედ იმსახურეთ. მოქალაქეებს ვარწმუნებ, რომ არც ერთი ბანდიტი უცაბედად თქვენზე ხელს არ აღმართავს. მერე კი ან თავს გამოისყიდის, თუ ბანდიტები თქვენზე მეტნი იქნებიან, ანდა ნელ-ნელა თითო-თითოს დაატყვევებთ, როცა გაოცებულებს იარაღი მიავიწყდებათ და მამულში გაოგნებულები დაიწყებენ ბორიალს. ხომ მართალს ეამბობ?

— თითქმის, — დაუთანხმა კვლავ ის ლაპარაკის მოყვარული ცოცხალი გამწევი ძალის უფროსი.

— ერთხმად მივიღოთ და ერთმა წინააღმდეგ მისცეს ხმა, არა? — გამოაცხადა თავმჯდომარემ. მაგრამ საქმე უფრო რთულად წარიმართა: მალანია ოტკვერშკოვამ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგ მისცა ხმა, მაგრამ მის გარდა, ნიადაგის გაპოხიერების გამგემ — კომუნის წითურმა წევრმა, ერთგვაროვანი ფიქვინა სახე რომ ჰქონდა, — თავი შეიკავა.

— მაინც რატომ? — საგონებელში ჩავარდა თავმჯდომარე.

— თავს ვიკაეებ გახართულებლად! — მოისაზრა მან.

მაშინ იგი თავმჯდომარის წინადადებით მუდმივად თავის შემკავებლად დანიშნეს.

საღამოთი დვანოვსა და კოპიონკინს უნდოდათ, გზა განეგრძოთ — მდინარე შავი კალიტვის ხეობისკენ წასულიყვნენ, სადაც ორ დაბაში ბანდიტები აშკარად და დაუფარავად ცხოვრობდნენ და მთელ რაიონში საბჭოთა ხელისუფლების წევრებს გეგმაზომიერად ხოცავდნენ. მაგრამ კომუნის თავმჯდომარემ სთხოვა, კომუნის საღამოს კრებაზე დარჩით, რათა რევოლუციის ძეგლი სად და როგორ დავდგათ, ერთად მოვისაზროთო. მდივანი ამბობდა, ეზოს შუაში დავდგათო, მალანია ოტკვერშკოვას კი, პირიქით, ბაღში დადგმა ურჩია. ნიადაგის გაპოხიერების გამგე

თავს იკაკვებდა და არაფერს ამბობდა.

— მაშ შენი ჭკუით არსად არ უნდა დავდგათ, არა? — ვკითხებოდა თავმჯდომარე თავის შემკაკვებულს.

— აზრის გამოთქმისგან თავს ეიკაკვებ, — თანამიმდევრულად უპასუხა გაპონიერების გამგემ.

— მაგრამ უძრავლესობამ ხმა მისცა, რომ თანახმაა, მაშ ძეგლი უნდა დავდგათ, მსჯელობდა შეფიქრიახებული თავმჯდომარე. — ახლა მთავარი ისაა, რომ ფიგურაა მოსაფიქრებელი.

დვანოვმა ფიგურა ქალაქზე დახატა.

მან გამოსახულება თავმჯდომარეს გადასცა და განუძარტა:

— დაწოლილი რვიანი დროის მარადიულობას ნიშნავს, ხოლო აღმართული ორწვეტა ისარი სივრცის უსასრულობის გამომხატველია.

თავმჯდომარემ ფიგურა მთელ კრებას აჩვენა.

აქ მარადიულობაც არის და უსასრულობაც; მაშ ყველაფერია. ამაზე ჭკვიანურს ვეღარაფერს მოიფიქრებ: გთავაზობთ, რომ მივიღოთ.

წინადადება მიიღეს. ერთი წინააღმდეგი იყო, ერთმა თავი შეიკავა. ჭადაწვეტივს, რომ ძეგლს აღმართავდნენ შუა მამულში წისქვილის ძველ ქვაზე, რომელიც რევოლუციას მრავალ წელს ელოდა. თვით ძეგლი რკინის წნულუბისგან უნდა დაემზადებინათ. ამ საქმის მოგვარება რკინის ოსტატს დაავალეს.

— აქ საქმის ორგანიზება კარგად მოვაგვარეთ, — დილით ეუბნებოდა დვანოვი კოპიონკინს. ისინი თიხნარ გზას მიუყვებოდნენ შავი კალიტვის შორეული ხეობისკენ. ცას შუა ზაფხულის ღრუბლები მოჰფენოდა. — ახლა ისინი გართულებათა გაძლიერებულ გზას დაადგებიან, ხოლო გაზაფხულზე, გართულების მიზნით, ხვნი-თესვას უეჭველად შეუდგებიან და მამულში დარჩენილ საზრდოს ჭამას მოეშვებიან.

— ნათლადაა მოსაზრებული, — თქვა გაბედნიერებულმა კოპიონკინმა.

— რა თქმა უნდა, ნათლადაა. ზოგჯერ, როცა ჯანმრთელი კაცი გართულების მიზნით თავს სხეულად აჩვენებს, მხოლოდ უნდა უთხრა, საკმარისად არა ხარ დასწრებულელი, და გაუთავებლად მურეც ეს ჩასჩიჩინო. ჰოდა, ბოლოს და ბოლოს, თავისთავად გამოჯანმრთელდება.

— გასაგებია. მაშინ ჯანმრთელობა უახლეს გართულებად და ხელიდან გაშვებულ იშვიათობად მოუჩვენება, — სწორად მოისაზრა კოპიონკინმა, გულში კი გაიფიქრა, სიტყვა — გართულება — რა კარგი და რა ბუნდოვანია, ისევე, როგორც მიმდინარე მომენტი. მომენტი და თანაც მიმდინარეობს: ამის წარმოდგენა შეუძლებელია.

— გაუგებარი რომ არის, ისეთ სიტყვებს რა ეწოდება? — მორიდებით ჰკითხა დვანოვს კოპიონკინმა. — ტერმინები თუ რა?

— ტერმინები, — მოკლედ უპასუხა დვანოვმა. გულში უცოდინრობა კულტურაზე მეტად უყვარდა. უმეცრება ცარიელი მინდვრის მსგავსია, სადაც ყოველგვარი ცოდნის მცენარეთა გაზრდა კიდევ შეუძლებელია, ხოლო კულტურა უკვე გაბარდული ველია, საიდანაც მარილნი მიწისანი მცენარეებს უკვე ამოწოვილი აქვთ და სადაც უკვე აღარაფერი აღმოცენდება. ამიტომ დვანოვი კმაყოფილი იყო, რომ რუსეთის რევოლუციამ ერთიანად გამოძარგლა ის მეჩხერი ადგილები შამბნარებისა, სადაც კულტურა არსებობდა, ხოლო ხალხი ისეთივე ცარიელ მინდვრად დარჩა, როგორც იყო — ყანად კი არა, ცარიელ, ნაყოფიერ ადგილად. ჰოდა, დვანოვი რაიმეს დათესვას არ ჩქარობდა: მას მიაჩნდა, რომ კარგი ნიადაგი დიდხანს ვერ მოითმენდა და თვითნებურად აღმოაცენებდა რაიმე არყოფილს და უძვირფასესს, თუკი ომის ქარიშხალი დასავლეთ ევროპიდან კაპიტალისტური შამბნარის თესლებს არ მოიტანდა.

ერთხელ ერთგვაროვანი ველის სიღრმეში მან თვალი ჰკიდა საითკენლაც ჯგუფად მიმაკვალ ხალხს და მათი სიმრავლის ხილვისას გულში მძლავრი

სიხარული აღუძრა, თითქოს იმ მიუწვდომელ ადამიანებთან ხელისუფალაქდობილი ყოფილიყო.

კოპიონკინის გონებას როზა ლუქსემბურგის სახება წამითაც არ სცილდებოდა და იგი გზას თავჩაქინდრული მიუყვებოდა. უცებ საკუთარი უნუკუშობის შეგრძნებამ გულში წამიერად გაჰკრა, მაგრამ ამ უეცარ აზრს ცხოვრების მდინარეების მორევმა უძალევი თბილი ტალღები შემოაჭლო და შთანთქა. ახლა იგი კვლავ მომავალს ჭვრეტდა; თვალწინ ესახებოდა, რომ სხვა ქვეყანას მალე მიაღწევდა და იქ როზას ღბილ კაბას ეამბორებოდა, მის ნათესავეებს რომ ჰქონდათ შენახული, ხოლო თვით როზას საფლავიდან ამოთხრიდა და თავისთან, რევოლუციისკენ წამოუტყუებდა. კოპიონკინმა როზას კაბის სურნელება, სიცოცხლის ნაშთის მალულ სისიბოსთან შეერთებული სულმიხდილი ბალახის სურნელებაც კი შეიგრძნო. მან არ იცოდა, რომ დვანოვის მახსოვრობაში როზა ლუქსემბურგის მსგავსად სურნელებას აფრქვევდა სინია მანდროვა.

ერთხელ კოპიონკინი ერთი თემის რეკომში ლუქსემბურგის პორტრეტის წინ დიდხანს იჯდა, როზას თმას უცქეროდა და ეს თმა იღუძალ ბაღად წარმოესახებოდა; მერე მის ვარდისფერ ლოყებს დააცქერდა და გაიფიქრა: ცეცხლოვანი რევოლუციური სისხლი აწვება ქვემოდან ამ ლოყებსაც და მთელ ფიქრიან, მაგრამ მომავლისკენ სწრაფვით ანთებულ სახესაცო.

კოპიონკინი პორტრეტის წინ იქამდე იდგა, სანამ უხილავი მღელვარება ცრემლებად არ გადმოეფრქვია. იმავე ღამეს მან გაშმაკებით აჩეხა კულაკი, ვისი წაქეზებითაც ერთი თვის წინ გლეხებმა სურსათის განაწილების აგენტს მუცელი გაუფატრეს და ფეტკით გამოუტენეს, რის შემდეგაც აგენტი ეკლესიის წინ მოედანზე დიდხანს ეგლო, სანამ ქათმებმა ფეტკი მუცლიდან მარცვალ-მარცვალ არ ამოუკენეს.

კოპიონკინმა კულაკი გამძვინვარებით პირველად მაშინ აჩეხა. ჩვეულებრივ იგი მოწადინებული კი არ ხოცავდა, არამედ გულგრილად კლავდა, ოღონდ მომაკვდინებლად ურტყამდა, თითქოს მის არსებაში მუერნის ანგარიშიანობა მოქმედებდა. კოპიონკინს თეთრგვარდიელები და ბანდიტები დიდმნიშვნელოვან მტრებად, თავისი მრისხანების ღირსად არ მიაჩნდა, ამიტომ ისეთი ჩვეულებრივი გულმოდგინებითა და მუყაითობით კლავდა, როგორც გლეხის დედაკაცი ფეტკსა ცეხავს. იგი, ქვეითად თუ ამხედრებული, ზუსტად, მაგრამ აჩქარებით იბრძოდა, საკუთარ გრძნობებს შემდგომი იმედისა და მოძრაობისთვის გაუცნობიერებლად ინახავდა.

მოკრძალებული რუსული ცა საბჭოთა მიწას ისე ჩვეულებრივად და ერთფეროვნად დაჰნათოდა, თითქოს საბჭოები ოდითგან არსებობდა და ეს ცა საბჭოებს ხავსებით ესადაგებოდა. დვანოვს უკვე ჩამოუყალიბდა გულწრფელი რწმენა, რომ რევოლუციამდე ცაცა და ყველა სივრცეც სხვანაირი იყო — ასეთი მშუენიერი არ ყოფილა.

შორეული მშვიდი ჰორიზონტი სამყაროს აღსასრულივით აღმართულიყო იქ, სადაც ცა დედამიწას, ხოლო კაცი კაცს ეხება. ცხენებზე ამხედრებული მგზავრები თავიანთი ხამშობლოს მიყრუებულ მხარეში მიდიოდნენ. დროდადრო გზა ხევის შემადლებულ ადგილს რკალად უვლიდა და მაშინ შორეულ დაბლობში გასაცოდავებული სოფელი მოჩანდა. დვანოვს უცნობი, განმარტოებული დასახლების მიმართ გული სიბრალულით ევსებოდა და სურდა, იქ შეეველო, რათა იმ არემარეში ერთობლივი ცხოვრების ბედნიერება დაემყარებინა, მაგრამ კოპიონკინი არ ესაინხმებოდა: ეუბნებოდა, ჯერ აუცილებლად შავ კალიტვას უნდა გავუსწორდეთ და აქ მერეღა დავბრუნდეთო.

უკაცრიელ მხარეში დღე კვლავ უხალისოდ მიედინებოდა, შეიარაღებულ მხედრებს წინ ერთი ბანდიტიც არ შემოჰყვრიათ.

— მიძალულან! — შესძახებდა ხოლმე კოპიონკინი ბანდიტების მისამართით და

გულის დამამძიმებელი, სულის შემხუთველი ძალის მოწოდებას გრძნობდა. — საზოგადო უსაფრთხოების მოსაპოვებლად წირვას გამოუყვანდი. წყეულები ახლა საკუჭნაოებში სხედან და ძროხის ხორცს თქვლეფენ...

გზას არყის ხეთა ხეივანი ჯიქურ მოადგა. ხეთა მწკრივები ჯერ მთლად არ იყო გაჩეხილი, მაგრამ გლეხებს საკმაოდ შეეთხელებინათ. ხეივანი ალბათ გზის მოშორებით მდებარე ბატონის კარ-მიდამოდან მოეძარებოდა.

ხეივანის დასასრულს ქვითკირის ორი ბურჯი იყო ჩადგმული. ერთ/ბურჯზე ხელნაწერი გაზეთი გაეკრათ, მეორეზე კი თუნუქის აბრა მიეჭედებინათ, რომელზედაც ატმოსფერული ნალექებით სანახევროდ ჩამორეცხილი წარწერა მოჩანდა:

„ამხანაგ პაშინცვეის რევოლუციური ნაკრძალი მსოფლიო კომუნიზმის სახელობისა. მეგობრებს მობრძანება, მტრებს სიკვდილი“.

ხელნაწერი გაზეთი კიდაცის სამტროდ აღმართულ ხელს სანახევროდ ჩამოეხია და ქარი განუწყვეტლივ აფრიალებდა. დვანოვმა გაზეთი ხელით დაამაგრა და თავიდან ბოლომდე ხმამაღლა წაიკითხა, რათა კოპიონკინს გაეგონა.

გაზეთს „ღატაკთა კეთილდღეობა“ ერქვა და ველიკოძესტნის სოფსაბჭოსა და რაირეკომის პოსოშანის თემის სამხრეთ-აღმოსავლეთ ზონაში უშიშროების უზრუნველყოფის რწმუნებულის ორგანოს წარმოადგენდა.

გაზეთში დარჩენილი იყო მხოლოდ სტატია „მსოფლიო რევოლუციის ამოცანების თაობაზე“ და ნახევარი წერილისა „მინდვრებში შეინარჩუნეთ თოვლი — აამაღლეთ მოსავლის მიღებაში შრომის მწარმოებლურობა“. წერილმა შუა ნაწილში თავის აზრს გადაუხვია: „თოვლი მოხანით, — ნათქვამი იყო იქ, — და მაშინ ათასობით გათავსებულნი კრონშტადტის შიში აღარ გვექნება“.

რომელი „გათავსებულნი კრონშტადტისა“? ამან დვანოვი ააღელვა და საგონებელში ჩააგდო.

— ყოველთვის მასების დასამინებლად და დასაბრუნავად წერენ, — გაუაზრებლად თქვა კოპიონკინმა. — დამწერლობაც ცხოვრების გასართულებლად არის მოგონილი. განათლებული ჭკუით ჯადოქრობს, უცოდინარი კი მის სახარგებლოდ მკლავით ირჯება.

დვანოვმა გაიღიმა:

— სისულელეა, ამხანაგო კოპიონკინო. რევოლუცია ხალხის ანბანია.

— ტვინს ნუ შირევ, ამხანაგო დვანოვო. ჩვენში ხომ ყველაფერი უმრავლესობით წყდება, ხოლო თითქმის ყველა წერა-კითხვის უცოდინარია. ჰოდა, როდისმე ისიც მოხდება, რომ წერა-კითხვის უცოდინარები დაადგენენ, რომ წერა-კითხვის მცოდნეებს წერა-კითხვა გადაავიწყონ — საყოველთაო თანასწორობის მიზნით... მით უმეტეს, რომ უფრო მოსახერხებელია, მცირედს წერა-კითხვა დაავიწყებინო, ვიდრე ყველას თავიდან ასწავლო. რა ეშმაკი ასწავლის! შენ ასწავლი, ისინი კი ყველაფერს დაივიწყებენ...

— მოდი, ამხანაგ პაშინცვეთან შევიაროთ, — თქვა ჩაფიქრებულმა დვანოვმა. გუბერნიაში გასაგზავნი ანგარიში მაქვს დასაწერი. დიდი ხანია, არაფერი ვიცი, იქ რა ხდება...

— საცოდნელი არც არის რამე: რევოლუცია თავისი გზით მიაბიჯებს...

ხეივანში კერსნახევარი გაიარეს. მერე შემადლებულ ადგილას დიდებული, მაგრამ მოლად გაუკაცრიელებული, უპატრონოდ მიგდებული თეთრი სასახლე გამოჩნდა. მთავარი შენობის წინ ქალის ზუსტად ნაქანდაკევი ფეხების ფორმის მქონე სვეტებს ზვიადად ეკავათ კადონი, რომელსაც მხოლოდ ცა ეყრდნობოდა. სასახლე რამდენიმე საუენის უკან იდგა და თავისი კოლონადა მქონდა ქედ-ადრეკილი, უძრავად მომუშავე გიგანტების სახისა. კოპიონკინი განმარტოებული სვეტების მნიშვნელობას ვერ მიხვდა და უძრავი ქონების რევოლუციური ანგარიშსწორების ნარჩენებად მიიჩნია.

ერთ სვეტში თეთრი გრავიურა ჩაჟამაგრებიანათ, რაზედაც მემამულე არქიტექტორის პროფილი და ვინაობა იყო გამოსახული. გრავიურის ქვეშოთ რელიეფურად ამოეტვიფრათ ლათინური ლექსი:

სამყარო ქალის მორბენალი,
ფეხებით რომ აბრუნებს დედამიწას,
ეთერში ირბევა სხეული მისი,
თვალეში კი ვარსკვლავები იბადება.

დვანოვმა ფეოდალიზმის სიმყუდროვეში სვედიანად ამოიხრა და კოლონადა — სამი უბიწო ქალის ექვსი ასვეტილი ფეხი — კვლავ შეათვალა მის აბრუნებას სიმშვიდე და იმედი კვლავ დაეუფლა, როგორც ემართებოდა ყოველთვის, როცა შორეულ, თან აუცილებელ ხელოვნების ნიმუშს უცქეროდა.

სინანულს მხოლოდ იმის გამო გრძნობდა, რომ ფეხები — აღსაკესენი ახალგაზრდული ძლიერებით — სხვას ეკუთვნოდა, მაგრამ ის კი ახარებდა, რომ ქალიშვილს, ვინც ამ ფეხებით დანავარდობდა, თავისი არსებობა გამრავლებისთვის კი არა, მომხიბვლელობისთვის მიეძღვნა; თუმცა სიცოცხლით საზრდოობდა, ეს სიცოცხლე მისთვის ნედლეული იყო და არა აზრი, — და ამ ნედლეულს სხვა რაღაცად გადაამუშავებდა, სადაც უსახური სულიერება უგრძნობელ მშვენიერებად გარდაიქცეოდა.

სვეტების მაცქერალი კოპიონკინიც დადინჯდა: იგი პატის სცემდა სიდიადეს, თუკი ეს სიდიადე აზრუქონელი და მშვენიერი იქნებოდა. ხოლო თუ სიდიადე აზრის შემცველი იყო, მაგალითად, — დიდი მანქანა, კოპიონკინს იგი მასების ჩაგვრის იარაღად მიაჩნდა და მთელი სულითა და გულით, უმოწყალოდ ეზიზღებოდა. უაზრო რამის წინაშე კი, როგორც ეს კოლონადა იყო, საკუთარი თავის მიმართ სიბრალულითა და ცარიზმის მიმართ სიძულესილით იმსჯელებოდა. კოპიონკინი ცარიზმს ადანაშაულებდა იმაში, ახლა უზარმაზარ ქალის ფეხები თავად მას რომ არ აღეღებდა და მხოლოდ დვანოვის სვედიანი სახის შემხედვარე ასკვნიდა, თვითონაც რომ უნდა დანადგვლიანებულყო.

— ამდენი საზრუნავი კი გვაქვს, მაგრამ კარგი იქნებოდა, მსოფლიო მნიშვნელობისა და ჩინებული რამ ჩვენც აგვეშენებინა! — თქვა დაღონებულმა დვანოვმა.

— ერთბაშად ვერ ააშენებ, — შეეჭვდა კოპიონკინი. — ბურჟუაზია მთელი ქვეყნიერებისგან გვმიჯნავდა. ჩვენ ახლა ამ სასირცხვილო ბარძაყებზე უფრო მაღალ და უკეთეს ბოძებს ავაგებთ.

მარცხნივ, ბალახ-ბარდნარში, სამყურნო ნაგებობებისა და მომცრო სახლების ნარჩენები სოფლის სასაფლაოზე მიმოფენილი საფლავებივით მიფრილ-მოყრილიყო. სვეტები დამარხულ სამყაროს დარაჯად ედგნენ. სასაფლაოდ ქცეულ არემარეში კეთილშობილ დეკორაციულ ხეებს კენარი ტანი ზეაღმართათ.

— ჩვენ კიდევ უფრო უკეთესს შევქმნით, თანაც თითო-ორი კუთხე-კუნჭულში კი არა, მთელი მსოფლიოს ფართობზე! — ხელები ისე გაშალა დვანოვმა, თითქოს მთელი ქვეყნიერება შიგ მოაქციაო, თუმცაღა გულმა რეჩხი უყო: — ფრთხილად! — რაღაც მოუსყიდველმა, თავდაუზოგავმა ძალამ ამოსძახა გულის სიღრმიდან.

— რა თქმა უნდა, ავაშენებთ: ფაქტია და ლოზუნგი, — დაუდასტურა აღფრთოვანებულმა და დაიმედებულმა კოპიონკინმა. — ჩვენი მოვალეობა დაუცხრომლობაა.

კოპიონკინი ადამიანის უზარმაზარ ფეხთა ანაბეჭდს წააწყდა და ცხენი ამ ნაკვალევს გაუყენა.

ნეტა, ფეხზე რა აცვია აქაურ ბინადარს? ძალზე გაუკვირდა კოპიონკინს და ხმალი იშიშვლა: ერთიც ენახოთ და, გოლიათს — ძველი წყობის მცველს გადავეყაროთო. მემამულეებს ნაპატივები ვირგლა მაიმახები ჰყავდათ: მოგადგება ამისთანა ვირგლა და ტორს გაუფრთხილებლად დაგცხებს — მყესებს დაგიწყვტს.

კოპიონკინს მყესები მოსწონდა, მაგარ თოკებს ადარებდა და მათი გაგლეჯისა ეშინოდა.

მხედრები მასიურ, საშვილიშვილოდ ნაკეთებ კარს შიადგნენ, დანგრეული სახლის ნახევარსარდაფში რომ ჩადიოდა. არაადამიანური ნაკვალევი იქით მიემართებოდა; კარის წინა ალაგს ისიც კი ეტყობოდა, რომ ახმახს მიწა ერთ ადგილზე ეტყეპნა და ერთიანად აეჩიჩნა.

— აქ ვინ უნდა იყოს? — ამბობდა განცვიფრებული კოპიონკინი. — უმჯველია, მძვინვარე ვიღაც იქნება. ახლა შემოგვიდრიანლებს მოემზადე, ამხანაგო დვანოვო!

კოპიონკინი გამხიარულდა კიდევაც: იგი ისეთ შემაშფოთებულ მწყევლებას გრძნობდა, ბავშვებს დამით ტყეში რომ მოყდალებათ ხოლმე; აღსრულებული ცნობისმოყვარეობა შიშს უნახევრებდა ხოლმე.

დვანოვმა შეჰყვირა:

— ამხანაგო პაშინცევი!.. მანდ ხართ ვინმე?

ხმა არავის გაუღია. უქარი ამინდში ბაღახიც კი არ იძვროდა, დღე უკვე ფერძკროთაღდებოდა.

— ამხანაგო პაშინცევი!

— ჰეი! — მძლავრად გაისმა შორს, მიწის ნოტიო, ბუბუნა ხიდრმეში.

— აქ გამოდი, თანახოფლელო! — ხმაძაღლა უბრძანა კოპიონკინმა.

ჰეი! — პირქუშად, ყრუდ გამოუპასუხა ვიღაც სარდაფის წიაღიდან. მაგრამ ხმაზე არც შიში ეტყობოდა და არც გარეთ გამოსვლის სურვილი. იქ მყოფი, როგორც ჩანს, პასუხს მწოლიარე იძლეოდა.

კოპიონკინმა და დვანოვმა შეიცადეს და მერე გაბრაზდნენ.

— გამოდი მეთქი, არ გეყურება! ათუხთუხდა კოპიონკინი.

— არ მინდა, — ნელა უპასუხა უცხო კაცმა. — ცენტრალურ სახლში შედი იქ, სამხარეულში, პური და შინნახადი არაყია.

კოპიონკინი ცხენიდან ჩამოხტა და კარზე ხმალი ააბრაგუნა.

გამოდი, თორემ ხელყუმბარას შემოვაგდებ!

იმ კაცს ხმა არ ამოუღია. — შესაძლოა, ხელყუმბარას და იმ ამბავს, რაც ხელყუმბარის შეგდებას მოჰყვებოდა, ცნობისმოყვარეობით ელოდა. მაგრამ მერე უპასუხა:

— შემოაგდე, შე ცუდლუტო. აქ ხელყუმბარების მთელი საწყობი მაქვს: შენ თვითონ დეტონაცია უკანვე, დედის მუცელში შეგაძვრენს!

მერე ისეუ დადუმდა. კოპიონკინს ხელყუმბარა არა ჰქონდა.

— შემოაგდეთ რალა, თქვე წყეულებო! — მშვიდი ხმით სთხოვა კართან მდგომებს უცხო კაცმა სარდაფის ხიდრმიდან. — ჩემი არტილერია შემამოწმებინეთ: ბომბები ალბათ დამიჟანგდა და დამინესტიანდა კიდევაც — ალბათ ვეღარ აფეთქდებიან ეს უპატრონოები!

— ეაჰ! — უცნაურად წამოიძახა კოპიონკინმა. — მაშინ გამოდი და ამხანაგ ტროცკის გამოგზავნილი პაკეტი ჩაიბარე.

კაცი გაჩუმდა და ჩაფიქრდა.

— რა ჩემი ამხანაგა ის არის, როცა ყველაზე მბრძანებლობს! რევოლუციის კომუნდანტები ჩემი ამხანაგები ვერ იქნებიან. შენი ის გირჩევნია, ბომბი შემოაგდო — მაინტერესებს, როგორ აფეთქდება!

კოპიონკინმა მიწაში ჩაზრდილი აგური ფეხის წაკვრით ამოაგდო, მერე მთელი ძალით მოიქნია და კარსა სთხლიშა. რკინით შეჭყდილმა კარმა გაიჟღერია და კვლავ მშვიდად გაჩერდა.

— არ აფეთქდა ეს წყეული, შიგნით ნივთიურება გაჰქვაკვებია! — ნაკლი დაადგინა კოპიონკინმა.

— ჩემი ხელყუმბარებიცა დუმს! — დინჯად უპასუხა უცხო კაცმა. — საყელური თუ ჩახსენი? აბა, ერთი შემახედე, რა მარკისაა.

ლითონი ნელა აქდარუნდა — ვიღაც ნამდვილად რკინის ნაბიჯებით მოემართებოდა. კოპიონკინი მას ქარქაშში ჩაგებულ ხმლით მოელოდა — ცნობისმოყვარეობამ სიფრთხილე გადაძლია. დვანოვი თავისი იორლა ცხენიდან არ ჩამომხტარა.

უხილავი კაცი უკვე ახლოს მოედარუნებოდა, მაგრამ თანაბარ ნაბიჯს არ აჩქარებდა, ეჭვობოდა, თავის ძალთა სიმძიმეს ძლევდა.

კარი ერთბაშად გაიღო — თურმე გადაკეტილი არ ყოფილიყო. ნანახით გაოგნებული კოპიონკინი გაუჩნდა. მან ორი ნაბიჯით უკან დაიხია. ეგონა, რაღაც საშინელებას ნახავდა, ანდა გამოცანა უმაღლეს ამოიხსნებოდა, მაგრამ კაცი უკვე გამოჩნდა, იდუმალება კი მაინც არ გამქრალა.

ფართოდ გაღებული კარიდან გამოვიდა თავით ფეხებამდე ჯავშან-აბჯარ-მუხარადით შემოსილი ტანმორჩილი კაცი, ხელში მძიმე მახვილი ეჭირა, ფეხებზე ლითონის უზარმაზარი ჩექმები ეცვა; თითოეული ჩექმის ყელი ბრინჯაოს სამი შესახსნელი მილისგან შედგებოდა და ეს ჩექმები ბალახს ძირფესვიანად თელავდა.

კაცს პირისახე — განსაკუთრებით შუბლი და ნიკაპი — ჩაფხუტის გადანაკეცებით ჰქონდა დაფარული, ხოლო ყველაფერი ზემოდან ჩამოსვეებული ცხაურის ქვეშ იყო მოქცეული. ყოველივე ეს მეომარს მტრის ყოველგვარი დარტყმისგან დაიცავდა.

მაგრამ თვით კაცი ტანმორჩილი და არცთუ ისე საშიში გახლდათ.

— შენი ხელყუმბარა სად არის? — ჩახლეჩილი წერილი ხმით იკითხა სარდაფიდან მოვლენილმა. მისი ხმა მხოლოდ შორიდან გუგუნებდა მძლავრად, რადგან ცარიელ სამყოფელში ლითონის საგნები ბანს აძლევდა, ნამდვილად კი საბრალობელი გახლდათ.

— ოჰ, შე წუნკალო! — სიბრაზის, მაგრამ ასევე პატივისცემის გარეშე შესძახა კოპიონკინმა და რაინდი დაკვირვებით შეათვალიერა.

დვანოვმა გულიანად გაიცინა. იგი მყისვე მიხვდა, ამ კაცმა ვისი უზარმაზარი სამოსელიც მიითვისა. მაგრამ სიცილი კი იმან მოჰგვარა, რომ ძველებურ მუხარადზე წითელარმიელის ვარსკვლავი შეამჩნია, ჭანჭიკზე რომ იყო ჩამოცმული და ქანჩი ჰქონდა მოჭერილი.

— რა გიხარიათ, თქვე არამზადებო? — გულგრილად ჰკითხა მოსულებს რაინდმა, როცა დეფექტიანი ხელყუმბარა ვერსად ნახა. რაინდს ქვემოთ დახრა სრულებით არ შეეძლო და ბალახს მახვილით მხოლოდ ოდნავ ქექავდა, თან საჭურველის სიმძიმის დაძლევას განუწყვეტლივ ცდილობდა.

— ჭირიანო, რაც არა არის რა, რას დაეძებ! — სერიოზულად უთხრა კოპიონკინმა და ნორმალური შეგრძნებანი დაუბრუნდა. — ღამის გასათევად წაგვიყვანე. თივა თუ გაქვს?

რაინდი ბინადრობდა სასახლის სამეურნეო ნაგებობის ნახევარსარდაფში, სადაც ერთ დარბაზს ჭრაქის მოშავო შუქი ანათებდა. შორეულ კუთხეში რაინდთა საჭურველი და ცივი იარაღი იყო დახვავებული, ხოლო მეორე მხარეს — შუა ადგილას — ხელყუმბარების პირამიდა იდგა. დარბაზში კიდევ მოჩანდა მაგიდა, მაგიდასთან ერთი ტაბურეტი, მაგიდაზე ბოთლი, რაშიც უცნობი სასმელი, ანდა, შესაძლოა, საწამლავე ესხა. ბოთლზე პურის ცომით მიკრულ ქაღალდზე მელნისფერი ფანქრით ეწერა ლოზუნგი:

სიკვდილი ბურჟუებს!

— აბა, ერთი შემხსენი, რომ ღამით თავისუფლად ვიყო. — სთხოვა რაინდმა კოპიონკინს.

კოპიონკინი უკვდავი სამოსლიდან რაინდის გამოხსნას შეუდგა, თან ცდილობდა, ამ სამოსლის ჭკვიანურ ნაწილებს ჩაჰკვირვებოდა. ბოლოს რაინდი დაიშალა და ბრინჯაოს გარსიდან ჩვეულებრივი ამხანაგი პაშინცევი გამოსხლტა — ასე ოცდაჩვიდმეტი წლის მოწაბლისფერო კაცი, ერთი შეურიგებელი თვალი რომ აკლდა და მეორე თვალით ამიტომ უფრო დაკვირვებულად იცქირებოდა.

— მოდი, თითო ჭიქა დავლიოთ, — უთხრა სტუმრებს პაშინცევი.

მაგრამ კოპიონკინი არაფერს ძველ დროშიაც არ ეკარებოდა; შეგნებულად არ სვამდა, როგორც გრძნობებისთვის უსარგებლო სასმელს.

არც დევანოვი იყო ღვინო-არაყის მოყვარული, და პაშინცევი მარტომ დალია. მან ხელი წამოავლო ბოთლს, რომელსაც წარწერა ჰქონდა მიწებებული — „სიკვდილი ბურჟუებს!“ — და პირდაპირ ყელში ჩაიკალა.

— შენი რჯულიც არ იყოს! — თქვა მან, როცა ჭურჭელი დააცარიელა, და მერე გაგულკეთილებული სახით დაჯდა.

— რაო, გემა? — ჰკითხა კოპიონკინმა.

— ჭარხლის ნაყენი გახლავთ, — განუმარტა პაშინცევი. — ერთი გაუთხოვარი ქალიშვილი ფაქიზი ხელებით აყენებს, უწყინარი სასმელია, ძალიან სურნელოვანი, ჩემო კარგო...

— შენ რა კაცი ხარ? — ჯავრიანი ხმით ჰკითხა კოპიონკინმა.

— მე საკუთარი თავის კაცი ვარ, — აუწყა კოპიონკინს პაშინცევი. — ჩემთვის რეზოლუცია გამოვიტანე, რომ ცხრამეტ წელში ჩვენთან ყველაფერი დამთავრდა — გაჩნდა არმია, ხელისუფლება და წესწყობილება, ხოლო ხალხი ისევ მწკრივში უნდა ჩააყენონ, ყველაფერი ორშაბათიდან დააწყებინონ... ერთი მაგათი...

პაშინცევი მთელი მიმდინარე მომენტი ხელით მოკლედ მოხაზა.

დევანოვი ფიქრს თავი მიანება და პაშინცევის მსჯელობას ყური მიუგდო.

— თვრამეტი და ცხრამეტი წელი ხომ გახსოვს? — ამბობდა სიხარულის ცრემლებმორეული პაშინცევი. სამუდამოდ დაკარგული დრო მის გულ-გონებაში მრისხანე მოგონებებს იწვევდა: თხრობისას მაგიდაზე მუშტს აბრაგუნებდა და ყველაფერს მუქარას უთვლიდა, რაც მის სარდაფს გარს ერტყა — ახლა აღარაფერი იქნება, — მძულვარებით უმტკიცებდა პაშინცევი თვალეზახამხამებულ კოპიონკინს.

— ყველაფერს ბოლო მოუდო: კანონი გაბატონდა, ადამიანთა შორის განსხვავება დაწესდა — თითქოს ვინმე ეშმაკს კატი აწონილ-გაზომილი ჰყავდეს... ვთქვათ, ჩემზეა ლაპარაკი — განა როდისმე შეიტყობ, აქ რა ამბავი ტრიალებს? — პაშინცევი ხელი შემოიკრა დაბალ თავის ქალაზე, სადაც ტვინი შეკუმშული უნდა ჰქონოდა, რათა ჭკუა ჩასტეოდა. — აქ, ძმობილო, ყველა სივრცე მოთავსდება. ასეთივეა ყოველი კაცი. ამ დროს კი უნდათ, რომ გამიბატონდნენ! ყოველივე ამაზე რა აზრისა ხარ? მითხარი — მოტყუებაა თუ არა?

— მოტყუებაა, — გულაღაღად დაეთანხმა კოპიონკინი.


— ასეა, — დაასრულა კმაყოფილმა პაშინცევი. — ამიტომაც ახლა მთელი კოცონიდან განცალკევებით ვიწვი!

პაშინცევი გულმა უგრძნო, რომ კოპიონკინი მისებრი ობოლი იყო ამქვეყნად და გულითადი სიტყვებით სთხოვა, სამუდამოდ ჩემთან დარჩიო.

— მეტი რა გინდა? — ეუბნებოდა კოპიონკინს მისი კეთილგანწყობილების შეგრძნებით თავდავიწყებამდე გახარებული პაშინცევი. — აქ იცხოვრე. ჭამე და სვი, ხუთი კასრი ვაშლი ჩავამწნილე, ორი ტომარა წვეთი გავამრე. ხუთა შორის მეგობრულად ვიცხვროთ, მოლზე ვიმღეროთ. ჩემთან ათასობით კაცი მოდის — მთელი ღატაკობა ჩემს კომუნას შემოჰხარის. ხალხი ხომ ამისთანა თავშესაფარს იოლად ვერსად იშოვის. სოფელში საბჭოები მეთვალყურეობენ, კომისარ-ჩაფრები ყველას დარაჯად უდგანან, მაზრის სასურსათო კომიტეტი გლეხობას პურს სტომაქში უძებნის, ჩემთან კი მთავრობის კაცი ფეხს ვერ შემოდგამს.

— შენი ეშინიათ, — დაასკვნა კოპიონკინმა, — შენ ხომ მთლად რკინაში ჩამჯდარი დაიარები, ბომბებზე გძინავს...

— ნამდვილად ეშინიათ, — დაეთანხმა პაშინცევი. — ჩემთან დაძვობლება მოიწადინეს, უნდოდათ, მამული აღრიცხვაზე აეყვანათ, მე კი კომისარს თავით ფეხებამდე აკაზმული გამოვეჭიმე და ბომბი მოვუღერე: კომუნას მოეშვი-მეთქი! მეორედ განაწილების წასაღებად მოვიდნენ. მე კომისარს ვუთხარი: ჭამე, სვი, შე



მამაძაღლო, მაგრამ ზედმეტს თუ წაიღებ რამეს, მყრალ მძორად გაქცევ-მეთქი. კომისარმა ერთი ჭიქა შინნახადი არაყი დალია და წავიდა. ამხანაგო პაშინცევი, გმადლობო, — მითხრა. ერთი მუჭა მზესუმშირა მივეცი, აგერ ის თუჯის ბუნეი ზურგში წაგკარი და თავისი სახელმწიფო რაიონებისკენ გაკამგზავრე...

— ახლა რას შერები? — ჰკითხა კომიონკინმა.

— არაფერს: ყოველგვარი ხელმძღვანელობის გარეშე ვცხოვრობ, პოდა, ყველაფერი რიგზეა. აქ რევოლუციური ნაკრძალი გამოვაცხადე, რომ ხელისუფლებამ აღმაცერად არ მიცქიროს, და გმირული კატეგორიის რევოლუციას ხელუხლებლად ვინახავ...

დვანოვმა კედელზე ნახშირით ნაწერი შეამჩნია; ასოები მთრთოლარე, წერას უჩვევი ხელით იყო გამოყვანილი. დვანოვმა ჭრაქი კედელთან მიიტანა და რევოლუციური ნაკრძალის შეგონებანი წაიკითხა.

— წაიკითხე, წაიკითხე, — ხალისიანად ურჩევდა პაშინცევი. — ზოგჯერ ვდუმვარ, ვდუმვარ, მერე დუმილი მომბეზრდება და კედელს გამოვსაუბრები ხოლმე. როცა დიდხანს ვარ მარტო და კაციშვილს ვერ ვნახულობ, გული მემღვრევა...

დვანოვმა კედელზე დაწერილი ლექსი წაიკითხა:

ბურჟუა თუ გაქრა, შრომა ხომ დარჩა,
გლუხს ქედზე ისევ ჭაპანი ადგას,
ყვაილი მინდვრის, მშრომელო, ახლა
უკეთ რომ ცხოვრობს, ერწმუნე ამას.
მაშ მიატოვე ხენა-თესვა, მკა,
მიწა ყველაფერს თავისით მოგცემს,
შენ კი ცხოვრება მზიარულ ჰყავ,
ამქვეყნად არვინ მოსულა ორჯერ.
ამიტომ გირჩევ, გულლიად ეშმე,
ჩასჭიდე ხელი კომუნას წმინდას
და დაიგრგვინე, რომ ყველას ესმას:
ვიკმაროთ ძველი ტანჯვა და სევდა.
დროა, რომ ბლომად მოვიკრათ ქონი,
შორს ჩვენგან მძიმე ჯაფა და შრომა,
მიწაზე სარჩო თავისით მოვა.

კარზე ვილატამ წყნარად, შინაურულად დააკაკუნა.

— ჰეი! — გაეხშიანა პაშინცევი; არაყი გულ-მუცლიდან უკვე ამოუორთქლებინა და დადუმებულებიყო.

— მაქსიმ სტეპანიჩ, — გაისმა გარედან, — ნება დამრთე, ტყის პირას ხელნისათვის ლატანი გამოვიძებნო: შუა გზაზე გამეხლიჩა და აქ ჩავრჩები.

— არ შეიძლება, — უარი უთხრა პაშინცევმა. — როდემდე უნდა ჩავჩინინოთ? ბედელზე ბრძანება ხომ გამოვაკარი? მიწა თავისით არის წარმოქმნილი, პოდა, ესე იგი, არავისია, უკითხავად რომ წაგედო, მაშინ ნებას დაგრთავდი...

გარეთ მყოფმა სიხარულისგან ჩაიხრიწინა:

— რახან ასეა, გმადლობ, ლატანს არ გავკვარები — რაკილა მოთხოვნილია, სხვა რამეს ვირუქებ.

პაშინცევმა დაუბრკოლებლივ უთხრა:

— არასოდეს იკითხო, მონური ფსიქოლოგიის პატრონო, ყველაფერი თავადვე იჩუქე. ამქვეყნად შენი მოწადინებით ხომ არ გაჩენილხარ, სიცოცხლე მუქთად მოგეცა — მაშ უანგარიშოდ იცხოვრე.

— ნაღდად ასეა, მაქსიმ სტეპანიჩ, — გულდაჯერებით დაუდასტურა მთხოვნელმა კარს გარედან. — რასაც თვითნებურად მოიტაცებ, თავი იმითი უნდა ირჩინო. ეს მამული რომ არ ყოფილიყო, ნახევარი სოფელი ამოწყდებოდა. მეხუთე წელია, სარჩოს აქედან ვვზიდებით: ბოლშევიკები სამართლიანი ხალხია! გმადლობთ, მაქსიმ

სტეპანოვი.

პაშინცევი უმაღლესად გაბრაზდა.

ისევ მადლობას გაიძახა! არაფერი არ წაიღო, მე წყეულო!

— ვგ როგორ იქნება, მაქსიმ სტეპანინ? მაშ სამ წელიწადს პოზიციაზე სისხლს რისთვისა ვღვრიდი? მე და ჩემი ნათლიძამა წყვილცხენა საზიდრით მოვედით თუჯის როფის წასადებად, შენი კი ამბობ, ხელი არ ახლოო...

— აი, ჩვენი სამშობლო! — საკუთარ თავსა და კოპიონკინს უთხრა პაშინცევმა, მერე კი კარისკენ გასძახა: — ჯერ არ ამბობდი, ხელნისათვის მივედით ახლა კიდევ როფით!

მთხოვნელს არ გაჰკვირვებია.

— რაიმეს მაინც წავიდებო... ხან მარტო ერთი ქათამი მიგყავს, გაიხედავ და, გზაზე რკინის ლილევი გდია. მარტო ძვრას ვერ უზამ, ის კიდევ თავხედურად არის გახირული. ამიტომაც არის, მეურნეობა მოშლილი რომ გვაქვს...

რაკილა წყვილცხენა საზიდრით მოსულხარ, — საუბარი დაასრულა პაშინცევმა, — მაშ ქალის ფეხი წაიღე თეთრი ბოძებიდან... მეურნეობაში გამოგადგება.

— შეიძლება, — დაკმაყოფილდა მთხოვნელი. — ბუქსირით ნელ-ნელა გავათრევთ, — მერე კაფელეზად დავაპობთ.

მთხოვნელი წავიდა, რომ წინასწარ შეეთვალეოვებინა, რათა მოტაცება უფრო მარჯვედ მოეხერხებინა.

დაღამებისას დვანოვმა პაშინცევს შესთავაზა, რომ საქმე უკეთ მოეგვარებინა — მამული სოფელში კი არ გადაეზიდვინებინა, სოფელი გადმოესახლებინა მამულში.

— ჯაფა ნაკლები იქნება, — ამბობდა დვანოვი. — თანაც მამული მადლობზეა — აქ მიწა უფრო მოსაკლავია.

პაშინცევი ამაზე არაფრით არ დაეთანხმა.

— გაზაფხული დადგება თუ არა, მთელი გუბერნიის მაწანწალები თავს აქ იყრიან — ყველაზე უფრო ნამდვილი პროლეტარიატი მოდის. მაშინ სადღა წავლენ? არა, კულაკების ძალმომრეობას მე აქ არ ვაბოგინებ!

დვანოვმა გაიფიქრა, გლეხები და მაწანწალები ერთიმეორესთან მართლაც ვერ მორიგდებიანო. მეორეს მხრივ, პოხიერი მიწა ტყუილად ცდებოდა — რევოლუციური ნაკრძალის მოსახლეობა არაფერს თესავდა, მხოლოდ ხილის ბაღის ნარჩენებისა და ბუნებრივად, თავისით მოსული რაღაც-რაღაცის ხარჯზე არსებობდა: ალბათ ნაცარქათამასა და ჭინჭარს ხარშავდა.

— იცი, რა უნდა ქნა, — თავისთვისაც მოულოდნელად მიხვდა დვანოვი. — მამული სოფელზე გადაცვალე: მამული გლეხებს მიეცი, ხოლო სოფელში რევოლუციური ნაკრძალი მოაწყვე. შენთვის ზომ სულ ერთია — მთავარი ადგილი კი არა, ხალხია. ხალხი ხრამში იტანჯება, შენ კი მადლობზე მარტო ხარ!..

პაშინცევმა დვანოვს განცვიფრებულმა და გაბედნიერებულმა შეხედა.

— აი, ეს ჩინებულია! ასეც მოვიქცევი. ხვალვე წავალ გლეხების ასაყრელად.

— წამოვლენ? — ჰკითხა კოპიონკინმა.

— ერთ დღეში ყველანი აქ გაჩნდებიან! — გააფთრებით შესძახა დარწმუნებულმა პაშინცევმა და მოუთმენლობისგან ტანიც კი შეუხტა.

— არა, მე პირდაპირ ახლავე წავალ! — გადაიფიქრა პაშინცევმა. ახლა დვანოვიც შეუყვარდა. თავდაპირველად დვანოვი არცთუ ისე მოეწონა: იჯდა და ხმას არ იღებდა, ყველა პროგრამა, წესდება და თეზისი კი ალბათ ზეპირად იცოდა — ასეთი ჭკვიანი ხალხი პაშინცევს არ უყვარდა. იგი ხედავდა, რომ სულელები და უბედურები ჭკვიანებზე კეთილნი იყვნენ და უფრო მეტი უნარი გააჩნდათ, თავიანთი ცხოვრება თავისუფლებისა და ბედნიერებისკენ წარემართათ. პაშინცევს გულში სჯეროდა, რომ მუშები და გლეხები, რა თქმა უნდა, ნასწავლ ბურჟუაზიებზე სულელები, მაგრამ, სამაგიეროდ, უფრო გულთაღნი იყვნენ და ჩინებულნი ბუდი ამის გამო ჰქონდათ.

კობიონკინმა პაშინცევი დაამშვიდა; უთხრა, ნურსად გეჩქარება, გამარჯვება, სულ ერთია, მაინც უზრუნველყოფილი გვაქვსო.

პაშინცევი დაუთანხმა და სარეველა ბალახზე დაიწყო ლაპარაკი. თავისი უბადრუკი ბავშვობის უამს უყვარდა იმის ცქერა, ფეტვის ყანას საბრალობელი განწირული ბალახი როგორ მოედებოდა ხოლმე. იცოდა, რომ ერთ მზიან დღეს დედაკაცები ჩხირებით დაუზოგაკად ამოძირკვავდნენ ველურ, უსარგებლო ბალახს — ნარცეცხლას, ძიძოსა და ფრინტას. ეს ბალახები უსახურ ყანაზე უფრო ღაჭაჭი იყო — მათი ყვავილები მომაკვდავი ბავშვების ნაღვლიან თვალებს წააგავდა, რადგან ბალახებმა იცოდნენ, რომ ოფლიანი დედაკაცები ამოძირკვავდნენ. მაგრამ ასეთ ბალახს უძლურ ყანაზე მეტი სიცოცხლისუნარიანობა და გამძლეობა გააჩნდა — დედაკაცებისგან ამოძირკვეული ისევე აღმოცენდებოდა აურაცხელი უკვდავი ოდენობით.

— ღატაკებიც ასეთივენი არიან! — სარეველა ბალახს შეადარა ისინი პაშინცევმა და სინანული იგრძნო, მთლიანად რომ გამოცალა „სიკვდილი ბურეუებს!“ — ჩვენ სხვა ელემენტებზე მეტი ძალა გვაქვს და უფრო გულთბილნი ვართ...

პაშინცევმა იმ ღამით თავი ველარ დაიშოშმინა, პერანგზე ჯავშანი შემოიცვა და სადღაც სასახლის ეზო-უურეში გავიდა. იქ გარს ღამის სიგრილე შემოეხვია, მაგრამ არ შესცივნია, პირიქით, ვარსკვლავებით მოჭედებულმა ცამ და ამ ცის ქვეშ თავისი სიპატარავის შეგრძნებამ დიადი გრძნობით განმსჭვალვისა და დაუყოვნებელი გმირობის ჩადენის სურვილი აღუძრა. პაშინცევმა უზარმაზარი ღამეული სამყაროს ძლიერების წინაშე დაიმორცხვა და დაუფიქრებლად მოისურვა, საკუთარი ღირსება უმაღლე აღედგინა.

მთავარ სახლში რამდენიმე მთლად მიუსაფარი ადამიანი ცხოვრობდა. ისინი არსად არ იყვნენ რეგისტრირებულნი. გახურებული ღუმლის გამოღებულ კარიდან გამოსული შუქი ფანჯრებში ციმციმებდა. იქ, ბუჩარში, საჭმელს ამზადებდნენ. პაშინცევმა იქაურ ბინადართა სიმშვიდე არად ჩააგდო და ფანჯარაზე მუშტით დააბრაგუნა.

გარეთ გამოვიდა თმაგაბურძგნილი ქალიშვილი, თუქის ძალაღი ჩექმები რომ ეცვა.

— რა გინდა, მაქსიმ სტეპანიჩ? ამ ღამეში განგაში რატომ ატეხე?

პაშინცევი ქალიშვილთან მივიდა და მთელი მისი აშკარა ნაკლოვანებანი საკუთარი აღმადრენისა და სიმპათიის გრძნობით შეავსო.

— გრუნია, — უთხრა მან ქალიშვილს, — მოდი, გაკოცო, გაუთხოვარო მტრედო! ჩემი ბომბები გამოშრა და არ ფეთქდება — ახლა შინდოდა, სვეტებს იმ ბომბებით მომენგრია, მაგრამ კერ შეუძლებ. მოდი, ამხანაგურად მოგეხვევი.

გრუნია ჩაეკითხა:

— რა დაგეძართა — თითქოს სერიოზული კაცი იყავი... ეგ რკინები გაიძრე, თორემ ხორცს სულ დამიჩეჩქვავ...

მაგრამ პაშინცევმა ტუჩების მუქსა და მშრალ ქერქზე სწრაფად აკოცა და უკან გაბრუნდა. გულს მოეშვა და თავს ზემოთ გაშლილი ძლევაპოხილი ცის ქვეშ ისეთ სინანულს აღარ გრძნობდა. ყოველივე დიდი მოცულობისა და ჩინებული ხარისხისა პაშინცევის გულში აღაგზნებდა არა ჭერუტით სიამეს, არამედ ძალითა და მნიშვნელობით დიდისა და ჩინებულის ჯობნის მეომრულ გრძნობას.

— რას შურებით? — ჰკითხა პაშინცევმა სტუმრებს ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, თავისი დაკმაყოფილებული გრძნობების განსამუხტავად.

— ძილის დროა, — დაამთქნარა კობიონკინმა. — შენ ხომ ჩვენი პირობა დამახსოვრებული გაქვს — გლეხები ხალვათ მიწაზე უნდა დაასახლო: მაშ აშაო სტუმარ-მასპინძლობა რაღად გვინდა?

— გლეხებს ხვალვე გადმოვასახლებ ყოველგვარი საბოტაჟის გარეშე! — ბეჭედი დაუსვა პაშინცევმა. — თქვენ კი სტუმრად დარჩით, რათა კაეშირი განვამტკიცოთ!

ხვალ გრუნკა სადილს მოვიმზადებთ... აქ რაცა მაქვს, ისეთ რამეს სხვაგან ვერსად ნახაუთ. იმას ვფიქრობ, ლენინი აქ როგორ მოვიწვიო — რაც არ უნდა იყოს, ბელადია!

კოპიონკინმა პაშინცევი შეათვალიერა — კაცს ლენინის მოწვევა მოუნდომებიაო! მერე უთხრა:

— შენი ბომბები გავსინჯე — სუყველა წამხდარია: მამ რაზმადღა მბრძანებლობ?

პაშინცევი არ შედავებია:

— რა თქმა უნდა, წამხდარია; საკუთარი ხელით განემუხტეს მაგრამ ქველში აზრზე არ არის. მე იმათ მხოლოდ პოლიტიკით ვიმორჩილებ — შეჯავშნული დავდივარ, ღამეს ბომბებზე ვათევ... მცირე ძალებით მოწინააღმდეგის გარშემოვლის მანევრს თუ მიხვდი? ჰოდა, არ გამოთქვა, როცა გაგახსენდება.

ჭრაქი ჩაქრა, პაშინცევმა კითარება განმარტა:

— აბა, ბიჭებო, როგორც მოახერხოთ, ისე დაწეკით — არაფერი ჩანს, თანაც ლოგინები არა მაქვს... ხალხის თვალში მე მწუხარე კაცი ვარ...

— მწუხარე კი არა, ახირებული კაცი ხარ, — დააზუსტა კოპიონკინმა და დასაძინებლად მოეწყო.

პაშინცევმა უწყინარად უპასუხა:

— ძმობილო, აქ დედაკაცების ქალაქი კი არა, ახალი ცხოვრების კომუნაა: ყურთუკები არა გვაქვს.

გათუნებისას ვარსკვლავთა დიდებულება მიიღია და ციმციმა ელვარებას ნაცრისფერი შუქი შეენაცვლა. ქვეყნიერებას ღამე ბრწყინვალე კავალერიასავით განშორდა და დედამიწაზე ძნელი სალაშქრო დღის ქვეითი ჯარი ჩამოდგა.

პაშინცევმა, კოპიონკინის გასაოცრად, შემწვარი ცხვრის ხორცი მოიტანა. მერე ორი მხედარი რევოლუციური ნაკრძალიდან გამოვიდა და სამხრეთის გზით შავი კალიტვის ხეობისკენ გაემართა. თეთრი კოლონადის ქვეშ რაინდის ხეშეში საჭურველით შემოსილი პაშინცევი იდგა და თანამოაზრეებს გასცქეროდა.

ორი მხედარი კვლავ გზას მიუყვებოდა. ამომავალი მზე ღატაკ ქვეყანას გადმოსცქეროდა.

დვანოვს თავი ჩაელუნა, სწორ გზაზე ერთფეროვანი სიარულისგან ცნობიერება უძცირდებოდა. ის, რასაც ახლა დვანოვი თავის გულად შეიგრძნობდა, გრძნობათა აბორგებული ტბის მოწოლისგან გამუდმებით მთრთოლავი კაშხალი იყო. გულის მუხებით ზეაწეული გრძნობები, უკვე შეძანელებელი აზრის ნაკადებად ქცეულნი, კაშხალის გაღმა ცვიოდა. მაგრამ კაშხალზე გამუდმებით ენთო სამორიგეო შუქი იმ დარაჯისა, რომელიც არ მოქმედებს და მხოლოდ თვლებს მცირედი გასამრჯელოს საფასურად. ეს შუქი დვანოვს ზოგჯერ საშუალებას აძლევდა, რომ დაენახა ორივე სიერცე — გრძნობათა აზვირთებული თბილი ტბა და კაშხალს გაღმა უსასრულო, სწრაფი მდინარეობა თავისივე სისწრაფით გაგრძელებული აზრებისა. მაშინ დვანოვი წინ უსწრებდა ცნობიერების მკვებავი, მაგრამ ამასთანავე დამამუხრუჭებელი გულის მუშაობას და ბედნიერებას ეზიარებოდა.

— ჩორთით გავექანოთ, ამხანაგო კოპიონკინო! — უთხრა თანამგზავრს დვანოვმა, მთელი არსება მოუთმენლობით აღვსებოდა, ისე ეწადა შეტყობა, ამ გზის გასრულებისას რა ელოდა. მის გულში აღორძინებულიყო ბავშვური სიხარული, რასაც იწვევდა კედლებში ლურსმნების ჩარტობა, სკამებით გეშების აგება და მადვიძარა საათის დაშლა იმის საჩახავად, თუ ამ საათს შიგნით რა ჰქონდა. მის გულს ზემოთ თრთოდა წაშიერი, შემაშფოთებელი შუქი, ზაფხულის ჩახუთულ ღამეში მინდორს რომ დასციმციმებს ხოლმე. შესაძლოა, მის არსებაში ბინადრობდა სხეულის ნაწილად ქცეული, განყენებული სიყვარული სიყმაწვილისა, ანდა განგრძობილი ძალა დაბადებისა. მაგრამ ამ ძალის შემწვობით დვანოვს შეეძლო, დამატებით, უცაბედად ეხილა გრძნობათა ტბაში უკვალოდ მცურავი ბუნდოვანი

მოვლენები. მან თვალი შეავლო კობიონკინს, რომელიც გულდამშვიდებული, ურყევი რწმენით მიემართებოდა ახლობელი, ზაფხულის გაბრწყინებული სოციალიზმის ქვეყნისკენ, სადაც კაცობრიობის მეგობრული ძალები როზა ლუქსემბურგს მკვდრუთით აღადგენდა და ცოცხალ მოქალაქედ აქცევდა.

გზა მრავალჯერსიან თავქვეს დაუყვა. კაცს ეგონებოდა, თუ ამ თავქვეზე დაკქანდები, მიწას მოვწყდები და გავფრინდებიო. შორს, ქუფრსა და სეველიან ველზე ნადრევი ბინდბუნდი გარინდულიყო.

კალიტვა! — წინ გაიწოდა ხელი კობიონკინმა და ისე გაუხარდა, თითქოს უბვე იქ ყოფილიყო მისული. მხედრებს მოსწყურებოდათ და მიწაზე მხედრობდნენ, ნახევრადგამშრალ ნერწყვს აფურთხებდნენ.

ღვანოვმა თვალწინ გადაშლილ უბადრუკ ლანდშაუტს თვალი ველარ მოსწყვიტა. მიწაცა და ცაც ქანცის გამოღვევამდე გაუბედურებული ჩანდა: აქ ადამიანები ცალ-ცალკე არსებობდნენ და არ მოქმედებდნენ, ისევე, როგორც მუგუზლები ქრება, თუ ერთმანეთს არ შემოუწყფ და კოცონი არ დააგზნე.

— აი, ეს არის სოციალიზმის ნედლეული! — განაგრძობდა ღვანოვი იქაურობის შესწავლას. — ერთი ნაგებობაც არსადაა — მხოლოდ ეული კაეშანია ბუნებისა!

დაბა შავი კალიტვის სიახლოვეს მხედრებს ტომრიანი კაცი შემოუყარათ. მან ქუდი მოიხადა და ცხენებზე მხდომით მიესალმა ძველებური რწმენით, რომ ყველა ადამიანი ერთმანეთის ძმა არის. ღვანოვმაც და კობიონკინმაც სალამს სალმითვე უპასუხეს და სამივემ თავი კარგად იგრძნო.

„ამხანაგები საძარცვავად გამოსულან, დალახვროს ეშმაკმა ამათი თავი!“ — გულში დაასკვნა ტომრიანმა კაცმა, როცა გზად შემოყრილებს კარგა მანძილზე დაშორდა.

დაბის განაპირას ორი გლეხი გუშაგად იდგა: ერთს ხელში ლულაგადაჭრილი თოფი ეჭირა, ხოლო მეორეს ღობიდან ამოძრობილი მარგილი.

— რა ხალხი ხართ? — მკაცრად ჰკითხეს გუშაგებმა მიახლოებულ ღვანოვსა და კობიონკინს.

კობიონკინმა ცხენი შეაჩერა, თან ამგვარი სამხედრო პოსტის რაობაზე დამაბულად ფიქრობდა.

— საერთაშორისოები გახლავართ! — გაახსენდა კობიონკინს როზა ლუქსემბურგის წოდება: საერთაშორისო რევოლუციონერი.

გუშაგები ჩაფიქრდნენ.

— ებრაელები ხართ, თუ რა?

კობიონკინმა ხმალი ქარქაშიდან გულგრილად, თანაც ისე ნელა ამოწიდა, რომ საგუშაგოზე მდგომმა გლეხებმა შუქარა ვერ ირწმუნეს.

— ამისთანა სიტყვის გამო ადგილზევე გაგაქრობ, — უთხრა გუშაგს კობიონკინმა.

— შენ იცი, მე ვინა ვარ? აჰა, საბუთები...

კობიონკინმა ხელი ჯიბეში ჩაიყო, მაგრამ არც საბუთები და არც რაიმე ქაღალდები არახოდეს ჰქონია: ხელში მხოლოდ პურის ნამცეცები და სხვა ნაგავნუგავი მოჰყვა.

— პოლკის ადიუტანტო! — მიმართა ღვანოვს კობიონკინმა. — მხვერავთა რაზმს ჩვენი სიგელები უჩვენე...

ღვანოვმა კონვერტი ამოიღო და გუშაგებს გადაუგდო; შიგ რა იღო, ეს კი თავადაც არ იცოდა, თუმცაღა სამ წელიწადს ყველგან თან დაჰქონდა. გუშაგები კონვერტს ხარბად დააცხრნენ, გაუხარდათ, სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების უცაბედი შესაძლებლობა რომ მიეცათ.

კობიონკინი ცხენიდან გადაიზნიქა და ხმლის მსუბუქი, ოსტატური მოძრაობით გუშაგს ლულაგადაჭრილი თოფი ხელიდან გააგდებინა, ისე რომ ოდნავადაც არ გაუკაწრავს; კობიონკინს რევოლუციური ნიჭიერება გააჩნდა.

გუშაგი თან ნატკენ ხელს იზელდა და თან კობიონკინს ეუბნებოდა:

— რას ხედავ, შე წყეულო, არც ჩვენა ვართ წითლები...

კოპიონკინი შეიცვალა:

— ჯარი დიდი გყავთ? ვინა ხართ?

გლეხებმა ასეც იფიქრეს, ისეც იფიქრეს და ალაღად უპასუხეს:

— ასოდუ კაცი, თოფი კი სულ ოცი გვაქვს... ჩვენთან ქვემო ხუტორელი ტიპოფეი პლოტნიკოვი სტუმრობს, გუშინ აქ მოსულმა სასურსათო რაზმმა მსხვერპლით უკან დაიხია...

კოპიონკინმა გუშაგებს იქითკენ მიუთითა, საიდანაც თვითონ მოვიდა:

მარშით გასწით იქით — პოლკს შეხვდით და ჩემთან მოიყვანეთ, პლოტნიკოვის შტაბი სად არის?

ეკლესიასთან, მამასახლისის ეზოში, — თქვენს გლეხებმა და მშობლიური სოფლისკენ ნაღვლიანად გაიხედეს; ეტყობოდათ, მოსალოდნელი ამბებიდან თავის გარიდება უნდოდათ.

— აბა, მხნედ გასწით! — უბრძანა გლეხებს კოპიონკინმა და ცხენს ხმლის ქარქაში გადაჰკრა.

ღობის იქით ღამის ცოცხალ-მკვდარი დედაკაცი ჩაცუცქებულიყო. ის, რისთვისაც გარეთ იყო გასული, შუა გზაზე შეუკავდა.

აწურწურებ, დედაბერო? — გადამხა კოპიონკინმა.

დედაკაცი დედაბერი კი არა, კარგი შესახედავი ხნიერი ქალი გამოდგა.

— შენ ხომ უკვე ჩამოაწურწურე, შე პირდაუბანელო მაიმახო! — სამინლად გაგულისდა დედაკაცი, პირისახე ავად წამოენთო და კაბაგაფარფარებული წამოდგა.

კოპიონკინის ცხენმა სიზორზოხე დაივიწყა და ერთბაშად გამძაგებით დაოთხდა, მიჰქროდა და წინა ფეხებს მალლა იქნევდა.

— ამხანაგო დვანოვო, თვალი არ მომაცილო და არ ჩამომრჩე! — შესძახა კოპიონკინმა და ქარქაშიდან ამოწვდილი ხმალი ააუღვარა.

პროლეტარული ძალა მიწას მძლავრად თქერავდა; დვანოვს ქონების ფანჯარათა ზრიალი ჩაესმოდა. მაგრამ ქუჩებში კაციშეილი არ ჩანდა, მხედრებს ძაღლებიც კი არ გამოსცვივნიან.

კოპიონკინმა უზარმაზარი სოფლის ქუჩები და გზაჯვარედინები უკან მოიტოვა და გეზი ეკლესიისკენ აიღო. მაგრამ კალიტვაში ოჯახები რთხასი წლის განმავლობაში ბუჩქ-ბუჩქად სახლდებოდნენ; ზოგიერთ ქუჩაზე მოულოდნელად გარდიგარდმო ზღუდედ აღმართულ ქონებს წააწყდებოდნენ ხოლმე, ზოგან კი ახალი ეზო-ყურით ყრუდ გადაკეტილი ქუჩიდან ვიწრო გასასვლელი გვერდზე უხვევდა და მინდორზე გადიოდა.

კოპიონკინი და დვანოვი ერთიმეორეში ჩახლართულ ქუჩაბანდებში მოემწყვდნენ და ერთ ადგილას იწყეს ტრიალი. მაშინ კოპიონკინმა ერთი ჭიშკარი გამოაღო, ქუჩებს გვერდი აუქცია და კალოებს ჭენებით გაუყვა. სოფლის ძაღლები ჯერ აქა-იქ ფრთხილად, კანტიკუნტად აყუფდნენ, მერე ერთმანეთს აჰყვებენ და სიმბრავლით გულმოცემულები სოფლის ერთი განაპირიდან მეორე განაპირამდე ეროხმად აღ ეყდნენ.

კოპიონკინმა შეჰყვირა:

— აბა, ამხანაგო დვანოვო, ახლა კი შეუჩერებლად გაუქუსლოთ...

დვანოვმა მისი ნათქვამი ისე გაიგო, სოფელი ჭენებით უნდა გავიაროთ და მეორე მხარეს, მინდორში გავიჭრაო. მაგრამ ვერ გამოიცნო: ფართო ქუჩაში როცა გააღწიეს, კოპიონკინი ამ ქუჩით სოფლის შუაგულისკენ გაექანა.

სამჭედლოები კარგამოკეტილები იდგა, ხოლო ქონები მიტოვებულებივით დუმდა. მხოლოდ ერთ ბერიკაცს მოჰკრეს თვალი, ღობესთან რაღაცას რომ საქმიანობდა; მაგრამ ამ ბერიკაცს მათკენ პირი არც მოუბრუნებია, ალბათ ყოველგვარ შფოთ-აღიაქოთს მიჩვეული იყო.

დვანოვმა სუსტი გუგუნი გაიგონა და გაიფიქრა, ეკლესიაზე ალბათ ზარის ენას

არხვევენ და ლითონს ოდნავ უბაგუნებენო.

ქუჩა შემობრუნდა და აგურის ჭუჭყიანი სახლის წინ მდგარი ხალხის ჯგრო გამოჩნდა. ასეთ სახლებში უწინ ღვინის, სახაზინო დუქნები იყო მოთავსებული.

ხალხს ერთიან ზრინვად შენივთებული, გაბმული ხმით ყაყანი/ გაქქონდა, დვანოვამდე მხოლოდ უსიტყვო ბუბუნნი აღწევდა.

კოპიონკინმა შეკუმშული, გაძხდარი პირისაზე მოაბრუნა და დვანოვს შეუძახა:

— ისროლე, დვანოვი! ახლა ყველაფერი ჩვენს ხელთ იქნება!

დვანოვმა ეკლესიისკენ ორჯერ დაუძმიზნებლად გაისროლა და იგრძნო, რომ კოპიონკინის ყვირილს აჰყვა და თვითონაც ღრიალებდა. კოპიონკინი კი თავს უკვე ხმლის ქნევით იმჩნევებდა. გლეხების ბრბო ტაღდასავით თანაბრად შეირხა, უკან შემობრუნებული უცხო სახეები აათამაშა და თავისი წიაღიდან ხალხის ნაკადთა გასროლა დაიწყო. სხვები ერთ ადგილას ტრიალებდნენ, გვერდით მყოფთაგან შემწეობას ეძიებდნენ და ეჯახგურებოდნენ. ერთ ადგილას მოტრიალენი გაქცეულებზე უფრო საშიშნი იყვნენ: მათ შიში ვიწრო ადგილას მოამწყვდიეს და გამბედავებს გასაქანს არ აძლევდნენ.

დვანოვმა სოფლის მშვიდობიანი სურნელი — ახრჩოლებული ნამჯისა და თბილი რძის სუნი შეისუნთქა და ამ სუნმა მუცელი აატკივა: ახლა ერთ მწიკვ მარილსაც კი ვეღარ შეჭამდა. მას შეეშინდა, რომ სოფლის დიდრონ ხელთა საღებოში დაიღუპებოდა, თვინიერი ხალხის სამყოფელში ცხვრის ტყავის ხუნით გაუღენთილი პაერი გაგუდავდა, ის ადამიანები მოაშთობდნენ, ვინც მტერს სიშმაგით კი არა, ზედახორით ჯაბნის.

კოპიონკინი კი ბრბოს დანახვამ რატომღაც გაახარა და გამარჯვების იმედი მისცა.

უეცრად იმ ქოხის ფანჯრიდან, რომლის წინაც ხალხი ირეოდა, სხვადასხვაკალიბრიანი თოფების აჩქარებულმა ზაღპმა იფეთქა — ყოველი ხმა ცალკეული გასროლისა სხვადასხვანაირი იყო.

კოპიონკინი თავდაუიწყებას მიეცა, რაც სიცოცხლის შეგრძნებას ბნელში ამწყვდევს და ნებას არ აძლევს, სიკვდილ-სიცოცხლის საქმეებში ჩაერიოს. კოპიონკინმა ქოხის ფანჯარას მარცხენა ხელით ნაგანის ტყვია დაახალა და ფანჯარა შეაღწინა.

დვანოვი ზღურბლთან აღმოჩნდა. ისღა დარჩენოდა, ცხენიდან ჩამომხტარიყო და სახლში შევარდნილიყო. მან კარს ესროლა — კარი ტყვიის დაჯახებისგან ნელ-ნელა გაიღო, და დვანოვმა შიგნით შეირბინა. წინკარში წამლის სუნი იდგა და უცნობი, უმწურო ადამიანის სვედა შეიგრძნობოდა. საკუჭნაოში ადრინდელ ბრძოლებში დაჭრილი გლეხი იწვა. დვანოვს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, სამზარეულო გაირბინა და ოთახში შეიჭრა. ოთახის კუთხეში წულში გამართული იდგა მოწითაური გლეხი, მარჯვენა ხელი ხელი თავს მალდა აყწია, ხოლო მარცხენა, ნაგანიანი ხელი ძირს ჩამოეშვა — ამ ხელიდან ოდნავ წვეთავდა სისხლი, როგორც წვიმის მერე შერჩენილი სინოტივე ფოთლებიდან წვეთავს ხოლმე; სისხლი წვეთავდა და იმ კაცის სიცოცხლის დარჩენილ წამებს სევდიანად ითვლიდა.

ოთახის ფანჯარა ჩამტვრეული იყო, ხოლო კოპიონკინი არსად ჩანდა.

— იარაღი დააგდე! — უთხრა ბანდიტს დვანოვმა.

შეშინებულმა ბანდიტმა რაღაც ჩაიბლუკუნა.

— სწრაფად! — განრისხდა დვანოვი. — თორემ ტყვიით ხელთან ერთად გაგაგდებინებ!

გლეხმა რევოლვერი თავისივე სისხლში ჩააგდო და ძირს დაიხუდა. ინანა, იარაღი მშრალი რომ ვერ ჩააბარა და იძულებული შეიქნა, სისხლში ამოეთხვარა. მშრალს თუ ჩააბარებდა, მაშინ უფრო დაინდობდნენ.

დვანოვმა აღარ იცოდა, დაჭრილი ტყვისთვის მერე რა ექნა, ანდა კოპიონკინი რა იქნა; სული მოითქვა და კულაკის კუთხნილ პლუმის სავარძელში ჩაჯდა. გლეხი მის

წინ იდგა და ძირს დაშვებულ ხელებს ვერაფერს უხერხებდა. დვანოვს გაუკვირდა, რომ იგი ბანდიტს კი არ ჰგავდა, ჩვეულებრივი, ალბათ არცთუ მდიდარი გლეხი იყო.

— დაჯექი! — უთხრა მას დვანოვმა. გლეხი არ დამჯდარა. — კულაკი ხარ?

— არა, ჩვენ აქ უკანასკნელი ხალხი ვართ, — დამაჯერებლად უპასუხა გლეხმა სიმართლედ. — კულაკები არ იბრძოლებენ. იმათ პური ბევრი აქვთ — მთლიანად ვერ წაართმევენ...

დვანოვმა დაუჯერა და შეშინდა: თვალწინ წარმოესახა მწუნარე, ფერმკრთალი ხალხით დასახლებული სოფლები, გზად რომ შემოხვედროდა.

— მარჯვენა ხელით რატომ არ მესროლე, დაჭრილი ხომ მარტო მარცხენა ხელში ხარ.

ბანდიტი დვანოვს უცქეროდა და ხელა ფიქრობდა, რა უპასუხა — თავის გადასარჩენად კი არა, სიმართლედ სრულად რომ გაეხსენებინა.

— მე ცაცია ვარ. აქედან გაღწევა ვერ მოვასწარი. ხმა დაირბა, იერიშზე პოლკი მოდისო. თავი დამენანა, მარტო რომ უნდა მოემკვდარიყავი...

დვანოვს გული აუფორიაქდა; ფიქრი ყოველგვარ ვითარებაში შეეძლო. ეს გლეხი მის წინაშე რევოლუციის ერთგვარ ამაოებასა და კაემანს წარმოაჩენდა, რასაც რევოლუციის ახალგაზრდული გონება ვერ სწვდებოდა, — დვანოვი უკვე გრძნობდა ლატაკი სოფლების შფოთვის, მაგრამ სიტყვებით ამის დაწერას ალბათ ვერ შეძლებდა.

„სისულელეა! — გულში ყოყმანობდა დვანოვი. — უნდა დავხვრიტოთ, როგორც კი კოპიონკინი მოვა. ბალახი იზრდება, ნიადაგს ისიც არღვევს. რევოლუცია ძალადობაა და ბუნების ძალმოსილება... არამზადა ხარ!“ — დვანოვს აზრი ერთბაშად, თანამიმდევრულობის გარეშე შეეცვალა.

— შინ წადი! — უბრძანა მან ბანდიტს. ბანდიტი კარისკენ უკან-უკან წავიდა, დვანოვის ხელში შემართული ნაგანისთვის მონუსხული, გაშტერებული თვალები მიეპყრო. დვანოვი მიხვდა და რევოლუტორს განზრახ არ ინახავდა, რათა არ განძრეულიყო და კაცი არ შეეშინებინა.

— შეჩერდი! — შესძახა დვანოვმა. გლეხი მორჩილად შეჩერდა. — თქვენთან თეთრი ოფიცრები თუ იყვნენ? პლოტნიკოვი ვინ არის?

ძალ-ღონეგამოღებული ბანდიტი თავს ძლივსლა იმაგრებდა.

— არა, არავინ არ ყოფილა, — წყნარად უპასუხა გლეხმა; ეშინოდა, ტყუილი არ ეთქვა. — გულახდილად გეუბნები, ჩემო კეთილო, არავინ ყოფილა... პლოტნიკოვი კი ჩვენი გარეუბნელი გლეხია...

დვანოვი ხედავდა, რომ შეშინებული ბანდიტი არ ცრუობდა.

— ნუ გეშინია! შინ წყნარად წადი.

ბანდიტმა დვანოვს დაუჯერა და წავიდა.

ფანჯარაში მინის ნარჩენები აზრიალდა: კოპიონკინმა ველზე ჭენებით გაფიცებული პროლეტარული ძალა მოაქროლა.

— სად მიდიხარ? ვინა ხარ? — შემოესმა დვანოვს კოპიონკინის ხმა.

დატყვევებულმა ბანდიტმა რაღაც უპასუხა, მაგრამ კოპიონკინმა ყურიც არ უგდო, საკუჭნაოში ისე შეამწყვდია.

— ამხანაგო დვანოვო, რომ იცოდე, კინალამ თვით ამათი პლოტნიკოვი დაეიჭირე, — თუხთუხით უთხრა დვანოვს კოპიონკინმა. მკერდი ადგზნებისგან უსართოდა. — ორმა ავაზაკმა გაქუსლა — ხომ იცი, კარგი ცხენები ჰყავთ! ჩემი ცხენი მიწას უნდა ხნაუდეს, მე კი საბრძოლველად დამყავს... თუმცა გულს მიხარებს — შეგნებული ცხოველია! აბა, ახლა ხალხს თავი ყრილობაზე უნდა მოვუყაროთ...

კოპიონკინი სამრეკლოზე თვითონვე ავიდა და განგაში ატეხა. დვანოვი გლეხთა კრების მოლოდინში პარშაღზე გავიდა. მოშორებით ბავშვები შუა ქუჩაში გამოცვივდებოდნენ ხოლმე, დვანოვს გამოხედავდნენ და უკანვე გაცვივდებოდნენ. კოპიონკინის მოგუგუნე ხარის სასწრაფო მოწოდებაზე არავინ გამოდიოდა.

ზარი დიდ დაბას ზემოდან პირქუშად დაჰგუგუნებდა, ჩასუნთქვასა და ამოძახილს ერთიმეორეს თანაბრად უნაცვლებდა. დვანოვი ამ ხმათა სმენამ გაიტაცა, ზარი რას მოუწოდებდა, სულ გადაავიწყდა. ამ ჰანგიდან მის ყურს განგაში, რწმენა და იჭვნეულობა ჩაესმოდა. ეს ცნებები რევოლუციაშიც მოქმედებს — ხალხს მხოლოდ მტკიცედ ჩამოსხმული რწმენა კი არა, გულის ამაჩქროლებელი იჭვნეულობაც ამოძრავებს.

პარძალს შავთმიანი კაცი მოუახლოვდა, ქუდი არ ეხურა და თვალები ეკეთა, ალბათ მჭედელი იყო.

— ხალხს რატომ აფორიაქებთ? — პირდაპირ ჰკითხა მან დვანოვს. — თქვენი გზით გასწით, მეგობარ-ამხანაგებო. აქ ათიოდე სულელი გვყავს — მთელი თქვენი დასაყრდენი ეგ იქნება...

დვანოვმაც ასევე პირდაპირ ჰკითხა, საბჭოთა ხელისუფლებაზე რამ გაგანაწყენაო.

— თქვენ ბოლო იმის გამო მოგვლებათ, რომ ჯერ სროლას იწყებთ და მერე გვეკითხებით, — ბრაზიანად უპასუხა მჭედელმა. — უცნაური ხალხი ხართ: მიწა მოგვეცით, პურს კი უკანასკნელ მარცვლამდე გვართმევთ. ასეთი მიწა თქვენ დაგეყაროთ გულზე! გლესს მიწისგან მარტო ჰორიზონტიღა რჩება. ნეტავი ვის ატყუებთ?

დვანოვმა განუმარტა, განაწილება რევოლუციის სისხლხორცეული ნაწილი და მისი მომავალი ძალების მკვებაეიაო.

— ეგ საკენკი შენს კრუხ-წიწილას დაუყარე! — უარყო მისი ნათქვამი გულდაჯერებულმა მჭედელმა. — ხალხის ერთი მეთადი ნაწილი ან უგნურია, ან მაწანწალა; იმ მამამაღლებს ნამდვილი გლეხივით არასოდეს უმუშავიათ — ვისაც გინდა, იმას გაჰყვებიან. მეფე რომ იყოს — ჩვენში უჯრედი იმისთვისაც გამოინახებოდა. თქვენს პარტიაშიც ასეთივე უვარგისი ხალხია... შენ ამბობ, პური რევოლუციას სჭირდებაო! შე ტუტუცო, ხალხი თუ ამოწყდება, შენი რევოლუცია ვიღას რა ჯანაბად უნდა? ომი კი სულ გათავდაო, ამბობენ...

მჭედელმა ლაპარაკს თავი გაანება, რადგან მიხვდა, რომ მის წინაშე ისეთივე უცნაური კაცი იდგა, როგორც ყველა კომუნისტი იყო: კაცად თითქოს არა უშავდათ, უბრალო ხალხის საწინააღმდეგოდ კი მოქმედებდნენ.

დვანოვს უნებურად გაეღიმა მჭედლის აზრზე, ხალხში დაახლოებით ათი პროცენტი ახირებული ადამიანია, ვინც ყველანაირ საქმიანობას გაჰყვებაო — თუ გინდა, რევოლუციას მიეტმასნება, თუ გინდა, სავანეში ივლის ხალოცავად.

კომიონკინი მოვიდა და მჭედლის ყველა საყვედურს ნათლად უპასუხა:

— ძიაკაცო, ნამდვილი ვიგინდარა ხარ! ახლა ყველანი თანასწორად ვცხოვრობთ, შენ კი ის გინდა, რომ მუშას კუჭი შიმშილით უხმებოდეს, ხოლო შენ ხორბლისგან არაყსა ხდიდე!

— თანასწორად ვცხოვრობთ, მაგრამ არც ისე გაშანდაკებულად! — ვალში არ დარჩა მჭედელი. — თანასწორი ცხოვრებისა იოტის ოდენა არაფერი გაგვეგება! რაც დაეოჯახდი, მას მერე თავადაც ამ ამბავზე ვუფიქრობ. ჰოდა, დავასკვენი, რომ ახირებულები მუდამ მბრძანებლობდნენ ჩვენზე. თავად ხალხს კი ძალაუფლება არასოდეს ჰქონია: ხალხს, მეგობარო, უფრო სერიოზული საქმეები ჰქონდა, სულელები მუქთად უნდა ერჩინა...

მჭედელმა გამქირდავად გადაიხარხარა და თამბაქო ქაღალდის ნაგლეჯში შეახვია.

— განაწილებას თუ გააუქმებენ? — საკითხი დაუსვა დვანოვმა.

მჭედელი ცოტა ჭახალისდა, მაგრამ მერე ისევ მოიღუშა:

— შეუძლებელია! მაშინ თქვენ სხვა რამეს, უფრო უარესს მოიგონებთ — შეჩვეული ჭირი გვირჩევნია: მით უმეტეს, რომ გლეხებმა პურის გადამალვა ისწავლეს...

— ამ არამზადას ყველაფერი არად მიაჩნია! — შეათასა თანამოსაუბრე კოპიონკინმა.

სახლთან ვიღაც-ვიღაცებმა იწყეს მოსულა: ასე რვა კაცი მოგროვდა; ყველანი მოშორებით დასხდნენ. დვანოვი მათთან მივიდა. მოსულნი კალიტვის უჯრედის გადარჩენილი წევრები აღმოჩნდნენ.

— დაიწყე სიტყვის წარმოთქმა! — დამცინავად უთხრა მჭედელმა კოპიონკინს. — ყველა ახირებულმა თავი მოიყარა, ცოტანიღა აკლიან...

მჭედელი ერთხანს დუმდა, მერე კი ისევ ხალისიანად ალაპარაკდა:

— აბა, ერთი ყური მიგლე. ჩვენს დაბაში დიდ-პატარიანად ჩუთი ანკისი სული ცხოვრობს, ეგ დაიმახსოვრე. ახლა კი გიმარჩიელებ: გამოითვალე, დაკაჟკაცებულების ერთი მეთაური რამდენი იქნება, და როცა უჯრედში იმდენი კაცი მოგროვდება, მთელი რეკოლუციაც მაშინ დამთავრდება.

— რატომ? — ვერ მიხვდა მჭედლის ანგარიშს დვანოვი.

მჭედელმა გულფიცხად განუძარტა:

— მაშინ ყველა ახირებული ხელისუფლებაში მოიყრის თავს, ხოლო ხალხი თვითონ თავის ჭკუაზე დაიწყებს ცხოვრებას — ორივე მხარე ნასიამოვნები იქნება...

კოპიონკინმა კრებას შესთავაზა, წუთსაც ნულარ-დაკარგავთ, პლოტნიკოვს გამოვედევნოთ, რათა მისი ლიკვიდირება მოვახდინოთ, სანამ ახალ, ცოცხალ ბანდას შეაგროვებსო. დვანოვმა სოფლელი კომუნისტების გამოკითხვით ეს გამოარკვია: პლოტნიკოვს კალიტვაში მობილიზაციის გამოცხადება უნდოდა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა; ამას წინათ ყრილობამ ორ დღეს გასტანა; მაშინ პლოტნიკოვი ყველას აგულიანებდა, მოხალისეებად წასულიყვნენ. დღესაც ისეთივე ყრილობა მიმდინარეობდა, როცა დვანოვი და კოპიონკინი დაბას თავს დაესხნენ. პლოტნიკოვს შეუმცდარად სცოდნია, გლეხს გულში რაცა აქვს, მარჯვე კაცი ყოფილა, თანასოფლელების ერთგული, და, ამიტომაც მთელ დანარჩენ სამყაროზე გადამტერებული. გლეხები კი პატივს სცემდნენ გარდაცული მღვდლის ნაცვლად.

ყრილობის მიმდინარეობისას დედაკაცი ყვირილით მოგარდნილა:

— ხალხო, წითლები სოფელს მოადგნენ — მთელი პოლკი ცხენებს აქვთ მოატყენებს!

ჰოდა, როცა კოპიონკინი და დვანოვი ქუჩაზე გამოჩნდნენ, ყველას უფიქრია, პოლკი მოვიდაო.

— დვანოვო, წავიდეთ! — მობეზრდა მათი მოსმენა კოპიონკინს. — ის გზა საით მიდის? ვინ გამოგვყვება?

კომუნისტები შეცბუნდნენ:

— ის გზა სოფელ ჩერნოვკისკენ მიდის... ჩვენ, ამხანაგებო, ყველანი უცხენოები ვართ...

კოპიონკინმა ხელი ჩაიქნია იმის ნიშნად, რომ მათზე ხელს იღებდა.

მჭედელი კოპიონკინს გამჭრიახად შეაცქერდა, მერე თვითონ მიუახლოვდა.

— აბა, ჰე, მშვიდობით იყავი! — უთხრა და ბრტყელი ხელი გაუწოდა.

— მშვიდობით იყავი შენ მაინც, — უპასუხა კოპიონკინმა და ხელი ჩამოართვა. — იცოდე, არ დამივიწყო — გაინძრევი თუ არა, უკანვე დავბრუნდები და ბოლოს მოვიღებ!

მჭედელი არ შეშინებულა:

— დამიმახსოვრე, დამიმახსოვრე: ჩემი გვარი სოტიხია. აქ მარტო მე ვარ ასეთი. როცა საქმე საქმეზე მივა, მე თვითონ ავმხედრდები კეტშომარჯვებული. ცხენსაც ვიშოვი. თორემ ეს მამაძაღლები, ხომ ხედავ, უცხენოები არიან...

დაბა კალიტვა ხეობისკენ დაქანებულ დამრეც ველზე ბინადრობდა. თვით მდინარე შავი კალიტვის ხეობა ერთიანად ჭაობის შამბნარით დაფარულ ღრმულს წარმოადგენდა.

სანამ ხალხი დაუობდა და ერთმანეთს ზედ აწყდებოდა, ბუნება საუკუნოვან

მუშაობას განაგრძობდა: მდინარე მობერდა, მისი ხეობის მობიბინე ბალახით შემოსილ ყამირს ჭაობის მომაკვდინებელი წუმპე გადაეფარა, საიდანაც მხოლოდ ლერწმის ხეშემა წვეტები იყო ამოჩრილი.

ხეობის მკვდარ საბურუელს ახლა მხოლოდ ქარის უხალისო ჰანგები ჩაესმოდა. ზაფხულის დასასრულს აქ მუდამ უძნელესი ბრძოლა იმართებოდა მდინარის ძალაგამოლეულ ნაკადსა და ხეობის ქვიშნარ ხარიყს შორის, მდინარეს წვრილი ქერტლით გზას სამუდამოდ რომ უღობავდა და შორეული ზღვისკენ არ უშვებდა.

— ამხანაგო დვანოვო, აბა, მარცხნივ გაიხედე, — მოღურჯო ჭალაზე მოუთითა კოპიონკინმა. — აქ მამაჩემთან ერთად ჯერ კიდევ ბაღლობაში ვარ ნამყოფი. თვალწარმტაცი ადგილი იყო. საუცხოო ბალახის სურნელება ერთ ვერსზე აღწევდა, ახლა კი აქ წყალიც კი ღებება...

დვანოვს ველზე ასეთი გრძელი, იღუმალებით მოცული სამფლობელოები ხეობებისა იშვიათად ენახა. სულთმობრძავი მდინარეები თავიანთ წყალს რატომ აჩერებენ და სანაპირო ბალახს გაუვალი ჭყანტობით რატომ ფარავენ? ხეობისპირა მხარეებს ალბათ მდინარეთა კვდომა ალატაკებს. კოპიონკინი დვანოვს მოუთხრობდა, აქაურ გლეხობას რამდენი პირუტყვი და ფრინველი ჰყავდა, როცა მდინარე ცოცხალი და მხნე იყო.

სადამოს ბინდდაკრული გზა მოშთობილი ხეობის განაპირას მიემართებოდა. კალიტვიდან ჩერნოკამდე ექვსიოდე ვერსი თუ იქნებოდა, მაგრამ მხედრებმა ჩერნოკა მაშინლა შეამჩნიეს, როცა ვილაცის კალოს მიადგნენ. იმხანად რუსეთი ყველა ხალხის გზის მანათობლობას ჩემულობდა, ხოლო თავისი ქოხების გასანათებლად შუქი არ ებადა.

კოპიონკინი წაუვიდა, რათა შეუტყო, სოფელში ძალაუფლება ვის ხელთ იყო, ხოლო დვანოვი ცხენებით სოფლის განაპირას დარჩა.

მღვრიე, მომაბეზრებელი ღამე დგებოდა; ამგვარი ღამეებისა ეშინიათ ბავშვებს, როცა სიზმრად პირველი კოშმარები მოველინებათ: მაშინ მათ თვალზე რული არ ეკარებათ და თავიანთ დედებსაც უთვალთვალევენ, რათა არც მათ დაიძინონ და შიშისგან დაიფარონ.

ასაკსრული ადამიანები კი ობლები არიან; ამიტომ დვანოვი ახლა მტრულად მოშხირალი სოფლის განაპირას მარტოდმარტო იდგა, ველზე ჩამომდგარ მღვრიე ღამეს და თავს ხუმთ გრილ ტბასავით გადმომხობილ ცას უცქეროდა.

იგი ცოტას გაივლ-გამოივლიდა, მერე უკანვე ბრუნდებოდა, სიბნელეს აყურადებდა და დროის ხელ მდინარებას ითვლიდა.

— ძლივსლა გიპოვე, — შორიდან გამოსძახა თვალთ უხილავმა კოპიონკინმა. — მოიწყინე? ახლა რძეს დაგალევიან.

კოპიონკინმა ვერაფერი შეიტყო, ან ვის ხელთ იყო ძალაუფლება სოფელში, ან აქ თუ იმყოფებოდა პლოტნიკოვი. სამაგიეროდ, საიდანღაც ქოთნით რძე და პურის სანატრული ნატყხი მოიტანა.

კოპიონკინი და დვანოვი დანაყრდნენ და მერე სოფსაბჭოს მოსაძებნად გაემართნენ. კოპიონკინმა ქოხს მიაგნო, ზედ საბჭოს აბრა რომ ჰქონდა მიმაგრებული, მაგრამ შიგ კაციშვილი არ აღმოჩნდა; უპატრონიოდ მიგდებულ ოთახში მაგიდაზე ცარიელი სამელნე იდგა. კოპიონკინმა შიგ თითი ჩაყო, რათა შეემოწმებინა, ადგილობრივი ხელისუფლება ფუნქციონირებდა თუ არა.

დილით ოთხი ხსიური გლეხი მოვიდა. ისინი ჩვილს მოჰყვანეს, ყოველგვარმა ხელისუფლებამ მიგვატოვა, ცხოვრება წამებად გვექცაო.

— ვილაცამ მაინც მოგვხელოს, — იხვეწებოდნენ გლეხები. — თორემ ქვეყნისგან გარიყულებივით ვცხოვრობთ — მეზობელი მეზობელს სულს ამოხდის. ხელისუფლების გარეშე ყოფნა როგორ შეიძლება: ქარიც კი არ ქრის საბაბის უქონლად, ჩვენ კი უსაბაბოდ ვცხოვრობთ.

ხელისუფალნი ჩერნოკაში ბლომად იყვნენ, მაგრამ ყველანი მიმოიფანტნენ.

საბჭოთა ხელისუფლებაც თავისთავად მოიშალა. თავმჯდომარედ არჩეულმა გლეხმა საქმიანობა შეწყვიტა: თქვა, პატივი მაკლია – ყველანი მიცნობენ, პატივის გარეშე კი ძალაუფლება არ არსებობსო. ჰოდა, სოფლსაბჭოში სამუშაოდ სიარული მიატოვა. ჩერნოვკელები კალიტვას ეწვივნენ, რათა იქიდან უცხო კაცი მოეყვანათ თავმჯდომარედ, ვისი პატივისცემაც ამის გამო ყველას ექნებოდა. მაგრამ ამითაც არაფერი ეშველათ: კალიტველებმა თქვეს, უცხო ადგილებიდან თავმჯდომარეების გადმოსახლების თაობაზე ინსტრუქცია არ არსებობს – ღირსეულები თქვენვე საზოგადოებიდან აირჩიეთო.

კი მაგრამ ღირსეულები რომ არა გვყავს! – დანაღვლიანდნენ ჩერნოვკელები. – ყველანი ერთი ჯურისანი, ერთმანეთის შესაფერნი ვართ: ერთი ქურდია, მეორე უქნარა, მესამეს ცოლი ავგული ჰყავს – შარვალს უმაღლავს... ახლა რაღა ვქნათ, რა გზას დავადგეთ?

– ცხოვრება გიძნელდებათ? – თანაგრძნობით ჰკითხა დვანოვმა.

– გასაქანი არსაითა გვაქვს! გამვლულ გამომვლულები ამბობდნენ, მთელს რუსეთში კულტურული ხარვეზები გამოჩნდაო, ჩვენ კი ეს არ გაგვკარებია: დაჩაგრულები ვართ!

საბჭოს ფანჯარაში ნოტიო ნაკელის სუნი და მოხნული მიწის სითბო შემოდითოდა; ეს ძველებური სურნული სოფლისა კაცს სიმშვიდესა და გამრავლებას ახსენებდა და მოსაუბრენი თანდათან ჩაჩუმდნენ. დვანოვი გარეთ გავიდა ცხენების დასახედად. იქ იგი გამხდარმა, გაჭირვებულმა ბელურამ გაახარა, ცხენის ყუათიან ნაკელს რომ კენკავდა და ნისკარტს გამალებით ამუშავებდა. ბელურები დვანოვს, ექვსი თვეა, არ ენახა და ერთხელაც აზრად არ მოსვლია, რომ დაფიქრებულიყო, ამქვეყნად ისინი თავს სად აუარებდნენ. დვანოვის შეზღუდული უბადრუკი გონების მიღმა ბევრმა კარგმა რამემ ჩაიარა, თვით საკუთარი ცხოვრებაც კი ხშირად გარს უვლიდა მის გონებას, როგორც ლოდს უკლის ირგვლივ მდინარე. ბელურა ღობეზე გადაფრინდა. საბჭოს ოთახიდან ხელისუფლების უფოლობის გამო დამწუხრებული გლეხები გამოვიდნენ. ბელურა ღობეს მოსწყდა და გაფრინდა, გზად თავისი სილატაკის შესაფერი, უფერული ჰანგი ჩაიძლერა.

დვანოვთან ჩოფურა, უჭმელ-უსმელი გლეხი მოვიდა, ერთი იმათგანი, ვინც არასოდეს მაშინვე არ იტყვის, რაცა სჭირდება, არამედ შორიდან მოჰყვება, აქეთურ-იქითურზე ილაპარაკებს, თან მოსაუბრის ხასიათს გულმოდგინედ შეამოწმებს, სათხოვარს მათქმევინებს თუ არაო. მასთან მთელ ღამეს შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ ამქვეყნად მართლმადიდებლური რწმენა შერყეულია, სინამდვილეში კი მშენებლობისთვის ხე-ტყე სჭირდება. ყოფილ სახაზინო აგარაკზე ლატნები თუმცა უკვე მოჭრილი აქვს, ხე-ტყის თხოვნას ხელახლა მაინც აპირებს, რათა შეპარვით შეამოწმოს, ადრინდელი თვითნებობა შერჩება თუ არა.

დვანოვთან მისული გლეხი ახლახან გაფრენილ ბელურას რაღაცით – სახითაც და ზნითაც წააგავდა: თავისი არსებობა დანაშაულად მიაჩნდა და ხელისუფალთაგან სასჯელს ყოველ წუთს მოელოდა.

დვანოვმა გლეხს მოსთხოვა, პირდაპირ და დაუფარავად მითხარი, რა გჭირდებაო, მაგრამ კოპიონკინმა დვანოვის ნათქვამს ცალყა ფანჯრის იქიდან ყური მოჰკრა და გააფრთხილა, მაგრე გლეხს თავის დღეში სიტყვას ვერ დააცდენინებ: ამხანაგო დვანოვო, საუბარში ნაბიჯ-ნაბიჯ აიყოლიეო.

გლეხებმა გაიცინეს და მიხვდნენ, რომ მოსულები სახიფათონი და უსარგებლონი არ იყვნენ.

ჩოფურამ ლაპარაკი დაიწყო. იგი ბოგანო იყო და საზოგადოების დადგენილებით სხვათა ინტერესების დაცვა ევალებოდა.

საუბარი ნელ-ნელა აეწყო: ჯერ კალიტველებისა და ჩერნოვკელების მომიჯნავე ადგილ-მამულებზე ილაპარაკეს, მერე სადავო ტყისპირიც ახსენეს და ბოლოს სიტყვა ხელისუფლებაზე ჩამოაგდეს.

ხელისუფლება გინდ გყავდეს და გინდ არა, — ასედაც და ისედაც განმარტავდა ჩოფურა. — შუაგულიდან თუ გახედავ — ბოლოებს ვერ დაინახავ, ბოლოდან თუ დაიწყებ, დიდხანს მოუნდები. ჰოდა, ახლა თვითონ განსაჯე...

ღვანოვმა ააჩქარა:

— მტრები თუ გყავთ, მაშინ საბჭოთა ხელისუფლება გჭირდებათ.

ჩოფურამ საქმის ასაკვალ-დასაკვალ იცოდა:

— მტრები თუმცა არა გყავს, მაგრამ გარეშემო იმოდენა ალღავებია შემოგვიცვიულებიან: ქურდს სხვისი კაპიკი ურჩევნია საკუთარ მანეთს... ყველაფერი ისეთივე დარჩა — ბალახიც იზრდება და ამინდიც იცვლება, მაგრამ გულში ეჭვი მაინც გვიჩხიკინებს: ვაითუ, რაიმე შელავათები ხელიდან გავუშვით, რაკილა ხელისუფლება არა გყავსო! ამბობენ, განაწილება აღარ იქნებაო, ჩვენ კი მაინც გვეშინია და ხუნა-თუხვას თავს ვარიდებთ... ხალხს სხვა შელავათებიც მიეცა ყველაფერს დაითითოვებენ და ჩვენ აღარაფერი შეგვხვდება!

ღვანოვმა ჩოფურას შეუტია, როგორ თუ განაწილება არ იქნება, ეს ვინ გითხრაო? მაგრამ ჩოფურამ თვითონაც არ იცოდა: ან ნამდვილად სადღაც გაიგონა, ანდა საკუთარი გულის კარნახით უცაბედად შეთხზა. მხოლოდ ზოგადად განმარტა — ეილაც უსაბუთებო დეზურტირმა ჩამოიარა და, როცა ფაფა ვაჭამე, შემატყობინა, ახლა არავითარი განაწილება აღარ იქნება — კრემლის კომპოში ლენინთან გლეხები იყვნენ, სამ ღამეს ისხდნენ და შემწყნარებლობა დაადგინესო.

ღვანოვი ერთბაშად დასევდიანდა, საბჭოს ოთახში შევიდა და უკან აღარ დაბრუნებულა. უთავბოლო შუამდგომლობას მიჩვეული გლეხები თავ-თავიანთ ეზო-ყურეში წავიდ-წამოვიდნენ.

ყური მიგლე, ამხანაგო კოპიონკინო! — წამოიწყო აღელვებულმა ღვანოვმა. კოპიონკინს ყველაზე მეტად სხვისი უბედურებისა ეშინოდა და ბაღლობაში უცნობი გლეხის გასყენებისას ამ გლეხის ქვრივზე უფრო გულსაკლავად ტიროდა. ახლა წინდაწინვე დასევდიანდა და პირი დაადო, რათა უკეთესად მოესმინა. — ამხანაგო კოპიონკინო! — თქვა ღვანოვმა. — იცი რა, ქალაქში წასვლა მომესურვა... აქ მომიცადე — ძალე დავბრუნდები... საბჭოს თავმჯდომარედ დროებით დადექი, რომ არ მოიწყინო, — გლეხები თანახმანი იქნებიან. ხომ ხედავ რანაირები არიან...

რა დიდი ამბავიც ეს არის? — გაუხარდა კოპიონკინს. — წადი, გეთაყვა, სადაც გინდოდეს, თუნდაც მთელ წელიწადს დაგიცდი... თავმჯდომარედ კი მოვეწყობი — აქაურობა მისაჩხრეკ-მოსაჩხრეკია.

საღამოთი ღვანოვმა და კოპიონკინმა გზაზე ერთმანეთი გადაკოცნეს და ორივეს უმიზეზო სირცხვილის გრძნობა დაეუფლა. ღვანოვი იმ ღამეს რკინიგზით მიემგზავრებოდა.

კოპიონკინი გზაზე კიდევ დიდხანს იდგა, თუმცა მეგობარს ვეღარ ხედავდა; მერე სოფსაბჭოში დაბრუნდა და ცარიელ შენობაში ატირდა. მთელი ღამე მღუმარედ იწვა, ძილი არ ვეკარებოდა და გული კერაფრით ენუგეშებინა. ირგვლივ ჩაძინებში არ ასმოდა, სიცოცხლის ნიშანწყალი არაფერს ეჭყობოდა, თითქოს სოფელი თავის მწუხარე, მტანჯველ ბედ-იღბალს სამუდამოდ განდგომიოდა. სოფსაბჭოს ცარიელ ეზოში მდგარი წსორები შიშველ ტოტებს ხანდახან არხვედნენ და დრო-ქაშს გაზაფხულისკენ უბიძგებდნენ.

კოპიონკინი თვალს ადევნებდა, ფანჯრის მიღმა სიბნელე როგორ ირწეოდა. ზოგჯერ ამ სიბნელეში მკროთალი, სულშიხდილი შუქი გაირბენდა და იქაურებს მობავალი უკაცრიელი დღის სინოტივესა და სევდას ჰფენდა. შესაძლოა, დილა ახლოვდებოდა, ანდა იქნებ მთვარის მკვდარი, მოხეტიალე შუქი გამოკრთოდა.

ღამის უსასრულო სიჩუმეში კოპიონკინს გრძნობათა დასაბულობა ნელ-ნელა უქრებოდა, თითქოს მარტოობისგან გრილდებოდა. მის შემეცნებაში ეჭვის სუსტი შუქი და საკუთარი თავის სიბრალული თანდათან იბადებოდა. როზა ლუქსემბურგის გახსენებას შეეცადა, მაგრამ მიცვალებული, გამვალტყავებული, კუბოში მწილიარე

ქალი დაინახა, განაწამებ მშობიარეს რომ ჰკავდა. კოპიონკინს ახლა აღარ უგრძნია სათუთი სწრაფვა, გულს გამჭვირვალე, მხიარულ ძალას რომ ანიჭებდა.

გაოცებული და დახვედნიანებული კოპიონკინი ციური ღამისა და მრავალწლოვანი დაქანცულობის საბურველში ეხვეოდა, სიზმრად საკუთარი თავი არ უნახავს და, თუნდაც ენახა, შეშინდებოდა: ტახტზე მოხუცებულ, დაძაბუნებულ კაცს ეძინა, უცხო სახეზე ღრმა, მოწამებრივი ნაოჭები რომ ჰქონდა და მოელსიცოცხლეში თავის კუთილდღეობაზე არ უზრუნია. ნათელი ცნობიერებიდან სიზმარში გადახვლა არ არსებობს – სიზმრად გრძელდება იგივე ცხოვრება, თღონდ გამიძვლებული ფორმით. დიდი ხნის წინ გარდაცვლილი დედა კოპიონკინმა სიზმრად ახლა მეორედ ნახა. პირველად მაშინ ეხიზმრა, როცა ქორწინდებოდა: დედა მინდვრის ტალახიან გზაზე მიდიოდა; ზურგი ისეთი გამხდარი ჰქონდა, რომ საჭმლისა და ბავშვების სუნით გაელენთილი, გაზინთული კოფთიდან ნეკნები და ხერხემალი ამოზნექოდა; დედა თავდალუნული მიდიოდა და შვილს არაფერს უსაყუდურებდა. კოპიონკინმა იცოდა, რომ დედამისს იქ არაფერი გააჩნდა, საითაც მიდიოდა, ამიტომ ხევში ჩაირბინა, რათა წინიდან შემოევლო და მისთვის ქოხი აეშენებინა. სანამ თბილოდა, სადღაც, ტყის მახლობლად მებაღეები და მებოსტნეები საქმიანობდნენ და კოპიონკინი დედისთვის ქოხის აშენებას სწორედ იქ აპირებდა, რომ დედას ტყეში სხვა მამა და ახალი შვილი შეეძინა.

დღეს კი კოპიონკინს დედა ჩვეულებრივი, მწუნარე სახით ეხიზმრა – დაკაჟაკცებული შვილის წინ ტანმორჩილი და გაძვალტყავებული იდგა, მოწკურულ, ნამტირალეკ თვალებს თავსაფრის კუთხით იმშრალებდა, რომ მთლიანად არ დაესველებინა.

– სტეპუშკა, ისევ კახაა მოათრე? დედა ისევ მარტო დააგდე, რომ სხვებს დააჩაგვრინო? ღმერთი იყოს შენი მფარველი, შვილო.

დედა ყველაფერს მიუტყვებდა, იმიტომ რომ მისივე სისხლისგან ნაშობ, მაგრამ მისგან უკეთურად განდგომილ შვილზე დედობრივი გავლენა დაკარგული ჰქონდა.

კოპიონკინს დედა და როზა ერთნაირად უყვარდა, იმიტომ რომ დედა და როზა მისთვის ერთი და იგივე პირველი არსება იყო, ისევე, როგორც წარსული და მოძავალი არსებობდნენ მის ერთ ცხოვრებაში. იგი ვერ მიმხვდარიყო, ეს როგორ ხდებოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ როზა მისი ბავშვობისა და დედის გაგრძელება იყო და არა მოხუცებულის გულისმტკენელი არსება.

ჰოდა, კოპიონკინს გული შეეკუმშა იმის გამო, რომ დედა როზას ლანძლავდა.

– დედა, ისიც შენსავით მკვდარია, – უთხრა მას კოპიონკინმა, დედის უილაჯო ბრაზი გულს სიბრალულით უვსებდა.

დედაბერმა თავსაფარი მოიცალა – თურმე არ ტიროდა.

– ე-ე, შვილო, მაგისტანებს რომ ყური უგდო! – წაიტორავა დედამ, – ისე მოკეთითლიბაზებიან, ისე აგიველ-ჩაგიველიან, – ყველაფერი რიგზე გეგონება, შეერთავ და ხელში შეგრჩება: ძეალი და ტყავი, გაქუცული თავი. აგერ შენი მოძავადოებელი მობრძანდება: უპ, ამ წყუულმა შვილი გამიბრეყა!..

ქუჩაში ტანმორჩილი, მკვირცხლი, ნამდვილი როზა მოდიოდა; მას ისეთივე სვედიანი შავი თვალები ჰქონდა, როგორც სოფსაბჭოში ნანახ სურათს. კოპიონკინს დედა მიაუიწყდა; მან ფანჯარა გაამტვრია, რათა როზა უკეთ დაენახა. ფანჯრის მიღმა ზაფხულის მზით განათებული სოფლის შუკა მოჩანდა – უკაცრიელი და მოსაწყენი მიდამო, როგორც ყველა სოფელშია გვალვასა და სიცხე-ჰაპანაქებაში. ხოლო როზა არსად იყო. შესახვევიდან ქათამი გამოვარდა და ურმის ბორბლის ნაკვალევს სირბილით გაუყვა, გაფარჩხული ფრთებით გზას ამტვერებდა. ქათამს ხალხი გამოჰყვა; ყველანი უკან იცქირებოდნენ. მერე სხვებმა შეუღებავი, იაფფასიანი კუბო ჩაატარეს; ასეთი კუბოთი საზოგადოების ხარჯზე მარხავენ უპატრონო, უშვილძირო ადამიანებს.

კუბოში როზა იწვა; სახე, როგორც განაწამებ მშობიარეს, ყვითლად

დალაქაუბოდა. შავ თმაში ქალისთვის შეუფერებელი ჭალარა შერეოდა, ხოლო ყოველი არსისგან განდგომილი, ქანცმილეული თვალები შუბლქვეშით შესცვივნოდა. მას არაკან სჭირდებოდა და იმ გლეხებსაც, ვისაც მისი კუბო მოქონდა, თავად იგი არაფრად ეჭაშნიკებოდათ. ისინი მოკალეობას ასრულებდნენ საზოგადოებრივი ბეგარის, კომლობრივი რიგის მიხედვით.

კოპიონკინი აკვირდებოდა და არ ხჯეროდა: კუბოში ის არ იწვა, ვისაც იცნობდა, — იმას მხერა და წამწამები ჰქონდა. რაც უფრო ახლოს მოასვენებდნენ, რომას მით უფრო უშუქდებოდა ძველისძველი სახე, რომელსაც მახლობელი სოფლებისა და ხელმოკლეობის გარდა არაფერი ეხილა.

— თქვენ დედაჩემს ასაფლაუბთ! — გასძახა გლეხებს კოპიონკინმა.

— არა, ეს უქმრო ქალია! — ყოველგვარი წუხილის გარეშე უპასუხა ერთმა გლეხმა და მხარზე ხელსახოცი გაისწორა. — ამან, რომ იცოდე, სხვა სოფელში სიკვდილი არ ინდობა და სწორედ ჩვენს სოფელში გარდაიცვალა. ამისთვის სულ ერთი არ იყო...

გლეხი თავის შრომას ფასსა სდებდა. ამას კოპიონკინი უმაღ მიუხვდა და იძულებით მომუშავენი დაამშვიდა:

— მიწას მიაყრით თუ არა, მაშინვე აქეთ წამოდით — ყელს მე ჩაგასველებინებთ.

— ეგ შეიძლება, — უპასუხა იმავე გლეხმა. — ყელჩაუსველებლად დამარხვა ცოდვია. ახლა ეს ღვთის მხევალია, მაგრამ მაინც ძლივსა ვძრავთ, მხრები ჩამოგვწყვიტა.

კოპიონკინი ტახტზე იწვა და ელოდა, გლეხები სასაფლაოდან როდის დაბრუნდებოდნენ. საიდანღაც სიცივე მოედინებოდა. კოპიონკინი წამოდგა, რათა გატყხილ ფანჯარაზე რაშე აეფარებინა, მაგრამ ყველა ფანჯარა მთელი აღმოჩნდა. სიცივე დილის ქარს მოქონდა, ეზოში კი, რა ხანია, მწყურვალე ცხენი პროლეტარული ძალა ჭიხვინებდა. კოპიონკინმა ტანსაცმელი გაისწორა, დაასლოკინა და გარეთ გავიდა. მუზობლის ეზოში ჭის ოწინარი წყლის ამოსაღებად დაეხარათ; ღობის გადაღმა ჯეილი დედაკაცი ძროხას ეფერებოდა, რათა იოლად მოეწველა, და ღუღუნა ხმით აღურსიანად ეუბნებოდა:

— მაშკა, მაშენკა, კარგი ახლა, ნუ გამიჯიუტდები, ნუ გამიძალიანდები, სიკეთე მოგეცემა, სიავე მოგშორდება...

მარცხენა მხარეს ფეხშიშველი კაცი მოსაშარდად ზღურბლზე გადმოძდგარიყო და სადღაც მიძალულ ვაჟს უყვიროდა:

— ვასკა, ფაშატს წყალი დააღუევის!

— შენ დალიე, იმას დაღუელი აქვს!

— ვასკა, მოდი ფეტვი დანაყე, თორემ ავანდასტს თავში ჩაგცხებ.

— გუშინ ხომ დავნაყე. ყველაფერი მე უნდა გამაკეთებინოთ? ახლა შენ დანაყე!

ბელურები ეზოებში შინაური ფრინველებით მოურიდებლად ფუსფუსებდნენ. მერცხლები როგორც არ უნდა მშუენიურნი იყვნენ, შემოდგომობით მაინც მდიდარ ქვეყნებში მიფრინავენ, ხოლო ბელურები აქ რჩებიან, სიცივესა და გაჭირვებას ადამიანთან ერთად იზიარებენ. ბელურა ნამდვილი პროლეტარული ფრინველია, ხარჩოს სიმწრით რომ შოულობს. გულისგამაწყვალელები, გაუთავებელი გასაჭირისგან, შესაძლოა, ყველა სათუთი სულიერი დაიღუპოს, მაგრამ გლეხისა და ბელურასნაირი სიცოცხლისნურიანი არსება გადარჩება და თბილ დღეებამდე თავს გაიტანს.

კოპიონკინმა ბელურას გაუღიმა, რომელმაც შეძლო თავისი საწყალობელი, ნამცვეცა არსებობა უზარმაზარ იმედად ექცია. ცხადია, რომ იმ გრილ დილას ბელურა გულს პურის მარცვლის ძიებით კი არა, ადამიანთათვის უცნობი ოცნებით ითბობდა. კოპიონკინსაც საზრდო და დოვლათიანობა კი არა, გაუცნობიერებული იმედი ახულდგმულებდა.

— ასე სჯობია, — თქვა მან, თანაც მომუშავე ბელურას თვალს არ აშორებდა.

დახე ამას! პატარა კი არის, მაგრამ როგორი ცქვიტია... ადამიანი ასეთი რომ იყოს, ქვეყნიერება დიდი ხნის აყვავებული იქნებოდა.

გუშინდელი ჩოფურა გლეხი დილასვე მოვიდა. კოპიონკინმა საუბარში აიყოლია, მერე მასთან სასაუზმოდ წავიდა და, სუფრას როცა უსხდნენ, უეცრად ჰკითხა:

— თქვენ ასეთი ვინმე თუ გყავთ — პლოტნიკოვი?

ჩოფურამ კოპიონკინს ფიქრიანი მზერა მიაპყრო; ცდილობდა, შეეცნობოდა მისი გამოცნო.

— მე თვითონა ვარ პლოტნიკოვი. მერე რა გინდა? მთელ ჩვენს სოფელში მხოლოდ სამი გვარისანი ვართ: პლოტნიკოვები, განუშკინები და ცელნოვები. შენ რომელი პლოტნიკოვი გჭირდება?

კოპიონკინმა მიანიშნა:

— აი, ის, ქურანი ულაყი რომ ჰყავს — მარდია და ტანადი, ცხენს როცა მიაჭენებს, პირსა მანჭავს... იცნობ?

— ჰო, ის ვანკაა, მე კი ფიოდორი განლაყვართ! მე იმასთან არაფერი მესაქმება. მესამე დღეა, იმისი ულაყი ცოტა კოჭლობს... ძალიან გჭირდება? თუ ძალიან გჭირდება, ახლავე წავალ და დავუძახებ...

ჩოფურა ფიოდორი წავიდა. კოპიონკინმა ნაგანი ბუდიდან ამოიღო და მაგიდაზე დადო. ფიოდორის სწეული ცოლი კოპიონკინს ღუმლიდან ენაჩავარდნილი ჩამოსცქეროდა და შიშისგან სლოკინს უფრო და უფრო უმატებდა.

— ნეტავი ასე ვინ გახსენებს? — თანაგრძნობით ჰკითხა კოპიონკინმა.

ქალმა ტუჩები გასაღიმებლად დაბრიცა, რომ სტუმრისთვის გული მოეღბო, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ შეძლო.

ფიოდორმა პლოტნიკოვი ძალე მოიყვანა. პლოტნიკოვი სწორედ ის გლეხი აღმოჩნდა, დილას ზღურბლთან რომ იდგა და ვასკას ეძახოდა. ახლა თექის ჩექმები ეცვა, ხელებში კი მოწინებით ჭმუჭნიდა გაცვეთილ ქუდს, ჯერ კიდევ ცოლის შერთვამდე რომ ჰქონდა ნაყიდი. პლოტნიკოვს რაიმეთი გამორჩეული გარეგნობა არა ჰქონდა: თავისნაირებისგან რომ განგესხვავებინა, მასთან ერთხანს უნდა გეცხოვრა. მხოლოდ თვალები ჰქონდა იშეიათი ფერისა — თაფლისფერი: ქურდობისა და ფარულ განზრახვათა ფერი. კოპიონკინი ბანდიტს პირქუშად აკვირდებოდა. პლოტნიკოვი არ შეშკრთალა, ანდა თავს განგებ ითამაშებდა:

— რას მამტერდები — შენიანებს დაეძებ?

— მითხარი, ხალხს კიდევ ააღუღებ? საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხს კიდევ აამხედრებ? პირდაპირ მითხარი — ჰო თუ არა?

პლოტნიკოვი მიხვდა, კოპიონკინს როგორი ხასიათიცა ჰქონდა, ამიტომ თავი დახარა და განზრახ მოიღუშა, რომ უფრო აშკარად გამოეხატა მორჩილება და თავისი უკანონო ქმედებათა გამო ნებაყოფლობითი სინანული.

— არა, არასოდეს აღარ ვიზამ — პირდაპირ გეუბნები.

კოპიონკინი სიმკაცრის საჩვენებლად ერთხანს ღუმდა.

— აბა, ჩემი ნათქვამი დაიმახსოვრე. იცოდე, გასამართლებას კი არ დაგიწყებ, პირდაპირ გაგისწორდები: თუ რამე შეეიტყვე, მყისვე ძირფესვიანად ამოგძირკვავ, რჯულამდე ჩაგყვები, წამსვე დაგასამარებ... ახლა შინ წადი და არ დამივიწყო...

პლოტნიკოვი როცა წავიდა, ჩოფურამ ამოიხვნეშა და მოწინებისგან ენის ბორძიკით თქვა:

— აი, ეს... აი... ეს სამართლიანია. ხელისუფლება რომ ხარ, გეტყობა!

კოპიონკინს ჩოფურა ფიოდორი უკვე შეუყვარდა იმის გამო, რომ დვანოვი ამბობდა, საბჭოთა ხელისუფლება მრავალი, ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანის მეუფებააო.

— ხელისუფლება კი არა, ისა! — უთხრა კოპიონკინმა ჩოფურას. — ჩვენ ბუნებრივი ძალა ვართ.

დვანოვს ქალაქის სახლები ძალზე დიდები ეჩვენა: თვალი ველსა და ქოხებს ჰქონ-

და მიხვეული.

ქალაქი მზეს გაებრწყინებინა; ფრინველებს გამრავლება უკვე მოესწროთ და ახლა ნაგებობათა შორის ტელეფონის ბოძებზე შემოქსდარნი გალობდნენ. დვანოვი აქედან როცა წავიდა, ქალაქი მკაცრ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა, სადაც მხოლოდ რევოლუციის დისციპლინირებული მსახურება ბატონობდა; მუშები, მოსამსახურეები და წითელარმიელები ყოველდღიურად ამ წესისა და რიგის კვალობაზე ცხოვრობდნენ და ყველაფერს მოთმინებით იტანდნენ; ღამით მხოლოდ გუშაგები მოჭმუდებდნენ, შემკრთალ-დაფეთებულ მოქალაქეებს შუადამისას აჩერებდნენ და საბუთებს უხინჯავდნენ. ახლა დვანოვს ქალაქი სწრაფად უჩუფლო, უკაცრიელ ალაგად კი არა, ზაფხულის შუქით გაცისკრებულ ქალაქშივე სამოსახლოდ წარმოუდგა.

თავდაპირველად გაიფიქრა, ქალაქში ალბათ თეთრები არიანო. ვაგზლის ბუფეტში რუხ ფუნთუშებს ბარათების გარეშე ყიდდნენ და ხალხი რიგში არ იდგა. ვაგზლის მახლობლად გუბერნიის სასურსათო კომიტეტის ბაზაზე ჯერაც გაუმშრალი ფირნიში ეკიდა. უხარისხო საღებავით ნაწერი ასოები გადღაბნილიყო. ფირნიშზე მოკლედ და კუსტარულად ეწერა:

„ყველაფერი ყველა მოქალაქეზე იყიდება.

ოპამდელი პური, ოპამდელი თევზი,

ახალი ხორცი,

შინაური მფნილი“. ფირნიშს ქვემოთ წერილი ასოებით ჰქონდა მიწერილი

ფირმის სახელწოდება:

„არდულიანცი, რომი, კოლესნიკოვი და კ“.

დვანოვმა გაიფიქრა, ეს განზრახ გაუკეთებიათო, და დუქანში შევიდა. იქ ნორმალურად გამართულ-მოწყობილი სავაჭრო დახვდა, იმდაგვარი, ძალიან ადრე, ბაღლობისას რომ ენახა და, დიდი ხანია, გაფაფიწყებოდა. დახლები მინის ქვეშ იყო მოთავსებული, ბეზმენის მაგივრად სრულქმნილი სასწორი იდგა, სასურსათო ბაზის აგენტებისა და სამხეო ნაწილის გამგეთა ნაცვლად თავაზიანი ნოქრები ფუსფუსებდნენ; დუქანი მზიარული მყიდველებით იყო სავსე და სანოვაგის უხვი მარაგის ბარაქიანი სურნელება იფრქვეოდა.

— სულ გუბერნიის გამანაწილებელ პუნქტს არა ჰგავს! — თანაგრძნობით თქვა ვილაცამ, სავაჭროს თვალიერებით რომ ტკებოდა.

დვანოვმა ამის მოქმელს სიძულვილით გახედა. ის კაცი ამგვარ მზერას არ შეუშფოთებია, პირიქით, განზრახ ხალისიანად გაიღიმა: ვითომ რას მითვალთვალე, მე კანონიერი ფაქტი მახარებსო!

მყიდველთა გარდა დუქანში ხალხის მთელი ჯგრო იდგა. ესენი უბრალო მაყურებელნი იყვნენ, სასიამოვნო სეირს უსაზღვრო ცნობისმოყვარეობით რომ უცქეროდნენ. მაყურებელნი მყიდველებზე მეტნი იყვნენ და ვაჭრობაში ერთგვარად ისინიც მონაწილეობდნენ. ზოგი მათგანი პურთან მიდიოდა, ცოტას წაატეხავდა და პირში იღებდა. ნოქარი არაუის არაფერს უკრძალავდა, ამგვარ რამეს არხეინად უცქეროდა. ვაჭრობის მოყვარული პურის ნატეხს დიდხანს ღეჭავდა, ენით ყოველნაირად ატრიალებდა და დინჯად ფიქრობდა. მერე ნოქარს შეფასების შედეგს მოახსენებდა:

— იცი რა, თითქოს ცოტა წაიმწარებს! საფუარით მოზილეთ?

— არა, მოვახაშეთ, — უპასუხებდა ნოქარი.

— ჰოდა... ეტყობა კიდევაც ვერაფერს იტყვი — ულუფის ფქვილი არ არის და შინაურულად, გულდადებით არის გამოცხვარი: დასაწუნი რა ექნება!

იტყოდა ამას, მერე ხორცთან გადაინაცვლებდა, ხელს ალერსიანად მოუთათუნებდა და დიდხანს სუნავდა.

— რაო, ხომ არ გინდა, რომ ჩამოგიჭრა? — შეეკითხებოდა გამყიდველი.

— ვსინჯავ, ცხენის ხორცი ხომ არ არის? — გამოკვლევას განაგრძობდა

ცნობისმოყვარე. — არა, ძარღვები ცოტა აქვს და ქაფიც არ ამჩნევია. ცხენის ხორცს, ხომ იცო, გაროს ნაცვლად ქაფი აქვს მოდებული: ჩემი კუჭი ცხენის ხორცს ვერა გუობს, აუადმყოფი კაცი ვარ...

გამყიდველი წყენას არ შეიმჩნევდა, ხორცს გულდაგულ დასწვდებოდა:

— ცხენის ხორცი ხად ნახე?! ეს ხომ ჩერკასული ძროხის თეთრი ხორცია — მარტო სუკია. ვერ ხედავ, რა ნახი გარო აკრავს — ჰარში ჩაგადანებ. შევიძლია, ხაჭოსავით უმაღ შეჭამო.

დაკმაყოფილებული ცნობისმოყვარე მაყურებლებს შეერტოდა და შთაბეჭდილებებს დეტალურად გაუზიარებდა.

მაყურებლები თავიანთ პოსტს არ ტოვებდნენ და ვაჭრობის ყველა ფუნქციას გულმხურვალედ განიხილავდნენ. ორმა მათგანმა ვერ მოითმინა, დახლებთან მივიდნენ და ნოქრების მიხმარებას შეუდგნენ. დახლებიდან მტკერი გადაწმინდეს, სასწორი ფრთით გადაგავეს, რომ უფრო ზუსტად ემუშავა, საწონები რიგში ჩაამწკრივეს. ერთმა მონხლისეთაგანმა ქაღალდები დაჭრა, ზედ სახელწოდებები დააწერა, მერე ეს ქაღალდები მავთულის ფეხებზე დაამაგრა, ხოლო მავთულები შესაბამის საქონელზე დაარჭო; ყოველ საქონელს მცირე აბრა გაუჩნდა, რითაც მყიდველი საქონლის რაობას უმაღ შეიტყობდა. ყვეტვის ბურღულის ყუთში მონხლისემ ჩაარჭო „ფეტი“, ძროხის ხორცში — „გაროიანი ძროხის ხორცი“ და ასე შემდეგ, საქონლის უფრო ნორმალური განმარტების შესაბამისად.

მისი მეგობრები ამგვარ მზრუნველობას კმაყოფილნი შესცქეროდნენ. ისინი სახელმწიფო სამსახურის გამაუმჯობესებელთა ფუძემდებლები იყვნენ, თავიანთ ხანას წინ რომ უსწრებდნენ. მყიდველები შემოდოდნენ, წაიკითხავდნენ და წარწერებიან საქონელს უფრო ენდობოდნენ.

დუქანში ერთი დედაბერი შემოვიდა და იქაურობას დიდხანს ათვალიერებდა. თავი სიბერისა და შიმშილისგან უკანკალებდა. შემკავებელი ცენტრები დასუსტებოდა და ამის გამო ცხვირიდან და თვალებიდან უნებური სისველე ჩამოსდიოდა. დედაბერი ნოქართან მივიდა და სასურსათო ბარათი გაუწოდა, ჩანახვევი ადგილები ხაში ძაფით რომ აქონდა ამოკერილი.

— ხაჭირი არ არის, დედილო, უამისოდაც გაგატანთ, — უთხრა ნოქარმა. — რას ჭამდი, როცა შვილები გეხოცებოდა?

— მაშ მოვესწარიო? — გული აუჩუყდა დედაბერს.

— მოვესწარიო: ლენინმა წაგვართუა და ლენინმავე დაგვიბრუნა.

დედაბერმა ჩაიჩურჩულა:

— ოჰ, დემერთო ჩემო! — და ისე გულმდუღარედ ატირდა, თითქოს ამ კარგ ცხოვრებაში ორმოციოდე წელი კიდევ უნდა გაეტარებინა.

ნოქარმა სამხედრო კომუნიზმის ცოდეთა გამოსასყიდად დედაბერს კარგად გამომცხვარი პურის ნაჭერი მისცა და გაისტუმრა.

დვანოვმა ნახა, რომ რეკოლეუციამ სხვაგვარი სახე გამოაჩინა, და მიხვდა, რომ ეს სერიოზული რამ იყო. თავის სახლამდე სანამ მივიდოდა, დუქანი აღარსად შეხვედრია, დეეხელებსა და ფუნთუშებს კი ყოველ კუთხეში ყიდდნენ. ხალხი დეეხელებსა და ფუნთუშებს ყიდულობდა, შეექცეოდა და საჭმელზე ლაპარაკობდა. ქალაქი მადღრისად ნადიმობდა. ახლა ყველამ იცოდა, პურის მოყვანას როგორი ჭაპანწყუტა სჭირდებოდა, მცენარე ადამიანივით რთულად და სათუთად რომ იზრდებოდა, მზის მცხუნვარე სხივთა ქვეშ მტანჯული ჯაფისგან მიწა ოფლად რომ იღვრებოდა; ხალხი ახლა ცას შესცქეროდა და მიწათმოქმედებს თანაუგრძნობდა, მოსაულისთვის შესაფერ ამინდს ნატრულობდა, ფიქრობდა, კარგი იქნება, თოვლი ერთბაშად გადნეს და მინდორში წყალმა ყინულის ქერქი არ გადააკრას, ეს ხომ საშემოდგომო ნათესებს დააზარალებსო. ხალხმა ბევრი იხეთი რამ ისწავლა, რაც აქამდე არ იცოდა, ადამიანთა პროფესია გაფართოვდა, ცხოვრების შეგრძნება საზოგადოებრივი შეიქნა. ამიტომაც ახლა როცა ფუნთუშით პირს იგემოვნებდნენ,

ჭამით მარტო მუცელს კი არ იძლებდნენ, არამედ უჩინარი შრომის მიმართ პატივისცემასაც იძენდნენ: ამგვარად, ხიამოვნება ორკეცდებოდა. როცა საჭმელს ჭამდნენ, ხელი პირთან მიჰქონდათ, რომ ნამცეცები მუჭაში მოეგროვებინათ და მერე ეს ნამცეცებიც შეეჭამათ.

ბულვარებზე ხალხი მიდი-მოდიოდა და თავისთვის ახალ ცხოვრებაზე ფიქრობდა. გუშინ ხორცი ბევრია მათგანმა ჭამა და ძალების უჩვეულო მოზღვაკებას გრძნობდა. კვირა დღე იყო — ძალზე ჩახუთული: ციდან ჩამოღვრილ ხაფხულის სიცხეს მხოლოდ შორეული მინდვრებიდან მონაბერი წანწალა ქარი აგრილებდა.

ზოგ შენობასთან მათხოვრები ისხდნენ და საბჭოთა ხელისუფლებას განზრახ აგინებდნენ, თუმცა გამკლავები ფულს ისედაც უწყალობდნენ, როგორც ცხოვრების შემსუბუქების მაჩვენებლებს: ბოლო ოთხ წელიწადში ქალაქში მათხოვრები და მტრედები გაქრნენ.

დვანოვმა სკვერი გადაჭრა. სკვერში უამრავი ხალხი ირუოდა და კვლის სიერცვთა სიხალკათეს მიხვეული დვანოვი თავს უხერხულად გრძნობდა. ერთხანს მის მხარდამხარ ვიღაც ქალიშვილი მოდიოდა, სონიას რომ ჰკავდა, ისეთივე სუსტი, საყვარელი სახე ჰქონდა, შთაბეჭდილებათა სიმრავლის გამო თვალების ოდნავ ჭკუტავდა. თვალები სონიაზე ცოტა უფრო მუქი ჰქონდა, გამოხედვაც აუჩქარებელი, თითქოს რაღაც აღუსრულებელი საზრუნავი აწუხებდა. ნახევრადმოხუჭული თვალები სევდას მალავდა. „სოციალიზმში სონია უკვე სოფია აღექსანდროვნა იქნება, გაიფიქრა დვანოვმა. — დრო გადის“.

ზახარ პავლოვიჩი წინკარში იჯდა და საშას ბავშვობის დროინდელ, გაცვეთილ ფეხსაცმელებს ვაქსით წმენდდა, რომ მოხაგონებლად კიდევ დიდხანს ჰქონოდა. იგი საშას მოეხვია და ატირდა; შვილობილის სიყვარული სულ უფრო და უფრო ემატებოდა. დვანოვს ზახარ პავლოვიჩი მკერდზე მიყრდნობილი ჰყავდა და ფიქრობდა, მომავალ კომუნიზმში დედებსა და მამებს რა უნდა ვუქნათო.

საღამოთი დვანოვი შემიღინთან წავიდა; მის გვერდით ბევრნი შეყვარებულებისკენ მიიჩქაროდნენ. ხალხი ახლა უკეთ იკვებებოდა და საკუთარ სულს შეიგრძნობდა. ვარსკვლავები კი ყველას არ ხიბლავდა — ქალაქის მაცხოვრებლებს დიადი იდეები და უსასრულო სიერცვები მობეზრდათ: დარწმუნდნენ, რომ ვარსკვლავები ერთ მუჭა საულუფო ფეხვად ქცეულიყო, ხოლო იდეალებს ტიფის ტილი იცავდა.

შუმილინი სადილობდა და დვანოვიც სუფრასთან მიიპატიჟა.

სასადილო მაგიდაზე ძალვიძარა საათი მუშაობდა და შუმილინს გულში მისი შურდა: საათი გამუდმებით შრომობდა, ხოლო თვითონ ცხოვრებას ძილისთვის წყვეტდა. დვანოვს კი დრო-ჟამისა არ შურდა — გრძნობდა, რომ სიცოცხლის მარაგი გააჩნდა და იცოდა, საათის სვლას რომ გაასწრებდა.

— საჭმლის მოსანელებლადაც კი მოცლა არა მაქვს, — თქვა შუმილინმა. — პარტიის კრებაზე წახელის დროა... შენ წამოხვალ, თუ ყველაზე ჭკვიანი გახდი?

დვანოვმა პასუხად არაფერი უთხრა. რაიკომისკენ როცა მიდიოდნენ, დვანოვმა გზადაგზა, როგორც შემლო, შუმილინს ისე მოუთხრო, გუბერნიაში რასაც აკეთებდა, მაგრამ ატყობდა, რომ ეს შუმილინს თითქმის არ აინტერესებდა.

— ამბავი მომდიოდა, მომდიოდა, — ჩაილაპარაკა შუმილინმა. — შე ოტროველა, იქ იმისთვის გაგგზავნეს, რომ, უბრალოდ, თვალი გედევნებინა, რა და როგორ ხდებოდა. მე სულ საბუთებს ჩაკვირკიტებ, მაგრამ ვერაფერი გამოძიკვევია. შენ კი თვალი გიჭრის, მაგრამ რა ჰქენი? საქმე მთლად ჩააოხრე, გლეხები შეაგულიანე და ბიტერმანის სატყეო მეურნეობა გააჩანაგებინე, შე მამამაძლო! ვიღაცა დაღლარები აიყოლიე და ხაღვაც დაეხეტებოდი...

შერცხვენილ-განაწყენებული დვანოვი გაწითლდა.

— ისინი დაღლარები არ არიან, ამხანაგო შუმილინო... კიდევ სამ რევოლუციას მოახდენენ უსიტყვოდ, თუ საჭირო იქნება.

შუმილინის აღარაფერი უთქვამს, მაშასადამე ადამიანებზე უფრო მნიშვნელოვნად ქალაქები მიაჩნდა. თანამგზავრებს ერთმანეთისა რცხვენოდათ და მდუმარედ მიაბიჯებდნენ.

პარტიის კრება ქალაქის საბჭოს დარბაზში უნდა ჩატარებულიყო, დარბაზის კარიდან ჰაერი ისე უბერავდა, როგორც ვენტილატორიდან. ზეინკალ გოპნერს ხელისგული ჰაერის ნაკადისთვის მიეშვირა და ამხანაგ ფუფაევს ეუბნებოდა, აქ ორი ატმოსფერო წნევა იქნებაო.

— მთელ პარტიას ამ დარბაზში რომ მოუყარო თავი, — მსჯელობდა გოპნერი, — მარტო პარტიული სუნთქვით ერთ ელექტროსადგურს თავისუფლად გაშუქავებ, ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი და ტანი!

ფუფაევი ელექტროგანათებას უხალისოდ ათვალეუბდა და იმაზე წუხდა, რომ კრების დაწყება ჭიანურდებოდა. ტანმორჩილი გოპნერი რაღაც ტყუნიკურ გაანგარიშებებს კიდევ იგონებდა და ფუფაევს უზიარებდა. როგორც ჩანს, გოპნერი შინ ვერავის ელაპარაკებოდა და ხალხმრავლობა ახარებდა.

— შენ დღენიადაგ ფიქრს უნდები, — წყნარად უთხრა გოპნერს ფუფაევმა და ისე ამოიხვნეშა, რომ მკერდის ძვლები ამოებურცა. ამის გამო ყველა პერანგი, რა ხანია, დაეხია და გამოკეშსილ პერანგებს იცვამდა. — უკვე დროა, რომ ყველანი ყველგან ჩუმიად ვშრომობდეთ.

გოპნერს უკვირდა, წითელი დროშის ორი ორდენი ფუფაევს რის გამო მისცესო. თვითონ ფუფაევს გოპნერისთვის ამის თაობაზე არასოდეს არაფერი უთქვამს, რადგან მომავალს წარსულთან შედარებით უპირატესობას ანიჭებდა. წარსული სამუდამოდ განადგურებულ და უსარგებლო ფაქტად მიაჩნდა, ამიტომ ორდენებს მკერდზე კი არ იკიდებდა, შინ, სკიურში ინახავდა, ორდენების ამბავი გოპნერმა ფუფაევის ტრაბახა ცოლისგან შეიტყო, რომელმაც ქმრის ცხოვრების ყოველი ამბავი ისე ზუსტად იცოდა, თითქოს იგი მისი გაჩენილი ყოფილიყო.

ამ ქალმა მხოლოდ ის არ იცოდა, უღუფასა და ორდენებს რის გამო იძლეოდნენ. მაგრამ ქმარმა უთხრა: — სამსახურისთვის, პოლია, და ასედაც უნდა იყოსო. ცოლი დამშვიდდა, სამსახური სახელმწიფო შენობებში საქმის მწარმოებლობად წარმოიდგინა.

თვით ფუფაევი შორიდან მაყურებელს მრისხანე სახის კაცად მოეჩვენებოდა, ახლოდან კი მშვიდობიანი, მეოცნებე თვალები ჰქონდა. მისი დიდი თავი აშკარად წარმოაჩენდა თავის ქალაში მომწვედელი და სევლით მოცული, მდუმარე ტვინის რაღაც პირველშობილ ძალას. მიეიწყებულ სამხედრო გმირობათა მიუხედავად, რაც მხოლოდ დაშლილი შტაბების ნუსხებში იყო აღრიცხული, ფუფაევი სოფლის მეურნეობას და, საერთოდ, წყნარ მწარმოებლურ შრომას აღმერთებდა. ახლა იგი გუბერნიის უტილს ხელმძღვანელობდა და თავისი თანამდებობის გამო გამუდმებით რაღაც უნდა გამოეგონებინა. ამის უნარი კი არ აკლდა: მისი ბოლო დონისძიება ის გახლდათ, რომ მთელ გუბერნიაში ნაკელის ბაზების ქსელი დააარსა. ამ ბაზებიდან უცხენო ღარიბობას ორდერებით ნაკელს ურიგებდნენ მიწის ნაკვეთების გასანოყიერებლად. ფუფაევს მიღწეული წარმატებები არ აკმაყოფილებდა, დილას თავის ორთვალა ეტლში ჩაჯდებოდა, მთელ ქალაქს მოივლიდა, ქუჩებს ათვალეუბდა, სახლების უკანა ეზოებში შედიოდა, გზად შემოხვედრილ ღატაკებს აქეთურ-იქითურზე ელაპარაკებოდა, რათა სახელმწიფოს უტილიზაციისთვის რაიმე ხარახურა კიდევ აღმოეჩინა. გოპნერსაც უტილიზაციის ფართო სარბიულზე დაუახლოვდა. ფუფაევი ყველას ერთნაირი სერიოზულობით ეუბნებოდა:

— ამხანაგო, ჩვენი სახელმწიფო არც ისე მდიდარია; რაიმე უვარგისი რამ არ გექნება — უტილისათვის?

— მაინც რა, მაგალითად? — შეუკითხებოდა რომელიმე ამხანაგი.

ფუფაევი არ შეფერხდებოდა:

— რაიმე შეჭმულ-გამოხრული, ნედლი, ან ნახმარი ნეჭა, ანდა სხვა რაიმე...

უსარგებლო პროდუქტი.

— ფუფაევო, შენ თავში სიცხე ხომ არა გაქვს! — შეფიქრიანდებოდა ამხანაგი. — ახლა მაგისი წუთისოფელი გვაქვს, ნეტა რომ მომინდომე? მე თვითონ აბანოში ტანს წნელებით ვიხეხავ...

მაგრამ ფუფაევს იშვიათად საქმიან რჩევასაც აძლევდნენ; მაგალითად: ბავშვთა თავშესაფრების გასათბობად რევოლუციამდელი არქივების უტილიზაცია მოახდინეს, მიყრუებულ ქუჩებში შამბნარი სისტემატურად გამოათბინეს, რათა დაგროვებული საკვები შემდგომში თხების გამოსაკვებად გამოიყენო, დიდი/სარძევე მეურნეობა მოაწყო და იაფი რძით სამოქალაქო ომის ინვალიდებს და მკვლარობ-
ლატაკები მოამარავო.

დამლაშობით ფუფაევს ნაირ-ნაირი უტილმასალა ეზმანებოდა, ერთმანეთში არეულ-დარეული უსახური ძველმანების მასივების ფორმა რომ ჰქონდა. დილით კი საპასუხისმგებლო სამსახურის გამო შეძრწუნებული იღვიძებდა, რადგან პატიოსანი კაცი იყო. გოპნერმა ერთხელ უთხრა, ზომიანე მეტად თავს ნუ იწუნებო, და შესთავაზა: უმჯობესია, ძველი სამყაროს ბინადრებს ცირკულარულად უბრძანო, თავის ხარახურას თვალმოუშორებლად უყარაულონ, იქნებ მომავალში რევოლუციას დასჭირდესო; თუმცადა, არ დასჭირდება — ახალი სამყარო მარადიული მასალით აშენდება და ეს მასალა არასოდეს წახდება, გადასაყრელი არ შეიქნებაო.

ამის შემდეგ ფუფაევი ცოტა დამშვიდდა და მასიური ზმანებებისგან ნაკლებად იტანჯებოდა.

შუმილინი ფუფაევსაც იცნობდა და გოპნერსაც, დვანოვს კი ნაცნობობა მხოლოდ გოპნერთან ჰქონდა.

— გამარჯობა, ფიოდორ ფიოდოროვიჩი, — უთხრა გოპნერს დვანოვმა. — როგორ ხარო?

— რეგულარულად, — უპასუხა გოპნერმა. — ოღონდ ეგ არის, პურს ისევ თავისუფლად ყიდვიან ეს წყეულები!

შუმილინი ფუფაევს ესაუბრებოდა. გუბერნიის კომიტეტს განზრახული ჰქონდა, რომ ფუფაევი მძიმედ დაჭრილ წითელარმიელთა დამხმარე კომისიის თავმჯდომარედ დაენიშნათ. ფუფაევი დათანხმდა, რადგან ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ უხეირო თანამდებობებს უკვე მიჩვეული იყო. ბევრი მეთაური ასევე სოცუზრუნველყოფის განყოფილებებში, პროფკავშირებში, სადაზღვევო სალონებში თუ სხვა დაწესებულებებში მუშაობდა, რომელთაც რევოლუციის ბედ-იღბალში დიდი წვლილი არ შეჰქონდათ; როცა ასეთი დაწესებულებები საყვედურს გამოთქვამდნენ, რევოლუციას კუდში მიგჩანჩალებთო, მაშინ მათ მიმართულებებს უცვლიდნენ; ისინი წინ გადაინაცვლებდნენ და რევოლუციას კისერზე ასხდებოდნენ. სამხედრო მოსამსახურენი ყოველგვარ სამსახურს რატომღაც პატივად მიიჩნევდნენ და რკინისებური დისციპლინის გულისთვის ნიადაგ მზად იყვნენ, თუნდაც წითელი კუთხის გამგებლობა ჩაებარებინათ, თუმცა წარსულში დივიზიის მეთაურები გახლდნენ.

შუმილინმა გოპნერის უკმაყოფილო ხმა გაიგონა და მიუბრუნდა:

— რაო, ულუფა თავს აგდიოდა? თავისუფალი ვაჭრობა არ მოგწონს?

— სრულებითაც არ მომწონს, — უმაღვე სერიოზულად განაცხადა გოპნერმა. — რა გგონია, საჭმელ-სასმელი და რევოლუცია ერთმანეთს შეეგუებიან? თუ გინდათ, თავს მოვიჭრიო, ეგ არასოდეს მოხდება!

— მშიერის თავისუფლება რაღა ბედენაა? — გონივრული ათვალწუნებით გაიღიმა შუმილინმა.

გოპნერმა ხმა აღფრთოვანებით აიმაღლა:

— მე კი, იცი, რას გეტყვი, ჩვენ ყველანი ერთნაირი გაჭირვებისას ამხანაგები ვართ. პური და ქონება თუ გვექნება — კაცის გამოჩენას ნუღარ ელი! თავისუფლებას

რაღას დაეძებ, თუკი ყველას კუჭში პური უფუის, შენ კი მათკენ გული გაქვს მიპყრობილი! აზრს სიმსუბუქე და მწუხარება უყვარს... განა როდისმე არსებულა, რომ ნაპატიკები ხალხი თავისუფალი ყოფილიყო?

— ისტორია განა წაკითხული გაქვს? — შეეჭვდა შუმილინი.

— გუმანით მივხვდი! — თვალები აახამჩამა გოპნერმა.

— მაინც რას მიხვდი?

— იმას, რომ პურიცა და ყოველი სხვა ნივთიერებაც კი არ უნდა მოაგროვო, ერთმანეთის გულისთვის უნდა გასწირო. რაკილა არ შეგიძლია, ყველაზე უკეთესი რამ მიუძღვნა — პური მაინც უნდა მისცე. ჩვენ კი გესურებას, ყველაფერზე უკეთესი რამ მიგვეძღვნა...

დარბაზში ზარი ააწკარუნეს კრების დაწყების მაუწყებლად.

— წამო, ცოტაოდენი ვიმსჯელოთ, — უთხრა ღვანოვს გოპნერმა. — ჩვენ ხომ ახლა ობიექტები კი არა, სუბიექტები ვართ, დალახეროს ეშმაკმა: ამას ვამბობ და საკუთარი თავის პატივი ვერ შემიცვნი!

დღის წესრიგში ერთადერთი საკითხი იდგა — ახალი ეკონომიკური პოლიტიკა. გოპნერი ამ საკითხს უმაღლეს ჩაუფიქრდა — პოლიტიკა და ეკონომიკა არ უყვარდა, რადგან მიაჩნდა, რომ გაანგარიშება მანქანაშია მოხერხებული, ხოლო ცხოვრებაში მხოლოდ სხვაობანი და მხოლოდობითი რიცხვები არსებობს.

გუბკომის მდივანს, ყოფილ რკინიგზის ტექნიკოსს, არა სწამდა, რომ კრებებს რაიმე ხეირი მოჰქონდა — კრებებში მხოლოდ ფორმალურობას ხედავდა, რადგან, მისი აზრით, მუშა კაცი მოხსენების კვალდაკვალ ფიქრს მაინც ვერ ასწრებდა, პროლეტარის აზრი ქაჩალ თავში კი არა, გრძნობაში მოქმედებდა. ამიტომაც მდივანი ორატორებს, ჩუქულებისამებრ, სიტყვას აკვეციანებდა ხოლმე:

— ამხანაგო, შეამოკლე, შეამოკლე, შენ რომ ილაყბო, იმის გულისთვის სასურსათო რაზმებმა პური უნდა მოიპოვონ — ნუ დაგაკვიწყდება!

ხანაც, უბრალოდ, კრებას მიმართავდა:

— ამხანაგებო, ვინმემ რაიმე თუ გაიგვთ? მე ვერაფერი ვერ გავიგე. ჩვენ ის გვინდა ვიცოდეთ, — უკვე ბრაზიანად, გამოკვეთილად ამბობდა მდივანი, — ამ კარიდან რომ გავალთ, რა უნდა ვაკეთოთ, ეს კი აქ რაღაც ობიექტურ პირობებზე მოთქვამს. ხოლო მე გეუბნებით — როცა არის რევოლუცია, მაშინ ობიექტური პირობები აღარ არსებობს...

— მართალია! — დაიგრგვინებდა კრება. სულ ერთია, თუნდაც მართალი არ ყოფილიყო, დარბაზში იმოდენა ხალხს მოეყარა თავი, ყველაფერს თავის ნებაზე მისცემდნენ გეზს.

გუბკომის მდივანი ამჟამად სახედამწუხრებული იჯდა; იგი უკვე ხნიერი კაცი გახლდათ და გულში ნატრობდა, რომ სადმე ქოჩ-სამკითხველოს გამგედ გაეგზავნათ, სადაც შეძლებდა, სოციალიზმი საკუთარი ხელით აეშენებინა და ყველასათვის თვალის სახილველი გაეხადა. ინფორმაციები, ანგარიშგებანი, ცნობარები და ცირკულარები მდივნის ჯანმრთელობას განადგურებას უქადდა; ეს საბუთები მას შინ მიჰქონდა და უკან აღარ აბრუნებდა, მერე კი საქმეთა მმართველს ეუბნებოდა: „ამხანაგო მოლელნიკოვი, იცი რა, ყველა საბუთი ჩემმა ვაჟმა დაწვა, როცა ღუმელზე შეძინა. გამელვიდა და, რას ვხედავ, ღუმელში ფერფლიდაა. მოდი, ერთი კცადლოთ, ასლებს ნუ დაგავგზავნით — ვნახოთ, ეს კონტრრევოლუციას გამოიწვევს თუ არა?“

— კარგი, — ეთანხმებოდა მოლელნიკოვი. — ქალაქით, ცხადია, ვერაფერს გაახერხებ — იქ მხოლოდ ცნებები წერია: ცნებებით კი გუბერნიას ხელქვეშით ისევე ვერ მოიქცევ, როგორც ცხენს კუდით ვერ დაიჭერ.

მოლელნიკოვი გლეხთა წრიდან იყო გამოსული და გუბკომში საქმიანობა ისე მოხერხებოდა, რომ ეზოში ბოსტნის კვლები მოაწყო და სამსახურში ყოფნისას იქ გადიოდა, რათა წაემუშავა.

დღეს გუბკომის მდივანი ნაწილობრივ კმაყოფილი გახლდათ: ახალი ეკონომიკური პოლიტიკა წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც თვით პროლეტარიატის ნება-სურვილის კვალობაზე წინ თვითდინებით წარმართული რევოლუცია. ადრე კი რევოლუცია აპარატებისა და დაწესებულებების გამწევი ძალის ქმედებით მიედინებოდა, თითქოს სახელმწიფო აპარატი მართლაც სოციალიზმის მშენებლობისთვის განკუთვნილი მანქანა ყოფილიყო. მდივანმა მოხსენება სწორედ ამით დაიწყო.

დვანოვი გოპნერისა და ფუფაევის შუაში იჯდა, ხოლო მის წინ ვიღაც უცნობი კაცი განუწყვეტლივ ბუტბუტებდა, დახშულ გონებაში რაღაც ფიქრი უჭირავლებდა და თავს ვერ იკავებდა, რომ სიტყვები არ წამოესროლა. ვინც ფიქრი რევოლუციის დროს ისწავლა, ფიქრისას მუდამ ხმაძაღლა ლაპარაკობდა. ამის გამო მათ არავინ ემდუროდა.

პარტიული ხალხი ერთმანეთს არ ჰგავდა. ყოველ მათგანს სახეზე რაღაც თავისებური ქმედების კვალი აჩნდა, თითქოს კაცს თავისი თავი საიდანლაც მარტოოდენ საკუთარი ძალებით მოეპოვებინა. ათასი კაციდან გამოარჩევდით ასეთ სახეს – წრფელს, გამუდმებული დამაბულობისგან დანადგელიანებულსა და ოდნავი უნდობლობის გამომხატველს. თეთრები თავის დროზე შეუმცდარად ამოიცნობდნენ ხოლმე ასეთნაირად დაღდასმულ, განსაკუთრებულ ადამიანებს და მათ ისეთი დაუოკებელი სიშმაგით ანადგურებდნენ, როგორც ნორმალური ბავშვები მახინჯებსა და ცხოველებს სცემენ: შიშითა და ავხორცული სიამოვნებით.

ამონასუნთქმა აირმა დარბაზის ჭერქვეშით უკვე თითქოს ადგილობრივი დაბინდული ცა წარმოქმნა. იქ მქრქალი ელექტროსინათლე ენათო, ძალა ხან რომ აკლდებოდა და ხან ემატებოდა, რის გამოც ოდნავ პულსირებდა, ელექტროსადგურში დინამოზე აღბათ მთელი ამძრავი ღვედი არა ჰქონდათ, ხოლო ძველი, გაღუული ღვედი გადანაკერი ადგილით მკივს უბაგუნებდა და დინამოში ძაბვას ცვლიდა. ამას დარბაზში მყოფთა ნახევარი ხვდებოდა. რევოლუცია რაც უფრო ხანგრძლივდებოდა, დაღლილი მანქანები და ნაკეთობანი მას სულ მეტსა და მეტ წინააღმდეგობას უწევდნენ. ამ მანქანა-ნაკეთობებმა თავიანთი მუშაობის ვადები მთლიანად ამოწურეს და მარტოოდენ ზეინკლებისა და შემანქანეების ოსტატობის წყალობით ძალისძალადლა მუშაობდნენ.

დვანოვის წინ მჯდომი უცნობი პარტიული ორატორს არ უსმენდა და თავჩაღუნული რაღაცას გამოკვეთილად ბუტბუტებდა.

გოპნერი სადღაც შორეთისკენ იცქირებოდა, საითაც მიაქანებდა გაორმაგებული ძალის ნაკადი – ორატორის სიტყვა და საკუთარი მოჩქარე ცნობიერება. დვანოვი ავადმყოფურ უხერხულებას განიცდიდა, როცა არ შეეძლო, ადამიანი თავის სიახლოვეს წარმოესახა, ანდა ცოტა ხანს მაინც მისი ყოფით ეცხოვრა. იგი შემფრთხობით დააცქერდა გოპნერს, ხანდაზმულ, ხმელ-ხმელ, ორმოცი წლის ჯაფისგან თითქმის მთლიანად გამონრულ კაცს; გოპნერს ცხვირზე, ღაწვებსა და ყურის ბიბილოებზე კანი ისე შეშოსტკვეოდა, რომ მის ძაყურებელს ნერვული ქავილი აუტყდებოდა. გოპნერი როცა აბანოში ტანთ გაიხდიდა, აღბათ პატარა ბიჭს ემსგავსებოდა, სინამდვილეში კი ძალზე გამძლე, ძლიერი და მომთმენი გახლდათ. ხანგრძლივი ჯაფა გოპნერის სხეულს ხარბად ნთქავდა და ჩანთქა კიდევ – ისლა დარჩა, რაც სამარეშიც დიდხანს რჩება: ძვლები და თმა; მისი არსება ყოველგვარ ეინს გამოეთხოვა და შრომის უთოთი გამომშრალი მხოლოდ გულისყურდაძაბულ ცნობიერებად იქცა, რამაც გოპნერს თვალები შიშველი გონების ნაკვიანევი ვნებით გაუბრწყინა.

დვანოვს მასთან ადრინდელი შეხვედრები გაახსენდა. ოდესღაც გოპნერის ქისიდან ამოღებულ წიგოს ეწეოდნენ და თან ბევრს საუბრობდნენ მდინარე დიდი აიდარის დარბაზზე, რომლის ნაპირებზეც მათი ქალაქი მდებარეობდა; იმდენად საზოგადოების კუთილდღეობის გულისთვის არ ლაპარაკობდნენ, რამდენადაც

თავისი მოჭარბებული აღფრთოვანების გამო, რასაც ხალხი თავის სასარგებლოდ ვერ იყენებდა.

ორატორი ახლა წვრილმან უბრალო სიტყვებს წარმოთქვამდა, რომელთა ყოველ ბგერაში აზრის მოძრაობა გაისმოდა; მის ნათქვამში იგრძნობოდა ადამიანთა მიმართ უხილავი პატივისცემა და შიში მათი წინააღმდეგობი გონებისა, რის წყალობითაც მსმენელს ეჩვენებოდა, რომ თვისონაც ჭკვიანი იყო.

ერთმა პარტიულმა, დვანოვის ძეხობლად რომ იჯდა, დარბაზს შეჭრილად აუწყა:

— საწმენდი ძონძები არ გაგუანია და ძირხველების დამზადებას დაიწყეთ...

ელექტროსინათლე ჩაბუტდა და წითლად დაპლაპებდა — სადგურში დინამომანქანა იჩურციით კიდევ ბრუნავდა. ყველამ ზემოთ აიხედა. ელექტროსინათლე წყნარად ჩაქრა.

— ესუც კარგი ამბავი! — თქვა ვიღაცამ სიბნელეში.

სიჩუმეში გაისმოდა, ქვაფენილზე საზიდარი რა ხმამაღლა მიბრიგინებდა, და შორს, დარაჯის ოთახში ბავშვი როგორ ტიროდა.

ფუფაევმა დვანოვს ჰკითხა, რა არის ადგილობრივი ბრუნვის ფარგლებში გლეხებთან საქონლის გაცვლა-გამოცვლა, რაზედაც მდივანი ლაპარაკობდაო. მაგრამ დვანოვმა ეს არ იცოდა, არც გოპნერმა იცოდა. მან ფუფაევს უთხრა, მოიცა, თუ სადგურში ღვედი გადაკერეს, მაშინ მომხსენებელი გეტყვისო.

ელექტროსინათლე აინთო: ელექტროსადგურში მიჩუქულნი იყვნენ, რომ უწესრიგობანი მომუშავე მანქანებზე თითქმის გზადაგზა მოეწესრიგებინათ.

— საბჭოთა ხელისუფლებისთვის თავისუფალი ვაჭრობა, — განაცხობდა მომხსენებელი, იგივეა, რაც საძოვი საკვები, რითაც ჩვენი მოშლილი მეურნეობა ყველაზე სამარცხვინო ადგილებშიც კი ამოიგოზება...

— მიხვდი? — ხმადაბლა ჰკითხა გოპნერს ფუფაევმა. — ბურჟუაზია ადგილობრივ ბრუნვაში უნდა მოვაქციოთ — ისიც უტილის საგანია...

— მაშ-მაშ! — დაუდასტურა გოპნერმაც, რომელსაც რაღაც უჩინარი სატკივრისგან შავი ფერი დასდებოდა.

ორატორი შეჩერდა:

— გოპნერო, მანდ ნადირივით რას ბურდღუნებ? დათანხმებას ნუ იჩქარებ — ყველაფერი თავად ჩემთვისაც ნათელი არ არის. მე თქვენს დარწმუნებას კი არ ვცდილობ, არამედ გეთათბირებით — ჩემი თავი ყველაზე ჭკვიანად არ მიმაჩნია...

— შენც ჩვენსაირი ხარ! — ხმამაღლა, მაგრამ კეთილგანწყობილად განუსაზღვრა გოპნერმა. — ჩვენზე ბრიყვი თუ აღმოჩნდება — სხვას დაკაყუნებთ, ჯანდაბას ჩვენი თავი და ტანი!

კრებამ კმაყოფილებით გაიცინა. იმ ხანებში სახელგანთქმულ ადამიანთა განსაზღვრული კადრი არ არსებობდა; სამაგიეროდ, ყველანი საკუთარ სახელსა და მნიშვნელობას გრძნობდნენ.

— შენც სიტყვები ძაფივით გაწელე და არაფრად აქციე, — კიდევ ურჩია ორატორს გოპნერმა ისე, რომ არ წამომდგარა.

ჭერიდან წუწი წვეთავდა, სადღაც ზემოთ, სხვენს, პატარა ნარღვევი ჰქონდა და იქიდან მღვრიე წყალი იპარებოდა. ფუფაევი ფიქრობდა, ვაჟი ტიფისგან სულ ტყუილად მომიკვდა — რად უნდოდათ, ქალაქებს პურისგან გადამღობი რაზმებით რომ მიჯნავდნენ და მსხვილ-მსხვილ ტილებს ამრავლებდნენო.

უეცრად გოპნერს სახეზე მწვანე ფერი დაედო; მან ჩამოჩაჩული, გამშრალი ტუჩები მოკუმა და სკამიდან წამოდგა.

— საშა, ცუდად ვარ! — უთხრა დვანოვს, პირზე ხელი აიფარა და კარისკენ გაემართა.

დვანოვი უკან გაჰყვა. გოპნერი გარეთ გაჩერდა და თავი აგურის ცივ კედელს მიაყრდნო.

— საშა, შენ იქით გადი, — უთხრა დვანოვს გოპნერმა; რაღაცისა რცხვენოდა. —
მე ახლავე მომეშვება.

დვანოვი იქვე იდგა. გოპნერს შავი, მაგრამ ძალიან ცოტა, მოუნელებელი
საჭმელი ამოაღებინა.

გოპნერმა თხელი ულვაშები წითელი ცხვირსახოცით მოიწმინდა.

— რამდენი წელიწადი კუჭი შიმშილით მიხმებოდა და არაფერი დამძარტვია. —
ამბობდა შეცბუნებული გოპნერი. — დღეს კი სამი კგერი ერთბაშად შევჭამე და
მაწყინა...

ისინი სახლის ზღურბლზე ჩამოსხდნენ. დარბაზის ფანჯარა ჰაერის განაწმენდად
გამოღოთ და იქიდან ყოველი სიტყვა მოისმოდა. მხოლოდ ღამე მდუმარებდა და
დედამიწის უკაცრიელსა და წყვდიადით მოცულ ალაგებს ზემოთ გადაფურჩქნულ
ვარსკვლავებს მზრუნველად მიაცურებდა. ქალაქის საბჭოს გადასწვრივ სახანძრო
რაზმის საჯინბო მოჩანდა, ხოლო სახანძრო კომპი ორი წლის წინ დაიწვა. მორიგე
მეხანძრე ამჟამად ქალაქის საბჭოს სახურავზე მიმოდიოდა და ქალაქს იქიდან
ათვალიერებდა. იქ მოწყენილობა ეუფლებოდა, ამიტომ მღეროდა და თუნუქზე
ჩექმებს აბრაგუნებდა. დვანოვმა და გოპნერმა მერე შეამჩნიეს, რომ მეხანძრე
ჩაჩუქდა — დარბაზიდან გამოძავალმა ხმამ ალბათ მის ყურამდეც შიალწია.

გუბერნიის კომიტეტის მდივანი ახლა იმას ამბობდა, სასურსათო სამუშაოზე
განწირულ ამხანაგებს ვაგზავნიდით, ხოლო ჩვენს წითელ დროშას ყველაზე უფრო
ხშირად კუბოების მოსართავად ვიყენებდითო.

მეხანძრემ მისი ნათქვამი ბოლომდე ვერ გაიგონა და კვლავ სიმღერა განაგრძო:

ველზე მიდის ქალამანი,
პატრონი კი სხვაგან არი.

— რას მღერის ეს წყეული? — თქვა გოპნერმა და ყური მიუგდო. — რაც ენაზე
მოადგება, იმას მღერის, ოღონდაც არ იფიქროს... წყალსადენი, სულ ერთია, მაინც
არ მუშაობს: მეხანძრეები რიღასთვის არიან!

მეხანძრე ამ დროს მხოლოდ ვარსკვლავებით განათებულ ქალაქს გასცქეროდა და
ფიქრობდა: რა იქნება, მთელი ქალაქი ერთბაშად რომ დაიწვასო? ნაქალაქარი
შიშველი მიწა გლეხებს მიწათმოწყობისთვის გადაეცემოდა, ხოლო სახანძრო რაზმი
სოფლის რაზმად გადაიქცეოდა და სოფლად მუშაობა უფრო მშვიდი იქნებოდა.

დვანოვმა კიბეზე ჩამოძავალი კაცის ნელი ნაბიჯების ხმა გაიგონა. კაცს
მდუმარედ ფიქრი არ შეეძლო და აზრთა მოსაკრებად თავის თავს ებუტბუტებოდა.
იგი ბრმად ფიქრს ვერ ახერხებდა — თავისი გონებრივი მღელვარება ჯერ სიტყვად
უნდა ექცია და როცა სიტყვას გაიგონებდა, მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო მისი
ცხადად შეგრძნობა. წიგნებსაც ალბათ ხმამაღლა კითხულობდა, რათა იღუმალი
მკვდარი ნიშნები ხმოვან ნიუთიერებად გარდაექმნა და ამგვარად შეეგრძნო.

— მითხარი, გუთაყვა! — დამარწმუნებლად ეუბნებოდა კაცი საკუთარ თავს და
თავადვე ყურადღებით უსმენდა. — უმისოდ განა არ ვიცოდით: ვაჭრობა, საქონლის
გაცვლა-გამოცვლა და გადასახადი! ეს ხომ ასედაც იყო: ვაჭრობაც დას-დასად
მიმდინარეობდა, გლეხი საკუთარ თავს თვითონვე უწესებდა განაწილებას და
გადასახადიც მოგვარებული იყო! მართალს ვამბობ თუ სულელი ვარ?..

კაცი დროდადრო კიბის საფეხურებზე ჩერდებოდა და საკუთარ თავს
ეპაექრებოდა:

— არა, შენ ბრიყვი ხარ! ნუთუ ფიქრობ, რომ ლენინი შენზე სულელია: აბა,
მიპასუხე!

კაცი აშკარად იტანჯებოდა. სახურავზე მყოფი მეხანძრე კვლავ ამღერდა; ვერ
გრძნობდა, მის ქვემოთ რა ხდებოდა.

— რაღაც ახალი ეკონომიური პოლიტიკაო! — ხმადაბლა ამბობდა
განცვიფრებული კაცი. — უბრალოდ, კომუნიზმს ქუჩური სახელწოდება მისცეს! მეც
ქუჩურად ჩვეენგურელი მქვია — უნდა ვითმინოთ!

კაცი დვანოვთან და გოპნერთან მივიდა და შეეკითხა:

— გუთამყვა, კომუნისტი ჩემს გულში სტიქიურად ბობოქრობს. მითხარი, შემიძლია, პოლიტიკით შევაჩერო, თუ არა?

— საჭირო არ არის, — უპასუხა დვანოვმა.

— თუ საჭირო არ არის, მაშინ რაღა მაეჭვებს? — უთხრა მას კაცმა, რათა საკუთარი თავი დაემშვიდებინა და ჯიბიდან ერთი მწიკვი ბურნუთი ამოიღო. იგი ტანმორჩილი იყო, კომუნისტის სამუშაო ტანსაცმელი — მეფის არმიიდან გამოქცეული დეზერტირი ჯარისკაცის ნაქონი მაზარა ეცვა და სიფრისყანა ცხვირი ჰქონდა.

დვანოვმა ის კომუნისტი იცნო, კრებაზე მის წინ რომ იჯდა და ბუტბუტებდა.

— ასეთი უცნაური საიდანა ხარ მოვლენილი? — ჰკითხა მას გოპნერმა.

— კომუნისტიდან. ასეთი პუნქტი თუ გაგიგონია? — უპასუხა კაცმა.

— სოფელს შეარქვეს ეს სახელი მოძაულის სამახსოვროდ?

კაცს გაუხარდა, სალაპარაკო რომ გაუჩნდა.

— სოფელი კი არა, ის არ გინდა — შენ უპარტიო ხომ არა ხარ? არის ასეთი პუნქტი — მთელი სამაზრო ცენტრი, ძველებურად ჩეკენგური ერქვა. მე იქ ახლა ხან რეკომის თავმჯდომარედ გახლდით.

— ჩეკენგური ნოვისელოვსკთან ახლოსაა? — ჰკითხა კაცს დვანოვმა.

— რა თქმა უნდა, ახლოსაა. ოღონდ იქ უვიცები ცხოვრობენ და ჩვენთან არ მოდიან; ხოლო ჩვენთან ყველაფერი დასრულდა.

— მაინც რა დასრულდა? — უნდობლად შეეკითხა გოპნერი.

— მთელი მსოფლიო ისტორია — რა ჯანდაბადლა გვესაჭიროება?

არც გოპნერსა და არც დვანოვს მისთვის არაფერი გამოუკითხავთ. მეხანძრე დაქანებულ სახურავზე ჩექმებს თანაბრად დააბრაგუნებდა და ქალაქს ძილმორეული თვალებით ათვალიერებდა. სიმღერას თავი ანება, მერე კი მალე მთლად ჩაჩუმდა ალბათ სხვენში შევიდა დასაძინებლად. მაგრამ იმ ღამით დაუდევარ მეხანძრეს თავისმა უფროსმა წაასწრო. სამი მოსაუბრის წინ ფორმიანი კაცი გაჩერდა და ქვაფენილიდან სახურავისკენ ყვირილი დაიწყო:

— რასპოპოვო! მეთვალეურევე! თქვენ მოგმართაეთ სახანძრო დაცვის ინსპექტორი... კომკზე არის თუ არა კინიშე?

სახურავზე ჩამიჩუმდი არ ისმოდა.

— რასპოპოვო!

ინსპექტორს იმედი გადაუწყდა და სახურავზე თვითონ ავიდა.

ღამეში წყნარად ხშიანობდა ნორჩი ფოთლები, ჰაერი და მიწიდან ამოზრდილი მოშარიშურე ბაღახი. დვანოვმა თვალები დახუჭა და მოეჩვენა, რომ სადღაც თანაბრად და ხანგრძლივად კვნესოდა მიწისქვეშა ძაბრში ჩამდინარე წყალი. ჩეკენგურის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე ბურნუთს ისრუტავდა და დაცემინებას ცდილობდა. კრება რატომღაც ჩაწყნარდა: იქ ალბათ ფიქრობდნენ.

— ცაზე რამდენი საინტერესო ვარსკვლავია, — თქვა ჩეკენგურის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარემ, — მაგრამ მათთან არავითარი კავშირი არა გვაქვს.

სახანძრო დაცვის ინსპექტორმა მორიგე მეთვალეურე სახურავიდან ჩამოიყვანა. იგი სასჯელის შისაღებად თავდახრილი მოდიოდა და ძილში გაგრილებულ ფეხებს მორჩილად მოათრევდა.

— ერთი თვით იმულებით სამუშაოზე წახვალთ, — გულგრილად უთხრა მას ინსპექტორმა.

— თუ წამიყვანენ, წავალ, — დაუთანხმა დაძნაშაკე. — ჩემთვის სულ ერთია: ულუფა იქაც და აქაც ერთნაირია, ხოლო მუშაობა კოდექსითაა.

გოპნერი მინ წახსველელად წამოდგა. — მთელ სხეულში სენის მოძალებას გრძნობდა. ჩეკენგურელმა თავმჯდომარემ ბურნუთს ერთხელაც დაეწოხა და გულახდილად წარმოთქვა:

— ეჰ, ბიჭებო, ახლა ჩვენი გურში ყოფნას რა სჯობია!

დვანოვს კოპიონკინი, შორს მყოფი, სადღაც ველის სიბნელეში მღვდარე ამხანაგი მოენატრა.

კოპიონკინი ამ დროს ჩერნოვკის სასოფლო საბჭოს შენობის პარმადიყ იდგა და როზასადმი მიძღვნილ ლექსს ხმადაბლა ბუტბუტებდა, მიმდინარე დღეებში თავად რომ შეთხზა. მის ზემოთ ცაზე მიმოხეული ვარსკვლავები მზად იყვნენ, თავზე წვეთებდად ჩამოფრქვეოდნენ, ხოლო სოფლის განაპირა ღობის გადაღმა სოციალისტური მიწა-წყალი მოშავალ, უცნობ ხალხთა სამშობლო გადაშლილიყო. პროლეტარული ძალა და დვანოვის იორლა თივას აუჩქარებდას დასაქმდნენ, სხვა ყველაფერში ადამიანის სიძამაციისა და გონიერების იმედი ჰქონდათ.

დვანოვიც წამოდგა და ჩვენი გურელ თავმჯდომარეს ხელი გაუწოდა:

რა გვარი ხართ?

ჩვენი გურელმა ამაღელვებულ აზრებს თავი ერთბაშად ვერ დააღწია.

— ამხანაგო, ჩემთან სამუშაოდ წამოდით, — თქვა მან. — ეჰ, რა კარგია ახლა ჩვენთან, ჩვენი გურში ყოფნა!.. ცაზე ბადრი მთვარეა, ხოლო ქვემოთ მშრომელთა უზარმაზარი რაიონი გადაშლილა — თანაც ერთიანად კომუნისმშია, როგორც თევზი ტბაში! მხოლოდ ერთი რამ გვაკლია: სახელმწიფოებრიობა...

გოპნერმა ტრაბახა უმაღლ შეაჩერა:

— რომელი ბადრი მთვარე, შე წყულო? ერთი კვირის წინ მთვარის ბოლო მეოთხედი იყო.

— ფიქრებმა გამიტაცა და ეს ამიტომაც ვთქვი, — აღიარა ჩვენი გურელმა. — ჩვენ უმთვაროდ თავს უფრო უკეთესად ვგრძნობთ. აბაჟურიანი ლამპები გვინთია.

სამი კაცი ქუჩას ერთად გაუყვა. ბაღებიდან შემოფოთებული შეძახილები მოისმოდა რომელიღაც ჩიტებისა, რომელნიც აღმოსავლეთით გამკრთალ შუქს შეიგრძნობდნენ. კარგია დროდადრო უძილო ლამპების გამორევა — ამგვარ ლამპებში დვანოვს გრილი, უქარო სამყაროს უხილავი ნახევარი წარმოესახებოდა ხოლმე.

დვანოვს სიტყვა ჩვენი გური მოეწონა. ეს სიტყვა უცხო ქვეყნის მიმზიდველ გუგუნს წააგავდა, თუმცაღა დვანოვს ამ პატარა მაზრის არსებობა ადრეც გაეგონა. როცა შეიტყო, ჩვენი გურელმა გზად კალიტკაზე უნდა გაიაროსო, სთხოვა: ჩერნოვკაში კოპიონკინს შეუარე და უთხარი, ნუ მომიცდის, თავისი გზით წავიდესო. დვანოვს სურდა, სწავლა კვლავ განეგრძო და პოლიტექნიკუმი დაემთავრებინა.

— შევეული, მაგას რა უნდა, — დაეთანხმა ჩვენი გურელი, — კომუნისმის შემდეგ მაინტერესებს, დაქსაქსულ ადამიანებს თვალი შევაულო.

— ეშმაკმა უწყის, რაებსა რომავს! — აღშფოთდა გოპნერი. — ირგულივ ყველაფერი მოშლილია და მარტო ამას უნთია აბაჟურიანი ლამპები.

დვანოვმა ქალღიმი მესერს მიაფინა და კოპიონკინთან გასატანებელი წერილის წერას შეუდგა.

„ძვირფასო ამხანაგო კოპიონკინო! აქ განსაკუთრებული არაფერია. პოლიტიკა ახლა სხვაგვარია, მაგრამ სწორია. ჩემი იორლა რომელ ლატაკსაც გინდა, იმას მიეცი, შენ კი გზას გაუღე...“

დვანოვი შეჩერდა: სად შეიძლებოდა, რომ კოპიონკინი წასულიყო, თანაც დიდი ხნით დამკვიდრებულიყო?

— რა გვარი ხართ? — ჰკითხა დვანოვმა ჩვენი გურელს.

— ჩემი გვარი ჩეპურნია, მაგრამ შენ იაპონელი დაწერე; მთელი რაიონი ასე მიცნობს, ყველა იაპონელს მეძახის.

„... იაპონელთან წადი. ამბობს, უკვე სოციალიზმი მაქვსო. თუ მართალია, მომწერე. მე კი არ დაუბრუნდება, იუმცა შენთან განშორება არ მინდა. თავადაც არ ვიცი, ჩემთვის უმჯობესი რა არის. არც შენ და არც როზა ლუქსემბურგს არ დაგივიწყებთ. შენი თანამებრძოლი ალექსანდრ დვანოვი“.

ჩეპურნიმ ქალღიმი გამოართვა და მაშინვე წაიკითხა.

— აბლაუბდა დაგიწერია, უთხრა მან დვანოვს. — ჭკუა ხუსტად გიჭრის. იხინი ერთმანეთს გამოუმშვიდობნენ და თავთავიანთი გზით წავიდნენ: გოპნერი და დვანოვი ქალაქის გარეუბნისკენ გაემართნენ, ჩევენგურელმა კი ფუნდუკისკენ გასწია.

— აბა, რა ამბავი მოიტანე? — ჰკითხა მინ დვანოვს ზახარ პავლოვიჩმა.

სამამ მოუთხრო, რაც ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გაიგონა.

— ეგ საქმე ხელიდან წასულა! — დაასკვნა ჯერ კიდევ საწოლში მწოლიარე მამამ. — რაც დროულად არ მომწიფდება, ტყუილად არის დათესილი... როცა ძალაუფლებას ხელში იგდებდნენ, მაშინ მთელ დელამიწას ხეაღინჯველი დღესათვის კეთილდღეობას აღუთქვამდნენ, ახლა კი ამბობ, ობიექტური პირობები გასაქანს არ გვადლევისო... მღვდლებსაც სატანა უშლიდა ხელს, რომ სამართებულე შეეღწიათ.

გოპნერი მინ როცა მივიდა, ყოველგვარმა ტყვიელმა გაუარა.

„ნეტავი ვიცოდე, რა მინდა? — ფიქრობდა იგი. — მამაჩემს სურდა, ღმერთი ცხადად ეხილა, მე კი რაღაც ცარიელი ადგილი მინდა, წყველიმც იყოს, — რათა ყველაფერი ხელახლა შევქმნა, რასაც ჩემი ჭკუა-გონებით გავწვდები...“

გოპნერს სიხარულზე ძეტად სიზუსტე ეწადა.

ჩეპურნი კი არაფერზე არ წუხდა: მის ქალაქ ჩევენგურში ამქვეყნიური კეთილდღეობაც, ჭეშმარიტების სიზუსტეცა და არსებობის მჭიმუნვარებაც საჭიროების მიხედვით თავისთავად წარმოიქმნებოდა. ფუნდუკის უზოში მან ცხენს ბალახი დაუფარა, თვითონ კი თვალის მოსატყუებლად საზიდარზე წამოწვა.

„კოპიონკინთან როცა მივალ, იორღას გამოვართმევ და საზიდარში შევაბამ, — წინასწარ გადაწყვიტა მან. — ვილაც დატაკს რატომ უნდა მისცეს, როცა დატაკებს ისედაც უამრავს შეღავათი აქვთ, მითხარით ერთი, გუთაყვა!“

დილით ფუნდუკის უზო ბაზარში ჩამოსული გლეხების საზიდრებით გაიქრო. იმათ ცოტ-ცოტა რაღაცა ჩამოეტანათ — ვის ერთი ფუთი ფეტვი, ვის ხუთი ქილა რძე, გული რომ არ დასწყვეტოდათ, თუ ჩამოართმევდნენ. მაგრამ საგუშაგოზე გლეხებს გადაძლობი რაზმი არ შეხვედრიათ, ამიტომ ელოდნენ, ქალაქში როცა შევალთ, ალყაში მაშინ მოგვაქცევსო. ალყის შემოძრტყმელნი რატომღაც არხად ჩანდნენ და გლეხები თავთავიანთ გასაყიდ საქონელზე მოწვენილნი ისხდნენ.

— ახლა აღარაფერს გართმევენ? — ჰკითხა გლეხებს ჩეპურნიმ.

— რატომღაც ხელი არ უხდიათ: აღარ ვიცით, უნდა გვიხაროდეს, თუ უნდა შევწუხდეთ.

— რატომ?

— ვაითუ, უარეს დღეში ჩაგვეარონ — ისევ ის გვირჩევნია, რომ ჩამოგვართვან! ეს ხელისუფლება, სულ ერთია, ჩვენს გემოზე მაინც არ გვაცხოვრებს.

„დახე ამათ, გულში თურმე რა უტრიალებთ! — მიხვდა ჩეპურნი. — ესენი წვრილ მემამულეებად უნდა გამოაცხადო, მაწანწალები მიუსიო და მთელი ეს ბურჟუაზიული ჭირი ერთ დღე-ღამეში კომლობრივად მოასპობინო!“

— მოსაწევი მომეცი! — სთხოვა ჩეპურნის იმავე ხნიერმა გლეხმა.

ჩეპურნიმ გლეხს გაუცხობებული მზერა ხელ-ხელა შეავლო.

— თვითონ სახლ-გარის პატრონი ხარ და უქონელს სამათხოვროდ ხელს უწვდი? გლეხი მიხვდა, მაგრამ წყენა არ გაამყდავსა.

— ამხანაგო, ჩვენ ხომ განაწილების კვალობაზე ყველაფერი ჩამოგვართვეს. განაწილება რომ არ ყოფილიყო, მე თვითონ მთელ ტომარას გაგივსებდი.

— გამივსებდი, როგორ არა! — შეეჭკვლა ჩეპურნი. — გამივსებდი კი არა, ნაღდად დამიცარიელებდი!

გლეხმა მიწაზე ჭილიბი დაინახა, საზიდრიდან ჩავიდა, აიღო და ჩექმის ყელში ჩაიტყნა.

— ხან ასე და ხან ისე. — წყნარი ხმით უთხრა მან ჩეპურნის. — გაზუთებში წერენ, ამხანაგ ლენინს აღრიცხვა შეუყვარდაო: მაშახადამე, უხვირო ხელების დანაკარგი

ტომარაშიც შეიძლება ჩაიყარო, თუკი ვინმესმაინც მიწაზე უცვივა.

– შენც ტომრით დაიარები? – ჰკითხა გლეხს ჩეპურნიმ.

– მაშ რა. შეჭამ და პირს აიკრავ. თუ რამე ჩამოგცვივა, ვერავინ აკრეფს. ჩვენ თვითონაც გაგებულები ვართ, შვილოსა, რად გინდა, რომ კაცს ტყუილუბრალოდ აწყენინო?

ჩეპურნის ჩევენგურში ჰკეუა საკმაოდ პქონდა ნასწავლი და ამიტომ ხმა არ ამოუღია. თუმცა რეკომის თავმჯდომარის წოდება პქონდა, ამ წოდებას არასოდეს არ იყენებდა. ზოგჯერ, როცა კანცელარიაში იჯდა, გულში შეძბრებულ ფიქრი გაუვლიდა, სოფლად სულ ერთიმეორის მსგავსი ხალხი ცხოვრობდა, რომ არ იციან, ამქვეყნად თავი როგორ გაიტანონ და თუ თავის სამბაშკის მსახურებ, ერთიანად ამოწყდებიანო; ამიტომ ვგონა, რომ მოელ მაზრას მისი ჰკვიანური მზრუნველობა ესაჭიროებოდა. მაგრამ როცა მაზრის არეძარე მიიარ-მოიარა, დარწმუნდა, რომ ყოველ მოქალაქეს საკუთარი ჰკეუა პქონდა, და მოსახლეობის მიმართ ადმინისტრაციული დახმარება, დიდი ხანია, გააუქმა. ხნიერ კაცთან საუბარმა ჩეპურნის ის უბრალო შეგრძნება კვლავ განუმტკიცა, რომ ცოცხალი ადამიანი თავისი ბედ-იღბლის ასაჯელ-დასაჯლის გასაგებად ღუდის მუცელშივე განსწავლულია და მეთვალყურეობა ადარ სჭირდება.

როცა ჩეპურნის საზიდარი ფუნდუკის ეზოდან გაჰყავდა, ფუნდუკის მეპატრონის ხელქვეითი წინ გადაუდგა და ღამისთევის საფასური მოსთხოვა. ჩეპურნის ფული არ პქონდა და ვერც ექნებოდა – ჩევენგურს ბოუჯუტა არ გააჩნდა გუბერნიის გასახარად, ხადაც მიაჩნდათ, რომ იქ ცხოვრება ხარჯდაფარვადობის ჯანსაღ საფუძვლებზე დაყრდნობით მიედინებოდა; ხოლო იქაურმა მცხოვრებლებმა ბედნიერი ცხოვრება, დიდი ხანია, არჩიეს ყოველგვარ შრომას, ნაკებობებსა და ურთიერთ ანგარიშსწორებას, რასაც ამქვეყნად მხოლოდ ერთხელ მოვლენილი ადამიანის ამხანაგური სხეული ეწირება.

ღამისთევის საფასურს ჩეპურნი ვერაფრით გადაიხდიდა.

– რაც გინდა, ის წაიღე, – უთხრა მან ფუნდუკის მეპატრონის ხელქვეითს. – მე ცარიელ-ტარიელი კომუნისტ ვარ.

ეს ლაპარაკი გაიგონა სწორედ იმ გლეხმა, ჩევენგურულს რომ ეპაექრებოდა, და მათთან მივიდა.

– ნიხრით რამდენი აქვს გადასახდელი? – ჰკითხა მან ფუნდუკის მეპატრონის ხელქვეითს.

– მილიონი, თუ ჰერქვეშ არ უძინია, – უპასუხა ხელქვეითმა.

– აბა, ყმაწვილო, გამომართვი და ეს კაცი გაუშვი, – მისცა მას ფული ჩევენგურელის ყოფილმა მოპაექრებ.

– ჩემი მოვალეობა ესაა, – ბოდიში მოიხადა მეფუნდუკის ხელქვეითმა, – სულს ამოვხდი და ეზოდან მუქთად ფეხს არაეის გაკადემეკინებ.

– მართალი ხარ, – მშვიდად დაუსთანხმა გლეხი. – აქ მინდორი კი არ არის, დაწესებულებაა: ხალხსაც და პირუტყვსაც ერთნაირი თავშესაფარი აქვს.

ქალაქგარეთ ჩეპურნიმ თავი უყრო თავისუფლად და ჰკვიანად იგრძნო. მის წინ კვლავ გადაიშალა დამამშვიდებელი სივრცე. ჩევენგურულს ტყე, ბორცვები და შენობები არ უყვარდა; მოსწონდა ცის მიმართ თანაბრად დაქანებული მუცელი მიწისა, ქარს რომ შვისუნთქავდა და ქვეითი კაცის ფეხქვეშ იზნიქებოდა.

როცა რეკომის მდივანი ცირკულარებს, ტაბულებს, გეგმების შედგენისთვის საჭირო საკითხებს და გუბერნიიდან მოსულ სხვა მასალებს ხმამაღლა უკითხავდა, ჩეპურნი ნიადაგ ერთსა და იგივეს ამბობდა – პოლიტიკააო! – ფიქრიანად იღიმებოდა და არ ამუღავნებდა, რომ არაფერი გაეგებოდა. მალე მდივანმა კითხვას თავი ანება და მას შემდეგ საქმეებს თავიდან ბოლომდე ჩეპურნის ხელმძღვანელობის გარეშე უძღვებოდა.

ახლა ჩევენგურელის საზიდარს თეთრმუცლიანი შავი ცხენი მიაგორებდა – ვისი

იყო ეს ცხენი, ჩუპურნიმ არ იცოდა. პირველად ქალაქის მოედანზე ნახა, სადაც იგი მომავალი პარკის ნარგავებს სთქავდა; ხელი მოჰკიდა, ეზოში შეიყვანა, საზიდარში შეაბა და მას შემდეგ ამ საზიდრით დადიოდა. ცხენი არავისი რომ არ იყო, ჩვეულებრივს მასზე გული ამიტომ უფრო შეუვარდა და ძვირადაც ამიტომ უფრო უღირდა: მზრუნველობას ხომ არავის გაუწევდა, თუ რომელიმე მოქალაქე არ მიუპატრონებოდა. ამიტომაც ჩვეულების მაზრაში მთელი საქონელი მაძღარს და გვერდებდამრგვალებული იყო და ჩინებული შესახედაობა ჰქონდა.

ჩუპურნის გზა ძალიან გაუგრძელდა. ყველა სიმღერა იმღერა, რაც კი ზეპირად იცოდა; უნდოდა, რაიმეზე ეფიქრა, მაგრამ საფიქრალს არავინ ჰქონდა. ყველაფერი ცხადი იყო; ისღა დარჩენოდა, ეზრუნა, რომ მისი უძნებელი არსებობა მეტისმეტად კარგი არ ყოფილიყო; თავი რითიმე უნდა გაეწვალებინა, მაგრამ საზიდარში ამას ვერ მოახერხებდა. ჩვეულებრივი საზიდრიდან ჩამოხტა და სუნთქვაგაძნელებულ, აქოშინებულ ცხენს გვერდზე სირბილით გაჰყვა. როცა სირბილით დაიქანცა, ცხენს ზურგზე მოახტა, ცარიელი საზიდარი კი კვლავინდებურად უკან მიხრიგინებდა. ჩუპურნიმ საზიდარს გახედა და ახლა უხვირო, ცუდად გამართული და ძალზე მძიმედ მავალი ეჩვენა.

ტარუ! — შეუძახა ცხენს და საზიდრიდან ერთბაშად გამოხსნა. — მითხარით, ვითაყვა, ცოცხალ ცხენს ძალ-ღონე მკვდარი ტვირთის სათრევად რატომ უნდა დავახარჯუნიო! — თქვა ეს და გზა გათავისუფლებული ცხენით განავრძო, საზიდარი ხელს ჩამოუშვა და პირველივე გამვლელი გლეხის ნება-სურვილს დაუწყო ლოდანი.

ჩუპურნი ცხენს მიაჭენებდა, თვითონ ძალა აღარ აღგებოდა და უმიზნოდ ფიქრობდა:

„ჩემს სხეულში და ცხენის სხეულშიც ახლა სისხლი მიუდინება! კოპიონკინის იორღას ახლა კულარაფერში შევაბამ და სადავით უნდა ვატარო“.

საღამო ხანს ველის ერთ პატარა სოფელს მიაღწია. სოფელი ისეთი უკაცრიელი იყო, იფიქრებდით, აქ ხალხი, დიდი ხანია, ამოწყვეტილანო. საღამოს ცა ველის გაგრძელებასავით მოჩანდა და ჩვეულებრივი ცხენი უსასრულო პორიზონტს ისე უცქეროდა, როგორც თავის დაქანცული ფეხებისთვის ნარგუნებ საშინელ ხვედრს.

ჩვეულებრივმა ვიდაცის მშვიდობიანი ეზოს ჭიშკარზე მიაკაკუნა. ქოხის უკანა მხრიდან ბერიკაცი გამოვიდა და ღობიდან გადმოიხედა.

— ჭიშკარი გააღე, — უთხრა მას ჩუპურნიმ. — პური და თივა თუ გაქვს?

ბერიკაცი უშიშრად დუმდა და მხედარს გამჭრიახ, ნაცად თვალებს არ აშორებდა. ჩუპურნი ღობეზე თვითონ გადავიდა და ჭიშკარი გააღო. დამშუვლმა ცხენმა უძალე ფარდულის ძირას ღამის მოლოდინში გაუჩნებული ბაღახის წიწკნა დაიწყო. ბერიკაცი, როგორც ჩანს, სტუმრის თვითნებობამ შეაცბუნა. იგი წაქცეული მუხის გადანატვრზე უცხოსავით ჩამოჯდა. ჩვეულებრივს ქოხში არავის დახვედრია. იქ იგრძნობოდა სისუფთავე მშრალი სიბერისა, რომელიც აღარ იოფლებს და მღელვარე სხეულის ნაკვალევით საგნებს აღარ სვრის; ჩუპურნიმ თაროზე ფეტვის ჩენჩოსა და ბაღახის ნაფხვენისგან გამოცხვარი პური ნახა, ნახევარი ბერიკაცს დაუტოვა, ხოლო დანარჩენი ძალისძალად შეჭამა.

როცა ჩამოდაშდა, ბერიკაცი ქოხში შევიდა. ჩუპურნი ჯიბეში ბურნუთის ნამცეცხვს აგროვებდა, რომ დაეყნოსა და დაძინებამდე მოწყენილობას არ შეეწუხებინა.

— იქ შენი ცხენი ბორგავს, — უთხრა ჩუპურნის ბერიკაციმა. — ცოტა აქვიტი დაუყვარე... შარშანდელი ერთი იღლია მქონდა დარჩენილი — ეს მაინც შეჭამოს...

ბერიკაცი დაუფიქრებლად ლაპარაკობდა, დაბნეულობა ეტყობოდა, თითქოს გულზე რაღაც სიმძიმე იწვევს. ჩვეულებრივმა ყურადღება დაძაბა.


მაიღლო, კალიტვა აქედან შორსაა?

— შორს არის თუ შორს არ არის, შენთვის იქ წახვლა აქ დარჩენაზე უფრო

ახლოს იქნება... — უპასუხა ბერიკაცმა.

ჩვეენგურელმა ქოხი სწრაფად მოათვალიერა და ღუმლის კალთასთან სატაცს მოჰკრა თვალი — რევოლვერი თან არა ჰქონდა, რადგან რევოლუცია უკვე ჩაწყნარებულად მიაჩნდა.

— აქ, თქვენთან, ვინ არიან? იქნებ ბანდიტები გყავთ?

— ორი კურდღელი სიკვდილის შიშით მეგლს ყელს გამოდადრის, ჩემო კარგო! მწუხარე ხალხი ძალზე მოძრავლდა, ჩვენი სოფელი კიდევ გზის პირასვე... ყველას შეუძლია, გაგვძარცვოს... ჰოდა, გლეხები ცოლშვილიანად ხევსუფლებს და მთრეულ სამალავებში არიან თავშეფარებულნი, ხოლო აქ ვინც გამოჩნდება, სულს გააცხებიან... 

ღამემ ღრუბლებით დაბურული უძრავი ცა ჩამოადაბლა. ჩუპური ცხენზე შეჯდა, სოფლიდან გავიდა და ველის უზიფათო წყვიდადს შეერია; ცხენი შორეთისკენ გზას თავისით მიიკვლევდა, მსუყე ოხშივარი მიწიდან სქელ ღრუბლებად აღიოდა. ამ ოხშივარით გაბრუებულმა ჩვეენგურელმა ჩანჩალით მიმავალ ცხენს ხელები კისერზე შემოხვია და ჩაიძინა.

ის, ვისთანაც ჩვეენგურელი მიდიოდა, იმ ღამეს ჩერნოკის სოფსაბჭოს მაგიდას უჯდა. მაგიდაზე ღამპა ენთო და ფანჯრის მიღმა უხარმარ წყვიდადს ანათებდა. კოპიონკინი სამ გლეხს ესაუბრებოდა. ეუბნებოდა, სოციალიზმი წყალია იმ მალლობ ველებზე, სადაც საუკეთესო მიწები უქმად ცდებო.

— ეგ ჩვენ ბავშვობიდან ვიცით, სტეპან ეფიმიჩ, — ეთანხმებოდნენ გლეხები; უხაროდათ, ლაყობის მიზეზი რომ მიეცათ, რადგან არ ეძინებოდათ. — შენ აქაური არა ხარ, ჩვენი გასაჭირი კი უმაღლე შეამჩნიე. ნეტავი ვინ ჩაგაგონა? მერედა ჩვენ რა სარგებელი გვექნება, თუ სოციალიზმს საბჭოთა ხელისუფლებისთვის მუქთად მოვაწყობთ? ამას ხომ ცოტა ჯაფა არ დასჭირდება — შენ რას იტყვი?

კოპიონკინი წუხდა, დვანოვი მასთან რუმ არ იყო — იგი გლეხებს სოციალიზმის რაობას დაუმტკიცებდა.

— როგორთუ რა სარგებელი გექნებათ? — თავისით დაიწყო ახსნა კოპიონკინმა. — თავად შენ რომ ყველაზე უწინ გული სამუდამოდ დაგიმშვიდდება. ახლა კი გულში რა გაქვს?

— რა მაქვს? — მოსაუბრემ სიტყვა გაწყვიტა და მკერდზე დაიხედა, ცდილობდა, დაენახა, შიგნით რა ჰქონდა. — გულში, სტეპან ეფიმიჩ, მხოლოდ სევდა მაქვს, მთლად ჩამიშავდა...

— აჰა, თავადაც ხომ ხედავ, — უთხრა კოპიონკინმა.

— შარშან დედაგაცი დავასაფლავე, ქოლერამ მომიკლა, — დაასრულა სევდიანმა მოქალაქემ, — ხოლო ამ გაზაფხულზე ძროხა სასურსათო რაზმმა შემიჭამა... ჯარისკაცები ჩემს ქოხში ორ კვირას ცხოვრობდნენ — ჭაში რაც წყალი იყო, სულ დალიეს. ამათ ხომ ახსოვთ...

— როგორ არ გვახსოვს! — დაუდასტურა ორივე მოწმემ.

კოპიონკინის ცხენმა, პროლეტარულმა ძალამ, სამი კვირა უქმად გაატარა, ლაშქრობებში აღარ დადიოდა, ჭამის მეტს არაფერს აკეთებდა, ჩასუქდა და ტანი ჩაუმრგვალდა. უმოძრაობისგან მოჭარბებული ძალა და ველის სევდა არ ასვენებდა და ღამღამობით ჭიხვინებდა. გლეხები დღისით სოფსაბჭოს ეზოში მოდიოდნენ და პროლეტარულ ძალას ირგვლივ რამდენჯერმე შემოუვლიდნენ. პროლეტარული ძალა მაყურებლებს პირქუშად უცქეროდა, თავს აწევდა და დაღვრემილად ამთქნარებდა. მწუხარე ცხოველის შემხედვარე გლეხები მოწინებით უკან იხევდნენ და მერე კოპიონკინს ეუბნებოდნენ:

— უჰ, რა ცხენი გყავს, სტეპან ეფიმიჩ! ფასი არ დაედება — ჩამდვილი დრობან ივანიჩია!

კოპიონკინმა თავისი ცხენის ფასი, დიდი ხანია, იცოდა.

— კლასობრივი პირუტყვია: შეგნებულობით იქვენზე უფრო რევოლუციურია!

პროლეტარული ძალა ზოგჯერ იმ ფარდულის ნგრევას იწყებდა, სადაც უქმად იდგა. მაშინ კოპიონკინი პარმალზე გადიოდა და მოკლედ უბრძანებდა:

— გაჩერდი, შე მაწანწალა!

ცხენი წყნარდებოდა.

დვანოვის იორდა პროლეტარული ძალის გვერდით გაქეციანდა, ბალანი წამოეზარდა და უცაბედად გამოფრენილი მერცხალიც კი შეაკრთობდა ხოლმე.

— ამ ცხენს პატრონის ხელი აკლია, — ამბობდნენ სოფსაბჭოში მოსულნი. — თუ ასე დარჩება, თავს თვითონვე წაიხდენს.

სოფსაბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე კოპიონკინმა მისი პირ მოვალეობათა შესრულება არ დასჭირვებია. სოფსაბჭოში გლეხები სალაპარაკოდ ყოველდღე მოდიოდნენ. კოპიონკინი მათ ლაპარაკს უსმენდა, მაგრამ პასუხად თითქმის არაფერს ეუბნებოდა და მხოლოდ ბანდიტთა თავდასხმისგან რევოლუციური სოფლის მცველად იდგა, თუმცა ბანდიტები თითქმის მიყუჩდნენ.

ყრილობაზე მან ერთხელ და სამუდამოდ გამოაცხადა:

— საბჭოთა ხელისუფლებამ კეთილდღეობა მოგანიჭათ. ჰოდა, ამ კეთილდღეობით ისე ისარგებლეთ, რომ მტერს არაფერი დაუტოვოთ. ხალხი და ამხანაგები თქვენ თვითონა ხართ, ხოლო მე ჰკუპას ნუ დამეკითხებით და ყმის ღვარძლს თუ არ მოიშორებთ, საბჭოში ფეხს ნუ მოადგამთ. ჩემი საქმე მხოლოდ ის არის, რომ ყოველგვარი ავი განზრახულობა ძირფესვიანად აღმოვფხვრა.

გლეხებს კოპიონკინის პატივისცემა დღითი დღე ემატებოდათ, იმიტომ რომ იგი არც განაწილებას ახსენებდა და არც შრომით საჭაპანო ბეგარას, ხოლო თემის რევკომიდან მოსულ ქაღალდებს დასტებად აწყობდა, რათა დვანოვისთვის დაეხვედრებინა. წერა-კითხვის მცოდნე გლეხები ამ ქაღალდებს კითხულობდნენ და კოპიონკინს ურჩევდნენ, შეუსრულებლად მოესპო: ახლა ხელისუფლება ყველგან შეიძლება ჩამოყალიბდეს და მოდავე არავინ ეყოლება, ეუბნებოდნენ ისინი სტეპან ეფიმიჩს, ახალი კანონი არ წაგიკითხავსო?

— არა, მერე რაო? — უპასუხებდა კოპიონკინი.

— თვითონ ლენინმა გამოაცხადა, მაშ! ხელისუფლება ახლა მაღლა მდგომი კი არა, ადგილობრივი ძალაა!

— მაშინ თემის რევკომს ჩვენთან ძალა აღარ ჰქონია, — დაასკვნიდა კოპიონკინი.

— ეს ქაღალდები კანონით უნდა გადაყაროთ.

— სავსებით კანონიერი იქნება! — კვირს უკრავდნენ იქ მყოფნი. — მოდი, დავანაწილოთ და ჩამოვირიგოთ. პაპიროსის გასახვევად გამოგვადგება.

კოპიონკინს ახალი კანონი მოსწონდა. აინტერესებდა, საბჭოთა ხელისუფლების დაარსება ცარიელ ალაგზე თუ შეიძლებოდა, სადაც შენობები არ იქნებოდა.

— შეიძლება, — უპასუხებდნენ მოფიქრალი თანამოსაუბრენი. — ოღონდაც ახლომახლო სილატაკე იყოს, სადმე მოშორებით კი თეთრი გვარდია...

კოპიონკინი მშვიდდებოდა. იმ ღამეს საუბარი შუალამისას დაამთავრეს: ლამპაში ნავთი გამოიღია. — თემიდან ცოტა ნავთს იძლევიან, — სინანულით ამბობდნენ მიძავალი გლეხები, რადგან საუბრით გული ვერ მოიჯერეს. სახელმწიფო უხეიროდ გვემსახურება, მეღანი, აკერ, სავსე შუშა გამოგვიგზავნეს და არ დაგვჭირვებია. ჯობდა, ნავთი ანდა ზეთი გამოგვზავნათ.

კოპიონკინი გარეთ გავიდა, რათა ღამისთვის ეცქირა — ეს სტიქიონი უყვარდა და ძილის წინ ყოველთვის აკვირდებოდა. პროლეტარულმა ძალამ მეგობრის სიანლოვე იგრძნო და ხმადაბლა აფშინდა. კოპიონკინმა ცხენის ხმა გაიგონა და პატარა ქალი კვლავ ისე წარმოესახა, როგორც სამუდამო სინანული.

იგი ახლა სადღაც მარტოდმარტო იწვა გაზაფხულის ღამის მღელვარე წყვილადში, ხოლო საკუჭნაოში უქმად ეყარა მისი ცარიელი ფეხსაცმელები, რითაც დადიოდა, როცა თბილი და ცოცხალი იყო.

— როზა! — თქვა კოპიონკინმა თავისი მეორენაირი წვრილი ხმით.

ცხენი ფარდულში ისე აჭიხვინდა, თითქოს გზა დაინახაო, და საკეტის ძელს ფეხი ჩამოჰკრა. უნდოდა, გარეთ გაეარდნილიყო, გაზაფხულის სურნელით გაუღენთილი ველი გეზად გადაეჭრა, უგზო უკვლოდ ერბინა და გერმანულ სასაფლაომდე — კოპიონკინის სახუკვარ ადგილამდე მიედწია. სოფსაბჭოს თავმჯდომარეობისას სიფხიზლეზე ზრუნვა და დეანოვისადმი ერთგულების გამო ფარული მღელვარება, კოპიონკინს გულს რომ უფორიაქებდა, ახლა ნელ-ნელა თავს უფრო მეტად იჩენდა. ცხენმა იცოდა, კოპიონკინი ახლოს რომ იყო, და ფარდულში აბობოქრდა, კედლებსა და საკეტებს მოზღვავებულ გრძნობათა სიმძიმეს ისე აფრქვევდა, თითქოს როზა ლუქსემბურგი კოპიონკინს კი არა, მას უყვარდა.

კოპიონკინს ეჭვიანობა დაეუფლა.

— განურდი, შე მაწანწალა, — უთხრა ცხენს და იგრძნო, სირცხვილის თბილმა ტალღამ სხეულში როგორ დაურბინა.

ცხენმა ჩაიხვიხვინა და დაწყნარდა, ვნებათა მოზღვავება მკერდს შიგნით ბუბუნად აქცია.

ცაზე გამალებით მიისწრაფოდნენ შორეული კოკისპირული წვიმისგან დაშთენილი შავი ღრუბლების ნაფლეთები. ზეცაში ალბათ დამეული პირქუში გრიგალი ბობოქრობდა, ხოლო დაბლა ისეთ სიმშვიდესა და სიწყნარეს დაესადგურებინა, ისიც კი ისმოდა, მეზობლის საქათმეში ქათმები როგორ ფუთფუთებდნენ, ხოლო ღობეებში როგორ დაძვრებოდნენ და შარიშური გაჰქონდათ პატარ-პატარა უვნებულ ქვეწარმავლებს.

კოპიონკინმა თიხით შელუსილ კედელს ხელი მიაყრდნო და იგრძნო, გული როგორ მოუდუნდა და მტკიცე ნებისყოფა დაკარგა.

— როზა! ჩემო როზა, როზა! — ჩაიჩურჩულა თავისთვის ხმადაბლა, ისე, რომ ცხენს არ გაეგონა.

მაგრამ ცხენი ცალი თვალით ღრიჭოდან იცქირებოდა და ისე მხურვალედ სუნაქავდა, რომ მისი ამონასუნთქი ჰაერისგან ფიცრები იშაშრებოდა. ფარდულის კედლისკენ დახრილი და ძალგამოლეული კოპიონკინი როცა დაინახა, საყრდენ ბოძს დრუნჩითა და მკერდით ისე მიაწვა, რომ მთელი ფარდული გავაზე ჩამოიმზო. მოულოდნელი ხიფათისგან თავზარდაცემულმა პროლეტარულმა ძალამ აქლემივით დაიდრიალა, გავა აიქნია, ფარდულის ჩამონაშალი კედელ-სახურავი მიყარ-მოყარა და კოპიონკინთან გამოვარდა; მზად იყო, შორეთისკენ გაჭრილიყო, ჰაერი ქაფშორეული ღაშებით ესუნთქა და უხილაკი გზები აღლითი გაეგნო.

კოპიონკინს პირისახე უძალე გაუფიცვდა და მკერდში ქარიშხალმა დაურბინა. ცხენი არც შეუკაზმია, ზურგზე ისე მოახტა და სიხარული იგრძნო. პროლეტარული ძალა ადგილს ერთბაშად მოსწყდა და წინ გაექანა, რომ სოფლის გარეთ გაეარდნილიყო. მძიმე სხეულის მქონეს რაკილა ხტომა არ შეეძლო, კალოების ღობეებსა და ძეღორეებს წინა ფეხებით ლეწავდა, მერე გადაქელავდა და თავისი გზით გასწყვდა. კოპიონკინი გამხიარულდა, თითქოს როზა ლუქსემბურგთან შეხვედრამდე ერთი დღის სავალიღა დარჩენოდა.

— რა კარგია ჭენება! — ხმამაღლა თქვა მან, გვიანი ღამის ნოტიო ჰაერი შეიხუნთქა და მიწიდან ამოწვერილი ბაღახის სურნელება შეიყნოსა.

ცხენი თავის ძალთა სათბოს ფლოქეთა ნაკვალევში აფრქვევდა და გაშლილ სივრცეში გასახველელად მიისწრაფოდა. კოპიონკინი გრძნობდა, გული სისწრაფისგან როგორ უმჩატდებოდა და ყელში აწვებოდა. კიდევ ცოტაოდენი აჩქარება და კოპიონკინი ბედნიერებისგან შუებით ამღერდებოდა, მაგრამ პროლეტარული ძალა ძალზე მძიმე იყო, დიდხანს ჭენება ვერ შეძლო და მალე ჩვეულებრივი გრძელი ნაბიჯით იწყო სიარული. ქვემოთ გზა იყო თუ არა, არ ჩანდა, შუქმა მხოლოდ ცის კიდური შეამღვრია და პროლეტარულ ძალას უნდოდა, იმ ადგილამდე მალე მიედწია, რადგან ეგონა, რომ კოპიონკინს იქ მისვლა სურდა. ველს ბოლო არ უჩანდა, მხოლოდ ეგ იყო, რომ დაბლა ჩამოშვებული ცისკენ გრძელი

თავსვე მიეძარებოდა, არც ერთ ცხენს ჯერ რომ არ გადაეღაზა. აქეთ-იქით, შორეული ხეებიდან ნოტიო ცივი ორთქლი მოედინებოდა. იქიდანვე წყნარ სვეტებად ამოდებოდა დამშეული ხოფლებიდან დამრული ღუმელთა კვამლი. კოპიონკინს ორთქლიც მოსწონდა, კვამლიც და გამოძინებული უცხო ადამიანებიც.

ეს ცხოვრების სიამება! — ეუბნებოდა იგი საკუთარ თავს და სიცივე კისერში პურის ნამცეცებივით გამაღიზიანებლად ჩხვლეტდა.

შორს, სინათლის ზოლში ვიღაც კაცი იდგა. ცხადად ჩანდა, თავს ხელოვნურად როგორ იყენებდა.

— ნახა რაღა თავის საფხანი ალაგი! — გაკიცხა თავის მუხანგელი კოპიონკინმა. — ეტყობა, იქ რაღაცას საქმიანობს, რაკიღა ამ სისხამ დილას შუა მიხდორში დგას და არა სძინავს. მივიდუ ერთი, საბუთები მოვთხოვო და დავაფეთო ის ეშმაკის კერძი!

მაგრამ კოპიონკინს იმედის გაცრეება ელოდა — აღიონის შუქზე თავის მუხანგელს ჯიბე-უბის ნახაზიც არ გააჩნდა, სადაც საჭირო საბუთების შენახვას შეძლებდა. კოპიონკინმა მასთან ნახევარი საათის შემდეგ მიაღწია, როცა მზის შუქი უკვე მთელ ცაზე ხშიანობდა. კაცი გამხმარ ბელტზე იჯდა და სხეულს ჭუჭყისგან ფრჩხილებით გულმოდგინედ იხუფთავებდა, თითქოს დედამიწაზე საბანაოდ წყალი არ ყოფილიყო.

„გააჩინე ახლა ამქვეყნად ასეთი ეშმაკის კერძი!“ — თავისთვის ჩაილაპარაკა კოპიონკინმა და საბუთების შემოწმებას აღარ შესდგომია, რადგან გაახსენდა, რომ როზა ლუქსემბურგის პორტრეტის გარდა, რომელიც ქუდში ჰქონდა ჩაკერებული, თავადაც არავითარი ბლანკი არ გააჩნდა.

მოშორებით, სიდაგიდან აღენილ ნისლში ცხენი გაუნძრევლად იდგა. ცხენს ისეთი მოკლე ფეხები ჰქონდა, კოპიონკინი ვერ დაიჯერებდა, რომ იგი ნამდვილი და ცოცხალი იყო. ვიღაც ტანმორჩილი კაცი ცხენის კისერს უძღურად ჩახუტებოდა. კოპიონკინმა სიძამაცის აღმაფრთოვანებელი მოძალებით შესძახა: „როზა!“ — და პროლეტარულმა ძალამ თავისი ჩამრგვალებული სხეული ტალახში მსუბუქად და სწრაფად გააქანა. ის ადგილი, სადაც მოკლუფეხება ცხენი გაუნძრევლად იდგა, ოდესღაც წყალუხვი, ამჟამად კი გამქრალი ტბორი აღმოჩნდა და ცხენს ფეხები დანალექ შლამში ღრმად ჩათვლიბოდა. ცხენზე მჯდომი კაცი ღრმა ძილს მისცემოდა; ცხენის კისერი გულში ისეთი თავდავიწყებით ჩაეკრა, როგორც ერთგული და მგრძნობიარე ქალის სხეული. ცხენს მართლაც არ ეძინა, კოპიონკინს მიმნდობად უცქეროდა და მისგან ცუდს არაფერს მოელოდა. მძინარე კაცი არათანაბრად ხუნთქავდა და ყელის სიდრძეში მხიარულად ჩაიცინებდა ხოლმე — ალბათ თავის ბედნიერ სიზმრებში მონაწილეობდა. კოპიონკინმა კაცი თავით ფეხამდე შეათვალიერა და თავის მტრად ვერ შეიცნო: მას ძალზე გრძელი მაზარა ეცვა, ხოლო სახეზე ძილშიაც რევოლუციური გმირობისკენ სწრაფვა და მსოფლიო თანაცხოვრებისთვის სააღურსოდ მზადყოფნა ეხატებოდა. თვით მძინარის პიროვნებას განსაკუთრებული სიღამაზე არ გააჩნდა, მხოლოდ გამხდარ ყელზე ამობურცულ მარღვებში მფეთქავი გულისცემა გაფიქრებინებდათ, რომ თქვენს წინაშე კეთილი, უქონელი და შესაბრალისი კაცი იმყოფებოდა. კოპიონკინმა მძინარეს ქუდი მოხადა და შიგნით ჩაიხედა — იქ ოფლით გაზინთული ძველებური ჩანაკერი მოჩანდა: „გ. — გ. ბრეიერი, ლოძი“.

კოპიონკინმა ქუდი კვლავ დაახურა მძინარეს, რომელმაც თავად არ იცოდა, რომელი კაპიტალისტის ნაკეთობას ატარებდა.

— ჰეი, შეუძახა მძინარეს კოპიონკინმა. მძინარემ ღიმილი პირისახიდან მოიცილა და უფრო სერიოზული შეიქნა. — მაგ ბურჟუაზიულ ქუდს რატომ არ გამოიცვლი?

კაცი თავისითაც თანდათან იღვიძებდა და წარმტაც სიზმრებს ასრულებდა, ახლა ეზმანებოდა ღრანტყები თავისი სამშობლოს სიახლოვეს, სადაც თავს აფარებდა ერთმანეთთან ყოფნით ბედნიერი ხალხი — მძინარის ნაცნობები, შრომასა და

სილატაკეში დაღუპულნი.

— მალე ჩვენი გურში უცებ შეგიგირავენ ისეთ ქედს, როგორსაც ისურვებ, — უთხრა კოპიონკინს გამოღვიძებულმა. — თოკით თავის ზომა აიღე.

— თავად შენ უნა ხარ? — გულგრილად ჰკითხა კოპიონკინმა, რადგან ხალხთა მასებს, დიდი ხანია, მიჩვეული იყო.

მე აქ ახლოსა ვცხოვრობ — ჩვენი გურელი იაპონელი ვარ, პარტიის წევრი. აქეთ ამხანაგ კოპიონკინთან შემოვიარე — იორლა ცხენი უნდა ჩამოვართვა, მაგრამ, აი, ცხენსაც სული ამოუხადე და მეც ზედ მჯდომარეს ჩამეძინა. უკონუსული

რანაირი პარტიის წევრი ხარ, ეშმაკმა წაგიღოს! — მიხედვ კომუნისტურ შენ კომუნისში კი არა, სხვისი იორლა ცხენი გინდა.

— მართალი არა ხარ, არა, ამხანაგო, — განაწყენდა ჩეპურინი, — განა გავბედავდი, იორლა კომუნისში ჩამომერთმია? კომუნისში ჩვენ უკვე გვაქვს, ოღონდ ცხენები ცოტა გვყავს.

კოპიონკინმა ამომავალ მზეს გახედა — ასეთი უზარმაზარი, მხურვალე ბურთი თოკი ასე მსუბუქად მილივლივებდა ცის თაღზე, — მაშ ცხოვრებაში ყოველივე არც ისე საძნელო და საჭირველი უნდა ყოფილიყო.

— ესე იგი, კომუნისში უკვე მოგვარებული გაქვს?

— მაშ რა! რა ბრძანებაა, გუთაყვა! — შესძახა შეურაცხყოფილმა ჩვენი გურელმა.

— მაშასადამე, მარტო ქედები და ცხენები გაკლიათ, ხოლო დანარჩენი ყოველივე თავსაყრელი გაქვთ?

ჩეპურინი ჩვენი გურის მიმართ მძაფრი სიყვარულის დაფარვა ვერ შეძლო, ქედი მოიძრო და ტალახში მოისროლა, მერე დვანოვის წერილი იორლა ცხენის გაცემის თაობაზე ჯიბიდან ამოიღო, ოთხად გადაფხრიწა და გადაყარა.

— არა, ამხანაგო, ჩვენი გური ქონებას კი არ აგროვებს, პირიქით, ანადგურებს. იქ ზიარი, რჩეული ადამიანები ცხოვრობენ. იცოდე, რომ ოთახებში კომოდები არ უდგათ და ურთიერთმოხიბვლელობა სრულად გააჩნიათ. იორლას რაც შეეხება, ეს კი ამის გამო დამემართა: ქალაქში გახლდი და ქალაქის საბჭოში ცრურწმენა დამეუფლა, ხოლო ფუნდუკში სხვისი ტილები დამეხვია. აქ რა უნდა აკეთო: მითხარი ერთი, გუთაყვა!

— აბა, მაშ ჩვენი გური მაჩვენე, — უთხრა ჩეპურინის კოპიონკინმა. — იქ ამხანაგ როზა ლუქსემბურგის ძეგლი თუ გაქვთ? ალბათ აზრადაც არ მოგხვლიათ, თქვე ლაქიებო!

— რაღა თქმა უნდა, გვაქვს. ერთ სასოფლო დასახლებულ პუნქტში თვითნაბადი ქვისა დგას. იქვე მთელი ტანით ზეადმართული ამხანაგი ლიბკნეხტი მასებს სიტყვით მიმართავს... ისინი რიგგარეშე გამოიგონეს. კიდევ ვინმე თუ მოკვდება — არც ის გამოგვრჩება!

— შენ რას იტყვი, — ჰკითხა ჩვენი გურელს კოპიონკინმა, — ამხანაგი ლიბკნეხტი როზასთვის ისე იყო როგორც კაცი ქალისთვის, თუ მე მხოლოდ შგონია?

— ეგ შენ მხოლოდ გგონია, — დაამშვიდა ჩვენი გურელმა კოპიონკინი, — ისინი ხომ შეგნებულნი ადამიანები იყვნენ! სად ეცალათ: როცა ადამიანებს ბევრი საფიქრალი აქვთ, მაშინ სიყვარული განზე რჩებათ. რაო: ეს მე კი არა ვარ, ან შენ კი არა ხარ — რა ბრძანებაა, გუთაყვა!

კოპიონკინისთვის როზა ლუქსემბურგი უფრო სასურველი შეიქნა და გული სოციალიზმისკენ დაუცხრომელი სწრაფით აუძვერა.

— მითხარი, რა არის შენს ჩვენი გურში — წყალგამყოფებზე აღმოცენებული სოციალიზმი თუ, უბრალოდ, იქითკენ მიმავალი თანამიმდევრული ნაბიჯები?

კოპიონკინი უკვე სხვაგვარი ხმით ეკითხებოდა, ისე, როგორც დედასთან ხუთ წელიწადს განმორებული და ხმამიუწველენელი შვილი ძმას შეხვდება და ეკითხება, დედა ცოცხალია, თუ არაო, თანაც სჯერა, რომ მონუცი უკვე გარდაცვლილი იქნება.

სოციალიზმში მცხოვრები ჩეპურინი უძწეო ადამიანებზე და საყვარელ

თანამომხმეებზე ამო წუხილს, რა ხანია, გადაეჩეია: მან ჩევენგურში მეფის არმიის დემობილიზაციასთან ერთად საზოგადოების დემობილიზაციაც ჩაატარა, რადგან საერთო უხილავი კეთილდღეობის გულისსთვის თავისი სხეულის გაწირვა არავის უნდოდა, ყოველ მათგანს ეწადა, საკუთარი არსებობა ახლობელ, ამხანაგ ადამიანთაგან დაბრუნებული ეხილა.

ჩევენგურელმა ბურნუთს სწრაფად დაეხოსა და ამის შემდეგ ~~განაწილებდა~~.

— წყალგამყოფით რას მამუნათებ? კულობები, შენი აზრით, ვიღას დარჩა? რა გგონია, მემამულეებს ხომ არა? ჩვენ ჩევენგურში ერთპირად სწრაფად გვაქვს: ყოველი კობლობი საერთაშორისო საკუთრებაა! ჩვენ ცხრელებს ~~სადაღლი~~ უპირატესობა გაგვაჩნია!

— პირუტყვი ვიღას ეკუთვნის? — შეეკითხა ჩევენგურელს კობიონკინი; იგი სხეულში დაგროვილი მთელი ძალით სინანულს განიცდიდა იმის გამო, რომ როზასკენ მიმავალი გზის გასწვრივ ნათელი სამყაროს დაარსება მას და დვანოვს კი არა, სწორედ ამ ტანმორჩილ კაცს ხვდა წილად.

— პირუტყვსაც მალე ბუნებაში გავუშვებთ, — უპასუხა ჩევენგურელმა, — პირუტყვიც ხომ თითქმის ადამიანია: უბრალოდ ყოველნაირი ჩაგვრის შემდეგ ადამიანს ჩამორჩა, თორემ ადამიანად ყოფნა იმასაც სწავლია!

კობიონკინმა პროლეტარულ ძალას ხელი მოუთათუნა და იგრძნო, რომ ისიც მისი თანასწორი იყო. ეს ადრეც იცოდა, ოღონდ აზრის ისეთი ძალოვნება არ გააჩნდა, როგორც ჩევენგურელს ჰქონდა, ამიტომ მრავალი შეგრძნება გამოუთქმელი რჩებოდა და გულს ჭმუნვით უკსებდა.

კულის კიდებზე, ცისა და მიწის შესაყართან საზიდრები გამოჩნდნენ, კობიონკინმა თვალი გააყოლა, დაპატარავებულმა სოფლელებმა ამ საზიდრებით ღრუბელთა გასწვრივ როგორ ჩაიარეს. საზიდრები გზას ამტვერებდა: ესე იგი იქ წვიმა არ ყოფილა.

— მამ შენს მხარეში წავიდეთ! — უფხრა ჩეპურნის კობიონკინმა. — ფაქტები ვიხილოთ!

— წავიდეთ, — დაეთანხმა ჩეპურნი. — ჩემი კლავდიუშა მომენატრა!

— ეგ ვინდაა, ალბათ შენი მეუღლე იქნება.

— ჩვენ მეუღლეები არა გვყავს: ქალები მხოლოდ თანამებრძოლებად შემოგვრჩნენ.

ნისლები მზის მჭახე მზერისგან სიზმრებივით ქრებოდნენ. იქ, სადაც ღამით შიშისმომგვრელი წყვდიადი იდგა, ახლა განათებული, დატაკი, სადა სივრცეები გადაშლილიყო. მიწას საბანგადახდილ დედასავით გაშიშვლებულსა და განაწამებს ეძინა. კულის მდინარე წყნარად დუდუნებდა, თითქოს ბოდავსო; ის ალაგები, სადაც მოხეტიალე ადამიანები წყურვილს იკლავდნენ, ჯერ კიდევ წყვდიადს მოეცვა და სინათლის მომლოდინე თვალებდაჭყეტილი თევზები წყლის ზედაპირზე დაცურავდნენ.

იქიდან ჩევენგურამდე ხუთიოდე კერსი კიდევ იყო დარჩენილი, მაგრამ უკვე მოჩანდა პაეროვანი ხედები ჩევენგურის მოუხნავი ადგილ-მამულეებისა, სამაზრო მდინარის ნოტიო ნაპირებისა და ყველა ჩადაბლებული ალაგისა, სადაც აქაური ხალხი ცხოვრობდა. ნესტიან დარტაფში გლაზაკი ფირსი მიდიოდა; იმ სოფელში, სადაც ბოლო ხანს ღამეს ათევდა, ყური მოჰკრა, კულზე თავისუფალი ადგილი ყოფილა, სადაც გამლვლელი ხალხი ცხოვრობს, იქაურები თავიანთი სანოვაგით ყველას აპურებენო. ფირსი მთელი სიცოცხლე გზას ადგა და ერთთავად ან წყალში მიტოპავდა, ან სველ მიწაზე მიაბიჯებდა. მიმდინარე წყალი მოსწონდა, მისი ხმა ალაგზნებდა; წყალი მისგან თითქოს რაღაცას მოითხოვდა. მაგრამ ფირსმა არ იცოდა, წყალს რა უნდოდა, ანდა თვითონ მას წყალი რაში სჭირდებოდა. იგი მხოლოდ ისეთ ადგილებს დაუძებდა, სადაც წყალი უფრო ბლანტი და მიწისგან შემღვრეული ჩანდა; ლაფნის ქალამნებს იქ ასველებდა, ხოლო შემდეგ, როცა ღამის

სათუეს მიაღწევდა, ყუხსახვევებს დღეხანს წურავდა, რათა წყალი თითებით მოუსინჯა და მისი ძალაგამოღებული დინებისთვის თვალი კვლავ ედევნებინა. ნაკადულებისა და ჩქვრების მახლობლად ჯდებოდა, ცოცხალ ნაკადებს უსმენდა და ერთიანად მშვიდდებოდა; მზად იყო, წყალში ჩაწოლილიყო და ველის უსახელო ნაკადულის დინებას თავადაც შეერყოდა. გუშინ საღამოს მდინარის კალაპოტის განაპირას ღამის სათუეი მოიწყო, მთელი დამე წყლის სიმღერას უსმენდა, ხოლო როცა გათუნდა, ქვემოთ ჩადოდა. მიმზიდველ სინოტივში მთელი სხეულით განერთხა და სიმშვიდეს ჩვეულებურადვე ეზიარა.

ფირსისგან ცოტა მოშორებით, მიყუჩებულ ვაკეზე, დილის მთელ მთელში პატარა ქალაქი მოჩანდა. ამ ქალაქისკენ მაცქერალ ხნიერ კაცს ცინცხალი მძაფრი პაერისა და პირისპირ მობრდღვრიალე მზისგან კეთილი თვალები აცრემლებოდა; მას მარტო თვალები კი არა, არამედ მთელი სათუთი, თბილი, დაბადებითვე საღუქი სახე კეთილი ჰქონდა. უკვე ახაკოვანს წვერი თითქმის მთლიანად გათეთრებოდა. თუმცა ყველა მოხუცს წვერში წიღები ჰყავს, ამას არახოდეს ჰყოლია, და თავისი ცხოვრების სახარგებლო მიზნისკენ საშუალო ნაბიჯით მიემართებოდა. ამ მოხუცის გვერდით უისაც კი გაუკლია, ყველამ იცოდა, იგი რაოდენ სურნელოვანი და საამო იყო, მასთან პატრონსური, მშვიდი საუბარი ყველას რანაირ სიამოვნებას ანიჭებდა. ცოლი მამილოს ეძახდა, ჩურჩულით ელაპარაკებოდა და მეუღლეთა შორის განუწყვეტლივ სათნოება და უწყინარობა სუფევდა. შესაძლოა, შვილები ამიტომაც არ უჩნდებოდათ და ოთახებში მუდამ მშრალი სინუე იდგა. მხოლოდ იშვიათად გაისმოდა ბერიკაცის მეუღლის მშვიდობიანი ხმა:

— ალექსეი ალექსევიჩი, მამილო, მთელი, ღვთის ბოძებული მიირთვი, ნუ მტანჯავ.

ალექსეი ალექსევიჩი ისე ფაქიზად ჰამდა, რომ ორმოცდაათ წლამდე კბილები არ წახდენია, ამიტომაც პირიდან მყრალი სუნი კი არა, მხოლოდ თბილი სუნთქვა ამოსდიოდა. ახალგაზრდობისას, როცა მისი თანატოლები ქალიშვილებს ეხვეოდნენ, ახალგაზრდული ძალა არ ასვენებდათ, მილი არ ეკარებოდათ და ღამდამობით ქალაქის განაპირა კორთმებში ხეებს ძირფეხვიანად თხრიდნენ, ალექსეი ალექსევიჩმა გულმოდგინედ იფიქრა და თავისით მოისახრა, რომ საჭმელი, რაც შეიძლება, დიდხანს უნდა დეჭო — ჰოდა, მას შემდეგ ლუკმას იქამდე დეჭავდა, სანამ ერთიანად არ გააწყალვდა; კოველდლიური სიცოცხლის ერთ მეოთხედს ამ საქმიანობაზე ხარჯავდა. რევოლუციამდე ალექსეი ალექსევიჩი თავის შტატგარეშე ქალაქში, რომელიც ამჟამად ჩვეულებურად მახრის საზღვარზე მდებარეობდა, საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის წევრი და ქალაქის სათათბიროს ხმოსანი გახლდათ.

ალექსეი ალექსევიჩი ახლა ჩვეულებურში მიდიოდა და მახრის ცენტრს მახლობელი მადლობიდან გასცქეროდა. იგი თავადვე გრძნობდა ახლად გამომცხვარი გამტკიცული პურის სურნელებას, რაც მის ხალუქ სხეულს გამუდმებით ახდიოდა, ამქვეყნად გოფნის მშვიდ სინარულს განიცდიდა და ნერწყვს დაგემოვნებით ელაპაკდა.

ძველი ქალაქი დილაადრიახადვე აფორიაქებული ჩანდა. ქალაქის ირველ მდებლობა და ბუჩქნარებში, ხალხი დახეტიალობდა; ზოგნი წყვილად, ზოგნიც თითო-თითონი მიმოდინდნენ, მაგრამ არც ბოღია უჭირა ვინმეს ხელში და არც რაიმე სხვა ქონება. ჩვეულებურის ათი სამრეკლოდან ხარი არც ერთზე არ რეკავდა. მზის წყნარი სიხვებით განათებულ სახნავ-სათუეს ვაკეზე მხოლოდ მოსახლეობის ფორიაქის ხმა გაისმოდა; ამასთანავე ქალაქში სახლები ირხეოდა — უღაცანი, აქედან უხილაენი, ამ სახლებს აღბათ ხადღაც მიანიჩებდნენ. ალექსეი ალექსევიჩის თვალწინ პატარა ბაღი უცებ გადაიხარა და მწყობრად წინ გაემართა — ხეებსაც ძირიან-ფეხვიანად უკეთეს ადგილას ასახლებდნენ.

როცა ჩვეულებურადვე ახიოდე საფენი მანძილიდა დარჩა, ალექსეი ალექსევიჩი ჩამოჯდა, რათა ქალაქში შესვლამდე გასუფთავებულიყო. მას საბჭოთა ცხოვრების

ასავალ-დასავალისა არაფერი გაეგებოდა, მხოლოდ ერთი დარგი იხიდავდა — კოოპერაცია, რაზედაც გახუთ „ღარიბობაში“ წაიკითხა. აქამდე მდუმარედ არსებობდა, არავითარ საქმიანობას არ მოჰკიდებია და სულიერ სიმშვიდეს კარგავდა. ამიტომაც იყო, რომ ხშირად, უცაბუდი გაღიზიანების შედეგად, თავისი სახლის წითულ კუთხეში უქრობ კანდელს აქრობდა, რის გამოც მისი ცოლი ლეიბზე წვეხოდა და ხმამაღლა ტიროდა. ალექსეი ალექსეევიჩმა კოოპერაციის თაობაზე როცა წაიკითხა, ნიკოლოზ მირლიკიელის ხატთან მივიდა და კანდელი აღერსიანი ხორბლისფერი ხელებით ააჩო. ამიერიდან მან ჰპოვა თავისი წმინდა ხაქმე და წრფელი გზა შემდგომი ცხოვრებისა. ლენინი გარდაცვლილად მკითხველს მსგავსად წარმოესახა. ოდესღაც, როცა ალექსეი ალექსეევიჩი პატარა იყო და შორეული ხანძრის დანახვა შეაშინებდა, რადგან ამ შემზარავი ხანახაობისა არაფერი გაეგებოდა, მამამისი ეუბნებოდა: — ალიოშა, მოდი ჩემთან და გულში ჩამეკარო! ალიოშა მამას მკერდში ჩაეკვრებოდა. მამამისსაც გამტკიცული პურის სურნელება ახდიოდა. ალიოშა მშვიდდებოდა და რულმორეული იღიმებოდა. — აი, ხომ ნახე, ეუბნებოდა მამა. — შენ კი რაღაცისა გეშინოდარო! ალიოშას ასევე, მამის მკერდში ჩახუტებულს ჩაეძინებოდა, დილით კი ღუმელში მობრიალე ცეცხლსა ხედავდა, დედამისს კომბოსტოიანი ღვეხელების გამოსაცხობად რომ დაენტო.

ალექსეი ალექსეევიჩმა კოოპერაციაზე დაწერილი სტატია როცა წაიკითხა, საბჭოთა ხელისუფლებას გულით მიენდო და ცხოველმყოფელ სახალხო სიკეთედ იგულა. მის წინაშე გაიხსნა სიწმინდის დიადი გზა, რომელიც კეთილდღეობის, სიუხვისა და თანამეგობრობის ღვთიურ სახელმწიფოში მიიყვანდა. ალექსეი ალექსეევიჩს სოციალიზმისა აქამდე მხოლოდ ეშინოდა, ახლა კი, როცა სოციალიზმს კოოპერაცია ეწოდა, ალექსეი ალექსეევიჩმა იგი სულითა და გულით შეიყვარა. ბავშვობაში ღმერთი დიდხანს არ უყვარდა, საბაოთისა ეშინოდა, მაგრამ როცა დედამ უთხრა: — შვილო, მამ შე სად წავალ, როცა მოკვდებიო? — ამის მერე ღმერთი შეიყვარა, რათა მას დედამისი სიკვდილის შემდეგ დაეცვა, რადგან ღმერთი მამის მონაცვლედ მიიჩნია.

ალექსეი ალექსეევიჩი ჩვენგურში იმიტომ მივიდა, რომ კოოპერაცია ეპოვნა, რაც ხალხს სიღატაკისა და ერთმანეთის მიმართ სულიერი უღმობლობისგან იხსნიდა.

ჩვენგურში, როგორც ახლოდან მოჩანდა, ადამიანის გონების უცნობი ძალა მოქმედებდა, მაგრამ ალექსეი ალექსეევიჩი წინასწარ მზად იყო, გონებისთვის ეს ქმედება შეენდო, რადგან იგი ადამიანთა კოოპერაციული ერთიანობისკენ, მათ შორის საქმიანი სიყვარულისკენ იყო მიმართული. ალექსეი ალექსეევიჩს პირველ რიგში უნდოდა, კოოპერაციის წესდება ეშოვა, ხოლო შემდეგ მაზრის აღმასკომში მისულიყო და თავმჯდომარესთან, ამხანაგ ჩეპურნისთან კოოპერაციული ქსელის მოწყობის თაობაზე მეგობრულად ესაუბრა.

მანამდე კი ალექსეი ალექსეევიჩი იმაზე დაფიქრდა, რომ ჩვენგური რევოლუციის წამგებიანი გასავლის ზემოქმედებას განიცდიდა. მუყაით მიწას ზაფხულის მტკერი ახდიოდა და ზვატში ზემოთ მიიწევდა, ხოლო ბაღებს, მიმცრო ტაძრებსა და ქალების უძრავ ქონებას ცა ალექსეი ალექსეევიჩის მოგონებასავით გადაჰფარებოდა. ოღონდ, როგორი იყო ეს მოგონება, ამას ყველა ვერ ჩასწვდებოდა. ალექსეი ალექსეევიჩი საკუთარ თავს ახლა სრულად აღიქვამდა, ხოლო ცის სითბოს, როგორც ბავშვობას და დედის კანს, ისე შეიგრძნობდა. და ისევე, როგორც ოდესღაც — სამარადისოდ დასამარებულ მოგონებათა მსგავსად — მზით გაბრწყინებული ცის კაბადონიდან ყოველი ადამიანის საზრდომ ისე იწყო ქონა, ვითარცა დედის ჭიპიდან მომდინარე სისხლმა.

ეს მზე საუკუნეთა მანძილზე დაძნათოდა ჩვენგურის დოვლათს — ვაშლის ბაღებს, თუნუქის სახურავებს, რომელთა ქვეშ ამ სახლების ბინადარნი ბავშვებს აპურებდნენ, აჩახჩახებდა ეკლესიათა კრიალა გუმბათებს, რომელნიც ადამიანებს ხუთა ჩრდილიდან მარადიულობის სიცარიელეში კრძალულად იწვევდნენ.

ჩევენგურში ხეები თითქმის ყველა ქუჩაზე იდგა. ქალაქში ჩაკლილი მოხეტიალენი ღამის სათუვად იქ არ რჩებოდნენ, ამ ხუთა ტოტებს ტყებდნენ და ხელჯობებად იყენებდნენ. ჩევენგურელთა ეზოებში მრავალნაირი ბალახი ხარობდა; ბალახი თაკმუსაფარსა და საზრდოს აძლევდა, ცხოვრების აზრს ანიჭებდა ატმოსფეროს ყველა ფენაში მობურბურე მწერთა ქარავენებს, ისე რომ ჩევენგური ხალხით მხოლოდ ნაწილობრივ იყო დასახლებული, იქ ჩევენგურელნი მჭიდროდ ბინადრობდნენ პატარ-პატარა მღვლეარე არსებანი, თუმცაღა მჭიდროდ ჩევენგურელებს ეს არსებანი არაფრად მიაჩნდათ.

მათ ყურადღებას იპყრობდა უფრო დიდი მოვლენები, მაგალითად, ზაფხულის სიცხე, ქარიშხლები და ღმერთის მეორედ მოსვლა. თუ ზაფხულში ჩამოცხებოდა, ჩევენგურელები მეზობლებს აურთხილებდნენ, ახლა აღარ დაზამთრდება და მალე სახლებს ცეცხლი თავისით წაეკიდებაო; ყმაწვილები თავიანთი მამების დავალებით ჭებიდან წყალს ეზიდებოდნენ და სახლებს გარედან ასხამდნენ, რათა ხანძრის გაჩენის ვადა გადაეწიათ. მცხუნვარე დღის შემდეგ, ღამდამობით, ხშირად წვიმა წამოვიდოდა ხოლმე. „ხან სიცხეა, ხან წვიმა, — უკვირდათ ჩევენგურელებს, — ასეთი რამ არასოდეს ყოფილა!“ თუ ზამთრობით ქარბუქი ატყდებოდა, ჩევენგურელებმა წინასწარ იცოდნენ, რომ ხვალ საკვამურიდან დასჭირდებოდათ აძრომა — სახლებს თოვლი უხათუოდ დაფარავდა, თუმცა ყოველ მათგანს ოთახში ნიჩაბი გამწვანებული ჰქონდა. „იმოდენა თოვლს ნიჩაბით განა გადახვეტავ? — ეჭვი ეპარებოდა სადღაც ოთახში ბურიკაცს. — ნახეთ, ქარბუქი როგორ ღმუის — ჩვენს არემარეში ასეთი რამ არც უნდა იყოს. ბიძია ნიკანორი ჩემზე უფროსია — ოთხმოცი წელია, რაც თამბაქოს მოწვევა დაიწყო, — პოდა, ასეთი გაღარული ზამთარი იმასაც არ ახსოვს! ახლა რამე უკეთესს უნდა ველოდეთ!“ შემოდგომაზე, როცა ღამით ქარიშხალი დაქროლებდა, ჩევენგურელები დასამინებლად იატაკზე წვებოდნენ, რათა უფრო მყარად მოწყობილიყვნენ, მიწასთან და სამარესთან უფრო ახლოს ყოფილიყვნენ. გულში ყველა ჩევენგურელს სჯეროდა, რომ ამოვარდნილი ქარიშხალი ანდა სიცხე, შეიძლებოდა, ღმერთის მეორედ მოსვლად ქცეულიყო, მაგრამ არავის უნდოდა, თავის სახლ-კარს ნაადრევად განშორებოდა და იმაზე ადრე მომკვდარიყო, ვიდრე თავის დრო-ჟამს არ გალევდა, — ამიტომ ჩევენგურელები სიცხის, ქარიშხლისა და წვიმის შემდეგ ისვენებდნენ და ჩაისა სვამდნენ.

— დამთავრდა, დიდება შენდა, ღმერთო! — პირჯვარს გადაისახავდნენ ხოლმე ბედნიერი ჩევენგურელები, როცა სიცხე-ჰაპანაქება ანდა აუდარი გადაივლიდა. — ჩვენ იესო ქრისტეს მოველოდით, იმან კი განზე აგვიარა: ყველაფერი მის ღვთიურ ნებაზეა!

თუ ბერიკაცები ჩევენგურში ცნობიერების გარეშე ცხოვრობდნენ, სხვებმა საერთოდ არ იცოდნენ, როგორ უნდა ეცხოვრათ, როცა ყოველ წუთას შეიძლებოდა მეორედ მოსვლის ჟამი დამდგარიყო, ადამიანები ორ ჯგუფად გაყოფილნი აღმოჩენილიყვნენ და შიშველ, არაფრის მქონებელ სულებად გადაქცეულიყვნენ.

ალექსეი ალექსევიჩი ოდესღაც ჩევენგურში ცხოვრობდა და კარგად იცოდა, რომ ქალაქი სულიერი ხვედრით უზრუნველყოფას მოკლებული იყო. ქალაქისა და მაზრის საგანმგებლოდ ვაგზლიდან მოსულმა ჩეპურნიმ სამოცდაათი ვერსი ფეხით გამოიარა და იქაურობაზე დაკვირვებით დაასკვნა, რომ ჩევენგური ყაჩაღობის შემოსავლით არსებობდა, ვინაიდან არავინ აშკარად არაფერს აკეთებდა, მაგრამ ყველა პურსა ჭამდა და ჩაის სვამდა. ამის გამო ანკეტა გამოსცა და მისი აუცილებლად შეესება მოითხოვა. ანკეტა ერთ კითხვას შეიცავდა: „მშრომელთა სახელმწიფოში რომელი ნივთიერების წარმოების ხარჯზე და რისთვის ცხოვრობთ?“

ჩევენგურის თითქმის მთელმა მოსახლეობამ ერთნაირად უპასუხა: პასუხი პირველად ეკლესიის მგალობელმა ღობოჩიხინმა მოიფიქრა, მისგან მეზობლებმა გადაწერეს, ხოლო შორს მცხოვრებლებს ზეპირად გადასცეს.

„ცხოვრობთ ღვთის გულისთვის და არა საკუთარი თავისთვის“, — ანკეტაში ჩაწერეს ჩევენგურელებმა.

ჩეპურნის არ შეეძლო, ღვთიური ცხოვრება თვალნათლად წარმოედგინა და ქალაქის მოსახლეობის ყოველდღიური კომლობრივი გამოკვლევის ჩასატარებლად უმაღლესი ორმოცი კაციდან შემდგარი კომისია ჩამოაყალიბა. შედგენილ იქნა უფრო ცხადი აზრის შემცველი ანკეტები, სადაც საქმიანობათა რიგში დასახელებული იყო: ციხის მეკლიტურობა, ცხოვრების ჭეშმარიტების მოლოდინი, ღმერთის შეუწყნარებლობა, უკურნებელი სიბერე, მოხეტიალეთათვის წიგნების ხმაძალდა კითხვა და საბჭოთა ხელისუფლების თანაგრძნობა. ჩეპურნიმ ანკეტებზე შეისწავლა და სამოქალაქო საქმიანობათა სირთულეზე ფიქრით გაიტანჯა, მაგრამ გენინის ღოზუნგი დროულად გაახსენდა: — სახელმწიფო მართვა საშინლად ძნელი საქმეაო, და სრულიად დამშვიდდა. დილაადრიანად მასთან ორმოცი კაცი მოვიდა; დიდხანს ნასიარულეკნი იყვნენ, წინკარში წყალი დალიეს და ჩეპურნის განუცხადეს:

— ამხანაგო ჩეპურნი, ისინი ცრუობენ — არაფერსაც არ საქმიანობენ, წვანან და სძინავთ.

— დამოხვეულებო, დამე იყო და მაშ რა იქნებოდა! თქვენ იმათ იდეოლოგიაზე მომიყვებით რაიმე, გეთაყვა!

— იდეოლოგია არა აქვთ, — უთხრა კომისიის თავმჯდომარემ ჩეპურნის. — ყველანი ერთიანად ქვეყნიერების აღსასრულს მოედიან...

— შერედა, ვერ უთხარი, რომ ქვეყნიერების აღსასრული ახლა კონტრრევოლუციური ნაბიჯი იქნება? — შეეკითხა მას ჩეპურნი, რადგან მიჩვეული იყო, ყოველგვარი ღონისძიება წინასწარ რევოლუციასთან შეეჯერებინა.

თავმჯდომარე შეშინდა:

— არა, ამხანაგო ჩეპურნი! ვფიქრობოდი, რომ მეორედ მოსვლა იმათთვის სასარგებლო იქნებოდა და ჩვენც აგრეთვე ხეირსა ვნახავდით...

— ეგ რანაირად? — მკაცრად ჩაეკითხა ჩეპურნი.

— ნამდვილად სასარგებლო იქნება. ჩვენთვის ძალადაკარგულია, ხოლო წვრილი ბურჟუაზია მეორედ მოსვლის შემდეგ გაუქმებული უნდა იქნეს...

ჩეპურნი მიუხვდა.

— მართალი ხარ, შე მაძაძაღლო! — შესძახა ალტაცებით. — თვითონ ვერ მივხვდი: მე ხომ შენზე ჭკვიანი ვარ!

ამ დროს ერთი ორმოცთაგანი წინ მოკრძალებით წამოდგა.

— ამხანაგო ჩეპურნი, ნებას მომცემთ? — სთხოვა მან ჩეპურნის.

— შენ ეინა ხარ? — ჰკითხა ჩეპურნიმ. ყველა ჩევენგურელის გარეგნობა ზეპირად ახსოვდა, ეს კაცი კი იქ არ ენახა და მისი სახე ვერ გაიხსენა.

— მე, ამხანაგო ჩეპურნი, ძველ საზღვრებში არსებული ჩევენგურის მაზრის ერთბათა საქმეების სალიკვიდაციო კომიტეტის თავმჯდომარე ვარ. ჩემი გვარია პოლიუბეზიევი. კომისიაში ჩემმა კომიტეტმა წამომაყენა — კომიტეტის განმკარგულებელი კრების მიერ შედგენილი ოქმის ასლი თანა მაქვს.

ალექსეი ალექსევიჩი პოლიუბეზიევმა ჩეპურნის თავი დაუკრა და ხელი ჩამოსართმევად გაუწოდა.

— ასეთი კომიტეტი არის? — იკითხა გაკვირვებულმა ჩეპურნიმ, ალექსეი ალექსევიჩის ხელი არც უგრძენია.

— არის! — თქვა კომისიის წევრთაგან ვილაცამ.

— გაუქმება დღესვე გამოაცხადეთ! შოათვალიერეთ, იმპერიის ნარჩენები სადმე თუ კიდევ არის, — და ისინიც დღესვე გაანადგურეთ! — განკარგულება გასცა ჩეპურნიმ და შერე პოლიუბეზიევს მიუბრუნდა: — მოქალაქე, თქვი, რა გინდა!

ალექსეი ალექსევიჩმა ქალაქური ნივთიერების წარმოქმნა ძალზე ზუსტად და საგულდაგულოდ განმარტა, რითაც უზარმაზარი, თუმცა მოუწესრიგებელი მენხიერების მქონე ჩეპურნის ნათელი გონება უფრო დაუბინდა. ჩეპურნი ცხოვრებას

ნაგლეჯ-ნაგლეჯ ისრუტავდა, — ოდესღაც ნანახი ქვეყნიერებისა და შემხვედრ მოვლენათა ნამსხვრევები მის თავში, როგორც წყნარ ტბაში, ისე დაცურავდა, მაგრამ ეს ნამსხვრევები ერთმანეთს არასოდეს ეკვროდა და არ მოლიანდებოდა, ჩეპურნიისთვის არც ურთიერთკავშირი გააჩნდა და არც ცოცხალი აზრი. მას ახსოვდა ტამბოვის გუბერნიის ღობეები, გლახაკთა გვარები და სახეები, ფრონტზე არტილერიის ცეცხლის ფერი, სიტყვასიტყვით იცოდა ლენინის მოძღვრება, მაგრამ ყველა ეს მკაფიო მოგონება მის გონებაში სტიქიურად დაცურავდა და არავითარ სასარგებლო აზრს არ ქმნიდა. ალექსეი ალექსეიჩი ამბობდა, არის სწორი კელი და ამ კელზე მიმოდინან ადამიანები, რომელნიც თავისი არსებობის წყაროს შორს ეძიებენ; მათ გრძელი გზა აქვთ გასავლელი, მშობლიური სახლიდან კი საკუთარი სხეულის გარდა არაფერი მიაქვთ. ამიტომაც ისინი თავიანთ მომუშავე სხეულს საზრდოზე ცვლიდნენ, რის შედეგადაც მრავალი წლის მანძილზე ჩევენგური წარმოიშვა. იქ მოსახლეობა მოგროვდა. შემდეგ გამკვლეული მუშები წავიდნენ, ხოლო ღმერთის მოიმედე ქალაქი დარჩაო.

— შენც შენს მომუშავე სხეულს წვრილმან საზრდოზე ცვლიდი? — ჰკითხა მას ჩეპურნიმ.

— არა, — უპასუხა ალექსეი ალექსეიჩი, — მე მოსამსახურე კაცი ვარ, ჩემი საქმე ქალაქზე დაწერილი აზრია.

— გულში ახლა ერთი ბრძნული გრძნობა აღმედრა, — თქვა ჩეპურნიმ. — მაგრამ მდივანი არა მყავს, ვინც ჩემს აზრს უმაღლე ჩაიწერდა!.. პირველ რიგში აუცილებელია, არამშრომელ ელემენტთა სხეულის ლიკვიდირება მოვახდინოთ!..

მას შემდეგ ალექსეი ალექსეიჩის ჩეპურნი არ უნახავს და ჩევენგურში რა მოხდა, არც ის იცოდა. საერობო კომიტეტი, რა თქმა უნდა, სასწრაფოდ და სამუდამოდ გაუქმდა, ხოლო მისი წევრები თავიანთ ნათესავეებთან წავიდ-წამოვიდნენ. ამჟამად პოლიუბეზიევს ჩეპურნიისთან შეხვედრა სხვა თემაზე სურდა — ლენინის მიერ გამოცხადებული კოოპერაციის წყალობით სოციალიზმში ცხოველყოფელი სიწმინდე შეიგრძნო და საბჭოთა ხელისუფლებისთვის სიკეთე სურდა. ალექსეი ალექსეიჩის არც ერთი ნაცნობი არ შეხვედრია — ყველგან კილაც დამჭლეკებული ადამიანები მიმოდინდნენ და მყობადზე რაღაცას ფიქრობდნენ. ჩევენგურის განაპირას ოციოდე კაცი ფიცრულ სახლს დასჭიდებოდა და ნელ-ნელა სადღაც მიაჩოჩებდა, ხოლო ორი მხედარი მათ მუშაობას გახარებული უცქეროდა.

პოლიუბეზიევმა ერთი მხედარი იცნო.

— ამხანაგო ჩეპურნი! ნება მომეცით, მოკლე საუბრისთვის გამოგიწვიოთ.

— პოლიუბეზიევო! — იცნო ჩეპურნიმ ალექსეი ალექსეიჩი, რადგან ყოველივე კონკრეტული ახსოვდა. — მითხარი, გეთაყვა, რა გესაჭიროება?

— კოოპერაციის თაობაზე მოკლედ მინდა გითხრა... ამხანაგო ჩეპურნი, წაიკითხოთ თუ არა სოციალიზმის ზნეობრივი გზის შესახებ ჩაგრულთა გაზეთში, რომელსაც იგივე სახელწოდება აქვს, სახელდობრ, „ღარიბობა“ ეწოდება?

ჩეპურნის არაფერი არ ჰქონდა წაკითხული.

— რა კოოპერაცია? რომელ გზაზე მელაპარაკები, როცა ჩვენ უკვე მისულნი ვართ? რას ამბობ, ძვირფასო მოქალაქე! ეგ თქვენა ცხოვრობდით მუშათა გზაზე ღვთის გულისთვის. ახლა კი, ჩემო ძმაო, გზა აღარ არის — ხალხი უკვე მივიდა.

— ხად მივიდა? — მორჩილად ჰკითხა ალექსეი ალექსეიჩი და კოოპერაციის იმედი გულიდან გაუქრა.

— როგორ თუ სად? — ცხოვრების კომუნიზმში. კარლ მარქსი არ წავიკითხავს?

— არა, ამხანაგო ჩეპურნი.

— ჰოდა, უნდა წაიკითხო, ძვირფასო ამხანაგო: ისტორია უკვე დასრულდა, შენ კი არც შეგიძინებია.

ალექსეი ალექსეიჩის აღარაფერი უკითხავს, მდუმარედ წავიდა იქით, სადაც მიდამოს ბებერი ბალახი მოსდებოდა, ძველი ხალხი ცხოვრობდა და ქმარს

მოხუცებული ცოლი ელოდა. იმ ალაგას, შესაძლოა, მოწყობილობა სუფევდა და ცხოვრება ჭირდა, მაგრამ იქ ალექსეი ალექსევიჩი დაბადა, გაიზარდა და ახალგაზრდობისას ზოგჯერ ტიროდა. ახლა გაახსენდა თავისი ბინის ავეჯი, თავისი დამკვლევლები ეზო, თავისი მეუღლე და სიხარული იგრძნო, რომ დამხვეწურებს კარლ მარქსისა არა გაეცხოვრათ რა, და თავის ქმარსა და პატრონს თავიდან არ მოიშორებდნენ.

კოპიონკინს კარლ მარქსის წაკითხვა ვერ მოეხსენებოდა ჩეპურნის განსწავლულობამ შეაცბუნა.

— რაო? — ჰკითხა მან ჩეპურნის. — აქ თქვენთან, კარლ მარქსის წაკითხვა აუცილებელია?

ჩეპურნიმ კოპიონკინის შემოთხუბას ბოლო მოუღო:

— ეგ იმითომ ვთქვი, რომ კაცი შემეშინებინა. მე თვითონ მარქსი ჩემ დღეში არ წამიკითხავს. ზოგი რამ მიტინგებზე თუ მატყვს გაგონილი; პოდა, აგიტაციას კეწევი. წაკითხვა არც არის საჭირო: თუ გინდა, რომ იცოდე, ადრე ხალხი კითხულობდა და წერდა, ხოლო ცხოვრება განზე რჩებოდათ, ერთთავად სხვებისთვის გზების ძიებას უნდებოდნენ.

— დღეს ქალაქში სახლებს აქეთ-იქით რატომ დააჩოჩებენ და ბალები ხელით რატომ დააქვთ? — იკითხა კოპიონკინმა.

— დღეს შაბათობაა, განუძარტა ჩეპურნიმ. — ჩეკენგურში ხალხი ფეხით მოვიდა. პოდა, გულმოდგინებენ, რათა ამხანაგურ სიმჭიდროვეში იცხოვრონ.

ყველა ჩეკენგურელის მსგავსად განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილი არც ჩეპურნის ჰქონდა. ასეთი პირობების გამოისობით ჩეპურნიმ და კოპიონკინმა თავი ერთ აგურის სახლს შეაფარეს, რომელიც შაბათობის მონაწილეებმა ადგილიდან ვერ დაძრეს. სამზარეულოში აბჯებზე თავმიდებულ ორ კაცს ეძინა, მოხეტიალეებს რომ ჰგავდნენ, ხოლო მესამე კაცი კარტოფილს ხელოვნურად წვაავდა, ზეთის მაგივრად ჩაიდნით ცივ წყალს ასხამდა.

— ამხანაგო პიუსია! — მიძარტა ამ კაცს ჩეპურნიმ.

— რა გინდა?

— ამხანაგი პროკოფი ახლა სად არის, ხომ არ იცი?

პიუსია ასეთ წვრილმან შეკითხვაზე პასუხის გაცემას არ ჩქარობდა და ალანძულ კარტოფილოთან ჭიდილს განაგრძობდა.

— სადმე იქნება შენს დედაკაცთან ერთად, — უთხრა ბოლოს.

— შენ აქ დარჩი, — უთხრა კოპიონკინს ჩეპურნიმ. — მე კი წავალ და კლავდიუსას მოვძებნი: ფრიად სანდომიანი ქალია.

კოპიონკინმა ტანსაცმელი გაიძრო, იატაკზე დაიფინა, ზედ სანახევროდ აშინებულბული წამოწვა, ხოლო განუმორებელი იარაღი გვერდით დაიხვავა. ჩეკენგურში თუმცა თბილოდა და ამხანაგობის სურნელი ტრიალებდა, მაგრამ ალბათ დაქანცულობის გამო, კოპიონკინს მაინც სევდა მოეძალა და გულმა სადღაც შორს წასასვლელად გაუწია. ჩეკენგურში ჯერჯერობით ვერ შეამჩნია აშკარა, თვალსაჩინო კომუნისმი — გულის ამარყვებელი, მაგრამ მტკიცე და ზნეობრიობის დამამკვიდრებელი სილამაზე ბუნების წიაღში, სადაც ხელახლა იშვებოდა მეორე პატარა როია — უქსემბურგი, ანდა მეცნიერულად მკედრუთით აღდგებოდა პირველი, გერმანიის ბურჟუაზიულ მიწაზე დაღუპული როია. კოპიონკინი ჩეპურნის უკვე შეეკითხა, ჩეკენგურში რა უნდა ვაკეთოთ? ჩეპურნიმ უპასუხა: არაფერი არ უნდა აკეთო, აქ არც რაიმე საზრუნავი გაგვანია და არც არაფერს ვსაქმიანობთ, შენთვის შინაგანად უნდა იარსებო! ჩეკენგურში ცხოვრება საამურია. ჩვენ მზეს საუკუნო შრომა დავაკისრეთ, ხოლო საზოგადოება სამუდამოდ დავშალეთ!

კოპიონკინი გრძნობდა, რომ თავად ჩეპურნიზე უკვე იყო, და სიტყვის შეუბრუნებლად დუმდა. კიდევ უფრო ადრე, გზაში, ჩეპურნის მოკრძალებით ჰკითხა, როია უქსემბურგი თქვენთან რომ ყოფილიყო, რა საქმიანობაზე დადგებოდა?

ჩეპურნის ამ შეკითხვაზე რაიმე განსაკუთრებული პასუხი არ გაუცია, მხოლოდ ეს უთხრა: აი, ჩეკენგურში მივალთ და ჩვენს პროკოფის ჰეიბს — იმას შეუძლია, ყველაფერი ნათლად გამოთქვას, შე კი მას მხოლოდ სახელმძღვანელოდ რეკოლუციურ წინათგრძნობას ვაძლევ! ხომ არ გეგონა, რომ ჩემი სიტყვებით გელაპარაკებოდი? არა, ყველაფერი პროკოფიმ მასწავლა!

პიუსიამ, როგორც იქნა კარტოფილი წყლით შეწვა და ორ მძინარე მსახურს გაღვიძება დაუწყო. კოპიონკინიც წამოდგა, რომ ცოტა თვითონაც შეეჭმია, რათა კუჭამოვსებულს ჭამის შერე სწრაფად დაეძინა და გულიდან სევდა გადაჰყოლოდა.

— მართალია, რომ ჩეკენგურში ხალხი კარგად ცხოვრობს? — ჰკითხა მან პიუსიას.

— ბედს არაკინ უჩივის! — აუჩქარებლად უპასუხა მან.

— აქ სოციალიზმი სად არის?

— შენ უცხო თვალთ უკეთ დაინახავ, — უხალისოდ უპასუხა პიუსიამ. — ჩეპურნი გვეუბნება, თქვენ თვალი მიჩვეული გაქვთ და ვერც თავისუფლებას ხედავთ და ვერც კეთილდღეობასო — ჩვენ ხომ აქაურები ვართ, ორი წელია, აქ ვცხოვრობთ.

— ადრე აქ ვინ ცხოვრობდა?

— ადრე ბურჟუები ცხოვრობდნენ. იმათთვის მე და ჩეპურნიმ მეორედ მოხვლა მოვაწყვეთ.

— ახლა ხომ მეცნიერებაა. განა ეს შესაძლებელია?

— ვითომ არა?

— ასე არა, დალაგებით მითხარი!

— მე, რა, შენი მთხრობელი ვარ? უბრალოდ, უცაბედი შემთხვევა იყო, კომისიის განკარგულებით.

— საგანგებო კომისიისა?

— მაშ რა.

— ჰო, — ბუნდოვნად მიხვდა კოპიონკინი. — ეგ საკსებით სწორია.

ეზოში, წნულ ღობეზე მიბმული პროლეტარული ძალა გარს შემოხვეულ ხალხს უცქეროდა და ხმადაბლა, ბრაზიანად ხუიხუინებდა. ბევრს უნდოდა, უცხო, ძლიერი ცხენი დაემორჩილებინა, ზურგზე შეხტომოდა და ჩეკენგურის ირგვლივ, სამიჯნო გზაზე ეჭვნებინა. მაგრამ პროლეტარული ძალა ამის მსურველებს კბილებით, დრუნჩისა და წიხლებით ბრაზიანად იცილებდა.

— შენ ხომ ახლა სახალხო პირუტყვი ხარ! — დაყვავებით ცდილობდა ცხენის დაყოლიებას გამხდარი ჩეკენგურელი. — აბა, რას ბობოქრობ?

კოპიონკინმა თავისი ცხენის ნაღვლიანი ხმა გაიგონა და მის დასახედად გავიდა.

— ჩამოშორდით, — უთხრა მან ცხენის ირგვლივ თავმოყრილ ხალხს. — თვალები რას დაგიჭყეტიათ, ვერ ამჩნევთ, რომ ცხენსაც თავისი გული აქვს?

— კამჩნევთ, — თავდაჯერებულად უპასუხა ერთმა ჩეკენგურელმა. ჩვენ ამხანაგურად ვცხოვრობთ, ხოლო შენი ცხენი ბურჟუა ბრძანდება.

კოპიონკინმა იქ მყოფ ჩაგრულთა მიმართ პატივისცემა დაივიწყა და ცხენის პროლეტარული ღირსება დაიცვა.

— მიჰქარავ, შე მაწანწალა, ჩემი ცხენით რეკოლუციამ ხუთ წელიწადს იარა, ხოლო შენ რეკოლუციას თავად აზიხარ ზურგზე.

კოპიონკინმა წყენა მთლად ვეღარ გამოთქვა — ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ეს ადამიანები მასზე ბევრად უფრო ჭკვიანები იყვნენ, მაგრამ ამდაგვარი სხვისი ჭკუა მარტოობის შეგრძნებას უღვივებდა. შერე დვანოვი გაახსენდა, ვინც ქონებაზე და სარგებლობაზე უწინარეს ცხოვრების აღვსებას ესწრაფოდა, — და იგი მოენატრა.

ღურჯი ჰაერი ჩეკენგურს კაეშანივით ჩამოსწოლოდა, ხოლო მეგობრამდე შორი გზა იდო, რაც ცხენის ძალას აღემატებოდა.

სევდით, ეჭვითა და მშფოთვარე მრისხანებით გულგავსებულმა კოპიონკინმა გადაწყვიტა, ჩეკენგურში რეკოლუცია ახლავე, ცხელ გულზე შეემოწმებინა.

„ბანდიტიზმის რუხური იქნებ აქ იმყოფება? — ეჭვიანად გაიფიქრა კოპიონკინმა. — ეხლა ეჩვენებ ამით, კომუნიზმი როგორია, ამ სოროებში მოკალათებულ ქვეწარმავლებს!“

კოპიონკინის ცხენი სასწრაფო საბრძოლო საქმიანობისთვის ნიადაგ მზად იყო და თავისი ფართო ამხანაგური ზურგი პატრონს დაგროვილ ძალთა მგზნებარებით შეაგება.

— წინ გამიძებ სირბილით, მაჩვენე, საბჭო სად არის! — მუქარით მიმართა კოპიონკინმა ქუჩაში მიმავალ ვილაც კაცს. იგი თავისი მდგომარეობის განმარტებას შეეცადა, მაგრამ კოპიონკინმა ხმალი იმიშვლა და კაცი პროლეტარულ ძალას გვერდზე სირბილით აადევნა. მეგზური ზოგჯერ პირს შემოაბრუნებდა და დამდურებით ყვიროდა, ჩვეულებრივად ადამიანი არც შრომობს და არც დარბის, ყოველგვარი გადასახადი და ბეგარა მზეს აკისრიაო.

„შესაძლოა, აქ მხოლოდ გამოსაჯანმრთლებელთა რაზმიდან შვებულებაში გაშვებულნი ცხოვრობენ? — მდუმარედ იჭვნეულობდა კოპიონკინი, — ანდა მეფის დროინდელ ომში ამ ალაგას ლაზარეთები იყო!..“

— ნუთუ მზემ ცხენის წინ უნდა ირბინოს, ხოლო შენ მხარეთმცოდნე იყო წამოგორებული? — ჰკითხა კოპიონკინმა სირბილით მიმავალს.

ჩვეულებრივი უზანგს ჩაეჭიდა, რათა გახშირებული სუნთქვა ჩაეწყნარებინა და უპასუხა:

— ჩვენთან, ამხანაგო, ადამიანი მოსვენებულია: მხოლოდ ბურჟუები ჩქარობდნენ, გამოძღომასა და სხვის ჩაგვრას ესწრაფოდნენ. ხოლო ჩვენ ვჭამთ და ვმეგობრობთ... ავერ შენი საბჭო.

კოპიონკინმა სასაფლაოს ჭიშკრის ზემოთ დაჭედებული უზარმაზარი ყოლოსფერი აბრა ნელა წაიკითხა:

„ჩვეულებრივი გათავისუფლებული რაიონის სოციალური კაცობრიობის საბჭო“.

თავად საბჭო კი ეკლესიაში იყო მოთავსებული. კოპიონკინი სასაფლაოს ბილიკს გაუყვა და ტაძრის კარიბჭეს მიაღწია.

„მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურაღნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისუენო თქვენ“.

რკალად ეწერა ეკლესიაში შესასვლელის ზემოთ და ეს სიტყვები კოპიონკინს გულს მოეფონა, თუმცა ახსოვდა, ვისი ლოზუნგიც იყო.

„სად იქნება ჩემი განსასვენებელი? — გაიფიქრა მან და საკუთარ გულში დაქანცულობა იხილა. — არა, ადამიანებს შენ განსვენებას ვერასოდეს მოუპოვებ: შენ ხომ კლასი კი არა, პიროვნება ხარ. ამჟამად ესერი იქნებოდი და მე ბოლოს მოგიღებდი“.

პროლეტარულმა ძალამ გრილ ტაძარში თავაღერებულმა შეაბიჯა და ეკლესიაში შესულ მხედარს ისეთი გაოცება დაეუფლა, თითქოს ბავშვობა დაბრუნებოდა და მშობლიურ მხარეში ბებიასეულ საკუჭნაოში აღმოჩენილიყო. კოპიონკინს ადრეც შეხვედრია თავისი ბავშვობისდროინდელი მივიწყებული ადგილები იმ მაზრებში, სადაც უცხოვრია, უხეტიალია და უბრძოლია. ოდესღაც თავის სოფელში ასეთსავე ეკლესიაში ლოცულობდა, მაგრამ ეკლესიიდან შინ — დედის სიახლოვესა და სიმეუდროვეში ბრუნდებოდა; არც ეკლესიები, არც იმ ფრინველთა ხმიანობა, რომელნიც მისი ბავშვობისას ფრთხილდებდნენ და ახლა ცოცხალნი აღარ იყვნენ, არც შემზარავი ბერიკაცები, ზაფხულობით იღუმალნი კიევისკენ რომ მიეხეტებოდნენ, — შესაძლოა, ეს კი არ იყო ბავშვობა, არამედ ის მღელვარება ბავშვისა, ვისაც დედა ცოცხალი ჰყავს და გრძნობს, რომ ზაფხულის პაერს დედამისის კალთის სურნელი უდის; იმ აღძვალ ჟამს ყველა მოხუცი ნამდვილად უცნაურია, იმიტომ რომ მათ დედები გარდაცვლილი ჰყავთ, მაგრამ ცხოვრობენ და არ ტირიან.

იმჟამად, როცა კოპიონკინი ეკლესიაში შევიდა, რევოლუცია რწმენაზე უფრო

ლატაკი იყო და წითელი მანუფაქტურით ხატების დაფარვა არ შეეძლო: გუმბათს ქვეშეთ დახატული ღმერთი საბაოთი დაუფარავად ჩამოსცქეროდა ამბიონს, სადაც რეკომის სხდომები ტარდებოდა. ახლა ამბიონზე მდგარ ხასხასა წითელ მაგიდას სამნი უსხდნენ: ჩევენგურის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — ჩეპურნი, ახალგაზრდა კაცი და ერთი ქალი, მზიარული, ყურადღებიანი სახე რომ ჰქონდა, თითქოს მომავალი დროის კომუნისტი ყოფილიყო. ახალგაზრდა კაცს მაგიდაზე ევტუშევსკის ამოცანათა კრებული ედო დასამოწმებლად და ჩეპურნის უმტკიცებდა, მზის ძალები ყველასთვის ნამდვილად იკმარებს, მზე დედამიწაზე თორმეტჯერ დიდიაო.

— პროკოფი, შენ ნუ ფიქრობ — მე ვიფიქრებ, შენ მხოლოდ ჩამოაყალიბე! — მითითებას ამლევდა ჩეპურნი.

— ამხანაგო ჩეპურნი, თაქად იგრძენი: ადამიანი რატომ უნდა გაინძრეს, როცა ეს მეცნიერული არ არის? — შეუჩერებლად უხსნიდა ახალგაზრდა კაცი. — ყველა ადამიანს თავი რომ მოუყარო, რათა დარტყმა ერთად მოახდინონ — ისინიც კი მზის ძალის პირისპირ ისევე იქნებიან, როგორც ერთპიროვნული გლეხია კომუნა-არტელთან შედარებით! გუბნები, უსარგებლო საქმეა!

ჩეპურნიმ აზრის მოსაკრებად თვალები დახუჭა.

— რაღაცას სწორად ამბობ, რაღაცას კი ბოდავ! შენ საკუროთხვევლში კლავდიუმას უაღერსე, ხოლო მე წინათგრძნობით მივხვდები, ეს ასე არის თუ არა!

კოპიონკინმა ცხენს მძიმე ნაბიჯი შეაჩერებინა და იქ მყოფთ თავისი განზრახვა განუცხადა: მთელი ჩევენგური მოუთმენლად და დაუყოვნებლივ უნდა გაეჩხრიკო, სადმე ფარული კონტრრევოლუციური კერა ხომ არ არისო.

— აქ ძალიან ბრძენები ხართ, — დაასრულა კოპიონკინმა. — ხოლო ჭკუას წყნარი კაცის დასაჩაგრავად ეშმაკობა ყოველთვის გააჩნია.

ახალგაზრდა კაცი კოპიონკინმა უმაღლესტატივად მიიჩნია. მას გაუმჭვირვალე შავი თვალები ჰქონდა, სახეზე ნაცადი, ეკონომიური ჭკუა ეჩატებოდა, მოშურნე, გეშის ამლები, უსირცხლო ცხვირი წამოზრდოდა, — პატროსან კომუნისტებს ქალამანივით გაბრტყელებული ცხვირი, მიმნდობლობისგან განაცრისფერებული და უფრო ნათესაური თვალები აქვთ.

— ყმაწვილო, შენ გაიდვერა ხარ! — სამართალი განაწესა კოპიონკინმა. — საბუთი მიჩვენე!

— ინებეთ, ამხანაგო! — კეთილმოსურნედ დაჰყვა კოპიონკინის ნებას ახალგაზრდა კაცი.

კოპიონკინმა წიგნაკები და ქაღალდები გამოართვა, სადაც ჩაწერილი იყო: პროკოფი დვანოვი, პარტიის წევრი ჩვიდმეტი წლის აგვისტოდან.

— საშას იცნობ? — ჰკითხა ახალგაზრდა კაცს კოპიონკინმა და, რადგან იგი მისი მეგობრის მოგვარე იყო, გულის დამამძიმებელი იერის ქონა დროებით შეუნდო.

— პატარაობისას ვიცნობდი, — ჭარბი ჭკუის გამომხატველი ღიმილით უპასუხა ახალგაზრდა კაცმა.

— მაშინ ჩეპურნიმ ცარიელი ბლანკი მომცეს — საჭიროა, რომ საშა გამოვიძახოთ. აქ ჭკუაზე ჭკუის დაკვესებაა საჭირო, რათა კომუნისტის ნაპერწკლები დაიფრქვეს...

— ამხანაგო, ჩვენთან ფოსტა გაუქმებულია, — განუმარტა კოპიონკინს ჩეპურნიმ. — ხალხი ერთად თავმოყრილი ცხოვრობს, ყველანი ერთმანეთს პირადად ხედავენ — მითხარი, გეთაყვა, ფოსტა რაღად უნდათ? აქ, ძმობილო, პროლეტარები უკვე მჭიდროდ შეკავშირებულნი არიან!

კოპიონკინი ფოსტის გამო დიდ ხინაჩულს არ მისცემია, იმიტომ რომ თავის სიცოცხლეში წერილი ორჯერ ჰქონდა მიღებული, ხოლო თვითონ მხოლოდ ერთხელ გაგზავნა, როცა იმპერიალისტურ ფრონტზე ცოლის სიკვდილის ამბავი შეიტყო და მიცვალებული ნათესავებთან გაგზავნილი წერილით შორიდან უნდა

დაეტირებინა.

— გუბერნიაში ფეხით ვერავინ ვერ წავა? — ჰკითხა ჩეპურნის კოპიონკინმა.

— ასეთი მოსიარულე გვყავს, — გაახსენდა ჩეპურნის.

— ვინ არის, ჩეპურნი? — გამოცოცხლდა ორივე ჩეპუნგურელის საყვარელი, მართლაც თვალგულმისასვლელი ქალი: კოპიონკინმა ისიც კი იგრძნო, ტბუკი რომ ყოფილიყო, ასეთ ქალს მოეხვეოდა და დიდხანს ჩახუტებული უყოლებოდა. ამ ქალისგან წყნარი და მაგრილებელი სიმშვიდე მოედინებოდა.

— ვინა და მიშკა ლუი! გაახსენა ქალს ჩეპურნიმ. — თუაღო ესე: გზისკენ უჭირავს! შენ გუბერნიაში გაგზავნი, ის კი მოსკოვში ანდა ხარკოვში ამოცხდის თავს, ჰოდა, უკან მაშინ დაბრუნდება, როცა წელიწადის დრო გასრულდება — ან ყვავილები აღმოცენდება, ან თოვლს დადებს...

— მე უფრო მოკლებზე ვატარებ, ისეთ დავალებას მიეცემ, — თქვა კოპიონკინმა.

— წაუდეს, — ნება დართო ჩეპურნიმ. — მისთვის გზა ჯაფა კი არ არის, მხოლოდ ცხოვრების განვითარებაა!

— ჩეპურნი, — შიშართა მას ქალმა. — ლუის ფქვილი მიუცი გადასაცვლელად, მოსახვევს მომიტანს.

— მიეცემთ, კლავდია პარფენოვნა, აუცილებლად მიეცემთ, მომენტს გამოვიყენებთ, — დაამშვიდა ქალი პროკოფიმ.

კოპიონკინმა დვანოვს წერილი ბეჭდური ასოებით მისწერა:

„ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო საშა! ამ ქალაქში კომუნიზმია და პირუკუ, — საჭიროა, რომ სასწრაფოდ ჩამოხვიდე ადგილზე. აქ მხოლოდ ზაფხულის მზე მუშაობს, ხოლო ადამიანები მარტო უსიყვარულოდ მეგობრობენ, ეს კია, დედაკაცები მოსახვევის გამოძალვას ცდილობენ, თუმცა სასიამოვნო არიან, რითაც ცხადად ზიანი მოაქვთ. შენი ძმა თუ ნათესავი მე ახლოდან არ მესიმპათიურება, მაგრამ ისე გცხოვრობ, როგორც დუბიექტი, რატომღაც მარტო ჩემს თავზე უფიქრობ, იმიტომ რომ პატივს დიდად არ მცემენ. აქ არაფერი არა ხდება — ამბობენ, ეს მეცნიერება და ისტორია არისო, ცნობილი კი არ არის. რევოლუც. პატივისცემით კოპიონკინი. ჩამოდი ხაერთო იდეურობის გულისთვის“.

— სულ რაღაც ფიქრები მიტრიალებს, რაღაც მეჩვენება და მეონია, — ჩემს გულგონებას გასაჭირი ადგას! — გაწამებით ამბობდა ჩეპურნი ჩაქუყრულ ტაძარში. — ჩვენ კომუნიზმი ან მოგვარებული გვაქვს ან არა! იქნებ ამხანაგ ლენინთან წავსულიყავი, რომ იმას პირადად ჩემთვის მთელი სიმართლე ჩამოეყალიბებინა!

— ურიგო არ იქნებოდა, ამხანაგო ჩეპურნი! — დაუდასტურა პროკოფიმ. — ამხანაგი ლენინი ლოზუნგს მოგცემს, შენ გამოართმევ და ჩამოიტან. თორემ ასე ყოფნა შეუძლებელია: მარტო ჩემი თავი ფიქრისთვის არ იკმარებს: ავანგარდიც იქანცება! თანაც, ამას გარდა, უპირატესობანი არ მერგება!

ჩემს გულს ანგარიშში აღარ აგდებ? სიმართლე მითხარი! — განაწყენდა ჩეპურნი.

პროკოფი, როგორც ჩანს, თავისი გონების ძალას აყვასებდა და საიმედო სიმშვიდეს არ კარგავდა.

— ამხანაგო ჩეპურნი, გრძნობა მასობრივი სტიქიაა, ხოლო აზრი — ორგანიზაცია. თუითონ ამხანაგი ლენინი ამბობდა, რომ ორგანიზაციას ყველაფერზე მაღლა უნდა ვაყენებდეთ...

— შენ აზროვნებ, ხოლო მე ვიტანჯები — რა უფრო უარესია?

— ამხანაგო ჩეპურნი, მოსკოვში მეც გამოგყვები, — განაცხადა ქალმა, — ცენტრი არასოდეს მინახავს — ამბობენ, საკვირველი რამეაო!

— რაღა გიჭირთ! — შესძახა კოპიონკინმა. — ჩეპურნი, ეს ქალი პირდაპირ ლენინთან მიიყვანე და უთხარი, ამხანაგო ლენინო, აჰა, კომუნიზმისთვის მთლად გამზადებული ქალი მოგგვარე-თქო! ვიგინდარები ხართ ნამდვილი!

— რაო? — გაფაციცდა ჩეპურნი. — შენა გგონია, ჩვენ საქმე ისე ვერა გვაქვს?

— დიან, კერა გაქუთ!

— მაშ რა უნდა ვქნათ, ამხანაგო კოპიონკინო? მე გრძნობები უკვე მომექანცა.

განა მე კი ვიცი? ჩემი ხელობა მტრული ძალების მოსპობაა. მთლიანად როცა მოვსპობ, მაშინ, რაც საჭიროა, ყველაფერი თავისით მოგვარდება.

პროკოფი თამბაქოს ეწყოდა და კოპიონკინისთვის სიტყვა ერთხელაც არ შეუწყვეტინებია, იმას ფიქრობდა, ეს არაორგანიზებული შეიარაღებული ძალა რევოლუციისთვის მომარჯვებული როგორ გავხადო.

— კლავდია პარფენოვნა, წამოდი, გავიაროთ და ცოტა თავი შევიძვიროთ, — ძალზე ზრდილობიანად შესთავაზა ქალს პროკოფიმ. — თორემ დასუსტდებით!

როცა ეს წყვილი კარიბჭეს გასცდა, კოპიონკინმა ჩეპურნის იმათკენ მიუთითა:

— ბურუჯაზიაა — მხედველობაში იქონიე!

— მართლა?

— უეჭველად!

— მაშ ახლა რაღა ვქნათ, სად გადავიკარგოთ? თუ ესენი ჩვევენგურს გამოვაკლოთ?

— აბა, პანიკას ნუ წაუშვერ ქედს! კომუნიზმი იდეას მოაცილუ და შენს სხეულში შეიარაღებული ხელით შეუშვი! აი, საშა დვანოვი ჩამოვა და ის გაჩვენებთ, რა როგორ უნდა!

— ალბათ ჭკვიანი კაცია, არა? — თქვა შემკრთალმა ჩეპურნიმ.

— იმის თავში, ამხანაგო, სისხლი აზროვნებს, შენი პროკოფის თავში კი — ძვალი, ამაყად და მკაფიოდ განმარტა კოპიონკინმა. — ახლა მაინც გასაგებია?.. აჰა ბლანკი — ამხანაგი ღუი გზას გაუყენე.

ჩეპურნი გონების დაძაბულობისგან ვერაფრის მოფიქრებას ვერ ახერხებდა — მარტოოდენ მივიწყებული, უსარგებლო ამბები ახსენდებოდა, რაც ჭეშმარიტების არავითარ შეგრძნებას არ იძლეოდა. მის გონებას ხან ტყეში ნაგები პოლონური ეკლესიები წარმოესახებოდა, რომლებთანაც მეფისდროინდელ ომში მარშით ჩაუვლო, ხანაც თვალწინ დაუდგებოდა თბრილთან მჯდარი თბილი გოგო, ანგულოზას რომ ჭამდა. მაგრამ ეს გოგონა, ჩეპურნის სულს უსარგებლოდ რომ შემოენახა, როდის ჰყავდა ნანახი, ვეღარასოდეს გაიხსენებდა. ცოცხალი იყო თუ არა, ამის თქმასაც ვერ შეძლებდა; შესაძლოა, ის გოგონა კლავდიუსმა გახლდათ — მაშინ მართლაც ფრიად მშვენიერი ყოფილა და მასთან განშორება სევდას მოჰგვრიდა.

— რა სხეულივით იყურები? — ჰკითხა ჩეპურნის კოპიონკინმა.

— ისე, ამხანაგო კოპიონკინო, — ნალვლიანად წარმოთქვა ქანცმილუულმა ჩეპურნიმ. — ჩემს არსებაში ცხოვრება ღრუბლებივით მიედინება!

— კი არ უნდა მიედინებოდეს, უნდა მიიგრავნებოდეს, — გამჩნევ, ამიტომაცაა, შეუძლოდ რომ ხარ, — თანაგრძნობით უსაყვედურა მას კოპიონკინმა. — აქაურობას მოვცილდეთ, სუფთა ჰაერზე გავიდეთ: აქ სირისტიანი ღმერთის რაღაცნაირი სუნი დგას.

— გავიდეთ, შენი ცხენი გამოიყვანე, — შვებით ამოისუნთქა იაპონელმა. — სუფთა ჰაერზე მეტი ძალ-ღონე მომიცემა.

გარეთ როცა გავიდნენ, კოპიონკინმა იაპონელს ტაძარ-რევეკომზე წარწერა აჩვენა: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი“.

— საბჭოურად გადააკეთე!

— ფრაზის მომგონებელი არავინ არის, ამხანაგო კოპიონკინო.

— პროკოფის დააკალო!

— არც ისე განსწავლულია — ვერ დაძლევს; ქვეძებარე იცის, ზმნა გადავიწყებული აქვს. შენს დვანოვს მდივნად ავიყვან, ხოლო პროკოფიმ თავისუფლად იკუნტრუშოს... მითხარი, გუთაყვა, ეს ფრაზა რატომ არ მოგწონს? მთლიანად ხომ კაპიტალიზმის წინააღმდეგ არის მიმართული...

კოპიონკინი საშინლად მოიღუშა.

— შენა გგონია, ღმერთი მთელ მასებს ერთპიროვნულად დაამშვიდებს? ეს ბურჟუაზიული მიდგომაა, ამხანაგო ჩეპურნი. რევოლუციური მასა თავადვე დამშვიდდება, როცა აღსდგება!

ჩეპურნი ჩევენგურს გასცქეროდა, სადაც მისი იდეა იყო დამკვიდრებული. წყნარი საღამო ღვებოდა, ჩეპურნის სულიერ იჭვნეულობას, იმ წინათგრძნობას რომ ჰგავდა, რომელსაც აზრის მუშეობით გამოფიტვისა და დამშვიდების უნარი არ შესწევს. ჩეპურნიმ არ იცოდა, რომ საყოველთაო ჭეშმარიტება ფაქტობრივად აზრი არსებობდა — ძალზე ბევრი ადამიანი ჰყავდა ნანახი, სხვადასხვაგვარად იყვნენ და ერთი კანონის მიმდევარნი ვერ იქნებოდნენ. პროკოფიმ ჩეპურნის ოდესღაც შესთავაზა, ჩევენგურში მეცნიერება და განათლება შემოვიღოთო, მაგრამ ჩეპურნიმ ამგვარი ცდების ჩატარების ყოველგვარი იმედი გადაუწურა. „რას ამბობ, — უთხრა პროკოფის, — ნუთუ არ იცი, მეცნიერება როგორია? ის ხომ მთელ ბურჟუაზიას პირს უკანვე აქნევინებს. ყოველი კაპიტალისტი მეცნიერად იქცევა, ორგანიზმებს ფხვნილით დაამარილებს, ხოლო შენ იმათ ანგარიშს უნდა უწევდე! ამას გარდა, მეცნიერება მხოლოდ ვითარდება, რითი დასრულდება — ეს კი არავინ უწყის“.

ჩეპურნი ფრონტებზე ძალიან ავადმყოფობდა და მედიცინა ზეპირად შეისწავლა, ხოლო როცა გამოჯანმრთელდა, მაშინათვე ასეულის ფერშლობაზე გამოცდა ჩააბარა, მაგრამ ექიმები გონებრივ ექსპლუატატორებად მიაჩნდა.

— რა გგონია? — ჰკითხა კოპიონკინს. — შენი დვანოვი ჩვენთან მეცნიერებას ხომ არ შემოიღებს?

— ამაზე ჩემთვის არაფერი უთქვამს: მისი საქმე მხოლოდ კომუნიზმია.

— თორემ მეშინია, — აღიარა ჩეპურნიმ, თან რაღაცის მოფიქრებას ცდილობდა, მაგრამ დროულად გაახსენდა, რომ მისი ეჭვი მეცნიერების თაობაზე პროშკამ ზუსტად ჩამოაყალიბა. — პროკოფიმ ჩემი ხელმძღვანელობით ფორმულირება მოახდინა, რომ ჭკუაც ისეთივე ქონებაა, როგორც სახლი; მაშასადამე, უშეცრებსა და დაუძღვრებულებს დაჩაგრავს...

— შენც ადექი და ბრიყვები შეაიარაღე, — გამოსავალს მიაგნო კოპიონკინმა. — აბა, მაშინ გაუბედოს ჭკვიანმა ფხვნილით ახლოს გაკარება! აი, მე, რა გგონია, ვინა ვარ? მეც, ძმობილო, ბრიყვი ვარ, მაგრამ სავსებით თავისუფლად ეცხოვრობ.

ჩევენგურის ქუჩებში ხალხი მიმოდიოდა. ზოგიერთნი დღეს სახლების გადაადგილებით იყვნენ გართულნი, ზოგიერთებს კი ბაღები ერთი ალაგიდან მეორეზე ხელიხელ გადაჰქონდათ. მერე დასასვენებლად მიდიოდნენ, რათა ამ დღეს მორჩენილი დრო ამხანაგებს შორის მუსაიფში გაეტარებინათ. ხვალ შრომა და საქმიანობა აღარ დასჭირდებოდათ, რადგან ჩევენგურში ყველასა და თვითულის ნაცვლად მხოლოდ და მხოლოდ მზე მუშაობდა, ამ ქალაქში მსოფლიო პროლეტარად რომ იყო გამოცხადებული. ხალხის საქმიანობა კი აუცილებელი არ გახლდათ, — ჩეპურნის შეგულიანებულმა პროკოფიმ შრომას საგანგებო განმარტება მისცა: შრომა ერთხელ და სამუდამოდ გამოცხადებულ იქნა სიხარბის გადმონაშთად და ექსპლოატაციურ-ცხოველურ ავხორცობად, იმიტომ რომ შრომა ხელს უწყობს ქონების წარმოშობას, ქონება კი ჩაგვრას წარმოქმნის; ხოლო თვით მზე ყოველი ადამიანის არსებობისთვის სრულიად საკმარის ნორმალურ ულუფას გაიღებს და ხალხის განზრახ შრომით ამ ულუფის ყოველგვარი ზრდა კლასობრივი ომის კოცონს უფრო მეტად ალაგზნებს, ვინაიდან ზედმეტი მაენე საგნები იქმნება. თუმცადა, ჩევენგურში ხალხი ყოველ შაბათს შრომობდა, რამაც კოპიონკინი განაცვიფრა, რადგან მზის სისტემა ჩევენგურის ცხოვრებისა ცოტათი ამოცნობილი ჰქონდა.

— ეს შრომა კი არა, შაბათობებია! — განუმარტა მას ჩეპურნიმ. — პროკოფი ამის თაობაზე სწორად მიმიხვდა და დიადი ფრაზა მომცა.

— რაო, პროკოფი შენი ამომცნობი ხომ არ არის? — დაინტერესდა კოპიონკინი,

რადგან მის მიმართ უნდობლობას გრძნობდა.

— ოპ, არა — ეს ისე: თავისი ვიწრო აზროვნებით ჩემს დიად გრძნობებს ასუსტებს. მაგრამ ენაწყლიანი ყმაწვილია, უმაგისოდ დამუნჯებული ვიქნებოდა და ეს გამაწამებდა... შაბათობებზე კი არაერთადი ქონების წარმოქმნა არ ხდება, — განა ამის ნებას ვინმეს მივცემ? უბრალოდ, წვრილბურჟუაზიული მემკვიდრეობის ნებაყოფლობითი მოსპობა თავისთავად მიმდინარეობს. აქ მხაგვრეობა, ანა, საიდან იქნება, გეთაყვა!

— არ იქნება, — გულწრფელად დაეთანხმა კოპიონკინი.

ჩეპურნი და კოპიონკინი შუა ქუჩაში გამოთრეულ ფარდულში შევიდნენ და გადაწყვიტეს, ღამე იქ გაეთიათ.

— ჯობდა, შენს კლავდიუმასთან წასულიყავი, — ურჩია ჩეპურნის კოპიონკინმა.

— ქალს გული არ უნდა ატკინო!

— კლავდიუმა პროკოფიმ უცნობ ადგილას წაიყვანა: დაე, გაიხაროს — ჩვენ ყველანი ერთნაირი პროლეტარები ვართ. პროკოფიმ განძიმარტა, რომ მე იმაზე უკეთესი არა ვარ.

— შენ თვითონ არა თქვი, დიადი გრძნობები მაქვსო? ასეთი კაცის გამო კი ქალი უფრო გაეწამება.

ჩეპურნი საგონებელში ჩავარდა, ეს მართლაც ასეაო! მაგრამ გული უწუნდა და დღეს ფიქრი შეეძლო.

— ამხანაგო კოპიონკინო, ის დიადი გრძნობა ახალგაზრდულ ადგილებს კი არა, მკერდსა მტკენს.

— ჰო-ო, — თქვა კოპიონკინმა, — მაშინ ჩემს გვერდით მოიხვეწე: გული მეც მაწუხებს!

პროლეტარულმა ძალამ ბალახის ჭაშა მოათავა, კოპიონკინმა ქალაქის მოედანზე რომ მოუთიბა, და შუალაშისას თვითონაც ზვარდულის იატაკზე დაწვა. ცხენს ისე ეძინა, როგორც ზოგიერთ ბავშვსა სჩვევია — თვალები სანახევროდ გახელილი ჰქონდა და ძილშიაც კოპიონკინს თვინიერად უცქეროდა, რომელსაც ახლა ცნობიერების ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა და თავდაუიწყების სევდიანი, ქუფრი გრძნობით გათანგული მხოლოდ კენესოდა.

სიბნელით მოცული ველის ღამეულ დრო-ჟამში ჩვევგურის კომუნიზმი უმწეოდ შთენილიყო, რადგან შინაგანი ცხოვრებისგან დაქანცული ადამიანები ძილის მეშვეობით დაღლილობას იქარვებდნენ და თავიანთი მრწამსი დროებით გადავიწყებული ჰქონდათ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



თარგმნა აკოპანდოლ გურბანიძემ.



ქართული
საბჭოთაო
გამომცემლობა

მშობლიური მანა

მთელი სამყარო
ერთ ენაზე მოთქვამს და ტირის,
მთელი სამყარო
ერთ ენაზე იცინის მხოლოდ.
მშობელ ენაზე
შენ საკუთარ ტკივილებს შველი
და ხიხარული
სიმღერებად ამოფრინდება.

მშობელ ენაზე
დუდის გამო დარდიანდები,
ღეინოც ფრთებს გასხამს,
სუფრაც უფრო ხელგაშლილია.

თვითონ იცინი მხოლოდ იმ ერთ
მშობელ ენაზე,
მხოლოდ და მხოლოდ ამ ენაზე
იკავებ ცრემლებს.

როცა ვერ შეძლებ
ველარც ტირილს და ველარც სიცილს
როცა აღერსი და სიმღერა
არ შეგეძლება,
შენსაც მიწასთან,
შენსაც ცასთან, საკუთარ თავთან
შენ დადუმდები
და მაშინაც — მშობელ ენაზე.

ქიშვი

ქალი,
ბაგენი..
სიფლვარე
ცისკრის ვარსკვლავის.

თმები კი მოკლე—
პოეტების სიცოცხლესაგით.
თვალები,
როგორც მოხასხასე მწვანე გულები.

მუდამ ფეხზე ხარ,
აღმოდებულ ცხოვრების მზის ქვეშ.
მხოლოდ ღანდილა,
შენი ღანდი ფშვინავს მიწაზე.

მხოლოდ ღანდილა,
უკვდავების ერთი ფოთოლი—
ამ დედაძიწის დიდ ყრილობაზე.

განა ჩემთვის სულერთია

განა ჩემთვის სულერთია,
მოხვალ თუ არ მოხვალ,
თუმცა ვუმზერ მზეს და მთვარეს—
ვხარობ ჩემთან რომ ხარ.

განა ჩემთვის სულერთია,
რა ნაღველი მათრობს.

ქარიშხლები სულს ერთვიან,
მაგრამ ვუსმენ მნათობს.

განა ჩემთვის სულერთია,
ხარ თუ არ ხარ ახლოს.
ჩემს ღუძილში, ერთ ღუძილში
ცხრა იმედი სახლობს.

დედას

დავბრუნდები ომის გზიდან—
უწინარეს შენთან მოვალ,
დავბრუნდები კოსმოსიდან—
უწინარეს შენთან მოვალ;
დამადგამენი მუფის გვირგვინს
უწინარეს შენთან მოვალ;
ჩამაგდებენ ბნელში ფიქრით

უწინარეს შენთან მოვალ;
უცხო ქვეყნის გზებმოვლილი
უწინარეს შენთან მოვალ,
საფლავიდან წამომდგარი
უპირველეს შენთან მოვალ;
რომც ვიცოდე, ვერ მოგაგნებ—
უწინარეს შენთან მოვალ.

შენ

მოვადექი დილით კარებს,
რომ გამეგო, რას იტყვოდი შენ.
საჭმელს სულ არ გავეკარე,
რომ გამეგო, რას იტყვოდი შენ,
დამირეკა უცხო ქალმა,
რომ გამეგო, რას იტყვოდი შენ.
განშორების დაჰკრა ზარმა,
რომ გამეგო, რას იტყვოდი შენ.

ზღვის ხილრმეში ვყვინთავ სიმწრით,
რომ გავიგო, რას, რას იტყვი შენ.
ნაპირამდე გასვლაც ვიცი,
რომ გავიგო, რას, რას, იტყვი შენ.
მე ხესავით მზეზე ვშრები,
რომ გავიგო, რას, რას იტყვი შენ.
შენ იცოცხლე, მე კი ვკვდები,
რომ გავიგო, რას, რას იტყვი შენ.

როცა

როცა მოკვდე, ჩავვარდე
ამ დღეში თუ იმ დღეში—
მომათავსე მაგ თვალთა
უსასრულო ხილრმეში.

მეგობრები საფლავზე
მოვლენ თვალებსველები,
შენს წინ დაიჩოქებენ
ქვითინით და ცრემლებით.

მტკრმა რომ გაიხაროს,
არ ჩამაგდო იმ დღეში,
არ დამტოვო ქვის ქვეშ და
შავი მიწის ხილრმეში.

მაგ თვალებში ჩამძარხე,
მოციმციმე ნათელო,
ჩემო ქალო პირველო
თანაც უკანასკნელო.

თეთრი ლექსი

ჭალარა დედის—
როგორც თოვლი განთიადისას
იხე თეთრია,
მოშიშია თუ
გულმაგარი,
ეს სულერთია.
იქნებ მოშიშიც
თეთრ თოვლზედაც
უფრო თეთრია.

ცას ვერ წაართმევ
შაშვის გალობას,
ჩემი ბაგედან სიტყვა “დედას”
ვერ მოაცილებ.
ანარეკლს მზისას
ვერ წაშლი წყალზე,
განუყრელი ვართ მარად
მე და ხატება დედის.

დედაჩემს ევლოკიას

პოი, როგორ მიფრინავენ—
 დღეები და წლები!
 ვცადე მათი შეჩერება,
 წუთი წამად იქცა.
 ეჭიდება კაკლის ფოთლებს
 ქარი გამწარებით,
 წყლებიან და ეცემიან
 მამისეულ მიწას.
 ჩემს საფლაგზე,
 რომ შეწყდება

ჩემი გულის ფეთქვა,
 ჩემს საფლაგზე,
 როცა გული
 დამშვიდდება—
 წააწურეთ, გვედრებით,
 ფრაზა ერთადერთი;
 “აქა
 დედა ევლოკიას
 განისვენებს ვაჟი”.



დედის სიმღერა

თავი მომაქეს თეთრი თმითა,
 ყელსაბაში მე რად მინდა.

ნუ, თავშალხაც ნუ მაჩუქებ,
 ახალგაზრდა არ ვარ უკვე.

ეს ღამაში შალის კაბაც
 რაღად მინდა მოხუცს, აბა!

მოხდენილი ფეხსაცმელი,
 მე რად მინდა, სიკვდილს ველი.

ეს ხომ შვილი, ყველაფერი
 არის სარძლოს შესაფერი.

მე რა თავში ვიხლი ახალს,—
 მიწაში ვინ დამინახავს.

საიდან

სიღამაზე გარდასული
 შენ საიდან გახსოვს, დედა?
 ერთი ფოტოც არ შემოგრჩა,
 არც სარკეში ჩაგიხედავს.

გადაბუგულ შავ მიწაზე
 დატეხილი ეგდო სარკე,
 წყალშიაც არ ჩაგიხედავს,
 სულ სარეცხით იყო სავსე.

და შვილების თვალებშიაც
 თარეშობდა გვალების ფერფლი.
 სიღამაზე გარდასული
 შენ საიდან გახსოვს, დედი,—

თუ სარკმელიც მომლოდინე
 იყო მუდამ დანისლული
 შენთან თვალთა ნალველისგან
 შენი სულით, მარტოსულით.

მხენელი

როცა პური დამჭირდება,
 მასთან—მხენელთან—მივდივარ.
 სიმღერები დამჭირდება,
 მასთან—მხენელთან—მივდივარ.
 სიკეთე რომ დამჭირდება,
 მასთან—მხენელთან—მივდივარ.
 სიჯიუტე დამჭირდება,
 მასთან—მხენელთან—მივდივარ.
 ამოსუნთქვა დამჭირდება,
 მასთან—მხენელთან—მივდივარ.
 ციციქნა უკვდავებისათვის

მასთან—მხენელთან მივდივარ.
 ვარსკვლავებით ნაჭულ ცისთვის
 მასთან—მხენელთან—მივდივარ,
 ჩემს ლექსებს რომ მოუსმინოს,
 მასთან—მხენელთან—მივდივარ.
 ... ის ისვენებს, მე ვაღვიძებ,
 თუმცა დიდი რიდი მაქვს.
 —შენ იხარე, მხენელო კაცო,
 სიტყვით, საქმით თუ ლოცვით,—
 ვამბობ და თან მიწით მოთხვრილ
 მძიმე ხელებს ვუკოცნი.

ქალი

ის
 ყოფილიყო უნდა ფრინველი,
 რომ
 შორიახლო ღმერთთან ეფრინა,
 მაგრამ უფალმა
 მისთვის ფრთები არ გაიშუტა.
 მაშინ მოვიდა მამაკაცი,
 დიდხანს გოცნიდა,
 ეფერებოდა მარმარის ფრთებზე,
 იქ სადაც უნდა
 ამოზრდილიყო მსუბუქი ფრთები.
 ასე აქცია მამაკაცი
 ქალი ფრინველად.
 და შეძლო ქალმა აღმა ფრენა
 კაცზე უმეტეს.
 მაგრამ სულ მალე
 მამაკაცის დაეშვა მხრებზე—

ქალს მიწისაკენ იზიდავდა
 ამბორი კაცის,
 გემო რომლისაც
 შერჩენოდა პაწაწა ფრთებზე
 და კიდევ
 ლაჭკ მიწისფერი
 კაცის სახეზე
 და მკერდი—
 ოღნავ ამობურცული,
 თაფლისფერი და პრგვალი—
 პურივით.
 მამაკაცის მხრებს
 ვეღარ მოწყდა მის მერე ქალი
 და მაინც კაცმა
 ქალის ფრთებით სცადა აფრენა
 მასთანვე ერთად.

ღურბინდი

ბაეშობაში
 ღურბინდი
 მისახსოვრეს.
 მას მერე
 ყველაფერს კადიდებდი.
 ორმოცდაშვიდში
 ვადიდებდი ნამცეცს პურისას,
 როგორმე შუაზე რომ გამყუო,
 პრუტის ტალღებსაც ვადიდებდი,

მანამდე სანამ
 არ გამიჩნდა
 შიში და ძრწოლა.
 მე ვადიდებდი
 წიგნში
 ძიებს უღვაშებიანს,
 და ივსებოდა სახლი მყისვე
 თავთუხის ფხებით.

მერე სიტყუებსაც ვადიდებდი,
 სანამ ისინი,
 როგორც ზარები ეკლესიის
 არ დარეკავდნენ.
 ზოგჯერ დუმილსაც ვადიდებდი
 მანამდე, სანამ
 ჩაღის ღერებში

ჯაშუშების ძესძოდა სუნთქვა.
 არ ვიცი როგორ,
 ჩემმა ბიჭუნამ
 იმ სათაძაშო ღურბინდს შიგნით.
 ეს იყო გუშინ,
 დღეს კი, ამ დღით
 მე ნამსხვრევებად ვაქციე იგი.

სიმღერა

“მომე თვალები,
 მომე ტუჩები,
 მომე ხელები შენი!”

მომცა თვალები—
 საკუთარი
 ვიხილე თავი.

გავასხივოსნე.
 მერე ტუჩებით,
 მისი ტუჩებით
 ვკოცნე ლოყები.

მომცა ტუჩები—
 საკუთარ თავს
 ვკოცნი გიჟივით.

მერე ხელებით,
 მისი ხელებით
 ავიტაცე
 მამულზე მაღლა.

მომცა ხელები—
 საკუთარ თავს
 ვიხუტებ გულში,
 მერე თვალებით,
 მისი თვალებით

და ვყურინავთ მერე
 ერთმანეთს
 საერთო ფრთებით.

ვინც მე მიმიზნებს
 ჩემს ბავშვს უმიზნებს.
 რა დააშავა მან?

რა არის ჩემი დანაშაული,
 თუ არაფერი არ მაბადია—
 ზღვა სიხარულით სავსე გულისა
 და ოფლიანი პურანგის გარდა,
 სიყვარულით რომ გაუღუნოილია.

ვინც მე მიმიზნებს,
 დედას უმიზნებს.
 რა დააშავა მან?

ვინც მე მიმიზნებს,
 ჯვარს უმიზნებს
 მამის საფლაკზე.
 რა დააშავა მან?

დანარჩენი კი,
 რაც გარშემოა,
 ეს— მე კი არა,
 ჩვენა კართ—ყველა!

სიმღერა ომის უმღებ

— ლამაზო, მითხარ, ლამაზო,
რად გენახება აღურსი?

— ო, აქვე გაჭრილ აკვანში
ჩემს პაწაწინას ძინავს.

— ლამაზო, სახლი დავტოვით,
წამო ცაცხვის ქვეშ, ჩრდილში,
ძველი ცაცხვის ქვეშ, გეთაყვა,
ბაბუას ჩემსას ძინავს.

— ლამაზო, ჯანიც გავარდეს,
მინდვრად გავიღეთ მაშინ.

— მინდვრად, აყალო მიწაში
ქმარი მარხია ჩემი.



ქართული
საქმიანობა



აზერბაიჯანულიდან

თარგმნა იმირა მამედოვა.



ქართული
საბჭოთაო
ლიტერატურის
სამელოლო
სამსახური

ჩვენი საუბრის უივი

მთვარე სუსტად აენტო,
აღე, მთვარე გამორთე!—
მეშინია, ვაითუ
ღამეებიც წაგვართვან...

ხესაც, კაცხაც, უფალხაც
ვით სურთ ისე გათლიან...
გულზე ყვავილს ნუ იბნევ,
ცუდის ნიშნად ჩათვლიან.

თოვს, ნურავის გაუმხელ,
თოვს, ნურავის ახარებ;
მოჩიჩქნიან, თოვლის ქვეშ
პირველ იას ნახავენ...

მთვარე სუსტად აენტო,
აღე, მთვარე გამორთე!—
მეშინია, ვაითუ
ღამეებიც წაგვართვან...

წერილს თუ მომწერ,
ჩემი სახლის მისამართზე არ მოიწერო.
მაგრად დასეტყვილ ბაღაჩების სუნით
გაუღუნოილ
სიზმრებში ვწევარ.
შენც ამ სიზმრების მისამართზე გამოგზავნე
წერილს თუ მომწერ.

მე რომ მოვკვდები
ქარი იქროლებს იმ დღეს ქუჩებში.
ააფრიალებს
თოკზე გაფენილ ჩვილის საფენებს,
როგორც სიკვდილის
თეთრ ბაირალებს...

მთვარეც ხალი, მზეც ხალია,
ოდითგანვე ვიცი მე.
კასპიის ზღვა ცოცხალია,
კარგო, მშვიდად იძინე...

მოგიტანე რაც მემართა,
გულიც, სულიც დამალე...
ვდგევარ,— ნათლის სვეტი ვარ და
ვწვები,— შენი სამარე...

ეული ხე სხვა ხეს ეძებს,
მას სწვავს ნატურის ღუმელი...
მოველ, თუმც ნუ გაიღვიძებ;
ღე, გესიზმროს ღიძილი.

მზე და მთვარე ხელზე მიზის,
ვარსკვლავეთი ციმციმებს...
ღღე—ღამეს ხომ მე ვფლობ ისევ,
კარგო, მშვიდად იძინე.

ცოტა დარჩა შენს მოხვლამდე,—
 ორად ორი საათი;
 არ მოხვიდე, გენაცვალე;
 წავალ ტაატ—ტაატით.

მოლოდინმა გზა დემროისკენ
 მაპოვნინოს კინალამ...
 სიყვარული კიარა და
 მარტოობა მინახავს.

დაივიწყე პირობა, ან
 “აუად გახდი” ამ დილით.
 არ მოხვიდე, სიხარული
 ცუდადა მაქვს დაცდილი.

სიტყვას ეძებს, როგორც მიზებს,
 ხელის ჩრდილიც ხელივით,
 მარტოობა სულში მიზის,
 ყმუის, ყმუის მგელივით.

დრო სიცოცხლეს მეტილქება,
 ხან ვერ მიაქვს, ხან მიაქვს...
 არც მოვარე ჩანს, არც ვარსკვლავი
 სასიკვდილო ღამეა.

დემროსო, მომკალ სანახევროდ,
 ამასა გთხოვ მარტო მე,
 რათა თავი დავიტვირო
 სანახევროდ დამტოვე.

სადღა გიშოვო მე სხვა სიცოცხლე ?..

“—არიფას მიუცი ჩემი სათამაშო. მას
 ხელიდან დაუკარდა და გაუტყდა. მერე
 რა მოხდა? სხვას მიეცემ, დაე, ითამაშოს.”

ბავშვი

გითხარი: ძლიერ მიყვარხარ.—
 დააგდე და დაამტვრიე ჩემი სიყვარული...
 ძლიერ მიყვარხარ!—გაგიმეორე.

გითხარი: გთხოვ მაპატიო...—
 დააგდე და დაამტვრიე ჩემი ცოდვები...
 მაპატიეო,—გაგიმეორე.

გითხარი: არ დამივიწყო.—
 დააგდე და დაამტვრიე მოგონებები...
 არ დამივიწყო.— გაგიმეორე.

... ჩემი სიცოცხლე მოგეცი ბოლოს;—
 იგიც დააგდე და დაამტვრიე...
 სადღა გიშოვო მე სხვა სიცოცხლე?..

ერთი სიცოცხლე მესიზმრა, ძმაო,
 აუმღვრეველი.
 ერთი ბილიკი მესიზმრა, ძმაო,
 მგზავრთა მშველელი.
 და ერთი ლექსი მესიზმრა, ძმაო,
 დაუწერელი.

გადიან წლები,
 გადის ცხოვრება,
 გადის და... შენ რა?!—
 ეჰ, ძია ვაგიფ,
 მხოლოდ ბავშვებთან ნახულობ ისევ
 საერთო ენას,
 როგორც ფერადი სურათებით
 მორთული წიგნი.

ვერ გაგოვინდი

—მე ერთ დღეს ღამაში ვიყავი.



მე ერთ დღეს ვიქეც შორ ჰორიზონტად,
ნისლი ჩამოწვა იმავე დღეს ზღვაზე
და ვერ გამოვინდი.

მწვანემ დამფარა
და ვერ გამოვინდი.

მე ერთ დღეს ვიქეც მეჩუთისკენ მავალ
ბილიკად,
ამგლელ ჩამგლელი არავინ იყო,

მე ერთ დღეს ვიქეც ალაღ ღიმილად,
კარგად არ მახსოვს რა მოხდა... მაგრამ
კვლავ ვერ გამოვინდი.

გზის პირას ვზივარ
და შევეყურებ ადამიანებს,
(ალბათ დღეს უფრო მოქალაქეებს),
დასაბამიდან გამოყოფილი
ინერციის ძალის წყალობით

ყველანი სადღაც მიიჩქარიან...
არ დაიღალა,
არ ჩამოჯდა ჩემს გვერდით ერთიც.
გზის პირას ვზივარ...

უთქვენოდ მოთქვამს ყოველი ჩუმად,
თქვენი ნატრული გული მწვრალი მაქვს.
რა ვქნა, ტალღებო, თქვენს გასაჩუნად
არც ზღვა და აღარც ქარიშხალი მაქვს.

ამ წვიმის შემდეგ
ბალახის და მიწის სურნელით
გაჟღენთილ ბაღში
იმ ორ ნაძვს შორის მამაჩემი უნდა
მჯდარიყო;
უკვე ოთხმოცს მიტანებული
სიმპათიური, თეთრი მოხუცი,
და ტოტებში ჩამოწურული

ეს მზის ნათელი
სახეზე უნდა გადაჰფენოდა...
... არსებობს მიწის და ბალახის მძაფრი
სურნელი,
დგას ორი ნაძვი
და მათ ტოტებში მზის ნათელი ჩამოდის,
მაგრამ
არ ეფინება მამას სახეზე.



თარგმნა მანია დიასაძიძე



მკითხველისთვის ცნობილია მარინა ცვეტაევას ჯალიშვილის, არიადნა ეფრონის (1912–1975) "მოგონებათა ფურცლები" (1973–1975). ბევრი ალბათ მის თარგმანებსაც იცნობს – ბოდლური, ჯერლენი, პეტრარკა, ლოპე დე ვეგა, ტირსო დე მოლინა. და მხოლოდ მეგობართა ვაწრო წრემ იცის არიადნა ეფრონის "ზეპირი მოთხრობები".

წლების განმავლობაში, კერძოდ კი 1969–1973 წ. ვიწერდი მის მონაყოლს, რომელთა ნაწილს ახლა ვთავაზობ მკითხველს. მასალა ჩემ მიერაა დაჯგუფებული, მე გავუკეთე ავრუთვე მცირე კომენტარები. თავად ტექსტი კი უშუალოდ მისი მონაყოლია, იმედია მას ჩემს გადმოცემაში არ დაუკარგავს თავისი ხახიათი და სიმკვეთრე.

მ. ბ. კორკინა

ლენინგრადი, 1987 წ. მაისი

დედაზე უფრო მეტად ამქვეყნად არავინ მეყვარებია, — არც მამა, არც ძმა, არც ქმარი; შვილები არც არასდროს მეოლია. დედა ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ ახალგაზრდობაში ვცდილობდი ამ სიყვარულთან გატაცებებიც შემეთავსებინა: სხვადასხვა ბიჭებით, გოგონებით, კინოთი და ა. შ. დედას არ მოსწონდა ეს ჩემი განურჩეველი მრავალმხრიუობა. მე კი მამის არ შემწევდა უნარი, გამეგო საკუთარი დედისთვის. არადა, რამდენი ტანჯვის გამოვლა დამჭირდა საამისოდ!..

მამას საღმრთო ნამცხვარი

მამაჩემის დღეობის წინა საღამოს გვესტუმრა მამიდა ვერა მამას ყველაზე უმცროსი და, დედაჩემს მაინცდამაინც რომ არ ეჩატებოდა გულზე, რადგან მან, როგორც დედაზე ყველაზე უფრო ჭკვიანმა, ყოველგვარი ემოციების გარეშე, გონებით განჭვრიტა და სხვებზე უფრო მართებულად შეაფასა დედაჩემის მიერ მამაჩემის მოტაცება. გარდა ამისა, მამიდა ვერა თავისი დიდრონი, კეთილი და სუფიანი თვალებით, რომელიც სახის სხვა ნაკეთობთან სავსებით შეუთავსებელი იყო, ძალიან ჩამოკვავდა მისთვის საძულველ თავადის ახულ მარის.

მოკლედ, გვესტუმრა მამიდა ვერა და გამოგვიცხადა: "ხვალ სერიოზულ დღეობაა და ნამცხვარი გამოვაცხვე"... ნამცხვარი გაშლის იყო. უზარმაზარი და დიდებული, თხელი გრუხილებით ჭადრაკულად შორთული, არტისტულად გვერდებმონიკებული, ხოლო შუაში "ნამცეცა" იდგა. "ეს კი ალიას", — თქვა მამიდა ვერამ.

ნამცხვარი ზეიმის მოლოდინში ბუფეტზე შემოდეს. ბუფეტი კი ჩემს ოთახში იდგა. დასაძინებლად დავწექი. ნამცეცა მუჭაში მყავდა ჩაბლუჯული, მას ველაპარაკებოდი, მასზე ვფიქრობდი. თანდათანობით ჩემი ფიქრები ნამცხვარზე გადავიდა, სადაც ნამცეცა ცხოვრობდა და სადაც მისი სახლი იყო... ფეხშიშველი წამოვდექი და ბუფეტთან მივედი. თითის წვერებზე ავიწიე, ნამცხვარს პატარა მოვატეხე, წამოვიღე საწოლში ნამცეცაჩაბლუჯულმა და შევჭამე მისი სახლის მონატეხი. შემდეგ კვლავ ავდექი, ისევ მოვატეხე, ისევ მოვბრუნდი საწოლში და შევჭამე... ასე ვმოგზაურობდი, სანამ არ დავიქანცე და არ ჩამეძინა.

* ანდერსენის ზღაპრის გმირი

დილა ჩახჩახა, მზიანი გათენდა. თანაც მამას დღეობაა! ჩამაცვეს და ამაყენეს. ღამის თაკვადასავალი სრულიად გადაძვიწყდა. მაგრამ აი, ვიღაცას ნამცხვარი გაახსენდა და სუფრაზე მის გამოსატანად წავიდნენ. დახედეს და...

— მარინა, ნახე, თაკვებს შეუჭამიათ! — იძახის გულუბრყვილოდ მამა.

— ეს თაკვების კი არა, აღიას ნამოქმედარია! — დედამ დაკვირვებით შემომხედა.

— შეუძლებელია!

— გუებნებით, აღიას ნამოქმედარია-შეთქი!

— საკვირველია, მარინა, ალა ხომ უჭმელი ბავშვია. ლუკმას უჭმის გარდაყვედუპანებით ხოლმე. ხოდა, აბა როგორ უნდა...

დედა მიცქერის და მეკითხება:

— ეს შენ ჩაიდინე?

მე მამისკენ ვიჩოჩავ, დედას თვალებში ვუყურებ და ვუბნები:

— არა, რას ამბობთ! მე ხომ უჭმელი ბავშვი ვარ! აბა როგორ უნდა...

— მაშ ეს რა არის? — იძახის დედა და თან ახლომხედველი თვალებით დასცქერის საწოლიდან ბუფეტამდე გაჭიმულ ნამცეცების ბილიკს.

“როგორც ცეროდენაში!” — გავიფიქრე უკვე განწირულმა.

გათხოვება

მახსოვს, შინ მოვედი, დედა მაგიდას უწის მარცხენა ხელზე შუბლჩამოდებული, მარჯვენათი კი ალუბლის ხის მუნდშტუკი უჭირავს ნახევრამდე ჩასული სიგარეტით და მოთელი არსებით რკეულშია ჩაფლული; საოცარი უნარი ჰქონდა კონცენტრაციისა.

ვეუბნები:

— დე!

არავითარი რეაქცია.

მე კვლავ:

— დე!

ძლივს მოწყდა რკეულს და თავი მაღლა ასწია.

— რა იყო?

— დე, სხვათა შორის, მე ვთხოვდები.

— სხვათა შორის? გილოცავ! — და კვლავ რკეულში ჩარგო თავი. შემდეგ გაიანზრა და შემომხედა: — გიყვარს?

— ძალიან!

— ე. ი. არ გიყვარს, რომ გყვარებოდა, უბრალოდ იტყოდი — მიყვარსო. “ძალიან” ეს უკვე ის აღარ არის.

მე ოთახებში ბოლთას ვცემ, შემდეგ სამზარეულოში ჩამოვჯექი. ვფიქრობ, ვფიქრობ და ვხვდები, რომ “ძალიან” მართლაც მთლად ის არ არის... ისევ ვბრუნდები ოთახში.

— დე!

— რა იყო?

— მე არ ვთხოვდები, სხვათა შორის.

— სხვათა შორის? გილოცავ!

თხის სუპი

ერთხელ დედამ იაფად იყიდა ბაზარში ციკნის ხორცი და სუპი მოხარშა. მენიუ მუდამ ერთი და იგივე იყო: ქვაბში ერთდროულად იხარშებოდა ხორცი და კარტოფილი, ერთდროულად მზადდებოდა პირველი და მეორე. და აი, მივუსხედით მაგიდას. დედამ ჩამოგვირიგა წვნიანი. მამამ პირველმა დაიწყო ჭამა და ... მიუხედავად დედას მიმართ უდიდესი პატივისცემისა, თქვა:

— იცით, მარინკა, სუპი რაღაც არ მინდა.

დედა წელში გაიმართა.

—რატომ?

—ისე, რაღაც არ მინდა...

არ უნდა და ნუ უნდა. მურამ მოხვრიბა და აღმოჩნდა, თურმე არც მას უნდა... იგი დედის საყვარელი შვილი იყო და თანაც უმცროსი. ასე რომ...

როდესაც მე ჩავიდე პირველი კოვზი, თვალები ღამის გადმომცვივდა. უბრალოდ, გემრიელი და უგემური კი არ ვთქმოდა, არამედ რაღაც არამინორი გემოსი იყო, როგორც, მაგალსიად, პლანეტა ნეპტუნზე... მაგრამ მე უკვე ისე ვაქტივობდი არ მქონდა — მას შემდეგ, რაც ყველამ უარი თქვა, ხომ არ შემეძლო მეც ასევე მოექცეულიყავი. თვითონ დედა კი სუპს არასდროს არ ჭამდა — არც უყვარდა და თან ტანს უფრთხილდებოდა. ასე რომ, იძულებული ვიყავი ჩქარ-ჩქარა მეყლაპა ეს წარმოუდგენელი სითხე, რადგან ყველა მეორეს ელოდებოდა. ისე გამიჭირდა მისი ჭამა, რომ ავტირდი კიდევ. მე მაშინ დაახლოებით თხუთმეტი წლისა ვიყავი.

როდესაც დაკამთაურე, დედა ქვაბს მიუბრუნდა, რათა ხორცი ამოეღო და უცბად ისეთი რამ ამოაძვრინა, რომ დასანახად სათვალევც კი მოიმარჯვა. ჩვენც ყველა მას მივაშტერდით. ეს იყო მშვენივრად მოხარშული... ცელულოიდის კვატი, რომელთან ერთადაც მურა ჩვეულებრივ ბანაობდა.

—ეს მე ვქენი! ამაყად წარმოთქვა მურამ, რომელსაც გადაეწყვიტა თავისი წვლილი შეეტანა საერთო სადილში.

—ხედავთ, — ვთქვი მე, — რა მაჭამეთ?!

—არა უშავს, — აუღელვებლად წარმოთქვა დედამ.

—როგორ არა უშავს, მანდ ხომ ხალებავია!

—მერე რა?! — თქვა დედამ, რომელსაც უყვარდა თვითონ ყოფილიყო მუდამ მართალი.

ლიუბოვ სტოლიცა*

დედა შეკითხება: “რა არის ლიუბოვ სტოლიცა?”

ყველა სხვა ბავშვი უპასუხებდა: ლიუბოვ — ეს არის სიყვარული და სტოლიცა — დედაქალაქიო. მე კი ვუპასუხე, რომ სიყვარულს ახი სახე აქვს.

ტატიანა ფიოდოროვნა სკრიაბინა

ტატიანა ფიოდოროვნა დედაჩემის ახლობელი იყო. მათთან მეც დავდიოდი და მის უმცროს ქალიშვილთან, მარინასთან ვთამაშობდი ხოლმე. ოჯახში სკრიაბინის კულტი იყო. ტატიანა ფიოდოროვნას ბელგიელი დედა ჰყავდა. ხოდა, გადაწყვიტეს მასთან გამგზავრებულებიყვნენ. გამგზავრების წინ, ვიხებიც რომ უკვე ხელთ ჰქონდათ, ტატიანა ფიოდოროვნა ავად გახდა. მას საშინელი თავის ტკივილები და უძილობა აწუხებდა. ღამღამობით თავის უმცროს გოგონას აღვიძებდა და სთხოვდა, ხმამაღლა წამიკითხეო. გოგონა კითხულობდა, თვითონ კი ერთ წერტილს მისჩერებოდა. მაშინ ყველას მიაჩნდა, რომ ეს არანორმალურობაა — სად გაგონილა, რვა წლის ბავშვს ძილს არ აცლისო. ტატიანა ფიოდოროვნას კი თურმე სიმსივნე ჰქონდა თავში, და სულ ძაღვ გარდაიცვალა. სიკვდილის წინ ბოდავდა და მისმა სიტყვებმა დედაზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს: “ფეხსაცმელები რომ მქონდეს, აქვე, გზაზე გადავირბენდი!” გზის გადაღმა კი ეკლესია იყო, სადაც მას წესი აუგეს. ფეხსაცმელები მაშინ არც იშოვებოდა, თვითნაკეთ, მოწნულბირიან ფეხსამოსს ვხმარობდით. მიცვალებულებს კი, როგორც წესი, ახლები უნდა სცმოდათ. ტატიანა ფიოდოროვნას კი არ ჰქონდა ფეხსაცმელები. ამ ამბით შეწუხებული დედა ადგა და ლუნაჩარსკისთან მივიდა ხელოვნების სახლში,

* ლიუბოვ ნიკიტინა სტოლიცა (1884—1934) — რუსი პოეტი ქალი, ემიგრანტი, გარდაიცვალა ბულგარეთში

ხადაც მას მიღება ჰქონდა, რათა ეგების დახმარებოდა და მიცვალებულისთვის — სკრიბინის მეუღლესთვის, ორდერით ფეხსაცმელები ეშოვა. იგი მართლაც დაეხმარა და დაასაფლავეს ტატიანა ფიოდოროვნა “გზაზე გადასარბენი ფეხსაცმელებით.” დიან... აღვილი შესაძლებელია ეს ამბავი ჩემ მეტს უკვე აღარავის ახსოვს.

პარიზი



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

საფრანგეთში ოჯახს ძალიან უჭირდა — უფულოდა, უმუშევროდა, საშინელი ხილარიბე — და მაინც არიადნა სერგეევნა არხად ისეთი ლალი და თავისუფალი არ ყოფილა, როგორც პარიზში, პარიზი მას უყვარდა, როგორც თავისი ახალგაზრდობის ქალაქი, როგორც ულუკა შესაძლებლობების ქალაქი. მან აქ თორმეტი წელი იცხოვრა: ჩამოვიდა ცამეტი წლის გოგონა და დატოვა იგი ოცდაოთხი წლისამ.

მატერიალური გაჭირვების გამო არიადნა სერგეევნას არ მიუღია სისტემატური განათლება, თუ არ ჩავთვლით დაწყებით სწავლებას ხატვაში, რომელიც შემდგომ ცხოვრებაში ძალიან შევლოდა. იგი სწავლობდა ლუვრთან არსებულ სამხატვრო სკოლაში შუხაევის სტუდიაში, გონჩაროვას სახელობაში. გამოქვეყნებული გრაფიკული ნამუშევრებიდან ცნობილია შარჟი გ. ადამოვიჩის პორტრეტისა, ლენინგრადის ცენტრალურ არქივსა და კერძო არქივებში ინახება ურიცხვი ნახატები, აკვარული და გუაშით შესრულებული ესკიზები, წიგნის გრაფიკის ნიმუშები. პარიზში 1930-იან წლებში არიადნა სერგეევნა ფურნალისტურ საქმიანობას ეწევა. ამ პერიოდში იგი ბუჭდავს პატარ-პატარა სტატიებს კინოფურნალებში.

სამი მხეხველრა

როდესაც ჩვენ პარიზში ვცხოვრობდით, უფრო სწორად, პარიზის გარეუბანში, მე ვსწავლობდი ლუვრთან არსებულ სამხატვრო სკოლაში. ვუფლებოდი წიგნის გრაფიკას. ჩემს მშობლებს მხოლოდ სამი სემესტრის საფასურის გადახდის საშუალება ჰქონდათ, მე კი ისეთი ბრწყინვალე რუსული უნარი გამოვაკვლინე, რომ ფრანგებმა სწავლის გასაგრძელებლად დამტოვეს. იმ ხანებში მთელი არსებით ვიყავი გატაცებული კინოთი. და იმდენად დავიკმაყოფილე თავი ამ ინტერესით, რომ მას შემდეგ ერთხელაც აღარ ვყოფილვარ კინოში. მსახიობთა ყოფის ყველანაირი წვრილმანი ვიცოდა. ერთადერთი, რაშიაც მართლა მშვენიერად ვერკვეოდი, ეს იყო მითოლოგია და კინოსმსახიობები.

და აი, პარიზში ჩამოვიდნენ მაშინდელი კინოკარსკელები — ვარსკელები — ლუგლას ფერბენკსი და მერი პიკფორდი. ლუგლას ფერბენკსი იმ დროს მამაკაცის იდეალი იყო, თანაც მშვენიერი აკრობატი, ყველა ფილმში სახურავებიდან ხტებოდა... მერი პიკფორდი კი ქალის იდეალი გახლდათ, რომელიც ახლა სრულიად მოძველებულია — პატარა, მინიატურული, ქერა, დიდი თაფლისფერი თვალებითა და პაწაწინა ტუჩებით.

ისინი ამერიკის საელჩოში ცხოვრობდნენ და ყველას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს იქიდან არც გამოდიოდნენ. საელჩო გარშემორტყმული იყო ფურნალისტებით. პირველ ხანებში კეთილგანწყობილი სტატიები იბეჭდებოდა, მაგრამ შემდეგ თანდათანობით გამძაფრდა, ეს გასაკვირ იყო — რახან მსახიობები არ ჩანდნენ, მაშასადამე, ამით ლუკმა-პურს ართმევდნენ ფურნალისტებს...

ხოდა, ერთხელაც მივდივარ მონპარნასის ბულვარზე — სინამდვილეში ეს ბულვარი კი არა, ჩვეულებრივი ქუჩაა. ხეები იქ არაა, ყოველ შენობაში მონაცვლეობენ კაფე და მაღაზია, კაფე-მაღაზია. ხან ერთ კაფეში ზის ერენბურგი და ხან მეორეში. და საერთოდ, ყოველნაირი მოდილიანების წყვეტა! იქ იყო ერთი შენობა, რომელიც საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა. საგანგებოდ მოდიოდნენ ხოლმე მის ხანახავად. ახლა იგი ერთი ჩვეულებრივი სახლია. მაშინ კი ეს იყო რვა თუ ცხრასართულიანი შენობა მთლიანად მინის ფასადით, და ეკუთვნოდა რომელიღაც ყვავილების ფირმას.

მის პირველ სართულზე მალაზია იყო, დანარჩენზე კი კანტორა: იგი მთელი მსოფლიოდან იღებდა შეკვეთებს და აგზავნიდა ყვავილებს ანდა შეკვეთებს ზუსტად იგივე ყვავილებზე სხვადასხვა ქვეყნების ფირმებში. დაბლა, მალაზიის უზარმაზარ ვიტრინაში ყოველდღე იცვლებოდა ყვავილები: ხან მხოლოდ დიდებული იასამნები იყო გამოფენილი, ხან ზაფხულაფხული პატარა კალათებში პარმის იები ამშვენებდა იქაურობას. მინაზე კი წყალი ჩამოედინებოდა და ყვავილებს სინესტის განწყობილებას უქმნიდა. ეს ისე მშვენიერი სანახაობა იყო, რომ სასწავლებლიდან წამოსული, ყოველთვის მშვენიერად მივდიოდი ხოლმე მონპარნასის სადგურში ჩემს მატარებელზე, რათა დაემტკებარიყავი ვიტრინის სანახაობით.

და აი მივჩერებივარ ყვავილებს, მალაზიაში კი არც საკმარისი სინათლეა და არც ხალხმრავლობა. უნებლიეთ შევედი შიგნით და რას ვხედავ — მერი პიკუორდი ვარდებს ირჩევს, მის გვერდით კი დუგლას ფერბენკსია! თვალის დახამხამებაში მათთან გავჩნდი, თუმც მშვენიურად ვიცოდი, რომ მერი პიკუორდმა ფრანგული სრულებით არ იცის, ხოლო დუგლას ფერბენკსი ცოტ-ცოტას ამტკრევს, თამამად მივუახლოვდი, ერთ-ერთი ჩემი ნახატი გავუწოდე და ვთხოვე ავტოგრაფი. თან დავემატე, ძალიან სასიამოვნოა თქვენი ნახვა პარიზში—მეოთხე. დუგლასმა დამტკრეული ფრანგულით მადლობა გადამიხადა, ხოლო მერი პიკუორდმა რაღაც წაილაპარაკა ინგლისურად. ამის შემდეგ დუგლას ფერბენკსმა ვარდების თაიგული მომართვა, ზუსტად ისეთივე, როგორც მერის ჰქონდა! არაჩვეულებრივი შავი ვარდები გრძელზე გრძელი ღეროებით.

მიწას ვერ ვგრძნობდი, ისე გავფრინდი სახლში. ოთახში დედა, როგორც ყოველთვის, ხელზე შუბლდაყრდნობილი იჯდა მაგიდასთან, წინ რვეული ედო. შუბლთან ჭაღარა მოუჩანდა...

დედა, — ყვერი გულბრყვილოდ, დედას ასე ძალიან რომ არ უყვარდა ეს ჩემი თვისება, — თუ იცი, ვინ ვნახე?

— ვინ? — იკითხა დედამ და თავი ახწია.

— დუგლას ფერბენკსი და მერი პიკუორდი!

— მერე რა?

— როგორ თუ რა! შემოხედეთ, როგორი ვარდები მაჩუქეს!

დედამ გულგრილად შეხედა თაიგულს.

— ჯობდა ფესსაცმელები უყიდათ, — თქვა მან და კვლავ რვეულში ჩარგო თავი.

მე კი მაშინვე დაგვჯექი და წერილი დავწერე კინოჟურნალში — თუ რა ყოჩაღი ვარ! სხვებისგან განსხვავებით კიდევაც ვნახე კინოვარსკვლავები, კიდევაც დაველაპარაკე და ვარდებიც მივიღე საჩუქრად! და წარმოიდგინეთ, ეს ჩემი წერილი დაბეჭდეს. ალბათ იმიტომ, რომ სხვა მასალა არ ჰქონდათ. რამდენიმე ხნის შემდეგ მომდის ბარათი: “მადამუაზელ, ჰონორარისთვის რატომ არ მოდიხართ?”

რა თქმა უნდა, მადამუაზელი მაშინვე გაქანდა ჰონორარის ასაღებად.

რედაქტორმა კი ასე მითხრა:

— მადამუაზელ, თქვენ მშვენიერი ენით წერთ. შევეძლოთ ჟურნალისტი გამხდარიყავით. მაგრამ ამისთვის მარტო ენა არ არის საკმარისი... საჭიროა ბედიც გწყალობდეთ.

— ო, — წარმოვთქვი უდარდელად, — ბედი მე ყოველთვის მწყალობს.

— მაშინ შევთანხმდეთ: თუ გექნებათ კიდევ ორი ასეთი შეხვედრა, ე. ი. სულ სამი, მაშინ დაგვიკავშირდით, მობრძანდით კვლავ ჩვენთან. ოღონდ, მადამუაზელ, ერთი რამ გაითვალისწინეთ, ეს შეხვედრები შემთხვევითი უნდა იყოს და განზრახ არ უნდა იზრუნოთ მათზე.

წამოსვლისას გადმომცა მთელი შეგვრა ჟურნალებისა, სადაც ჩემი “ნაწარმოები” იყო დაბეჭდილი და აგრეთვე მერი პიკუორდისა და დუგლას ფერბენკსის სურათები.

მოვდივარ ქუჩაში, თან მომაქვს ჰონორარი და დასტა ჟურნალებისა. ირგვლივ უამრავი ხალხი ირევა და უცბად ვხედავ... ხალხზე მთელი თავით მაღალი შალიაპინი! — მოემართება ცოლთან ერთად, ქერა, მკვეთრი ნაკეცებით პირთან... გავქანე მისკენ, თუმცა კი ვიცოდი, კომპატრიოტებს რომ ვერ იტანდა და საერთოდ რუსებს არც

ელაპარაკებოდა. მეც სუფთა ფრანგულით მიემართე:

—მუსიე, ძალიან მოხარული ვარ, პარიზში რომ გხედავთ! მართალია, რომ თქვენ “ღონ კიხოტში” გიღებენ? ნუთუ ვნახავთ თქვენ მიერ ხორცშესხმულ ამ სახეს?!

შალიაპინი გადაიბადრა.

—ღიას... მე მიღებდნენ “ღონ კიხოტში”... — იგი მოძიყვა, როგორ მიდიოდა მუშაობა, რომ ამ ფილმში მისი ქალიშვილიც მონაწილეობს, რომ უკვე დამთავრდა გადაღებები და ეს წუთია ჩამოვიდა ნიცადან.

მე ამოვიღე ჯიბის წიგნაკი და ავტოგრაფი მოვითხოვე. მან ასე წააწერა: “სახსოვრად მშვენიერ ფრანგ ქალიშვილს” და მითხრა:

—მადმუაზელ, მე თქვენ არა მარტო ავტოგრაფს მოგვცემთ, არამედ ჩემს ფირფიტასაც გაჩუქებთ, რომელიც სულ ახლახან გამოვიდა.

მან ხელი გაიწოდა (თურმე ფირფიტები მის ცოლს მოჰქონდა ჩანთით, თვითონ კი მსუბუქად მოდიოდა), და ჩანთიდან უზარმაზარი ფირფიტა ამოიღო. ზედ უბრალოდ, ლათინური ასოებით წააწერა შალიაპინი და გამომიწოდა. მე მადლობა გადაუხადე და უკანვე გავიქეცი რედაქციაში..

ისინი ასე მალე არ მელოდნენ და არცთუ დიდი ხალისით შემხვდნენ.

—აბა მადმუაზელ, ამჯერად ვინ ნახეთ?

—შალიაპინი.

—მადმუაზელ, — ღმობიერად მომმართა რედაქტორმა, — ჩვენ ხომ რეალურ შეხვედრებზე შევთანხმდით... შალიაპინს თქვენ ვერ ნახავდით, რადგან იგი ნიცაში იმყოფება. იქ მას “ღონ კიხოტში” იღებენ.

მე ბოლომდე მოეუსმინე რედაქტორს, შემდეგ კი ამოვიღე ორივე ავტოგრაფი და წინ დავედე. სანამ იგი მათ ათვალიერებდა და საკუთარ თვალებს არ უჯერებდა, მე დაუდევრად წარმოვთქვი:

—მე აქვე, თქვენთან ჩამოვკვდები და დაეწერ...

რედაქციიდან სრულიად დარწმუნებული წამოვედი, რომ მესამეჯერაც ასევე უბრალოდ შევხვდებოდი ვინმეს. ვადა — ერთი თვე მომცეს.

დავდივარ პარიზში, ვიყურები გაფაციცებით, მაგრამ არც ვიტრინებში, არც კაფეებში არავინ, აბსოლუტურად არავინ არ ჩანს... ამ დროს დედაჩემის ერთი ამხანაგისგან, ელენა ალექსანდროვნა იზვოლსკაიასაგან, მივიღეთ წერილი. იმ ხანებში იგი ფონტებლოში ისვენებდა და დედას თავისთან ეპატიჟებოდა. თან წერდა: “თქვენ თუ ვერ მოახერხებთ, ალია მაინც გამოაგზავნეთ”. მეც გავემგზავრე.

ფონტებლო მშვენიერი ადგილია. აქ ოღესლაც ნაპოლეონიც ყოფილა, მაგრამ ჩემი აზრით, მას შემდეგ ცხოვრება ჩაკვდა და აღარც აღორძინებულა... თვე უკვე ილეოდა, მე კი ჯერ ვერავის შევხვდი, ისე რომ თანდათანობით ეს ამბავი დავიწყებას მიეცა.

ფონტებლოში ჩასვლისთანავე ელენა ალექსანდროვნამ მკითხა:

—ალია, ნავით სეირნობა ხომ არ გინდა?

—მინდა.

—საცურაო კოსტუმი თუ გაქვს?

—არა.

—მაშინ ღიასახლისის ქმრის კოსტუმი ჩაიცვი.

სენა აქ მშვენიერად იყო. აქვე, პატარა ნავსაყუდელში ნავი იყო მიბმული. მე დიდის ამბით მოვთავსდი შიგ, თუმც არც ცურვა ვიცოდი და არც ნიჩბების მოსმა. ნიჩბების ქნევას რომ მოვეყვი, ასე მეგონა, ნაპირი ჩემ გასწვრივ მიქროდა. სინამდვილეში კი მხოლოდ დინების აღმა მივჩანჩალებდი. შემდეგ მივატოვე ნიჩბები და ზევით, ცაში დავიწყე ცქერა.

უცებ ნავი რაღაცას დაეჯახა და რას ეხედავ — ლუზაჩაშვებული ვიდაც მილიონერის თეთრი იახტაა! შევეცადე რამენაირად ნიჩბით მოვშორებოდი. ამ დროს გემბანზე ვიდაც გამოვიდა და ვერცხლის ყავადნიდან ნალექი ლამის ზედ გადმომასხა. შევხედე ამ ყავადნიან კაცს — ეს ხომ ტახტიდან ახლახან ჩამოვდებული ესპანეთის მეფე

აღფონს XIII იყო!

—მუსიე, მუსიე! — დაეყვირე მე.

მან ზიზლით გადმოძხედა.

—მუსიე, მითხარით, თუ შეიძლება, რომელი საათია?

მან ჩაიბურტყუნა რაღაც სამის ნახევრის მხგავსი, და თვალს მიუფარა.

მე მთელი ძალით გამოუქანე ნაპირისკენ.

სახლში მისვლისთანავე ვიკითხე:

—იცით, სენაზე ვინ ვნახე?

—ალბათ აღფონს XIII, — მიპასუხა ელენა ალექსანდროვნამ.

—კი მაგრამ, თქვენ საიდან იცით?

—მისი იახტა დიდი ხანია აქა დგას. ყველა შიღის მასთან ხავით და ეკითხება, რომელი საათიაო.

არაფერი დამიძალავს, ასევე მივწერე ჩემს ჟურნალში, რომ მე პირველი არა ვარ, ვინც მეფე ნახა. ამის შემდეგ ისინი დარწმუნდნენ, რომ არა მარტო კარგად ვწერ, არამედ ბუდიც მწყალობს, ისე რომ, შემდგომში სიამოვნებით მაძლევდნენ ხოლმე რაღაც—რაღაც სამუშაოებს: მივდიოდი შეხვედრებზე, კინოგადაღებებზე და ვწერდი რეპორტაჟებს, ვხვდებოდი სადგურზე ვარსკვლავებს. ყოველივე ამან საბოლოოდ დამიკარგა ფასი დედაჩემის თვალში..

აჟანდი

პარიზის ქუჩებში ქალმა რომ გაისეირნოს, თითქმის შეუძლებელია, მაშინვე აეკიდებიან... ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია სქესი. მოსკოვში ჩახვლისას პირველ ხანებში ძალზე მიხაროდა, რომ შემეძლო უბრალოდ გამეარა ქუჩაში, ჩამოვმჯდარიყავი ბულვარზე...

ერთხელ პარიზში მივდივარ და ვიღაცა ტიპი ამეკიდა: მადმუაზელ და მადმუაზელ, ნება მომეცით თქვენთან ერთად გავიარო, მადმუაზელ, თქვენ, მგონი, უცხოელი ხართ... და ა.შ. მე ხმას არ ვიღებ. მხოლოდ ასე შეიძლება ამ აბეზრებისგან თავის დაღწევა. მაგრამ თუ დაელაპარაკე, მტრისას... მივდივარ ასე მდუმარედ და მიმყავს ჩემი მეგობარი პირდაპირ აჟანდის პოსტისკენ.

დგას აჟანდი მაღალი კეპით, ჩაფსკნილი, უღვაშიანი. მიუჯახლოვდი და ვუბნები (ის ტიპი კი ჩამორჩა და ტროტუარზე დარჩა):

—ამეკიდა და გასაქანს არ მაძლევს ის კაცი. არ შეიძლება რამენაირად მომაშოროთ?

—რა თქმა უნდა, შეიძლება, მიპასუხა აჟანმა და შემომხედა, თუმცა, მადმუაზელ, მე რომ პოსტზე არ ვიყო, ნამდვილად მის ადგილზე ვიქნებოდი.

სიზმარი

ეს სიზმარი რუსეთში გამგზავრების წინ დამეხიზმრა, 1937 წელს.

მეხიზმრა, თითქოს შუადამისას სასაფლაოზე მივდივარ — სასაფლაოში სრულებით არ მუშინია და არც არასდროს მშინებია — ხოდა, მივდივარ სასაფლაოზე. შემოდგომის ღამეა: ბნელი, უვარსკვლავებო, მაგრამ წყნარი და თბილი. ვგრძნობ, გვერდზე ვიღაც მომყვება, მხარდამხარ. მივდივარ და თავს არ ვაბრუნებ, რათა დავინახო, ვინ არის, რადგან სიზმარში თავის მიბრუნება არ შეიძლება, სიზმარს თავისი კანონები აქვს. მივაღექით ბნელ ჩახახვლულს მიწის ქვეშ, როგორც პარიზის მეტროებშია (მიდიხარ, მიდიხარ და მოულოდნელად კიბეა ძირს ჩახახვლული, დაბლა კი კარია შესახვლული). ასე რომ, შუა სასაფლაოზე მეტროსნაირი ჩახახვლულია მიწის ქვეშ. ჩვენი ჩავდივართ. იქ კი გრძელზე გრძელი, ოდნავ განათებული დერეფანია, ორივე მხარეს კი პატარა-პატარა ნიშებია კედლებში, სენაკებივით. ყოველ მათგანში ადამიანი ზის. ჩვენი მივაბიჯებთ ამ დერეფანში, მე და ის ვიღაც, გვერდიგვერდ და მხარდამხარ. თან ვხედავ, რომ ეს

ადამიანები უბრალოდ კი არ სხედან, არამედ თითოეული რაღაცას აკეთებს. ყველა ჩაფლულია თავის საქმეში და გულმოდგინედ მუშაობს. მაგრამ მათი ეს საქმიანობა საოცრად უაზროა: აქ არის სასაფლაოს რაღაც ნივთები — ჯვრები, გვირგვინები, ხელოვნური ყვავილები და სხვა. ეს ადამიანები ამ მხუტავ სინათლეზე მლიან გვირგვინებს, აცლიან ყვავილებს მავთულებს, ხოლო მტვრიან, გახუნებულ და ნახევრად დამძალ ფურცლებს კი ცალკე ალაგებენ, და ა. შ. მოკლედ, ასრულებენ ამის მსგავს რაღაც უცნაურ სამუშაოებს.

ბოლოს და ბოლოს დერუფანი მთავრდება. სასაფლაოს მეორე მხარეს ისეთივე ამოსასვლელია, როგორც პარიზის მეტროებშია, გარეთ კი კვლავ ბნელი და წყნარი ღამეა.

—ის ხალხი იქ რას აკეთებდა? — ვიკითხე მე.

—განა თქვენ არ იცით, რომ ყველა ადამიანი არ აღსდგება? — მკასუხობს ჩემი უხილავი მეგზური.

აქ დამთავრდა ჩემი სიზმარი.

1939–1955 წლები

“იქ საერთოდ საინტერესო იყო. ძალიანაც საინტერესო. ოღონდ ძალზე დიდხანს გაგრძელდა“ (1970 წ.)

არიადნა ხერგეენა ეფრონი საბჭოთა კავშირში 1937 წ. მარტში ჩამოვიდა. ამავე წლის ბოლოს დაბრუნდა სამშობლოში მისი მამა, ხერგეი იაკოვლევიჩი ეფრონი. იგი დიდხანს ავადმყოფობდა. მკურნალობისდა მიუხედავად გულის ასთმას და არითმიას ვერაფერს შეელოდნენ. როდესაც 1939 წელს მარინა ცვეტაევა თავის ვაჟთან ერთად მოსკოვში ჩამოვიდა, შეტყუები აღარ გამოერებია, ყველაფერი მოეხსნა, რადგან ეს გულის ნევროზი ცოლ-შვილზე ღარდს გამოეწვია.

არიადნა ეფრონი ჟურგაზში მუშაობდა, “ნუკულ დე მოსკუ“ — ს რედაქციაში, უკლიდა ავადმყოფ მამას, დაჰყავდა კისლოვოდსკისა და ოდესის ხანატორიუმებში.

1939 წლის 27 აგვისტოს, დილაუთენია, ბოლშეკოს აგარაკზე, მთელი ოჯახის თანდასწრებით არიადნა ეფრონი დააპატიმრეს შინსახკომის მუშაკებმა. ამ დღეს მან უკანასკნელად იხილა თავისი ახლობლები, რომლებიც მალე ტრაგიკულად დაიღუპნენ.

წელიწად-ნახევარი არიადნა ხერგეენამ მოსკოვში ლუბიანკის შიდა ციხეში გაატარა. 1941 წლის იანვარში გადაიყვანეს კომის ასხრ-ის ბანაკში, ხადაც მაიხამდე კიდევ მოდიოდა დედის და ძმის წერილები.

1947 წლის აგვისტოში არიადნა ხერგეენა გაანთავისუფლეს (ამ დროისთვის იგი მორდუთის ერთ-ერთ ბანაკში იმყოფებოდა) და გაგზავნეს საცხოვრებლად რიაზანის ოლქის ქ. სპას-კლუპიკიში. მან მოახერხა რიაზანშივე მოწყობილიყო და მეორედ დაპატიმრებამდე იქ ცხოვრობდა და მუშაობდა. 1949 წლის თებერვალში იგი გადაასახლეს, სადაც მან ვქესი წელი დაჰყო. მოსკოვში მხოლოდ 1955 წელს დაბრუნდა.

საში უხევედრა ვასილი ჟოხოვთან

კომის ასხრ-ში, ჩემს პირველ ბანაკში, თამარა სლანსკაიასთან ერთად მოვხვდი. იგი ახლა ლენინგრადში ცხოვრობს. ჩვენ დაგვაპატიმრეს არა მარტო ერთი და იმავე მუხლით, არამედ ერთსა და იმავე საქმეზე. შემდეგ გაირკვა, რომ ერთმა კაცმა ჩაგვსვა ჩვენც, მამაჩემიც და კიდევ ბევრი სხვა... ასე გვითხრეს, ორმოცდამეთვრამეტე ბარაკში ადგილი არ არის (ეს იყო ჩვენი მუხლის ნომერიც) და დროებით მოგათავსებთო სისხლის სამართლის დამნაშავეებთან. ჩვენ დაუთანხმდით, რადგან წარმოდგენა არაფერზე არ გვექონდა. შემდგომში მივხვდით, რომ არ უნდა დავთანხმებულიყავით და უნდა მოგვეთხოვა ჩვენიანებთან, ორმოცდამეთვრამეტეში შევეყვანეთ. მაგრამ ეს

არ ვიცოდით და სადაც თავი გვიკრეს, იქით გაუწიეთ დამჯერად.

შეგვიყვანეს სუფთა, ნათელ ბარაკში. ტახტებს მოქარგული გადასაფარებლები, ბალიშები და ბალიშის გადასაფარებლები ამშვენებდა... მიგვიღო დეიდა ნადიამ მორიგე. იგი ალექსანდრე III -ის დროიდან იჯდა, რისთვისაც მას დიდ პატივს სცემდნენ და უფროსად თვლიდნენ.

—ჯერჯერობით ზემოთ მოთავსდით, გოგოებო, აი აქ, გვერდი გვედზე შემდეგ ენახოთ, ან ვინმე მოკვდება, ან სადმე გადაიყვანენ და თქვენც ქვემოთ ჩამობარგდებით.

სამუშაო დრო იყო და ბარაკში არავინ არ ჩანდა. მხოლოდ სულ ბოლოში დავინახე ცალკე, გარდიგარდმო მდგარი საწოლი, რომელზედაც ვიღაც იწვეს.

—არა უშავს, გოგოებო, შეეჩვეით, — ამბობდა დეიდა ნადია, — მარტოებსაც მოიპოვებთ ბალიშის გადასაფარებლად, როცა კაცებსაც გაიჩნით, ისინი კარდალებს გაგიკეთებენ და მაშინ სულს ამოითქვამთ, შეგედლებათ სახვრები თან წამოიღოთ და აქ შეჭამოთ.

სანამ ყურებჩამოყრილები ვუსმენდით დეიდა ნადიას, ამასობაში ცალკე მწოლარე ქალი წამოდგა და ჩვენს გამოემართა გასაცნობად.

რიტა, — თქვა მან და ხელი გამოგვიწოდა, — აფერისტი ჩვენც გაუცანიოთ: “აღია, პეშე (პ.შ. — “ჯაშუშობაში ეჭვმიტანილს“ — ნიშნავდა, ასე ერქვა ორმოცდამეათე მუხლს), რვა წელი; თამარა, პეშე, რვა წელი“.

რიტას ფერმკრთალი სახე და სწორი ნაკეხები ჰქონდა, ღია ცისფერი თვალები და თხელი, შეჩხერი, ძალზე ქერა თმა. თითქოს მთლიანად უფერული იყო. მაგრამ ამავე დროს რაღაც მიმზიდველი — ჭკვიანური, ხერიოზული ჰქონდა და მიუხედავად ნეიტრალური გარეგნობისა, ერთგვარი დარბაისლობაც ეტყობოდა.

—აქ ცუდი ხალხი არ არის, — თქვა მან, — თქვენ მიუჩვევლები ხართ, და ნუ შეგეშინდებათ ხმაურის, ყაყანის, გინების. მოკლედ, თანდათან აეწყობით... — და უკან გაბრუნდა.

მე და თამარა ჩვენს ტახტებზე ავძვერით. ის ოცო მოვეწყვეთ და ვაპირებდით ძალზე მძიმე მგზავრობის, ეტაპის, ციხის შემდეგ დასვენებას, რომ ამ დროს გაიღო ბარაკის კარი და შემოიჭრა ზეკვი, გრივალი თუ რაც გნებაეთ! ყვირილი, ხმაური, გინება, სიმღერები. ჩვენ პირქვე დაეწვეით იდაყვებით ტახტს დავეყრდენით, თავი ხელებზე ჩამოვდეთ და ასე ვიცქირებოდით ძირს.

ქვემოთ სიცოცხლე დუღდა: ვიღაც ირთუებოდა, ვიღაც საჭმელს ხვრებდა მოტანილი კარდალიდან, ვიღაც ქარგავდა, მღეროდა, წუებოდა დასაძინებლად. შემდეგ კაცებმა იწყეს სვლა. “შეიძლება?“ — კითხულობდნენ და ტახტის კიდეზე სხდებოდნენ.

შორე დღეს ტერიტორიის დასათვალიერებლად წავედით (ნამგზავრებს სამი დღე გვიკუთვნოდა დასვენება), გავიგეთ სად არის ამბულატორია. რადგანაც თავი მტკიოდა, წავედი და დავდექი რიგში, სანამ ვიდექი და აქეთ—იქით ვიყურებოდი, ვიღაცებმა გამომიწოდეს ჩემი პაპირისი, ასანთი, საეარცხელი, მოკლედ, რაც ჯიბეში უნდა მქონოდა და ახლა აღარ მქონდა, გამომიწოდეს ღიმილით და შემდეგი სიტყვებით: “გვთხოვეს გადმოგვეცა, დოფლაპიობა არ გარგებთ, აქ დედიკოსთან კი არა ხართ“.

დავბრუნდი ბარაკში და ავძვერი ჩემს ტახტზე. ძალუ რიტაც გამოჩნდა.

—ალოჩკა, — თქვა მან, ჩემთან ახლოს გაჩერდა და ყურადღებით შემომაჩერდა. ერთი სათხოვარი მაქვს და თუ შემისრულებთ?

—რა თქმა უნდა! გულწრფელად ვუპასუხე მე.

—მე ერთ პატარა პაკეტს მოგცემთ. თქვენთან შეინახეთ და სანამ უკან არ მოვთხოვთ, გქონდეთ. კარგი?

—კარგი, — უთქვი მე.

მან უბიდან ამოაძვრინა თბილი, ბრტყელი პაკეტი. გამოვართვი და მეც უბეში შევიჩახე — აბა სხვაგან სად უნდა წამელო? ყველგან, სადაც წავიდოდი, თან დამქონდა — ბარაკში ხომ ვერ დაუტოვებდი, ასე რიტასაც შეეძლო.

ერთი დღის შემდეგ, როდესაც ბარაკში მარტოები ვიყავით (ეს იყო ჩვენი შუბულების ბოლო დღე), რიტა შემოვიდა — გაფითრებული, ოფლიანი. გვერდზე რომ ჩავვიარა,

ოდნავ დაგვიქნია თავი: "გამარჯობათ, გოგონებო..."

— დაილაღეთ? — კკითხე მე.

— კი... მე ხომ აკადემიური ვარ, ალბრეხა, მე ხომ ჭლეუქი მაქვს. ამიტომ ხაერთო სამუშაოზე არ დავდივარ. მხოლოდ იატაკებს ვრეცხავ ზონის გარეთ. საწოლიც ცალკე მიდგას, რომ არ გადმოვდოთ.

დაწვა და, როგორც ყველა დასუსტებულ ადამიანს, მასაც ხელაღს წაუდგინა. ჩვენ კი, სანამ დანარჩენები მობრუნდებოდნენ, დეიდა ნადიასთან ვლაპარაკობდით. ამ დროს ბანაკის უფროსი მოვიდა სიყვედურებით:

— რას ჰგავს შენი საქციელი, დეიდა ნადია, რატომ გვაგვიტყობს ასე?! ჩვენ გენდობით, პატივსაც გცემთ, შენ კი ეს რა ამბავი დაატრიალე? სადღაც არაფი გიმოვიდათ, აურ დაურიეს იქაურობა, შენც დალიე და დათჟერი... რას ჰგავს ეს, დეიდა ნად, ჩვენ როგორ გექცევით — ტანსაცმელი შენ არ გაკვლია, ფეხსაცმელი და საქმელი, არც სამუშაოზე გერეკებთ... და ა.შ. და ა.შ.

ჯერ კი უსმინა დეიდა ნადიამ, უსმინა, მაგრამ ძალე მოსწყინდა.

— ძალიან არ ძჭირდები? როგორც ოქროს ჩარჩოიანი...! უთხრა ყოვლად უბოროტოდ და უწყინრად და ზურგი შეაქცია.

თავდაპირველად მეთაური გამრა — მაინც უფროსია! მაგრამ მერე გადააფურთხა და უხმოდ გავიდა.

— დეიდა ნადია, ყველაფერი მესმის, მაგრამ ოქროს ჩარჩო რა შუაშია? — კკითხე მე.

— პირველად ზიხარ და საიდან გეცოდინება? ადრე, სასამართლოებში მეფის პორტრეტი ეკიდა ოქროს ჩარჩოში. ამ პორტრეტს უძახდნენ "ოქროსჩარჩოიანი..." — ს. მეც ეს ვუთხარი მხოლოდ. მაგრამ ისიც ვერ მიხვდა, იმას ეგონა უბრალოდ... მე კი პოლიტიკური რაღაც ვუთხარი!

ამასობაში დანარჩენებიც მოვიდნენ და თავიანთ საქმეებს შეუდგნენ, ჩვენ კი ვიწვევით მადლა და იქიდან ეყურებოდით. უეცრად კარი გაიღო და შემოცვივდნენ მცველები, დაიკავეს ყველა გასასვლელი, ხოლო ორიც კარში ჩადგა უზარმაზარ ნაგაზებთან ერთად. თავდაპირველად სიჩუმე იყო, მაგრამ შემდეგ წარმოუდგენელი წიოკი ატყდა: "რას ჰგავს ეს? ეის მოგვკათ ამის უყვლება? აქ ხომ ქალები არიან! იქნებ ჩვენ გახდილები ვართ, უცბათ თვალი რომ მოგეჭრათ ჩვენი უკანალებით!"

ჯარისკაცებმა ეს ყვირილი აინუნშიაც არ ჩააგდეს და შეუდგნენ თავიანთ საქმეს. არც მანამდე და არც ამის შემდეგ მე ამისთანა ჩხრეკა არ მინახავს! არამცთუ მთელი ლოგინები გადაატრიალეს, არამედ დაფხრიწეს მთელი ბალიშები, მოქარგული გადასაფარებლები და ვისაც ბამბის საბნები ჰქონდა, ისინიც მიაყოლეს. ბანაკში კი იცით რა არის ბამბის საბანი? წლების განმავლობაში იპარაკენ ბამბის ნაგლეჯებს, ასე აგროვებენ, აგროვებენ და ბოლოს დგება ის ბუნდური წუთი, როდესაც გაიშლება შეგროვილი ბამბა შესაფუთ მარლაში და იკერება საბანი! ასე რომ, ადვილი წარმოსადგენია, რა წიოკი ატყდა ბარაკში. თან ეს წიოკი ტალღისებურად გადადიოდა იმის მიხედვით, თუ სად იყვნენ ჯარისკაცები, იქ, სადაც უკვე გაივლიდნენ, ჩუქად სლუკუნებდნენ, წყენას იშუშებდნენ.

მე და თამარა ჩვენს ჩვეულ პოზაში, სიქსტის მადონას ანგელოზებით უმანკო თვალებით ვიცქირებოდით ქვემოთ. ბოლოს ჩვენთანაც მოვიდნენ. ჩვენ აუუხსენით, რომ არანაირი ნივთი არ გაგვარჩნია — ჩემოდანი სადარაჯოზე დაგვატოვებინეს.

— თქვენ რა, ორმოცდამეთვრამეტეები ხართ? — ჯარისკაცი თავის მეთაურს მიუბრუნდა, ესენი უკვე გაჩხრიკეს, ეტაპიდან არიან.

— გაირე, უპასუხა მან.

ასე მიიწვედნენ წინ და ბოლოს მიადგნენ რიტას საწოლს, სადაც არა მარტო ყველაფერი გადააქოთეს და დაარღვიეს, საწოლიც კი დაამტკრიეს. სანამ ისინი ანიავებდნენ იქაურობას, რიტა იდგა გულხელდაკრეფილი, ნაპოლეონის პოზაში და სისინებდა:

მე თქვენი ამას არ დაგივიწყებთ! სამუშაოდან დაბრუნებულ ავადმყოფ ადამიანს არ მასვენებთ! ამას ასე არ დავტოვებ!

რიტას საწოლიც რომ დაამტკრიეს, უხმოდ გავიდნენ და ძაღლებიც თან გაიყვლიეს. დეიდა ნადიამ დურგალი მოიყვანა, რომელმაც აქვე შეაკეთა საწოლი. რიტა კი კვლავ იგივე პოზაში იდგა და ნესტოებგაბერილი სისინებდა:

— მაგათ ვუჩვენებ სეირს!..

დეიდა ნადია კი თავს დასტრიალებდა და ამშვიდებდა:

— რიტოჩკა, გენაცვალე, ნუ ნერვიულობ! დაწექი, დაისვენე!..

მეორე დილას დეიდა ნადიამ შეგვატყობინა:

— გოგოებო, გავიგე რისთვისაც ატეხეს ეს ბაზარი! ვიღაცას უფროსისთვის დაქირავებულთა მთელი ჯამაგირი აუწაპნია.

ახლა კი გამკრა გულში, მაგრამ... მეორე დღეს ჩვენც სამუშაოზე გავედით. სულ სხვა ცხოვრება დაიწყო. ძაღლიან ეიდლებოდით, რადგან ციხეში და ეტაპზე საკმაოდ დავსუსტდით.

ერთ-ერთ ასეთ დღეს რიტა მოვიდა და მეუბნება:

— ალოჩკა, მე რომ პაკეტი მოგვცით, ცოცხალია?

— რა თქმა უნდა.

— შეიძლება?

— დიდი სიმოვნებით.

— მაღლობთ.

მეტი არაფერი.

გავიდა რამდენიმე ხანი და დადგა დასვენების დღე — მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა გამოსასვლელი დღეები. ისინი მხოლოდ ომის დროს გააუქმეს და მთელი ამ ხუთი წლის განმავლობაში დასვენების გარეშე ვმუშაობდით. ყველა თავთავიანთ საქმეზე იყო წასული, ისე რომ, ბარაკში მხოლოდ მე და რიტა ვიყავით. რიტა, ეტყობა, ვერ გრძნობდა თავს კარგად და იწვა. მე კი მთელი კვირის მანძილზე იმდენად დავიღალე, გადავწყვიტე მთელი დღე ვწოლილიყავი. ხოდა, ვიწექით ასე ორივენი.

უცბად კარი იღება და შემოდის მაღალი, მშვენიერი აღნაგობის, ბოშას ტიპის ლამაზი ბლატარი. იგი ბუშლატში იყო გახვეული და რბილი ტყავის ჩექმები ეცვა. შემოსვლისას თავდაჭერილად ჰოკეესალმა, შემდეგ მივიდა რიტას საწოლთან, კიდევზე ჩამოჯდა და დაიწყო: ჩუმად რაღაცაზე საუბარი.

პატარა ხნის შემდეგ რიტას ძლიერი ხმა გაისმა:

— ალოჩკა, შეიძლება ერთი წუთით?

მივედი.

— გაიცანიო, ალოჩკა, ეს ჩემი მეგობარია — ვასილი ჟოხოვი, ჩრდილოეთში პირველი ქურდი. ეს კი ალოჩკაა, ჩვენ რომ დაგვეხმარა.

— ალოჩკა! — წარმოთქვა მან მეღერი ბარიტონით, — ჩვენ სიკეთე არ გვავიწყდება და ამიტომ, ალოჩკა, თუ ახლა რაიმე გჭირდებათ ან მოძაველში დაგჭირლეთ, პირდაპირ მე მომმართეთ.

ახლავა მივხვდი, რას დავატარებდი ბიუსტპალტერით!

არაჩაირი დახმარებისთვის არ მიმიმართავს ვასილი ჟოხოვისთვის, თუმცა მას ხშირად კი ვხვდებოდი. ზოგჯერ ისე მომინდებოდა პაპიროსი შეთხოვა, მაგრამ იმის გაფიქრება, — “ღმერთო ჩემო, ეს ხომ ქურდია!” წამსვე მაჩერებდა.

მაგრამ შემდეგ ვასილი ჟოხოვმა ბანაკის უფროსის საყვარელი ნაგაზი მოკლა, რადგან რიტას, როგორც ტუბერკულოზით დაავადებულს, ძაღლის ქონი სჭირდებოდა. დამნაშავეს მიაკვლიეს და გადააგზავნეს ხადლაც სხვა ბანაკში. ასე რომ, მართალია, რიტამ მთელი ქვაბი ძაღლის ქონი მიიღო, მაგრამ საყვარელი დაკარგა.

მაღე მეც სხვაგან გადამაგზავნეს, მაგრამ სულ სხვა მიზეზით. ერთხელ “ნათლიამამ” დამიბარა თავისთან (ასე ეძახდნენ ოპერრწმუნებულებს), რომელსაც იმედი ჰქონდა, ჩემს მიდრეკილებებს გამოიყენებდა (“ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი”) და შემომთავაზა

მათთან თანამშრომლობა, ე.ი. უნდა დამებეზღებინა ერთ ბედს ქვეშ მყოფი ამხანაგები. მე, ბუნებრივია, უარი განვაცხადე, ის მაინც დაეინებით ცდილობდა გადაჯერწმუნებინებო.
— არიადნა სერვევესა, მითხრა ბოლოს, — ჩვენ არ შეგვიძლია და არც კვინდა ვინმე ვაიძულოთ; ჩვენ ისეთი ხალხი გვჭირდება, რომელიც თავისი სურვილით და ხებით იმუშავებს. ახლა დამიწერეთ, რომ არსად არ იტყვიოთ ამის თაობაზე და წაბრძანდით ბარაკში.

მე კი დამავიწყდა ეს საუბარი, მაგრამ მას არ დაეიწყენია. რამდენიმე ხნის შემდეგ წამიფვანეს კნიაჟპოგოსტის განყოფილებაში. ეს გზა კარგად დამამჩქიერებდა: ჩამთარი! ყინვა!... ქაღალქში ჩამომიფვანეს და მომათავსეს იქაურ უზარმაზარ, მსუცხვებში, რომელიც უზარმაზარი მორებისაგან იყო ნაშენი. მე, სულელი, ძალიან დაეინტერესდი, რომ ეს მორები ჩვეულებრივ პორიზონტალურად კი არ იყო დაგებული, არამედ ვერტიკალურად. დამე აქ გაკათუნე, ხოლო დილით წამიფვანეს შინაგან საქმეთა ადგილობრივ განყოფილებაში. ძალიან მრცხვენოდა, ქუჩაში აქეთ-იქით მცველების თანხლებით რომ მივაბიჯებდი.

ანალოგიური წინადადებისა და ანალოგიური პასუხის შემდეგ გამომიცხადეს, რომ უკან მგზავნიან ბანაკში.

ასე რომ, ორი დღის ნაშიმშილეები რადგან ციხეში არ მაჭამეს, ბანაკში შეჭამდარ, ბანაკში კი ჩათვალეს, სადაც მიდის, იქ აჭმევინო—სიცვივეში, ცარიელი სატვიროთო ვაგონის კუთხეში მარტო მიკუნჭული — მცველები ტამბურში იფხვნენ, — ხელში პატარა ფუთით ვბრუნდებოდი უკან. ამასობაში შევამჩნიე, რომ გაეიარეთ ის სადგური, სადაც უნდა გადმოესულიყავი და მივდივარ ჩრდილოეთით, განერებების გარეშე ამ ღამეში. ჩამთვლიმა, აბა რა შექნა?..

გამომალვიდა ღრიალმა და გისებამ, უკუნეთ სიბნელეში გამოღებულ ვაგონში შემოცვივდა პატიმარ მამაკაცთა ბრბო, მე ჩემს კუთხეში მიკუნჭული ვცდილობდი არ მესუნთქა.

კვლავ დავიძარი. საშინელი გინება, ბული, ხმაური. ჩემი ფუთა ისე გაქრა, თითქოს არც ყოფილიყოს. ვიღაცამ გიტარა დაამღერა, ვიღაც იძახის, მცველმა სინათლე მოიტანოსო. მცველმა მართლაც მოიტანა ტრაქი და მე აღტაცებულმა წამოვიძახე:

— ვასია! კოხოვ!

— ვინ შეძახის?

— მე ვარ, ვასია!

— ალოჩკა?! საიდან? — და უცებ თავისიანებს მიუბრუნდა, — კომკავშირლებო, ეს რა ამბავია, დედის გინება?! აქ ხომ ქალია!

უცბად ყველა ჩაწყნარდა. ჩემ გვერდით კი საიდანღაც ნელ—ნელა გაჩნდა ყველა ის ნივთი, რაც ფუთაში მქონდა — წითელი კაბა, ხავარცხელი...

— ალოჩკა! დიდი ხანია იქიდან წამოხვედით?

მოუწყვევი როგორც იყო, რიტაც ვახსენე.

— ო, რიტა, ჩემი სიცოცხლე! ახლა საიდან მოდიხართ?

ესეც უკამბე, ოღონდაც მთავარი მიზეზი არ მიხსენებია.

— ბათ ნათლიმამასთან ვერ შეეწყვეთ?

— დიახ...

— ტყუილად! არ უნდა გექნათ... ვე ხალხი შურისმაძიებელია. თქვენ აღბათ გშიათ, ალოჩკა? სამწუხაროდ, ახლა ფორმაში არა ვარ, მაგრამ მაინც შემიძლია გაგიმასპინძლდე. — და ტურნეფსი გამომიწოდა. — კი მაგრამ, ახლა სად მსფავხართ?

— არ ვიცი.

— ცუდადაა საქმე. მე ვიცი, სადაც მიყავხართ. უკიდურეს ჩრდილოეთში არის საჯარიმო ბანაკი. აქ სულ ნაცნობი ადგილებია. აი, აქ მაგალითად, ალოჩკა, ტროცკისტები ცხოვრობდნენ...

ამ პატარა ბიჭმა ნეტა საიდან უნდა იცოდეს ტროცკისტების ამბავი?

— მშვენივრადაც ცხოვრობდნენ, სანამ ამ ბ...—ს, მე მიხლოდა მეთქვა, სანამ ამ

მოღვაწეს, ბერიას არ გაახსენდა მათი არსებობა, მაგრამ არა უშავს, ალოჩკა! ყურებს ნუ ჩამოყრით! მე ბარათს გაგატანო. მანდ დალაქად მუშაობს ჩემი კარგი მეგობარი, ვასილი მუხა. ის ყველაფერში დაგეხმარებათ.

და ამ მბეუტავ შუქზე, თითის სიგანე ქალაქის ნაგლეჯზე დაწერა რამდენიმე სიტყვა: "თქვენთან ჩამოვიდა მშგ. გოგონა ალოჩკა. პატ. ეცე. ვასილი უოხოვი".

—სამწუხაროდ, ალოჩკა, ახლა უნდა დავშორდეთ, ჩვენი სადგურია.

გამოვემშვიდობეთ, ერთმანეთს ყველაფერი კარგი უხურვეთ, გეტარის უკანასკნელი აკორდები... და მე კვლავ მარტო ვარ ბნელ ვაგონში (ჭრაქი მცველებმა წაიღეს), მივდივარ სულ ჩრდილოეთით და ჩრდილოეთით.

ბანაკი პატარა აღმოჩნა, მაგრამ ისე მძიმე პირობებით, რომ ყველა მისი მაცხოვრებელი წინასწარ უკვე განწირული იყო.

ვმუშაობდით დასვენების გარეშე, ხე-ტყის სახერხში, ულუფაც იმდენი იყო, ფეხებს ძლივს მივათრევდით. რა თქმა უნდა, არავითარი მუხა არ მიძებნია და ვცხოვრობდი ისე, როგორც სხვები.

მაგრამ მისი ნახვა მაინც მომიხდა.

ის—ის იყო დასასვენებლად და მოსაწევად ჩამოვსხედით ახლად მოჭრილ ხეზე, რომ ამ დროს მოგვიახლოვდა ჯან—ღონით სავსე ახალგაზრდა, არაბუნებრივად ოთხკუთხა ფიზიონომიით.

—თქვენი გამარჯვება,....!

—ვასკას გაუმარჯოს! ხალამი ვასილის!—უპასუხა ყველამ.

ჩამოჯდა იქვე მორზე, წვეკოთი გაგვიმასპინძლდა, თან კლაპარაკობდით აქეთურზე, იქითურზე და უცებ ერთი იმახის:

—გოგოებო, ხედავთ, ყველას გვეძინა ვასკასთან ალოჩკას გარდა! უხ, შე თურქო, შენა!

ვასილიმ ერთი შემომხედა და წავიდა.

ისე მძიმე იყო იქ ცხოვრება, რომ უფროსებიც კი გვეუბნებოდნენ: "დაგტოვებდით ზონაში რამდენიმე დღით, რომ ცოტათი ამოგესუნთქათ, ძალები მოგეკრიფათ, მაგრამ ასე გიწვრიათ — უმკაცრესი რეჟიმი მთელი ვადით... ასეთი რა დააშავო?"

ერთ საღამოს ჩვენს ქალთა ბარაკში შემოვიდა ჩემთვის უკვე ნაცნობი ვასილი მუხა, ცნობილი თავისი მისაღმებით — "თქვენი გამარჯვება,....!" ცოტახანს ამინდზე ილაპარაკა და მერე იკითხა:

—რომელია თქვენში ალოჩკა?

ჩემზე მიუთითეს. მომიახლოვდა, მომესალმა და მითხრა:

—ალოჩკა, ცნობა მივიღე ჩემი მეგობარი ვასილი უოხოვისაგან. თქვენზე შემატყობინა. ჩვენ სიკეთე არ გვავიწყდება; რაზე თუ დაგჭირდეთ, მე აქა ვარ. ყოველთვის თქვენს სამსახურში მიგულვით, მე აქ ყველაფერი შემიძლია.

მადლობა გადაუხადა. ამჯერად არაფრით არ მისარგებლია. მაგრამ მეორედ...

ერთხელაც იყო ზონაში შემხვდა.

—ხომ არ მოიწყინეთ, ალოჩკა?

—მოწყენით არ მომიწყენია, მაგრამ მონატრებით კი.

—რა გინდათ, მითხარი.

—წერილის გაგზავნა სახლში...

—მერე და, დაწერეთ...

—როგორ...

—მე გაგაგზავნი.

—მე ხომ არც ფანქარი მაქვს და არც ქალაქი...

—მე მოგიტანა.

და მართლაც მომიტანა — მეოთხედი ქალაქი და ფანქრის მონატრები.

მეც მივწერე ქმარს, თუმც იმედის ნატამალიც არ მქონდა. ის კი ამ რამდენიმე სიტყვით ყველაფერს მიხვდა და მოახერხა ჩემი იქიდან გამოხსნა, რამეთუ ეს მხოლოდ

ადგილობრივი ინიციატივა ყოფილა. ამგვარად გამოვალწიე იმ ადგილიდან, საიდანაც ჯერ არავინ გამოსულა.

ასე რომ, უკიდურესი ჩრდილოეთიდან ხან ეტაპით, ხან მატარებლებით, სხვადასხვა ქალაქებში — უფრო სწორად სხვადასხვა ციხეებში, ხანგრძლივი გაჩერებების შემდეგ, ხოლო რამდენიმე დღე მოსკოვში, მატარებლის ვაგონიდან გადმოუსვლელად, როგორც იქნა, ჩავალწიე ვოლგამდე, იქიდან კი მორდოვეთის ბანაკში მოვხვდი და მოვხვდი ჩემი ქმრის წყალობით, რადგან მისგან გაიგეს, მე რომ სპეციალობით მხატვარი ვიყავი, იქ კი სწორედ ხის მოხატული ჭურჭლის წარმოება იყო ~~მთავარი~~ ^{მთავარი}.

მაგრამ სანამ იქ მოვხვდებოდი, რამდენიმე თვე დავყავი ერთ-ერთ ბანაკში, სადაც მამუშავებდნენ ხის დამუშავებულ სააქროში. და მანამდე ვმუშაობდი, უიღრვე რომელიღაცა უფროსმა არ მომაქცია ყურადღება და არ თქვა: "ეს აქ რას დაგიყენებიათ, როცა სამზარეულოში ასე გვაკლია ქალები!"

ასე გადამიყვანეს სამზარეულოში, საიდანაც არანაირი სარგებელი არ მიმიღია, რამეთუ, როდესაც მშიერი ხარ — მართლა მშიერი! — ძალიან ძნელია პურის ნატეხის თხოვნა, თავისით კი არავინ გთავაზობს...

ერთხელაც გამოვედი სამზარეულოდან სასადილო დარბაზში და რას ვხედავ, გრიელ, ცარიულ მაგიდასთან ზის ვახილი ყოხოვი — გაპარსული, გამხდარი, უბუშლატოდ და უგიტაროდ, ზის თავდახრილი, ეს—ეს არის ეტაპით ჩამოუყვანიათ, ელის კუთხილ სახურებს და ემზადება გზის გასაგრძელებლად გაურკვეველი მიმართულებით.

— ვახია!

თავი ასწია და დაიმანჭა, არც კი გაუღიმა.

— ალოჩკა!.. ასეა, ფორტუნამ ზურგი მაქცია... — მითხრა ძალზე გასაცოდავებულმა მისთვის ამ უჩვეულო მდგომარეობით.

აქ უკვე მე მოვიკრიბე მთელი ძალები და პირდაპირ სამზარეულოსაკენ გავემართე, მივედი მზარეულთან, დავიხარე მისკენ და საიდუმლოდ ვუთხარი:

— იმ კაცს ხედავთ, იქ რომ ზის?

— ვხედავ.

— ეს ვახილი ყოხოვია, ჩრდილოეთში პირველი ქურდი!

— რას ლაპარაკობთ?!

— უნდა დავაპუროთ.

— აუცილებლად! — დაფაცურდა მზარეული.

გადაუპიპინა ჯამი დაქირავებულთა ხორციანი ბორშით, თუფშიც გაუვსო საავადმყოფოსთვის განკუთვნილი ფაფით, საბავშვო განყოფილებიდან კი კომპოტი დაუსხა, დიდი ტოლჩა, ზედ ბლომად პურიც მიაყოლა. შემდეგ საქმიანად გამოიკითხა: "ეტაპიდანაა?" და თავისი საიდუმლო კარადიდან მთელი პარკი შავი ორცხობილა გამოამკვრინა სამგზავროდ.

ასე დატვირთული მივედი ვახილი ყოხოვთან და სანამ ჭაბდა, გვერდზე ვიჯექი. ხან ერთ კერძს ვაწუდიდი, ხან მეორეს. ორცხობილებიანი პარკი რომ გადავეცი, პირჯვარი გადავწერე: "ღმერთი იყოს შენი მფარველი, ვახილი!" — სამჯერ გადავკოცნე და დავშორდი, დავშორდი რომ მეტი აღარასოდეს შევხვედროდი ერთმანეთს. მეოთხე შეხვედრა აღარ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან ასეთი შემთხვევა მხოლოდ სამჯერ ეძლევა ადამიანს და სწორედ სამი იყო.

მონაზონი

კომის ასსრ—ის ბანაკში რამოდენიმე ადამიანი "რელიგიისთვის" იყო დაპატიმრებული, მათ შორის — დეიდა პაშა. დაჭერამდე მისი ბიოგრაფია ასეთი იყო: იგი მრავალშვილიან გლეხის ოჯახში იზრდებოდა, სანამ მონასტერში არ მოხვდა. უსაკომპურო ქოხის შემდეგ მონასტრის კეთილდღეობამ ისე მოხიბლა, რომ იმის იქით გახედვაც აღარ უნდოდა. იქ კი უთხრეს: შენისთანა ღარიბებს მონაზვნად არ ვიყვანთ,

ჩვენ ანაბარი გვჭირდება, აბა სხვანაირად ეკლესია როგორ გამდიდრდებოდ და მოსამსახურედ აიყვანეს, ამუშავებდნენ ყველაზე მძიმე სამუშაოზე, სწავლებისა და მონაზუნად შედგომის უფლების გარეშე.

დღედა პაშა იყო შრომისმოყვარე, ძალიან მორიდებული, წყნარი და გულთბილი ქალი. ასრულებდა ნებისმიერ სამუშაოს. ამიტომ სულ ძალე დართეს ნება კერვა შეესწავლა, მაგრამ ბოლომდე წერა—კითხვის უსწავლელი კი დარჩა. ჯერ საშონასტრო ტანსაცმელი მისცეს, შემდეგ კი პატარა სენაკიც გამოუყვეს. მეტი რა უნდოდა დღედა პაშას, იყო ბედნიერად. დიდხანს აგროვებდა ფულს, კაპიკს კაპიკზე ადებდა, კაპიკს კაპიკზე და ბოლოს საკუთარი სამოვარიც შეიძინა! ამის იქით კი მისი ოცნებები აღარც მიდიოდა. ხოდა, სვამდნენ საღამოობით ჩაის ეგ და ორი—სამი მონაზონი მის სენაკში. “დღეს დედა ანასთან ესვამთ, ხვალ დედა მანუფასთან, ზუგ კი — პაშასთან”...

ასე მიედინებოდა ცხოვრება წყნარად და ბედნიერად და უცბად — რევოლუცია! შემოვიდნენ წითელარბიელები. კომისარმა შეკრიბა მონაზვნები და აუხსნა, რომ ამიერიდან ისინი თავისუფალი მოქალაქეები არიან: “მოკრიბეთ თქვენი ბარგი—ბარხანა და მოუსვით აქედან. ვადას ნახევარ წელს გაძლევთ, მაგრამ თუ ნახევარი წლის შემდეგ აქ კიდევ დაეინახავთ ვინმეს, თავის თავს დააბრალოს!”

ვინც უფრო ჭკვიანი და მარჯვე იყო, წავიდა. დანარჩენები კი დარჩნენ სასოებისა და იმედის აშარა. დღედა პაშაც დარჩა.

ნახევარი წლის შემდეგ ისინი მართლაც მობრუნდნენ: “აბა, ქალებო, ჩვენ გაგაფრთხილეთ, ახლა კი თქვენს თავს დააბრალებთ. არაერთარი ქონება, მთელ თქვენს ბარგი—ბარხანას აქ დატოვებთ. რაც ტანზე გეცმევათ, იმითილა წახვალთ!”

—ხოდა, ალოჩკა, — მიყვებოდა დღედა პაშა, — ვიცვამ და თან ვტირი, ვიცვამ და ვტირი — სამოვარი აქ როგორ დავტოვო — მეთქი. ვიცვამ და ვიცვამ რამდენიც ჩამეცმევა, რომ რაც შეიძლება ნაკლები დავუტოვო ამათ, ვტირი და ვტირი და კარგად რომ გამოვიტირე, ავდექი, მივიმაგრე სამოვარი ფეხებშუა და წამოვედი. ფრთხილად მივდივარ, ნელა. ჭიშკართან ჯარისკაცი დგას და ყოველ ჩვენთაგანს გასვლისას ერთ მაგარ პანღურს სთავაზობს. მეც ნულ—ნელა, ფრთხილად გავედი, ის კიდევ მეცა, მერე როგორ, ხოდა, კარგადაც გამაგორა! წარმოგიდგენია, ალოჩკა, იმ ჩექმის წიხლი ახლაც ამჩნევია სამოვარს!

ჩვენი ბანაკიდან რამდენიმე ქალი, რომელიც “რელიგიისათვის” იჯდა, გაათავისუფლეს. გამომშვიდობებისას დღედა პაშამ ყველას სათითაოდ პირჯვარი გადასწერა და სთხოვა:

—გოგოებო, მოგეწერეთ გარეთ რა ხდება, ეკლესიები ნახეთ ცოცხალია თუ არა, და ილოცეთ ჩვენთვის...

მაგრამ როგორ მოიწერონ, ცენზურა ხომ წაიკითხავს?! ამიტომ შევთანხმდით: “ეკლესიის” ნაცვლად ჩაწერდნენ “აბანოს”. ასე გავისტუმრეთ ქალები. გავიდა ხანი და წერილმაც არ დააყონა. დღედა პაშამ სასწრაფოდ მომაკითხა:

—წაიკითხე ალენკა, წაიკითხე, ჩემო ჩიტო!

კვითხულობ: “მოგესალმებით თქვენ, პრასკოვია გრიგორევნა, მივესალმებით დათა ალოჩკას და ყველას. ჩავედით ქალაქ სერპუხოვოში. გამოვედით თუ არა სადგურიდან, ვხედავთ — აბანო! ეგრევე შიგ შევედით და თქვენ მაგივრადაც გემოზე ვიბანავთ! აბანოში დაველაპარაკეთ გოვზების გამყიდველ ქალს, გამოვკითხეთ ყველაფერი. ასე გვითხრა: სასაფლაოზე წადით, ქალებო. ჩვენც წავედით. მივედით სასაფლაოზე და ვხედავთ — აბანო! თან ისეთი ღამაზი აბანოა! იქაც კარგად ვიბანავებთ და თქვენ მაგივრადაც დავდგით გოვზები! მექისეც ისეთი კეთილი აღმოჩნდა, იმანაც იბანავა თქვენთვის...”

ახლა კი ნამდვილი აბანოს შესახებ.

ერთხელაც ბანაობის დღე სამების დღესასწაულის წინ დაგვინიშნეს. დღედა პაშას ძალიან უხაროდა, სადღესასწაულოდ სუფთები ვიქნებითო. შევიკრიბეთ პატარ—პატარა ფუთებით ხელში და წავედით. მეაბანოე “რელიგიისთვის” იჯდა, წყნარი,

მოკრძალებული, ამიტომაც ამუშავებდნენ მეაბანოდ. იცოდნენ შიშველ ქალებზე არ აუცმუკდებოდა თვალები. ამგვარად, ზღურბლზე შემოგვეყება — სულმთლად შიშველი, მხოლოდ წინსაფრის აპარა.

— მომაველ დღესასწაულს გილოცავთ, ქალებო! დღეს ძალიან კარგია აბანოში. ყველაფერი საგულდაგულოდ დავაწვრივეთ, კაცების წელის ნაწილიც თქვენ დაგიზოვეთ, ასე რომ, სამი გოგონის ნაცვლად ოთხი გექნებათ, იბანეთ და იბანეთ, ხანამ არ მოგწყინდებათ!

არასდროს არ დამავეწყდება ეს სურათი — ისე სასაცილოდ ეყო ხედილისაგან კინალამ წელში გადავწყვიდი! — მეაბანოე მიუჯდა დეიდა პაშას ბრძენი ბავშვები და წყნარად დაიწყეს საუბარი:

— გახსოვთ, პრასკოვია გრიგორევნა, როგორ მივდიოდით ხოლმე სამების ეკლესიაში — მორთულები, არყის ხის ტოტებით...

სხედან ორივენი შიშველები — ერთი წინსაფრის და მორე თავსაფრის აპარა და საუბრობდნენ “ღვთაებრივზე”, სუფთები და უეშმაკოები, როგორც ბავშვები ანდა ანგელოზები.

რიაზანი

რიაზანში კეთილი ადამიანები შემხვდნენ, რომლებმაც სამხატვრო სასწავლებელში მომაწყეს საბუშაოდ. იქ მისაღები კომისიის თავმჯდომარე ვიყავი. მოდიოდნენ ჩემთან ნაირ-ნაირი დედიკოები, რომლებიც ოცნებობდნენ შვილები ინტელიგენტურ სასწავლო დაწესებულებებში მიებარებინათ.

ერთხელ ძალზე ძარღვებდაწეწილმა ქალმა თავისი შვილი მომიყვანა, გალეული, თავგადასოტრილი ბიჭი, თვალსედიანი, ღია ბარათიდან გადაუხატავს “სამი გოლიათი”, თანაც ცოტათი გაუდიდებია და რაც შეეძლო დაუმახინჯებია. გარდა ამისა ნახატზე უჯრედები ჩანდა, რომლის მეშვეობითაც სურათი ქალაქზე გადაუტანია. ეს კი აკრძალული იყო. მე ვუთხარი:

— იმედი ძალიან ცოტაა...

წინადადების დამთავრება ვერ მოვასწარი, რომ უცბად რაღაც ჩამიგდო კალთაში, მოვიდა ზელი თავის შვილს და სწრაფად გავიდა.

— ო, აღია, ეს რა არის?! — მომცვივდნენ თანამშრომლები და გახსნეს. აღმოჩნდა კანფეტი, “შერცხალი”, ნახევარი კილო. აღშოთებაც ვერ მოვასწარი, რომ კანფეტის ნახახიც აღარ იყო, სულ დაიტაცეს...

და აი პირველი გამოცდის დღეც დადგა. ბავშვები დავსხით და წინ დაუდგით დოქი, გვერდზე კი ორი ვაშლი მოვუდეთ, რა თქმა უნდა, ცვილის, რომ არ შეეჭამათ. ხანამ ბავშვები ხატავდნენ, მე დერეფანში გავედი და უცბად გულითაღი ღიმილით ის უი შემომეგება! უნებურად მეც გავუდიმე და გაუუდიმე მთელი გულით!..

ბავშვი, რა თქმა უნდა, პირველივე დოქის მერე გამოკარდა. ამის შემდეგ ქუჩაში რომ მხედებოდნენ, მეორე ტროტუარზე გადავდიოდი...

ერთხელაც ვიდაც გლეხის ქალი მოვიდა, თავსაფრიანი და ფეხშიშველი. ზურგზე ჯვალის ტომარა ჰქონდა მოკიდებული, სადაც ორი ცარიელი ბიდონი ჩხარუნობდა. ეტყობა, რძე გაეცა ბაზარში. ფეხსაცმელებიც შიგ ეწყო, რომელსაც მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის დროს ხმარობდა, ე.ი. როდესაც რძით ვაჭრობდა.

გვერდზე ბიჭუნა ედგა — გამხდარი, თეთრი, ნათელი, ცისფერთვალა, ტილოს შარვალში და ისიც ფეხშიშველა. თითხმეტი წლის იყო, თუმც ცხრა-ათს ძლივს მისცემდით.

— ჩემი ბიჭია, მწყემსია, სულ ხატავს და ხატავს, — მითხრა ქალმა, — ძალიან უნდა თქვენთან ისწავლოს.

— შენი ნამუშევრები სადღაა? — კვითხე ბიჭს.

უბიდან დაგრაგნილი უჯრედიანი ქალაქლები ამოაძვრინა, თან შემომცქეროდა

თავისი ნათელი თვალებით. ნახატები ნაცრისფერი ფანქრით იყო შესრულებული... როგორც ყრმა ჯოჯო, ცხვრებს და ბატყნებს ხატავდა. ძალზე რიგიანი ნახატები იყო. დირექტორს, სასწავლო ნაწილს, ყველას ფეხებში ჩაუკარდი. ისინიც არ იყვნენ ცუდი ადამიანები, ნამდვილად მიიღებდნენ, მიიღებდნენ ასევე, აკვარელების და სხვა საჭირო ნივთების გარეშე, მაგრამ ერთადერთი, რასაც მართლაც გვედს ვერ აუკლიდნენ, ეს იყო განათლება. მას მხოლოდ ოთხი კლასი ჰქონდა და მთავრებული, ეს კი სასწავლებელი გახლდათ.

ჩვენ აუხსენით ყველაფერი. მან მოგვიხმინა, ხულ ერთიანად წაქოწოფიდა და წამიერად ცრემლით ავესო თვალები, შემდეგ თავი ჩადუნა და სრულად გაქრული გავიდა ოთახიდან.

ტურუხანსკი

ბერიას მოხსნას ამბავი ქუჩაში გავსე, როდესაც სამუშაოზე მივდიოდი კლუბში. რეპროდუქტორი სწორედ კლუბთან, ფოლადის ბოძზე იყო დამაგრებული.

მე პირდაპირ დირექტორთან შევკარდი: “გაიგეთ?!”

არავის არაფერი გაუგია. მეც ყველას მოვუყევი. ჩვენმა დირექტორმა კი მაგიდიდან სპირტი ამოიღო, სათითაოდ ჩამოგვისხა და დავლიეთ ამ სასიხარულო ამბის აღსანიშნავად.

ხალამოს კლუბში ცეკვები უნდა ყოფილიყო. ამ დროს ჩვეულებრივ, კარში მორიგე მილიციონერი იდგა ხოლმე და წესრიგს იცავდა, ამ ხალამოსაც, რა თქმა უნდა, იქ იყო.

და აი შუა ცეკვების დროს დარბაზში ჩვენი დირექტორი გამოჩნდა. წელში გამართული, მონღოებური მოაბიჯებდა ფიცარ—ფიცარ, როგორც მთურალებმა იციან ხოლმე, რომ აქაოდა, ფხიზლები ვართო. მივიდა მილიციონერთან და ერთი მაგარი ალიყური უთავაზა. მილიციონერმა ღოყაზე აიფარა ხელი. “რაო, გაგვიძრეთ სისხლი თუ არა?!” — უთხრა დირექტორმა.

მილიციონერს კი აზრადაც არ მოსვლია, პასუხი გაეცა. საწყალი, ის უკვე გრძნობდა, ვერ გადაურჩებოდნენ და მთელ მილიციას დაითხოვდნენ. ხოდა, იდგა ასე ჩუმად, ღოყაზე ხელაფარებული.

მოსკოვის ბილეთი

ნება რომ დამრთეს, მოსკოვში გავემგზავრე შევბულებით. ტურუხანსკიდან კრასნოიარსკამდე თვითმფრინავით ჩავფრინდი. კრასნოიარსკიდან მოსკოვამდე კი მატარებლით უნდა ჩავსულიყავით.

სადგურში რომ მივედი, ისეთი სურათი დამხვდა, წასვლის ყოველნაირი იმედი გადამიწყდა, იმდენი ხალხი იყო... ყველა ბანაკიდან და ყველა ნორილსკიდან!! რა უნდა მექნა: წასვლა შეუძლებელი იყო, არადა, არწასვლაც არ შეიძლებოდა...

გარდა იმისა, რომ დასაჯდომს ვერსად ნახავდი, ტუალეტიც პრობლემა გახლდათ, რადგან ჩანთით თუ წახვიდოდი, ვერსად ვერ დადგამდი, არც დასაკიდი იყო სადმე. ისე რომ, ან ჩანთიანად უნდა მჯდარიყავი ან უჩანთოდ წასულიყავი.

ამ დროს ეხედავ, ზის ვიღაც ქალი მარტო, შეუხედავი, ბარგიანად. გავემართე მისკენ.

— შეიძლება ეს ჩანთა დაიტოვოთ? მე ტუალეტში წავიდოდი.

— ტუალეტში?! ხომ არ გაგიყდი!

— რატომ?

— რას ამბობ? დაგკლავენ!

— როგორ თუ დამკლავენ?

ჩვეულებრივად – დანით გაგსურავენ და გაგჩხრეკენ. ყველამ იცის, რომ ფული ან ბიუსტგალტერში ან ნიფხავშია ხოლმე ჩაკერებული. არც იფიქრო ტუალეტზე! გადი ავერ იქით და ბაქნის გადაღმა ჩაჯექი...

ვიფიქრე, ვაითუ ამ გაურკვეველი რეაბილიტაციის განთიადზე მართლა დამკლან – მეთქი. აუღექი და მართლაც გზის იქით, რომელიღაც ჯიხურს უკან გავედი.

უკან რომ მოვბრუნდი, ეხუდავ, ორივე ჩანთა – თავისი და ჩემი – მაგრამ ჩუბღუჯავს და ზის ასე.

– ღმერთო ჩემო, – ვეუბნები, – როგორ უნდა გავემგზავრო?

– შენ სად გინდა?

– მოსკოვში.

– მე ავალე ბილეთს.

რა გზით?!

– იმ გზით, რომ ჯავშანი მაქვს.

თურმე იგი ნორილსკიდან ყოფილა. მისმა ქმარმა თუ ვაჟმა, აღარ მახსოვს, ვერ მოახერხა წამოსვლა. მას კი ჯავშანი ჰქონია ორ ბილეთზე.

– აი, საღარო რომ გაიღება, ავიღებ.

ეს ხომ შეუძლებელია! – ვფიქრობდი, – ცხოვრებაში ასე არ ხდება!

თურმე ცხოვრებაში, სწორედაც ასე ხდება.

ის ჩანთებთან ზის, მე კი დავრბივარ და რაღაც რიგებს ვიკავებ. ბოლოს უფროსების საღაროც გაიღო. იგი მივიდა ფრიად მტკიცედ, ყველა გასწი–გამოსწია და უკან ორი ბილეთით ხელში დაბრუნდა.

მთელი გზა გადავყევი, კასვი და ვაჭაძე, თან ვართობდი, რაებს არ ვუყვებოდი. მისგან გავიგე პირველად “ბალოკი”.

– ბინას კი გვამღევენ, – მეუბნება, – მაგრამ მენანება ბალოკიდან გადასვლა, ძალიან მწყდება გული.

“ბალოკი” აღმოჩნდა ეაგონი დამრეცი სახურავით, ბორბლების ნაცვლად ხის ჯირკვბზე შეყუდებული.

სადღაც მოსკოვამდე ჩამოვიდა. მე კი მისი სახელიც აღარ მახსოვს.

ეს მართლაც საოცრება იყო! არ გინდა, ამოდენა ზღვა ხალხში მაინცდამაინც იმ ქალს მიადგე, რომელსაც შენთვის ბილეთი უღევს ჯიბეში!

არადა, რამდენჯერ შევხვედრივარ ცხოვრებაში ასეთ ანგელოზებს, უფროთებს და ამ ქალივით დრუნჩიანებსაც! მართლაცდა საოცრებაა!



ესპანური პოეზია

ანტონიო მაჩადო

თარგმნა ბიპო ნიქარაძემ



ქართული
წიგნობის ეროვნული
სამსახური

●
ჩამავალ მზის ცეცხლი აივნებზე ქრება
და მიმქრალი მნათი სახლებს ეფარება.

ვის, ვის ნაკვთებს ეძებს მინის იქით თვალი?
მა, გამოჩნდა სახე, ნაცნობი და მკრთალი.

და ნაკვთები მოსჩანს ხან მკრთალად, ხან სრულად,
გაცქერდები ბინდში, ვით უძველეს სურათს.

სიმარტოვე კვნესის - ექო ცამდე ადის.
ათინათი ქრება და შავდება ლანდი.

როგორ მტკივა გული! ... სიჩუმეა გზაზე...
სად ხარ?... არეინ არ ჩანს... მხოლოდ მთვარე - ცაზე!

●
ჩვენ სიზმარში ოცნებას ვქმნით,
ის ოცნება ტკივილს იტევს -
იტევს ღუმილს, ბინდს, გაზაფხულს,
ბილიკს, ბაღს და ლაბირინთებს.

აღმაფრენას... დანარცხებას...
მოგონებებს... იშედს... რწმენას.
გამოუთქმელს ჯერაც სევდას,
უფემერულ ფოთოლცვენას.

და სიზმარშიც სიზმარს ვხედავთ, -
როგორ დნება გზაზე ტბორი,
როგორ ჩნდება ღურჯ მირაჟში
ის ბილიკი... შორის-შორი!

●
ჯერ სიმწვანე შერჩა ხეებს
და ხანდახან ათრობთ წვიმა,
თუმც ფოთლები შეილახა
და კენწერომ მოიწვინა.

მოეკიდათ ღოდებს ხავსი,
ნაკადულის ისმის კვნესა.
გლუვ და უხეშ ღოდის სხეულს
გაყინული წყალი ღუსავს.

აი, სევდაც ფოთოლცვენის
დაიღვარა ქარვად ფურღზე
და აინთო შავად ღამე -
დამწუხრებულ მიწის მკერდზე.

ანდაზები და სიმღერები რა დრო გასულა?

დაფნის გვირგვინის ჩეროს არ ვეძებ,
შიყვარს ზეცა და ბურუსის ტბები,
რა ლამაზია და გამჭვირვალე,
ვით უსხეულო საპნის ბუშტები.

მე შიყვარს, როცა ცისფერი ბუშტი
ისრუტავს მზის შუქს, აჭრილი ცაში,
თრთის და ცახცახებს და მერე სკდება
და ქრება უმაღლ, როგორც მარაყი.

გულო, წვრიალი შენი საუნჯის,
ნუთუ დაფანგდა, ნუთუ შინელოდა?
ან ციურ განძით ჩაგხე ყულაბა,
- ასე უდროოდ დაცარიელდა?
ტანჯულო, იქნებ, რაიც ვიწამეთ,
ჭეშმარიტება არ იყოს სულაც...
სული ახლია დასაღიურთან...
რა დრო გასულა,
რა დრო გასულა?!

მარადიულ, ორ სტიქიას
ერკინება ქვეყნად ყველა:
ძილში კაცი ებრძვის გამჩენს,
ცხადში - გრივალს და ზღვის ღელვას.

მე თვალთ მომწყდა ცრემლი მწყელო,
შენ კი სახე შეგეცვალა...
რა ძალაა ცრემლის წვეთში -
რა უღმერთოდ დიდი ძალა!

სიზმარში გამჩენს კვითხე ზოგი რამ,
მან მიპასუხა, ვით ღმერთს შეკფურის.
მერე სიზმარში სიზმარი ვნახე...
რომ მირაქია ეს ყველაფერი.

ხუან რამონ ხიმენეს

მის წიგნზე „ხევდიანი მელიოდიები“

იდგა მაისის თვე უნაზესი
და ლურჯი ღამე - საცხე ღირსებით,
თვრებოდნენ ბაღში მთვარის ალურსით,
ცადაზიდული კიპარისები.

მთვარემ წაჰკიდა შადრევანს ცეცხლი
და წვრილი ჭაკელი ჩინჩხლებს ისროდა.
ბრწყინავდა ბაღში ნაკადის ვერცხლი,
მხოლოდ შადრევნის ხმა მოისმოდა.

სამოთხის ჩიტი შორით ამღერდა,
და მოაღწია კვნესამ აქამდე,
მერე მძინარე ქარი ალელდა
და გადაზნიქა წვრილი ნაკადი.

ჩუმიად უკრავდა იღუმალ მოტივს
სახეშემლილი მევიოლინე.

ცა - სიყვარულის და სიყმაწვილის, -
გაღია ერთი მოტივის სევდამ
და უჩიოდა - სისხლადდაცლილი
სული - იმ შორეთს, რომელიც სღევდა.

იწვიოდა ბაღში სიზმრების ვარდი -
აუხდენელის და არნახულის.
კვნესოდა ჩუმიად შადრევნის დარდი -
სული ბურუსის და გაზაფხულის.

შეწყდა სიმღერა და საყვედური
და განვეუტილი დადუმდა სიმი,
და სიმარტოვის ლანდი უღიმის
ავ ბედისწერის შხამიან სისინს.
და შადრევანშიც ჩაკვდა დაისი...

ხუან რამონ ხიმენესი



მოიწყინა მინდორ-ველმა,
დაიღალა ზვინი დგომით.
გადათიბულ ყვავილებში
სიუღლემს საღამო შემოდგომის.

შორს აკენესდა ბუღბუღის ხმა,
ნაძვი - უმაღლ გაირინდა
და განათდა მოიისფროდ
ზეცა - ცაზე უფრო წმინდა.



შემოდგომის ბრძოლის ველი
ოქროს ისრებს სივრცეს სტყორცნის.
დაჭრილ ჰაერს მზე - თიბათვის,
შხამიანი ბაგით კოცნის.

ნაკსაბმელთან სულის ფრთები
იმედის შუქს მოუღიან.

გამაოგნა მე იმ კენესამ
და მივყავარ მისკენ ბილგვს, უნუ
სიმარტოვის ეს სიმღერა
ღმერთმა უწყის ვის მისტირის.

და ცოცხლდება უცხო ხმებით
გარდაცვლილი მოძმის გული,
კენესის მწუხრი შემოდგომის
სათიბებში დამარხული.

გული დადის სისხლის ზღვაში,
ირგვლივ ცოდვის მორევი.

და ყოველი ჰასუხს ითხოვს,
მოლოდინის სევდით იწვის, -
„ისმის: „სად ხარ?“ ისმის - „საით?“...
ჰასუხი კი არსით ისმის...



ღამის გზებს და ღამის წვედიაღს
გული ებრძვის ერთი გრძნობით, -
სიყვარულის სინათლისკენ
მიღას ბნელი უგზობით.

სიყვარულის საიდუმლოს
ელტვის - საშიშ ქართა ქროლვით,
მწვერვალების ელუარებით,
სურნელოვან კარდთა თრთოლვით.



როგორც სიცოცხლე მოკლე -
მოდის ბოლო დღე ციდან...
ვეშვიდობები ყოველს -
თუმც უკვდავება მინდა!

ბაღში სისხლს ადენს ფოთლებს,
სულში მკვიდრდება ბინდად...

აი, მიმწუხრიც კვდება -
მე უკვდავება მინდა!

ჩემს გულს მშვენება მოჰკლავს -
ცისა და მიწის ფერთა;
დღეო, ნუ მიჭრობ ხანთელს -
დე, მარად ვიყოთ ერთად!

● ცივი ცისკარი - დაბურულ ბაღში,
ფოთლები - თხრილში ჩანაფერფლები...
ჩაძინებული მდინარე - ბარში,
უდაბურ კელის შავი პეპლები...

ძველ ნანგრევებზე ღურჯი ბაღახი,
და ნაგვის გროვა, დაყრილი იქვე,
მიტოვებული მწირი სამარხი
და ქოთნის ვარდი, დარგული პირქვე.

სევდა წარსულზე, შუცნობელზე, -
რაც თითქოს იყო და თითქოს არა.
შავი ლაქები ჩამავალ მზეზე
და ის... სიკვდილიც რომ არ გაკმარა!...

● შენს გვერდით თუა ქალი -
მეფობს სიმშვიდე მოგრაღი...
ვაი, იმისი ბრალი, -
ვისაც უგანებს ქალი,
გადაირევა უძალე
მუქი, მუსიკა, ქარი!

● მიმწუხრის მზემ გუშინ სულის
ფრთები მოშიოქროვა,
მაგრამ რაა თვით ბაჯალლოც
დაღლილ სულთან კერ მოვა.

გარიურაქზე მთვარემ გულზე
ვერცხლით გადაიდარა...
მაგრამ რაა ჩემთვის ვერცხლი -
გინდ მქონია, გინდ არა.

მივალ, არა მაქვს დაღლის უფლება

მივალ, არა მაქვს დაღლის უფლება
და წკრიალა ხმით მესაუბრება
უდაბნოს ქვიშა... ჩემგნით ნათელი
სანთლად მინთია შენი სახელი.

მთა-ბარზე დამე იღვრება მწვანედ -
უჩარმაზარი, ვით ოკეანე.

● მივალ, არა მაქვს დაღლის უფლება...
რაა უშენოდ თავისუფლება?!
კურ გადუურჩები, ასე მგონია -
შენს სილაძაზუს და ჰარმონიას.

● მივალ, არა მაქვს დაღლის უფლება.
ეგებ ჩამოვრჩი?! ცაც იქუფრება!
არა, ბუდაურს მე არ შეეკაზმავ,
წამრღვნას ცის ცრუმღმა და აიაზმამ.

● მივალ, არა მაქვს დაღლის უფლება,
შენი ტკივილი სულს ეუფლება.
მთელი სამყარო გაჩერდა წამით
და მბანს კიდურებს ბაღახის ნამი.

● მივალ, არა მაქვს დაღლის უფლება -
უთქმელი სევდა გულს ეუფლება.
ვაჩუქებ ჩემს სულს, - მზესავით ნათელს,
-უდაბნოს ქვიშას - ჩემგნით განათელს.

● მივალ, არა მაქვს დაღლის უფლება
სული ანგელოზს ესაუბრება...
მივევები შენს გზას, სევდით გათელილს,
და ცას მინათებს შენი სახელი!

● მივალ, არა მაქვს დაღლის უფლება -
წარსული აწმყოს ესაუბრება.

● ეს ლიმონი - მუქი, მწვანე, -
ჩამავალი მზეა, დედა!
ეს ლიმონი - მუქი, მწვანე -
ჩემს გულს მოკვავს ანუ სევდას.
მისი ფესვი სულს რომ გაწრავს, -
ცამ ტკივილად დამაბედა...
ეს ლიმონი - მუქი, მწვანე, -
ჩამავალი მზეა, დედა!

ბოლო გზა

... მე წავალ, ხოლო უფლის ჩიტი
 იმღერებს ისევ,
 და მზე გაათბობს, მერე, ჩემს ჭას -
 უძიროს, ცისფერს.
 და საღამო ჟამს: იღუმალნი, ნაზი და
 მშვიდი,
 მე გამიხსენებს გლოვის ზარით
 მიმწუხრის ბინდი.
 გაივლის წლები და ეს ქუჩა გახდება
 სულ სხვა
 და წასულების გაიზრდება, საოცრად,
 ნუსხა.

ჩემს ბებურ ბაღში, სადაც სუფიის
 დავტოვე სევდა,
 ჩემი აჩრდილის მხოლოდ ღანდი
 უჩინოდ აღჩედავს.
 მე წავალ მარტო - არ იქნება ჩემთან
 არავინ -
 არც მზე, არც დილა და არც თუორი
 ჩემი კარავი.
 და ისევ ისე გააგრძელებს გალობას
 ჩიტი,
 და ცა იქნება გამჭვირვალე, ნაზი და
 მშვიდი.

ანტონიო მაჩადოს

როგორც სარკეში, მეგობრობაში
 იცქირებიან ჩვენი სულები...

ამ დაისზე უფრო წყნარი,
 ზეცა იყოს - არ მგონია.
 ყველაფერში ვგრძნობ შენს სუნთქვას -
 ძმაო ჩემო, ანტონიო.
 აპოლონის ის საღამო
 მოგონების ნისლში დნება
 და მიმწუხრის ლურჯი ალი
 სწავას პოეტის სულს და ვნებას.

აი, ბინდში მზე ჩანაცრდა,
 ცა კი ელავს შუქით მთვარის...
 უკვდავება ჩანგთა ჩვენთა,
 ღმერთთაანაა წილნაყარი.
 შენ კი იქ ხარ, სად მზე ჩადის
 და ზეფირი სთვლემს მონიო -
 ნეტავ ახლა თუ მიხსენებ,
 ძმაო, ჩემო, ანტონიო!

სიტყაბუკე

აივანზე მარტოდ დაკრჩით
 დილა იყო ოქროსფერი.
 შენ საცოლე გახდი ჩემი,
 ბაღში სთვლემდა ოქტომბერი.
 მიცემული ტკბილ განცხრომას -
 ზეცა იყო ოდნავ მკრთალი.
 ცა იწვოდა შემოდგომის,
 მოვარდისფრო შუქით მთვრალი.
 მე პირველი კოცნა გთხოვე
 შენ კი ფოთლის დარად თრთოდი,

მომიშვირე ლოყა ისე,
 თითქოს განძს ეთხოვებოდი.
 ...ფოთოლცვენას ჩემი სევდით
 მოუჩითავს ბილიკები,
 მაგრამ ათრობს ისევ არეს
 სურნელება ყვავილების...
 მე გიწოდე შენ საცოლე,
 შენ კი სდუმდი, მდგარი მორცხვად,
 და სევდიან თვალებიდან
 ორი თბილი ცრემლი მოგწვდა.

რაფაელ ალბერტი

დაჭრილის ვედრება

- დაო, ძაჩუქე მანდილი, -
 გადავიხუთო მკერდი...
 - რა ფერის გინდა, ძაძია,
 ღურჯი, ცისფერი, თეთრი?
 - ნებისმიერი... სისხლში მაქვს
 სახე, ხელები, მკერდი...
 ზედ - შენი გული მოქარგე-
 სიკვდილის პირას გვედრი!

ხარი ზღვაში

(ფიქრები დაკარგულ
 გეოგრაფულ რუკებზე)

ეს უძველესი ძხარეა
 თოვლის, მზისა და ქარის...
 მიწის დახედვ მონახავს,
 ეს ხომ ტყავია ხარის.

გაშოტილია ნაპირზე
 და ოკეანეს უტყვეს
 ხარი, უტყვე და მკვდარი...

ელ-პარტი

მზეზე იშუშებს ფრონტი იარებს
 და შეფერილი ღურჯი სევადით,
 ზეცა ჩვენს წუხილს არ იზიარებს
 და მედიდურად დაგვცქირს ზევიდან.

რა საერთო აქვს მინდორს მკვლელებთან? -
 უაში გართულა სასინელ სრბოლით.
 და თოვლის თეთრი ციებ-ცხელება
 ისრჩევა დროის და სივრცის ბოლით.

ტკივილისაგან ხული მეცლება
 ცაც დაძაბუნდა - კუშტი და მრუშე...
 სიკვდილი გვიტყვის, ვით უმეცრება
 და შემზარავად სკდება სიჩუმე.

●
 სიკვდილამდე ორი ნაბიჯი მაკლდა,
 სიკვდილამდე ორი ნაბიჯი გაკლდა.
 მე ის თვალნათლივ დავინახე.
 შენც შესძელი მისი ხილვა.
 ის კი, ყველას უკაკუნებდა კარებზე
 და ყველას ჩასძახოდა ყურში...
 მე გავიგონე მისი შემზარავი ხმა,
 ის ხმა შენც გაიგონე.

მაგრამ მან, უეცრად, არც შენი და არც
 ჩემი
 დანახვა არ მოინდომა.

●
 ჯარისკაცი ოცნებობდა -
 ჯარისკაცი - მიფრუებულ სოფლიდან:
 გავიძარჯვებთ, - ჩამოვიყვან, ნახოს
 როგორ ჰყვავის
 ფორთოხალი,
 შევიდეს ზღვაში - მას ხომ იგი
 არასოდეს უნახავს.
 გაიხაროს გული ნაუებისა და გუშების
 ცქერით.
 დადგა სანატრული მშვიდობა, მაგრამ
 იცლება
 სისხლად ზეთისხილის ხე
 და ირწყვება წითლად მინდორი.

რომაული სონეტი

ვისაც ეს მხარე არ უნახავს -
მან არ იცის, რისთვის დაიბადე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა ღავთმე უანი ბულისათვის

მე რაიც ღავთმე, ენით არ ითქმის,
ან რარივ ვუენე და გავსაკათდი...
ღტოღვილი კაცის ყველა ხაათი,
მარადისობის ტოლია თითქმის.

მე ღავთმე შენთვის თეთრი მტრედები,
ღურჯა ცხენები, ცეცხლის მაგია,
ზღვის სურნელება, ბუღეში მარსივე.

უღუღტეხილზე მე მივატოვე,
ცეცხლი, რომელიც ანთია დღესაც.
ცას ხისხლიანი ძაძები უცვა,
ცას - განშორების და სიმარტოვის.

რასაც ჰქვიოდა ცხოვრება ჩემი...
ო, რომო, მომეც ხევდის მაგიერ,
ის რაიც შენთვის უსიტყვოდ ღავთმე!

ფედერიკო!

მე მივეყები ქუჩას
შენი რეზიდენციისაკენ,
ვღგაკარ კარებთან და გიხმობ,
მაგრამ შენ აქ არა ხარ,
ფედერიკო!

მე მოველ შენს სამელობებლოში,
შენ კი, აქ არა ხარ,
ფედერიკო!
მაგრამ როდესაც, მთებში - ანიენესთან,
სადაც შენი ზეთისხილის ხეები
ბინადრობენ -
გიხმობთ მე და ქარი... შენ გაიგონებ
ჩვენს წუხილს
და საპასუხოდ
აშრიადღები ფოთლებით.

შენ იღიმებოდი ისე,
როგორც არავინ ამ ქვეყანაზე,
შენ შეგუძლო მოგენახა ისეთი სიტყვები,
რომელთაც აწი ვერავინ მოიძიებს.

ვიცი თმია სადღაც

მე ვიცი სადღაც თმია
და იხოცება ხალხი,
და - ცაა თაღხი.
გვედრი, დამტოვე მარტო,
რომ დავივიწყო ეს აწმყო წამით...
წამიღოს ქარმა შორეთის იქით,
სადაც რიურაჟი
პირს იბანს წამით.



თარგმნა მერაბ ხერბიანმა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტ ა ნ ტ რ ა

უდიდესი შეცნობა

(საუბრები ტილოპას მაჰამედრას ხიმღერაზე)

მხოლოდ შიკრი ჯეცა, მხოლოდ სილაჟვარდა...

ბავშვან შრი რაჯნეში ინდოეთში დაიბადა 1931 წლის 11 დეკემბერს. უკვე 21 წლის ასაკში იგი ნათელდებული გახდა, მაგრამ, სანამ სულიერი მეცნიერების მასწავლებელი გახდებოდა, მან ფილოსოფიის მაგისტრის წოდება მიიღო 1957 წელს და ფილოსოფიის პროფესორის პოსტი ეჭირა ჯერ რაიპურის სინსკრიტ-კოლეჯში, შემდეგ კი ჯაბალპურის უნივერსიტეტში. 1966 წელს მან უარი თქვა პროფესორობაზე და დაიწყო მთელ მსოფლიოში მოგზაურობა და ლექციების კითხვა. 1969 წელს ბომბეში დასახლდა და მთელი თავისი ცხოვრება სხვათა სულიერ გამოვლინებას მიუძღვნა. 1974 წლიდან გარდაცვალებამდე ბავშვან შრი რაჯნეში ძირითადად პუნაში (100 კმ. ბომბეიდან) მუშაობდა თავის აშრამში, რომელიც დღეისთვის მსოფლიოში უდიდეს ფსიქოთერაპიულ ცენტრად ითვლება. რაჯნეშის მოწაფეთა (სანიასინთა) რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა და მისი გარდაცვალების დროისთვის ასიათასს გადააჭარბა. „რაჯნეშ-ცენტრები“ არსებობენ მთელ მსოფლიოში, ევროპის და ამერიკის ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, აგრეთვე არამუსულმანური აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქვეყანაში. მისი გარდაცვალების შემდეგაც, ეს ცენტრები არ წყვეტენ მუშაობას. როგორც რაჯნეშისტთა ყურნალი — „რაჯნეშ-თაიმში“ იუწყება, მისმა გარდაცვალებამ ოდნავაც ჯერ შეასუსტა რუნების ზრუნვა სანიასინების მიმართ, არამედ, როგორც მოწაფეები ამბობენ, გარდაცვალების შემდეგ მათი მასწავლებლის (გურუს) ძალა კიდევ უფრო გაიზარდა.

შეუძლებელია იმის თქმა, რომ რაჯნეში რომელიმე ერთი რელიგიის მქადაგებელი იყოს. როგორც თვითონ ამბობს, იგი არ არის არც ინდუისტი, არც ბუდისტი, არც ჯაინისტი, არც ქრისტიანი და ამავე დროს იგი წარმოადგენს ყოველი მათგანის განხორციელებას. რაჯნეში ამბობს, რომ თვითელი რელიგია არის ღმერთისკენ გაშვებული თითო და აღამიანი არ უნდა ჩამოეკიდოს ამ თითებს, არამედ თავისი მზერა უნდა მიმართოს იქით, საითაც ეს თითები მიანიშნებენ — ღმერთისკენ. ღმერთი კი აღემატება ყველა რელიგიის ერთად აღებულს.

როგორც უკვე აღინიშნა, რაჯნეში არც ერთ კონკრეტულ რელიგიას არ ქადაგებს, მაგრამ თვითონ მისი ინდური წარმომავლობა განაპირობებს მის მიმართებას სულიერი მეცნიერებისადმი საერთოდ. მისი მცდელობის მიუხედავად, რომ მიუკერძოებელი იყოს სხვადასხვა რელიგიების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ერთნაირი ენთუზიაზმით განმარტავს განსხვავებულ სკოლებს — ლაო-ძის, კრიშნას, ბუდას, პერაკლიტეს, იესოს თუ მუჰამედს, მისი ტერმინოლოგია ფაქტიურად არის ინდური ტრადიციებიდან გამომდინარე და მისი მოძღვრების უმთავრეს ძარღვს გარდასახვის თეორია წარმოადგენს. გარდასახვის (რეინკარნაციის) თემა დასავლეთისთვის ჯერაც სიახლეს და მოულოდნელ სიურპრიზს წარმოადგენს. ფაქტიურად ეს არის თემა, რომელიც არავის არ ტოვებს გულგრილს. ერთნი მას სიამოვნებით ღებულობენ, სხვანი კი ხელაღებით უარყოფენ. რაჯნეში კი თვლის, ეს თეორია ფაქტიურ რეალობას რომ არ წარმოადგენდეს, მაშინ საერთოდ არ ექნებოდა აზრი არც რელიგიის და არც არსებობის საერთოდ.

რაჯნეში ისე მარტივად და მიმზიდველი, პოეტური ენით ამბობს თავის სათქმელს, რომ უზარმაზარ გავლენას ახდენს მსმენელზე თუ მკითხველზე. მისი საუბრის მიმზიდველობა პირველ რიგში მდგომარეობს იმაში, რომ იგი საოცარი მოხერხებულობით და ზომიერებით უთავსებს ერთმანეთს ეგზოთერულს და ეზოთერულს, განსხვავებით კრიშნამურტისაგან, რომელიც საუბრისას სრულებით გამორიცხავს ეზოთერულს. კრიშნამურტი თვლის, რომ ეზოთერული ფაქტების გამხელა სულიერებას მაძიებელთათვის უარყოფითად მოქმედებს, რადგან საკუთარი გამოცდილებებს გარეშე გარედან მიღებული ნასესხები ცოდნა მაძიებელში მოჩვენებითი მეცნობის დამაძინებელ შეგრძნებას იწვევს. ამიტომ მასში ძიების წყურვილი სუსტდება. ბავშვან შრი კი თვლის, რომ აღამიანის ლოგოკუ გონებაში აღძრული კითხვები თუ პასუხგაუცემელი დარჩა, ისინი აკვირებულ კითხვებზე გადაიქცევიან და მაძიებლის ისედაც აფორიაქებულ გონებას კიდევ უფრო აურდაურევენ. ამიტომ იგი სიამოვნებით ყვება უღრმეს ეზოთერულ ფაქტებზე — რეინკარნაციაზე, თავისი მოწაფეების წარსულ

დაბადებებზე და ა. შ.

აღბათ ესეც არის იმის მიზეზი, რომ რაჯნეშის ოპონენტები მას თავისებურ ავანტიურში და ზედმეტ თავისუფლებაში სდებენ ბრალს. რაჯნეშს ბრალს სდებენ ისევე იმაში, რომ იგი ძალიან ბევრს და ძალიან თავისუფლად ლაპარაკობს სექსზე.

ასეა, თუ ისე, რაჯნეშის სახით ჩვენ საქმე გვაქვს უაღრესად ინდივიდუალურ მასწავლებელთან, რომლის ლექციები და საუბრები გამოქვეყნებულია ისეულობით ტომებად. ქართველი მკითხველი სამოცდაათი წლის განმავლობაში სულიერი მეცნიერული ლიტერატურის ვაკუუმში იმყოფებოდა და ახლა საჭიროა ამ ვაკუუმის თანდათანობითი ამოვსება. წინამდებარე თარგმანიც ამისი ერთ-ერთი ცდაა. რამდენად საჭიროა ამგვარი ლიტერატურა, უნდა განსაზღვროს თვითონ მკითხველმა.

დასასრულს მკითხველი კიდევ ერთხელ უნდა გავადრთილოთ, რომ, თქვენს წინამდებარე ლექციებში არ არის მოცემული რაჯნეშის სამედიტაციო ტექნიკათა მთავარი სახეები, მოცემულ წიგნში არის მედიტირების რამდენიმე ხერხი, რომელთა პრაქტიკული გამოყენებაც გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული და ამიტომ ამ საქმეში გამოუცდელი პირები უნდა მოერიდონ ამ ტექნიკათა გამოყენებას.

მთარგმნელი.

უზენაესი ბანცლა

მეცნიერული ექსპერიმენტის შემდეგ საქმე გვაქვს ორმაგ მოვლენასთან: პირველი მომენტი ამ მოვლენაში არის ადამიანი-დამკვირვებელი, მეორე კი გამოცდილება, რაც მოიტანა ამ დაკვირვებამ. მაგრამ უსაზღვროობის განცდა არ იძლევა ამგვარ გამოცდილებას, რადგან ამ დროს ქრება ორმაგობა და უსაზღვროობის განმცდელი ამ უსაზღვროობადავე დნება და გადაიქცევა, ხოლო როდესაც განმცდელი არ არსებობს, ვინ იტყვის იმას, რაც შეიძლება ითქვას? ვინ იტყვის იმას, რაც შეიძლება განცდილ იქნას? როცა სუბიექტი არ არის, ობიექტიც ქრება. ნაპირები ქრებიან და მხოლოდ განცდის უნაპირო მდინარეა რჩება. არის ცოდნა და არ არის მცოდნე. ეს ყოველთვის წარმოადგენდა მისტიკოსთა პრობლემას. ისინი შედიან უსაზღვროობაში, მაგრამ ვერ გადასცემენ მას თავიანთ მიმდევრებს, იმათ, ვისაც ამის გაგება გონებით სურთ. ტრანსცენდენტულის გადაცემა შეუძლებელია, რადგან მცოდნენი გაიგივდნენ ცოდნასთან. მთელი მათი არსება გამოხატავს ამას, მაგრამ ინტელექტუალური კომუნიკაცია შეუძლებელია. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მზად ხართ მიღებისათვის, მისტიკოსები გადმოგცემენ ამას, თუ წინაგანად არ ეწინააღმდეგებით და მგრძობიარე და ფაქიზი გახდით, ისინი მოახდენენ თქვენში ამას. არ შველის სიტყვები და თეორიები, სავსებით უსარგებლოა დოქტრინები. განცდას პროცესის ბუნება უფრო გააჩნია, ვიდრე გამოცდილების. ეს არის პროცესი, რომელიც იწყება, მაგრამ არასოდეს არ მთავრდება. თქვენ შედიხართ მასში, მაგრამ არასოდეს არ ფლობთ მას. ეს ხდება ისე, როგორც წვეთის დნობა ოკეანეში და ოკეანისა წვეთში. ეს დიადი შედნობაა, შეერთება. თქვენ უბრალოდ იხსნებით მასში,

არაფერი თქვენგან არ რჩება, ნაკვალევიც კი. ასე რომ, ვინ დაბრუნდება ამ ჩვენი ყოველდღიურობის უკუნეთში და ვინ მოგვიყვება განცდილზე?

ყველა მისტიკოსი მთელ მსოფლიოში გრძნობდა უძლურებას, როცა საქმე კომუნიკაციაზე მიდგებოდა. შესაძლებელია თანაგანცდა, მაგრამ კომუნიკაცია შეუძლებელია. ეს დასაწყისშივე უნდა ითქვას.

თანაგანცდა სრულიად განსხვავებული სიდიდეა: ერთმანეთს ორი გული ხვდება — ეს სიყვარულია. კომუნიკაცია გონებებს შორის, — თანაგანცდა, თანაგრძნობა გულებს შორის. თანაგანცდა გრძნობაა, კომუნიკაცია — ცოდნა. გაიცემიან მხოლოდ სიტყვები, მხოლოდ სიტყვები გაიგებიან. სიტყვათა ბუნება კი მკვდარია და არაფერი ცოცხალი არ გადაიცემა სიტყვების საშუალებით. ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, თავი რომ დავანებოთ უსაზღვროს და მარადიულს, ჩვეულებრივი, ამაღლებული, ეკსტატიური მომენტები, როდესაც თქვენ ნამდვილად რაღაცა განიცადეთ, შეუძლებელია სიტყვებით გადმოსცეთ.

ბავშვობისას ხშირად დავდიოდი მდინარეზე. პატარა სოფელში ვცხოვრობდი, იქ ძალზე ზანტი მდინარე ჩამოდიოდა, ისეთი, თითქოს არც კი მიეღინებო. დილაობით, როცა მზე ჯერ კიდევ არ ამოსულიყო, შეუძლებელი იყო გაგება, მიეღინებოდა იგი თუ არა. ადრიახად, როცა ჯერ მობანაყენი არ ჩანდნენ მის ნაპირებთან, ის საოცრად წყნარი იყო, ჩიტებიც კი არ უსტვენდნენ ასე ადრე. იდგა მანგოს ხეების სურნელი და ეს კიდევ უფრო აძლიერებდა ისედაც არსებულ სიმშვიდესა და სიწყნარეს. მე მივდიოდი უბრალოდ, დასაჯდომად და დროის გასაყვანად. საჭიროდ არ მიმაჩნდა

მეკეთებინა რამე. საკმარისი იყო მხოლოდ იქ ყოფნა. ეს იყო უდიდესი სიხარული. ებანაობდი, მზის ამოსვლისთანავე გადავდიოდი მეორე, ქვიშიან ნაპირზე, ვირუჯებოდი მზეზე, ვიწექი, ზოგჯერ ვიძინებდი. სახლში დაბრუნებულს დედა მიეკითხებოდა, თუ რას ვაკეთებდი ამდენ ხანს მდინარეზე. მე ეპასუხოვდი, რომ არაფერს. რადგან მართლა არ ვაკეთებდი რაიმეს. იგი კი შეუბნებოდა, რომ შეუძლებელი იყო ოთხი საათის განმავლობაში არაფერი მეკეთებინა... ისიც მართალი იყო და მეც.

მე უბრალოდ ვიყავი მდინარესთან, არ ვეწინააღმდეგებოდი არაფერს. ყველაფერი თავისით ხდებოდა. თუ მინდოდა, დაიმახსოვრეთ — მინდოდა, ვცურაობდი, მაგრამ ეს არ იყო მოქმედება ჩემი მხრიდან, არ იყო მცდელობა. ძილი მინდოდა, მეძინა. ბევრი რამ ხდებოდა, მაგრამ მოქმედი პირი „მე“ არ არსებობდა. ჩემი პირველი განცდა „სატორი“ იქ მოხდა, იმ მდინარესთან. მე თვითონ არაფერი გამიკეთებია ამისთვის, მე მხოლოდ ვიყავი იქ.

დედაჩემს კი დაეჭინებინა, რომ რაღაცას ვაკეთებდი. ამიტომ ვეუბნებოდი, რომ ვცურაობდი, შემდეგ კი ვცურაობდი მზეზე და ამით იგი კმაყოფილდებოდა. რა თქმა უნდა, ის, რაც მდინარეზე ხდებოდა, სიტყვებით არ გადმოიცემოდა. „მე ებანაობდი“ — ეს უფერული სიტყვები იყო. თამაში მდინარეში, — ცურვა — ეს ისეთი ღრმა განცდები იყო, რომ უბრალოდ თქმა: „მე ვცურაობდი“, ნიშნავდა არაფრის თქმას. სიტყვები კი — „მე წავიდე იქ, ვისეირნე და ვიჯექი ნაპირზე“ — არაფერს გადმოაცემდა. ჩვეულებრივ ცხოვრებაშიც კი განვიცდივთ სიტყვების ამოვებას. თუ ეს არ განვიცდივთ, ჩათვალეთ, რომ თქვენ ნამდვილად არ გიცხოვრიათ, რომ თქვენ იცხოვრეთ ძალზე ზედაპირულად. როცა თქვენში პირველად ხდება ისეთი რამ, რაც სიტყვებზე მალლა დგას, ეს ნიშნავს, რომ კარზე ნამდვილმა ცხოვრებამ მოგიკაკუნათ. ხოლო როდესაც კარებთან უსაზღვროება მოგადგებათ, თქვენ დგებით სიტყვებზე მალლა, მუნჯდებით, ლაპარაკი შეუძლებელი ხდება. თქვენში არ იბადება არც ერთი სიტყვა. ის კი, რისი თქმაც შეგიძლიათ, ისეთი უფერული, მკვდარი და უაზრო ჩანს, რომ თავი უსამართლო გგონიათ იმის მიმართ, რაც თქვენში მოხდა.

გახსოვდეთ ეს, რადგან მაჰამუდრა ბოლო უდიადესი განცდაა. მაჰამუდრა ნიშნავს ყოველის შთანთქმელ ორგანიზმს მთელ სამყაროსთან. თუკი ვინმე გიყვარდათ და გსურდათ მასში გადნობა და ჩაძირვა, როცა ორი უკვე ორი აღარაა, როცა

სხეულები ცალ-ცალკე რჩებიან, მაგრამ მათ შორის ოქროს ხიდი იდება და შინაგანი ერთიანობა მყარდება, როცა სასიცოცხლო ენერჯია ორივე პოლუსზე დგაფუნობს, ეს თუ განვიცდივთ, მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ გაიგოთ, რა არის მაჰამუდრა. მილიონჯერ ღრმად და მილიონჯერ მეტად, მაჰამუდრა — ეს არის ყოველის შთანთქმელი ორგანიზმი მთლიანობასთან, მრედა — მარედასთან. ეს არის არსებობის წყაროში გადნობა.

ეს არის მაჰამუდრას სიმღერა. მშვენიერია, რომ მას ტილოპამ სიმღერა უწოდა. თქვენ შეგიძლიათ იმღეროთ, მაგრამ მისი შოყოლა შეუძლებელია. ეს იმდენად ღრმა შოვლენაა, რომ სიმღერას შეუძლია მხოლოდ მისი მცირე ნაწილის გადმოცემა და ეს იქნება არა ის, რასაც თქვენ მღერისხართ, არამედ როგორც მღერისხართ.

მრავალი მისტიკოსი უსაზღვროების განცდის მერე მხოლოდ ცეკვავდა. ისინი უძლეური იყვნენ სხვა რამე ეკეთებინათ. მთელი სხეულით და არსებით ისინი რაღაცას გამოხატავდნენ. ამაში მონაწილეობდა — სხეული, გონება და ხული, მაგრამ ეს არ იყო უბრალო ცეკვა. თავად ცეკვაც ამ მისტიკოსების გამო გაჩნდა. ეს იყო ბედნიერების, ექსტაზის და ნეტარების გამოხატვა. რაღაც შეუცნობელმა მეცნიერებელში გაჟონა — რაღაც მიღმურმა დედამიწაზე შემოაღწია. სხვა რა რჩება — თქვენ შეგიძლიათ იმღეროთ, იცეკვოთ განცდილი და ეს იქნება მაჰამუდრას სიმღერა. მაგრამ ვინ იმღერებს ამას? ტილოპა ხომ აღარ არის უკვე? — ორგანიზმი თვითონაა სიმღერა. ტილოპა არ მღერის მას. თვითონ განცდაა ვაბრაცია და სიმღერა. შესაბამისად მაჰამუდრას სიმღერა ექსტაზის სიმღერაა, როცა ექსტაზი მღერის თავისთავს. ტილოპას არავითარი საქმე არ აქვს მასთან. ტილოპა უკვე აღარაა, ტილოპა გადნა. მიზანი მიღწეულია მხოლოდ მაშინ, როდესაც მაძიებელი ქრება. როცა განმცდელი ქრება, მხოლოდ მაშინ არის განცდა. ეძიებთ და ვერ პპოვებთ მას. თვითონ ძიების პროცესი და მცდელობა იქცევა წინააღმდეგობად, რადგან რაც უფრო ეძიებთ, მით უფრო იზრდება მაძიებელი ეგო. ნუ ეძიებთ, ეს არის მაჰამუდრას სიმღერის უმნიშვნელოვანესი აზრი. ნუ ეძიებთ, იყავით ისეთი, როგორც ხართ. ნუ მიდიხართ ნურსად. აღამიანი ვერასდროს ვერ შივა ღმერთთან, რადგან არ იცის სად არის იგი. საით წახვალთ? სად დაიწყებთ ღვთაებრივის ძებნას? არ არსებობენ რუქები და გზები, ვერავინ ვერ მიგვასწავლის, ვერავინ მიადწევს მასთან. ყოველთვის პირიქით ხდება. ღმერთი მოდის თქვენთან მაშინ, როცა მზად ხართ. იგი

მოგიკატუნებთ, იგი მოვა. მზადყოფნა კი მგრძობელობაა, როცა თქვენ ხდებით უნარიანი შეიგრძნოთ, მაშინ გაქრება ეგო. თქვენ ხდებით ცარიელი ტაძარი, სადაც არაფერი აღარაა.

ტილობა ამბობს თავის სიმღერაში: გახდით ღრუ, როგორც ბამბუკი, დაე, არაფერი არ დარჩეს ამ სიღრუეში სიციარიელის გარდა და უცბად იმ მომენტში, როცა იქვეცით ცარიელ, ღრუ ბამბუკად, ღვთაებრივი ბაგეები მოგვამბობრებიან, ბამბუკი იქცევა ფლვიტად და იწყება სიმღერა. როცა ტილობა ცარიელ ბამბუკად იქცა, მოვიდა ღვთაება და სიმღერად დაიღვარა. ეს ტილობას სიმღერა როდია, ეს უღიაღესი განცდის სიმღერაა.

ვიდრე ჩავუღრმავდებოდეთ ამ უმშვენიერეს მოვლენას, რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას ტილობაზე — ცოტა რამაა ცნობილი მის შესახებ, რადგან ასეთი ადამიანები ჩვეულებრივ უცნობნი რჩებიან. ისინი მიდიან უკვალოდ, ისტორიაში შესვლის გარეშე და იმ გზიდან მოშორებით, ცალკე დგანან, რომლითაც მიემართება მთელი დანარჩენი კაცობრიობა. მთელი კაცობრიობა მიედინება სურვილების გზით. ტილობასნაირნი სურვილებზე მაღლა დგანან. ისინი, უბრალოდ, მიდიან იმ მთავარი მაგისტრალის მეორე მხარეს, სადაც მიიმდორება კაცობრიობა და იქმნება მისი ისტორია. რაც მეტად შორდებიან ამ მაგისტრალს, მით უფრო ირვალურნი ხდებიან და, როგორც შითები, ღროის გარეშე არსებობენ. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ისინი ღროის გარეშე მოძრაობენ და უღროობაში, მარადიულში მყოფნი, უბრალოდ ქრებიან ჩვენი ადამიანური განზომილებებიდან. ჩვენ გვახსოვს მხოლოდ ის მომენტი, როცა ისინი გაქრნენ; აი რატომაა ტილობა უცნობი. არსებობს მხოლოდ სიმღერა, ძღვენი, რომელიც ტილობამ თავის მოწაფეს ნარობას დაუტოვა. ასეთი საჩუქარი არ შეიძლება გადაეცეს ყველას. აუცილებელია არსებობდეს სიყვარულის ღრმა ინტიმურობა. საჭიროა არსებობდეს ამხელა საჩუქრის მიღების უნარი. მან ეს სიმღერა ნარობას, თავის შეგირდს აჩუქა.

ნარობა მილიონჯერ გამოიცადა, სანამ ეს მოხდებოდა. გამოიცადა მისი რწმენა, სიყვარული და მიმზნობლობა და, როცა ნათელი გახდა, რომ მასში იქვის არც ერთი წვეთი არ არსებობდა, როდესაც მისი გული აიფსო სიყვარულით და მინდობით, მხოლოდ მაშინ მიიღო მან ეს სიმღერა.

და აი, მეც ვაპირებ მის წამოწყებას. როცა მზად იქნებით, შესაძლებელი გახდება

თქვენშიც გადმოიღვაროს ეს სიმღერა. მზადყოფნა ნიშნავს, რომ იქვი უნდა გაქრეს თქვენი ცნობიერებიდან. იგი არ უნდა დაითრგუნოს, ხუ ეცდებით მის ჩაკეტვას, რადგან ჩამწყვდეული ექვი თქვენი ქვეცნობიერის ნაწილად იქცევა და კვლავ ექნება თქვენზე გავლენა. უბრალოდ, მეტი და მეტი ენერგია დაუტყმეთ ერთგულებას, მინდობას. იყავით გულგრილნი თქვენი იქვიანი გონების მიმართ და ესაა ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ.

გულგრილობა ეს თქვენი გასაღებია. იყავით იქვები, როგორც არსებულნი. მეტი და მეტი ენერგია ჩააქსოვეთ სიყვარულში, რწმენაში — რადგან ენერგია, რომელიც იქვად იქცევა, იგივე ენერგიაა, რომელიც უნდა ტრანსფორმირდეს რწმენად. იყავით გულგრილნი იქვების მიმართ. როგორც კი ამას შეძლებთ, მაშინვე შეწყდება თქვენი მხარდაჭერა, თანამშრომლობა იქვებთან. შეწყდება მათი კვება, რადგან სწორედ თქვენი ყურადღება რწყავს მათ. თუნდაც უარყოფითად ეკიდებოდეთ თქვენს იქვებს, სულერთია, ესეც საშიშია, რადგან ყველანაირი ყურადღება საკვებია იქვისათვის, თანამშრომლობაა მათთან. საჭიროა გულგრილობა, არც აქვთ, არც იქით. ხუ იქნებით ხურც წინააღმდეგნი, ხურც მომხრენი.

ახლა უნდა გაიგოთ საში სიტყვა — იქვი, დარწმუნებულობა და რწმენა, რაც აღმოსავლეთში ცნობილია როგორც შრადპა. იქვი ნეგატიური დამოკიდებულებაა რაიმეს მიმართ. რაც არ უნდა იქნას ნათქვამი, თავიდანვე წინააღმდეგნი ხართ, ნეგატიურად ეკიდებით მას და პოულობთ მიზეზებს, დებულებებს თქვენი უარმყოფელი დამოკიდებულების მხარდასაჭერად. ახლა არსებობს ყირაზე დაყენებული იქვიანი გონება და ეს არის დარწმუნებული გონება. მათ შორის მცირე განსხვავებაა. ასეთი გონება საგნებს დადებითად უყურებს და ნახულობს მიზეზებს, დებულებებს ამგვარი დამოკიდებულების მხარდასაჭერად. მოექვიანე გონება თრგუნავს დარწმუნებას, დარწმუნებული გონება — ექვებს. ორივე მათგანი ერთი რიგის მოვლენაა და არ განსხვავდებიან თვისობრივად ერთმანეთისაგან.

მაგრამ არსებობს მესამე ტიპის გონებაც, საიდანაც იქვი გაქრა და როცა იქვი ქრება, მას მიძვეება დარწმუნებულობაც. რ წ მ ე ნ ა — ეს დარწმუნებულობა კი არა, ეს სიყვარულია. რწმენა დარწმუნებულობა არ არის, რადგან იგი ნახევარი როდია, იგი მთელია, სავსეა. რწმენა დარწმუნებულობა

არაა, რადგან არ არსებობს იქვე, რწმენა არ არის ლოგიკური მიკერძობა, არც წინააღმდეგობა, არც მომხრეობა — არც ეს, არც რამე სხვა. რწმენა ნდობაა, მთლიანად მინდობა, სიყვარული, მას ვერ მოუწახვეთ ვერავითარ გონივრულ განმარტებას. რწმენა უბრალოდ არსებობს ყველაფრის გარეშე და როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში? ნუ შექმნით დარწმუნებულობას რწმენის მაგივრად. იყავით გულგრილნი როგორც დარწმუნებულობის, ისე იქვიანობის მიმართ. მიეცით თქვენი ენერჯია ღრმა სიყვარულს, რწმენას. შეიყვარეთ მეტად, გიყვარდეთ უსიტყვოდ. შემიყვარეთ არა მარტო მე, რადგან ეს შეუძლებელია. უბრალოდ გიყვარდეთ, რადგან, თუ გიყვართ, მაშინ თქვენ არსებობთ, უბრალოდ დიდი სიყვარულის მდგომარეობაში არა მარტო მასწავლებლის მიმართ, არამედ ყველაფრის მიმართ თქვენს ირგვლივ — ხეების, ქვების, ცისა და მიწის მიმართ...

თქვენი არსება, თქვენი არსებობის ხარისხი იქცევა სიყვარულის მოვლენად. მაშინ გაჩნდება ნდობა და მხოლოდ ამგვარ ნდობაში შეიძლება ისეთი საჩუქარის გადაცემა, როგორც არის მაჰამუდრას სიმღერა. როცა ნარობა მზად იყო, ტილობამ მას ეს საჩუქარი მიუძღვნა. გახსოვდეთ: მასწავლებელთან ერთად თქვენ დაიწყეთ არა გონებით მოგზაურობა — გონების სამოგზაურო ადგილები იქვიანობა და დარწმუნებულობა — არამედ მასწავლებელთან ერთად გულით სამოგზაუროდ მიდიხართ. გულმა კი არ იცის რა არის დარწმუნებულობა და რა არის იქვე. გულმა მხოლოდ რწმენა იცის. გული ბავშვს ჰგავს; ბავშვი მამას მიჰყვება ხელჩაკიდებული და მიჰყვება დარწმუნების და იქვის გარეშე — უბრალოდ მიჰყვება მინდობილი. მასში არ არის ორმაგობა — დარწმუნებულობა და იქვიანობა. ბავშვი ჯერაც მთელია და იგი მიდის იქ, სადაც მიჰყავს მამას. როდესაც მოწაფე ბავშვად იქცევა, მხოლოდ მაშინ შეიძლება გადაეცეს მას უმაღლესი ცნობიერების ეს საჩუქარი. როდესაც იქცევით მიღების დაბლობად, მხოლოდ მაშინ გადმოგეცემათ ცნობიერების ეს უმაღლესი მწვერვალები. მხოლოდ დაბლობს შეუძლია მიიღოს მწვერვალი. მოწაფე მზად უნდა იყოს მისადგებად, როგორც დედაკაცის საშო იღებს სიცოცხლეს და მხოლოდ მაშინ ხდება ის მოვლენა, რაც ამ სიმღერაშია.

ტილობა მასწავლებელი, ნარობა მოწაფე და ტილობა ამბობს:

მაჰამუდრა სიტყვებს მიღმაა და სიმბოლოებს მიღმა,

მაგრამ შენთვის ნარობა, წრფელისა და

ერთგულისათვის

შემდეგი უნდა ითქვას...

იგი სიტყვებს მიღმაა და სიმბოლოებს მიღმა, ყოველგვარ სიტყვებს და სიმბოლოებს მიღმა. მაშინ რამდენად უნდა ითქვას მასზე, არის რაიმე გზა? დიახ, არის გზა. თუ არსებობს ნარობა, მაშინ არსებობს ეს გზაც. ეს შეიძლება! შეიძლება, თუ არსებობს ქეშმარიტობა! შეიძლება გზა ნაპოვნი თუ არ იქნება, დამოკიდებულია მოწაფეზე. როცა მოწაფე ისე მგრძობიარეა, რომ თითქოს არც კი გააჩნია საკუთარი გონება, არ ბჭობს, მართალია ეს, თუ მცდარი, არ გააჩნია საკუთარი აზრი და უსიტყვოდ მიჰყვება მასწავლებელს, უბრალოდ აღმქმელია, სიცარიელეა და უსიტყვოდ ღებულობს იმას, რაც გადაეცემა, მაშინ სიტყვები და სიმბოლოები არაა საჭირო, მათ გარეშეც შეიძლება რაღაცის გადაცემა. თქვენ გაიგონებთ სიტყვებს შორის და სტრიქონებს შორის, მაშინ სიტყვები მხოლოდ საბაბია. ქეშმარიტება სიტყვებს მიღმაა. სიტყვები მხოლოდ ტრიუკია, საშუალებაა. ქეშმარიტება სიტყვებს ჩრდილივით მოჰყვება. თუ თქვენში დიდი გონებაა, მაშინ გაიგონებთ სიტყვებს, მაგრამ, ის, რაც სიტყვებს მიღმაა, არ გადმოგეცემათ. ხოლო, თუ სრულიადაც არა ხართ გონება, მაშინ შეუძნეველი ჩრდილები, სიტყვებს რომ მოჰყვება, ცნობიერდებიან, მაშინ თანაგანცდა შესაძლებელია. ტილობა ამბობს: „მაგრამ შენთვის ნარობა, წრფელისა და ერთგულისათვის, შემდეგი უნდა ითქვას...“

ის, რისი თქმაც შეუძლებელია, უნდა ითქვას მოწაფესთან. რისი გამოხატვაც შეუძლებელია, რაც აბსოლუტურად უჩინარია, ცხადი უნდა გახდეს მოწაფისათვის. ეს მხოლოდ მასწავლებელზე როდია დამოკიდებული, უფრო მეტად ეს მოწაფის საქმეა. ტილობას გაუძარტლა, ნარობა რომ ნახა. იყვნენ მასწავლებლები, რომელთაც არ გაუძარტლათ და რასაც მათ შიამწიფეს, მათთან ერთად წაუვიდა და გაქრა, რადგან არავინ გამოჩნდა, რომ მათი ცოდნა მიეღო. ზოგჯერ მასწავლებლებს უწევდათ ასობით მილის გავლა მოწაფის საძებნელად. თვით ტილობაც ინდოეთიდან ტიბეტს გაემგზავრა მოწაფის, ნარობას საძებნელად. მანამდე ტილობამ მთელი ინდოეთი მოიხეტიალა და ვერ ნახა ვერავინ, რომ ასეთი საჩუქარი მიეძღვნა, ვერავინ, ვინც ასეთ ძღვენს ჯეროვნად შეაფასებდა და მისი საშუალებით გარდაიქმნებოდა. ნარობამ მიიღო საჩუქარი და მაშინვე სრულიად გარდაიქმნა. ამბობენ, ტილობას ურჩევია ნარობასათვის, რომ მასაც ეძებნა თავისი

ნარობა. ნარობასაც გაუმართლა და იბოვა მოწაფე მილარება; მილარებაშიც იბოვა მოწაფე მარბა. შემდეგ კი ტრადიცია შეწყდა და ასეთი მაღალი რანგის მოწაფეები აღარ გამოჩნდნენ. ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ, რელიგია ინათებდა დედამიწაზე და მინავლდებოდა. მომავალშიც ასე იქნება. რელიგია ვერ შეეთვისება ეკლესიას, ვერ მიეცემა რომელიმე სექტას. იგი პიროვნულ ურთიერთობაში, პიროვნულ განცდებში ვითარდება. ტილოპას რელიგიამ მხოლოდ ოთხი თაობის განმავლობაში იარსება და მერე გაუჩინარდა.

რელიგია ოაზისს ჰგავს. უდაბნო დიდია და ზოგჯერ მის რომელიმე ნაწილში ოაზისი ამოვა. სანამ იგი არსებობს, ეძიეთ, სვით მისგან, ეს დიდი იშვიათობაა. იესო ხშირად მიმართავდა თავის მოწაფეებს — მე აქ ცოტა ხნით ვარ, ვიდრე არ წავსულვარ, მჭამეთ და მსვით. ათასი წლის მანძილზე იესოს მსგავსი მასწავლებელი შეიძლება არ გამოჩნდეს. უდაბნო დიდია, ოაზისი ზოგჯერ გაჩნდება და ისევ ქრება, რადგან ოაზისი უცნობ მხარისეულია, არამქვეყნიურია, მას ამ ქვეყნად ღუზა სჭირდება და ეს ღუზა ნარობაა.

იგივეს გეტყვით მეც — სანამ აქ ვარ, ნუ დაკარგავთ დროს, ნუ დაკარგავთ აბდაუბდაში, გონებრივ მიეთ-მოეთში. ოაზისი მცირე ხნით იქნება, იგი გაქრება. ახლა სვით ოაზისიდან, ჰამეთ. წინ ბევრი დაბადებები გიდევთ, მიეთ-მოეთს მერეც მოასწრებთ. ახლა კი ჰამეთ, სვით ოაზისიდან...

როგორც კი წყურვილი დაიკმაყოფილეთ იესოთი ან ტილოპათი, თქვენ ხელახლა დაიბადეთ, აღსდექით და ეს ცვლილება ძალიან ძალიან მსუბუქი და უბრალოა. ეს ბუნებრივი პროცესია. ყველაფერი, რაც თქვენ მოგეთხოვებათ, არის უბრალო რამ — იქეცით ნიადაგად და მიიღეთ თესლი.

„მაჰამუდრა სიტყვებს მიღმაა და სიმბოლოებს მიღმა, მაგრამ შენთვის, ნარობა, წრფელისა და ერთგულისათვის, ეს უნდა ითქვას“... შეუძლებელია ამის თქმა, ეს გამოუთქმელია, მაგრამ ნარობასათვის ეს უნდა ითქვას. როცა მოწაფე მზად არის, მასწავლებელი უნდა გამოჩნდეს და იგი გამოჩნდება; როცა არსებობს ღრმა შინაგანი საჭიროება, იგი უნდა დაკმაყოფილდეს. მთელი არსებობა პასუხობს თქვენს ღრმა საჭიროებას, მაგრამ აუცილებელია ამ მოთხოვნის არსებობა, სხვანაირად თქვენ გვერდზე ჩაუვლით ტილოპას, ბუდას, იესოს და იქნებ ვერც მიხვდეთ, რომ იესოს გვერდით ჩაიარეთ. ტილოპა ამ ქვეყანაში ცხოვრობდა და არავინ უსმენდა, იგი კი მზად

იყო უდიდესი ძღვენი გაეცა. ამ ქვეყანაში ეს ბევრჯერ მომხდარა. ცხადია, უნდა არსებობდეს ამის ახსნა — ეს მომხდარა ჩვენს ქვეყანაში მეტად, ვიდრე სადმე სხვაგან. იმიტომ, რომ აქ ბევრი ტილოპები დაბადებულან. მაგრამ რატომ მოხდა, რომ ტილოპა ტიბეტში წავიდა და ბოდჰიდჰარმა — ჩინეთში? ჩვენმა ქვეყანამ ძალზე ბევრი იცის, აქ ძალზე დიდ ტილოპებს გულია ცოტა. ეს ბრამინების და პანდიტების ქვეყანაა, დიდი სწავლულების და ფილოსოფოსთა ქვეყანა, აქ ზეპირად იციან ვედები და უპანიშადები. იმიტომაც ასეთები ხშირად ხდებოდა. თვითონ მეც ხშირად მიხდება ამის ხილვა. მოდის ვინმე ბრამინი და მასთან ურთიერთობა თითქმის შეუძლებელია. ადამიანი, რომელმაც ძალზე ბევრი იცის, აუტანელი ხდება, რადგან მან იცის ნამდვილი შეგნების გარეშე. მან შეაგროვა უამრავი დოქტრინები, თეორიები და ტექსტები, რაც მკვდარ ტვირთად აწევს მის ცნობიერებას. ყველაფერი ეს კი არ შეემთხვა მას, ყველაფერი ეს ერთმანეთით განპირობებულია და რაც განპირობებულია — ნაგავია. მოიშორეთ იგი, რაც შეიძლება ჩქარა.

ჰეშმარიტია მხოლოდ ის, რაც ხდება თქვენში, ჰეშმარიტია მხოლოდ ის, რაც ყვავილობს თქვენში. მხოლოდ ის, რაც იზრდება თქვენში, არის ჰეშმარიტი და ცოცხალი. დაიმახსოვრეთ სამუდამოდ: უფრო ხილვით ნასესხებ ცოდნას.

ნასესხები ცოდნა გონების ნიღბად იქცევა. იგი უმეცრებას მალავს, კი არ ანგრევს მას და რაც მეტად ხართ ამგვარი ცოდნით სავსე, მით მეტი სიბნელე და უმეცრებაა თქვენში, თქვენი არსებობის სიღრმეში. ადამიანი, რომელიც ნასესხებ ცოდნას ფლობს, მთლიანად მასში ჩაბნელებულ-ჩაკეტილი ხდება და შეუძლებელია მასთან მიდგომა, შეუძლებელია მისი გულის აღმოჩენა. მან თვითონვე გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი საკუთარ გულთან. იმიტომაც შემთხვევით როდი მოუბდა ტილოპას ტიბეტში, ბოდჰიდჰარმას კი — ჩინეთში წასვლა. აქ რომ ვერ ნახა ნიადაგი, თესლი იძულებული გახდა ასე შორს წასულიყო მის საძებნელად. ეს უნდა გახსოვდეთ, რადგან ადვილია მოჩვენებითი ცოდნის ანკესზე წამოგება. ეს დამლუპველი ჩვევაა, LSD ნაკლებად საშიშია და მარიხუანაც ნაკლებად საშიშია, სადღაც თითქოს სასარგებლონიც კი ჩანან, რამეთუ მათ შეუძლიათ არარსებული დაგანახონ, შეუძლიათ ილუზიის, რაღაც სუბიექტური პალუცინაციის გამოწვევა. ასევეა ცოდნაც.

იგი შეცნობის ილუზიას იწვევს. გეგონებათ, რომ შეიცანით, თქვენ ხომ ზებირად იცით ვედები. შეგიძლიათ კამათი, რადგან მახვილ ლოგიკურ გონებას ფლობთ. ნუ იქნებით სულელნი. ლოგიკას არასდროს არავინ მიუყვანია სიმართლესთან. რაციონალური გონება მხოლოდ თამაშია. ყველა არგუმენტი, ეს მხოლოდ ბავშვური თამაშია.

და ცხოვრებაც მტკიცებათა გარეშე არსებობს. არც ჭეშმარიტებას სჭირდება მტკიცებანი. იგი მხოლოდ გულს ითხოვს, თქვენს გულს. არავითარი მტკიცებები, მხოლოდ საყვარული, თქვენი ნდობა, თქვენი მზადყოფნა მის მისაღებად.

ძნელია უფრო მნიშვნელოვანი სიტყვების მონახვა. ეცადეთ გაიგოთ ტილოპას სიტყვების ყოველი ათინათი: „სიცარიელე არ ითხოვს საყრდენს...“

თუკი რამე არსებობს, იგი აუცილებლად დასაყრდენს, საფუძველს ითხოვს, მაგრამ თუ არსებობს არაფერი — სიცარიელე, მას არ სჭირდება საფუძველი. ყველამ, ვინც შეიცნო, შეიცნო, რომ ისინი თითქოს არსებობენ არსებობის გარეშე. შეუძლებელია ამის არსებობად მონათვლა, რადგან იგი არ წარმოადგენს რამეს, იგი არაფერს არ ჰგავს. იგი თითქოს უზარმაზარი სიცარიელეა უსაზღვრებოდ. ეს არის ანატმა, „არამე“, „არამე“ თქვენში. მეს ყველა შეგრძნება შეცდომაა. ყოველგვარი გაიგივება: „მე ვარ ეს, მე ვარ ის“ — არის შეცდომა.

როდესაც მიაღწევთ უღიადესს, როდესაც მიაღწევთ საკუთარ უღრმეს არსებას უცრად შეიგრძნობთ, რომ თქვენ არც „ეს“ ხართ და არც „ის“, არამედ არავინ არა ხართ. თქვენ არა ხართ რომელიმე „ეს“, თქვენ ხართ უშველებელი სიცარიელე. ზოგჯერ ჯდომისას დახუჭეთ თვალები და შეეცადეთ შეიგრძნოთ ვინ ხართ და სად ხართ, წადით სიღრმეში და შესაძლოა შეშინდეთ, რადგანაც, რაც მეტად წახვალთ სიღრმეში, მით მეტად შეიგრძნობთ, რომ თქვენ ხართ არავინ და არაფერი. აი, ასე რატომ უშინიათ ადამიანებს მედიტაციის. ეს სიკვდილია, ეს არის ეგოს განადგურება. ეგო კი მცდარი მცნებაა. ახლა ფიზიკოსებიც მივიდნენ ამავე ჭეშმარიტებასთან თავიანთი მეცნიერული დაკვირვებებით მატერიაზე. იმას, რასაც ბუდამ, ტილოპამ და ბოდჰიდჰარმამ ინტუიციით მიაღწიეს, მეცნიერება ახლა იკვლევს გარესამყაროში. ახლა ამბობენ: „არ არსებობს მატერია, მატერია შეესაბამება ეგოს მცნებას“. არსებობს ჭვა და თქვენ გრძნობთ, რომ იგი ძალზე ნივთიერია, შეგიძლიათ ვინმეს თავში ჩაართყათ და მას სისხლი წამოუვა, ადამიანი შეიძლება მოკვდეს. ჭვა ძალზე მატერიალურია. მაგრამ

ჰკითხეთ ფიზიკოსს და იგი გეტყვით, რომ ჭვა არაა ნივთიერი, რომ მასში არ არის არაფერი. იგი გეტყვით, რომ ეს უბრალოდ ენერგეტიკული მოვლენაა. ენერჯიის მრავალი ნაკადი ამ წერტილში იკვეთება და იქმნება ნივთიერების შეგრძნება. აი, რას ჰგავს ეს — თქვენ ხაზავთ ერთმანეთის გადამკვეთ ხაზებს \perp და იმ ადგილას, სადაც ხაზები უხამხამებს კვეთენ, წერტილი ჩნდება. წერტილი არ იყო იქ. გადაიკვეთა ორი ხაზი გაჩნდა წერტილი. ბევრი ხაზი გადაიკვეთა — გაჩნდა უფრო დიდი წერტილი. არსებობს ეს წერტილი, თუ მხოლოდ ხაზები გადაკვეთისას ქმნიან მისი არსებობის ილუზიას? ფიზიკოსები ამბობენ, რომ ენერჯიის ნაკადები გადაკვეთისას ქმნიან მატერიას. რას წარმოადგენენ ეს ენერჯიის ნაკადები? ისინი არ არიან მატერიალური. მათ არ გააჩნიათ მასა. ისინი არ არიან ნივთიერნი. არამატერიალური ხაზები გადაკვეთისას ქმნიან მატერიალური საგნის ილუზიას, ისეთი მატერიალური საგნის ილუზიას, როგორც არის ჭვა. ბუდამ ეს აღმოაჩინა ოცდახუთი საუკუნით ადრე აინ-შტაინზე: შიგნით არავინ არაა. ენერგეტიკული ხაზები გადაკვეთისას გიქმნიან „მეს“ შეგრძნებას. ბუდა ამბობდა, რომ „მე“ ხაზვის ბოლქვს ჰგავს. ერთ ფენას გააცლით, მეორე დარჩება. გააცლით, გააცლით და ბოლოს შიგნით არაფერიც არ არის. ადამიანი ხაზვის ბოლქვს ჰგავს. მოაშორეთ აზრთა ფენები, გრძნობები და რა რჩება? — არაფერი. ეს არაფერი არ საჭიროებს საფუძველს. ეს არაფერი არსებობს თავისთავად. აი, რატომ ამბობს ბუდა, რომ არ არსებობს ღმერთი. არაა აუცილებელი ღმერთი. რადგან ღმერთი საყრდენია და ბუდა ამბობს, რომ არ არის შემოქმედნი, რადგან არაა აუცილებელი რაიმეს შექმნა. ეს ყველაზე ძნელი ცნებაა გასაგებად. სანამ ამას თვითონვე შეიმეცნებდეთ. ამიტომ ამბობს ტილოპა: „მაპაძურა სიტყვებს მიღმაა და სიმბოლოებს მიღმა“. მაპაძურა არის არაფრის განცდა, უბრალოდ თქვენ არ ხართ და როცა თქვენ არ ხართ, ვინდა დაიტანჯება და ვის შეაწუხებს ტკივილი, გაჭირდება. ვინ იქნება იმედგაცრუებული და მწუხარე, ვინ განიცდის სიხარულს და ბედნიერებას?

ბუდა ამბობს, რომ თუ სიხარულს განიცდით, აუცილებლად ტანჯვაც უნდა განიცადოთ, რადგან თქვენ ისევ ხართ. მაგრამ, როცა თქვენ არა ხართ, სავსებით არა ხართ, აბსოლუტურად არა ხართ, მაშინ არ არის არც ტანჯვა, არც სიხარული და ეს არის ნამდვილი ნეტარება. აქედან შეუძლებელია უკან დაბრუნება. ამის

მიღწევა ნიშნავს, მიაღწიოთ ყველაფერს. ჩემი მცდელობის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მოგიყვანოთ აქამდე, აბსოლუტურ სიცარიელეში. სიცარიელეს არ სჭირდება საფუძველი. მაჰამუდრა თავადაა თავისი საფუძველი.

დასაწყისიდანვე უნდა შევიგნოთ, რომ „მეს“ ცნება შექმნილია გონებით. „მე“ არ არსებობს თქვენში.

ერთხელ ასეთი რამე მოხდა: დიდი, ხელდასხმული ბუდისტი მიიწვია მეფემ მასწავლებლად. ბუდისტი ბერს ნაგასენა ერქვა. მეფე კი ალექსანდრე მაკედონელის ნაცვალი იყო ინდოეთში. ინდოელები მას ძელინდას უწოდებდნენ. ამ ძელინდამ მოიხმო ნაგასენა მასწავლებლად. იგი ძალზე დაინტერესებული იყო ნაგასენათი, რადგან მასზე ხმები დადიოდა: „ეს იშვიათი მოვლენაა, იშვიათად ხდება, კაცი ყვავილობდეს, ნაგასენა კი ყვავილობს. იგი აფრქვევს იდუმალი, შეუცნობელი ენერჯის არომატს. მიწაზე დადის, მაგრამ არაა მიწიერი“...

მეფისნაცვალი ძალზე დაინტერესდა და მოიწვია. მის დასაბატიყებლად წასული კაცი დაფიქრებული დაბრუნდა, რადგან ნაგასენამ დააბარა: „რახან იგი იწვევს, ნაგასენა მოვა, მაგრამ გადაეცით, რომ ნაგასენა როგორც ასეთი, არ არსებობს. რადგან მიხმობენ მოვალ, მაგრამ უთხარით, რომ ნაგასენა არ არსებობს, მე შეტად არა ვარ“. შიკრიკი დაფიქრებული დაბრუნდა, რადგან ვერ გაეგო ვინ მივიდოდა მეფესთან, თუკი ნაგასენა არ არსებობდა. ძელინდაც ჩაფიქრდა. მან თქვა: „ეს კაცი გამოცანებით ლაპარაკობს, მაგრამ, დაე მოვიდეს“. ეს ძელინდა ბერძენი იყო. ბერძნული გონება კი თავისთავად ლოგიკური გონებაა. მსოფლიოში ორი ტიპის გონება არსებობს — ინდური გონება და ბერძნული გონება. ინდური გონება ირაციონალურია, ბერძნული — რაციონალური. ინდური გონი მოძრაობს ბნელ სიღრმეებში, ველურ სიღრმეებში, უსაზღვროობაში, გაურკვეველ ნისლში. ბერძნული გონი მოქმედებს ლოგიკურ სიცხადეში, სადაც ყველაფერი გარკვეულია და კლასიფიცირებულია. ბერძნული გონი ილტვის შეუცნობისაკენ, ინდური გონი ილტვის შეუცნობისაკენ. ბერძნული გონი აბსოლუტურად რაციონალურია, ინდური — აბსოლუტურად წინააღმდეგობრივი. ასე რომ, თუ ბერძნული წინააღმდეგობას ნახავთ ჩემში, ნუ შეშინდებით. ეს მხოლოდ ურთიერთობის საშუალებაა აღმოსავლეთში. ძელინდამ თქვა: „ეს კაცი ალბათ ქკუას გადაცდა. თუ იგი არ არსებობს, მაშინ როგორღა უნდა მოვიდეს

ჩემთან? მაგრამ დაე, მოვიდეს. ენახავ, თავისი მოსელითაც იმას დაამტკიცებს, რომ იგი არსებობს“. ნაგასენა მოვიდა. ძელინდამ კიშკართან შეაგება სიტყვები: „გამაკვირვა თქვენმა მოსულამ, თქვენ ხომ ამბობთ, რომ თქვენ არა ხართ?“. ნაგასენამ მიუგო: „დიახ, მე ახლაც ამას ვამბობ და მოდი, ეს აქვე გადავწყვიტოთ“. შეიყარა ბრძოლა... მთელი სასახლე — „მკითხე“ მიმართა ნაგასენამ. ძელინდამ ჰკითხა: — „პირველ რიგში მითხარი, თუკი რამე არ არსებობს, როგორ შეიძლება იგი მოვიდეს? შენ მოხვედი; ლოგიკის თანახმად შენ არსებობ“. ნაგასენამ გაიცინა და მიუგო — „შეხედე ამ ოთხთვალას; ხომ უწოდებ მას ოთხთვალას? ძელინდამ უპასუხა: — „დიახ“. მაშინ ნაგასენამ ბრძანა მოეხსნათ ცხენები. ცხენები რომ მოხსნეს, იკითხა: „ხომ არ არის ოთხთვალა ეს ცხენები?“ ძელინდამ უპასუხა — „რა თქმა უნდა, არა“. შემდეგ ოთხთვალა ნაწილებად იქნა დაშლილი და მისგან არაფერი დარჩა. ნაგასენამ ისევ იკითხა: „სად არის ოთხთვალა, რომლითაც მოკედი? ხომ თანახმა იყავი, რომ არც ერთი ნაწილი, რომლებდაც ოთხთვალა დაიშალა, არ იყო თვითონ ოთხთვალა. მაშ სად არის ოთხთვალა?“ შერე დაუმატა: „ასევე არსებობს ნაგასენაც, მოაშორეთ ნაწილები და იგი გაქრება“. როგორც ენერგეტიკული ხაზების გადაკვეთა — მოაშორე ხაზები და წერტილი გაქრება. ოთხთვალა იყო მხოლოდ ნაწილების კომბინაცია. თქვენც თვითონ ნაწილების კომბინაცია ხართ. „მე“ ასევე ნაწილების კომბინაციაა. მოაცილეთ ნაწილები და „მე“ გაქრება. აი, რატომ ცლობიერებას აზრებისაგან, მაშინ არ შეიძლება ითქვას „მე“, დარჩება მხოლოდ სიცარიელე. როდესაც გრძნობები მიიღევა, „ეგო“ მთლიანად გაქრება. თქვენ ხართ და არც ხართ — უბრალოდ სიცარიელე უსაზღვრებოდ. ეს საბოლოო საუფლოა. ეს მდგომარეობაა მაჰამუდრა. მხოლოდ ამ მდგომარეობაში მიაღწევთ ორგანზმს მთელ სამყაროსთან. არ არსებობს საზღვრები, არ არსებობს „მე“. თქვენ გახდით უსაზღვრო და არაფერი გასაზღვრავთ ერთმანეთისაგან, მთელისაგან. მთელი უსაზღვრებოა და თქვენც მას უნდა დაეშვაგასოთ. მხოლოდ ასეა შესაძლებელი შეხვედრა, შედნობა. როცა ცარიელი ხართ, საზღვრები არ გზღუდავთ და უეცრად ხდებით მთლიანი, ერთი. როცა თქვენ არა ხართ, ხდებით მთლიანი; როდესაც თქვენ ხართ — უმსგავსო „ეგო“ ხართ. როდესაც არა ხართ, თქვენს წინ იშლება უსამანო სივრცე, თქვენივე არსებობის უსამანობა. მაგრამ აქ წინააღმდეგობა იმალება. შეეცადეთ გაიგოთ:

გახდით მდაბალნი, როგორც ნარობა, სხვანაირად ამ სიტყვებს და ამ სიმბოლოებს აზრი არ ექნებათ. მისმინეთ ნდობით, როცა ამას ვითხოვ, მე ვგულისხმობ, რომ ეს მე გამოვცადე და ყველაფერი ეს კეშმარიტებაა, სიმართლეა. მე ამის მოწმე ვარ და ვადასტურებ ამას. იქნებ ეს გამოუთქმელია, მაგრამ ეს როდი ნიშნავს მის არ არსებობას. რალაცის თქმის შესაძლებლობა ჭერაც არ ნიშნავს, რომ ეს რალაცა არსებობს. შესაძლებელია იმის თქმა, რაც არ არსებობს და შესაძლებელია იმის ვერ თქმა, რაც არსებობს. მე ვადასტურებ ამას არსებობას და თქვენ შეგიძლიათ გაიგოთ ეს თუ ნარობა ხართ, თუ ნდობით მომისმენთ. მე არ ვქადაგებ დოქტრინებს და ეს თვითონვე რომ არ განმეცადა, ტილობა ვერ დამაინტერესებდა. ტილობამ ეს მშვენიერად გამოთქვა:

სიცარიელე არ მოითხოვს საყრდენს;

მაჰამუდრა ნულზე დგას,

მაჰამუდრა განისვენებს არაფერზე.

ზედმიწევნით, ზუსტად, მაჰამუდრა დიად ეესტს ნიშნავს ან უმაღლეს ეესტს. საბოლოოს, რომელიც შეგიძლიათ გააკეთოთ, რომლის იქითაც უკვე არაფერია, მაჰამუდრა განისვენებს არაფერზე. გახდით არაფერი და მიაღწევთ ყველაფერს, მოკვდით და ღმერთი გახდებით. გაქრით და გახდებით მთელი. იქ სადაც თავდება წვეთი, იწყება ოკეანე. ნუ ებლაუტებით თქვენს თავს. ხომ ამით იყავით გართულები ყველა თქვენს წარსულ დაბადებებში. ებლაუტებოდით იმის შიშით, რომ შეეშვებოდით თუ არა თქვენს ეგოზე კონწილს, თქვენი ძირს, უფსკრულში ჩაეშვებოდა. ამიტომ ვეჭიდებით წერილმანებს, ძალზე უაზრო წერილმანებს. ჩვენ ვაგრძელებთ ამ ბლაუტს და ეს ფაქტიც, რომ ვერ ვეშვებით მათ, იმას გვეუბნება, რომ ჩვენ ვგრძნობთ უსასრულო სიცარიელეს ჩვენში. თქვენთვის აუცილებელია მოეჭიდოთ რამეს, სხვანაირად არ შეგიძლიათ და ეს არის თქვენი სანსარა, თქვენი უბედურება. იქეცით უფსკრულად, მაშინ არ არსებობს სიკვდილი, რამეთუ უძირობის, უსასრულობის სიკვდილი შეუძლებელია. მაშინ არც დასასრულია არსად, რადგან სიცარიელეს, არაფერს დასასრული არ გააჩნია. მაჰამუდრა განისვენებს არაფერზე, სიცარიელეზე — განემართოთ თქვენი გამოცდილების მიხედვით: როდესაც ვინმე გიყვართ, თქვენ უნდა შეწყვიტოთ არსებობა; როდესაც გიყვართ, თქვენ უნდა გახდეთ „არა-მე“. აი რატომ არის სიყვარული ასე ძნელი. აი, რატომ ამბობს იესო, რომ ღმერთი სიყვარულს ჰგავს.

როდესაც გიყვართ, თქვენ უნდა გახდეთ

არაფერი. თუკი ისევ რჩებით რამედ ან ვინმედ, მაშინ სიყვარული არ არსებობს. როცა ადამიანი გიყვართ და როცა სიყვარული ხდება, ხორციელდება, არსებობს უკვე არა თრი, არამედ არსებობს ორი სიცარიელე. თქვენ ამას გაიგებთ, თუ ოდესმე კეშმარიტი სიყვარული განგიცდიათ. როცა ორი მოსიყვარულე ეხებებიან ერთმანეთს, როგორც ორი სიცარიელე; მხოლოდ მაშინ შეიძლება შედნობა, რადგან ეგოსმიერი ბარიერები მოხსნილია, საზღვრები უარყოფილი, ენერჯიას შეუძლია იმოძრაოს ორივე მიმართულებით და მხოლოდ სიყვარულის ასეთ ღრმა მომენტშია შესაძლებელი ორგაზმი. მხოლოდ მაშინ, როდესაც ორი მოსიყვარულე ხდება არაფერი, მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი ორგაზმი. მაშინ მათი ენერჯია და მთლიანად მათი არსებობა წყვეტს თავისთავთან იგივეობას, თავიანთობას და უძირობაში ცვივიან. მაგრამ ეს მხოლოდ მცირე ხნით გრძელდება, შემდეგ კი ისინი ბრუნდებიან აქედან და ჩვეულებრივი ხდებიან. ამიტომ ეშინიათ ადამიანებს სექსის.

როცა ძლიერ უყვართ, გაგიჟების ეშინიათ, ეშინიათ არ მოკვდნენ, ეშინიათ იმისი, რაც მოხდება. უძირობა იხსნება მათ წინაშე და მასში ჩაცვენის ეშინიათ. ადამიანებს ეწყებათ სიყვარულის შიში. ისინი სექსით კმაყოფილდებიან და ამას სიყვარულად ნათლავენ. სიყვარული სექსი როდია. სექსი შეიძლება სიყვარულის ინტეგრალური ნაწილი იყოს, მაგრამ სექსი თავისთავად სიყვარულის სუროგატია. თქვენ სექსით ცდილობთ მოერიდოთ სიყვარულს, თქვენ იქმნით შთაბეჭდილებას, რომ გიყვართ, მაგრამ სიყვარულთან ახლოსაც არა ხართ. სექსი ნასესხებ ცოდნას ჰგავს, რომელიც ცოდნის შეგრძნებას იწვევს ნამდვილი შეცნობის გარეშე. სექსი სიყვარულის ილუზიას იძლევა უსიყვარულოდ. სიყვარულში არ არსებობთ თქვენ და არ არსებობს მეორე, სიყვარულში უეცრად ჰქრება ორი. ასევეა მაჰამუდრაც — იგი ორგაზმია მთელ სამყაროსთან. და ამიტომ ტანტრაში, ტილობა კი ტანტრის მასწავლებელია, ღრმა შეამბორება, შეყვარებულთა ორგაზმი მაჰამუდრად იწოდება. ორი შეყვარებული კი ორგაზმის მდგომარეობაში სწორედ ამიტომაა გამოსახული ტანტრისტულ ტანტრებსა და წიგნებში.

ეს გახდა საბოლოო შეერთების

სიმბოლო.

მაჰამუდრა განისვენებს არაფერზე ძალდაუტანებლად ბუნებრივი და

აშვებული.

ეს არის ტილოპას მეთოდი და ტანტრის მეთოდი. ეს არის ძალდაუტანებლობა, რადგან როდესაც ცდილობთ, ძალას ატანთ და ამით კი ეგო ძლიერდება. მცდელობისას თქვენი ეგო იწყებს მოქმედებას. სიყვარულში შეუძლებელია მცდელობა. შეუძლებელია სიყვარული მოიხვიოთ თავს. თუ არსებობს თავსმოხვევა, არ არსებობს სიყვარული. სიყვარულში იხსნებით ძალდაუტანებლად, მხოლოდ ნებას რთავთ მის თავისთავად მოხდენას. თქვენ არ მცდელობთ, ეს არაა მოქმედება, ეს მოვლენაა. და იგივე უსაზღვროობის მიმართ, თქვენ არ ცდილობთ, უბრალოდ იღვრებით მასში ბუნებრივნი და ლალნი. ეს არის ტანტრის საფუძველი. ეს არის ტანტრის გზა.

იოგა ამბობს: „ეცადეთ!“. ტანტრა ამბობს: „ნუ ეცდებით!“. იოგა ორიენტირებულია ეგოზე და ბოლოს ნახტომით ამთავრებს. ტანტრა დასაწყისიდანვე არაა ორიენტირებული ეგოზე. იოგა მხოლოდ ბოლოს აღწევს ისეთ სიღრმეს და მნიშვნელობას, რომ მაძიებელს ეუბნება: „ახლა კი გადააგდე ეგო!“ — მაგრამ მხოლოდ ბოლოს. ტანტრა პირველი ნაბიჯიდანვე გასწავლით ამას, დასაწყისიდან. მე ამას ასე ვიტყვოდი: სადაც მთავრდება იოგა, იქ იწყება ტანტრა. იოგას უმაღლესი პიკი ტანტრის დასაწყისია და ტანტრას მიჯყავხართ უმაღლეს მიზანთან. იოგას შეუძლია მოგამზადოთ ტანტრისათვის. ეს არის და ეს, რადგან მთავარია იყოთ ბუნებრივნი და ლალნი.

რას გულისხმობს ტილოპა სიტყვებში — ბუნებრივნი და ლალნი? — ნუ ებრძვით საკუთარ თავს, მოდუნდით; ნუ ეცდებით თქვენს გარშემო ხასიათის და მორალის შექმნას. ნუ იქნებით ძალზე დისციპლინირებულნი, რადგან დისციპლინა შეიძლება ბორკილად გექცეთ; ნუ ჩამწყვდევით საკანში, დარჩით ლალნი, იმორჩავეთ მოვლენებში და უპასუხეთ სიტუაციებს. ნუ შეიზღუდებით ხასიათის ჩარჩოებით ან წინასწარ მიღებული ურთიერთობებით. ნაკადულივით ლალი უნდა იყოთ და არა ყინულივით ფიქსირებულნი. ნუ იქნებით რაიმეს წინააღმდეგნი და არ მოიხვიოთ თავს არაფერი.

მაგრამ ყოველ საზოგადოებაში ჩაგვძახიან, რომ აუცილებელია თავის შეზღუდვა — იყავით კარგები, იყავით მორალურნი, გახდით ასეთნი და ისეთნი. ტანტრა კი მთლიანად საზოგადოების გარეთ დგას, კულტურის და ცივილიზაციის გარეთ. იგი ამბობს, რომ თუ ძალზე განათლებული

(კულტივირებული) ხართ, მაშინ კარგავთ ყველაფერს, რაც კი ბუნებრივია თქვენში და იქცევით რაღაც გაყინულ შექანიზმად. ამიტომ ნუ შექმნით თქვენს გარშემო ჩარჩოებს, იცხოვრეთ, იღინეთ მომენტიდან მომენტამდე. მზად იყავით გარდემნიისათვის. საჭიროა ამის ღრმად გაგება.

რატომ ცდილობენ ადამიანები მათ გარშემო სტრუქტურის შექმნას? იმიტომ რომ მზადყოფნის აუცილებლობა ამოაგდონ ცხოვრებიდან. იმიტომ, რომ ჩვევებით დაცულები თუ არ ხართ, თქვენთვის აუცილებელი გახდება მუდმივი სიფხიზლის გამოჩენა. ყველა მომენტი პასუხს ითხოვს და რეაგირებას, თქვენ არა გაქვთ წინასწარ მომზადებული გადაწყვეტილებები, განსაზღვრული შეხედულებანი. სიტუაცია პასუხს ითხოვს. რაღაცა ხდება და თქვენ აბსოლუტურად მოუმზადებელნი ხართ ამისათვის. მზადყოფნის, აუცილებლობის წინააღმდეგ ადამიანებმა ეშმაკობას მიმართეს და შექმნეს ხასიათი, ჩვევა. შეიზღუდეთ თავი დისციპლინით და მაშინ თქვენი მზადყოფნა არაა აუცილებელი. თქვენი დისციპლინა იმოქმედებს თქვენს მაგივრად. გაიხადეთ ჩვევად ყოველთვის სიმართლის თქმა, დაე, ეს მხოლოდ ჩვევა იყოს, თქვენ კმაყოფილი იქნებით, რასაც კი შეგეკითხებიან, თქვენ მხოლოდ „ჩვეულ სიმართლეს“ უპასუხებთ — მაგრამ „ჩვეული სიმართლე“ მკვდარია.

ცხოვრება არც ისე მარტივია, იგი ძალიან რთული მოვლენაა. სიმართლეს ხშირად შეიძლება უარყოფითი მოვლენა მოჰყვეს, ამიტომ სიფხიზლე აუცილებელია. ასე მაგალითად — თქვენს ტყუილს შეუძლია ვიღაცის სიცოცხლე იხსნას, იგი არავის არ ვნებს და ვიღაცის სიცოცხლეს იხსნის. როგორ მოიქცევით? თუ შეზღუდული გონება გაქვთ, „ჩვეული სიმართლის“ თქმა მოგიხდებათ და სიცოცხლეს გაწირავთ. სიცოცხლეზე ძვირფასი კი არაა არაფერი. არაფერი, არავითარი სიმართლე არ არის სიცოცხლეზე ძვირფასი და ზოგჯერ თქვენს სიმართლეს შეუძლია სიცოცხლე მოკლას. მაშინ როგორღა მოვიქცეთ? ნუთუ იმისათვის, რომ ჩვევა არ მოვიშალოთ, არ დავარდვიოთ ჩვენი ეგო-ს გაცვეთილი ნორმა და შეგვეძლოს თქმა: „მე პატიოსანი ადამიანი ვარ“, განა ამისათვის სიცოცხლეს გავწირავთ? ეს მეტისმეტი იქნება. ეს ხომ სიგიჟე იქნება. იხსენით სიცოცხლე და არაუშავს, თუ მატყუარას გიწოდებენ და საერთოდ ნუ შეგაწუხებთ სხვათა აზრები თქვენზე.

ეს ძნელია. ძალიან ძნელია ქცევის ფიქსირებული ნორმის შექმნა, რადგან

სიციოცხლე მოძრაჟია, ცხოვრებას ყოველ წუთში ახალ-ახალი სიტუაციები მოაქვს და საჭიროა მათზე რეაგირება. იმოქმედეთ სრული სიფხიზლით, გადაწყვეტილება მიიღეთ თვითონ სიტუაციიდან, წინასწარი ფაბრიცირების გარეშე, ნუ იქნება ეს გადაწყვეტილება თავს მოხვეული რამ, ნუ შეიზღუდავთ გონებას, ნუ აქცევთ მას მუიფე აგებულებად, იყავით ლაღნი, ფხიზელნი და ბუნებრივნი.

აი როგორი უნდა იყოს ნამდვილად რელიგიური ადამიანი. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ეგრეთწოდებული რელიგიური ადამიანები მკვდრები არიან მხოლოდ და არაფერი სხვა. ისინი მოქმედებენ ჩვევებით და ეს განპირობებული მდგომარეობაა. მასში არ არის თავისუფლება.

შეცნობა, შეგნება მოითხოვს თავისუფლებას.

იყავით ლაღნი. დაე ღრმად შეაღწიოს თქვენში ამ სიტყვამ. დაიმახსოვრეთ: იყავით ლაღნი, რათა ყოველ სიტუაციაში შეგეძლოთ თავისუფალი დენა, როგორც წყალს, რომელიც, ჭიქაში ჩასხმული, ჭიქის ფორმას იღებს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე. იგი არ ამბობს: „არა, მე ამის წინააღმდეგი ვარ. ეს არ არის ჩემი ფორმა“. დოქში ჩასხმული დოქის ფორმას იღებს. იგი არ ეწინააღმდეგება.

იყავით მოძრაენი, როგორც წყალი. ხან სამხრეთში მოგიხდებათ წასვლა, ხან ჩრდილოეთში. მოგიხდებათ მიმართულებათა ცვლა, მოგიხდებათ სიტუაციათა მიხედვით მოქმედება, მაგრამ ცურვა თუ იცით, ეს საკმარისია, ოკეანე ახლოსაა, თუკი იცით, როგორ უნდა იცუროთ, აუცილებლად მიადწევთ მას.

ნუ შექმნით ქცევის შაბლონს — ყოველი საზოგადოება ცდილობს ქცევის სახე შექმნას და ყველა რელიგიაც ამას ცდილობს. მხოლოდ მცირეთ, ნათელდებულთ, ნათელზიარებულთ ეყოთ სიმამაცე სიმართლე ეთქვათ. სიმართლე კი ესაა — იყავით ლაღნი და ბუნებრივნი.

ტილოპა არ ამბობს: „იყავით მორალურნი“. იგი ამბობს: „იყავით ბუნებრივნი“. ეს კი ორი აბსოლუტურად განსხვავებული განზომილებაა. მორალური ადამიანი არასდროს ბუნებრივი არაა, იგი ბრაზობს და ვერ ამყდავენებს ამას. თუ უყვარს, სიყვარულს მალავს ან აბზობს, რადგან მორალი არ რთავს ამის ნებას. იგი მუდამ მოქმედებს მორალური პრინციპებით და არასდროს კი თავისი ბუნების მიხედვით.

მაგრამ მე გეუბნებით, რომ, თუ იმოქმედებთ მორალური ნორმების მიხედვით

და არა საკუთარი ბუნების შესაბამისად, ვერასოდეს ვერ მიადწევთ მაჰამუდრას მდგომარეობას, რადგან მაჰამუდრა ბუნებრივი მდგომარეობაა, იგი არის ბუნებრივობის უმაღლესი გამოვლინება. მე გეუბნებით, რომ თუ წყრომა გაწევბათ, მიუშვით იგი, მაგრამ ამ დროს შეინარჩუნეთ სიფხიზლე, წყრომამ არ უნდა დათრგუნოს თქვენი ცნობიერება.

დაე, მოგიაროთ სიბრაზემ, მაგრამ ნუ დაკარგავთ სიფხიზლეს იმის მიმართ, რაც მოგდით, დარჩით ლაღნი და ბუნებრივნი. დააკვირდით, უჭკრიტეთ იმას, რაც ხდება; გააცნობიერეთ თქვენი სიბრაზის გამოვლინება. გაივლის დრო და დაინახავთ, რომ ბევრი რამ უბრალოდ გაქრა, მრავალი არასასურველი მოვლენა უკვე აღარ ხდება და ამისათვის არაფერი გაგიკეთებიათ. თქვენი მცდელობის გარეშე, ისე, რომ არც გიცდიათ მათი მოკვლა, ისე თავისით გაქრა ბევრი რამ.

თუ ფხიზელი ხართ, წყრომა გაქრება. იგი უაზრო ხდება. თქვენ არ ემორჩილებით სიბრაზეს არა იმიტომ, რომ ის ცუდია, არამედ იმიტომ, რომ უბრალოდ სისულელეა, ცოდვა კი არა სისულელე. სიძუნწე ქრება, რადგან სისულელეა. ეჭვიანობა ქრება, რადგან სისულელეა.

დაიმახსოვრეთ განსაზღვრება — მხნეობრიობაში არსებობს ცუდი და კარგი, ბუნებრიობაში — გონიერული და სულელური. ბუნებრივი ადამიანი კარგი კი არაა, გონიერია, ბრძენია. არაბუნებრივი ადამიანი ცუდი კი არა, სულელია, არ არსებობს კარგი და ცუდი, არსებობს ბრძენი და სულელი.

თუ სულელი ხართ, ვნებთ თავსაც და სხვასაც. თუ ბრძენი ხართ, არ ვნებთ არც თავს და არც სხვას. არ არსებობს ცოდვები და არ არსებობს სიქველევები. არსებობს მხოლოდ სისულელე და სიბრძნე. თუ გსურთ, უწოდეთ სიბრძნეს სიქველე და თუ გსურთ, რამეს ცოდვა შეარქვათ, იგი მხოლოდ უმეცრებას შეერქმევა.

როგორ შეიძლება უმეცრების სიბრძნედ ტრანსფორმირება? ეს ერთადერთი ტრანსფორმაციაა და შეუძლებელია მისი ფორმირება: იგი თავისით მოხდება, როცა ლაღნი და ბუნებრივნი გახდებით. ამ ლაღ ბუნებრივ მდგომარეობაში შესაძლებელია ბორკილების დამსხვრევა და განთავისუფლება. ეს იქნება სრული თავისუფლება. თავიდან ეს ძალზე ძნელია, რადგან ძველი ჩვევები გაიძულებენ რაღაცის აეთაყნას. გინდათ გაჯავრება, მაგრამ ჩვევა გაიძულებთ მხოლოდ გაიღიმით. არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთ წყრომას

ლიმილად აქცევენ. თავიანთი ღიმილით ისინი წყრომას აწვენებენ. ისინი რაღაცას მალავენ და ყალბი ღიმილი მოედება მათ სახეს, ესენი ფარისევლები არიან.

პირფერი, ფარისეველი — ეს არაბუნებრივი ადამიანია. იგი იღიძის და ამ ღროს გაბრაზებულია, სიძულვილით საესეა და ცდილობს სიყვარულის გამოხატვას. ცდილობს მოგაჩვენოთ, რომ გითანაგრძნობთ და ამავე დროს მზადაა თქვენს მოსაკლავად. ფარისეველი სრულქმნილი მორალისტია, აბსოლუტურად ხელოვნური, როგორც პლასტმასის ყვავილი — უმნო, უსარგებლო, ყვავილი კი არა — პრეტენზია.

ტანტრა ბუნებრივი გზაა. იყავით ლალნი და ბუნებრივნი. ეს ძნელია, რადგან საჭიროა ძველი ჩვევების მოშობა და ძნელია კიდევ იმიტომ, რომ მოგიხდებათ ფარისევლურ საზოგადოებაში ცხოვრება. ეს ძნელი იქნება, რადგან ყოველ წამს მოგიხდებათ კონფლიქტი ფარისევლებთან — მაგრამ ეს მონაკვეთი გავლილი უნდა იქნას. ეს დაძაბული შრომა იქნება, რადგან თქვენში მრავალი ხელოვნური ფენა აღივსება. თქვენ იგრძნობთ სრულ მარტოობას, მაგრამ ეს მხოლოდ გარდამავალ პერიოდში, მალე სხვებიც დაიწყებენ თქვენი სიწრფელის შექმნევას. გახსოვდეთ: წრფელი რისხვა სჯობია ყალბ ღიმილს, რადგან იგი ბუნებრივია და ადამიანს, რომელსაც არ შეუძლია გულწრფელად განრისხება, არ შეუძლია იყოს თავისთავადი. ბუნებრივი რისხვა იმას მაინც გამოხატავს, რომ იგი წრფელია, თავისთავადია. რაც არ უნდა მოხდეს, თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ იგი წრფელია.

ჩემი გამოცდილება მეუბნება, რომ გულწრფელი რისხვა მშვენიერია, ყალბი ღიმილი — სიმახინჯე. გულწრფელი სიძულვილიც თავისებური მშვენიერებაა, როგორც გულწრფელი სიყვარული, რადგან მშვენიერება დაკავშირებულია ჭეშმარიტებასთან და არა სიყვარულთან ან სიძულვილთან. ჭეშმარიტება მშვენიერებაა — რა ფორმაშიც არ უნდა გამოვლინდეს იგი. ნამდვილი მკვდარი სჯობია ცოცხალ ლეშს, რადგან აქ, ყოველ შემთხვევაში საგნის არსი მაინც დაცულია.

მოლა ნახრედინს ცოლი მოუკვდა. შეიყარნენ მეზობლები... მოლა კი დგას სრულიად მშვიდი სახით, თითქოს არაფერიც არ მომხდარა. მეზობლებმა დაიწყეს ტირილი, მოთქმა და ეუბნებიან მოლას: „რას უდგახარ, იგი ხომ მოკვდა?“ — ნასრედინმა უპასუხა: „იგი ისეთი მატყუარაა, მომიხდება სამი დღის მოცდა, რათა დავრწმუნდე, მართლა მოკვდა

ეს ჩემი დედაკაცი თუ ისევ იტყუება“.

დაიხსოვეთ, რომ სილამაზე სიწრფელიდან, ბუნებრიობიდანაა. გახდით მეტად ბუნებრივი და აყვავილდებით. რაც ბუნებრივი გახდებით, მით უფრო ჩქარა დაინახავთ, რომ ბევრი უსარგებლო რამე თავისით, ძალდატანების გარეშე გცილდებათ. რაც მეტად გაითავისებთ ამას, მით უფრო ბუნებრივი და ლალნი გახდებით. ამიტომ ამბობს ტილომა:

— შესაძლებელია ზორკლის დამსხვრევა და განთავისუფლება. განთავისუფლება ახლოსაა. იგი აქვია, თქვენს გვერდით არსებობს. როგორც კი წრფელი გახდებით, კარი გაიხსნება, მაგრამ თქვენ ისეთი მატყუარები ხართ, ისეთი ფარისევლები და ღრმად ხელოვნური, რომ განთავისუფლება უძნელესად და უშორესად გეჩვენებათ. სრულიად არა წრფელი არსებისათვის განთავისუფლება აბსოლუტურად ბუნებრივი მოვლენაა. იგი ისევე ბუნებრივი რამაა, როგორც სხვა ყველაფერი.

როგორც წყლები იქცევიან ოკეანეში,

როგორც ორთქლი აღის ზეცაში,

როგორც მზე ათბობს და მთვარე

აგრილებს,

ასე, წრფელი არსებისათვის

ბუნებრივია განთავისუფლება.

არავითარი საბაბი კვებნისათვის; თუკი ამას მიაღწევთ, შეუძლებელია თავი მოგქონდეთ ადამიანებთან. ლინ-ძის პკითხეს: „რა მოხდა? ამბობენ, რომ ზიარებული გახდით“. მან მხრები აიჩეჩა და უბასუხა: „რა მოხდა? არაფერი არ მომხდარა, ვჩებავ ტყეში შეშას, ვეზიდები აშრამაში წყალს, მალე ზამთარია და მისთვის ვემზადები“. მან მხრები აიჩეჩა — მრავალმნიშვნელოვანი ეესტია. იგი ამბობს: არაფერიც არ მომხდარა, რა ამოა კითხვებს მისვამთ? ეს ბუნებრივია — წყლის მოტანა, შეშის დაჩეხვა, ცხოვრება აბსოლუტურად ბუნებრივია. ლინ-ძი ამბობს: როცა ძილი მიხდა — მძინავს, როცა ჭამა მომიხდება, ვჭამ. ცხოვრება გახდა სრულიად ბუნებრივი.

სწორედ აბსოლუტური ბუნებრიობის მდგომარეობაა განთავისუფლება. ამას არ იკვებნიან, ამაში არაფერია არაჩვეულებრივი. ეს მხოლოდ ბუნებრივი მდგომარეობაა, როცა თქვენ თქვენივე თავი გახდით. როგორ მივალწიოთ ამას? მოიხსენით დაძაბულობა, მოიხსენით ფარისევლობა და ყველაფერი ის, რაც შემოიბლანდეთ თქვენი ბუნებრიობის ირგვლივ. გახდით ბუნებრივი. თავიდან ეს ძნელი იქნება, ძალიან ძნელი, მაგრამ მხოლოდ თავიდან, როგორც კი შეემღვრებით ამას სხვებიც იგრძნობენ, რომ თქვენში რაღაცა მოხდა, რადგან ჭეშმარიტი

არსება ძალას და მავნიტიზმს ასხივებს. ისინი იგრძნობენ, რომ რაღაცა მოხდა: „ეს ადამიანი უკვე არაა ჩვენი ნაწილი, იგი სრულიად განსხვავდება ჩვენგან“, მაგრამ თქვენ უკვე არ აგამღერებთ ეს, რადგან მოგშორდათ მხოლოდ ხელოვნურობა. ხელოვნური ბარხანა რომ მოგვშორდება, მოჩვენებითობა და ნიღბები რომ ჩამოგვეცლება, ამით განთავისუფლდება სივრცე, რომელშიც ჩვენი ნაღდი არსება დაიწყებს ჩქეფას. ამისათვის ადგილია საჭირო. იყავით ცარიელნი, ბუნებრივნი, ლაღნი. დაე, ეს იქცეს თქვენი ცხოვრების მთავარ პრინციპად.

II

პრობლემათა პრობლემა

სიმღერის გაგრძელება

„სივრცეში მაცქერალი, თუ არ ხედავთ არაფერს, თუკი თქვენი გონებით აკვირდებით თქვენსავე გონებას, მაშინ ქრება განსხვავება და მიიღწევა ბუდას ბუნება. ცაზე მოცურავე ღრუბლები უფესვონი არიან და უსახლკარონი. ასევეა გონებაში მოცურავე აზრებიც.“

როცა ვჭვრეტთ „მე“-ს ჭეშმარიტ ბუნებას, ქრება განსხვავება. სივრცეში ფერები და ფორმები ჩნდებიან, მაგრამ სივრცე არც შავით, არც თეთრით არ იღებება. ყველაფერი „მე“-ს ჭეშმარიტი ბუნებიდან ჩნდება, მაგრამ მანკიერებით და სიქველით „მე“ არ ლაქავდება.

გონება წარმოადგენს ყველა არსებულ პრობლემათა პრობლემას. აუცილებელია თავიდანვე გავიგოთ, თუ რა არის გონება. რისგან შედგება იგი — ობიექტურ რეალობას წარმოადგენს, თუ პროცესია, მატერიალურია, თუ მხოლოდ ზმანებებს მიეკუთვნება და სანამ ვერ შეიცნობთ მის ბუნებას, შეუძლებელია გადავწყვიტოთ თუნდაც ერთი თქვენი პრობლემა. რამდენიც გინდათ ეცადეთ და, თუ ცალკეული პრობლემების გადაწყვეტას ცდილობთ, აუცილებლად განწირულნი ხართ გარდუვალი მარცხისათვის. სხვანაირად შეუძლებელია, რადგან არ არსებობს ცალკეული პრობლემები. პრობლემას წარმოადგენს მთელი გონება. თუკი ცდილობთ ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებას, არსებითად არაფერი შეიცვლება, რადგან ძირი ხელშეუხებელი რჩება.

ისევე, როგორც ძირიანად ამოღების გარეშე, ხეს ტოტების მოცლა რომ დაუწყოთ, გაჩნდებიან ახალი ტოტები, ახალი ფოთლები. ხის ზრდა უფრო ინტენსიური გახდება და სანამ ხეს ძირიანად არ ამოთხრით, თქვენი შრომა უაზრობა იქნება, ამ ბრძოლაში თქვენ ხეს კი არა, თქვენსავე თავს ვნებთ.

დაინახებთ მრგვალი სივრცეში ქერგია, დრო, სიცოცხლე, ხე კი უფრო მძლავრი და დაბურული გახდება. თქვენ იბრძოლეთ, ამდენი იწვალეთ, გინდოდათ ხან ერთი პრობლემის მოხსნა, ხანაც მეორესი, პრობლემები კი გამრავლდნენ. ერთი პრობლემის გადაწყვეტაც რომ შეძლოთ მის ადგილას აუცილებლად გაჩნდება რამდენიმე.

ნუ ცდილობთ ცალკეული პრობლემების მოხსნას; პრობლემას მთელი გონება წარმოადგენს. ეს კი სიღრმეშია დაფარული და ამიტომ ვუწოდებთ მას ძირს, ფესვებს. პრობლემები კი, როდესაც ისინი ჩნდებიან, ხილულნი არიან თქვენთვის და ეს გაბნევთ. დაიხსოვით: ხილული არ შეიძლება იყოს მიზეზი, მიზეზი ძირია და იგი მუდამ დაფარულია. ნუ ებრძვით ხილულს! ეს ჩრდილებთან ბრძოლაა, თქვენ გამოიფიტებით, არაფერი კი ამით არ შეიცვლება. ჩაუკვირდით თქვენს ცხოვრებას და დაინახეთ რასაც ვლაპარაკობ. მე არ ვლაპარაკობ გონების ფარდობითობაზე, მე მის რეალობაზე ვლაპარაკობთ. რეალობა კი ასეთია: აუცილებელია გონების პრობლემის გადაწყვეტა.

ადამიანები მოდიან და შეკითხებიან: „როგორ მივალწიოთ გონების მშვიდ მდგომარეობას?“ მე ასე ვპასუხობ: „არ არსებობს გონება, რომელსაც მშვიდი გონება შეიძლება ეწოდოს.“

არ არსებობს მშვიდი გონება. სიმშვიდე გონების გარეშე ყოფნაა. გონება თავისთავად არ არის მშვიდი. თვითონ მისი ბუნება არ არის სიმშვიდე. იგი დაძაბული უნდა იყოს და აფორიაქებული. შეუძლებელია არსებობდეს ნათელი გონება, რადგან ეს არ არის მისი თვისება. მისი თვისება უწესრიგობაა და ბუნდოვანება. სიმშვიდე და სინათლე გონების გარეშე ყოფნაშია და ამიტომ უაზრობაა მშვიდი გონების ძიება. და თუკი ამას შეეცდებით, თქვენ მოგიხდებათ არ არსებულ განზომილებებში ბოდიალი. ამიტომ საჭიროა, თავიდანვე გავიგოთ გონების ბუნება, მხოლოდ მაშინ შეიძლება რაღაცის გაკეთება.

დაიწყეთ გონებაზე დაკვირვება და ვერსად თქვენში ვერ აღმოაჩენთ გონებას, როგორც საგნობრივ რეალობას, უძრავს.

გონება პროცესია. იგი ნივთი კი არა — ბრბოა. არსებობენ ცალკეული აზრები, მაგრამ ისინი იმდენად სწრაფად ენაცვლებიან ერთმანეთს, რომ თქვენ ვერ ხედავთ მათ შორის ინტერვალებს, თქვენ არ შეგიძლიათ ამ ინტერვალთა დანახვა, რადგან არასაკმარისად ფხიზელი ხართ. ამისათვის მეტი გამჭვირვალობა საჭიროა, ვიდრე თქვენ გაგაჩნიათ. როგორც კი უფრო ღრმად შეაღწევთ თქვენს გონებაში, უფროად დაინახავთ ერთ აზრს, მეორეს, მესამეს და არსად გონება არ იქნება.

აზრთა ერთობლიობა, მილიონობით მობორიალე აზრების ხროვა გიქმნით გონების არსებობის ილუზიას.

ეს ბრბოს ჰგავს. როგორ შეიძლება არსებობდეს ბრბო? უაძრავი ინდივიდუმი ერთად შეყრილა და მათი სიმჭიდროვე ქმნის ბრბოს არსებობის შეგრძნებას — სინამდვილეში კი არსებობენ მხოლოდ ინდივიდები.

ეს არის პირველი შედწევა გონებაში.

დააკვირდით და აღმოაჩინეთ აზრებს, მაგრამ არსად და არასდროს გონებას. ხოლო თუკი ეს იქცევა თქვენს საკუთარ გამოცდილებად — იმიტომ კი არა, რომ ამას მე ვლაპარაკობ ან ტილოპა, — ყველაფერი ეს უსარგებლო იქნება; თუკი ეს იქცევა თქვენს საკუთარ გამოცდილებად, თქვენი საკუთარი შემეცნების ფაქტად, მაშინ უცბად ბევრი რამ შეიცვლება. თუკი ასეთი ღრმა რამ გაიგეთ გონებაზე, აუცილებლად ამას ბევრი სასიკეთო შედეგი მოჰყვება. დააკვირდით გონებას — სად არის იგი და რა არის იგი. თქვენ დაინახავთ — მიცურავს აზრი და მალე მეორეც მიჰყვება, მათ შორის კი ინტერვალთა. თუკი ამას საკმარის ყურადღებას დაუთმობთ, მალე შეამჩნევთ, რომ ინტერვალები იზრდება, რადგან ყოველი აზრი უნდა გამოეყოს მომდევნოს, ან წინა აზრს — ისე როგორც სიტყვები უნდა იქნან დაშორებული. რაც მეტ სიღრმეში წახვალთ, მით მეტი და მეტი ინტერვალები გაჩნდება, პაუზათა სიგრძე თანდათან მოიმატებს. მიცურავს აზრი, შემდეგ მოსდევს ცარიელი შუალედი, შემდეგ კვლავ აზრი და კვლავ შუალედი. ამას ვერ აცნობიერებთ, თქვენ ხტიხართ აზრიდან აზრზე და ინტერვალებს ვერ ამჩნევთ, ხოლო, თუ სრულ სიფხიზლეს გამოიჩინთ თქვენ წინ შუალედთა კილომეტრები გაჩნდებიან.

ამ ინტერვალებში ხდება სატორი;

ამ შუალედებში ჰეშმარიტება

გიაკუნებთ კარზე;

ამ ინტერვალებში გეწვევით სტუმარი,

ამ ინტერვალებში შეიცნობა ღმერთი —

ან რაც ვინდათ უწოდეთ მას.

და როცა გაცნობიერდება მთლიანობა,

მაშინ არსებობს ერთი უსასრულო შუალედი.

შეიძლება ამის ღრუბლებთან შედარება: ღრუბლები მოძრაობენ და შეიძლება ისინი ისე მჭიდროდ მისდევდნენ ერთმანეთს, რომ მათ მიღმა ცა არ მოჩანდეს. ზეცის უსაზღვრო სიღრმე დაკარგულია თქვენთვის, იმიტომ რომ იგი ღრუბლებმა დაფარეს. თქვენ აგრძელებთ დაკვირვებას: გადაცურადე ერთი ღრუბელი და სადღაც კი დარუბელსა და მომდევნოს შორის ინტერვალთა გაჩნდება, თქვენი მზერა ცის უსაზღვროობაში ჩაიკარგება. იგივე ხდება თქვენ შიგნით. თქვენ უსამანო სილაყვარდე ხართ, აზრები კი ღრუბლებია, ისინი ჩამოგაწვენენ და გხუთავენ, მაგრამ ინტერვალები არსებობს, არსებობს ზეცა. ზეცის ნაფლეთის დანახვა არის სატორი და სამადპი არის ამ ზეცად ქცევა. სატორიდან სამადპიმდე პროცესი მხოლოდ გონებაში ღრმად შედწევის პროცესია და სხვა არაფერი. პირველ რიგში, გონება არ არსებობს როგორც რეალობა, არსებობენ მხოლოდ აზრები. შემდეგ — აზრები არსებობენ თქვენ გარეშე, ისინი არ ერწყმიან თქვენს ბუნებას, აზრები მიდიან და მოდიან, თქვენ კი რჩებით იქ, სადაც ხართ.

თქვენ ხართ ზეცა. იგი არ მიდის და არ მოდის, იგი მუდამ აქაა.

ღრუბლები მიდიან და მოდიან. ისინი წარმავალნი არიან. თუნდაც ცდილობდეთ აზრის შეჩერებას, ამას ვერ შეძლებთ, იგი უნდა წავიდეს. მას ახასიათებს მოკვდომა. აზრები არ არიან თქვენი, ისინი თქვენ არ გეკუთნიან, არამედ სტუმრებივით მოდიან, თქვენ კი მასპინძელი ხართ. როგორც სტუმრები — აზრები მშვენიერია, მაგრამ თუ დაგავიწყდათ, რომ მასპინძელი თქვენ ხართ, თვითონ აზრები იქცევიან მასპინძლად და მაშინ თქვენ დაიკარგეთ — თქვენ უკვე არა ხართ და სწორედ ეს არის ჯოჯობეთი.

თქვენ ხართ მასპინძელი, სახლი თქვენი, სტუმრებმა კი იგი დაისაკუთრეს. მიიღეთ სტუმრები, იზრუნეთ მათზე, მაგრამ ნუ გაიგივდებით მათთან, თორემ ისინი მასპინძლებად გადაიქცევიან.

გონება არის პირველი პრობლემა, რადგან აზრები იმდენად ღრმად შემოგეჭრნენ, რომ სრულიად დაგეკარგათ თქვენსა და თქვენს აზრებს შორის არსებული დისტანცია: დაგავიწყდათ, რომ ისინი სტუმრები არიან — მოვიდნენ და ისევ უნდა წავიდნენ. საჭიროა მუდამ გქონდეთ მებსიერებაში ის, რაც უცვლელია; იგი კი თქვენი ბუნებაა, თქვენი „დაო“. იზრუნეთ იმაზე, რაც არ მოდის და არ მიდის, რაც მუდამ არის, როგორც ზეცა. შეცვალეთ პეშტალტი (სახე, ფორმა, ყაიდა) ნუ იქნებით ფოკუსირებული სტუმრებზე, მიენდეთ

მასპინძელს. სტუმრები მოდიან და მიდიან...

რა თქმა უნდა, მოვლენ კარგი სტუმრებიც და ცუდი სტუმრებიც. ამაზე ნუ სწუხართ. კარგი მასპინძლისათვის ისინი განუჩრჩველნი არიან. იგი ყველას თანაბრად ექცევა: კარგი მასპინძელი — ეს კარგი მასპინძელია. მოდის ცუდი აზრი და იგი მას ეპყრობა, როგორც კარგ აზრს. მისთვის სულერთია, კარგია იგი თუ ცუდი.

რა ხდება, როცა თქვენ არჩევთ კარგ და ცუდ აზრებს? თქვენ იხუტებით კარგ აზრებს და თავს არიდებთ არასასიამოვნოებს. ადრე თუ გვიან იგივედებით კარგ აზრებთან და ისინი თქვენი მასპინძლები ხდებიან, მაგრამ ყველანაირი აზრი, თუკი ის მასპინძლად იქცა, აუცილებლად ტანჯვას მოიყოლებს, რადგან ის არ არის რეალობა. აზრი მატყუარაა, თქვენ კი იგივედებით მასთან და გაიგივება ავადმყოფობაა.

გურჯიევი ჩვეულებრივ იმეორებდა, რომ საჭიროა ერთადერთი რამ — არ გაიგივება: მოდის დილა, შემდეგ დღე, მერე საღამო და ისევ თავიდან — მოდის ღამე, კვლავ დილა... თქვენ კი რჩებით არა როგორც თქვენ, რადგან ესეც აზრია, არც თქვენი ფორმა, რომელიც ასევე აზრია, არც თქვენი სხეული, რომელიც როცა იქნება მახვდებით, რომ აზრი ყოფილა, თქვენ რჩებით უბრალოდ წმინდა ცნობიერებად, სახელის და ფორმის გარეშე, მხოლოდ სიწმინდე, მხოლოდ უფარმობა, მხოლოდ თვითგაცნობიერების მოვლენა — მხოლოდ ესაა რჩება.

როცა იგივედებით, თქვენ იქცევით გონებად.

როცა იგივედებით, თქვენ იქცევით სხეულად.

როცა იგივედებით, თქვენ იქცევით სახელად და ფორმად. იმად, რასაც ინდოელები ნამას და რუპას (სახელი და ფორმა) უწოდებენ და მაშინ მასპინძელი დაილუბა, მაშინ თქვენ ივიწყებთ მარადიულს და წამიერი, წარმავალი იქცევა მნიშვნელოვნად. წარმავალი ეს ცხოვრებაა; მარადიული კი არის ღმერთი.

მეორე შეღწევა გონებაში მდგომარეობს იმის შეგნებაში, რომ თქვენ მასპინძელი ხართ და აზრები სტუმრები არიან. თუ გააგრძელებთ გაცნობიერებას, გაიგებთ მესამესაც. მესამე მდგომარეობს იმაში, რომ აზრები უცხონი და აბეზარნი არიან. არც ერთი აზრი არ არის თქვენი, ისინი მუდამ გარედან მოდიან. თქვენ მხოლოდ გამტარი ხართ; ჩიტის სახლში ერთი კარიდან შემოფრინდება და მეორედან გაფრინდება; სწორედ ასევე, აზრი შემოდის თქვენში და გადის თქვენგან. თქვენ დაგიჟინიათ, რომ აზრები თქვენი; მეტიც, თქვენ იცავთ თქვენს აზრებს და ამბობთ: „ეს ჩემი აზრია და იგი მართალია“. თქვენ არჩევთ მათ და

დავობთ მათზე, ცდილობთ დაამტკიცოთ, რომ ეს თქვენი აზრია, არც ერთი აზრი არ არის თქვენი, არც ერთი აზრი არ არის ორიგინალური, ყველა აზრები ერთმანეთით არიან განპირობებულნი. ისინი აბლები არ არიან არა მარტო იმიტომ, რომ მილითნობით ადამიანები თქვენამდე გამოთქვამდნენ ამავე აზრებს, არამედ იმიტომაც, რომ აზრები, როგორც დანარჩენი საგნები თქვენს გარეთ იმყოფებიან.

ოდესღაც დიდმა ფიზიკოსმა ედინგტონმა თქვა: „რაც უფრო ღრმად აღწევს ფიზიკა მატერიაში, მით უფრო სარწმუნო ხდება, რომ საგნები აზრები არიან“. არ ვიცი, მე არც ფიზიკოსი ვარ და არც ედინგტონი, იქნებ ეს ასეც არის, მაგრამ მე შინდა გითხრათ, რომ, რაც მეტი შეაღწევთ თქვენსავე თავში, მით უფრო ნათელი გახდება, რომ აზრები საგნებს ემსგავსებიან. სინამდვილეში ეს თრია: საგანი არის აზრი, აზრი არის საგანი.

რას ვგულისხმობ, როცა ვამბობ, რომ აზრი საგანია? მე ვთვლი, რომ თქვენ შეგიძლიათ აზრის სროლა ისევე, როგორც ნივთის. თქვენ შეგიძლიათ, აზრი როგორც ნივთი თავში ჩაართყათ ვინმეს. შეგიძლიათ აზრით მოკლათ ვინმე, როგორც ხანჯლით შეგიძლიათ გააკეთოთ ეს. შეგიძლიათ გასცეთ თქვენი აზრი როგორც საჩუქარი ან როგორც საწამლაეი.

აზრები საგნებია, ისინი ძალას წარმოადგენენ, მაგრამ ისინი არ გეკუთვნიან თქვენ. ისინი მოდიან თქვენთან, რაღაც ხნის განმავლობაში რჩებიან თქვენში და მიდიან თქვენგან. მთელი სამყარო სავესეა აზრებით, საგნებით და ნივთებით. ნივთები აზრთა ფიზიკური ნაწილია, აზრები საგანთა მენტალური მხარე. ამ ფაქტის გამო, რომ აზრები საგნებია, უამრავი სასწაულები ხდება: თუკი ვინმე მუდმივად ფიქრობს თქვენზე, თქვენს კეთილდღეობაზე, ეს მართლა მოხდება, რადგან მან თქვენკენ აზრების ძალა მომართა.

აი რატომ არის ლოცვა სასარგებლო და აუცილებელი.

თუ დაილოცეთ ნათელზიარებული ადამიანისგან, ეს ლოცვა ახდება, რადგან ადამიანი, რომელიც არ ხმარობს აზრებს, აკუმულირებს აზრების ენერგიას და, რასაც იგი ლაპარაკობს, ახდება.

ყველა აღმოსავლური ტრადიციის მიხედვით, სანამ ადამიანი დაიწყებდეს „გონების გარეშე ყოფნის“ სწავლებას, მას აიძულებენ დაიკალოს თავისი ნეგატიურობისაგან, რადგან, თუკი „გონების გარეშე ყოფნას“ ნეგატიური დამოკიდებულებით მიაღწიეთ, თქვენ იქცევით საშიშ ძალად. სანამ ამას მიაღწევდეთ, თქვენ უნდა

გახდეთ აბსოლუტურად პოზიტიური. ამაში მდგომარეობს განსხვავება შვეცა და თუთრ შაგისა შორის.

შვეც შავი არაფერია სხვა — თუ არა ადამიანი, რომელმაც დააკუმულირა აზრის ენერჯია ნეგატიურობისაგან დაუცლელად. თეთრი შავი კი არის ადამიანი, რომელმაც დააგროვა აზრის ენერჯია და რომელიც პოზიტიური დამოკიდებულებით მივიდა ამ მდგომარეობასთან. ერთი და იგივე ენერჯია ხდება თეთრიც და შვეიც.

აზრი არის უდიდესი ძალა, ეს საგანია და ეს არის შესამე შეღწევა გონებაში. საჭიროა ამის გაგება და საკუთარ თავში დაკვირვება.

ზოგჯერ ხდება, რომ ხედავთ, როგორ მატერიალიზდება თქვენი აზრები, მაგრამ რადგანაც მატერიალისტურად განპირობებულნი ხართ, თქვენ ამას შემთხვევითობას არქმევთ.

თქვენ არ აძლევთ ამას არავითარ მნიშვნელობას, რჩებით გულგრილნი ამის მიმართ და ივიწყებთ ამას. თუკი გიფიქრიათ ვინმეს სიკვდილზე და ის მოკვდა, იცოდეთ, რომ თქვენ დიდი როლი ითამაშეთ ამაში. ნუ მონათლავთ ამას უბრალო დამთხვევად. ზოგჯერ ვსურთ ვინმეს ნახვა, და აი, ის გიკაკუნებთ კარებზე, თქვენ ამასაც დამთხვევად თვლით, სინამდვილეში არ არსებობს ასეთი რამ, რაც შეიძლება დამთხვევად მოინათლოს. ყველაფერს თავისი მიზეზი გააჩნია. თქვენი აზრები ქმნიან სამყაროს თქვენს ირგვლივ.

ორი თუ სამი წლის წინათ ვინმე ებრაელმა ური გელერმა, რომელიც აზრის სფეროში მუშაობს, ინგლისის ტელევიზიით მოაწყო ცდის დემონსტრირება. მას აზრის ძალით შეუძლია საგნები გალუნოს. თქვენ დაიჭერთ ამ გელერიდან სამი მეტრის მანძილზე კოვზს და იგი აზრის ძალით გალუნავს მას. თქვენ ვერ გალუნავთ მას ხელით, იგი კი აზრით ღუნავს მას. მაგრამ იგი თვითონაც არ მოელოდა იმას, რაც მოჰყვა ამ ცდას. ათასობით ადამიანი ადევნებდა თვალს ამ ექსპერიმენტს ტელევიზორებთან და როცა იგი ღუნავდა საგნებს, ათასობით სახლში, მთელ ინგლისში საგნები ილუნებოდა და დეფორმირდებოდა. თითქოს ეს ენერჯია ტელევიზიის საშუალებით მთელ ინგლისში გადაიტაცა. როდესაც იგი სამი მეტრის სიშორეზე ღუნავდა საგნებს, ამ დროს ტელევიზორებიდან სამ მეტრზე მდებარე საგნებმა მთელ ინგლისში დაიწყო დეფორმირება. ეს იყო ზებუნებრივი მოვლენა. აზრები ნივთიერები არიან და მათ დიდი ძალა გააჩნიათ.

საბჭოთა რუსეთში ცხოვრობს ვიღაც

მიხაილოვა, რომელსაც დაუჯერებელი ზემოქმედება გააჩნია ნივთებზე და თანაც დიდ მანძილზე. მას შეუძლია აზრის ენერჯიით მიიზიდოს ყველანაირი საგანი. რუსეთში არ სჯერათ ოკულტური მეცნიერებების. ეს კომუნისტური, ათეისტური ქვეყანაა. ამიტომ დაიწყეს მიხაილოვას შესწავლა მეცნიერული თვალსაზრისით. როდესაც მიხაილოვა ექსპერიმენტს ატარებდა, ჩანდა მისი განსაზღვრებაში კარგად — ~~ექსპერიმენტის~~ ორი ფუტის წონას.

როგორ შეიძლება ამის ახსნა? ეს ნიშნავს, რომ აზრებთან ერთად გადმოისროლება ენერჯია — და თქვენ მუდმივად ჩადიხართ ამას. თქვენი გონება ლაყბობს და უაზროდ ხარჯავთ ენერჯიას. ამით ვნებთ თქვენს ირგვლივ მყოფ ადამიანებს და ვნებთ საკუთარ თავს.

უამრავი რამ ხდება თქვენს გამო.

სამყარო უზარმაზარი ქსელია და კაცობრიობა დღითიდღე უბედური ხდება, რადგან ადამიანთა რიცხვი დედამიწაზე დღითიდღე მატულობს და ისინი უფრო და უფრო მეტ აზრებს აფრქვევენ. თუკი წარსულში დავბრუნდებით, დაეინახავთ, რომ ჩვენი დედამიწა ძალზე მშვიდი და აუმღვრეველი იყო, იგი მცირე რაოდენობით ასხივებდა აზრებს. ბუდას დროს და ლაო-ძის დროს დედამიწა იყო იდილიურად მშვიდი და ბუნებრივი, ეს იყო სამოთხე. რატომ? პირველ რიგში იმიტომ, რომ მოსახლეობა ძალზე ცოტა იყო და ადამიანებს მეტი მიდრეკილება ჰქონდათ გრძნობებისა და ლოცვისაკენ, ვიდრე აზროვნებისაკენ. დღეს ისინი ლოცვით იწყებდნენ და ლოცვითვე ამთავრებდნენ. ყოველთვის, როცა კი დროს მოიხელთებდნენ, კვლავ ლოცულობდნენ. რას ნიშნავს ლოცვა? ლოცვა ნიშნავს, რომ სიკეთეს უსურვებდე ყველას, თანაუგრძობდე ადამიანებს. ლოცვა ნიშნავს, რომ წინალობა შეუქმნა ნეგატიურ აზრებს. ლოცვა პოზიტიურობაა.

შესამე შეღწევა მდგომარეობს შემდეგში: აზრები საგნებშია, მათ ძალა გააჩნიათ და ფრთხილად უნდა მოვეპყრათ.

ჩვეულებრივ, გაუცნობიერებლად თქვენ ფიქრობთ უამრავ რამეზე. ძნელია მოინახოს ადამიანი, რომელსაც ფიქრში არ ჩაედინოს მკვლევლობა, ძნელია მოინახოს ადამიანი, რომელსაც გონებაში არ ჩაედინოს ათასი ჭურის დანაშაულობები და ყველაზე საძაგელი ცოდვები. და უცბად ისინი ხდებიან. დაიმახსოვრეთ: იქნებ თქვენ თვითონ არავინ არ მოკლათ არასდროს, მაგრამ თქვენმა ფიქრმა მკვლევლობაზე შეიძლება ადვილად შექმნას სიტუაცია,

როცა ჩადენილი იქნება შველლობა.

ვილაცა წამოეგება თქვენს აზრზე, რადგან ირგვლივ უამრავი სუსტი ადამიანია. აზრი კი წყალს ჰგავს, იგი — ქვევითკენ მიედინება. თუკი ამგვარი ფიქრები გჩვევიათ, ვილაცა აუცილებლად წამოეგება მასზე და გახდება თქვენი ფიქრების რეალიზატორი.

სწორედ ამიტომ ამბობენ ისინი, ვინც ადამიანის შინაგანი ბუნება შეიცნო, რომ ყველა პასუხს აგებს იმაზე, რაც ხდება ჩვენს დედამიწაზე. იმის გამო, რაც ვიეტნამში ხდება, პასუხისმგებელი არიან არა მარტო ნიქსონები, არამედ ყველა, ვინც კი აზროვნებს. პასუხისმგებელი არ არის მხოლოდ ის, ვინც გონებისაგან განთავისუფლდა.

ყველა დანარჩენი პასუხს აგებს ყველაფერზე, თუკი დედამიწა ჯოჯობეთია, თქვენც ხართ მისი შექმნის მონაწილე. ასე რომ, ნუ აკისრებთ პასუხისმგებლობას მხოლოდ სხვებს, ეს კოლექტიური მოვლენაა. ინფექციურმა სენმა შეიძლება ნებისმიერ ადგილას იფეთქოს. ბომბი შეიძლება ათასი მილის მიღმა გასკდეს — და ეს არაფერს ცვლის, რადგან აზრი არ არის სივრცული მოვლენა, მას სივრცე არ სჭირდება. ამიტომ მოძრაობენ აზრები ყველაფერზე უფრო ჩქარა. სინათლეზე სწრაფადაც კი, რადგან სინათლეს სივრცე სჭირდება. აზრი ყველაფერზე უსწრაფესია. ფაქტიურად მას არ სჭირდება დრო, სივრცე. თქვენ ხიხართ აქ და ფიქრობთ რამეზე, ამერიკაში კი თქვენი ფიქრები მატერიალიზდება. როგორ შეიძლება ამაში თქვენი დადანაშაულება? ვერც ერთი სასამართლო ამაში ვერ დაგადანაშაულებთ, მაგრამ ყოფიერების უდიდეს სამსჯავროში ყველაფერი აღრიცხულია, იგი დაგსჯით თქვენ, თქვენ ახლაც მსჯავრდადებულნი ხართ. ამიტომ ხართ ასეთი უბედურები.

ადამიანები მოდიან და შემოაქივიან: „ჩვენ არავესთვის ცუდი არ გაგვიკეთებია და მაინც ასეთი უბედურები ვართ“. შესაძლებელია არაფერს ცუდს არ ჩადიდეთ, მაგრამ რაღაცას ფიქრობთ — ფიქრი კი უფრო გაფაქიზებული და მზაკერული პროცესია, ვიდრე საქციელის ჩადენა.

ადამიანს იქნებ შეუძლია საქციელისაგან თავის შეკავება, მაგრამ იგი უძლურია ფიქრის წინააღმდეგ.

„უფიქრობა“ — არის აუცილებელი პირობა თუ გინდათ ცოდვებისაგან განწმენდა, თუ გინდათ დანაშაულისაგან და იმისაგან განთავისუფლება, რაც კი რამ ხდება თქვენს ირგვლივ. აი რაში მდგომარეობს ბუდას ბუნება.

ბუდა არის ადამიანი, რომელიც

ცხოვრობს „გონების გარეშე“ და ამიტომ არ აგებს პასუხს არაფერზე. აღმოსავლეთში ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთი ადამიანი არ ქმნის კარმას. იგი არ ქმნის ბორკილებს მომავლისათვის; იგი ცხოვრობს, დადის, ლაპარაკობს, აკეთებს ბევრ რამეს და ამრიგად კარმასაც უნდა ქმნიდეს, რადგან კარმა სწორედ მოქმედებას ნიშნავს, მაგრამ აღმოსავლეთში ამბობენ, რომ ბუდა, შველელიც რომ იყოს, კარმას არ ქმნის; თქვენ კი შველელიც რომ არ იყოთ, მაინც კარმას ქმნით. რატომ? ეს ნათელია — ბუდა, რასაც არ უნდა ჩადიდეს, მუდამ გონების მონაწილეობის გარეშე მოქმედებს.

იგი სპონტანურია და მაშინ ეს არ არის მოქმედება. იგი არ ფიქრობს იმაზე, ეს ხდება სპონტანურად, გონების, ფიქრის გარეშე.

იგი მოძრაობს როგორც სიცარიელე.

მას არ გადაუწყვეტია ჩაედინა ეს;

მას არ ჩაუფიქრებია ეს,

მაგრამ თუ ყოფიერება თანახმაა,

არც იგი ეწინააღმდეგება.

მას არ გააჩნია ეგო, რომ შეეწინააღმდეგოს;

მას არ გააჩნია ეგო, რომ ჩაიდინოს.

აი რას ნიშნავს იყოს ცარიელი, იყოს „არა-მე“, იყოს არაფერი — „ანატმა“, „არა-მე“, თუ არაფერს აკუმულირებთ, არაფერზე პასუხს არ აგებთ და მაშინ გადაცდებით საზღვარს (ეს იქნება ტრანსცენდენცია), თვითვეული აზრი ქმნის თქვენთვის და სხვებისთვის რაღაცას. საჭიროა სიფრთხილე. მაგრამ, როცა ფრთხილად ყოფნას მოგიწოდებთ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ კარგზე უნდა ფიქრობდეთ. არა, რადგან, როდესაც ფიქრობთ კარგზე, იმავდროულად ფიქრობთ ცუდზეც. როგორ შეიძლება არსებობდეს კარგი ცუდის გარეშე?

თუ სიყვარულზე ფიქრობთ, იქვე, ამის უკან სიძულვილიც იმალება. როგორ შეიძლება სიყვარულზე ფიქრი, თუ იქვე მეორე მხარეც არ არსებობს — სიძულვილი? იქნებ ცნობიერად მხოლოდ სიყვარულზე ფიქრობთ, მაგრამ სიძულვილი დამალულია. ქვეცნობიერში — ისინი ერთად არსებობენ.

როცა თანაგრძნობაზე ფიქრობთ, თქვენ ფიქრობთ ძალადობაზეც. განა შეიძლება, თანაგრძნობაზე ფიქრი თუ ძალადობაზეც არ ფიქრობთ? თვით ეს სიტყვა „ძალდაუტანებლობა“ შეიცავს ძალადობის შინაარსს. შეუძლებელია ფიქრობდეს ბრაჰ-მაჩარიაზე (უქორწინობაზე) და ამავე დროს სექსზე არ ფიქრობდეთ. და თუ ბრაჰმაჩარია ემყარება სექსის უარყოფას, მაშინ ეს რაღა ბრაჰმაჩარიაა?

„უფიქრობის“ მდგომარეობა არსებობის თვისობრივად განსხვავებული ფორმაა — არც კარგი, არც ცუდი — უბრალოდ

უფიქრობა. თქვენ მხოლოდ აკვირდებით, რჩებით ცნობიერნი, მაგრამ არ ფიქრობთ. თუ აზრი მოვიდა, დაე, მოვიდეს, რადგან აზრები თქვენ არ გეკუთვნიათ, ისინი თავისთავად დახეტიალობენ. თქვენს ირგვლივ იონოსფეროა — აზრების სფერო. პაერის მსგავსად აზრები გერტყმიან გარს, ისინი თავისთავად აღწევენ თქვენში, და იმის მიხედვით, როგორ იმატებს თქვენი ცნობიერება, იკლებს აზრების შემოდინების უნარიც. ამაში დიდი რამ არის: როცა თქვენ იქცევით ცნობიერ ადამიანად, აზრები თანდათან ქრებიან, ისინი დნებიან, რადგან გაცნობიერება უფრო ძლიერი ენერჯიაა, უიდრე აზრი. გაცნობიერება — ცეცხლია აზრებისათვის; როცა ოთახში სანთელი ანთია, სიბნელე არ არის და როგორც კი სინათლეს ჩააქრობთ, ყოველი მხრიდან შემოგაწვებათ სიბნელე; ამას წამიც კი არ სჭირდება. როცა სახლში სინათლეა, სიბნელე ვერ შემოდინებს, აზრები სიბნელეს ჰგვანან, ისინი მოდიან მაშინ, როცა შიგნით არ ანთია სინათლე. გაცნობიერება არის სინათლე, რაც მეტად ცნობიერი გახდებით, მათ ნაკლები და ნაკლები აზრები შემოდინებს თქვენში და როცა გახდებით მთლიანი ცნობიერება, აზრები საერთოდ ვერ შემოდინებენ, თქვენ გახდებით აუღებელი ციტადელი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დაიგმანეთ, პირიქით, თქვენ აბსოლუტურად ღია იქნებით. საქმე იმაშია, რომ თვითონ გაცნობიერების ენერჯია იქცევა თქვენს ციტადელად. და მაშინ აზრები ვერ შემოდინებენ თქვენში. ისინი მოვლენ თქვენთან და გვერდ აგვილიან, თქვენ დაინახავთ როგორ მოდიან ისინი და როგორ უკოიქცევიან თქვენთან; მაშინ უკვე შეგეძლება ყველგან, ყველადღერში შესვლა, თვით ჯოჯობეთიც კი არ იმოქმედებს თქვენზე.

აი, რას ვუწოდებთ ჩვენ ზიარებას, ნათელდებას. ახლა შევეცადოთ ტალოპას სუტრის გაგებას.

თუ სივრცეში მოცქერალი არ ხედავ
არაფერს,
 თუ გონებით ექვრეტ შენსავე გონებას,
 მაშინ წაიშლება განსხვავება
 და ბუდას ბუნებას მიიღწევ.
 თუ სივრცეში მოცქერალი არ ხედავ
არაფერს...

ეს შეთადრია, ტანტრის მეთოდი. ცქერა სივრცეში, ცაში და არაფრის ყურება, ცქერა ცარიელი თვალთ. ცქერა, მაგრამ არაფრის ხედვა — უბრალოდ მზერა ცარიელი, გახელილი თვალებით. ალბათ შეგიძინებოდათ ცარიელი მზერა გიჟის თვალებში, გიჟი და ბრძენი რაღაცით გვანან ერთმანეთს. გიჟი მოგჩერებიათ სახეში, მაგრამ თქვენ

გრძნობთ, რომ იგი არ გიყურებთ; იგი იხედება თქვენს იქით, მიღმა, თითქოს "შუშის იყოთ. თქვენ უბრალოდ მისი მზერის არეში ხართ, იგი არ გიყურებთ თქვენ, თქვენ გამჭვირვალე ხართ ან საერთოდ არა ხართ მისთვის. იგი იმზირება უთქვენო მზერით, იგი მხოლოდ იმზირება...

იცქირეთ ცაში და ნუ ეძებთ ნურაფერს, რადგან, თუკი ეძებთ, აუცილებლად რაღაცა გამოჩნდება, აუცილებლად დაქრული გაჩნდება — "რაფცა-...
 უსაზღვრო ლაყვარდია, უძირო. მხოლოდ გახელილი თვალები... ნუ ეძებთ ნურაფითარ ობიექტს. თვითონ ძებნის მცდელობა შექმნის ობიექტს. მოსარკული ცაც რომ იყოს, თუ ეძებთ, ობიექტი მაინც გაჩნდება. თუნდაც ღრუბლები იყოს, ნუ უყურებთ მათ, ნუ ხედავთ მათ, დაე, იცურაონ და უცბად დადგება მომენტი, როცა თქვენ შეედნობით ამ "არხედვის" მზერას, გახელილობას, ღრუბლები გაქრებიან თქვენთვის და დარჩება მხოლოდ უძირო ზეცა, მხოლოდ სილაყვარდე. ეს ძნელია, რადგან თქვენი თვალები ფოკუსირებულნი არიან და განწყობილნი საგნების საცქერლად.

შეხედეთ ჩვილს დაბადების დღეს, მას ისეთივე თვალები აქვს როგორც ბრძენს ან გიჟს. მისი თვალები თავისუფალნი არიან და მოძრაენი. შეუძლია მათი ცენტრისაკენ შემოზიდვა, შეუძლია მათი განზიდვა იქით-აქეთ. ისინი ჯერაც არ არიან ფიქსირებულნი მთელი მისი სისტემა დენადია, მისი ნერვული სისტემა ჯერაც არ ქცეულა სტრუქტურად. ყველაფერი მოძრაობაშია. ამიტომ ჩვილი იცქირება და არ უყურებს საგნებს. მას უგონო ხედვა აქვს. დააკვირდით ბავშვს, თქვენთვისაც აუცილებელია ასეთი ხედვა, რადგან თქვენ მეორედ უნდა გახდეთ ბავშვები.

დააკვირდით გიჟებს, რადგან ისინი გაუიდნენ საზოგადოებიდან. საზოგადოება — ეს არის როლებების და თამაშის ფიქსირებული სამყარო. გიჟი უგონოა, რადგან მას უკვე არ გააჩნია მულბაჟი როლი, ის გამოეთიშა, გამოვიდა თამაშიდან. იერი — ესეც თამაშიდან გასული ადამიანია, მაგრამ სხვა დონეზე, იგი უგონო არ არის — სინამდვილეში იგი წარმოადგენს საღი აზროვნების ერთადერთ რეალიზაციას. მაგრამ მთელი სამყარო უგონო და გაყინულია და ამ ჩვეულებრიობის ფონზე ბრძენიც გიჟი ჩანს. დააკვირდით გიჟებს, მათი მზერა თქვენ ძალიან გჭირდებათ.

ქველ ტიბეტურ სკოლებში ყოველთვის ჰყავდათ შეშლილები, რათა მოწაფეებს ესწავლათ მათი თვალებიდან. შეშლილებს

ძალზე იფასებდნენ და შეუძლებელი იყო მონასტრის არსებობა გიჟის გარეშე.

მოწათფები აკვირდებოდნენ შემოიღეს, მის მზერას და ცდილობდნენ მისი თვალებით შეეხედათ სამყაროსათვის. ეს მშვენიერი დღეები იყო.

აღმოსავლეთში არასდროს გიჟები ისე არ იტანჯებოდნენ, როგორც დასავლეთში იტანჯებიან. აღმოსავლეთში მათ აფასებდნენ, ისინი მუდამ წარმოადგენდნენ რაღაც განსაკუთრებულს. საზოგადოება ზრუნავდა მათზე, პატივს სცემდა მათ, რადგან მათში თავმოყრილია ჩვილის და ბრძენის თვისებები. გიჟი განსხვავებულია ე. წ. კულტურული

საზოგადოებისაგან, ცივილიზაციისაგან, იგი გამოეთიშა მას, რა თქმა უნდა, იგი დაეცა ბრძენისაგან განსხვავებით, რომელიც ამაღლდა, მაგრამ ორივენი გამოსულები არიან თამაშიდან. მათში ბევრი საერთოა. დააკვირდით შეშლილებს და შერე სცადეთ თქვენი თვალების განფოკუსირება.

რამდენიმე თვის წინ პარვარდში ერთ ექსპერიმენტს იტარებდნენ და შედეგი სრულიად მოულოდნელი გამოდგა, თითქმის დაუჯერებელი: ეს იყო მცდელობა, გაერკვიათ, წარმოადგენს თუ არა სამყარო იმას, რასაც ჩვენ ვუყურებთ, და რაღაც ჩვენ წარმოგვიდგენია. ექსპერიმენტი ტარდებოდა ერთ ახალგაზრდაზე და მას შვიდი დღის განმავლობაში უნდა ეტარებინა ირიბ ლინზებიანი სათვალეები. პირველი სამი დღის განმავლობაში იგი დისკომფორტულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადგან ყველაფერი ირგვლივ დაბრეცილი მოჩანდა. დაეწყო თავის ტკივილები და უძილობა. თვალდახუჭულიც კი იგი ხედავდა დეფორმირებულ ფიგურებს, სახეებს, გადატეხილ ხეებს და გზებს. მას სიარულიც არ შეეძლო, რადგან ვერ გაეგო რა იყო რეალური და რა წარმოადგენდა სათვალეების პროექციას.

მაგრამ მოხდა სასწაული. მეოთხე დღეს მან დაიწყო ადაპტირება მდგომარეობის მიმართ და დეფორმირებული სამყარო გაქრა. იგი იმავე ირიბი ლინზებით იყურებოდა, მაგრამ თვალებმა ჩვეულებრივი სახით დაიწყეს აღქმა და ყურება; ამ დღიდან ექსპერიმენტის ბოლომდე ყველაფერი რიგში ჩადგა, შეწყდა თავის ტკივილები და არ არსებობდა არავითარი პრობლემები. მეცნიერები გაკვირვებულნი იყვნენ, მათ ვერ გაეგოთ რა მოხდა.

თვალებში რაღაც ამოუცნობი მოხდა, თითქოს სათვალეები გაქრა, მაგრამ ისინი ისევ იყო და ლინზები კვლავ აგრძელებდნენ

ყველაფრის დეფორმირებას. თვალებმა კი უარი თქვეს დეფორმირებულ სამყაროზე და ისევ დაიწყეს ყურება, როგორც მჭკვეულები იყვნენ.

ჩვენ სამყაროს მხოლოდ ისეთს კი არ ვუყურებთ, როგორც სინამდვილეშია, ჩვენ მას ვუყურებთ ისეთს, როგორსაც ვვარაუდობთ, როგორსაც მჭკვეულები ვართ. ჩვენს სამყაროში რაღაცას ვაბროეცირებთ.

ერთხელ ერთ პატარა კუნძულთან პირველად მივიდა რომელიღაც დიდი ხომალდი და კუნძულის მაცხოვრებლებმა ვერ დაინახეს იგი, ვერც ერთმა! ხომალდი კი უშველებელი იყო — მაგრამ კუნძულელთა თვალები პატარა ნავებს იყო მიჩვეული და მათ ვერ შეამჩნიეს იგი. მათ არასდროს არ ენახათ ასეთი საგნები და ამიტომ იგი ვერ აღიქვეს.

არავინ არ იცის არსებობს თუ არა ის, რასაც თქვენ უყურებთ, იქნებ არსებობს ან იქნებ სხვა ფორმით არსებობს. ფერები, რომლებსაც თქვენ უყურებთ, ფორმები, ყველაფერი თქვენი თვალებით პროეცირდება. როცა თქვენ იყურებთ თქვენი ძველი შეხედულებებით ფოკუსირებულნი, თქვენ უყურებთ საგნებს საკუთარი განპირობებულობის შესაბამისად, აი, რატომ აქვთ გიჟებს ასეთი მოძრავი მზერა, რომელიც გიყურებთ და იმავე დროს არც გიყურებთ. ეს მშვენიერი მზერაა, იგი ერთ-ერთი უდიდესი ტექნიკაა.

თუ სივრცეში მოცქერალი არ ხედავ არაფერს...

ნუ უყურებთ, უბრალოდ იცქირეთ. პირველ დღეებში თქვენ გააგრძელებთ ყურებას ძველებურად, ჩვეულებრივ.

ჩვენ ძალზე ძველებურნი ვართ. ჩვენ ძველებურად ვუყურებთ საგნებს, ჩვენ ვგებულობთ ახალ ამბებს ძველებურად...

გურჯივეის ერთ-ერთ პირველ მოწათფეს, პ. დ. უსპენსკის შემდეგი რამ დაეწინებინა და ამიტომ მას უნდობლად ეკიდებოდნენ. ბევრმა დატოვა იგი ამგვარი მოთხოვნის გამო; თუ ვინმე ამბობდა: „გუშინ თქვენ თქვით...“ იგი მაშინვე აწყვეტინებდა და ეუბნებოდა: „ნუ იტყვით ასე, თქვენ ასე უნდა თქვათ: „მე გავიგე, რომ თქვენ გუშინ თქვით შემდეგი...“ ნუ იტყვით: „ის რაც თქვენ თქვით: „თქვენ არ შეგიძლიათ ეს იცოდეთ, ილაპარაკეთ იმაზე, რაც თქვენ გაიგონეთ“.

იგი კატეგორიულად მოითხოვდა ამას, რადგან ჩვენ ძალზე შებოჭილები ვყავართ ჩვენს ჩვევებს. როცა ვინმე ამბობდა: „ბიბლიაში ნათქვამია...“ იგი აწყვეტინებდა სიტყვებით: „ნუ ამბობთ ასე, უბრალოდ

თქვით, რომ თქვენ გვინათ, რომ ბიბლიაში
ამაზე ნათქვამია..."

ყოველთვის, როდესაც სხვათა აზრებს
ისმენთ, გახსოვდეთ, რომ თქვენ მას
თქვენებურად გებულობთ. ჩვენ ვაგრძელებთ
გულმაგიწყობას და უსპენსკის მოწაფეებიც
აგრძელებდნენ დავიწყებას, მაგრამ იგი
ჯიუტი იყო და არ რთავდა ნებას
გაეგრძელებინათ. იგი მოითხოვდა: „თავიდან
დაიწყეთ და თქვით: — „შე გივიგე, რომ
თქვენ თქვით შემდეგი...“ იმიტომ, რომ
თქვენი სმენა განპირობებულია თქვენი,
თქვენი ხედვაც თქვენს მიერ არის
განპირობებული, რადგან თქვენ შეიქმენით
სმენის და ხედვის დადგენილი სახე.

უნდა მოიცალოთ იგი.

რათა შეიცნოთ არსებობა, საქიროთა

მოიხსნათ ყველა დადგენილი

ურთიერთობები.

თქვენი თვალები უნდა იყონ ფანჯრები

და არა პროექტორები.

თქვენი ყურები უნდა იყონ მხოლოდ

კარები და არა პროექტორები.

აი, რა მოხდა ერთხელ. ერთმა
ფსიქოანალიტიკოსმა, რომელიც გურჯიე-
თან სწავლობდა, ერთ საქორწინო
ცერემონიაზე ჩაატარა ძალიან მარტივი,
მაგრამ მშვენიერი ექსპერიმენტი. იგი
მასპინძლებთან ახლოს იდგა, აკვირდებოდა
მათ და იგრძნო, რომ არც ერთ
მასპინძელთაგანს არ ესმოდა ის, რასაც
სტუმრები ლაპარაკობდნენ. ეს იყო მდიდ-
ართა ქორწილი და მრავალი სტუმარი იყო
მოსული. იგი გაერია სტუმართა ნაკადში და
ერთ-ერთ მასპინძელს ხმადაბლა უთხრა:
„დღეს ბებიჩემი გარდაიცვალა“.
მასპინძელმა უპასუხა — „ძალზე
სასიამოვნოა, მაღლობელი ვარ თქვენი“. მან
იგივე სიტყვები გაუმეორა მეორე მასპინძელს
და მან ასე უპასუხა: „სასიამოვნოა, ძალიან
დავალებული ვარ თქვენგან“. საქმრომ კი
შემდეგი უპასუხა: „ძველი, დროა შენც ასევე
მოიქცე“.

არავინ არ უსმენდა არავის. თქვენ გესმით
მხოლოდ ის, რასაც მოვლით. მხოლოდინი —
ეს არის თქვენი სათვალეები, თქვენი
ლინზები. თქვენი თვალები ფანჯრებად უნდა
იქცნენ. ამაში მდგომარეობს ტექნიკის არსი.
არაფერი არ უნდა ამოდიოდეს თქვენი
თვალებიდან, თუკი რაღაც ამოდის, იგი
ღრუბელს ქმნის და მაშინ თქვენ ხედავთ იმას,
რაც სინამდვილეში არ არის, თქვენ ფაქიზ
პალუცინაციას უყურებთ.

თქვენი თვალები და თქვენი ყურები
უნდა გახდნენ კრისტალივით წმინდა. ყველა
თქვენი გრძნობა უნდა გახდეს ნათელი, აღქმა
აუმღვრეველი — მხოლოდ მაშინ გაიხსნება

თქვენთვის ყოფიერების რეალობა და როცა
შეიცნობთ ყოფიერებას, თქვენ უკვე იცით,
რომ თქვენ ხართ ბუდა, ღმერთი, რადგან
ყოფიერებაში ყველაფერი ღვთაებრივია.

თუ სივრცეში მაცქერალი ხედავთ

არაფერს

თუ გონებით უჭვრეტ შენსავე გონებას...

პირველ რიგში იცქირეთ ცაში, დაწვით
მიწაზე და იცქირეთ, მხოლოდ ეცადეთ არ
უყუროთ არაფერს. ბრწყინვალე ბუნებაში ეს არ
გამოგივათ, თქვენ უნდა — ~~საქორწინო~~ უნდა
თავიდან თქვენს მესხიერებას ეს არ
შეეძლება, მაგრამ გულს ნუ გაიტებით, ეს ასეც
უნდა იყოს, რადგან თქვენი ხანგრძლივი
ჩვევები იუცხოებენ ამას. როგორც კი
გაიხსენებთ, მაშინვე მოადუნეთ,
განათვალსიროთ თვალები და უბრალოდ
იცქირეთ ცაში. ნუ აკეთებთ და ეძებთ
ნურაფერს. მხოლოდ იცქირეთ. მალე მოვა
დრო, როცა შეძლებთ ცაში ცქერას რაღაც
ობიექტის ძებნის გარეშე და მაშინ ეცადეთ
გააკეთოთ იგივე თქვენი შინაგანი ზეცის
მიმართ: „თუ გონებით უჭვრეტ შენსავე
გონებას...“ მაშინ დახუჭეთ თვალები და
ჩაიძირეთ თქვენსავე შინაგანობის მზერაში,
ასევე არაფრის მძებნელი მზერა მიაქციეთ
თქვენსავე სიღრმეში — შემოცურდებიან
აზრები, მაგრამ ისინი თქვენ არ გეხებებიან, ნუ
მაქცივთ მათ ყურადღებას, მარტო
გულგრილად უცქირეთ. თუ ისინი მოდიან,
კარგია; თუ არ მოდიან, ესეც კარგია. და
მაშინ შეძლებთ ინტერვალების დანახვას:
მოდის ერთი აზრი, შემდეგ მეორე და მეორე
ინტერვალი. ასე თანდათანობით დაინახავთ,
რომ აზრები გამჭვირვალენი ხდებიან. ახლა
თუნდაც აზრი მიცურავდეს, თქვენ უკვე
მაინც ინტერვალს უყურებთ. თქვენ უკვე
ღრუბლებს მიღმა იყურებით —
სილაყვარდეში.

რაც უფრო კარგად აითვისებთ ასეთ
ხედვას, მით მეტი აზრები გაქრებიან. ისინი
უკვე მოდიან იშვიათად, იშვიათად.
შუალედები თანდათან გაფართოვდება და
წუთის განმავლობაში არცერთი აზრი არ
მოვა, შიგნით ყველაფერი წყნარი და მშვიდი
გახდება — პირველად თქვენს ცხოვრებაში
თქვენ დაუბრუნდით თქვენს მყუდრო
მთლიანობას.

გაქრა ყველანაირი მღელვარება,
ყველაფერი ირგვლივ ნეტარებაა. და თუ
ასეთი მზერა ბუნებრივი გახდება თქვენთვის
— და იგი გახდება კიდევაც, რადგან ეს
სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, საქიროთა
მხოლოდ განფოკუსირება — მაშინ:

... მაშინ იმსხვრევა განსხვავება, მაშინ არ
არსებობს კარგი და არ არსებობს ცუდი,

არც მახინჯი და არც შშენიერი.

... და მიიღწევა ბუდას ბუნება.

ბუდას ბუნება ნიშნავს უმაღლეს გამოღვიძებას. როცა განსხვავება არ არსებობს, ორმაგობა ქრება, და მიიღწევა ერთიანობა. რჩება „ერთი“. ერთის თქმაც კი შეუძლებელი ხდება, რადგან იგი ორმაგობის ნაწილია. რჩება „ერთი“, მაგრამ შეუძლებელია ერთის თქმა, იმიტომ, რომ როცა ამბობ: „ერთი“, სადღაც სიღრმეში იმავე დროს ამბობ: „ორი“.

ნუ იტყვი, რომ რჩება ერთი, უბრალოდ ეს „ორი“ გაქრა, „ბევრი“ გაქრა. ახლა ეს არის უზარმაზარი ერთიანობა. ყველაფერი უსაზღვროა: ... ერთი ხე შეედნობა მეორეს, მიწა შეედნობა ხეებს, ხეები შეედნობიან ზეცას, ზეცა შეედნობა იმას, რაც მიღმაა... თქვენ შემოიღვრებით ჩემში, მე გადმოვიღვრები თქვენში. ყველაფერი შეედნობა ერთმანეთს. გაქრება განსხვავება. როგორც ტალღა ტალღას, ასე ყველაფერი შეერევა ერთმანეთს. ეს იქნება მოვიბრიჩე, უსაზღვრო ერთიანობა, ცოცხალი, საზღვრების გარეშე, დეფინიციის, განსხვავების გარეშე... ბრძენი შეედნობა ცოდვილს, ცოდვილი — ბრძენს... კარგი გახდება ცუდი, ცუდი იქცევა კარგად... ღამე იქცევა დღედ, დღე იქცევა ღამედ. სიცოცხლე შეერევა სიკვდილს, სიკვდილი შეერევა სიცოცხლეს... ყველაფერი გახდება ერთიანობა, მთლიანობა.

მხოლოდ ასეთ მომენტში მიიღწევა ბუდას ბუნება, როცა არ არსებობს კარგი, არ არსებობს ცუდი, არც ცოდვა, არც კეთილსახიერება, არც სიბნელე, არც ღამე, არც დღე, არავითარი განსხვავება არაფერში.

განსხვავება არსებობს თქვენი გაწაფული მზერის გამო.

განსხვავება ეს არის ნასწავლი რამ; განსხვავება არ არსებობს ბუნებაში. განსხვავება თქვენს მიერ პროექტირდება. განსხვავება თქვენ შემოგაქვთ

სამყაროში

იგი თავისით არ არსებობს აქ. ეს თქვენი თვალების მაცდურობაა, მათი ილუზია. ცაზე მოცურავე ღრუბლებს არ გააჩნიათ არც ფესვები და არც სახლ-კარი.

მათვე ჰგვანან ცნობიერებაში შემოხეტებული აზრები.

ცაზე მოცურავე ღრუბლებს არ გააჩნიათ არც ფესვები და

არც სახლ-კარი...

ამავე ფენომენს წარმოადგენენ თქვენი აზრები და თქვენი შინაგანი ზეცა. თქვენს

აზრებს არ გააჩნიათ არც ფესვები და არც სახლ-კარი. ისინი ისევე დაბოროტდებიან, როგორც ღრუბლები ცაზე. საჭირო არაა მათთან ბრძოლა, ნუ ეწინააღმდეგებით მათ. ნუ ცდილობთ აზრის გაჩერებას აქ.

საჭიროა ყველა თქვენგანზე გარგად გაიგოს ეს, რადგან როდესაც ხდამიანი იწყებს მედიტაციით „~~საჭიროა ყველა~~“ და იგი ცდილობს აზროვნების შეჩერებას და ფიქრის შეჩერებას რომც ცდილობდეთ, ეს პროცესი მაინც არ შეწყდება, რადგან უკვე თვითონ ეს მცდელობა წარმოადგენს აზრს. და როგორ შეიძლება აზრი აზრითვე შეჩერდეს? როგორ უნდა შეჩერდეს გონება, თუკი შექმენით ახალი, სხვა გონება? მაშინ თქვენ მოექიდებით ამ ახალ გონებას და ეს გაგრძელდება უბოლოოდ, ამას დასასრული არ ექნება.

ნუ იბრძობებთ — რადგან ვინ შეებრძობება? ვინ ხართ თქვენ? უბრალო აზრი, ნუ გადაიქცევით არენად, სადაც ერთი აზრი ებრძვის მეორეს. იყავით მხოლოდ მოწმეები. მხოლოდ გააცნობიერეთ როგორ მიცურავენ აზრები. ისინი თავისით შეწყდებიან, თქვენ ვერ განდევნით მათ. როცა უფრო ცნობიერი გახდებით, ისინი თავისით შეწყდებიან და არა თქვენი ძალდატანების გამო. ძალდატანებით ვერ შეაჩერებთ მათ, ისინი ძალზე ჭიუტები არიან. სცადეთ და დაინახავთ, რომ შეუძლებელია ძალით მათი შეკავება.

აზრები ძალიან ჭიუტები და მოუღელღელი არიან. მათ დიდი წინააღმდეგობის გაწევა შეუძლიათ, ისინი ხათხა-იოგებს ჰგვანან. თქვენ გარეკავთ, ისინი ათასჯერ და კიდევ ერთხელ დაბრუნდებიან. თქვენ დაიძლიებით, ისინი კი არ იძლებიან.

ერთხელ ვიღაც კაცი მივიდა ტილოპასთან, მას, როგორც ჩანს, უნდოდა ბუდა გამხდარიყო და ტილოპასთან მივიდა. ტილოპა ტიბეტში რომელიღაც სენაკში ცხოვრობდა; ამ კაცმა უთხრა: „მე მინდოდა აზრები შემეჩერებინა...“ ტილოპამ ურჩია: „ეს ძალიან ძნელია. მე შენ გასწავლი საშუალებას, ტექნიკას: შენ ასე უნდა მოიქცე, უბრალოდ დაჯექი და ნუ იფიქრებ მაიმუნებზე. სულ ეს არის, ეს საკმარისი იქნება...“

ამ კაცმა თქვა: „არ უნდა ვიფიქრო მაიმუნებზე, ეს რა ადვილი რამ ყოფილა? მე არც არასდროს მიფიქრია მათზე“.

ტილოპამ უთხრა: „პოდა ახლაც ნუ იფიქრებ, ხვალ მოდი და გავაგრძელოთ“.

წარმოიდგინეთ რაც მოუვიდა იმ საბრალოს... მისი გონება მაიმუნებით გაივსო, ყველგან მხოლოდ და მხოლოდ

მაიმუნები. ღამე ვერ დაიძინა, თვალებს გაახელდა — მაიმუნები, დახუჭავდა ისევ მაიმუნები. ისინი ექყანებოდნენ, არ ასვენებდნენ. იგი გაკვირვებული იყო: „რატომ მომცა ამ კაცმა ეს ტექნიკა? თუ მაიმუნებშია საქმე, წინათ არასდროს ეს არ მომსვლია...“ იგი მთელი ღამე ებრძოდა მაიმუნებს. დილას იბანავა, მერე წამოაჯდა, გაისეირნა, მაგრამ ამაოდ, მაიმუნები არ ეშვებოდნენ.

სალამოს თითქმის გაგვიყვებული შივიდა ტილოპასთან. მაიმუნებს ძალიან შეეწუხებინათ და უკვე ელაპარაკებოდა მათ. მან უთხრა ტილოპას: „მიხსენით, მე ეს არ მინდოდა, აქამდე ნორმალური ვიყავი, არ მინდა არავითარი მედიტაცია და ზიარება — მხოლოდ მიხსენი მაიმუნებისაგან“.

თუ მაიმუნებზე ფიქრობთ, ისინი შეიძლება არ მოვიდნენ თქვენთან, მაგრამ თუ გინდათ, რომ ისინი არ მოვიდნენ, მაშინ მაიმუნები აუცილებლად აგედევნებიან. მათაც გააჩნიათ თავიანთი ეგო და ასე ადვილად არ დაგტოვებენ. შეიძლება კიდევ გაბრაზდნენ თქვენი მცდელობის გამო და შეგებრძოლებიან, შეგაწუხებენ.

ასევე მოსდის ყველას. ტილოპა, რა თქმა უნდა, ხუმრობდა; ამით მას იმის თქმა უნდოდა, რომ, თუ ცდილობთ აზრის შეჩერებას — ვერ შეაჩერებთ. პირიქით, თვით ეს მცდელობა აძლიერებს მათ და იქცევა აზრებისადმი ყურადღებად. როცა ცდილობთ თავი მოარიდოთ რამეს, ამ დროს დიდ ყურადღებას უთმობთ მას. როდესაც გინდათ არ იფიქროთ რამეზე, თქვენ ხომ უკვე ფიქრობთ მასზე.

გახსოვდეთ ეს, რადგან სხეანაირად თქვენ აღმოჩნდებით იმ კაცის მდგომარეობაში, რომელსაც არ უნდოდა მაიმუნებზე ეფიქრა და ამიტომაც, ისინი სდევნიდნენ მას. გონების ჩაკეტვა სრულიადაც არ არის საჭირო. აზრებს არ გააჩნიათ ფესვები, ისინი უსახლკარო მაწანწალები არიან. ნუ სწუხართ მათზე. საჭიროა მხოლოდ მათზე დაკვირვება. ნუ აქცევთ მათ შინაარსს დიდ ყურადღებას, მხოლოდ უცქირეთ. განფოკუსირებული გულგრილი თვალებით.

თუ აზრები მოდიან, დაე მოვიდნენ. ნუ იგრძნობთ თავს ცუდად, რადგან მსუბუქი აზრიც კი იმაზე, რომ ეს ცუდია, გამოიწვევს შინაგან ბრძოლას. აზრების მოსვლა ნორმალური მდგომარეობაა. ისინი ისევე ბუნებრივნი არიან, როგორც ფოთლები ხეზე. თუ ისინი მოდიან, ეს კარგია; თუ არ მოდიან ესეც კარგია, მშვენიერია. ოღონდ თქვენ მოწმე იყავით. ნუ იქნებით მონაწილე. ნურც აქეთ, ნურც იქით. ნურც მხარს

უჭერთ, ნურც კიცხავთ. იყავით თამაშგარეთ, მხოლოდ ფლეგმატური მოთვალთვალე. ჩაიძირეთ თქვენსავე სიღრმეში და უჭვრიტეთ, უცქირეთ ცქერის ობიექტის გარეშე.

და ხდება ისე, რომ, რაც მეტს აკვირდებით, მით მეტი აზრები ქრებიან, იხსნებიან. როგორც კი ეს უცქირელობა დასრულდება, თქვენს საკუთარ გამოცდილებებში უკვე მონახავთ გასაღებს. და ეს გასაღები გაგხსნით ყველაზე სანუკვარს — ბუდას ბუნებას.

ცაზე მოცურავე ღრუბლებს არ გააჩნიათ არც ფესვები და არც სახლ-კარი; მათვე ჰგვანან გონებაში მოცურავე აზრები. როცა ვჭვრეტთ „მე“-ს ნამდვილ ბუნებას — მაშინ ჰქრება განსხვავება...

როდესაც ხედავთ, როგორ მიცურავენ აზრები, და აცნობიერებთ, რომ თქვენ ეს აზრები არა ხართ, მაშინ შეიცნობთ „მე“-ს ნამდვილ ბუნებას. თქვენთვის ნათელი ხდება თქვენი ცნობიერების ფენომენი და მაშინ ქრება განსხვავება — უკვე არ არსებობს კარგი და არ არსებობს ცუდი; ამის შეცნობასთან ერთად სურვილებიც ქრებიან, რადგან სურვილებს კარგსა და ცუდს შორის არსებული არჩევანი შობს.

თქვენ უკვე ყველაფერს ღებულობთ, თქვენ გახდით ლალნი და ბუნებრივნი. თქვენ უკვე ცურავთ ყოფიერებაში, მის უსივრცობაში, ახლა არსად არ მიდიხართ, რადგან მიზანი არსად არ არის: არ მოძრაობთ არავითარი ობიექტისაკენ, რადგან ახლა არც ობიექტი არსებობს. თქვენ უკვე ყველა მომენტით ტკბებით, იმის მიუხედავად, რას მოიტანს იგი. დაიმახსოვრეთ — ნებისმიერი მომენტით. თქვენ ნეტარებით იმიტომ, რომ ახლა უკვე არ გაქვთ სურვილები, არ გაქვთ იმედები. თქვენ არაფერს არ თხოულობთ და მადლობელი ხართ იმისი, რაც გეძლევათ.

უბრალოდ ჯდომა და სუნთქვა — ე-ნეტარებაა, უბრალოდ აქ ყოფნა — საოცრებაა. არსებობის ყოველი წამი თავისთავად არის საოცრება.

სივრცეში ფერები და ფორმები არსებობენ, მაგრამ არც შავით და არც თეთრით სივრცე არ იღებება. ყველა საგანი გონებისაგან არსებობს, მაგრამ გონება არც კეთილსაზიერებით და არც მანკიერებით არ ლაქავდება. მაშინ თქვენ ხედავთ, რომ სივრცეში

ფერები და ფორმები ფორმირდებიან, ღრუბლები ღებულობენ ათასგვარ ფორმებს; ცაში შეგიძლიათ ვეფხვები და სპილოები დაინახოთ, შეგიძლიათ დაინახოთ რასაც კი მოისურვებთ. ფორმები მოდიან და მიდიან, სივრცე კი არც თეთრით და არც შავით არ იღებება, იგი ხელშეუხებელი და უცვლელი რჩება. დილას იგი ცეცხლოვანია, მზე ცეცხლისფერს ხდის მას, მაგრამ სად მიდის ეს ფერი ღამით? ღამით მთელი ცა შავია, ბნელი და საით გაქრა დილას ეს სიშავე?

ცა შეუღებავი რჩება, ხელშეუხებელი. და ეს არის სანიასინის გზა: დარჩით დაულაქავებელნი, შეუღებავნი, იყავით უცვლელნი რაც არ უნდა მოხდეს.

მოვიდა კარგი აზრი — სანიასინი არ იკვებნის ამას. იგი არ ამბობს: „მე სავსე ვარ კეთილი აზრებით. ყველასადმი სიყვარულით და ყველასადმი ღოცვა-კურთხევით. „იგი არ იკვებნის, რადგან კვებნა ნიშნავს, რომ თქვენ უკვე შეიღებეთ.

იგი არ ამბობს, რომ კეთილია, სათნო. მოდის ბნელი აზრი, და არც ეს აწუხებს მას, რადგან მაშინაც დალაქაუდა. კარგია თუ ცუდი, დღეა თუ ღამე, ყველაფერი მოდის და მიდის, იგი კი არაფერთან არ იგივდება. ის მხოლოდ აცნობიერებს.

იცვლებიან წელიწადის დროები — იგი აცნობიერებს. ახალგაზრდობას ენაცვლება სიბერე — იგი მხოლოდ აკვირდება, აცნობიერებს. იგი არ იგივდება და იღებება არაფრით. სანიასინობის უღრმესი არსი მდგომარეობს ამაში — იყო როგორც ზეცა, როგორც უძირო სილაყვარდე.

როდესაც ფიქრობთ, რომ შეიღებეთ — თქვენ ამას მხოლოდ ფიქრობთ. როდესაც ფიქრობთ, რომ გახდით კარგი ან ცუდი, ცოდვილი ან ბრძენი, ამას მხოლოდ ფიქრობთ, რადგან თქვენი შინაგანი ზეცა არასდროს არ იქცევა ამაღ ან იმაღ. იგი არის უფნა და არასდროს არ იქცევა რამედ.

ყოველი გახდომა რამედ, ეს მხოლოდ გაიგივებაა რომელიმე ფორმასთან, სახელთან, ფერთან. თქვენ უკვე ხართ ის, რაც ხართ — ყოფნა, არსებობა. ამიტომ არ არის საჭირო, კიდევ რამე გახდეთ.

შეხედეთ კას: მოდის გაზაფხული და ჰაერი ივსება ჩიტების სტვენიტ, მერე ყვავილთა არომატით. მერე მოვა შემოდგომა, მერე გაზაფხული, იწყება წვიმები — ყველაფერი უსასრულოა და ცვალებადი.

ყველაფერი ეს ცაში ხდება და ცა კი მარად უცვლელია, შეუღებავი. იგი მუდამ ცალკე რჩება, სიშორეში; ყველგან მყოფი, ძალზე ახლობელი და ძალზე შორეული.

სანიასინი ცას ჰგავს: იგი ცხოვრობს — მოდის სიმწირე და მოდის სიუბვე, მოდის ზაფხული და მოდის ზამთარი, კარგი დღეები და უარესი დღეები, კარგი განწყობილება სიხარული, ექსტაზი, ეიფორია; ცუდი განწყობილება — მწუხარება, მწყდიალი, ტანჯვა — ყველაფერი მოდის და მიდის, ბევრი რამ მოვა და წავა, მნებრები იგი არ იგივდება არაფერთან. ~~მწუხარება~~

არგაიგივება არის სანიასა და სანიასა ეს არის უდიდესი ყვავილობა, რაც კი შესაძლებელია, უდიადესი აყვავილება.

სივრცეში ჩნდებიან ფორმები და ფერები, მაგრამ არც თეთრით და არც შავით

სივრცე

არ იღებება.

ყველა საგანი გონებისაგან არსებობს,

მაგრამ

გონება არც კეთილსახიერებით და არც

მანკიერებით

არ ლაქაუდება.

როდესაც ბუდამ მიადწია უდიადეს ნათელდებას, გასხივოსნებას, მას ჰკითხეს: „რას მიადწიე?“ მან გაიცინა და უპასუხა: „არაფერს — რადგან ის, რასაც მივადწიე უკვე თავიდანვე იყო ჩემში, ეს ჩემი ნამდვილი ბუნებაა, მაგრამ მე ვერ ვაცნობიერებდი მას. განძი ყოველთვის იყო ჩემში, მაგრამ მე იგი დავივიწყე“.

თქვენ დაგავიწყდათ და მხოლოდ ეს არის თქვენი უბედობა. თქვენს ნამდვილ ბუნებას და ბუდას ბუნებას შორის არ არსებობს არავითარი განსხვავება. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ თქვენ დაგავიწყდათ ვინც ხართ, მას კი ახსოვს — ვინც არის. თქვენ ისეთივე ხართ როგორც ის, მხოლოდ მას ახსოვს და თქვენ არა. იგი ფხიზლობს, თქვენ კი ღრმა ძილში იმყოფებით. თქვენი ბუნება კი ერთნაირია. ტილობა გაძლევთ ტექნიკას და დაიბრუნეთ თქვენი ბუნება ამ ტექნიკით. იცხოვრეთ ამ ქვეყნად ისე, თითქოს ცა იყოს, დაე, ეს იქცეს თქვენი ცხოვრების სტილად.

თუ ვინმე განაწყენდა თქვენზე და შეურაცხყოფას გაყენებთ — გააცნობიერეთ; თუ სიბრაზემ იფეთქა თქვენში — გააცნობიერეთ. იყავით მთის წვერზე მდგომი მოთვალთვალე და უყურეთ, უყურეთ... და ამ თვალთვალში მყოფნი არაფერზე ფოკუსირებულნი, არაფრით გაწამებულნი, როცა თქვენი აღქმა გახდება ნათელი, უეცრად, სინამდვილეში გაუგებარი მიზეზით, თქვენ უცბად გამოიღვიძებთ: თქვენ ბუდა ხართ, თქვენ გახდით ნათელღებული, ღმერთთან ზიარებული. თქვენ გაიღვიძეთ.

რას მიიღებს ბუდა აქედან? იგი არაფერს არ მიიღებს, ბირიქით იგი

დაკარგავს ბევრ რამეს: ტანჯვას, ტკივილებს, მღელვარებას, წუხილს, ეჭვიანობას, სიძულვილს, პატივმოყვარეობას, მესაკუთრეობას, ძალადობას იგი კარგავს ყოველივე ამას. რაც შეეხება შექმნას, იგი არაფერს არ შეიძენს. იგი შეიძენს იმას, რაც ყოველთვის იყო მასში — მას ახსოვს.

III

სინათლისა და სიბნელის ბუნება

სიმღერის გაგრძელება:

საუკუნეთა სიბნელე ვერ დაბინდივს
მოკაშკაშე მზეს;
სანსარის¹ გრძელი კალპები² გონების
ნათელ შუქს ვერ დააღამებენ.

თუმცა სიტყვებით ეცდილობთ სიცარიელის განსაზღვრას, სიცარიელეს, როგორც ასეთს ვერ გამოვხატავთ. თუმცა ვამბობთ: „გონი — ეს არის შინარე ნათელი“. სინამდვილეში იგი ყოველგვარ სიტყვებზე და სიმბოლოებზე მალაა. თუმცა გონი ეს არსებითად სიცარიელეა, იგი იჭერს და შეიცავს თავის თავში ყველაფერს. მოდით პირველად ჩავუღრმავდეთ სიბნელის ბუნებას. ეს ერთ-ერთი უიდუმალესი რამეა ყოფიერებაში, იგი ჩვენს ცხოვრებაშიც არსებობს და შეუძლებელია არ ვიფიქროთ მასზე, აუცილებელია გავიგოთ მისი ბუნება, რადგან ასეთივე ბუნება გააჩნია ძილს, ასეთივე ბუნებისაა სიკვდილი და ასეთივე ბუნებისაა უშეცრება.

პირველი, რაც ცხადი გახდება თქვენთვის, თუკი ჩაუღრმავდებით სიბნელის ბუნებას, იქნება ის, რომ სიბნელე არ არსებობს; იგი არის, მაგრამ ეს უარსებო არსებობაა. სიბნელე მეტად საოცარია და იდუმალი ვიდრე სინათლე — მას არ გააჩნია არსებობა, პირიქით, სიბნელე მხოლოდ სინათლის არყოფნაა. როცა არის სინათლე, არ არის სიბნელე, თუ არ არის სინათლე, არის სიბნელე. სიბნელე რაიმეს ყოფნა კი არ არის, იგი სინათლის არყოფნაა. აი, რატომ ხდება, რომ სინათლე მოდის და მიდის, სიბნელე კი რჩება; იგი არ არის, მაგრამ ინახება. თქვენ შეგიძლიათ შექმნათ

სინათლე, თქვენ შეგიძლიათ მოსპოთ სინათლე, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ შექმნათ სიბნელე და არ შეგიძლიათ გაანადგუროთ სიბნელე. იგი მუდამ აქ არის არსებობის გარეშე.

მეორე, რაც ნათელი ხდება თქვენთვის ამაში ჩაღრმავებისას, არის ის, რომ, რამდენადაც სიბნელე არ არსებობს, იმდენად თქვენ არ შეგიძლიათ მიუდგეთ მას და თუკი ეცდებით მასზე მუშაობას, ნუგატურად იქნება ეს თუ პოზიტურად, ბუნებრივად დამარცხდებით, რადგან როგორ შეიძლება დამარცხოთ ის, რაც არ არსებობს? თქვენ დამარცხდებით და მერე იფიქრებთ: „იგი დაუძლეველია, მან დამამარცხა. სისულელეა, სიბნელეს არ გააჩნია ძალაუფლება. როგორ შეიძლება გააჩნდეს ძალა იმას, რაც არ არსებობს? თქვენ დაგამარცხათ არა სიბნელემ, არამედ საკუთარმა უგუნურობამ. პირველ რიგში სისულელეა უკვე ის, რომ თქვენ ბრძოლა დაიწყეთ. როგორ გინდათ ებრძოლოთ იმას, რაც არ არსებობს?“

დაიძახსოვრეთ, თქვენ ებრძვით ბევრ ისეთ რამეს, რაც არ არსებობს, ისინი სინათლეს ჰგვანან.

მთელი მორალი — ეს არის ბრძოლა სიბნელის წინააღმდეგ; აი რატომ არის იგი სისულელე. მორალი მთლიანად, ყოველგვარი გამოწვევის გარეშე არის ბრძოლა სიბნელესთან, ბრძოლა რაღაცასთან, რაც სინამდვილეში არ არსებობს. სიძულვილი არარეალურია — ეს არის სიყვარულის არყოფნა. არარეალურია წყრომა — იგი სიყვარულის არყოფნაა. არარეალურია უშეცრება — ეს არის მხოლოდ ბუდას ბუნებასთან უზიარებლობა.

არარეალურია სექსი — იგი არის ბრაჰმ-ჩაჩარის არყოფნა. მთელი მორალი კი იმის წინააღმდეგ ბრძოლაა, რაც არ არსებობს. მორალისტი ვერასდროს ვერ გახდება ვერაფერს, ეს შეუძლებელია. ამაოა ყველა მისი მცდელობა, რადგან საბოლოოდ იგი აუცილებლად დამარცხდება. მორალსა და რელიგიას მორის განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: მორალი ებრძვის სიბნელეს, რელიგია კი ცდილობს აანთოს ჩვენს სიღრმეში დამალული სინათლე. მას არ ახადვლებს სიბნელე, იგი მხოლოდ იმას ცდილობს, რომ აანთოს შიგნით არსებული სინათლე.

როცა არის სინათლე, სიბნელე ქრება; როცა გაჩნდება სინათლე, უკვე რალას ვრჩი სიბნელეს, იგი გაქრა, იგი უკვე არ არის.

მეორე: შეუძლებელია სიბნელესთან უშუალოდ რამე გააწყობთ, თუ გინდათ რამე მოუხერხოთ სიბნელეს, მოგიხდებათ,

1. სანსარა — ილუზორული გრძობადი სამყარო, ცხოვრება, წუთისოფელი.

2. კალბა — ინდური რელიგიების მიხედვით სამყარო, დიდ დროით პერიოდებში ციკლურად აღმოცენდება და ინგრევა. ამ ორ მოვლენას შორის არსებულ უზარმაზარ დროს ერთი ციკლი ანუ კალბა ეწოდება.

როგორმე მიუდგეთ სინათლეს და არა სიბნელეს. ჩააქრეთ შუქი და სიბნელე გაჩნდება, მაგრამ შეუძლებელია ჩართოთ სიბნელე და გამოართოთ სიბნელე, შეუძლებელია საიდანმე მოიყვანოთ იგი და შეუძლებელია საიდანმე გააძევოთ. ასე რომ, თუ გინდათ რაიმე გააწყოთ სიბნელესთან, თქვენ მოგიხდებათ სინათლით დაწყება, მოგიხდებათ მოქმედება არა პირდაპირ, არა უშუალოდ.

ნუ ებრძვით იმას, რაც არ არსებობს. თქვენს გონებას ყოველთვის სურს რომ იბრძოლოს, მაგრამ ეს საშიში ცდუნებაა. თქვენ დახარჯავთ ენერჯიას, სიცოცხლეს და თქვენსავე თავს. ნუ მისცემთ გონებას იმის ნებას, რომ შეგაცდინოთ. საჭიროა თავიდანვე გაიგოთ, არსებობს თუ არა სინამდვილეში ის, რასაც ებრძვით; თუ იგი უბრალოდ არ არის, თუ იგი არ არსებობს, მაშინ ნუ ებრძვით მას და ეცადეთ მონახოთ ის, რის არყოფნასაც იგი წარმოადგენს. მაშინ თქვენ სწორ გზაზე იქნებით.

შესამე სიბნელე ათასგვარი სხვადასხვა ფორმებით შემობლარდენია თქვენს არსებობას. როდესაც ბრაზობთ, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენში ჩაქრა სინათლე. სინამდვილეში ბრაზობთ იმიტომ, რომ ჩაქრა სინათლე და დაისადგურა სიბნელეში. თქვენ მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ განრისხება, როცა არ აცნობიერებთ, რატომ შეუძლებელია ცნობიერ მდგომარეობაში განრისხდეთ. სცადეთ და ეს ცხადი გახდება თქვენთვის. თუ აცნობიერებთ, შეუძლებელია განრისხდეთ და, როცა ვერ აცნობიერებთ, მხოლოდ მაშინ შეიძლება იფეთქოს სიბრაზემ. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ცნობიერების ბუნება სინათლეს შეესაბამება და სიბრაზის ბუნება კი ჰგავს სიბნელეს. შეუძლებელია ორივეს ერთდროული არსებობა. თუ არის სინათლე, არ არის სიბნელე. თუ აცნობიერებთ, შეუძლებელია ბრაზობდეთ.

ჩემთან ყოველდღე მოდიან და მეკითხებიან: „როგორ დავიოკოთ სიბრაზე?“ ისინი არასწორ კითხვას სვამენ და, როცა კითხვა არასწორადაა დასმული, ძნელია სწორი პასუხი გასცე. საჭიროა კითხვის სწორად დასმა.

ნუ კითხულობთ, როგორ გავფანტოთ სიბნელე, ნუ კითხულობთ, როგორ უნდა მოვიშოროთ წუხილები, ტანჯვა, დარდები; უბრალოდ, გააანალიზეთ თქვენი გონება და პირველ რიგში გაიგეთ, რატომ არსებობს ყველა ეს პრობლემა. პრობლემები კი იმიტომ არსებობს, რომ არასაკმარის დ ცნობიერნი ხართ და ამიტომ უნდა დასვათ სწორი

კითხვა და ეს კითხვა იქნება: როგორ გავხდეთ უფრო ცნობიერნი? თუ კითხულობთ — როგორ არ უნდა გავბრაზდე? მაშინ გახდებით რომელიმე მორალისტის მსხვერპლი. მაგრამ თუ კითხულობთ, როგორ უნდა გახდეთ უფრო მეტად ცნობიერნი, რათა გაქრეს ბრაზი, სიძუნწე, დარდი, მაშინ თქვენ მართალ გზაზე დგახართ და შეგიძლიათ რელიგიის გულწრფელი მაძიებელი გახდეთ.

მორალი — ყალბი მონეტაა. იგი ატყუებს ადამიანებს. იგი სრულიადაც არ არის რელიგია. რელიგიას არაფერი საერთო არა აქვს მორალთან, რადგან მას არავითარი საერთო არა აქვს სიბნელესთან. რელიგია არის თქვენი გაღვიძების პოზიტიური მცდელობა. მას საქმე არა აქვს თქვენს ხასიათთან; ის, რასაც თქვენ აკეთებთ და ჩადიხართ — უაზრობაა და თქვენ არ შეგიძლიათ შეცვალოთ იგი. თქვენ შეგიძლიათ შეალამაზოთ, მაგრამ ვერ შეცვლით მას.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი ტრანსფორმაცია, მხოლოდ ერთი რევოლუცია და ეს რევოლუცია მოხდება არა იმიტომ, რომ შეუდგებით თქვენი ხასიათის, თქვენი საქციელის და მოღვაწეობის რეფორმირებას, არამედ იმიტომ, რომ დაუბრუნდებით თქვენს არსებას, არსს. არსება პოზიტიური მოვლენაა. როდესაც არსება გამართულია, გამოღვიძებული, ცნობიერი, მაშინ უცბად გაიფანტება სიბნელე — თქვენი არსების ბუნება არის სინათლე.

მეოთხე — ახლა შეიძლება გავარჩიოთ სუტრა — ძილი სიბნელეს ჰგავს. შემთხვევითი როდია, რომ გიქირთ სინათლეში დაძინება. ეს სრულიად ბუნებრივია. სიბნელე ძილის მსგავსია. ამიტომ არის, რომ ღამით ადვილია დაძინება. სიბნელე ირგვლივ ისეთ სუფევას ქმნის, რომ დაძინება ადვილი ხდება.

რა ხდება ძილის დროს? ცნობიერება თანდათან ქრება. დგება შუალედური პერიოდი, როდესაც უყურებთ სიზმრებს. სიზმარი არის ნახევრად ცნობიერი და ნახევრად არაცნობიერი მდგომარეობა. თქვენ სწორედ შუაში ხართ და მიდიხართ სრული არაცნობიერი მდგომარეობისაკენ.

სრული სიფხიზლის მდგომარეობიდან მიეშურებით სრული არაცნობიერი მდგომარეობისაკენ და მიეშურებით სიზმრების გავლით. სიზმრები ნიშნავს, რომ ნახევრად მღვიძარე და ნახევრად მძინარე (ძილდვიძილის) მდგომარეობაში იმყოფებით. აი, რატომ ხდება, რომ თუ მთელი ღამე

სიზმრებს ხედავდით, დილას დაღლილი იღვიძებთ. მაგრამ თუ სიზმრები სრულიად არ გქონდათ, მაშინაც დაღლილი იქნებით, რადგან სიზმრებს განსაზღვრული დანიშნულება გააჩნიათ.

სიფხიზლეში ძალიან იმუხტებით: აზრები, გრძნობები, დაუმთავრებელი საქმეები, ყველაფერი ეს გონებაში რჩება: აი ქუჩაში ლამაზ ქალს უყურებთ, და უცბად თქვენში სურვილი აღიძვრება. მაგრამ თქვენ ხომ ჭენტლმენი ხართ, დახვეწილი მანერებით, კულტურული. ამიტომ იშორებთ, აგდებთ ამ სურვილს და აგრძელებთ თქვენს საქმეს. დაუკმაყოფილებელი სურვილი კი აგდევნებათ, იგი უნდა დაკმაყოფილდეს, სხვანაირად ღრმად ვერ დაიძინებთ. იგი დაგაბრუნებთ უკან, იგი გეტყვიან: „შტერო, ადექი, ის ქალი მართლაც რომ მშვენიერი იყო. იგი არომატს აფრქვევდა. შენ კი შტერი ხარ, რას უზიხარ აქ, ეძებე, ნუ კარგავ მანსს“. თქვენს ირგვლივ მოზორიადე აზრები არ მოგცემენ დაძინების საშუალებას. გონება მოქსოვს სიზმარს და თქვენ კვლავ ქუჩაში ხართ ლამაზ ქალთან, მაგრამ ამჯერად უკვე მარტო, ირგვლივ უკვე არ არის საზოგადოება. უკვე საჭირო არ არის მანერები და ეტიკეტები, უკვე ცხოველივით იტყვიან, არავითარი მორალი. ეს უკვე თქვენი საკუთარი სამყაროა, მასში პოლიციელი ვერ შემოაღწევს. მას ვერ განსჯის ვერავითარი მსაჯული. თქვენ მარტო ხართ, მოწმეთა გარეშე. ახლა შეგიძლიათ მისცეთ თქვენს სურვილებს თავისუფლება და თქვენ ხედავთ სექსუალურ სიზმარს. ამ სიზმარში მოხდება თქვენი ვნებების რეალიზაცია და მერე უკვე დაიძინებთ. მაგრამ გაუთავებელ სიზმრებსაც დაძლიედი ზეგავლენა გააჩნიათ.

აშშ-ში არსებობს სიზმრის შემსწავლელი მრავალი ლაბორატორია და იქ შემდეგი რამე აღმოაჩინეს; თუ ადამიანს სამი კვირის განმავლობაში არ მისცემთ სიზმრის ნახვის საშუალებას, იგი გაგიჟდება, გადაცდება ჭკუას. შესაძლებელია ადამიანის გაღვიძება, როცა იგი იწყებს სიზმრის ნახვას. არსებობს ნიშნები, რომლებიც აჩვენებენ, რომ ადამიანი სიზმარშია, სიზმრის ნახვის მომენტში მძინარე ადამიანის წამწამები ირხევიან, კრთიან, რადგან ამ დროს მუშაობას იწყებენ თვალები. გააღვიძეთ იგი ამ დროს სამი კვირის განმავლობაში და მას ჭკუას გადააცდენთ.

ასე რომ, ძილი ნაკლებ აუცილებელი ყოფილა სიზმრებზე. უძილობა დღის ადამიანს, მაგრამ იგი არ აგიჟებს. უსიზმრობას კი შეუძლია მისი გაგიჟება. რას

ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ სიზმრები აუცილებელია თქვენთვის, რადგან იმდენად ილუზორული ხართ, მთელი თქვენი არსებობა იმდენად ილუზორულია — რასაც ინდუსები მაიას უწოდებენ — რომ სიზმრები აუცილებელი ხდება.

სიზმრების გარეშე შეუძლებელია თქვენი არსებობა. სიზმარი თქვენი საკვებია, თქვენი ძალა და უსიზმროდ ჭკუაზე შეიშლებით. სიზმრები სიგიჟის გამომტაცებლებას წარმოადგენენ და მხოლოდ ამის შესაძლებლობა გათავისუფლდით სიგიჟისაგან, შეგიძლიათ დაიძინოთ.

მღვიძარე მდგომარეობიდან გადადის ხართ სიზმრებში და სიზმრებიდან კი უსიზმრო ძილში. ყოველდღიურ ნორმალური ადამიანი გაივლის სიზმრების რვა ციკლს, ყოველ ორ სიზმრიან ციკლს შორის ღრმა უსიზმრო ძილი ხდება. ცნობიერება წყდება მთლიანად და ისადგურებს სრული სიბნელე. მაგრამ თქვენ მაინც ახლოს რჩებით საზღვართან. ყოველგვარ ხმაურს შეუძლია თქვენი გაღვიძება. თუ სახლს ცეცხლი მოედო, მოგიხდებათ სასწრაფოდ გამოღვიძება. თუ დედა ხართ და შეიღმა ტირილი მოართო, ასევე სწრაფად გაგიღვიძებთ — თქვენ მუდამ იმყოფებით საზღვარზე.

ხოლო სიკვდილი, როდესაც იგი მოდის, ზუსტად ცენტრში ურტყამს. ძილი და სიკვდილი ერთმანეთს ჰგვანან, ხარისხი ერთი და იგივეა. ძილში ყოველდღიურ ინტექტებით სრულ არაცნობიერ მდგომარეობაში, რაც ბუდას მდგომარეობის აბსოლუტურად საპირისპირო მდგომარეობაა. ბუდა ნიშნავს სრულ გამოღვიძებას, თქვენ კი ყოველდღიურ ვარდებით თქვენი არსებობის არაცნობიერ უკუნიშნით.

გიტაში¹ კრიშნა ეუბნება არჯუნას, რომ მაშინ, როცა ყველას ღრმად სძინავს, იოგი აგრძელებს დეიძილს, სიფხიზლეს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი არასდროს იძინებს; რა თქმა უნდა, იოგიც იძინებს, მაგრამ სძინავს მხოლოდ მის სხეულს. მისი სხეული ისვენებს, მას სძინავს უსიზმროდ, რადგან სურვილები არ გააჩნია და ამიტომ არც განუხორციელებელი ვნებები აწუხებს. მისი ძილი არ ჰგავს თქვენსას, ძილის უღრმეს მდგომარეობაშიც კი მისი ცნობიერება ნათელია, მისი ცნობიერება სანთელივით ანათებს.

ყოველდღიურ ძილში თქვენ იძირებით ღრმა არაცნობიერ მდგომარეობაში — კ ო მ შ ი. სიკვდილისას კი თქვენ ვარდებით კიდევ უფრო ღრმა კომში. ერთიც და მეორეც ჰგვა-

1. ბჰაგავატგიტა.

ნან სიბნელეს, ამიტომ გეშინიათ სიბნელის — იგი სიკვდილს ჰგავს. არიან ადამიანები, რომელთაც ძილისაც კი ეშინიათ, რადგან ძილიც სიკვდილის მსგავსი მოვლენაა.

მე შევხვედრავარ მრავალ ადამიანს, რომელთაც, თუმცა სურთ, მაგრამ არ შეუძლიათ დაიძინონ. როცა ვცადე მიზეზის გაგება, აღმოჩნდა, რომ მიზეზს შიში წარმოადგენს. ისინი ამბობდნენ, რომ დაილაღნენ და ძილი უნდათ, მაგრამ სულის სიღრმეში ეშინიათ და ეს იყო წინააღმდეგობა. უძილობის 90% გამოწვეულია შიშით, თქვენ გეშინიათ, თუკი სიბნელის გეშინიათ, მაშინ აუცილებლად დაძინებისაც გეშინიათ და ეს შიში გამოწვეულია სიკვდილის შიშისაგან.

როგორც კი დაინახავთ, რომ ყველაფერი ეს სიბნელეა და თქვენი შინაგანი არსება კი არის სინათლე, ყველაფერი თანდათან შეიცვლება: თქვენი არსებობიდან გაქრება ძილი და დაგრჩებათ მხოლოდ მისი ქეშმარიტი დანიშნულება — დასვენება. მაშინ არ არსებობს სიკვდილიც — არსებობს მხოლოდ გარდაცვალება, იცვლით ტანსაცმელს, იცვლით სხეულებს, გარეგნულ ხლართებს. შიგნით უცვლელნი და მარადიულნი ხართ. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა გააცნობიერებთ თქვენს შინაგან ნათელს, თქვენს ბუნებას, თქვენს საკუთარ არსებას.

ახლა დაეუბრუნდეთ სუტრას:

საუკუნეთა სიბნელე ვერ დაბინდავს მოკაშკაშე მზეს:

სანსარის გრძელი კალბები გონების ნათელ შუქს ვერ დაბინდავენ. მათ, ვინც გაიღვიძეს, შეიცნეს, დაინახეს ეს... საუკუნეთა სიბნელე ვერ ჩააქრობს მოკაშკაშე მზეს. არა უშავს, თუ მილიონი სიცოცხლეები სიბნელეში იბორიალეთ. ეს უსასრულო, ხანგრძლივი სიბნელეა, მაგრამ იგი ვერ ჩააქრობს თქვენს შინაგან ნათელს, რადგან სიბნელეს არ შეუძლია აგრესიული იყოს, როგორ შეუძლია აგრესიულობა იმას, რაც არ არსებობს? შეუძლებელია სიბნელემ გაანადგუროს სინათლე. ეს შეუძლებელია!

თუნდაც ძალზე სუსტი იყოს სინათლე, თუნდაც ძლივსდა ბჟუტავდეს, მას ვერ ჩააქრობს სიბნელე. სიბნელე ვერ დაესხმის თავს იოგს. სიბნელეს არ შეუძლია უმტროს მას, როგორ შეუძლია ალის ჩაქრობა სიბნელეს? ეს არასდროს არ მომხდარა და არ შეიძლება მოხდეს. ეს შეუძლებელია!

მაგრამ ადამიანები ისევ ამას ფიქრობენ, ისინი კვლავ შიშში არიან, მათ ჰგონიათ, რომ არსებობს წინააღმდეგობა, მოწინააღმდეგე სიბნელე. ისინი თვლიან, რომ სიბნელე

ეურჩება სინათლეს. ეს კი აბსურდია. როგორ შეიძლება რაღაცა, არყოფნა ეწინააღმდეგებოდეს, ებრძოდეს იმას, რის არყოფნასაც იგი წარმოადგენს? სიბნელეს არ შეუძლია წინააღმდეგეს სინათლეს — მათ შორის არც ბრძობა ჭიდილი, ბრძოლა. სიბნელე მხოლოდ არყოფნაა, სრული უძლიერება და როგორ შეუძლია მას თავდასხმა?

თქვენ ამბობთ: „მე არაფერი შემიძლო. მე შემოშიტი სიბრაზემ“ — ეს შეუძლებელია — „მე შემოშიტია სიბრაზემ“ — ესეც შეუძლებელია. არ შეიძლება შემოგიტიოთ სიძუნწემ და შეუძლებელია შემოგიტიოთ სიბრაზემ. მათ ორივეს სიბნელის ბუნება გააჩნიათ და თქვენი არსება კი არის სინათლე, ეს გამორიცხავს თავდასხმის შესაძლებლობას.

მოცის სიბრაზე, ეს ნიშნავს, რომ თქვენ დაივიწყეთ თქვენი შინაგანი სინათლე. თქვენ არ გახსოვთ, რომ იგი აქ არის, ამ დავიწყებამ შეიძლება დაფაროს იგი და არა სიბნელემ.

ნამდვილ „სიბნელეს“ წარმოადგენს მხოლოდ თქვენი გულმაგიწყოება და ამ უმახსოვრობის გამო მოდის წყრომა, სიძუნწე, ავბორცობა, შური, თვითონ ისინი კი თავისთავად არ მოდიან შეტევაზე. დაიმახსოვრეთ, თვითონ თქვენ მოიწვიეთ და მათაც არ დააგვიანეს. მათ არ შეუძლიათ თავდასხმა. ისინი მოიწვიეს და სტუმრებიც მოვიდნენ. იქნებ არ გახსოვთ, რომ მოიწვიეთ, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ამის დავიწყება, იმიტომ, რომ თქვენ საკუთარი არსებაც დაივიწყეთ, თქვენ ყველაფერი დაივიწყეთ.

დავიწყება — აი ნამდვილი სიბნელე.

დავიწყების მდგომარეობაში შეიძლება მოხდეს უამრავი რამე: თქვენ ჰგავხართ მთვრალებს, გაითიშეთ, თქვენ არ გახსოვთ ვინ ხართ და რა ხართ, სად მიდიხართ და რატომ. არეულია მიმართულებები, დაკარგულია მიმართულებების შეგრძნება. აი, რატომ არის, რომ ყველა დიდი რელიგიური მოძღვრება ითხოვს „გახსოვდეთ თქვენი თავი“. დავიწყება არის ავადმყოფობა და მის საწინააღმდეგოდ თავი უნდა გახსოვდეთ.

ვცადეთ გაიხსენოთ საკუთარი არსება. მაგრამ ამაზე თქვენ ასე იტყვიან: „თქვენ რას ლაპარაკობთ, მე გახსოვს ჩემი თავი და ძალიან კარგად ვიცნობ მას“. აბა ასეთი რამე სცადეთ: დაიკავეთ საათი, უყურეთ მის წამზომ ისარს და მხოლოდ ერთი რამე გახსოვდეთ: „მე ვუყურებ წამზომს, რომელიც ითვლის წამებს“. თქვენ ვერ შეძლებთ ამის დამახსოვრებას საში წამის განმავლობაშიც კი. თქვენ ვერ შეძლებთ

ასეთი მარტივი რაშის დამახსოვრებას: „მე ვუყურებ და დავიმახსოვრებ, რომ მე ვუყურებ“.

თქვენ დაგაეწიყდებით, რადგან უამრავი სხვადასხვა აზრი მოვა გონებაში. თქვენ პაემანი გაქვთ და საათის ცქერისას ასოციაციით გაგახსენდებათ ხუთ საათზე მეგობარს უნდა შეხვდეთ. აზრი მოგივით უეცრად და დაგაეწიყებთ, რომ საათს უყურებთ. საათმა იქნებ შევიცარია გაგახსენოთ, რადგან იგი შევიცარულია ან იქნებ გაიფიქროთ: „რა შტერი ვარ, რას ვუდგავარ და რას ვკარგავ დროს“. ბევრ რამეს გაიფიქრებთ, მაგრამ სამი წამის განმავლობაშიც არ გეხსოვებათ, რომ საათის წამზომს უყურებთ.

თუკი შეგიძლიათ ერთი წუთის განმავლობაში გახსოვდეთ თავი, მე პირობას გაძლევთ, რომ ბუდად გაქცევთ: ეს ერთი წუთი საკმარისი იქნება, საკმარისია ეს სამოცი წამი.

ახლა გაიფიქრებთ: „რა ადვილია, არ შეგონა ასე“. ნუ გგონიათ ასე. თქვენ არ იცით, რა ღრმა რამ არის დაეწიყება. თქვენ ვერ შეძლებთ ამაზე ფიქრს ერთი წუთის განმავლობაში ისე, რომ სხვა აზრი არ მოგივიდეთ და თავი არ დაგაეწიყოთ.

ეს არის ნამდვილი სიბნელე.

როცა გახსოვთ, თქვენ ხდებით სინათლე.

როცა იფიქრებთ, მოგიცავთ უკუნი

სიბნელე.

და როცა ბნელში ხართ, ათასი ჭურის ქურდები და მძარცველები გესხმიან თავს, ათასი ჭურის უბედურება ახლავს თან სიბნელეს. გახსოვდეს შენი თავი! ეს არის გასაღები, ეცადეთ გაიხსენოთ იგი, რადგან, რაც მეტს იხსენებთ, მით მეტად კონცენტრირებულნი ხდებით. თქვენი მოხეტიალე გონება უბრუნდება თავის თავს.

სხვა შემთხვევაში სადღაც განიზიდებით: გონება მუდმივად აღძრავს ახალ-ახალ სურვილებს და თქვენც მისდევთ თქვენს გონებას ერთდროულად ბევრი მიმართულებით. აი, რატომ ხართ ასე გახლეჩილ-დანაწევრებულნი, ამიტომ არ ხართ ერთიანი. თქვენი შინაგანი ალი ისე ცახცახებს, როგორც ფოთოლი ქარში. როდესაც შინაგანი ალი შეწყვეტს მერყეობას, თქვენში მოხდება ტრანსფორმაცია და გაჩნდება ახალი არსება და ეს უკვე იქნება ნათელი გონების არსება.

ახლა, მოცემულ მომენტში ბნელის ბუნებას მიეკუთვნებით, თქვენ ახლა იმის არყოფნა ხართ, რისი ყოფნაც შესაძლებელია. სინამდვილეში თქვენ ჯერაც არ დაბადებულხართ, თქვენ გაიარეთ მრავალი დაბადება და სიკვდილი, მაგრამ

სინამდვილეში ჯერაც არ შობილხართ. თქვენი ქეშმარიტი დაბადება ჯერაც არ მომხდარა და იგი მოხდება თქვენი შინაგანი ტრანსფორმაციის გზით — დაეწიყების მდგომარეობიდან მუდმივი ხსოვნისაკენ. მე არ გაძლევთ არავითარ წესებს, არ გეუბნებით გააკეთეთ ეს და არ გააკეთოთ ის. ჩემი დისციპლინა ძალიან ადვილია, იგი მდგომარეობს შემდეგში: აკეთეთ რაც გინდათ, მაგრამ ამავე დროს გახსოვდეთ თქვენი თავი, გახსოვდეთ, რომ ამაში თქვენ აკეთებთ. სეირნობისას გახსოვდეთ, რომ სეირნობთ. ნუ ჩამოეკიდებით თვითონ სიტყვას. როცა ფოკუსირდებით სიტყვაზე, კარგავთ მის მნიშვნელობას. სიარულისას ნუ მოპყვებით გამეორებას „მე ვსეირნობ“, „მე ვსეირნობ“. ეს თქვენი „მე ვსეირნობ“ იქცევა დაეწიყებად და თქვენ დაგაეწიყდებით.

მხოლოდ გახსოვდეთ! არ არის აუცილებელი ამის სიტყვაში ჩადება. მე ჩავდევნი ეს სიტყვაში, რადგან მე ვლაპარაკობ თქვენთან, სეირნობისას კი უბრალოდ, გახსოვდეთ ეს და საჭიროა ყოველი ნაბიჯის გაცნობიერება.

— როდესაც ჭამთ — ჭამეთ. მე არ გეუბნებით, რა უნდა ჭამოთ და რა არა, ჭამეთ რაც გინდათ, მხოლოდ ჭამისას გახსოვდეთ, რომ ჭამთ და მალე დაინახავთ, რომ ბევრი რაშის გაკეთება უკვე ძველებურად არ შეგიძლიათ.

თავი თუ გახსოვთ, შეუძლებელია ხორცის ჭამა, თავი თუ გახსოვთ, შეუძლებელია მიეცეთ გაშმაგებას, თუ გახსოვთ, შეუძლებელია ვინმეს ზიანის მიყენება. რადგან, როდესაც გახსოვთ, უცბად დაინახავთ, რომ ასეთივე შუქი ანათებს ყოველ სხეულში, ყოველ ნაწილაკში, ყველგან.

რაც უფრო კარგად იცნობთ თქვენს საკუთარ ბუნებას, მით უფრო ღრმად შედიხართ სხვაშიც. როგორ შეიძლება მოკლათ იმის გამო, რომ ჭამოთ? თქვენ ვერაფერს ვერ მოკლავთ, ეს შეუძლებელი გახდება. მაგრამ ნუ ივარჯიშებთ ამაში, რადგან ვარჯიში ხელოვნურია. თუ „არ იქურდოს“ ვარჯიშობთ, ეს ყალბი მცდელობა გამოვა. თქვენ ქურდადვე დარჩებით, ამისათვის მონახავთ სხვა გაფაქიზებულ ფორმებს.

თუ ძალდაუტანლობას ვარჯიშობთ, სულერთია, თქვენი ძალდაუტანლობის უკან მაინც იარსებებს დამალული მცდელობა.

შეუძლებელია ვარჯიში რელიგიაში. შესაძლებელია ივარჯიშოთ მორალში და ამიტომ შობს იგი ფარისევლობას, პირფერობას — ფარისევლებსა და

პირფერებს. რელიგია შობს ჭეშმარიტ არსებებს და შეუძლებელია ვარჯიში ჭეშმარიტებაში, როგორ შეიძლება ივარჯიშოთ არსებობაში?

თქვენ უბრალოდ ხდებით მეტად ცნობიერი და ყველაფერი იცვლება თქვენს ირგვლივ. თქვენ უფრო და უფრო უახლოვდებით თქვენს ნამდვილ ბუნებას — სინათლეს და შესაბამისად იფანტება სიბნელეც.

საუკუნეთა სიბნელეს არ შეუძლია დაბინდოს მოკამკაშე მზე... მილიონი ცხოვრებების განმავლობაში, საუკუნეების განმავლობაში სიბნელეში იბორიბლეთ, მაგრამ ნუ დაგაღონებთ ეს და ნუ წაგვრთმევთ იმედი, რადგან თუნდაც მილიონი სიცოცხლეები გაგატარებინოთ სიბნელეში, ერთ წამში, ერთ მომენტში შეგიძლიათ მიაღწიოთ სინათლეს.

წარმოიდგინეთ, რომ შეხვედით ასი წლის წინათ მიტოვებულ, ჩაკეტილ, ჩაბნელებულ სახლში და აანთეთ სინათლე, ნუთუ სიბნელე იტყვის: „მე ასი წლის ვარ, სინათლე კი ჭერაც ნორჩია“. ნუთუ სიბნელე იტყვის: „მე არ ვაპირებ გაქრობას. ასი წელი უნდა გენოთ სინათლე, სხვანაირად მე არ ვაპირებ გაქრობას“.

ახალშობილ ნათელს შეუძლია გაფანტოს ძველისძველი სიბნელე. რატომ? ასი წლის განმავლობაში ხომ უნდა დამკვიდრებულიყო სიბნელე? მაგრამ სიბნელეს არ შეუძლია დამკვიდრება, რადგან იგი არ არსებობს, იგი მხოლოდ შუქის ძალიანია, მოვა შუქი და სიბნელე გაქრება. მას არ შეუძლია შეეწინააღმდეგოს, რადგან არ გააჩნია პოზიტიური არსებობა.

მოდინ და მეკითხებიან: „თქვენ ამბობთ, რომ შესაძლებელია დაუყოვნებელი, მოულოდნელი გასხივოსნება (ნათელდება) და რა ვუყოთ მაშინ ჩვენს წარსულ ცხოვრებებს, ჩვენს წარსულ კარმებს? რა ვუყოთ მათ? — არაფერი — მათ სიბნელის ბუნება გააჩნიათ. იქნებ თქვენ მოკალით, იქნებ ჭურდი იყავით, მძარცველი. იქნებ პიტლერი იყავით ან ჩინგიზ-ყაენი ან ვიღაც უარესი, ამას არ აქვს მნიშვნელობა. როგორც კი გაიხსენებთ თქვენს თავს, გაჩნდება სინათლე და დაუყოვნებლივ წარსული გაქრება, იგი წუთსაც არ დააყოვნებს. თქვენ მოკალით, რადგან არაცნობიერი იყავით, რადგან ვერ აცნობიერებდით საკუთარ საქციელებს. ამბობენ, რომ ჯვარცმისას იესოს უთქვამს: „მამაო ჩვენო, შეუძლებელია ადამიანებს, რამეთუ არ უწყიან რასაც ჩადიან“. იგი ამით გვეუბნება შემდეგს: „ეს ადამიანები არ

ეკუთვნიან ნათელს, მათ თავი დაივიწყეს და სრული დაივიწყების მდგომარეობაში მოქმედებენ. ისინი სიბნელეში ფუთფუთებენ... შეუძლებელია მათ, ისინი არ აგებენ პასუხს იმაზე, რასაც ჩადიან“. როგორ შეიძლება ადამიანი, რომელსაც თავი არ ახსოვს, პასუხს აგებდეს რამეზე?

როდესაც მთვრალი კლნის წინმეს, მას სასამართლოც ვინ უმსრბლეს, თუ დამტკიცებული იქნა, რომ იგი არაცნობიერ მდგომარეობაში იყო, მას ამართლებენ. რატომ? იმიტომ, რომ შეუძლებელია ასეთ ადამიანს ბრალი დასდო, პასუხი მოსთხოვო. თქვენ შეგიძლიათ იგი ლოთობის გამო გაკიცხოთ, მაგრამ როგორ გაკიცხავთ მას მკვლელობის გამო? გიყმა თუ მოკლა, მას ამართლებენ იმიტომ, რომ მას თავი არ ახსოვს.

იყოთ ბუნებრივნი, ნიშნავს გახსოვდეთ. მე გთხოვთ, ნუ ჩამოეკიდებით თქვენს წარსულს, ნუ შეგაწუხებთ ის, რაც წარსულში ჩაიდინეთ. თქვენ ის ჩაიდინეთ იმიტომ, რომ არ აცნობიერებდით. აანთეთ თქვენი შინაგანი ალი, ეძებეთ იგი, მონახეთ იგი, იგი იქ არის, სიღრმეში და უეცრად მთელი წარსული გაქრება, თითქოს არც კი ყოფილა, თითქოს სიზმარში იხილეთ.

სინამდვილეში იგი მართლა სიზმარში იხილეთ, რადგან თქვენ გეძინათ, არ აცნობიერებდით. ყველა კარმები ძილში წარმოიშვა. ისინი წარმოიშვნენ იქიდანვე, რისგანაც სიზმრები წარმოიშვებიან.

არ არის აუცილებელი ელოდოთ, როდის ამოწურავენ თქვენი კარმები თავის თავს — მაშინ თქვენ მოგიხდებათ ელოდოთ მთელი უსასრულობის განმავლობაში.

მაშინაც კი შეუძლებელი იქნება წრიდან გამოსვლა, რადგან შეუძლებელია უსასრულო ლოდინი: თქვენ გააგრძელებთ სხვადასხვა საქციელის ჩადენას და ამიტომ მოჰადოებელი წრე არ გაილევია.

თქვენ წახვალთ კიდევ და კიდევ. ახალი საქციელები მოიყოლებენ სხვა ახალ საქციელებს, ისინი კიდევ სხვას და სად ექნება ამას დასასრული? არა, ეს არ არის აუცილებელი. მხოლოდ გააცნობიერეთ და უცბად ყველა კარმა დაცვივა. გაცნობიერების ერთ დამაბულ მომენტში გაქრება მთელი წარსული, იგი ფერფლად იქცევა.

ეს არის ერთ-ერთი უდიდესი ჭეშმარიტება, რომელიც შეიცნო აღმოსავლეთმა. ქრისტიანობას არ შეუძლია ამის გაგება: იგი კვლავ განკითხვის დღეზე ფიქრობს, იმ დღეზე, როცა ყველას თავისი წილი მიეზღვება — ყველას თავისი

საქმეების მიხედვით, მაგრამ მაშინ ქრისტე ალბათ შეცდა, როცა თქვა — „თ, ღმერთო, მიუტევე ამათ, რამეთუ არ იციან რასაც სჩადიან“. იუდეველებს არ შეუძლიათ ამის გაგება, არც მუსულმანებს. ინდოელები წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე გამბედავ ნაციას. მათ შეაღწიეს პრობლემის გულის-გულში — პრობლემას წარმოადგენს ა რ ა მოქმედება, არამედ ყოფიერება. როდესაც თქვენ გაიგეთ თქვენი შინაგანი ყოფიერება და სინათლე, თქვენ უკვე არამქვეყნიური ხართ. ის, რაც წარსულში მოხდა, ფაქტიურად სიზმარში მოხდა. აი რატომ ამბობენ ინდოელები, რომ მთელი ცხოვრება სიზმარია, მხოლოდ თქვენ არა ხართ სიზმარი, მხოლოდ სიზმრის მაცურებელი არ არის სიზმარი, ყველაფერი დანარჩენი სიზმარს წარმოადგენს, მხოლოდ სიზმარია.

შიაქციეთ ყურადღება ამ ჭეშმარიტების სილამაზეს: მხოლოდ სიზმრის მაცურებელი არაა სიზმარი, რადგან სიზმრის მაცურებელი შეუძლებელია სიზმარი იყოს. სხვა შემთხვევაში სიზმარი არ იარსებებდა.

აუცილებელია ვილაყის, მაგალითად, იმის რეალური არსებობა, ვინც უყურებს ამ სიზმრებს. დღისით თქვენ გღვიძავთ და ჩადიხართ შრავალ საქციელს. მიდიხართ მაღაზიაში, ბაზარში, მუშაობთ ფერმაში, ქარხანაში, აკეთებთ მილიონ რამეს. ღამე, როდესაც იძინებთ, აბსოლუტურად ყველაფერს ივიწყებთ და ჩნდება ახალი სამყარო, სიზმრების სამყარო. ახლა მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ძილს იმდენივე დრო უნდა დაეთმოს, რამდენიც ღვიძილს. რამდენი საათიც ღვიძილს, ამდენივე ძილს. თუ 60 წლის მანძილზე 20 წელი შრომას დაეთმო, ამდენივე წელი უნდა მოვიდეს ძილზე. დრო ზუსტად თანაბრად უნდა განაწილდეს. არანაკლები რეალობა გააჩნია სიზმარს. იგიც ამავე გვარის მოვლენაა. ღამით თქვენ ხედავთ სიზმრებს და ივიწყებთ თქვენივე ღვიძილის სამყაროს. ძალიან ღრმა ძილში თქვენ ივიწყებთ ღვიძილის სამყაროს და ასევე ივიწყებთ სიზმრების სამყაროსაც. დღით არსებობას იწყებს ღვიძილის სამყარო. ახლა თქვენ ივიწყებთ თქვენს ძილს და თქვენს სიზმრებს. მაგრამ ყოველთვის რჩება ერთი — თქვენ. ვის ახსოვს სიზმრები? ვინ ამბობს დილას: „მე ვნახე სიზმარი“. ვინ ამბობს დილას: „წუხელ მთელი ღამე კარგად მეძინა, სიზმრების გარეშე“ ვინ ამბობს ყოველივე ამას?

უნდა არსებობდეს მოწმე, რომელიც მუდამ განზე დგას და უთვალთვალავს. გადადის ღვიძილი, მერე გადადის სიზმრები,

მერე ღრმა ძილი მოდის, ვილაყა კი ყოველთვის დგას გვერდზე და უთვალთვალავს.

მხოლოდ იგი (მოწმე) არის რეალური, რადგან მხოლოდ იგი არსებობს ყველა მდგომარეობაში. სხვა მდგომარეობები ქრებიან, იგი კი ყველა მდგომარეობაში უნდა არსებობდეს. მხოლოდ იგი არის უცვლელი თქვენში. ვცადეთ მიუახლოვდეთ ამ მოწმეს. იმის მაგივრად, რომ რჩენი ქრებიან ამ ქვეყანაზე, გახდით მაცურებელი მოწმე, ყველაფერი დანარჩენი მხოლოდ სიზმრებია: მხოლოდ სიზმრების მაცურებელი არის სინამდვილე, მხოლოდ იგი შეიძლება იყოს რეალობა, სხვანაირად საიდან შეუძლია სიზმრებს არსებობა? იგი, მოწმე, წარმოადგენს საფუძველს, ილუზიებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ გაჩნდნენ, თუკი ის მოწმე არსებობს, და როცა შეძლებთ და გაიხსენებთ მას, თქვენ გაიცილებთ — რა იყო ცხოვრება ხსოვნის გარეშე. თქვენ როგორც მთვრალი გადადიოდით მდგომარეობიდან მდგომარეობაში, დინების მიმართულებით, ეშმაკმა იცის საით.

მაგრამ:

საუკუნეთა სიზნელე ვერ დაბინდავს

მოკაშკაშე მზეს:

სანსარის გრძელი კალპები...

უამრავი, უამრავი საუკუნეები, ამ ქვეყნის კალპათა ეონები

გერასდროს ვერ დაფარავენ გონების

მოელგარე ნათელს.

ის მუდამ არის — ის არის თქვენივე

არსება.

თუმცა სიტყვებით ცდილობენ, რომ

სიცარიელე

გამოხატონ.

სიტყვებით სიცარიელეს ვერ

გამოხატავენ.

თუმცა კი ვამბობთ, რომ გონება არის

ნათელი შუქი,

იგი ყოველგვარ სიტყვებსა და

სიმბოლოებს

მიღმაა.

სასურველი იქნება გაიგოთ შემდეგი: არსებობს სინამდვილესთან სამნაირი მიდგომა: ერთი მათგანი არის ემპირიული მიდგომა, მეცნიერული გზა — ექსპერიმენტი, ექსპერიმენტი საგნობრივ სამყაროზე. ნუ მიიღებთ და ნუ ირწმუნებთ ნურაფერს, სანამ არ დაამტკიცებს ექსპერიმენტი. არსებობს მეორე მიდგომა — ლოგიკური. ლოგიკური მიდგომა ცდას არ ატარებს. იგი მხოლოდ აზროვნებს, მსჯელობს. ეძებს მომხრეს და წინააღმდეგს. გამოაქვს გონებრივი, რაციონალური დასკვნები. და ბოლოს, არსებობს მესამე მიდგომა — მეტაფორული, პოეზიის და რელიგიის მიდგომა.

არსებობს სამი გზა, რომლითაც ადამიანი სინჯავს სინამდვილეს.

მეცნიერებას არ შეუძლია გადაცდეს ობიექტის საზღვრებს, რამდენადაც თვითონ მიდგომა ქმნის ზღუდეს, მეცნიერებას არ შეუძლია გადაცდეს გარეგანის ფარგლებს, რადგანაც ცდა, ექსპერიმენტი, შესაძლებელია მხოლოდ გარეგანზე.

ფილოსოფიას და ლოგიკას არ შეუძლიათ გადაცდნენ სუბიექტურს, რადგან ეს არის მცდელობა, რომელიც თქვენსავე გონებაში გამოძეუშავენება. შეუძლებელია გონებით ჰაანგრიოთ გონების საზღვრები, შეუძლებელია მის მიღმა გადასვლა.

მეცნიერება საგნობრივია, ფილოსოფია და ლოგიკა — სუბიექტური. რელიგია მალდობა ყველაფერ ამაზე და მიღის უფრო შორს. ასევე პოეზია მიღის შორს: ეს არის ოქროს ხიდი, რომელიც აერთებს სუბიექტს და ობიექტს.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში ყველაფერი იქცევა ქაოსად. რა თქმა უნდა, სამყაროული შემოქმედების ქაოსად, სინამდვილეში იქ, სადაც არ არის ქაოსი, არ შეიძლება იყოს არც შემოქმედება. ყველაფერი ხდება შეუცნობელი და წაშლილია განსხვავება.

მე ვიტყვოდი ამას ასეთნაირად: მეცნიერება არის მიდგომა დღისით, მზისით, შუადღის შუქზე, როდესაც ცხადია საზღვრები და ადვილია ყველაფრის განსხვავება. ლოგიკა არის მიდგომა ღამით, ფათური გონების სიბნელეში. პოეზია და რელიგია ეს არის მიდგომა ბინდბუნდში, სწორედ შუალედში.

დღე ჩაქრა —
შუადღის კაშკაში მინაველდა,
საგანთა ხაზები გამქისდნენ და განურჩევლნი გაბდნენ;
ლამე ჭერაც არ დამდგარა,
ჭერაც არ ჩამოსწოლია სიბნელე
ყველაფერს.
დღე და ღამე ერთმანეთს ხედება
მსუბუქ ბინდ-ბუნდში,
არც თეთრი, არც შავი —
კონტურები ხედებიან და ედნობიან
ერთმანეთს.

ყველაფერი გაურჩეველია და სხვანაირი. ეს არის მეტაფორული მიდგომა. ამიტომ ლაპარაკობს პოეზია მეტაფორებით — რელიგია კი არის უმადლესი პოეზია — რელიგიის ენაც მეტაფორულია. გაბსოვდეთ, რომ ეს მეტაფორები არ უნდა იქნას გაგებული პირდაპირ, ასე თქვენ ვერაფერს ვერ გაიგებთ. როდესაც ვამბობ „შინაგანი ნათელი“, ნუ გაიგებთ ამას პირდაპირ. როდესაც ვამბობ — „შინაგანი — ეს არის ნათელი“, ეს მეტაფორაა. მე რაღაცას

მიგანიშნებთ. კი არ ესაზღვრავ ან ვახარისხებ, იგულისხმება რაღაცა, რაც სინათლის ბუნებისაა და არა აუცილებლიდ სინათლე, ეს არის მეტაფორა.

აქ იჩენს თავს პრობლემა ამიტომ რომ რელიგია მეტაფორებით ლაპარაკობს და არ შეუძლია სხვანაირად გამოხატოს. სხვა სამყაროში რომ ვუყუარებოდა და მენახავ ვვაილები, რომლებსაც — ღმერთს ვაძვინებ არ არსებობენ, აქ დაბრუნებულს მათი სათქვენოდ განსაზღვრება მეტაფორებით მომიხდებოდა. მე ვიტყვოდი: „როგორც ვარდები“, მაგრამ ისინი სულაც არ არიან ვარდები, თორემ მაშინ არ იქნებოდა საჭირო „როგორც“ ვიტყვოდი პირდაპირ „ვარდები“. ისინი კი არ არიან ვარდები, მათ გააჩნიათ სხვა თვისებები. „როგორც“ ნიშნავს, რომ მე ვცდილობ დავუახლოვო ჩემი გაგება თქვენს აქაურ, ამქვეყნიურ გაგებას. ამიტომ ვხმარობ მეტაფორას. თქვენ იცით ვარდები, მაგრამ არ იცით ის სხვაქვეყნიური ყვავილები. მე ვიცი ის ყვავილები იმ სამყაროდან და ვცდილობ მოგიყვეთ მათზე, ამიტომ ვამბობ, რომ ისინი ჰგვანან ვარდებს. ნუ გაბრაზდებით ჩემზე, როდესაც მიაღწევთ იმ სხვა სამყაროს და ვერ ნახავთ იქ ვარდებს, ნუ დამიჭერთ და — ნუ წამათრევთ სასამართლოში, რადგან მე არასდროს არ ვლაპარაკობდი ამას პირდაპირი გაგებით. მე ვუთითებდი მხოლოდ ვარდის თვისებებს: ეს მხოლოდ ეგისტი იყო, მთვარისაკენ გაშვებული თითი. ნუ გამოეკიდებით ამ თითს, იგი არაა არსებითი. დაივიწყეთ იგი და შეხედეთ მთვარეს. მეტაფორის არსი ამაში მდგომარეობს. ნუ გამოეკიდებით თვითონ მეტაფორას.

პრავალი ადამიანი გაიხლართა სიბნელეში მეტაფორების გამო. ისინი ჩამოეკიდნენ მეტაფორებს. მე ვლაპარაკობ შინაგან ნათელზე — მაშინვე, რამდენიმე დღის შერე, მოდიან ადამიანები და ამბობენ: „ჩვენ ვუყურებთ შინაგან სინათლეს“. მათ ნახეს ვარდები იმ სამყაროში, სადაც თვითონ არ არსებობენ. ამ მეტაფორული ენის გამო ბევრი გახდა საკუთარი წარმოსახვის მსხვერპლი.

პ. დ. უსპენსკიმ გამოიგონა სიტყვა: იმნიჟინაციური. როცა ვინმე მივიდოდა მასთან და უყვებოდა შინაგან განცდებზე: „კუნდალინმა გაიღვიძა, მე ვნახე შინაგანი შუქი, ჩაკრები გაიხსნენ“. იგი მაშინვე აჩუქებდა მას და წარმოთქვამდა: „იმიჯინაციური“. როცა კითხულობდნენ თუ რა იყო იმიჯინაციური, იგი პასუხობდა: „წარმოსახვის ავადმყოფობა — თან დაურთავდა — თქვენ იქეცით ამ

ავადმყოფობის მსხვერპლად.

რელიგია მეტაფორებით ლაპარაკობს, სხვანაირად შეუძლებელია, რადგან იგი მიღმურზე ლაპარაკობს. იგი ცდილობს ამქვეყნიურში შესადარებლის მონახვას. რელიგია ხმარობს სიტყვებს, რომლებიც არ შეესაბამებიან აქაურობას, მაგრამ ეს შეუსაბამო სიტყვები ერთადერთია, რაც გაგვაჩნია და ამიტომ აუცილებელი ხდება მათი გამოყენება.

პოეზია ადვილი გასაგებია, რელიგია — ძნელი, იმიტომ რომ თქვენ უკვე იცით, რომ პოეზია წარმოსახვაა, იგი არ კმნის სიძნელეებს. ადვილი გასაგებია მეცნიერება, რადგან იგი არ არის წარმოსახვა, იგი ემპირიული ფაქტია. პოეზიას თქვენ გებულობთ შედარებით ადვილად, თქვენ იცით, რომ იგი მხოლოდ პოეზიაა — წარმოსახვა. მშვენიერია. თქვენ ტკბებით ამით — იგი გამოგონებაა. მაგრამ რა ვუყოთ რელიგიას? იგი ხომ უდიდესი პოეზიაა და თანაც წარმოდგენა კი არა, რეალობა. დამერწმუნეთ, რომ იგი ისეთივე ემპირიულია, როგორც მეცნიერება, მაგრამ მას არ შეუძლია ისარგებლოს მეცნიერული ტერმინებით, ისინი ძალზე ობიექტურნი არიან. მას არ შეუძლია ისარგებლოს ფილოსოფიური ტერმინებით, ისინი ძალზე სუბიექტურნი არიან. მან უნდა ისარგებლოს, რაღაცით, რაც არ წარმოადგენს არც ერთს და არც მეორეს. მან უნდა ისარგებლოს რაღაცით, რაც ორთავეს აერთიანებს და იგი სარგებლობს პოეზიით.

რელიგია არის უდიადესი პოეზია, ჭეშმარიტი პოეზია და შეუძლებელია მონახოს უფრო დიდი პოეტი, ვიდრე ბუდა, თუმცა მას არასდროს არ უცდია ერთი ლექსის დაწერაც კი. აი, შე თქვენს წინაშე პოეტი ვარ, არც ერთი ლექსი არ დამიწერია არასდროს, ერთი ხოკუც კი, მაგრამ მუდმივად ელაპარაკებ მეტაფორებით. შე ყველანაირად ვცდილობ ხიდი გადავდო მეცნიერებასა და ფილოსოფიას შორის არსებულ უფსკრულზე, ვცდილობ, მოგცეთ ერთიანობის, განუყოფელის შეგრძნება.

მეცნიერება ერთი ნახევარია, ფილოსოფია — მეორე. რისი გაკეთება შეიძლება, რომ მთლიანობის შეგრძნება მოგეცეთ? თუ ფილოსოფიაში ჩაიძირეთ, მიხვალთ იქამდე, სადაც მანკარა მივიდა: „სამყარო ილუზიაა. იგი არ არსებობს — არსებობს მხოლოდ ცნობიერება“. ეს ძალზედ ცალმხრივი მისვლაა. თუ მეცნიერებს შეუერთდებით, იქამდე მიხვალთ, სადამდეც მარქსი მივიდა. იგი ამბობს: „არ არსებობს ცნობიერება — არსებობს მხოლოდ

სამყარო“. შე კი ვიცი, რომ ისინი ორივენი მართლები არიან, და თანაც არც ერთი არ არის მართალი. მართლები არიან რადგან ამბობენ სიმართლის ნახევარს და არ არიან მართლები, რადგან სიმართლის მეორე ნახევარს უარყოფენ. მაგრამ საჭიროა ითქვას მთლიანი და როგორ უნდა ითქვას იგი? პოეზიაა ერთადერთი საშუალება, მეტაფორაა ერთადერთი გამოსავალი.

დაიბახსოვრეთ: *ქრისტეშვილი* თუმცა სიტყვებს ხმარობს — *საქართველოს* გამოსახატავად სიცარიელეს სიტყვებით ვერ

გამოხატავენ აი რატომ ამბობდა ყველა ბრძენი: „ის, რასაც ჩვენ ვამბობთ, არ შეიძლება ითქვას, შეუძლებელია იგი გამოიხატოს“. ისინი მუდამ ხაზს უსვამენ ამას, რადგან არსებობს იმის საშიშროება, რომ მათ ნათქვამს პირდაპირ გაიგებენ. სიცარიელე სიცარიელეა იმ აზრით, რომ ჩვენგან არაფერი მასში არ დარჩება. მაგრამ ამასთან ერთად სიცარიელე არ არის სიცარიელე იმიტომ, რომ მთლიანობა შეავსებს მას და იგი გახდება სრულქმნილი მოვლენა.

როგორ მოვიქცეთ? როდესაც გესმით „სიცარიელე“, გონება თვლის, რომ ეს არაფერია და არაფრის გამო რატომ უნდა შევწუხდეთ? როდესაც გესმით, რომ სიცარიელე კი არა, ეს არის უსრულქმნილესი არსებობა, მაშინ გონებას ყოყმანობა იპყრობს. მას უნდა გახდეს სრულქმნილი არსება და მაშინ კი ჩნდება ყველაფერი.

როდესაც თქვენ არ ხართ, მთელი ყოფიერება შემოდის თქვენში. როდესაც წვეთი დნება ოკეანეში, იგი იქცევა ოკეანედ. თუმცა ჩვენ ვამბობთ: „გონი არის ნათელი“, ტილობა ამბობს: „...იგი სიმბოლოებს მიღმაა და სიტყვებს მიღმა“.

ნუ მოტყუვდებით მეტაფორებით. ნუ წარმოიდგინოთ შინაგან შუქს. ეს ძალიან ადვილი საქმეა — იმ(ო)ჯინა(ო)შრი. თქვენ შეგიძლიათ დახუჭოთ თვალები და წარმოიდგინოთ იგი: თქვენ ისეთი ფანტაზიორები ხართ, თქვენ შეგიძლიათ ყველაფერი წარმოიდგინოთ და რატომაც არა შინაგანი სინათლე?

გონებას შეუძლია ყველაფრის შექმნა, რასაც კი მოისურვებს. საჭიროა მხოლოდ ცოტა გაისარჯოთ. თქვენ შეგიძლიათ გონებაში მშვენიერი ქალი წარმოიდგინოთ. და რატომ შუქს ვერ წარმოიდგენთ? თქვენ შეგიძლიათ გონებაში ისეთი მშვენიერი ქალები წარმოიდგინოთ, რომ სინამდვილეში

ვერც ერთი ქალი ვერ მიაღწევს ასეთ
ოდნალს. თქვენ შეგიძლიათ შეიქმნათ
განცდების მთელი სამყარო. ყველა გრძობას
თქვენში გააჩნია წარმოსახვის საკუთარი
ცენტრი.

პიპნოზის დროს ისე ხდება, რომ
წარმოსახვა მაქსიმალურად მუშაობს, გონება
კი მთლიანად ითიშება. ამ დროს გონება
იძინებს. პიპნოზი ნიშნავს სწორედ ამას, რომ
გონებამ, ამ „სკეპტიკოსმა“, დაიძინა. მაშინ
იშვება წარმოსახვა, იგი უკვე მუბრუჭების
გარეშეა და შეუძლია უსასრულოდ
იმოძრაოს. პიპნოზის მდგომარეობაში თქვენ
შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ყველაფერი,
რაც კი გსურთ: თუ პიპნოზში მყოფ ადამიანს
მისცემთ ხახვს და ეტყვიან, რომ ეს საუცხოო,
გემრიელი ვაშლია — იგი შეჭამს მას და
იტყვის: „მართლაც კარგი ვაშლია,
არასდროს მიჭამია ასეთი გემრიელი ვაშლი“.
თუ გინდათ, ვაშლი მიეცით და უთხარიან,
რომ იგი ხახვია. მას ცრემლები წასკდება
თვალებიდან და გეტყვიან, რომ ძალიან მწარე
ხახვი იყო.

რა ხდება? — გონება სკეპტიკოსმა
დაიძინა, მხოლოდ წარმოსახვა მუშაობს და
მას არაფერი აკონტროლებს. იგივე ხდება
რელიგიაშიც. რელიგიას ნდობა სჭირდება.
ნდობა ნიშნავს, რომ ეტყემა დაიძინა, როგორც
გონებამ პიპნოზის დროს. ამიტომ, რუსთა
ადამიანები ამბობენ: „ამ რაჯნეშმა დაგაპი-
პნოზათ“. ისინი თავისებურად მართლები
არიან. თუ მენდეთ, მაშინ თქვენ იმყოფებით
პიპნოზის მსგავს მდგომარეობაში. სრულიად
ფხიზელ მდგომარეობაში თქვენ გადაადგდეთ
გონება, ახლა თქვენი წარმოსახვა
მაქსიმალურად მუშაობს და თქვენ
იმყოფებით საშიშ მდგომარეობაში.

თუ ნებას დართავთ, წარმოსახვას
შეუძლია წარმოიდგინოს ყველაფერი, რაც
კი გსურთ — კუნდალინი იღვიძებს, ჩაკრები
იხსნებიან, რასაც გინდათ წარმოიდგენთ და
ეს მშვენიერი იქნება, მაგრამ იგი არ იქნება
ნამდვილი.

როდესაც ადამიანს ენდობით, საჭიროა ამ
ნდობის მდგომარეობაში არ გამოგრჩეთ
მხედველობიდან წარმოსახვა. მიენდეთ,
მაგრამ ნუ გახდებით წარმოსახვის
მსხვერპლი. ყველაფერი, რაც აქ ითქვა —
მეტაფორაა და ყოველთვის გახსოვდეთ, რომ
უკლებლივ ყველა განცდა წარმოსახვას
წარმოადგენს, მხოლოდ მათი განმცდელი
არის ჭეშმარიტი.

ამიტომ, რაც არ უნდა განიცადოთ, ნუ
მისცემთ მას დიდ მნიშვნელობას, ნუ
მოყვებით კვებნას. მხოლოდ გახსოვდეთ, რომ
ყველაფერი, რაც თქვენ განიცადეთ,

ილუზორულია და მხოლოდ ის, ვინც
განიცდის, არის რეალური. მთელი
ყურადღება დაუთმეთ მოწმეს. დაეფუძნეთ
მოწმეზე და არა განცდებზე. ყველა
განცდები, რა მშვენიერაც არ უნდა იყოს
ისინი, სიზმრებს ჰგვანან. საჭიროა
განცდებზე შორს წასვლა.

მაშ ასე, რელიგიაში მონაწილეობა, იგი
სარგებლობს მეტაფორებით და მოწაფე,
ვისაც ღრმად სწამს, ადვილად შეიძლება
გახდეს წარმოსახვის მსხვერპლი. საჭიროა
ძალიან, ძალიან დიდი სიფხიზლე.

მიენდეთ, ისმინეთ მეტაფორები, მაგრამ
გახსოვდეთ, რომ ისინი მხოლოდ
მეტაფორებია. მიენდეთ და მალე ბევრი რამე
შეგემთხვევათ. მაგრამ გახსოვდეთ —
ყველაფერი არის წარმოდგენა და მისი
ნაყოფი. თქვენ კი უნდა მიაღწიოთ ისეთ
მდგომარეობას, როდესაც გათავდა
განცდები, მხოლოდ მათი განმცდელი ზის
მყუდროდ თავის საყუდელში, გაქრნენ
განცდები და ობიექტები, არც სინათლე, არც
მოყვავილე ყვავილები, არაფერი...

ლინ-ძი ცხოვრობდა მთის წვერზე მდგარ
პატარა მონასტერში. ერთხელ ხის ქვეშ
მჯდომს ვიღაცამ ჰკითხა: „რა ხდება
როდესაც მიაღწევ?“ ლინ-ძიმ უპასუხა: „მე აქ
მარტო ვზივარ და ვხედავ როგორ მიცურავს
ღრუბელი, როგორ იცვლებიან წელიწადის
დროები, როგორ იცვლება ყველაფერი“.
ბოლოს რჩება მხოლოდ ყველაფრის
მოთვალთვალე, მოწმე, მხოლოდ
ცნობიერება. ქრებიან განცდები და რჩება
მხოლოდ მათი ადგილები. ყველაფერი სხვა
ქრება.

გახსოვდეთ ეს. რადგან თქვენ მენდობით.
მე კი მეტაფორებით ვლაპარაკობ და ამ
დროს შესაძლებელია წარმოდგენები,
იმნიჯინაციის: უფრთხილდით ამ
ავადმყოფობას.

თუმცა ვამბობ რომ გონი არის ნათელი,
იგი სიტყვებს შიღმა და სიმბოლოებს

შიღმა.

თუმცა გონება არსებითად სიცარიელეა,
იგი მოიცავს და თავის თავში იტევს

ყველაფერს.

ამის მტკიცება ერთი შეხედვით
წინააღმდეგობრივია: თქვენ ამბობთ, რომ
გონი სიცარიელეა და იტევს ამტკიცებთ, რომ
იგი შეიცავს ყველაფერს. რატომ არის ასეთი
წინააღმდეგობა? უბრალოდ ასეთი ბუნება
გააჩნია რელიგიურ გამოცდილებას.
მიმართავენ მეტაფორებს, მაგრამ
აუცილებელია სიფრთხილე მეტაფორების
მიმართ.

ბუნებით იგი სიცარიელეა,
მაგრამ შეიცავს ყველაფერს.

როცა გახდებით სრულიად ცარიელი,
მხოლოდ მაშინ განხორციელდებით.
როცა თქვენ უკვე არა ხართ,
მხოლოდ მაშინ იქნებით რეალურად.

იესომ თქვა: თუ დაკარგავ შენს თავს,
შპოვებ.

თუ ელოლიყვები, დაკარგავ.
თუ მოკვდები, მაშინ აღსდგები.
თუ უარყოფ შენს თავს
მოიპოვებ მარადიულობას, თავად

გახდები მარადისობა.

ყველაფერი ეს მეტაფორებია. მაგრამ თუ
გწამთ, თუ გიყვართ, თუ ნებას აძლევთ
თქვენს გულს გაიხსნას ჩემს მიმართ, მაშინ
თქვენ გაიგებთ ამას. ეს გაგება აღემატება

ყოველგვარ გაგებას. თქვენ გონებით კი არ
გაიგეთ, თქვენ გაიგეთ გულით. ენერჯია
გულიდან გადაჰყვება გულში.

აი, მე აქ ვარ და ვლაპარაკობ თქვენთან,
მაგრამ ეს შეორეხარისხოვანია. მთავარი ის
არის, რომ თქვენ უნდა გაიხსნათ და
როდესაც ეს მოხდება, მაშინ მე
გადმოვიღვრები თქვენში. თუ ჩემი
საუბრების გამო უფრო და უფრო
გაიხსნებით, ჩემი მიზანი მიღწეულია! მე იმას
კი არ ვცდილობ, რომ რაღაც გითხრათ, მე
ვცდილობ რომ თქვენ უფრო და უფრო
გაიხსნათ და ეს საკმარისი იქნება. მაშინ მე
შეეძლებ გადმოვიღვარო თქვენში... და სანამ
არ მიგებეთ, მანამდე ვერ შესძლებთ იმის
გაგებას, რასაც ვლაპარაკობ.



••



ქრისტიანობა

ქრისტიანობა თამამად აღუდგა წინ მრავალ ფილოსოფიურ და რელიგიურ სისტემას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათგან უმეტესს იმედად მოეგლინა, რადგან ქრისტიანული სულიერების უმთავრესი ძალა სწორედ მისი ყოვლისმომცველობა და სრულყოფილებაა და არა უარყოფა, ან გამოარიცხვა.

თუკი ბუდიზმი ბოროტებისაგან გამოთავისუფლებისაკენ მგზნებარე სულისკვეთებით, თავისუფლებისაკენ დაუცხრომელი ლტოლვითაა გამსჭვალული, ხოლო თავად ბუდა დაადგებს, რომ მისი მოძღვრება — კარმა — გადარჩენის, ხსნის იდეით ისეა გაჯერებული, როგორც ზღვის წყალი მარილით, იგივე ლტოლვა და არა მარტო ლტოლვა, არამედ აღქმაც გადარჩენისა ქრისტიანობისათვის დია ნიშანდობლივია.

თუკი ისლამი აბსოლუტურ ერთგულებას ესწრაფვის ღმერთისადმი — კოსმოსისა და კაცთა ბედის სუვერენული განმგებლისადმი — იგვეს მოუწოდებს ქრისტიანობაც.

თუკი ჩინური ჭვრეტითი შემეცნებით ყველა ცხოვრებისეულ წვრილმანსა და ტრადიციების სხვადასხვა ნიუანსებშიც კი გარკვეული თრიენტაციის უნარს ზეცა ანიჭებს ადამიანს, იგივეს ამბობს ქრისტიანობაც.

თუკი ბრაჰმანიზმი, თანამედროვე ინდუიზმი, ღვთაების მრავალსახიერებაზე გვიითხებენ, იგივეს გვამცნობს ქრისტიანობაც.

დაბოლოს, თუკი პანთეიზმი ამტკიცებს, რომ ღმერთი ყველაფერშია და რომ ყველა წვეთი, საშყაროს ყოველი ატომი მისი იდეალური ძალითაა განმსჭვალული, ქრისტიანობა ამ აზრსაც იზიარებს, თუმცა ღვთაების უნარს და შესაძლებლობას მარტოდონ ამგვარი პანთეისტური ყოვლისმომცველობით არ ზღუდავს.

მაგრამ ღრმად შევეცდებით, თუკი ჩვეთვლით, რომ ქრისტიანობამ, როგორც

ერთგვარმა ეკლექტიკამ მხოლოდ და მხოლოდ შეინივთა წინამორბედ სარწმუნოებათა ელემენტები.

ქრისტიანობაში გამოვლინდა კოლოსალური ძალაც რაღაც ახლისა. ეს ახალი მხოლოდ დოქტრინა არ იყო. იგი საუკუნეების მიერ მკვიდრად დაფუძნებული ცხოვრების წესის გარღვევაც გახლდათ თვისობრივად სრულიად ახლებური ცხოვრებით. კაცობრიობის უდიდესი მასწავლებლები — „უპანიშადების“ ავტორი, ლათ-ცზი, კონფუცი, ბუდა, მოჰამედი, სოკრატე, პლატონი და სხვა, — ჭეშმარიტებას აღიქვამდნენ როგორც მაღალი მთის მწვერვალს, რომელიც დიდს გაჭირვებით უნდა დაიპყრო და, მართლაც, ჭეშმარიტებას იოლად ვერ დაიუფლებ. იგი სწორედ რომ მწვერვალია, რომელზეც სუნთქვაშეჭირვებული უნდა აბობლდე, წვეტიან ქარაფებს ჩაებდაუჭო, დრო და დრო უკან მოიხედო და მიხვდე, რომ მთავარი ციკაბო აღმართი ჯერ კიდევ წინაა. მე არასდროს დამავიწყდება უბრალო ჰიმალაელი მთიელის — თენსინგის შესანიშნავი სიტყვები ჭეშმარიტებაზე (იგი ინგლისელ ჰილარისთან ერთად ჰიმალაიზე აღიოდა). მან თქვა: მთებს მოწიწებით უნდა მიუახლოვდეთ; ასევე უნდა მიეახლო ღმერთსაც. მთების სილამაზე და სიდიადე რომ შეიგრძნო, აუცილებელია განსაკუთრებული სულიერი განწყობა. ჭეშმარიტება დაფარულია მისგან, ვინც ჯიქურ, მოწიწებისა და კრძალულების გარეშე, მიიწევს წინ, ვისაც ყველა სირთულე, ყველა ღრე და ნაპრალი წინასწარ არა აქვს განჭვრეტილი. კაცობრიობის ისტორიაც მწვერვალისაკენ მიმავალი ბილიკია.

ბევრი შემეკამათება: ჭვესკნელში ჩამავალი საფეხურები განა ნაკლებიაო და მართლაც, ერთის შეხედვით ისინი სჭარბობენ; უფსკრულში გადაჩეხილი ადამიანებიც გაცილებით მეტობენ გამარჯვებულებს და მაინც მთავარია, რომ

ადამიანს ძალუძს ღრუბლებზე ამალღებულ მწვერვალზე შემოდგას ფეხი — როგორც ბუშკინი ამბობს, „ღმერთის მეზობლად“ — და თავად განჭვრიტოს გონებრივი და სულიერი სიმაღლეების საფუფლონი.

ადამიანს ორი სამშობლო აქვს, ორი მამული. ერთი — ჩვენი დედამიწაა, ის წერტილი, სადაც თავად იშვა და გაიზარდა, ხოლო მეორე სულის იდუმალი სამკვიდრებელია, რომელსაც თვალთ ვერ ხედავს, ყურით ვერ ისმენს, მაგრამ თავისი ბუნებით მაინც მის ეკუთვნის. მიწის შვილები, მიწაზე მხოლოდ სტუმრად მოვსულვართ. ადამიანი რელიგიურ ძიებებში გაცილებით მეტად ახორციელებს თავის მაღალ ბუნებას, ვიდრე მაშინ, როდესაც ომობს, ხნავს, თესავს თუ აშენებს. ტერმიტებიც აშენებენ, მაიმუნებიც ომობენ (თავისებურად — რასაკვირველია, ნაკლები სისასტიკით). ჭიანჭველებიც სთესავენ (მათი ასეთი სახეობაც არსებობს), მაგრამ არაფერს ცოცხალ არსებათაგან, თვინიერ ადამიანისა, არ დაფიქრებულა ყოფიერების არსზე, არ ამალღებულა ბუნებრივ ფიზიკურ მოახოვნილებებზე. არც ერთ სულიერს, თვინიერ ადამიანისა არ ძალუძს თავი დასდოს იმისათვის, რასაც ხელით ვერ შეეხება. ყველა დროის და ჭურის ათასობით მარტვილნი უნიკალურ ფენომენს ქმნიან ჩვენი მზის სისტემის მთელს ისტორიაში.

მაგრამ გადაუშლით სახარებას და სულ სხვა სამყაროში აღმოჩნდებით. როგორ არა ჰგავს იგი იმ სამყაროს, რომელიც ასე ხატოვნად და ამალღელებლად წარმოგვიდგენს ადამიანთა ძიებას, ზეცისკენ სწრაფვას. აქ ანაზღად საიდუმლოს გაცხადების პირისპირ აღმოჩნდები. ოცდახუთი წელი გაატარა მეფისწულმა სიდამარტამ გაუტამამ, ნომავალმა ბუდამ, ასკეტურ რუდუნებაში, ქვეშაობისათვის რომ მიეკვლია. ასევე ილწოდნენ იოგები, ფილოსოფოსები, რწმენისათვის თავდადებული მოღვაწენი და აი მოვიდა იესო, სოფლის ჩვეულებრივი მკვიდრი, რიგითი ადამიანის ცხოვრებით რომ უცხოვრია. მასში იმთავითვე მიღწეულია ყველაფერი, იგი მწვერვალებისაკენ არ ილტვის, პირიქით — იგი უბრალო ადამიანებამდე ეშვება. ყველა უდიდესი სწავლული თუ ბრძენი აღიარებდა თავის უმეტრებას: მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არაფერი ვიცი, — ამბობდა სოკრატე. ყველა დროის უდიდესი წმინდანი გაცილებით მწვავედ განიცდიდნენ თავიანთ არასრულყოფილებას, ვიდრე ჩვენ, ქვეშაობით ცოდვილნი. უმცირესი ცხოვრებისეული ხინჯიც კი სასტიკად სტანჯავდა მათ, რადღაც ნათელს იყვნენ მიახლოებულნი. ქრისტესათვის უცხოა

შეგნება, რომ მან რაიმე სულიერ სლულყოფას მიაღწია. იგი მოდის ადამიანებთან და თან მოაქვს ის, რაც მასში დასაბამიდან ჰგვის.

მე მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმ აზრს, რომ იესო ქრისტე არ ქადაგებდა ქრისტიანობას, როგორც კონცეფციას. ის, რაც მან აუწყა ხალხს, იყო „ბუნობა“, ბერძნულად „ევანგელიონ“, რაც „სამახარობლო სიტყვებში“ ნათესავენ. რით აიხსნება ეს „სიტყვებში“ ნათესავენ საქვს საფუძველი არ ენდოს გარესამყაროს, ადამიანს აქვს საფუძველი გრძობდეს მტრობას, გაუცხოებას. აღბერ კამიუ, თან პოლ სარტრი და სხვა თანამედროვე მწერლები ხშირად ბჭობენ სამყაროს აბსურდულობაზე, რომ ჩვენ გარემოცულნი ვართ რაღაც უსაშველო სისასტიკით, არაადამიანურობით, უაზრობით, აბსურდით. ვერავის მიენდობი, ირგვლივ ცივი, უსულო და მომაკვდინებელი სამყაროა. აქვე დავსძენ, რომ ამგვარი აზრის მქონე მწერლები, დრამატურგები თუ ფილოსოფოსები ათეისტური მსოფლმხედველობის პოზიციიდან მსჯელობენ — ასეთია სარტრის და კამიუს ათეისტური ეგზისტენციალიზმი, მაგრამ მათ ერთი რამ მაინც შეუძინველი რჩებათ: როდესაც ისინი ამტკიცებენ, რომ სამყარო აბსურდულია, ე. ი. უაზრო, ფაქტიურად ეს მოწმობს, რომ ადამიანში ჩადებულია ამ უაზრობის საპირისპირო მცნებაც, ერთგვარი შეგნებაც, ე. ი. აზრი, წესრიგი. თუ არა აზრი, ვერასოდეს ვერ გაიგებ რა არის აბსურდი, ვერასოდეს დაუპირისპირდები უაზრობას, არამედ ისე იგრძნობ თავს, როგორც თვეში წყალში. აბსურდის წინააღმდეგ შემართული ადამიანი არის ყველაზე უტყუარი დასტური იმისა, რომ არსებობს აზრიც, წესრიგიც.

ძველი ბიბლიური წინასწარმეტყველების თანახმად, ადამიანს ხელეწიფება მინაგანი გადატრიალების განხორციელება. ადამიანს ძალუძს გამოუცხადოს სამყაროს ნდობა, თანხმობა. მიენდოს იმას, რაც აშინებს, სზარავს და მაშინ ქაოსისა და აბსურდის მიღმა, როგორც ღრუბლებიდან მზე, გამოკრთება ღვთის თვალი, იმ ღმერთისა, რომელიც საკუთრივ არსია და არსი ასახული ყოველ არსებაში და შეხება მასთან, როგორც არსისა თანაარსთან, შესაძლებელია. კაცობრიობის მთელი აზრი არის საოცარი მსგავსება მასთან, ვინც დასაბამი მისცა სამყაროს. დარვინი ამბობდა: „მართალია, ჩემს აღქმაში სამყარო, როგორც პროცესი არ არის რაღაც მემქნიკური, მაგრამ სერიოზული ჩადრძავეების დროს ხშირად მომიცავს ხოლმე აზრი: ნუთუ ბრმა შემთხვევითობის შედეგია იგი? ხომ არ ღვას სამყაროს მიღმა რაიმე ცნობიერება,

ანალოგიური ადამიანისა? „ამას შეიძლება არა თუ ანალოგიური, არამედ ადამიანის ცნობიერებას უსაზღვროდ აღმატებულიც დაემატოს.

მცნება რწმენისა, ნდობისა ძველი აღთქმისდროინდელ ბიბლიურ რელიგიაში წარმოჩნდა. იგი თეორიულ-ფილოსოფიურ ან რელიგიურ საფუძველზე არ აღმოცენებულა. ეს რწმენა უსიცოცხლო აბსურდული სინანდელის საბურველის გარღვევა გახლდათ, როდესაც ადამიანი ეუბნება ღმერთს: — მე გამკვიდრებ ჩემი სულის წიად, მე ყურად გიღებ შენ. ასე დამყარდა ძველი კავშირი, ძველი აღთქმა, ერთობა ღმერთსა და კაცს შორის, მაგრამ ეს კავშირი პრიმიტიულ ადამიანსა და ღვთაებას შორის არ იყო საბოლოო და სრულყოფილი. ეს იყო კაცთა მოდგმის აღზრდის პროცესი: ბავშვობა, შემდეგ ყრობა და აი VII საუკუნეში ჩ. წ-მდე წინასწარმეტყველი იერემია იტყვის: „ამბობს უფალი; მე დაუდებ დასაბამს ახალ აღთქმას — „ბრიტ ხადაშა“ — ახალ კავშირს, რომელიც არ ემგვანება ძველს, ის გულებში ჩაიბეჭდება“.

შვიდასი წლის შემდეგ კი პაწია ოთახში შეიყრებიან თორმეტნი და შეიწირება მსხვერპლი. ჩვეულებრივი მსხვერპლი გულისხმობდა სისხლს, როგორც სიცოცხლის სიმბოლოს, სიცოცხლე კი ღმერთს ეკუთვნის; ამიტომაც თავშეყრილთ მსხვერპლად შეწირული პირუტყვის სისხლს აპყურებდნენ. ასე იყო ოდით, პალეოლითის ხანის ჩათვლით. მოსემაც ტარიგის სისხლი აპყურა თავის ხალხს, როდესაც განახორციელა მისი კავშირი ღმერთთან; ხოლო იმ ღამეს, პირველი საუკუნის ოცდამეათე წლის გაზაფხულის ღამეს, იესო ქრისტე მსხვერპლად აღავლენს ღვთით ბოძებული თავისუფლების სამადლობელს და მსხვერპლი იგი არის უსისხლო — ბარძიში ღვინით და პურით. იესო უწილაღებს პურს თანამეინახეთ და იტყვის: „ესე არს ხორცი ჩემი“, როგორც კრავი სამსხვერპლო. შემდეგ ჩამოატარებს ბარძიშს და იტყვის: „ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა, მრავალთათვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა“. ამრიგად, ამ წმინდა ტრაპეზის დროს ღმერთი და კაცი დაკავშირდა არა ფიზიკური სისხლით, არამედ სიმბოლურად, რადგან ვაზის ნაჭური — ღვინო არის მიწიერი სისხლი, ხოლო პური — ხორცი მიწიერი. ბუნება, კაცთა მარტენალი, იგივე ღმერთია ადამიანისათვის შეწირული. ასე აღავლენს იესო ქრისტე მსხვერპლს და იმ წამიდან, იმ კურთხეული ღამიდან მოყოლებული ბარძიში არ იცლება და სრულდება ევქარისტია, ნიშანდობლივი ყველა მიმართულების ქრისტიანობისათვის, ყველა ეკლესიისა და სექტისათვის.

ქრისტემ ახალი მორალი აუწყა ადამიანს — „მცნებასა ახალსა მოგცემ თქვენ, რაითა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქვენ“. მანამდეც იყო მცნება სიყვარულზე, იყო მოსეს სიტყვები: — „გიყვარდეს მოყვასი, როგორც თავი შენი“, მაგრამ ქრისტემ მას სრულად ახალი მნიშვნელობა, ახალი დატვირთვა მიანიჭა — როგორც მე შეგიყვარეთო თქვენ. კაცობრიობის სიყვარულში მისაგლინა იგი ცოდვილ, სისხლიან მიწაზე და კაცთა შედის ზიარ ჰყო. მისი სიყვარული საკუთარი თავის მსხვერპლად აღვლინება. ამიტომ ამბობს იგი: ვისაც სურს ჩემს კვალს გააყვეს, დაე უარყოს თავი თვისი — არა პიროვნულობა, რომელიც წმინდათაწმინდაა, არამედ თავისი პირადული, ცრუმამკვიდრებელი, კანონი „მე“, აღილოს ჯვარი და შემომიდგეს მე.

ქრისტე მოუწოდებს ადამიანს ღვთაებრივი იდეალის განხორციელებისაკენ. სიბეცეა იმის ფიქრი, რომ ქრისტიანობა უკვე იყო, რომ იგი სრულად განხორციელდა IV ს-ში ან XIII ს-ში და ა. შ. ქრისტიანობამ ჯერ მხოლოდ პირველი გაუბედავი ნაბიჯები გადადგა კაცთა მოდგმის ისტორიაში. უამრავი მისი სიტყვა კვლავაც მიუწვდომელია ჩვენთვის, რადგან დღესდღეობით ჩვენ ჯერ კიდევ... ნეანდერტალელები ვართ სულიერად.

სახარების ისარი მარადისობას ემიზნება, ქრისტიანობის ისტორია კი ეს ესაა დაიწყო. ის, რაც ადრე იყო, რასაც ჩვენ ქრისტიანობის ისტორიას ვუწოდებთ, არის მხოლოდ და მხოლოდ ცდა მისი განხორციელებისა.

თქვენ იტყვიან: — კი, მაგრამ ჩვენ გვყავდა ანდრეი რუბლიოვი და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი ცნობილი თუ უცნობი ხატის მწერალი თუ მარტვილი. დიახ, იყვნენ წმინდანებიც, წინამორბედნიც, რომელთაც სისხლის, ცრემლის და ბიწიერების ზღვა დაძლიეს და სწორედ ამ მრუბე ფონზე დაილანდა უნაზესი, ფეერული, ღვთაებრივი „სამება“. ალბათ ამ კონტრასტის ხაზგასმა იყო ტარკოვსკის ფილმის „ანდრეი რუბლიოვის“ ზეამოცანა. წარმოიდგინეთ: ომი, დალატი, წამება, მოძალადეობა, ველურობა.

ქეშმარიტად, თუ ღვთაებრივი დამლით არა ხარ აღბეჭდილი, ამგვარ გარემოში მხოლოდ და მხოლოდ გოიასებურ „კაპრიზოს“ თუ შექმნი. რუბლიოვმა კი ღვთაებრივი ბილვა ტაძრის კედელზე გადაიტანა. მისი შემოქმედების სათავე სულიერ სამყაროშია და არა აქ, ფიზიკური თვალის საწიერზე.

ქრისტიანობა არის ახალი ცხოვრება (და არა ახალი ეთიკა). ამ ახალ ცხოვრებას ადამიანი ღმერთთან უშუალო შეხებად მე მიპ

ყავს. სწორედ ეს არის ახალი კავშირი, ახალი აღთქმა. იმავდროულად ის საიდუმლოებაცაა. რატომ იზიდავს კაცობრიობას ასე ძალუძარ იესო ქრისტეს პიროვნება? ვიცით, თუ რაოდენ დამდაბლებული შემოვიდა იგი ამ ცხოვრებაში. ადგილი არ ჰქონდა ბრძენთათვის დამახასიათებელ ეზოთერულ იდუმალებას ან აღმოსავლური ფილოსოფიის პოეტურ ეგზოტიკურობას. ყოველი მისი სიტყვა იყო სადა, ნათელი. მისი იგავნი ჩვეულებრივი ცხოვრებისეული მაგალითებია. მისი საიდუმლოება ლაკონურად იხსნება იოანეს სახარებაში. ფილიპე ამბობს: „უფალო, მაჩუენე ჩვენ მაში შენი და კმა არს ჩუენდა“. — ის, ვისაც ბერძენები უწოდებდნენ თავდაპირველ არქეს, სად არის იგი? და მიუგებს იესო — „ესოდენ უამს თქუენ თანა ვარ და არა მიცი მე, ფილიპე? რომელმან მიხილა მე, იხილა მაში ჩემი“. მსგავსი რამ არცერთ მოკვდავს არ წარმოუთქვამს. ამ სიტყვების გამო მრავალმა ატყია მას ზურგი და აღშფოთებით გაეცალა, რადგან ეს იყო გამოწვევა მათთვის, ვისაც არ შესწევდა უნარი ამოეცნო ის განსაკუთრებული საიდუმლო, რომლის პირდაპირ ფორმულირებას ქრისტე არასდროს არ იძლეოდა, იგი მხოლოდ კითხვას დასვამდა: „რაი თქუან ჩემთვის კაცთა ძისა კაცისა ყოფად?“, „თქუენ ვინ გგონიე მე ყოფად?“. „მიუგო სვიმონ-პეტრე და რქუა მას: შენ ხარ ქრისტე, ძე ღმერთისა ცხოველისაი“. აქ უკვე შინაგანი წვდომის გამოცდილებაა საჭირო, რადგან ქრისტე დღესაც იგივე კითხვით მოგვმართავს, დღესაც ყოველი ჩვენგანის მომართ ამ კითხვას ღაღადებს. ქრისტე იესო არის უსასრულობის, გამოუთქმელის, ამოუცნობელის, ამოუხსნელის ადამიანური ხატი. ლაო-ძი ამბობდა: „სახელი, რომელსაც ჩვენ არ წარმოვთქვამთ, არის მარადიული სახელი“. დიად, სწორედ სახელდაუდებელი, თვალშეუდგამი განკაცნა, ადამიანის სახელი ეწოდა და შემოგვიდგა ჩვენ, ცოდვილთ, ცხოვრების უღელში. აი, ეს არის ღერძი და ცენტრი ქრისტიანობისა.

როდესაც სახარებიდან მოციქულთა საქმეზე და ეპისტოლეებზე გადავდივართ, ყურადღებას იპყრობს ახალი აღთქმის მეორე პიროვნება. როგორც ერთი ფრანგი მკვლევარი ამბობდა, ახალი აღთქმა ორ ბიოგრაფიას მოიცავს, იესო ქრისტესი და მისი მიმდევარის პავლე თარსანელისა. თარსანელი პავლე უთუოდ აღემატებოდა მოციქულებს და მაინც, სახარებიდან ეპისტოლეებზე გადასვლისას, თითქოს ზეციდან მიწაზე ეშვები. პავლე იყო უდიდესი ტალანტისა, სულიერი სიძლიერისა და უაღრესად განსწავლული ადამიანი. მისი ნაწერები მაღალი პიროვნულობის ნიშნითაა

აღბეჭდილი. ეპისტოლენი გულით დათხეული სისხლის წვეთებითაა ნაწერი, მაგრამ სახარებასთან მათი შედარება ძნელია, რადგან სახარების წინა პლანზეა ის ხატსახე, რომელსაც მოციქულები უშუალოდ ხედავდნენ, ეხებოდნენ. სახარებაში ღმერთია განცხადებული, ეპისტოლეებში კი ფიგურირებს ადამიანი — პავლე.

მაშ რატომ არის პავლეს პიროვნება ეგოდენ მნიშვნელოვანი, რატომ დააყენა იგი ეკლესიამ იესო ქრისტეს გვერდით ახალ აღთქმაში, რატომ არის ეპისტოლეთა უძრავლესობა — თოთხმეტი, მისი დაწერილი? უმთავრესი მიზეზი გახლავთ ის, რომ მოციქულ პავლეს იესო ქრისტეს მიწიერი ხატი უშუალოდ არ უხილავს, თუმც არსებობს პიპოთეზები, რომ შესაძლოა ისინი ერთმანეთს სადღაც შეპყროდნენ. მართალია, პავლე მცირე აზიაში დაიბადა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ წლებში, მაგრამ იერუსალიმში სწავლობდა და იესოსაც სწორედ მაშინ უნდა შეხვედროდა, თუმც, სინამდვილესთან უფრო ახლოა, რომ მათ ერთმანეთი არ უნახავთ და სწორედ აქ უნდა ვეძებოთ მიზეზი იმ დიდი დაინტერესებისა, ეკლესია რომ იჩენს პავლეს მიმართ, რამეთუ არც ჩვენ გვიხილავს ხატი იესოსი. მაგრამ პავლეს იესო ქრისტე ისეთი ძალით გამოეცხადა, რომელიც განუზომლად სჭარბობს ჩვეულებრივ მიწიერ შეხებას. ფიზიკური თვალთ ქრისტეს მისი მტრებიც ხედავდნენ, იქნებოდა ეს ფარისეველი, მწიგნობარი თუ პილატე, მაგრამ ეს მათთვის ხსნა არ იყო. ხოლო პავლემ — თავდაპირველად ქრისტიანობის მტერმა — მას შემდეგ, რაც ქრისტე გამოეცხადა დამასკოს გზაზე და მოციქულად მოაქცია, შეცვალა არა მარტო საკუთარი ბედი, არამედ ადრინდელი ეკლესიის ბედიც მთლიანად, რადგან სწორედ პავლე გახდა ერთ-ერთი იმათთაგანი, ვინც სახარება სირიიდან და პალესტინიდან ლამის მთელს ქვეყანას ამცნო. მას წარმართთა მოციქული, ან ხალხთა მოციქული შეარქვეს. იუდაიზმზე აღზრდილმა კარგად იცოდა ის ქეშმარიტება, რომ ღმერთთან შერწყმა შეუძლებელია, რომ აღმოსავლელი კაცი ძირეულად ცდება, რადგან ექსტაზს მიიჩნევს აბსოლუტთან შერწყმად მაშინ, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ ეხება ღმერთს.

ღვთაებრივ წიაღში მარადიული ცეცხლი გიზგიზებს. მას ვერ შეერწყმები, შემოქმედსა და შენაქმენს შორის უფსკრული ძევს, როგორც აბსოლუტსა და პირობითს შორის, მაგრამ არსებობს მათი შემაკავშირებელი ხიდი. ეს ცხადლივ იგრძნო პავლემ, რადგანაც იხილა ქრისტე და შინაგანად შეენიეთა მას, უსაზღვრო სიყვარულით შეითქვა მასთან, მისი ვნებანი განიცადა როგორც საკუთარი

ხვედრი, მასთან ერთად დალია სული ჭვარზე და აღსდგა მასთან ერთად. იგი ამბობდა: „ამიერიდან არა მე, არამედ ქრისტე ცხოვრობს ჩემში“.

შეუძლებელია ღმერთთან შერწყმა, ღმერთგაცთან შერწყმა კი ძალუძს ადამიანს, რადგან ქრისტე ორ სამყაროს ეკუთვნის ერთდროულად — მიწიერსა და ზეციერს, ამა სიბრძნეს ემყარება ქრისტიანული ორიენტაცია დაწყებული პავლედან, ვიდრე დღემდე. მხოლოდ ძე აკავშირებს ადამიანს მამასთან, „მე ვარ კარი ცხოვართაი“, — ამბობს უფალი, მე ვარო ზეცის კარიბჭე.

ქრისტიანულ ლოცვებსა და აღმოსავლურ მანტრებს შორის არსებობს გარკვეული მსგავსება. მათ შორის შესაძლებელია პარალელის გავლება, მაგრამ, თუ გავიხსენებთ ქრისტიანობის უმთავრეს ლოცვას; — „ლოცვას იესოსი“, რომელშიც მრავალგზის მეორდება დაბადებული, ჭვარცმული და აღდგენილი ღმერთის სახელი, ნათელი გახდება, რომ ლოცვის ქრისტიანულობა რადიკალურად განასხვავებს მას ყველა მედიტაციისა და მანტრისაგან, რადგან ამ ლოცვაში ხორციელდება შეხვედრა. დიან, არა აზრის კონცენტრაცია, ან ჩაძირვა სულიერების ოკეანეში, არამედ შეხვედრა პიროვნებისა იესო ქრისტესთან, რომელიც თავს ადგას მთელს სამყაროს და ჰგვის ჩვენს შორის.

პლატონმა შესანიშნავი დიალოგები დაგვიტოვა, მოსემ სჯულის ფიცარზე აღბეჭდა ათი მცნება, მოპამედმა ყურანი შექმნა. იესო ქრისტეს კი ერთი სტრიქონიც არ დარჩენია; მას არც ორდენი დაუარსებია ბუდას მსგავსად, მაგრამ მან თქვა: „აჰა ესერა მე თქვენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“, ხოლო მოციქულებს, მასთან განშორების ფაქს, მარადიული წინასწარმეტყველება მიადგება: „არა დაგიტევნე თქვენ ობლად, არამედ მოვიდე თქვენდა“. ეს სიტყვები ცხადდება დღეს, საუკუნეებით მონაგარი ქრისტიანული გამოცდილება ამ სიტყვებზე დაწყებული. სხვა დანარჩენი ამასთან შედარებით მხოლოდ ზედაპირული შრეებია, ხოლო ხატები, რომელზედაც ლოცულობს ქრისტიანი, სხვა რელიგიის ხატსახეებს ჩამოგავს.

რელიგია კულტურის ნაწილია, იგი აღმოცენდება მაშინ, როდესაც ადამიანის სული აღტყინებული მიილტვის მარადისობისაკენ. ქრისტიანობაში კი ღვთაებრივი ნაკადი ზეციდან მიწაზე მოედინება. ჩვენი საუკუნის ერთმა მკვლევარმა თქვა: „ქრისტიანობა არის არა ერთ-ერთი რელიგიათაგანი, არამედ ყველა რელიგიის კრიზისი“. იგი გვირგვინად ადგას

ყველას და ყოველთა, რადგან, პავლეს სიტყვებს თუ გავიხსენებთ: „არცინ გადარჩება კანონით, არამედ რწმენით მაცხოვრისა იესო ქრისტესი...“

დასასრულ, მინდა ეს ფრაზა განვმარტო. რას ნიშნავს საქმენი კანონისანი? ეს არის რელიგიური წეს-ჩვეულებანი, საჭიროა ისინი? დიან, საჭიროა სოგორც აღმზრდელობითი საშუალებანი. ისინი ხალხის მიერაა შექმნილი, მუდმივი ქრძნული განჭვრეტით, ზოგჯერ სწავლებული მიმბაძველობით, ზოგჯერ შეცდომით, ზოგჯერ კი ღვთის ჩაგონებით და ყოველთვის შეესაბამება სულიერი და გონებრივი განვითარების გარკვეულ ფაზას, მაგრამ ხსნა მდგომარეობს დროებითი, ეფემერული ცხოვრების შეერთებაში მარადისობასთან, ღმერთთან. ხსნა ნიშნავს ღვთაებრივ ცხოვრებასთან ზიარებას და ეს წყურვილი ხსნისა ყველა ადამიანში ჰგვის, ყოველ ჩვენგანშია ჩაბეჭდილი, თუმცა ჩვენ ჩვენი ცნობიერებით მას ვერ ვეხებით. მოციქული ამბობს, რომ კანონი წმიდათა-წმიდაა. დიან, ძველი აღთქმისმიერი კანონი წმინდაა და მადლიანი, მაგრამ ღვთაებრივ ცხოვრებას ადამიანი მხოლოდ იესო ქრისტეს აღიარებითა და რწმენით ეზიარება.

ასე და ისე, რას ნიშნავს რწმენა იესო ქრისტესი? რწმენა იმისა, რომ ის ცხოვრობდა მიწაზე, არ არის რწმენა — ეს ცოდნაა, მის თანამედროვეებს აბსოლდით იგი, ევანგელისტებმა მისი არსებობის სარწმუნო საბუთი დაგვიტოვეს, დღევანდელი ისტორიკოსიც დაგეთანხმებათ, რომ ნამდვილად იყო ასეთი პიროვნება. სხვადასხვა პროპაგანდისტების მცდელობა იმის თაობაზე, რომ ქრისტე მხოლოდ და მხოლოდ მითია, დიდი ხანია მტვერივით წარიხვეტა და მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში სიბაზინჯეთა ნაკრძალში — შემორჩა. მაშ რა არის რწმენა იესო ქრისტესი, თუკი მისი არსებობის აღიარება, ან რწმუნება იმისა, რომ იგი სხვა სამყაროდან მოგვევლინა, არის სიშარტლე, მაგრამ საბოლოოდ მაინც თეორიაა და სხვა არაფერი. აქ ჩვენ უნდა გავიხსენოთ ის რწმენა, რომელიც დეკლარირებულია ძველ აღთქმაში: ნდობა ყოფიერების მიმართ. ის ნდობა იშვა მაშინ, როდესაც აბრაჰამმა თანხმობა აღუთქვა ღმერთს, უფრო სწორად, უთქმელად, ქედმოხრით მიენდო მის ნებას.

ძველბერძნულში სიტყვა „რწმენა“ უდერს ასე — „ემუნა“, სიტყვიდან „ომენ“ — ერთგულება. ეს ორი მცნება ძალზე აბლოა ერთმანეთთან. ღმერთი ერთგულია თავისი დაპირებისა, ადამიანი ერთგულობს ღმერთს. ცოდვილია, სუსტია ადამიანი და მაინც ღვთის ერთგულია. იღუმალი, მრისხანე, უსამანო, შორეული და მიუწვდომელი

ღმერთის ერთგული. მაგრამ ქრისტე სხვაგვარად წარმოგვიდგენს ღმერთს. იგი თითქმის ყოველთვის მამად მოიხსენიებს მას და მიწიერ ცხოვრებაში საამისოდ იყენებს აღმოსავლეთში გავრცელებულ სიტყვას, რომლითაც ბავშვები მიმართავენ მამას. ეს სიტყვა ნანია და საალერსო, იგი არ ითარგმნება, მაგრამ ეს ასეა. ქრისტე წარმოგვიდგენს ღმერთს, როგორც ზეციერ მამას და ამით აერთიანებს ადამიანებს, როგორც უფლისმიერ და-ძმებს, რამეთუ და-ძმად იწოდება ის, ვისაც საერთოდ მამა ჰყავს...

და აი, საბარების საიდუმლოც: სრულიად კაცობრიობის სულიერი მამა — ღმერთი და ქრისტეს გარდახსნილი გული.

ყოველმა ჩვენგანმა იცის, თუ რაოდენ უმწეოა ადამიანი, როგორ არის გახლართული ცოდვაში, რაოდენ მკვიდრად ბუდობს მასში ათასი ჯურის კომპლექსები, მაგრამ არსებობს ის ძალაც, რომელიც ქრისტემ დაგვიტოვა დედამიწაზე. ეს ძალა არის უფლის საბოძვარი კაცთა მიმართ. მას ასევე ჰქვია — მადლი, რომელსაც გიბოძებენ არა ღირსყოფით, არამედ ძღვნად, ნობათად მართალია, ადამიანი დიდის რუდუნებით უნდა ესწრაფვოდეს სრულყოფას, უნდა განუდგეს ცოდვას, მაგრამ, როგორც იტყვიან, ჩვენ თვითონ საკუთარ თავს თმებით ვერ ავწევთ; ჩვენი მცდელობა მხოლოდ მოძამზადებელი ეტაპია. აქ არის მხოლოდ ძირეული სხვაობა ქრისტიანობასა და იოგას შორის. ამ უკანასკნელს მიაჩნია, რომ ადამიანს ძალუძს ღმერთამდე ასვლა, საკუთარი სურვილითა და მეცადინეობით ღმერთთან მიახლება. ქრისტიანობა კი გვასწავლის: — შენ შეგიძლია სრულყოფა, მაგრამ ღმერთამდე ვერ მიაღწევ, ის თავად უნდა გეწვიოს. აქ მადლი აღემატება კანონს. კანონი მხოლოდ პირველი საფეხურია რელიგიისა, იგი ბავშვობიდანვე მოქმედებს — ეს შეიძლება, ეს არ შეიძლება და ა. შ. საჭიროა ეს? უდაოდ საჭიროა, მაგრამ აი, კანონი მთავრდება და ღმერთთან შეხების შინაგანი მცდელობის მეშვეობით მოდის მადლი ეს ახალი ცხოვრებაა. მოციქული პავლე ამბობს: ბევრს ბჭობენ ერთმანეთში, ერთნი ძველ წეს-ჩვეულებებს აღიარებენ, სხვანი ეწინააღმდეგებიან მათ. ბოლოს და ბოლოს, არც ერთია მთავარი, არც მეორე. მთავარია ახალი რწმენა, სიყვარულით ნაგზნები. აი, ეს არის ქრისტიანობის

ქრისტიანობა. ყველაფერი დანარჩენი ისტორიული გარსია, ჩარჩო, ანტურაჟი, ის, რაც კულტურას მიეკუთვნება.

მე ვლაპარაკობ ქრისტიანული რწმენის არსზე. განუსაზღვრელია ადამიანის როგორც პიროვნების ფასი: ახალი აღთქმა პაწია რკოდან ამოხილული მუხის მსგავსად იზრდება, ძალას იკრებს, იგი ჩვენი ისტორიის დერიტაა. სასუფეველი დღისა დღეს უკვე ჩვენს შორის ჰგვის, როდესაც გვიყვარს, როდესაც თანაუფერძნობთ, როდესაც სიმშვენიერეს ვჭვრეტთ და აღვიტვამთ ცხოვრების სისავსეს. იგი გვესახება არა შორეული მომავლის იმედად, არა ფუტუროლოგიური ჭვრეტის საგნად, არამედ როგორც აწმყო, აქვე, ჩვენს გვერდით. ასე გვასწავლის იესო ქრისტე. სასუფეველი მოვა — და იგი უკვე მოვიდა, განკითხვის უამი მოვა-და იგი უკვე დაიწყო. „აწ არს სასჯელი ამა სოფლისაი“, ამბობს ქრისტე. აწ ესე იგი იმ უამიდან, როდესაც სახარება ამოითქვა. და კიდევ „და ესე არს სასჯელი, რამეთუ ნათელი მოვიდა სოფლად და შეიყუარეს კაცთა ბნელი ვიდრე ნათელი“. განსჯა დაიწყო ჯერ კიდევ გალილეაში. იერუსალიმში, მისი ქადაგებების დროს, გოლგოთაზე, რომის იმპერიაში, შუა საუკუნეების ევროპაში, რუსეთში, გრძელდება დღეს, XX საუკუნეში და ა. შ. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე. განკითხვა გრძელდება, რამეთუ ქრისტიანობის ცოცხალი ისტორია ის გახლავთ, რომ ისტორია, სამყარო ძე კაცის მხარდამხარ მოაბიჯებს.

თუკი ჩვენ ერთხელ კიდევ დავეკითხებით საკუთარ თავს, რაში მდგომარეობს ქრისტიანობის არსი? პასუხი უნდა იყოს შემდეგი: ქრისტიანობის არსი არის ღმერთკაცობრიობა, დროით დასაზღვრული ადამიანის სულის შერწყმა დაუსაბამო ღვთაებრივ სულთან, ეს არის გვაშის განწმენდა, რამეთუ იმ წამიდან ოდეს ძემ კაცისამ გაითავისა ჩვენი ტანჯვა, სიბარული, გარჯა, სიყვარული, ჩვენი ბუნება, გარემო, იმ წამიდან დედამიწამ ახალ საფეხურზე გაიშალა, განსპეტაკდა. ქრისტიანობა არის განწმენდა, ბოროტების დათრგუნვა, ცოდვის დაძლევა. ეს არის ღმერთის გამარჯვება. იგი დაიწყო აღდგომის ღამეს და გრძელდება აწ და უკუნისამდე. აი, ამით დავაამთავრებ ჩემს სათქმელს.





ქრისტიანული ბიბლიის დროს და ქრისტიანული XX საუკუნეში

კაცობრიობის მისტიკებიდან გოლგოთას მისტიკის გაგება ყველაზე რთულია. იგი იმართებისა და რთულია, ვინც გარკვეულ საფეხურს მიაღწია თეოლოგიურ განვითარებაში. ყველა კრეშტიანობიდან, რომელსაც ადამიანი ყბება, სწორედ ეს კრეშტიანობა ძალზე იოლად შეიძლება იქნას არასათანადოდ გაგებული. მისი სირთულე გაპირობებულია იმით, რომ გოლგოთას მისტიკია ერთადერთი მოვლენა იყო დედამიწის მთელს ევოლუციაში და იგი გახლდათ უდიდესი იმპულსი კაცობრიობის ევოლუციისათვის, რომელიც ადამიანის განვითარების მანძილზე მანამდე არასოდეს არსებულა და მომავალშიც მსგავსი სახით აღარასოდეს განმეორდება.

კაცობრიობა შედარებისათვის ყოველთვის ებრძვის გარკვეულ საზომსა და ნიშნებს, რათა მისი დახმარებით გაიგოს საგნის არსი, ჩასწვდეს მოვლენათა ვითარებას, მაგრამ თავისი ერთადერთობის გამო, რაც შედარების მიღმა დგას და რისი გაზომვაც შეუძლებელია, გოლგოთას მისტიკის გაგებაც, რა თქმა უნდა, ძალზე რთულია.

ახლა ჩვენ თეოსოფიური მოძრაობის ცენტრში გვიხდება მუშაობა და ვცდილობთ, გოლგოთას მისტიკია სხვადასხვა კუთხით განვიხილოთ.

მაგრამ განუწყვეტლივ შეიძლება სულ ახალი და ახალი ასპექტების წარმოჩინება და ასევე განუწყვეტლივ სულ ახალი და ახალი შტრიხები შეიძლება დაემატოს ამ უდიდესი მოვლენის დაბასიათებას, ყველაზე დიდი მნიშვნელობა რომ ენიჭება დედამიწის ევოლუციისათვის.

დღეს მისი გაგების ერთ თვალსაზრისზე ვილაპარაკებთ და აქ განსაკუთრებული

ყურადღება იმას უნდა დაეთმოს, რომ ჩვენს დროში, კაცობრიობის ჩვენეულ ახლიანდელ ციკლში, გოლგოთას მისტიკია შეიძლება გარკვეულწილად განახლებულად, აღორძინებულად წარმოჩნდეს.

უკეთეს გოლგოთას მისტიკის ნამდვილ გაგებას ვესწრაფვით, მაშინ არ შეიძლება იგი განხილულ იქნას კაცობრიობის მთელი ევოლუციიდან გამომდინარე მოვლენად, რომელიც მხოლოდ 3 თუ 30 წლის მონაკვეთით უნდა შემოიფარგლოს; უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ იგი მე-4 პოსტატლანტიკურ ეპოქაში მოხდა ე. წ. ბერძნულ-ლათინურ კულტურაში; იქვე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის ფაქტიც, რომ გოლგოთას მისტიკია ძველი ებრაელი ხალხის თანდათანობითი განვითარებით მზადდებოდა. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმას, რომ გოლგოთას მისტიკია კაცობრიობისათვის სახელდობრ მე-4 პოსტატლანტიკურ ეპოქაში მოხდა, არამედ განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ ფაქტიდანაც გამოსკვივის, რომ მას თანდათანობით ამზადებდა ძველებრადული კულტურა, სახელდობრ იეპოვას კულტი. ამ შემთხვევაში უპირველესი, რაც უნდა ვიცოდეთ, გახლავთ შემდგომი ვინ იყო ის არსება, რომელმაც ძველ-ებრაული ეპოქის დროს თავისი თავი იაბვედ ანუ იეპოვად გააცხადა?

ჩვენი დროის ადამიანი უპირატესად თავისი გონებითა და შემეცნების შესაძლებლობით გამოირჩევა. იგი ის არსებაა, რომელმაც ინტელექტი განავითარა და რომელსაც საგანთა წვდომა სწორედ ინტელექტუალური თვალსაზრისით ძალუძს, მაგრამ რაწამს ადამიანი იმ ზღურბლს

გადასცდება, რომელიც გრძნობად სამყაროს ზეგრძნობადისაგან ძყოფს, მაშინვე წყდება სინამდვილის მხოლოდ ინტელექტზე დამყარებული მისეული წვდომა. ადამიანის ინტელექტს მარტოოდენ დედამიწაზე ხელეწიფება კარგი სამსახურის გაწევა, თუმცა, როცა ადამიანი ზესფეროში გადის, ინტელექტი შეიძლება სასარგებლო ინსტრუმენტად ჩაითვალოს, მაგრამ ახალ ცოდნას ვეღარ შეგვძენს.

ინტელექტს უფრო სხვაობათა დაფიქსირება ეხერხება და საგანთა წვდომისათვის იგი გარკვეულ განსაზღვრებებს საჭიროებს. ვინც ხშირად ესწრება ჩემს ლექციებს, კარგად მოეხსენებათ, რომ ამ ლექციებში თითქმის სრულიად უგულვებელყოფილია განსაზღვრებები, დეფინიციები. რეალურობის შემეცნება განსაზღვრებათა შეშვეობით არ ხორციელდება. რა თქმა უნდა, არსებობს კარგი და ცუდი განსაზღვრებები — ერთნი დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს, მეორენი — არა. მაგრამ უკეთეს ადამიანს რეალობის, უპირატესად კი ზეგრძნობადი რეალობის, შემეცნება სურს, ისიც უნდა მოეხსენებოდეს, რომ შეუძლებელია მათი განსაზღვრა; აქ საჭიროა დახასიათებები; აუცილებელია ფაქტებსა და მოვლენებზე ყოველი კუთხიდან დაკვირვება.

განსაზღვრება ყოველთვის ცალმხრივია და იმ გაწამაწიას მოგვაგონებს, როცა ძველ საბერძნეთში, — ვისაც ანტიკური ლოგიკა უსწავლია — ერთ დროს თავს იმტკიცებდნენ, როგორმე განესაზღვრათ, რა არის ადამიანი. ადამიანის იდეის გამოსახატავად ასეთი განსაზღვრა წამოაყენეს: „ადამიანი ორფეხა უფროთ არსებაა“. მეორე დღეს ვიღაცამ გაპუტული ქათამი მოიყვანა და განაცხადა: აი, თქვენი ორფეხა უფროთ არსება, ეს არის ადამიანიო? ამ ამბავს ხშირად მაშინ იხსენებენ, როცა სურთ რაღაც ფილოსოფიურად რთული და მრავალმხრივი რამ განსაზღვრონ, მაგრამ არასაკმარისია თვითონ განსაზღვრა და საკითხის გადაწვევტა მხოლოდ დახასიათებებს საჭიროებს. მიუხედავად ამისა, ადამიანები რეალურ არსებათა — ზეფილოსოფიურ არსთა — განსხვავებისათვის აუცილებლად გარკვეულ განსაზღვრებებს საჭიროებენ, — რას წარმოადგენს სახელდობრ ეს არსება? — კითხულობენ ისინი. მაგრამ რაც უფრო ღრმად გავგრკვევით ზეგრძნობად სამყაროებში, აღმოჩნდება, რომ არსნი უფრო მრავალმხრივად არიან ერთმანეთზე გადაწულ-გადახლართული და მათეულ კავშირებს საზღვრები არა აქვთ; ასე რომ,

უდიდეს სირთულეს წარმოადგენს მათი რაიმე კუთხით გამოცალკეება.

უპირველეს ყოვლისა, იაპვეს ანუ იემპოვას სახელის განსახილველად გათვალისწინებულ უნდა იქნას მათელი ევოლუცია, განსაკუთრებით, როცა ამ სახელს ქრისტეს სახელს ვუსდგებთ, ახალ აღთქმაში, — და ჩემს წიგნშიც ხშირად აღძინიშნავს, — ქრისტემ თავისი თავი იაპვეში განაცხადა გოლგოთას მსხვერპლად. იემპოვასა და ქრისტეს ურთიერთშედარება რომ მოეახდინოთ, ამისათვის ყველაზე კარგი იქნება მზის ნათელი და მთვარის ნათელი წარმოვიდგინოთ. მართლაც, რა არის მზის ნათელი და რა არის მთვარის ნათელი? ისინი თითქმის ერთი და იგივეა, მაგრამ ამავე დროს ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მზის ნათელი მზიდან მოედინება, ხოლო მთვარის ნათელი იგივე მზის ნათელია, ოღონდ მთვარეზე არეკლილი. ასევეა ქრისტეც და იემპოვაც. ქრისტე მზის ნათელია, იემპოვა კი-თითქოს ქრისტეს არეკლილი ნათელია, რამდენადაც მან დედამიწას თავისი თავი გოლგოთას მსხვერპლად იემპოვას სახელით განუცხადა და მაინც, რაკი საკითხი ისეთ მაღალ არსს ეხება, როგორიც იემპოვა-ქრისტეა, მისი რეალური მნიშვნელობა უთუოდ ზეგრძნობადი სამყაროს უმაღლეს სფეროებში უნდა ვეძებოთ. ჩვენი მცდელობა — ჩვეულებრივი მსჯელობით მოვეახლოთ ისეთ არსს, როგორიც იემპოვა-ქრისტეა — უფრო პატივმოყვარეობას ჰგავს.

ძველი ებრაელები მისკენ მიმავალ გზას სირთულის გარე ეძიებდნენ.

ადამიანის აზროვნების ძალა სუსტია, მაგრამ მისი მეოხებით შეიძლება გამოიკვეთოს იდეა ამ მაღალ არსზე. ყურადღება უშუალოდ არა იემპოვასკენ იყო მიმართული (მისი სახელის ხსენებაც შეუძლებლად მიაჩნდათ), არამედ იმ არსებისაკენ, რომელიც დასავლურ ლიტერატურაში ცნობილია როგორც მიქელ (მიხელი). რა თქმა უნდა, ამ კონსტატაციაში გაუგებრობის დიდი საშიშროებაც მოიძვევება, მაგრამ ეს ასე გახლდათ. შეიძლება გვითხრან — ეს ქრისტიანთა ცთომილებას იწვევსო; სხვანი არც მოისურვებენ ამ ფაქტის ოდნავად მაინც ყურადღებას, მაგრამ ის არსება, რომელსაც მიქელს ვუწოდებთ და რომელიც მთავარანგელოზთა იერარქიას განეკუთვნება, აუცილებლად უნდა არსებობდეს. ბევრნი არიან სხვებიც, იმავე საფეხურზე რომ დგანან, მაგრამ იგი განსაკუთრებული

არსებაა, რომელსაც ეზოთერულად ეწოდება მიქელ და რომელიც ისე აღმატება თავის ძმებს, როგორც შუე — პლანეტებს.

მიქელი — ყველაზე ძლიერი, ყველაზე მნიშვნელოვანი არსებაა მთავარანგელოზთა იერარქიიდან. ძველებმა მას ღვთის სახე უწოდეს. როგორც თავის თავს ადამიანი ხელის მოძრაობასა და სახის მეტყველებაში განაცხადებს, ასევე მიქელის წყალობით შეიმეცნებოდა იეპოვაც. იეპოვა იმგვარად ევლინებოდა ხელდასხმულს, ეს უკანასკნელი მთელი თავის არსებით გრძნობდა, რომ მიქელი ღვთაების სახე იყო. ძველი ებრაელები მიქელ-იეპოვაზე ასე ამბობდნენ: იეპოვა მიუწვდომელია; მას ვერ შეეხები, ისე როგორც მწუხარებისა და ტანჯვის მიზეზს ადამიანის გამომეტყველებით ვერ ჩასწვდები. მიქელი იაბვეს ანუ იეპოვას გარე გამოხატულებაა, ისე ვითარცა „მე“-ს გამოვლინებას ადამიანის შუბლით ან პირსახით გრძნობენ.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იეპოვა ერთ-ერთი მთავარანგელოზთაგანის, მიქელის, სახით ცხადდებოდა. ძველი ებრაელებისათვის იეპოვას შემეცნება დაფარული არ გახლდათ. მოძღვრება მის შესახებ ფართოდ ისწავლებოდა. და, როცა, ჩვენს ერამდე, უკანასკნელ ხუთ საუკუნეს მიმოვიხილავთ, ყოველთვის იგი ცხადდება მიქელის სახით.

იგივე გამოცხადებას, ოღონდ სხვა ფორმით, პლატონშიც, სოკრატეშიც, არისტოტელეშიც — მთელს ბერძულ ფილოსოფიასა და ძველბერძულ ტრაგედიაშიც ვხვდებით მთელი ხუთი საუკუნის მანძილზე გოლგოთას მისტერიამდე.

უკეთეს ოკულტური შემეცნების წყალობით განვჭვრეტთ თუ რა ხდებოდა იმ დროს, აღმოვაჩინოთ, რომ ქრისტე-იეპოვა ის არსია, რომელიც ადამიანს მთელს ევოლუციაში თან სდევს. მაგრამ ქრისტე-იეპოვა ებოქათა უწყვეტ ციკლში სხვა არსებათა სახით ცხადდებოდა, რომლებიც მთავარანგელოზთა იერარქიას განეკუთვნებოდნენ. ეს არსი სხვადასხვა სახეს იღებდა კაცობრიობის წინაშე საუკუნეთა წიაღ-ამრიგად, ქრისტე-იეპოვასა და კაცობრიობას შორის მოციქულად სხვადასხვა არსებები იჩინებოდა მთავარანგელოზთა იერარქიიდან, და ადამიანს გარკვეული იდეები და კონცეფციები, გრძნობათა იმპულსები და სხვა მათი სახით ეცხადებოდა. ჩვენ შეგვიძლია ებოქა, რომელიც გოლგოთას მისტერიას წინ უსწრებდა, მიქელის ებოქად მოვიხილოთ, და დავინახავთ, რომ იგი იეპ-

ოვას მოციქულია.

გოლგოთას მისტერიის წინარე დროს, რომელიც 5 საუკუნეზე მეტხანს გრძელდებოდა და რომელსაც კაცობრიობა ცივილიზაციისაკენ მიჰყავდა, მიქელ მთავარანგელოზის ბეჭედი იქნა. თავისი ძალმოსილებითა და ურყვევ სიმტკიცით კაცობრიობაში მან დაამკვიდრა ის, რაც ამ დროისათვის უნდა გამოცხადებულიყო. იგი მთავარანგელოზთა იერარქიიდან, სხვა სულებმა შეცვალეს, რომლებიც ზე სფეროებიდან ასევე შთაგონებით მსქვალავდნენ კაცობრიობას.

მიქელი იყო მათგან ყველაზე დიდი, უძლიერესი და მნიშვნელოვანი. ასე რომ, მიქელის ებოქა ყოველთვის ყველაზე მრავლისმეტყველი, ან ერთ-ერთი გამორჩეულად მნიშვნელოვანი ებოქაა კაცობრიობის ევოლუციაში. მას დანარჩენ მთავარანგელოზთა ებოქები იმეორებენ და დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ საუკუნეს მთავარანგელოზები ანიჭებენ ძირითად ხასიათს. ისინი უპირატესად ერების წინამძღოლები გახლავან, მაგრამ რამდენადაც ებოქათა წინამძღოლებიც არიან, ამდენად მთავარანგელოზები, გარკვეული თვალსაზრისით, მთელი კაცობრიობის წინამძღოლებად გვევლინებიან.

უკეთეს მიქელ მთავარანგელოზს ევოლუციის ჩვენეული ციკლის გადასახედიდან შევხედავთ, რაღაც სხვაობასაც აღმოვაჩინოთ; თვითონ მიქელმაც გაიარა გარკვეული ევოლუცია და სწორედ ამას ენიჭება დიდი მნიშვნელობა: ოკულტური შემეცნების თანახმად, უკვე რამდენიმე ათწლეულია, რაც ჩვენ იმ ებოქაში შევედით, რომელსაც წარმართავს არსება, გოლგოთას მისტერიის ებოქას რომ შთაგონებდა. დიახ, მე-19 საუკუნის ბოლოდან, 1879 წლიდან, მიქელ მთავარანგელოზი ჩვენი დროის წინამძღოლად უნდა მივიჩნიოთ.

ეს რომ უკეთ გავითავისოთ, გოლგოთას მისტერიას სხვა კუთხითაც უნდა შევხედოთ: რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მისტერიაში? ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ არსებამ, რომელსაც ქრისტე ეწოდება, ამ დროს გოლგოთას მისტერია და სიკვდილის კარიბჭე განვლო, დედამიწის მთელი ევოლუციის მანძილზე ვერ ვილაპარაკებდით გოლგოთას მისტერიაზე, თუ მხედველობაში არ მივიღებდით ამ მისტერიის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს — ქრისტეს მიერ სიკვდილის კარიბჭის ვავლას.

აქ აუცილებელია, გარკვეული თვალსაზრისით, ბუნების კანონებს შევებოთ. ბევრ მათგანს, შეიძლება ითქვას, უკვე ვიცნობთ და ბევრიც დედამიწის შემდგომი ევოლუციის მანძილზე გამოაშკარავდება ჩვენი შემეცნების წყალობით. მაგრამ მხოცნებები ვიქნებოდით, უკეთეს არ ვალიარებდით, რომ წვდომა ს ი ც ო ბ ლ ი ს ა, რასაც იგი იდეალში წარმოადგენს, შესაძლებელია მხოლოდ განვიტარებოთ წყალობით და არა ბუნების კანონთა შემეცნებით. რა თქმა უნდა, დღეს დიდმა მხოცნებებმა რიცხვი, რომელთაც სწამთ, რომ მეცნიერული შემეცნების გზით თანდათანობით სიცოცხლის პრინციპიც გაირკვევა, — მაგრამ ეს დრო არასოდეს არ დადგება. დედამიწის ევოლუციის მანძილზე გრძობათა მეოხებით ბევრ კანონს აღმოაჩენენ, მაგრამ ფიზიკურ სამყაროში სიცოცხლის პრინციპი არასოდეს არ გაცხადდება; მისი წვდომა მხოლოდ ოკულტური ცოდნის წყალობით ხდება შესაძლებელი.

ამრიგად, სიცოცხლე დედამიწაზე შემეცნებისათვის მიუწვდომელია, და რამდენადაც სიცოცხლე ადამიანური ცოდნის მიღება, ამდენადვე გაუგებარი რჩება სიკვდილიც, რომლის წვდომაც ასევე მხოლოდ ზეგრძობად სფეროებში ხორციელდება. სიკვდილი ზეგრძობადი სამყაროს არცერთ სფეროში არ არსებობს; გარდაცვალება მხოლოდ ფიზიკურ სამყაროში, დედამიწაზე, ანდა დედამიწის განუთარების დონეზე მდგარ პლანეტაზეა შესაძლებელი; და არცერთმა არსებამ, ვინც იერარქიულად კაცობრიობაზე მაღლა დგას, არ იცის რაა სიკვდილი; მათ მხოლოდ ცნობიერების განსხვავებული მდგომარეობები იციან.

მათი ცნობიერება გარკვეული დროით შეიძლება იმდენად დაქვეითდეს, რომ ჩვენიული ძილის ცნობიერებას დაეშვაგაუსოს, მაგრამ ასეთი ცნობიერებიდან გამოღვიძება იოლია. სულიერ სამყაროში სიკვდილი არ არსებობს, იქ მხოლოდ ცნობიერების ცვლაა. მიცვალებულები, რომლებიც უკვე სულიერ სამყაროში ამალდნენ, აღარ განიცდიან იმ უდიდეს შიშს, სიკვდილის შიშს, ცოცხალი ადამიანები რომ გრძობენ. როდესაც ადამიანი სიკვდილის კარიბჭეს ვადის, იგი უკიდურესად მგრძობიარეა, მაგრამ ამ დროს მისი ცნობიერება ან მხოლოდ ბუნდოვანია, ან მხოლოდ ნათელი. დიდი შეცდომაა, როცა ფიქრობენ, რომ სულიერ სამყაროში ადამიანს ცნობიერება არ გააჩნია.

ასევე, სიკვდილი არც იმათთვის

არსებობს, რომლებიც მაღალ იერარქიებს განეკუთვნებიან — ჰრისტე ერთადერთი გამოჩაკლისია. მაგრამ სიკვდილის კარიბჭის გავლა რომ შესაძლებელი გახდეს იყო ისეთი ზეგრძობადი არსებისათვის, ვითარცა ჰრისტეა, იგი მიწაზე უნდა ჩამოსულიყო. და გოლგოთას მისტერეზე უკვე ხდებოდა მრავლისმეტყველია, როცა ჰრისტე, რომელიც თავის საკუთარ მეუფებასა და სიდიადეში ვერასოდეს ვერ განიცდიდა სიკვდილს, მიწაზე ჩამოვიდა, რათა სიკვდილის კარიბჭის გავლით ადამიანისათვის ნიშანდობლივი გამოცდილება მიეღო. და დედამიწაზე ადამიანსა და ჰრისტეს შორის შინაგანი კავშირი მხოლოდ იმის წყალობით დამყარდა, რომ მისმა არსმა, მთელი კაცობრიობის საერთო ბედის შესაცნობად და გასაზიარებლად, სიკვდილის კარიბჭე განვლო. უძირითადესი მნიშვნელობა სწორედ ამ სიკვდილს ენიჭება, განსაკუთრებით ჩვენი ახლანდელი, დედამიწისეული ევოლუციისათვის. ჩვენ ხშირად გვითქვამს, თუ რა მოხდა მაშინ დედამიწის ევოლუციისათვის. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ თავისი სიდიადით ერთადერთი არსი, რომელიც სიკვდილის კარიბჭის გაუვლელად მხოლოდ კოსმოსის კუთვნილებად დარჩებოდა, გოლგოთას მისტერიის წყალობით, ჯვარზე გარდაცვალებით, დედამიწის ევოლუციას დაუკავშირდა — დედამიწის ევოლუციაში იგი გოლგოთას მისტერიის დროს შემოვიდა. მანამდე იგი მიწაზე არ იყო, მანამდე მხოლოდ კოსმოსს ეკუთვნოდა. სწორედ გოლგოთას მისტერიის წყალობით იგი კოსმოსიდან დაეშვა და მიწაზე დაფუძნდა. მას შემდეგ, რაც მიწაზე იცხოვრა, თავისი თავი ისე დაუკავშირა დედამიწას, რომ დედამიწისეული კაცობრიობის სამშენებელში ცხოვრობს და ასე მონაწილეობს დედამიწის ცხოვრებაში.

მთელი გოლგოთას მისტერია მდელი დრო დედამიწის ევოლუციაში მხოლოდ მოსამზადებელი დრო იყო. გოლგოთას მისტერია მდელი დროს აზრი შესძინა, მისი არსებობა გაამართლა.

როცა გოლგოთას მისტერია მოხდა, იესო ნაზარეტელის მიწიერი სხეული დედამიწის სტიქიებს მიეცა; იმიერიდან ჰრისტე სულიერ სფეროებს დაუკავშირდა და იქ მკვიდრობს.

გოლგოთას მისტერიის აღწერა ძალზე ძნელია, რადგან ჩვენ შედარება არ გაგვაჩნია, მაგრამ შევეცდებით მას გარკვეული თვალსაზრისით მივუახლოვდეთ.

სამი წლის განმავლობაში, იორდანეზე

ნათლილებიდან მოყოლებული, ქრისტე კაცთა შორის, ვითარცა ერთ-ერთი მათთაგანი, დედამიწაზე იესო ნაზარეტელის სხეულში ცხოვრობდა. როგორ ვლინდება ქრისტე მას შერე, რაც, გოლგოთას მისტერიის დროს, მან ფიზიკური სხეული დასტოვა?

ქრისტეს არსება ჩვენ უნდა გავიაზროთ, ვითარცა უსაზღვროდ უზენაესი არსება, მაგრამ მიუხედავად ასეთი სიმაღლისა, მან მაინც შეძლო, იორდანეზე ნათლილების შემდეგ, სამი წლის განმავლობაში თავი ადამიანის სხეულით გამოეცვლინებინა, საკითხავია, როგორ ვლინდება იგი მას შერე?

რა თქმა უნდა, იგი უკვე ადამიანის ფიზიკური სხეულით არ ვლინდება, რადგან ის სხეული ფიზიკურ დედამიწას მიეცა და მის ნაწილს წარმოადგენს. ვისაც ოკულტური მეცნიერების დაუფლებით ხელეწიფება განჭვრეტა, მას ეს არსება დღეს ანგელოზთა იერარქიიდან ეცხადება. ისევე როგორც იორდანეზე ნათლილების შემდეგ, სამი წლის განმავლობაში, ქვეყნიერების მხსნელი ადამიანის სხეულით ვლინდებოდა (თუმცა ქრისტეს არსება ესოდენ დიდი სიმაღლისა გახლავთ), ასევე მას შერე იგი ვლინდება როგორც ანგელოზის არსება, ანუ როგორც ადამიანის არსებაზე ერთი საფეხურით ამაღლებული სულიერი არსება... ყოველთვის ასეთად განჭვრეტენ მას ნათელმზილველები და ყოველთვის ასე უკავშირდება გვი ევოლუციას, და როგორც სარწმუნოა ის, რომ იესო ნაზარეტელში განსხეულებული ქრისტე ადამიანს აღმატებოდა, ასევე უტყუარია ისიც, რომ ქრისტე აღმატება ანგელოზს — იგი მისი მხოლოდ დღევანდელი გარეგნული სახეა.

ამრიგად, ის ფაქტი, რომ უსაზღვროდ მაღალი არსება მიწაზე ჩამოვიდა და სამი წლის განმავლობაში ადამიანის სხეულში ცხოვრობდა, შეიცავს მეორე ფაქტსაც, რომ ეს არსება თავის—დღევანდელ ევოლუციაში ერთი საფეხურით ამაღლდა თავისი ნებით.

როცა ასეთი არსება ამგვარად მოქმედებს, როცა იგი ადამიანის ან ანგელოზის ფორმას იღებს, თავადაც გადის გარკვეულ ევოლუციას. ქრისტე-იეპოვას ევოლუციაში ამაზე მივუთითებდით, როცა ვაშბობდით, რომ ქრისტემ გარკვეულ განვითარებას მიადწია: ამიერიდან იგი ვლინდება უშუალოდ — და არა როგორც ადამიანის არსება, და არა როგორც ანარქული ანუ არეკლილი ნათელი, და არა იეპოვას სახელის ძალით.

ევოლუციაში შემოსული ყველა მოძღვრების, ყველა სიბრძნის განსხვავებულობა იქიდან იქმნება, რომ

მხოლოდ მიქელის სულის მობრძანებით დედამიწაზე, მხოლოდ მისეული ინსპირაციის წყალობით, ადამიანმა შეძლო დაეწყო გოლგოთას მისტერიის მთელი მნიშვნელობის თანდათანობითი წვდომა. მაგრამ მაშინ მიქელი მხოლოდ იეპოვას, ქრისტეს არეკლილი დიდების მაცნე გახლდათ; იგი ჯერ კიდევ არ იყო თვითონ ქრისტეს მესიტყვე.

მიქელ მთავარანგელოზთა კაცობრიობის მრავალი საუკუნე მთავაგონებდა — განსაკუთრებით კი გოლგოთას მისტერიამდე ხუთი საუკუნის მანძილზე, როგორც ძველ მისტერიებში ამაზე პლატონი და სხვებიც მიუთითებდნენ. მაგრამ, როცა გოლგოთას მისტერია მოხდა და ქრისტე დედამიწის ევოლუციას დაუკავშირდა, მიქელისგან წარმომავალი უშუალო იმპულსიც მალე შეწყდა. იმ ძველი ძეგლების შექმნის დროს, დღეს რომ სახარებათა სახით მოგვეძევება, კაცობრიობას მიქელის ინსპირაცია აღარ მსჭვალავდა. იმ დროს კაცობრიობას მთავარანგელოზთა იერარქიიდან ერთი მისი მათაგანი იმგვარად ინსპირირებდა, რომ ამ მთავაგონების წყალობით შეუგნებლად ბევრი მშუინვიერი ძალა იქნა აღქმული.

თვითონ სახარების ავტორებიც ვერ წვდებოდნენ ოკულტური ბონაცემების იმ სხვაობას, რომ გოლგოთას მისტერიის შემდეგ მიქელის უშუალო ინსპირაცია მალე დამთავრდა. მიქელის ძმები, სხვა მთავარანგელოზები, ისეთის ძალით ვეღარ ინსპირირებდნენ, რომ კაცობრიობას გოლგოთას მისტერიის წვდომა შესძლებოდა, სწორედ აქ უნდა ვეძიოთ იმდროინდელი მრავალი ქრისტიანული მოძღვრების ერთმანეთისგან განსხვავებული ინსპირაციების მიზეზი. ამ მოძღვრებებში ბევრი რამ მიქელის ძმათა მიერ იყო მთავაგონებული; ისინი მიქელის უშუალო იმპულსით არ შექმნილან და მისეულ ინსპირაციასთან ისეთ მიმართებაში იმყოფებიან, როგორისაშიც პლანეტები — მზესთან.

და მხოლოდ დღეს, ჩვენს დროში, ისევ განახლდა მიქელის უშუალო ინსპირაცია, რისი მომზადებაც მე-16 საუკუნიდან დაიწყო. მთელი ამ დროის მანძილზე კაცობრიობას ინსპირირებდა მიქელის უახლოესი თანამოსაგრე მთავარანგელოზი, რისი წყალობითაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმა დიდ განვითარებას მიადწია, თანამედროვეობის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აყვავება არა მიქელის, არამედ მისი ძმის — გაბრიელის ინსპირაციამ განაპირობა, მისეული მეცნიერული

ინსპირაცია მიზნად ისახავდა ისეთი ინსტიტუტის შექმნას, რომელიც შესაძლებელს გახდიდა მხოლოდ მატერიალური სამყაროს შემეცნებას და იგი ფიზიკურ ტვინთან იყო დაკავშირებული.

უკანასკნელი ათწლეულებიდან მეცნიერების ინსპირატორის ადგილს მიქელი იკავებს და ახლო საუკუნეებში იგი ისეთ რაღაცას დაუმკვიდრებს ქვეყნიერებას, რასაც, სულიერი თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან უფრო სულისძიერი და განუზომლად დიდი ღირებულებისა იქნება, ვიდრე ფიზიკური მეცნიერება, რომლის განვითარება მე-16 საუკუნიდან დაიწყო. ისე როგორც წარსულში გაბრიელ მთავარანგელოზმა ქვეყნიერებას მეცნიერება მისცა, ასევე მიქელ მთავარანგელოზიც მომავალში სულიერ ცოდნას დაგვიმკვიდრებს, რის დასაწყისშიც ჩვენ ახლა უკვე ვდგავართ. უკეთუ მიქელი იყო იეპოვას, ქრისტეს ანარეკლის, მაცნე გოლგოთას მისტერიამდე ხუთი საუკუნის მანძილზე, რათა იმ ეპოქისათვის სათანადო ძირითადი ტონი მიენიჭებინა, უკეთუ იგი მაშინ მხოლოდ იეპოვას მაცნე გახლდათ, ჩვენი დროისათვის მიქელი თვითონ ქრისტეს მესიტყვედ მოგვევლინა. როგორც ძველებრაულ ეპოქაში, რომელიც გოლგოთას მისტერიის უშუალო მომამზადებელი ეპოქა იყო, ძველი ებრაელი ხელდასხმულნი მიქელს, როგორც იეპოვას გამოვლენას, მიმართავდნენ, დღეს ასე უნდა მივმართოთ ჩვენც მიქელს, ახლა უკვე არა იეპოვას, არამედ როგორც ქრისტეს მესიტყვეს, რათა უახლოესი საუკუნეების მანძილზე სულ უფრო და უფრო მზარდი გამოცხადება მივიღოთ, რაც სულ უფრო და უფრო ღრმად ჩაგვახედებს გოლგოთას მისტერიის საიდუმლოებაში. იგი 2000 წლის წინ მოხდა, მაგრამ ქვეყანას სხვადასხვა ქრისტიანული წყაროებით ვუწყა, ხოლო მისი მთელი სიღრმე მხოლოდ მე-20 საუკუნეში გაცხადდება, როცა მეცნიერების ნაცვლად ჩვენზე სულიერი ცოდნა გარდმოვა, ვითარცა მადლი მიქელისა, და ჩვენს გულებს განუზომელი სიღრმის სულიერი გრძნობა ადავსებს. ჩვენ საშუალება მოგვეცემა ყოველივე იმ შეგნების წყალობით განვახორციელოთ, რომელიც მომავალი უახლოესი ათწლეულების განხვინილი კარიბჭიდან მოედინება.

მიქელს ხელეწიფება ახალი სულიერი ნათელი მოგვანიჭოს, რომელიც შეიძლება იმ გარდაქმნილ ნათლად მივიჩნიოთ, მის მიერ გოლგოთას მისტერიის დროს რომ

გადმოიღვარა. ჩვენი დროის ადამიანებს ძალუბთ ამ ნათლით შეიბოსონ. თუ ყოველივე ამას ჩაეწვდებით, იმ ახალი საუკუნის მნიშვნელობასაც გავიგებთ, რომელიც ჩვენ დროს იწყება, და შეეძლებთ სულიერი გამოცხადების იმ რიფრაჟსაც მიეწვდეთ, რაიც მიწიერი კაცობრიობის ცხოვრებაში უახლოეს საუკუნეებში გამოკიაფდება. კაცობრიობა რომ უფრო თავისუფლად მიეახლოს ყოველივე ამას, ვიდრე წინათ, ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩვენი თავისუფალი ნების განვითარებით დღეს უნდა მივიღოთ ეს გამოცხადება.

ახლა კი ზეგრძნობად სამყაროებში ის ვითარება მოვიხილოთ, რამაც გოლგოთას მისტერიიდან დღემდე ეს ცვლილება გამოიწვია. როცა უკან, პირველ საუკუნეში, ვიხედებით, ვიხსენებთ, თუ რა ხშირად ჩაედინებოდა ჩვენს სამშვიდველში ძალა, რაც იორდანეზე ნათლილების დღიდან ქრისტეს ადამიანური ფორმით, მაშინვე ჩვენთვის ხილული სახით გამოვლენამ აღძრა. ჩვენი სამშვიდველი ახლა იმ აზრითაც განვმსჭვალეთ, რომ, როცა ქრისტე — უკეთუ მის გარეგნულ ფორმას ვგულისხმობთ — ანგელოზთა იერარქიას დაუკავშირდა, იმ დღიდან იგი უხილავად ცხოვრობს დედამიწაზე.

გავიხსენოთ, რომ უხილავ სფეროებში სიკვდილი არ არსებობს, ხოლო მიწიერი ადამიანებივით თვითონ ქრისტემაც განვლო სიკვდილის კარიბჭე. და თუმცა იგი მას მერე სულიერი ყოფიერებით ცხოვრობს, მაინც შერჩა თავისი სიკვდილის მოგონება. მაგრამ, როგორც ანგელოზთა იერარქიის არსებას, როგორც ფორმითაც დღეს იგი გარეგნულად ვლინდება, გამოცდილება ცნობიერების ცვალებადობით ეფარგლება.

იმის გამო, რომ დედამიწის ევოლუციისათვის მე-16 საუკუნიდან აუცილებელი გახდა მეცნიერების განვითარება და თანდათანობით მისი ტრიუმფამდე ამაღლება, დედამიწის ევოლუციაში ამასთან ერთად შემოვიდა ისეთი რაღაცაც, რამაც უხილავი სამყაროებისთვისაც გარკვეული მნიშვნელობა იქონია. მეცნიერების აყვავებასთან ერთად, კაცობრიობაში იმაზე უფრო დიდ ინტენსივობას მიაღწია მატერიალისტურმა და აგნოსტიკურმა გრძნობებმა, ვიდრე წინათ. რა თქმა უნდა, მატერიალისტური მიმდინარეობები მანამდეც არსებობდა, მაგრამ უჩვეულოდ გაიზარდა მატერიალიზმის ინტენსიურობა მე-16 საუკუნიდან. სიკვდილის კარიბჭის გავლით სულ უფროდაუფრო ბევრ ადამიანს

სულიერ სამყაროში თან შეაქვს თავისი დედამიწისეული მატერიალისტური აზრებისა და შეხედულებების შედეგი. ასე რომ, მე-16 საუკუნიდან სულიერ სამყაროებში მატერიალიზმის სულ უფროდაუფრო მეტი თესლი განიზნა და გარკვეული თავისებურებით გადიოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტე ძველებრავლ ხალხში მოვიდა და ამით თავის სიკვდილს ეზიარა, და, მიუხედავად იმისა, რომ იგი დღეს ანგელოზური არსებაა ანუ იმ დროიდან ანგელოზის სახე ქრისტეს გარეგნული ფორმაა, ამ ცხრამეტი საუკუნის მანძილზე მან მაინც განიცადა ცნობიერების გაბუნდოვანება (ერთგვარი ცხრომა), რაც იმ მატერიალისტური ძალების შემოქმედების შედეგია, რომელმაც სულიერ სამყაროებში შეაღწია გარდაცვლილი ადამიანების მატერიალიზებული სამშენველების ცად ამალღების გზით. მაგრამ სულიერ სამყაროებში ამ არაცნობიერის შეღწევა მე-20 საუკუნეში გარდაისახება ქრისტეს ცნობიერების აღდგომად დედამიწაზე, ადამიანთა სამშენველებში, მათი დაბადებიდან გარდაცვალებამდე მოცემულ დროში. ახლა უკვე შეიძლება გარკვეულწილად იმისი წინასწარი თქმაც, რომ დაკარგული ადამიანური ცნობიერება გარდუვალად მოპოვებულ იქნება როგორც ნათელმხილველური ხილვა და მალე სულ უფროდაუფრო მეტი არსებები შესძლებენ მიადწიონ ეთერული ქრისტეს ანუ ქრისტეს ანგელოზის სახით ხილვას. კაცობრიობის ხარჯზე მოხდა ის, რასაც შეიძლება ცნობიერების ზრდა ვუწოდოთ იმ სამყაროებში, რომლებიც უშუალოდ ემიჯნება ჩვენს ადამიანურ სამყაროს — დიახ, იმ უახლოეს სამყაროებში, სადაც გოლგოთას მისტერიიდან დღევანდელ დღემდე ჩვენ ვტვრეტთ ქრისტეს.

უნდა ითქვას, რომ გოლგოთას მისტერიის დროს პალესტინის ნაკლებად-ცნობილ გუთხეში კაცობრიობისათვის მოხდა ყველაზე უდიდესი რამ, რაც კი ოდესმე მისი არსებობის მანძილზე მომხდარა; მაგრამ მას ძალზე იშვიათად აღნიშნავენ ჩვენს დროში. მაშინ არ უნდა გაგვიკვირდეს, უკეთუ გვეტყვიან, რომ მე-20 საუკუნეში ქრისტეს წინააღმდეგობას ისინი უწევენ, ვინც მე-16 საუკუნიდან სიკვდილის კარიბჭეს გადიან.

ქრისტეს განახლებული ცნობიერება შეიძლება დაკავშირებულ იქნას კაცობრიობის მიწიერ ცნობიერებასთან და, ჩვენი დროიდან დაწყებული, ნაცვლად ანგელოზთა სფეროში მე-16 საუკუნიდან

მოყოლებული მისეული ცნობიერების დაცხრომისა, მე-20 საუკუნეს შოაქვს აღმდგარი უშუალო ქრისტესმიერი ცნობიერება — ე. ი. ქრისტეს ცხოვრება სულ უფრო და უფრო აღიქმება ადამიანთა სამშენველებში, როგორც უშუალო პირადი გამოცდილება.

როგორც სწავლ. III საუკუნეებში მცირერიცხოვანთა ჯგუფს დროის გამოცხადებათა შეცნობა ხელეწიფებოდა და ძალუძდა გოლგოთას მისტერია განვქვრიტა როგორც რეალიზაცია იმისა, რომ ამალღებული უზენაესი არსება სულიერი სამყაროებიდან მიწაზე დაეშვა, რათა გაეელო სიკვდილის კარიბჭე და სიკვდილის წყალობით მისი სუბსტანცია დედამიწას შეერთებოდა. — ასევე ჩვენც ხელგეწიფება განვქვრიტოთ ერთგვარი სულიერი სიკვდილი ანუ ცნობიერების გაბუნდოვანება, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ფიზიკურ სამყაროსთან უშუალოდ მომიჯნავე სულიერ სფეროებში და ამის კვალდაკვალ ვალიაროთ გოლგოთას მისტერიის განახლების გარდუვალობა, რათა დედამიწაზე ადამიანთა სამშენველებში განხორციელდეს ქრისტეს მიმცხრალი ცნობიერების აღდგომა.

გოლგოთას მისტერიიდან მოყოლებული ადამიანთაგან მრავალს შესწევდა ძალა ქრისტე ექადაგა. ხოლო მე-20 საუკუნიდან სულ უფროდაუფრო გაიზრდება იმათი რიცხვი, რომლებიც შესძლებენ სხვათა დასამოძღვრავად ახსნან ქრისტეს არსი, როგორც ამას თეოსოფია გვამცნობს. ისინი ქრისტეს საკუთარი გამოცდილებიდან იქადაგებენ და გააცხადებენ.

ქრისტე ორჯერ ეცვა ჯვარს: ერთხელ ფიზიკურად — ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში, დედამიწაზე; მეორედ სულიერად — მე-19 საუკუნეში, როგორც ზემოთ აღვწერეთ. შეიძლება ითქვას, რომ უწინ კაცობრიობა მისი სხეულის აღდგომას განიცდიდა; მე-20 საუკუნიდან მოყოლებული იგი მისი ცნობიერების აღდგომას განიცდის.

ის, რაც მე მხოლოდ რამდენიმე სიტყვით მოვნიშნე, — თანდათანობით ადამიანთა სამშენველებში შეაღწევს, ხოლო შუაშაველად, მახარობლად მიქელ მთავარანგელოზი გვეყოლება, რომელიც დღეს ქრისტეს მესიტყვება. ისე როგორც იგი ადამიანთა სამშენველებს ოდესღაც განამზადებდა, რათა მათ ქრისტეს ცხოვრების ზეციდან მიწაზე გარდამოსვლა ეგრძნოთ, ასე დღესაც განამზადებს კაცობრიობას, რომ მან შეძლოს, განიცადოს ქრისტეს ცნობიერების შეუზღებელიდან

შეგნებულისაკენ წარმართვა. და ისე როგორც ქრისტეს მიწაზე ცხოვრების დროს მის თანამედროვეთა უპრაველესობას არ ძალუძდა ერწმუნა, რომ დედამიწის ევოლუციაში უდიდესი ძვრა მონდა, ასე ჩვენს დროშიც ისინი, რომლებიც ცდილობენ სულ უფრო და უფრო გაზარდონ მატერიალიზმის ძალაუფლება დედამიწაზე, ძალიან დიდხანს მიიჩნევენ ყოველივე იმას, რაც ეს-ეს არის ვთქვით, ფანტაზიად, ზმანებად და ზოგჯერ სისულულედაც კი. ასევე ექვის თვლით შეხედავენ სიმართლეს მიქელ მთავარანგელოზზე, რომელიც ისევ იწყებს ქრისტეს გამოვლინებას ჩვენს დროში. მიუხედავად ამისა, ბევრი ადამიანი აღიარებს ახალ ერად, რაც ახლა იწყება და რაც მომავალ საუკუნეებში ადამიანების სამშენებელთა წილ ვითარცა მზე აღმობრწყინდება — ხოლო მიქელ მთავარანგელოზის მზესთან მიდარება ნიადაგ ეგების, და ბევრმა მიქელის ახალი გამოცხადება რომც ვერ განჭვრიტოს, იგი კაცობრიობაში მაინც განიფინება.

აი, რა შეიძლებოდა თქმულიყო დღეს იმ ადგილის თაობაზე, რომელსაც გოლგოთას მისტიკა დაიკავეს ჩვენს დროში. მოდით, ეს გრძნობები ჩვენს საკუთრებად ვაქციოთ, რამეთუ ამის განხორციელება შეგვაძლებინებს ვიყოთ ნამდვილი თეოსოფები, თანდათანობით, შესაბამისად, სხვა გამოცხადებებიც მოგვეახლებიან, რომელთაც დღეს უნდა განვუმზადოთ ჩვენი სამშენებლები, მაგრამ განა ეგოისტურობად არ ჩაგვეთვლებოდა, უკეთუ ამ გრძნობებს, მხოლოდ ჩვენთვის, როგორც სანუკვარ სიხარულს, გადავინახავდით? უმჯობესია, თეოსოფიისაგან ჩვენდამი მონიჭებულ მაღალ მოვალეობად მივიჩნიოთ, ვიყოთ ამ გამოცხადებათა მოხალისე მოსაგრენი! და თუმცა ჩვენ მთელი კაცობრიობის უმცირეს ნაწილს წარმოვადგენთ, რომელიც მიილტვის ჩასწვდეს ახალ ჭეშმარიტებას გოლგოთას მისტიკის შესახებ, მიქელ

მთავარანგელოზის ამ ახალი გამოცხადების სრული შემეცნებით ჩვენ მაინც ვქმნით ახალ ძალას, რაც ამ გამოცხადებაში ოდნავადაც არ არის დამოკიდებული ჩვენს სისუსტეზე, არამედ სავსებით თვითონ გამოცხადებით, თვითონ ჭეშმარიტებით არის მთავარანგელოზი და გაპირობებული. *ერქმუნული*

მაშინ მთლიანად გრძნობიერდება იმას, რასაც ახლა მხოლოდ მცირეხი იუწყებიან კაცობრიობის შერჩისად, რამდენადაც ადამიანს ამის ყურადღება ძალუძს.

ჩვენი დროიდან იწყება ქრისტეს ახალი გამოვლინება — ჩვენ მზად ვართ ეს შევიმეცნოთ, ჩვენ გვსურს ვეკუთვნოდეთ იმ პატარა საქმოს, რომელიც ცდილობს ყოველივე ეს სულ უფრო და უფრო გაზარდოს და დააფუძნოს; ჩვენ გვსურს ამ გამოვლინების შინაგანი ძალა მოვიკრიბოთ, რათა იგი ისე განვფინოს დანარჩენ კაცობრიობას, რომ თანდათანობით მისი შემეცნება ყველამ შესძლოს.

ეს სწორედ ის ძალა გახლავთ, ჩვენ რომ სიბრძნეს ვუწოდებთ, ხოლო მავანნი სისულელედ მიიჩნევენ. უფრო ძვედრად რომ დავეფუძნოთ, დღეს უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი დრო მიქელ მთავარანგელოზის მეორედ გამოვლინების დროა და უნდა გვახსოვდეს, რა თქვა ძველ ხელდასხმულთაგან ერთ-ერთმა მიქელის პირველი გამოვლინების დროს: „ხშირად, რაც კაცთათვის სისულელეა, ღვთისათვის იგი სიბრძნეა“.

ვეცადოთ, ჩვენთვის მოვიწიოთ დღეს ძალა ამგვარი გრძნობებიდან, ამგვარი სულიერი შემეცნებიდან, სისულელედ რომ მიუჩნევიათ მავანთ, ვინც შემეცნებისას გრძნობადზე არიან დამოკიდებულნი — ხოლო ჩვენთვის ნათელს რომ წარმოადგენს და სულიერი სამყაროების, ზეგრძნობადის მკაფიო შემეცნება რომ ჰქვია, რასაც მთელი ჩვენი მშენებელი ძალითა და ჩვენული თეოსოფიური მრწამსით ვესწრაფვით.



ფრანგულიდან

თარგმნა სიმბილა ბელაძე



„უცხო“ განმარტება

ბატონ კამიუს „უცხო“ გამოქვეყნების-თანავე უდიდესი მოწონება დაიმსახურა. ყველას პირზე ეკერა, „ზავის“ შემდგომი ეპოქის საუკეთესო წიგნიაო“. მაშინდელ ლიტერატურულ პროდუქციაში ეს რომანი თვითონ იყო უცხო. იგი ჩვენამდე სადემარკაციო ხაზის გარედან მოვიდა, ზღვის გაღმა ნაპირიდან; და იმ დროს, როცა სუსხიანი გაზაფხული იდგა და ნახშირი არ იშოვებოდა, წიგნი მოგვითხრობდა მზეზე — არა როგორც ეგზოტიკურ საოცრებაზე, მზემოყოჩებულ ადამიანის გაბეზრებული ფაშილარობით; ბ-ნ კამიუს რომანი არ იძლეოდა ძველი რეჟიმის კიდევ ერთხელ დამხობის საკუთარ საშუალებებს, არც უღირსობის გრძნობას იღვივებდა ჩვენში: არც ერთი იყო მისი საწუხარი და არც მეორე. უბრალოდ, ამ წიგნის წამკითხველს ახსენდებოდა, რომ ძველადაც ყოფილა ნაწარმოებები, რომელნიც თავისთავად იყვნენ ღირებულნი და არაფერს ამტკიცებდნენ. ასეთი აზრი თვით ამ ნაწარმოებებში იყო გაცხადებული. ბ-ნ კამიუს რომანი უანგარო იყო, ოღონდ საკმაოდ ორკოფული! როგორ უნდა აღგვექვა პერსონაჟი, რომელიც დედის გარდაცვალების მეორე დღეს „ბანაობდა, იწყებდა უწყესრიგო ურთიერთობას ქალთან და იცინოდა კომიკურ ფილმზე“; კლავდა არაბს „მზის გამო“ და აღსასრულის წინა დღეს ამტკიცებდა, რომ „ბედნიერი იყო მანამდეც და მაშინაც“; რომელსაც სურდა, ბევრ სერიის მოყვარულს მოეყარა თავი ეშ-აფოტის ირგვლივ, რომ „ზიზღნარევი შექაზილით შეგებდნენ მას“? ერთნი

* იგულისხმება პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ზავი.

ამბობდნენ ამ პერსონაჟზე „ბრიყვი და საცოდავიაო“, უფრო წინდახედულნი კი — „უცოდველიაო“. თუმცა, საკითხავი იყო, რას ნიშნაუდა ამგვარი უცოდველობა.

„სიზიფის მითით“, რომელიც რამდენიმე თვით გვიან გამოქვეყნდა, ბ-ნმა კამიუმ მოგვცა ზუსტი განმარტება ზემოთქმული ნაწარმოებისა. მისი გმირი არც კეთილი იყო და არც ბოროტი, არც მორალური და არც ამორალური. ეს კატეგორიები პერსოს ვერ მივსადაგება; იგი იმ განსაკუთრებული მოდგმისაა, რომლისთვისაც მწერალმა აბსურდის სახელი შემოინახა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბ-ნ კამიუს კალამი ამ სიტყვას ორ განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებს: აბსურდი, ერთსა და იმავე დროს, არსებული ვითარებაც არის და ამ ვითარების ნათლად გაცნობიერებაც ზოგიერთი პიროვნების მიერ. „აბსურდის ადამიანია“ ის, ვინც მთავარი აბსურდულობისაგან განუბრელად სათანადო დასკვნებს აკეთებს; მოცემულ შემთხვევაში სიტყვა „აბსურდი“ ისეთივე აზრს იძენს, რასაც სიტყვა „სვინგი“, რომელიც სვინგის მოცეკვავე ახალგაზრდებსაც ნიშნავს. რას წარმოადგენს აბსურდი, როგორც არსებული ვითარება, როგორც საწყისი? სხვას არაფერს, თუ არა ადამიანის დამოკიდებულებას სამყაროსთან. უპირველესი აბსურდულობა გამოხატავს, პირველ რიგში, გათიშულობას: გათიშვას — მთლიანობისაკენ ადამიანის სწრაფვასა და გონებისა და ბუნების დაუძლეველ დუალიზმს შორის, მარადიულობისაკენ ადამიანის ლტოლვასა და მისი არსებობის დამთავრებად ხასიათს შორის, მის „ფაციფუცსა“ — რაც თვით ადამიანის არსს შეადგენს — და მისი ძალისხმევის ამაოებას შორის. აბსურდის უკიდურესობებია:

სიკვდილი, კემშარიტებათა და არსებათა
 ბლურალიზმი, რისი დაყვანაც ერთ
 ერთეულამდე შეუძლებელია, სინამდვილის
 შეუცნობადობა და შემთხვევითობა.
 სიმართლე რომ ითქვას, ეს არც ისე ახალი
 თემები გახლავთ და არც ბ-ნი კამიუ
 აცხადებს მათ ასეთებად. მსგავსი თემები
 უკვე აღინუსხა თავისებურად, მშრალი
 გონებით XVII საუკუნეში, ხასიათდებოდა
 წმინდა ფრანგული ლაკონურობით და
 კვრეტითი ხასიათი ჰქონდა; იგივე თემები
 შაბლონებად გამოიყენა კლასიკურმა
 პესნიმშიმმა. განა პასკალი არ მიგვითითებს,
 რომ „ჩვენი უსუსური, სასიკვდილოდ
 განწირული და სავალალო მდგომარეობა
 ბუნებრივი უბედურებაა და თანაც უნუგ-
 ეშო, თუ ამაზე უშუალოდ დაეფიქრდებით?“
 განა პასკალი არ მიუჩინა თავისი ადგილი
 გონებას? განა უყოყმანოდ არ
 დაეთანხმებოდა ის ბ-ნი კამიუს ფრაზას —
 „სამყარო არც (მთლად) რაციონალურია და
 არც იმდენად ირაციონალური?“ განა
 პასკალი არ გვიჩვენებს, რომ „ჩვეულება“ და
 „გართობა“ ადამიანს უნიღბავს „საკუთარ
 არარაობას, უსასობას, უკმარისობას,
 უძლურებას და სიცარიელეს?“ „სიზიფის
 მითის“ გაყინული სტილით, ესეების
 თემატიკით, ბ-ნი კამიუ იმ ფრანგ
 მორალისტთა ტრადიციების
 გამგრძელებელია, რომელთაც ანდლერმა
 სამართლიანად უწოდა ნიცშეს
 წინამორბედები; ხოლო რაც შეეხება იმას,
 რომ ბ-ნი კამიუს ეჭვი შეაქვს გონების
 ყოვლისშემძლეობაში, ეს უფრო ურანგული
 ეპისტემოლოგიის შედარებით ახალი
 ტრადიციის გამოძახილია. თუ გავიხსენებთ
 მეცნიერულ ნომინალიზმს, — ბუანკარეს,
 დიუპემს, მეერსონს, — უფრო გასაგები
 გახდება ჩვენი მწერლის საყვედური
 თანამედროვე მეცნიერების მისამართით:
 „თქვენ მელაპარაკებით უხილავ, პლანეტურ
 სისტემაზე, სადაც ელექტრონები ბირთვის
 გარშემო მოძრაობენ. სამყაროს
 წარმოსახვით მიხსნით. ვალიარებ,
 მეცნიერებიდან პოეზიამდე მისულხართ...“
 ამავე აზრს იზიარებს ბ-ნი კამიუს
 თანამედროვე კიდევ ერთი მწერალი,
 რომელიც იგივე წყაროებზე დაყრდნობით
 წერს: „(ფიზიკა) განურჩევლად იყენებს
 მექანიკურ, დინამიკურ და თვით
 ფსიქოლოგიურ მოდელებსაც კი, თითქოს
 ონტოლოგიური პრეტენზიებისაგან

თავისუფალი ფიზიკისათვის სულერთი
 გამხდარიყოს მექანიციზმისა თუ დინამიზმის
 კლასიკური ანტიომიები, რომელნიც
 გულისხმობენ ბუნებას თავის თავში“. ბ-ნი
 კამიუ ერთგვიანად კობტაობს, როცა მოპყავს
 ციტატები იასპერსის, ჰაიდეგერისა და
 კირკეგორის ტექსტებიდან, თუმცა ზოგჯერ
 თვითონაც არ ესმის კარგად მათი
 მნიშვნელობა. მისი ნამდვილი
 მასწავლებლები სხვაგან უნდა ვეძებოთ; ბ-ნი
 კამიუს მსჯელობის მანერა — ანტი-სენტიმენტალე,
 მისი ესეებისათვის დამახასიათებელი სტილი
 და ერთსა და იმავე დროს ნაღვლიანი და
 მზისმიერი ყაიდა, მწყობრი, ცერემონიული
 და სასოწარკვეთილი, გვაცნობს კლასიკოსს,
 ხმელთაშუაზღველს. მისი

ყველაფერი, მეთოდით გათავებული —
 („მხოლოდ ცხადისა და ლირიკის
 წონასწორობამ შეიძლება მიგვაახლოვოს
 ემოციასთან და სინათლესთან“) გვაგონებს
 პასკალისა და რუსოს ძველ, „ენებით სავსე
 გეომეტრიებს“, და გვახსენებს მორას, კიდევ
 ერთ ხმელთაშუაზღველს, თუმცა მორასაგან
 მაინც ძალიან განსხვავდება, უფრო, ვიდრე
 რომელიმე გერმანელი ფენომენოლოგისაგან,
 ან დანიელი ეგზისტენციალისტისაგან.

ალბათ, ბ-ნი კამიუ სიამოვნებათ
 დაეთანხმებოდა ზემოთქმულში, ოღონდ,
 მიაჩნია, რომ ორიგინალურია, რადგან თავის
 აზრებს ბოლომდე მიჰყვება. მართლაც,
 პესნიმისტური მაქსიმების შეგროვება არ არის
 მისი ინტერესის საგანი. ცხადია, აბსურდი
 არც ადამიანშია და არც სამყაროში, თუ მათ
 ცალ-ცალკე განვიხილავთ. მაგრამ, რადგან
 ადამიანის მთავარი დამახასიათებელი
 თვისება ისაა, რომ „იგი სამყაროში
 იმყოფება“, ბოლოს და ბოლოს, აბსურდი
 ადამიანის მდგომარეობაში ძვეს. ამიტომაც,
 იგი არ არის უპირველესად იმ უბრალო
 ცნების საგანი, რომლის მიხედვითაც
 აბსურდი წარმოიჩნდება გონების უნუგეშო
 სინათლის მოზღვავეების ეამს. „ადგომა,
 ტრამვაი, ოთხსაათიანი სამუშაო დღე
 დაწესებულებაში ან ქარხანაში, სადილი,
 ძილი, და ორშაბათი, სამშაბათი, ოთხნი
 ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი; ერთი და
 იგივე რიტმით...“ და მერე, უცებ,
 „დეკორაციები ინგრევა“, ჩვენ გვეუფლება
 უსასოო გონების სინათლე. ასეთ დროს, თუ
 უარს ვიტყვით რელიგიათა და ეგზისტენ-
 ციალურ ფილოსოფიათა თვალისამხვევ
 დახმარებაზე, გავიგებთ ზოგიერთ მთავარ
 კემშარიტებას: იმას, რომ სამყარო ქაოსია,
 რომ „ქაოსი ღვთიური წონასწორობაა,
 რომელიც ანარქიიდან იბადება“, რომ არ
 არსებობს ხვალისდელი დღე, რადგან

* მორის მერლო-პონტი, ფილოსოფოსი და
 ესეისტი.

ადამიანი კვდება. „უცხოად, ილუზიებისაგან და სინათლისაგან განძარცვულ სამყაროში ადამიანი უცხოდ იგრძნობს თავს. მისი ლტოლვილობა უნუგეშოა, რადგან არ ახლავს არც მოგონებები და კარგულ სამშობლოზე, არც იმედი აღთქმული ქვეყნისა“. ეს ხდება იმიტომ, რომ ადამიანი სამყარო არ არის. „რომ ვყოფილიყავი ხე ხეთა შორის... ამ ცხოვრებას ექნებოდა აზრი, ანუ ამ პრობლემას აღარ ექნებოდა აზრი, რადგან სამყაროს ნაწილი ვიქნებოდი. მე თვითონ ვიქნებოდი ეს სამყარო, რომელსაც ახლა მთელი ჩემი ცნობიერებით ვუპირისპირდები... სწორედ ამ უბადრუკი გონებით ვუპირისპირდები ყოველივეს, რაც კი შექმნილა“. ამგვარად, ნაწილობრივ გასაგები ხდება ჩვენთვის საინტერესო წიგნის სათაური: უცხო, ეს არის სამყაროს პირისპირ მდგარი კაცი: ბ-ნ კამიუს თავისუფლად შექმნილ თავისი რომანისათვის მიეცა ფორუჟ უსინგის ნაწარმოების სათაური „ლტოლვილობაში დაბადებული“. მაგრამ უცხო, ეს არის აგრეთვე ადამიანი სხვა ადამიანთა შორის. „...არის დღეები, როცა უცხოდ მოგეჩვენება ქალი, რომელიც გიყვარდა“. და ბოლოს, მე უცხო ვარ საკუთარი თავისადმი, ანუ სამყაროს შვილი ადამიანი გონებასთან მიმართებით: „უცხო, რომელიც რაღაც წამს სარკეში ჩახედვისას გამოგვეცხადება ხოლმე“.

გარდა ზემოთქმულისა, არსებობს აბსურდის გატაცებაც. აბსურდის ადამიანი თავს არ მოიკლავს, მას სურს სიცოცხლე ისე, რომ თავის არცერთ რწმენაზე არ იტყვის უარს, მას სურს იცხოვროს ხვალისდელი დღის გარეშე. აბსურდის ადამიანის თვითდამკვიდრება ამბობის გზით ხდება. ის ჯიუტად უსწორებს თვალს სიკვდილს და ამგვარი პიპნოზი ათავისუფლებს: მისთვის ცნობილია სიკვდილმისჯილის „ღვთიური უპასუხისმგებლობა“. ყველაფერი ნებადართულია, რადგან ღმერთი არ არსებობს და ადამიანი კვდება. ყველა გამოცდილება ტოლფასია, ჯობს, რაც შეიძლება მეტი რაღაცით გამოცდილების შექმნა. „მარად ცოცხალი სულის ადამიანის წინაშეა აწმყო და აწმყოთა უწყვეტი მიმდევრობა, ასეთია აბსურდის ადამიანის იდეალი“. ყველა ღირებულება ინგრევა „რაოდენობითობის ეთიკის“ წინაშე. აბსურდის ადამიანს, სამყაროში ჩაგდებულს, შეამბობეს, უპასუხისმგებლოს, „არაფერი აქვს დასამტკიცებელი“. ის უცოდველია. ისეთივე უცოდველი, როგორებიც არიან ს.მონემის მიერ აღწერილი პრიმიტივი ადამიანები პასტორის მოსვლამდე, რომელიც

შეასწავლის მათ კეთილსა და ბოროტს, ნებადართულსა და აკრძალულს: — მისთვის ყველაფერი ნებადართულია, ისეთივე უცოდველი, როგორც თავადი მიშკინი, „მცხოვრები უწყვეტ აწმყოში, რომელიც შეფერულია ღიმილითა და გულგრილობით“; უცოდველი, ამ სიტყვის ყველა გაგებით, გნებავთ „იდიოტი“. ახლა უკვე სავესებით გასაგებია ბ-ნ კამიუს რომანის სათაური. უცხო, რომლის დახატვაც მას სურს, ერთ-ერთი ამ საშინელ უცოდველთაგანია, რომელიც დაბრკოლებად ეღობება საზოგადოებას, რადგან უარს ამბობს საზოგადოების მიერ შემოღებულ წეს-ჩვეულებებზე. ის უცხოთა შორის ცხოვრობს და თვითონაც უცხოა. ამის გამო ზოგს უყვარს, მაგალითად, მარის, იმიტომ, რომ „უცნაურია“; ზოგს ამავე მიზეზით ეზიზღება, მაგალითად, სასამართლოს ბრბოს. ბრბოს სიძულვილს მერსო თვითონაც გრძნობს. თუ ჩვენთვის, მკითხველისათვის, აბსურდის გრძნობა ახლობელი არ იქნება, ამაოდ შევეცდებით ჩვეული ნორმებით ამ გმირის განსჯას, რადგან იგი ჩვენთვისაც უცხო იქნება.

ამგვარად, თქვენი თავზარდაცემა, — როცა წაიკითხეთ: „მე გავიფიქრე, რომ კვირა დღე დაიკარგა, რომ დედა უკვე დასაფლავებული იყო, რომ ისევ შევუდგებოდი მუშაობას და რომ საბოლოოდ არაფერი იყო შეცვლილი“, — გამიზნული გახლდათ: ეს იყო შედეგი აბსურდთან თქვენი პირველი შეხვედრისა. თუმცა, ალბათ, იმედი გქონდათ, რომ თანდათან, კითხვას რომ გააგრძელებდით, უხერხულობის შეგრძნება გაგეფანტებოდათ, ყველაფერი გაირკვეოდა, დასაბუთდებოდა და განიმარტებოდა. მაგრამ, იმედი გაგიცრუვდათ: „უცხო“ ის წიგნი არ არის, რომელიც რაიმეს განმარტავს, ან და რაიმეს ამტკიცებს. აბსურდის ადამიანი კი არ განმარტავს, აღწერს; ბ-ნი კამიუ თავისას გვთავაზობს და სრულიადაც არ ცდილობს გაამართლოს ის, რაც არსებითად გაუმართლებელია. „სიზიფის მითი“ გვასწავლის, როგორ მივეუდგეთ ამ რომანს. „სიზიფის მითში“ მოცემულია აბსურდის რომანის თეორია. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული რომანის ერთადერთ თემას ადამიანის მდგომარეობის აბსურდულობა წარმოადგენს, ეს მაინც არ არის თეზისის შემცველი ნაწარმოები. მისგან არ გამოსჭვივის „თვითკმაყოფილი“ აზროვნება, რასაც გასამართლებელი საბუთის შემოტანა დასჭირდებოდა ალბათ. პირიქით, ეს გახლავთ ჩარჩოში მოქცეული, „მოკვდავი“

და „შეამბოხე სულის მქონე“ აზროვნების ნაყოფი. წიგნი ამტკიცებს ჭეშდითი გონების უსარგებლობას. „(დიდმა რომანისტებმა) ლოგიკურ მსჯელობას ხატოვნად წერა ამჯობინეს, რაც მათთვის დამახასიათებელი აზროვნების მაჩვენებელია. ასეთი აზროვნებისათვის ახსნა-განმარტების პრინციპი ფუჭია და ემოციური ფორმით მოწოდებული სათქმელი უფრო ბევრის მომკვებელია“. აქედან გამომდინარე, სათქმელის რომანის ფორმით გამოხატვა, ბ-ნ კამიუს მხრივ, ამაყ თავმდაბლობაზე მეტყველებს. თავმდაბლობაზე და არამც და არამც მორჩილებაზე; ადამიანური აზროვნების ზღვრების შეამბოხისეულ აღიარებაზე. მართალია, მან თავის მოვალეობად ჩათვალია რომანისეული სათქმელისათვის ფილოსოფიური განმარტება მიეცა სწორედ „სიზიფის მითის“ სახით და ქვემოთ დავინახავთ, რა შეიძლება ვიფიქროთ ამგვარ დუბლირებაზე, მაგრამ დუბლის არსებობა მაინც ვერაფერს ენებს რომანის უანგარობას. აბსურდის შემოქმედს არ ახსოვს, რომ მისი ნაწარმოები აუცილებელია. მას, პირაქით, სურს, რომ სულ ვიჭერდეთ მისი ნაშრომისაწარმის შემთხვევით ხასიათს. მეტიც, მისი სურვილია, ხაზი გაესვას, „რომ ეს ნაწარმოები შეიძლება არ არსებულებოდა, ისე, როგორც უნდოდა „ყალბი ფულის მქრელებისათვის“ მიეწერათ — შეიძლება გაგრძელებულიყო“. ნაწარმოები შეიძლება არ არსებულებოდა, ისევე, როგორც ქვა, წყლის ნაკადი, სახე. ეს ის აწმყოა, რომელიც გვეძლევა უბრალოდ, ისე, როგორც სამყაროში არსებული ყველა აწმყო. ასეთი ნაწარმოები არ გულისხმობს სუბიექტურ აუცილებლობას, ზოგი ხელოვანი რომ მოითხოვს ხოლმე მიაწერონ მის ქმნილებას და ამის დასამტკიცებლად, „არ შეშინდეს არ დაშეწერა, საჭირო იყო ამისგან განვთავისუფლებულიყავით“. — იტყვის ხოლმე. ჩვენს წინაშე კლასიკური მზის ფილტრში გატარებული, სიურრეალისტური ტერორიზმის თემა, რომლის მიხედვითაც, მხატვრული ნაწარმოები ცხოვრებიდან ამოგლეჯილი ფურცელია. დიახ, ნაწარმოები ცხოვრებას გამოხატავს, მაგრამ შეეძლო არც გამოეხატა თანაც, განა ყველაფერი ტოლფასი არ არის, „ეშმაკის“ დაწერა იქნება ეს, თუ რძიანი ყავის დაღვევა? ბ-ნი კამიუ სრულებითაც არ ითხოვს მკითხველისაგან ყურადღებასა და მონდობებას იმ მწერლებისაგან განსხვავებით, რომელთაც „თავიანთი ცხოვრება საკუთარ ხელოვნებას შესწირეს“.

„უცხო“ ბ-ნ კამიუს ცხოვრების პატარა ფურცელია. რაც უფრო აბსურდულია ცხოვრება, მით უფრო ამაო უნდა იყოს. ხელოვნება ამაო დიდსულოვნებაა ძალიანაც ნუ შევშინდებით, ბ-ნ კამიუს საოლოქსებს მიღმა ხშირად კანტის ბრძნული შენიშვნები იმალება მშვენიერად „სასრულო სასრულობის“ შესახებ. მთავარი კი „უცხო“ აქაა, ცხოვრებიდან გამორიყული, გაუნართლებელი, გაუშართლებადი, ამაო ადამიანი, წამიერი, ავტორის მიერვე შიტოვებული, სხვა აწმყოთათვის დატოვებული. აი, როგორ უნდა ვხედავდეთ ამ რომანს. იგი თითქოს ორი ადამიანის — ავტორისა და მკითხველის — უცაბედი, გონებისაგან დამოუკიდებელი ზიარებაა აბსურდთან.

ყოველივე ზემოთქმული მიგვანიშნებს, თუ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ „უცხო“ გმირი. ბ-ნ კამიუს რომ სდომებოდა თეზისური რომანის დაწერა, ალბათ არ გაუჭირდებოდა ეჩვენებინა ოჯახის ბატონ-პატრონი მოხელე, რომელსაც მოერეოდა აბსურდის ინტუიცია, ერთხანს გაიბრძოლებდა, ბოლოს კი გადაწყვეტდა თავისი მდგომარეობის აბსურდულობის შესაბამისად ცხოვრებას. ამაში მკითხველიც დაწმუნდებოდა პერსონაჟთან ერთად და იმავე მიზეზით. ანდა, ბ-ნ კამიუს შეეძლო „სიზიფის მითის“ რომელიმე აბსურდის წმინდანის ცხოვრება გადმოეცა მოკლედ, იმათგან, რომლებსაც განსაკუთრებით სწყალობს. ესენია: დონ კუანი, მსახიობი, დამპყრობელი და შემოქმედი, მაგრამ ბ-ნი კამიუმ ეს არ გააკეთა... და აბსურდის თეორიებს ნაზიარები მკითხველისთვისაც კი გაუგებარია მერსო, „უცხოს“ გმირი. რასაკვირველია, ჩვენ ვიჯერებთ, რომ მერსო აბსურდის ადამიანია და რომ მის ხასიათში მთავარია დაუზოგავი გონების სინათლე. ამას გარდა, არაერთხელ ვრწმუნდებით, რომ ეს გმირი თავისი აგებულებით „სიზიფის მითში“ შოკეპული თეორიების წინასწარ ჩაფიქრებულ ილუსტრაციას წარმოადგენს. ასე მაგალითად, ბ-ნი კამიუ ხსენებულ ნაშრომში წერს: „კაცი იმით უფრო კაცობს, რასაც არ ამბობს, ვიდრე იმით, რასაც ამბობს“. მერსოც ასეთი კაცური სიჩუმი მაგალითია, ამო სიტყვები მას არ აკმაყოფილებს. „მკითხეს, შემჩნეული მქონდა თუ არა, რომ მე გულჩათხრობილი ვიყავი და მან აღიარა, რომ მე ხმას არ ვიღებდი იმისთვის, რომ არაფერი მეტყვა“. ზუსტად ორი სტრიქონით აღრე ამავე მოწმემ განაცხადა, რომ „მერსო იყო კაცი“ (და როცა მკითხეს, რას გულისხმობდა ამაში, უპასუხა,

ყველამ იცის რასაც ნიშნავს). „სიზიფის მითში“ აგრეთვე დიდი დრო ეთმობა სიყვარულს. იქ წერია: „სიყვარულს ვუწოდებთ ჩვენს ურთიერთობას ზოგიერთ ადამიანთან, მხოლოდ და მხოლოდ იმ კრებითი შეხედულების მიხედვით, რომელიც წიგნებისა და ლექსების გავლენითაა შექმნილი“. შესაბამისად, „უცხოში“ ვკითხულობთ: „ქალმა მოისურვა გაეგო, მიყვარდა თუ არა. ვუბასუხე, ამას არაერთი მნიშვნელობა არა აქვს და ალბათ არ მიყვარხარ-მეთქი“. აქედან გამომდინარე, კამათი, რომელიც იწყება სასამართლოში და მკითხველის გონებაშიც, „უყვარდა თუ არა მერსოს დედა“, ორმაგად აბსურდულია. ჭერ ერთი, ადვოკატის არ იყოს, „მას ბრალად დედის დაშარხვა ედება, თუ კაცის კვლა?“ და მაინც, განსაკუთრებით, სიტყვა „სიყვარულს“ არა აქვს აზრი. მერსომ დედა თავმესაფარში ალბათ იმიტომ მოათავსა, რომ მისი შესანახი ფული არ ჰქონდა და თანაც „აღარაფერი ჰქონდათ ერთმანეთისთვის სათქმელი“. ალბათ, ხშირად არ ივლიდა მერსო დედის სანახავად, იმიტომ, რომ იქ წასვლა „კვირა დღეს წაართმევდა, რომ არაფერი ვთქვათ, ცალკე ბილეთების აღებაზე, ცალკე ავტობუსით მგზავრობაზე და ორი საათის სავალ გზაზე“. რას ნიშნავს ეს? მერსო ხომ შთლიანად აწმყოს ეკუთვნის, აწმყოში არსებულ განწყობებს? გრძნობა კიდევ აბსტრაქტული ერთეულია და წყვეტილ შთაბეჭდილებათა გამოშხატველი. მართალია, მე სულ მათზე არ ვფიქრობ, ვინც მიყვარს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ისინი მაშინაც მიყვარს, როცა მათზე არ ვფიქრობ და შევძლებდი დამერდვია საკუთარი სიმშვიდვით აბსტრაქტული გრძნობის წყალობით, ნამდვილი და წამიერი ემოციის არარსებობის დროს. მერსო განსხვავებულად ფიქრობს და მოქმედებს — მას არ შეუძლია განიცადოს დიდი და ხანგრძლივი გრძნობები: მერსოსათვის არც სიყვარული არსებობს და არც სასიყვარულო თავგადასავალი. მისთვის აზრი აქვს მხოლოდ აწმყოს, კონკრეტულს. მერსო დედის სანახავად მაშინ დადის, როცა სურს. ეს არის და ეს, მთავარია სურვილი გააჩნდეს, თორემ ავტობუსში ჩაჯდება; ასევე კონკრეტული სხვა სურვილი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ეს ზანტი ადამიანი გაეჭვია და გაქანებულ სატვირთო მანქანაზე შეებტუხებინა. მერსო დედას ნაზი, ბავშვური სიტყვით, „დედიკოთი“ იხსენიებს. ყოველთვის ესმის მისი და არ უჭირს გაითავისოს მისი განცდები. „სიყვარულის გრძნობიდან მე მხოლოდ სურვილის, სინაზის და გონიერების

ხარევის ვიცნობ, რითაც რომელიმე ადამიანს ვუკავშირდები“. როგორც ჩანს, არ უნდა გამოგვეპაროს მერსოს ხასიათის თეორიული მხარე. მისი თავგადასავლების უშეტესობას ერთი ძირითადი მიზანი აქვს, ხაზი გაესვას მთავარი აბსურდულობის ამა თუ იმ მხარეს. მაგალითად, ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ „სიზიფის მითი“ ხოტბას ასხამდა „სიკვდილისცილის სრულ თავისუფლებას, რადგან მის წინაშე ცხიხე-ცველი კარები იღება ერთ მშვენიერ დილას“. იმისათვის, რომ სიამოვნება მიგველო ასეთი დილით და თავისუფლებით, კამიუმ თავის გმირს უმაღლესი სასჯელი მიუსაჯა. „როგორ ვერ მივხვდი, რომ სიკვდილით დასჯაზე მნიშვნელოვანი არაფერია...“ — ათქმევინებს იგი მერსოს, „... და რომ, გარკვეული აზრით, ეს ერთადერთი ყველაზე საინტერესო რამაა ადამიანისათვის“. შეიძლებოდა მრავალი მაგალითისა და ციტატის დამოწმება და მაინც, ეს გონიერი, გულგრილი, ჩუმი კაცი, იმიტომ არ შეიჭმნა, რომ საქმეს დასკირდა ასე. ალბათ ავტორის მიერ მონიშნული ხასიათი თავისთავადვე ჩამოყალიბდა, პერსონაჟს გააჩნია საკუთარი სიმძიმე. თანაც, სულ იგრძნობა, რომ მისი აბსურდულობა დაძლეული კი არ არის, არამედ — მოცემული; ის ასეთია, ეს არის და ეს. გონების სინათლე მერსოში რომანის ბოლო გვერდზე იფეთქებს, მანამდე იგი კამიუს ნორმების მიხედვით ცხოვრობდა. რომ ყოფილიყო აბსურდის წყალობა, ვიტყვოდით, რომ მერსოს გააჩნია ეს წყალობა. ის არც ერთ იმ კითხვას არ უსვამს საკუთარ თავს, რითაც სავსეა „სიზიფის მითი“; არც ის ჩანს, რომ უმაღლესი სასჯელის გამოტანამდე მერსო ამბობებულისყოს. ის იყო ბედნიერი, მიშვეებული თავის ნებაზე, ოღონდ მის ბედნიერებას არ გააჩნდა ის იდუმალი კრილობა, რასაც სიკვდილის დამამრძვეებელი არსებობა იწვევს და რაზედაც არაერთგზის მიუთითებს ბ-ნი კამიუ თავის ესეში. მერსოს გულგრილობა ხშირად სიზანტეს ჰგავს, მაგალითად, იმ კვირა დღეს, როცა ის სახლში რჩება სიზარმაცის გამო და თვითონვე აღიარებს, რომ „მოიწყინა“. ამგვარად, აბსურდული შეხედულების მქონესათვისაც კი ამ პერსონაჟს საკუთარი ბუნდოვანება გააჩნია. იგი არც დონ კიხოტია, არც დონ ეუანი, უფრო აბსურდულობის სანჩო პანსაა. იგი არსებობს, ჩვენ კი არც მისი გაგება შეგვიძლია და არც ბოლომდე განსჯა. ის ცხოვრობს, ესაა მისი ერთადერთი რომანული სიძლიერე, ესაა მას რომ ამართლებს ჩვენს თვალში.

და შაინც, „უცხო“ ბოლომდე ლალ ნაწარმოებად არ უნდა მივიჩნიოთ. ბ-ნი კამიუ, როგორც უკვე ითქვა, ერთმანეთისგან ანსხვავებს აბსურდის გრძნობას და ცნებებს. იგი წერს: „ისევე როგორც დიდი ნაწარმოებები, ღრმა გრძნობები უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე გამოხატავს... დიდი გრძნობები თავის თავში შეიცავენ ბრწყინვალე, ან უბადრუკ სამყაროს“. მოგვიანებით დასძენს: „აბსურდის გრძნობა მთლად აბსურდის ცნება არაა. გრძნობა საფუძვლად უდევს ცნებას, სულ ეს არის. ოღონდ გრძნობა ცნებით ვერ ამოიწურება...“ შეიძლებაოდა გვეთქვა, რომ „სიზიფის მითის“ მიზანია აბსურდის ცნების გამოხატვა, „უცხო“ კი — აბსურდის გრძნობის შთაგონება. მათი გამოქვეყნების თანმიმდევრობა ადასტურებს ჩვენს პიპო-თეზას; პირველად გამოცემული — „უცხო“ ყოველგვარი კომენტარის გარეშე გვითრევს აბსურდის „კლიმატში“; „სიზიფის მითი“ კი მიჰყვება მას და ანათებს პეიზაჟს. აბსურდი ხომ გათიშვას, განხეთქილებას; ამიტომ, „უცხო“ წარმოჩნდება, როგორც განხეთქილების, გათიშვის, გაუცხოების რომანი. აქედან გამომდინარეობს მისი ოსტატური აგებულება: ერთი მხრივ, ჩვენ წინაშეა ყოველდღიური, ამორფული, ნაცხოვრები სინამდვილის ნაკადი, მეორე მხრივ, ამ რეალობის საგულისხმო აღდგენა ადამიანის გონებისა და სიტყვის საშუალებით, ისე ხდება, რომ მკითხველი, მას მერე, რაც წმინდა რეალობის პირისპირ აღმოჩნდა, ამავე რეალობას თვითონაც აღმოაჩენს, ოღონდ, ვეღარ ცნობს საკუთარ გონებრივ ტრანსპოზიციასში. აქედან იბადება აბსურდის გრძნობა, ანუ უბერბულობის შეგრძნება, რომელიც მაშინ გვეუფლება, როცა საკუთარი კონცეპტებითა და სიტყვებით ვიწყებთ აზროვნებას სამყაროს მოვლენებზე. მერსო ასაფლავებს დედას, გაიჩენს საყვარელს, ჩაიდენს დანაშაულს. ამ სხვადასხვა ფაქტზე სხვადასხვა მოწმე ილაპარაკებს პროცესზე, ფაქტებს კი ადვოკატი განმარტავს; პროცესზე მერსოს ექმნება შთაბეჭდილება, რომ მასზე კი არა, სხვაზე ლაპარაკობენ. ეპიზოდი ისეა აგებული, რომ მარის აფეთქება უნდა გამოიწვიოს, რომელმაც მაჩამდე, მოწმეთა ბარიერთან, ადამიანური წესებიდან გამომდინარე ჩვენება მისცა, ახლა კი გულამოსკენილი ტირის და ამბობს, „ასე არ ყოფილა, სულ სხვა რამ მოხდა, მაიძულებენ ეთქვა ის, რასაც არ ვფიქრობო“. „ყალბი ფულის მჭრელების“ შემდეგ ხშირად იყენებენ ასეთ სარკის ხერხებს, ამიტომ ბ-ნი

კამიუ ორიგინალური ვერ იქნება, მაგრამ პრობლემა, რომელიც მან უნდა გადატრას, აიძულებს ორიგინალურ ფორმას მიმართოს. იმისათვის, რომ ვიგრძნოთ შეუსაბამობა ადვოკატის დასკვნებსა და მკვლევლობის ნამდვილ გარემოებათა შორის, იმისათვის, რომ წიგნის დახურვის შემდეგ შეგვჩვენოს აბსურდული სამართლის შთაბეჭდილება, სამართლისა, რომელიც უფრო ახლოს ჩასწვდება და ვერასოდეს შეიძლება იმ ფაქტებს, რომელთა მიმართაც სანქციები გამოაქვს, ამისათვის საჭიროა, კონტაქტი დავამყაროთ რეალობასთან, ან მის ერთ-ერთ გარემოებასთან. მაგრამ, კონტაქტისათვის, ბ-ნი კამიუს, ისევე, როგორც ადვოკატს, მხოლოდ კონცეპტები და სიტყვები გააჩნია; მას სურს აზრებს თავი მოუყაროს და სიტყვით აღწეროს ის სამყარო, რომელიც სიტყვების მიღმა არსებობს. „უცხო“ პირველ ნაწილს შეიძლებაოდა დარქმეოდა ახლახან გამოქვეყნებული ერთი წიგნის სათაური — „თარგმანი სიჩუმიდან“. საქმე ეხება ბევრი თანამედროვე მწერლისათვის დამახასიათებელ ავადმყოფობას, რომლის პირველ გამოვლინებასაც ეიულ რენართან ვხვდავ: ამას დავარქმევდი სიჩუმის აკვიატებულ იდეას, რაშიც, ალბათ, ბ-ნი პოლანი ლიტერატურული ტერორიზმის გამოვლინებას დაინახავდა. სიჩუმის გამოხატვას ათასნაირი ფორმით ცდილობენ: ნიმუშად გამოდგება, თუნდაც, ავტობიოგრაფიული, სიურრეალისტური ნაწერები, ერთი მხრივ და, მეორე მხრივ, ე. ვ. ბერნარის „სიჩუმის თეატრი“. საქმე ისაა, რომ სიჩუმე, ჰაიდდენის თქმით, მეტყველების ავთენტური ფორმაა. ჩუქადაა ის, ვისაც ლაპარაკი შეუძლია. ბ-ნი კამიუ ბევრს ლაპარაკობს „სიზიფის მითში“, თითქმის ლაყბობს, თუმცა სიჩუმის სიყვარულს გვიზიარებს. მას მოჰყავს კირკვეთის ციტატა — „ყველაზე სარწმუნო სიმუნჯი ლაპარაკია“. თვითონ კი განაგრძობს „კაც იმით უფროა კაცი, რასაც არ ამბობს, ვიდრე იმით, რასაც ამბობსო“. სწორედ „უცხოში“ გადაწყვიტა ბ-ნი კამიუმ გაჩუმებულიყო. საინტერესოა, როგორ ხდება სიტყვის საშუალებით გაჩუმება? როგორ უნდა გამოიხატოს მართლმოდენ კონცეპტებით წარმოუდგენელი და აღრეული უწყვეტობა აწმყოებისა? ასეთი პირობა გულისხმობს უახლესი ტექნიკის გამოყენებას.

რას წარმოადგენს ეს ახალი ტექნიკა? ჩემთვის უთქვამთ, „ეს არის კაფკასეური ნაწარმოები ჰემინგუეის მიერ დაწერილიო“. ვალიარებ, რომ კაფკას შე ვერ მივაგენი. ბ-ნი კამიუს შეხედულებები სავსებით მიწიერია,

კაფკა კი შეუძლებელი ტრანსცენდენტულობის მწერალია: მისთვის სამყარო საესეა გაუგებარი ნიშნებით. არსებობს მედალის მეორე მხარე. ბ-ნი კამიუს აზრით პირიქით, ადამიანური დრამა ტრანსცენდენტულობის არარსებობაშია. „არ ვიცი, აქვს თუ არა ისეთი აზრი ამ სამყაროს, რომლის წარმოდგენაც შეუძლებელი იქნებოდა ჩემთვის. მაგრამ ვიცი, რომ ეს აზრი ჩემთვის უცნობია და შეუძლებელია ჭერჭერობით ვიცნობდე. რას უნდა ნიშნავდეს ჩემი მდგომარეობის შიღმა არსებული მნიშვნელობა? მე გაგება მხოლოდ ადამიანური ტერმინებით შემიძლია. ვიგებ იმას, რასაც ვებები და რაც წინააღმდეგობას მიწევს“. მაშასადამე, ბ-ნი კამიუ არ ეძებს სიტყვათა ისეთ წყობებს, რომლებიც არაადამიანურ და გამოუცნობ წყობაზე მიგვანიშნებდა: არაადამიანური, იგივე ქაოსია, მექანიკა. მის ნაწარმოებებში არაფერია საეჭვო, არაფერია შემამოფრთხილებელი და გადაკრულად ნათქვამი: „უცხო“ გვთავაზობს ნათელ სურათთა უწყვეტ მიმდევრობას. ისინი გვაუცხოებენ თავიანთი სიმრავლით და ურთიერთკავშირის არარსებობით. დილა, ნათელი საღამო, აუტანელი ნაშუადღევია, აი, ბ-ნი კამიუს საყვარელი მომენტები: ხოლო, ალყირის მარადიული ზაფხული — მისთვის რჩეული წლის დრო. მის სამყაროში ღამეს ადგილი არა აქვს, და თუ ღამეს მაინც ახსენებს, ასეთი ფორმით: „გამომეღვიძა. სახეზე ვარსკვლავები დამყურებდნენ. სოფლის ხმაური ჩემამდე აღწევდა, ღამის, მიწის და მარილის სუნი საფეთქლებს მიგრძობდა. მიძინებული ზაფხულის არაჩვეულებრივი სიმშვიდე ზღვის მოქცევასავეთ შემოდოდა ჩემში“. ამის დამწერი საკმაოდ შორსაა ვინმე კაფკას ტკივილებისაგან. იგი თავს მშვიდად გრძნობს ულობაში; ბუნების ჭიუტი სიბრძავე „ღრბით აღიზიანებს, მაგრამ, თან ამშვიდებს; მისი ირაციონალური მხარე ფორის ნეგატივია მხოლოდ: აბსურდის — პიანის პუშანისტია, იგი მხოლოდ ამტყვესნიურ სიკვთეს იცნობს.

ბ-ნი კამიუს ლაკავშირება ჰემინგუეისთან უფრო შედეგიანია. მათი სტილური ნათესაობა აშკარაა, ორივე მწერალთან გვხვდება მოკლე ფრაზები: არცერთი ფრაზა არ იყენებს წინა ფრაზათაგან მომდინარე ვნებას, თითოეული ფრაზა ხელმეორე დასაწყისს წარმოადგენს — რაიმე შესტის, ან საგნის ფოტოსურათივითაა. ყოველ ახალ შესტს, ახალ საგანს ახალი ფრაზა შეესაბამება. მაგრამ არა ვარ კმაყოფილი:

„ამერიკული“ თხრობის ტექნიკა, რა თქმა უნდა, გამოადგა ბ-ნი კამიუს, მაგრამ არ მჭერა, რომ იგი ამ ტექნიკის გავლენის ქვეშ მოქცეულიყოს. ისეთ ნაწარმოებშიც კი, როგორცაა „სიკვდილი ნაშუადღევს“, ჰემინგუეი ინარჩუნებს თხრობის წვეტილ მანერას, თითოეული ფრაზის თითქოს სუნთქვის სპაზმითაა მოქცეული არარაობისაგან. ჰემინგუეი ამ სტილს თავის თავში ატარებს. რაც შეეხება ბ-ნი კამიუს, ჩვენ ვიცი, რომ მისი სტილი ცერემონიულია. ზოგჯერ, „უცხოშიც“ კი უწყვეტ ტონს; ასეთ დროს ფრაზას ეძლევა მუტი გაქანება და მეტი ხანგრძლივობა: „გაზეთების გამყიდველთა ყვირილი უკვე დამშვიდებულ ჰაერში, უკანასკნელი ჩიტები სკვერში, ბუტერბროდების გამყიდველთა ძახილი, ტრამვაის დაკენება ქალაქის შემალლებულ მოსახლეობაში, და ცის ხმაური, ვიდრე პორტზე ღამე დაემხობოდა, ყოველივე ჩემში აღადგენდა ბრმა კაცის სავალ გზას, ციხეში მოხვედრამდე რომ კარგად ვიცნობდი“. მერსოს აქოშინებული მონაყოლის გამჭვირვალებაში მე ვამჩნევ უფრო ვრცელ პოეტურ პროზას, რაც საფუძველს უმტკიცებს ნაწარმოებს და ბ-ნი კამიუს პიროვნული გამოხატულების ფორმად უნდა იქნეს მიჩნეული. ხოლო ამერიკული ტექნიკის აშკარა კვალი უნებლიე სესხებად უნდა ჩაითვალოს. ბ-ნი კამიუმ მრაველთაგან ის ხერხი აირჩია, რაც მის სათქმელს უფრო მოუხდა. მეტყვეობა, რომ იგივე ტექნიკა მან სხვა ნაწარმოებშიც გამოიყენოს.

უფრო ახლოდან დავაკვირდეთ თხრობის მთავარ ხაზს და უკეთ გავიგებთ მწერლის ხერხებს. „ადამიანები სუკრეციით გამოკყოფენ არაადამიანურსაც. ნათელი აღქმის ზოგ მომენტში მათი ყესტების მექანიკა და აზრს მოკლებული პანტომიმის ირგვლივ მყოფ ყოველივეს სულელურად წარმოაჩენს“ — წერს ბ-ნი კამიუ. აი, თურმე რისი გამოხატუაა საჭირო უპირველეს ყოვლისა: „უცხოში“ ექს აბრუბტო „უხერხულ მდგომარეობაში უნდა ჩაგვაყენოს ადამიანის არაადამიანურობის წინაშე“. საკითხავია, რა განსაკუთრებული შემთხვევები იწვევენ ჩვენში უხერხულობის გრძნობას? მაგალითს იძლევა „სიხიფის მითი“: „ერთი კაცი ტელეფონით ლაპარაკობს შუშის ტიხარს იქით, მისი ხმა არ ისმის, სამაგიეროდ, ჩანს ამ კაცის არაფრისმთქმელე მიშკა. იბადება კითხვა, რისთვის ცხოვრობს ეს კაცი?“. ჩვენ უკვე გავერკვიეთ რაში ყოფილა საქმე, ზომაზე მეტად გავერკვიეთ. მოცემული მაგალითი ავტორის მიერ მიღებულ წინასწარ

გადაწყვეტილებაზე მეტყველებს. მართლაც, ტელეფონით მოლაპარაკე კაცის ფესტი, იმიტომ რომ მისი ხმა არ ისმის, შედარებით აბსურდულია, ვინაიდან მოცემული ფესტი გაწყვეტილ წრეს ეკუთვნის. აბა, გააღეთ კარები, ყურთან მიიტანეთ ტელეფონის მილი, წრე შეიკვრება და ადამიანის ქმედებას აზრი დაუბრუნდება. მაშასადამე, თუ თავს არ მოეცემა, შეიძლება და გვეთქვას, რომ არსებობს მხოლოდ შედარებითი აბსურდები „აბსოლუტურ რაციონალურებთან“ შედარებით. მაგრამ, საქმე თავის არმომტყუებას კი არა, ხელოვნებას ეხება; ბ-ნ კამიუს ხერხივე შესაფერისია: თავის პერსონაჟებსა და მკითხველს შორის იგი შუშის ტიხარს სვამს. არსებობს რამე შუშის იქით მდგარ კაცზე უაზრო? შუშა ყველაფრის გამტარია გარდა ერთისა: ის მნიშვნელობას ართმევს ფესტს. მთავარია შუშის ამორჩევა: ეს იქნება „უცხო“ ცნობიერება. ის მართლაც გამჭვირვალეა: ვხედავთ ყველაფერს, რაც მასში აირეკლება. ოღონდ, ის გამჭვირვალეა საგნებისათვის, მნიშვნელობებისათვის კი დაბინდული.

მერე ყველაფერი სწრაფად მოხდა. კაცები, სუდარით ხელში, კუბოსკენ წავიდნენ. მღვდელი, მისი თანმხლებნი, დირექტორი და მე გარეთ გავედით. კარების წინ ჩემთვის უცნობი ქალბატონი იდგა: „ბატონი მერსო“ — თქვა დირექტორმა, ქალბატონის სახელი არ გაგიგონია, მხოლოდ მივხვდი, რომ აქ გამოგზავნილი მოწყალეების და იყო. მან გაუღიძვებლად დახარა გრძელი, გაძვალტყავებული სახე. შემდეგ განზე გაუდგეკით, რომ ცხედარი ვაგვეტარებინა.

ადამიანები მოძრაობენ შუშის იქით. მათსა და მკითხველს შორის ცნობიერებაა ჩადგმული, თითქმის არაფერი, სუფთა გამჭვირვალეა, სრული პასიურობა, რომელიც თითოეულ ფაქტს აღნუსხავს. ესეც ასე: ზუსტად იმიტომ რომ პასიურია, ცნობიერება მხოლოდ ფაქტებს აღრიცხავს. მკითხველი ვერ ამჩნევს მასა და პერსონაჟს შორის არსებულ ტიხარს. რა შეიძლება იყოს ამგვარი თხრობის პოსტულატი? მოკლედ, იმისგან, რაც იყო, მელოდური წყობა, უცვლელ ელემენტთა ჯამი შექმნეს; მიაჩნიათ, რომ მ ო ძ რ ა ო ბ ა თ ა მიმდევრობა მკაცრად იდენტურია მთლიანობაში აღებული აქტთან მიმართებით. განა ანალიტიკური არ არის მოცემული პოსტულატი, რომლის მიხედვითაც ყველა რეალობა ელემენტთა ჯამამდე შეიძლება იქნეს დაყვანილი? მაშ ასე, თუ ანალიზი მეცნიერებაში გამოიყენება, ის შეიძლება ზუმორის იარაღადაც გამოდგეს. მაგალითად, თუ მსურს აღვწეროთ რეგბის

მატი და ასე გამოვხატავ ნანახს: — „განა ხე მოკლე შარელიანი ახალგაზრდები, რომლებიც ერთმანეთს ერკინებოდნენ, ხან ძირს ვცემოდნენ, რომ ტყავის ბურთი ორ ხის ძელს შორის გაეტარებინათ“, ეს იქნება უკვე ნ ა ნ ა ხ ი ს შეჯამება; ოღონდ, ნათქვამს განგებ აკლია აზრი, რადგან იუძირით ვწერ. ბ-ნ კამიუს თხრობა ანალიტიკურიცაა და იუმორისტულიც. იგი ტყვეობს გორც ხელოვანი — რადგან ნაშრომს, რადგანს „შიშველ გამოცდილებას და რომ ფარულად ფილტრავს აზრობრივ კავშირებს, რომლებიც აგრეთვე გამოცდილებას ეკუთვნის. ეს იგივეა, რაც ერთ დროს ვინმე პიუმმა გააკეთა, რომელმაც განაცხადა, გამოცდილებაში იზოლირებული შთაბეჭდილებები აღმოვაჩინეთ. იგივეს მიიჩნევენ დღეს ამერიკელი ნეორეალისტები, რომლებიც უარყოფენ, რომ ფენომენთა შორის, გარდა გარეგნულისა, სხვა კავშირებიც არსებობს. მათ საპირისპიროდ, თანამედროვე ფილოსოფია მიიჩნევს, რომ მნიშვნელობებიც მყისიერი მონაცემებია. თუმცა, ეს შორს წაგვიყვანდა. ვიკმაროთ ის, რომ აბსურდის ადამიანის სამყარო იგივეა, რაც ნეორეალისტთა ანალიტიკური სამყარო. ლიტერატურაში ეს ხერხი გამოიყენეს „მიაშიტში“, „მიკრომეგასში“, „გულივერში“. იმიტომ, რომ XVIII საუკუნესაც ჰყავდა თავისი უცხოები, — „კეთილი ველურები“, რომლებიც უცხო ცივილიზაციაში მოხვედრისას ჭერ ფაქტებს ამჩნევდნენ, მერე კი უკვე აზრსაც წვდებოდნენ. განა სწორედ ეს განხეთქილების ეფექტი არ იწვევს მკითხველში აბსურდის გრძნობას? ეტყობა, ბ-ნ კამიუს არა ერთხელ ახსენდება ეს, მეტადრე მაშინ, როცა გვიჩვენებს თავისი დაბატონების მიზეზებზე ჩაფიქრებულ გმირს.

ერთი სიტყვით, სწორედ ანალიტიკური ხერხი განაპირობებს „უცხოში“ ამერიკული ტექნიკის გამოყენებას. სავალი გზის ბოლოს სიკვდილის არსებობამ ბურუსივით გაპყვანტა ჩვენი მომავალი, ჩვენს ცხოვრებას არ გააჩნია „ხვალინდელი დღე“, ცხოვრება არის აწმყოთა თანამიმდევრობა. განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ აბსურდის ადამიანი დროს თავისი ანალიტიკური გონებით უდგება? იქ, სადაც ბერგსონი დაუშლელ წყებას ხედავდა, აბსურდის თვალი წუთების სერიას ამჩნევს. ურთიერთგათიშული წუთების სიმრავლე საბოლოოდ არსებობათა სიმრავლეს გამოხატავს. ჩვენი მწერალი პეშინგუვისაგან სესხულობს დაჩეხილ ფრაზათა წყვეტილობას, რაც კარგად ესადაგება

დროის წყვეტილობას. ახლა უფრო გასაგები ხდება მისი თბრობის მანერა: თითოეული ფრაზა ცალკე აწმყო, მაგრამ ეს არ არის განუსაზღვრელი აწმყო, რომელიც პარმონის დაბრუნებას და მომდევნო აწმყოშიც შეიძლება გაგრძელდეს. ფრაზა არის მკაფიო, სწორი, საკუთარ თავში გამოკეტილი; მომდევნო ფრაზისაგან ის გამოყოფილია არარადათი, ისე, როგორც დეკარტეს წუთია გამოყოფილი მომდევნო წუთისაგან. ფრაზათა შორის სამყარო ისპობა და ცოცხლდება: სიტყვა წარმოთქმისთანავე „ექს ნიპილო“ ქმნილებად იქცევა. „უცხო“ ფრაზა — ეს არის კუნძული. და ჩვენ მივექანებით ფრაზიდან ფრაზაზე, არარადათ არარაზე. იმისათვის, რომ ხაზი გაესვა ცალკეული ფრაზის ცალკეობისათვის, ბ-ნი კამიუ თბრობისათვის შედგენილი წარსული (პასე კომპოზე) აირჩია. რადგან მარტივი წარსული (პასე სემპლ) მოქმედების ხანგრძლივობას გულისხმობს: „მან დიდხანს იარა“ ეს ფრაზა წინა წარსულსაც გულისხმობს და მომავალ დროსაც; ფრაზის რეალობას ქმნის ზმნა, ზმნა გამოხატავს აქტს, თავისი გარდამავლობით, ტრანსცენდენტულობით. იგივე ფრაზა შედგენილ წარსულში გადაყვანილი ასეთ სახეს მიიღებს: „ის არის დიდი ხნის ნასიარულები“. მოცემულ ფრაზაში ზმნის ზმნური ხასიათი შენიღბულია: ზმნა დარღვეულია, ორადგან გაჭრილი: ერთი მხრივ, გვაქვს მიმდებობა, რომელსაც დაკარგული აქვს ტრანსცენდენტულობა და ინერტულია ნივთივით, მეორე მხრივ, გვაქვს ზმნა „ყოფნა“, რომელსაც მხოლოდ მაერთი ზმნის მნიშვნელობა აქვს და მიმდებობას არსებით სახელთან აერთებს, როგორც ატრიბუტს ქვემდებარესთან. ზმნის გარდამავლობა გამჭრალია, ფრაზა გაყინულია, მის რეალობას უკვე არსებითი სახელი განსაზღვრავს. იმის მაგივრად, რომ ხიდად გადებულიყო წარსულსა და მომავალს შორის, ის იზოლირებულ სუბსტანციად იქცა; რომელიც ყოფნის თავის თავს. თუ შევეცდებით ასეთი ფრაზის მთავარ წინადადებად გადაქცევას, მისი შინაგანი სტრუქტურა სრულყოფილ სისადავეს შეიძენს, რაც მისი შემჭიდროების ხარჯზე მოხდება. ფრაზა იქცევა დროის განუყოფელ ატომად. სავსებით ბუნებრივია, რომ „უცხო“ ფრაზები არ არის ქვეწყობილი, ისინი თანწყობილია — ასეთ დროს მოსარიდებელია მიზეზობრივი დაკავშირება ფრაზებისა, რადგან ამას მოჰყვებოდა ახსნა-განმარტების ხანასახი და წუთებს შორის მოექცეოდა წმინდა მიმდევრობის სხვა რიგი.

„უცხოში“ წერია: „ქალმა მკითხა, მიყვარდა თუ არა, ვუპასუხე, რომ ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა, და რომ მიმაჩნდა რომ არა. ქალს სევდა დაეტყო, მაგრამ როცა საუბრეს ამზადებდა, სრულიად უმიზეზოდ გაიცილა, ისე, რომ ვაკოცე: ამ დროს ჩხუბის ზმა მოისმა რემონის ოთახიდან“. ჩვენ გამოვყავით ორი ფრაზა, რომლებიც ზედმიწევნით კარგად ნიღბავენ მიზეზობრივ ქვეყნებს და გარეგნულად თანმიმდევრულ წმინდადებებს წარმოადგენენ. როცა აუცილებელია რომელიმე ფრაზაში მინიშნებული იყოს წინა ფრაზა, ჩვეულებრივ, გამოიყენება კავშირები „და“, „მაგრამ“, „შემდეგ“. ამ დროს იყო, რომ... რომლებიც მხოლოდ დაცილებას, დაპირისპირებას, ან ნამდვილ შეჯამებას გამოხატავს. დროის გამოხატველ ერთეულთა შორის მიმართებები გარეგნულია, ისეთივე, როგორსაც ნეორეალიზმი ამყარებს ხოლმე საგანთა შორის. რეალური ჩნდება თავისთავად და ქრება ისე, რომ არ ინგრევა, სამყარო იქცევა და აღდგება დროის პულსაციის მიხედვით. მაგრამ არ უნდა დავიჯეროთ, რომ რეალური თავისით იქმნება, ის ხომ ინერტულია. რეალური რომ ინერტული არ იყო, მაშინ ნებისმიერი მისი აქტივობა ხელს შეუწყობდა საშიში ძალებით შემთხვევითობის დამამშვიდებელი უწყესრიგობის შეცვლას. XIX საუკუნის ნატურალისტი დაწერდა: „ხიდი გადადიოდა მდინარეზე“. ბ-ნი კამიუ უარს ამბობს ანტროპომორფიზმზე. ის ასე იტყვის: „მდინარეზე ხიდი იყო“. ამგვარად, საგანი ხელში შეგვატოვებს თავის პასიურობას. ის აქ არის, მაგრამ არ არის დიფერენცირებული: „...ოთახში შავებში ჩაცმული ოთხი კაცი იყო, ... კარების წინ იდგა ერთი ქალბატონი, რომელსაც არ ვიცნობდი... კარების წინ კატაფალკა იყო. მის გვერდით განმკარგულბელი იყო...“ რენარზე ამბობდნენ, ბოლოს დაწერსო, რომ „ქათამი კვერცხს დებს“. ბ-ნი კამიუ და ბევრი სხვა თანამედროვე მწერალი დაწერდნენ: „არის ქათამი და ის კვერცხს დებს“. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ უყვართ საგნები ცალკე, თავისთავად და არ სურთ მათი გათქვეფა ხანგრძლივობაში. „არის წყალი“ : — აი, მარადიულობის პატარა ნაგლეჯი, პასიური, შეუცნობელი, გაუგებარი და მოვლვარე; რა ვნება დაეუფლება ადამიანს, თუ ამ მარადიულობის ნაგლეჯს შეეხება! აბსურდის ადამიანისათვის ეს ერთადერთი სიკეთეა. აი, რატომ ურჩევნია ჩვენს მწერალს პატარა, ხანმოკლე ნაგლეჯების ციმციმი მწყობრ თბრობას, თითოეული მოციმციმე ნაგლეჯი იგივე ვნებაა: აი, რატომ პტონია ბ-ნი კამიუს,

რომ „უცხოში“ იგი სდუმს: მისი ფრაზა არ ეკუთვნის მეტყველების სამყაროს, არა აქვს განსტოლებები, გაგრძელებები და შინაგანი სტრუქტურა; მისი განსაზღვრება ისეთივე შეიძლება იყოს, როგორც ვალერის სილფისა:

თვალშეუვლები,
ვით გაელეება, ორ პერანგს შორის
შიშველი შკერდის.

ასეთი ფრაზა ზუსტად იზომება ჩუმი ინტუიციის გაელეებით.

ამ პირობებში განა შეიძლება ვილაპარაკოთ იმ მთლიანობაზე, რაც ბ-ნი კამიუს რომანი უნდა ყოფილიყო? მისი წიგნის თითოეული ფრაზა ტოლფასია, ისევე, როგორც აბსურდის ადამიანის თითოეული გამოცდილება. ყოველი ფრაზა თავისთვის არსებობს და სხვა ფრაზებს არარაობაში მიუჩენს ადგილს; მაგრამ მაშინ, როცა მწერალი დალატობს თავის პრინციპს და პოეზიას მიმართავს, არცერთი ფრაზა არ იკვეთება სხვათა ფონზე: დიალოგებიც კი ორგანულად ერწყმის თხრობას: დიალოგი კი თავისთავად ახსნა-განმარტებას იძლევა, მნიშვნელობას სძენს მონათხრობს. დიალოგისთვის უპირატესობის მინიჭება გამოიწვევდა მნიშვნელობების არსებობის აღიარებას. ბ-ნი კამიუ ხვეწს დიალოგს, ამოკლებს, ხშირად ირიბი ნათქვამით გადმოგვცემს, არ ანიჭებს მას ტოპოგრაფიულ უპირატესობას, ისე, რომ წარმოთქმული წინადადებები სხვა მოვლენათა მსგავს მხოვლენად წარმოგვიდგებიან, მოვლენად, რომელიც ერთ წაშს ანათებს, მერე კი ქრება, როგორც ელვა, ბგერა, სუნი. როცა რომანის კითხვას ვიწყებთ, გვეჩვენება, რომ ეს რომანი კი არ არის, არამედ არაბის მიერ ცხვირში ნამღერი ერთფეროვანი მელოდია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს წიგნი დაემსგავსება იმ არიას, რომელიც კურტელინის თქმით „ქრება და არასდროს ბრუნდება“, უცებ წყდება და არავინ იცის, რატომ. მაგრამ, რომანი თანდათან, მკითხველის თვალწინ აღწევს სიმწყობრეს, ავლენს მძლავრ ქვესტრუქტურას, რომელიც მტკიცე

საფუძველს უქმნის. არ არსებობს უსარგებლო დეტალი, თითოეული მათგანი თავის გაგრძელებას პოულობს და ხელს უწყობს კონფლიქტის მოშაღებას. როცა წიგნს ვხურავთ, გვჭერა, რომ მწერლის არ შეეძლო სხვანაირად დაწვება, რომ ნაწარმოებს არ შეიძლება მნიშვნელოვანი ბოლო მქონოდა; სამყაროს მსგავსი აბსურდულობაც უნდოდათ ჩვენამდე მოეტანათ და რომლის მიზეზობრიობაც ოსტატურად გააჭრეს, მცირე ინციდენტსაც კი წონა აქვს: თითოეული ხელს უწყობს გმირის დანაშაულამდე მიყვანას და მის საბოლოო აღსასრულს. „უცხო“ კლასიკური ნაწარმოებია, მწყობრი ნაწარმოები აბსურდის შესახებ და აბსურდის წინააღმდეგ. ბოლომდე განხორციელდა ავტორის ჩანაფიქრი? არ ვიცი: ჩემი აზრი მკითხველის აზრია მხოლოდ.

რა ადგილი შეიძლება მიეჩინოს ამ მშრალ და, მოჩვენებითი არეულობის მიუხედავად, მკაფიო ნაწარმოებს, მწყობრსა და ასე „პუმი-ნურს“, ნაკლებ იდუმალს, მას მერე, რაც მისი გასაღები ვიგდეთ ხელთ? ჩვენ გაგვიძნელებოდა მისთვის მოთხრობა გვეწოდებინა, მოთხრობა ხომ განმარტავს და ერთმანეთს უწყობს ფრაზებს, მიზეზობრივ უწყობას უნაცვლებს ქრონოლოგიურს. ბ-ნი კამიუ ამ ნაწარმოებს რომანს უწოდებს, რომანს კი, ცნობილია, რომ სჭირდება დროის ხანგრძლიობა, განვითარება, დროის უკან დაუბრუნებლობის მკაფიო გამოხატვა. მე, ალბათ, შევეყოყმანდებოდი, რომანი დამერქმია ინერტულ აწმყოთა მიმდევრობისათვის, რომლის მიღმაც აწყობილი მექანიზმის მექანიკური ეკონომიურობა ჩანს. ანდა, თუ მაინცდამაინც რომანი უნდა დარქმეოდა, მაშინ ეს იქნებოდა „ზადიგისა“ და „კანდიდის“ ყაიდის მოკლე, მორალისტური რომანი. სადა სატირითა და ირონიული პორტრეტებით, რომელიც მიუხედავად გერმანულ ეგზისტენციალისტთა და ამერიკელ რომანისტთა წვლილისა, შინაგანად ახლოს დგას ვოლტერის მოთხრობასთან.

1943 წ.



“უახვი იუიორი“ ანუ ახსურდიხვი ახერიკულად



ქრქინუნი
ნიხონთუნი

ამერიკული სატირა, ფაქტიურად, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად წარმოიშვა. XIX საუკუნის დასაწყისში ამ ლიტერატურულმა ჟანრმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, ამ დროს პ. ბრეკენრიჯმა შექმნა ამერიკელ პიონერთა (პირველმოახლეების) ყოფის ამსახველი სატირული სურათები. 30—იან წლებში სიბა სმიტმა დაიწყო სატირული წერილების გამოქვეყნება, რომლებშიც პრეზიდენტ ჯეკსონის პოლიტიკას ამათრახებდა. სიბა სმიტის გმირის არაპროფესიონალი პოლიტიკოსის ჯეკ დაუნინგის სახე ორმხრივად გახსნილი — როგორც ბრძენი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსის და როგორც ბრყვის და სულელის, რის გამოც იგი დაცინვის ობიექტი ხდება.

ამერიკულმა სატირამ განსაკუთრებული აღიარება სამოქალაქო ომის წლებში (1861—1865) მოიპოვა, როდესაც დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობა დაიწყო. ამ პერიოდში მოღვაწეობდა არტემუს უორდი (ჩარლზ ფარარ ბრაუნი), მწერალი სატირიკოსი, კომიკური ფელეტონების ავტორი, რომლებშიც მოხეტიალე კომედიანტის ცხოვრება იყო აღწერილი. ა. უორდი ამერიკული დასავლეთის გროტესკზე აგებული ფოლკლორის გავლენით წერდა. ამ ნაწერებმა დიდი გავლენა მოახდინეს მისი მეგობრის — მარკ ტვენის პირველი პერიოდის შემოქმედებაზე. “ბრაუნი ჩვენი იუმორისტული ქრისტოფერ მარლოა მარკ ტვენთან მიმართებაში” — ო წერს ამერიკული სატირისა და იუმორის მკვლევარი ჯეს ბირი.

მარკ ტვენი სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად. მის შემოქმედებაში სრულყოფილად აისახა ეპოქის მრავალფეროვნება. მწერალმა გაამდიდრა ლიტერატურა ახალი სახეებით, ხასიათებით. მან პირველმა შემოიტანა სარკასტული იუმორი და გროტესკი. მარკ ტვენის მიერ ხალხურ იუმორზე შექმნილი სატირული ნაწარმოებები XX საუკუნის რეალისტური

პროზის საწყისად იქცა. რეალისტური პროზის პარალელურად აშშ-ში XX საუკუნის დასაწყისში საფუძველი ჩაეყარა ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობას — მოდერნიზმს.

ლიტერატურის ისტორიაში მრავალი პერიოდი ცნობილი, როდესაც ორი ან რამდენიმე ლიტერატურული მიმდინარეობა ერთდროულად არსებობს. ასეთი თანაარსებობა დაპირისპირებასაც გულისხმობს, მაგალითად, ურთიერთსაწინააღმდეგო იყო კლასიციზმი და რომანტიზმი, ნატურალიზმი და კრიტიკული რეალიზმი ან სიმბოლისტურ დეკადენტური სკოლები. ზოგჯერ ერთი ლიტერატურული მიმდინარეობის ფარგლებშიც პქონია ადგილი ურთიერთსაპირისპირო დაჯგუფებებს. ფაქტია, რომ ყოველი ლიტერატურული სკოლა ეპოქის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამოძახილს, მის ლიტერატურულ გამოვლინებას წარმოადგენს.

XX საუკუნის 10—იან წლებში ამერიკული მოდერნიზმის თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბება კრიზისის შედეგი იყო. კაბიტალიზმს საფუძველი შეერყა, მას აღარ შესწევდა უნარი პრობლემების დაძლევისა. კრიზისმა მრავალი ლუზიას მოუღო ბოლო და მათ შორის “ამერიკულ ოცნებასაც”, რის გამოც მარკ ტვენის მოღვაწეობის ბოლო პერიოდში პესიმიზმმა იმძლავრა.

მოდერნიზტი მწერლის ესთეტიკა ასეთია: იგი უარყოფს ადამიანის შესაძლებლობებს, ზურგს აქცევს საზოგადოებას, მკითხველს, ეძებს მარტოობას და საკუთარ ნაჭუქში ჩაკეტილი სრულიად კარგავს პასუხისმგებლობის გრძობას.

ამერიკული მოდერნიზმის პირველმა წარმომადგენლებმა — ეზნა ფაუნდმა, თომას ელიოტმა, პერთრუდა სთაინმა გამოაცხადეს, რომ ამერიკა ბურჟუაზიული უტილიტარიზმის ქვეყანაა, რომ სულიერი კულტურის საფუძველი აქ არ არსებობს. ამიტომ საზოგადოებასთან მათ ყოველგვარი

კავშირი გაწყვიტეს: მოდერნიზმი დაუპირისპირდა რეალიზმს.

მოდერნიზმისა და რეალიზმის ასეთმა დაპირისპირებამ თავისი გამოხატულება სატირულ ლიტერატურაშიც პპოვა. ერთმანეთს გაემიჯნა რეალისტური და მოდერნისტული სატირული ხერხები: "რეალისტურ სატირაში ირაციონალური წარმოდგენს რეალურის ან ერთ—ერთ მომენტს, ან გამოსახვის რეალური შინაარსის გახსნის საშუალებას, ან პირობით ხერხს, რომელიც საშუალებას გვაძლევს თვალსაჩინოდ დავინახოთ ის, რაც მოჩვენებითობის შიღვა იძალდება და ა.შ. მოდერნისტულ სატირაში ირაციონალური მთავარი რეალობაა. იგი წარმოაჩენს ადამიანის მიერ დაუმორჩილებელ ინფერნალურ ძალებს, რომელთა ცხოვრებაში შემოჭრის გზები ცნობილი არ არის" (ი.ბორევი).

რეალისტური და მოდერნისტული ტენდენციების დაპირისპირება ძირითად ზოლად გაჰყვა მომდევნო პერიოდის ამერიკულ ლიტერატურას და განსაკუთრებული სახით გამოვლინდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც "მდუმარე 50—იანელების" საზოგადოება გლობალურმა კრიზისმა მოიცვა. ეს ყველაზე კონტრასტული ეპოქა იყო: ერთმანეთს დაუპირისპირდა ღარიბი და მდიდარი, მოხუცი და ახალგაზრდა. ტერორი, დაძაბულობა, ბოროტმოქმედება ჩვეულებრივ მოვლენებად გადაიქცა. მაკარტიზმის პირობებში მრავალმა მწერალმა მოწინავე იდევებზე უარი განაცხადა.

50—იანი წლების დასაწყისში საფუძველი ჩაეყარა "აბსურდის თეატრს" — მოდერნისტული და რეალისტური ტენდენციების კონფრონტაციის შედეგს. სინამდვილის ასახვის მთავარ საშენ მასალად ალოგიზმი გამოცხადდა. ხოლო ათწლეულის ბოლოს მოდერნიზმის კრიზისის ატმოსფეროსა და ნეოავანგარდიზმის საზღვრებში წარმოიშვა წმინდა ამერიკული მოვლენა, ახალი ლიტერატურული ტენდენცია "შავი იუმორი", რომელმაც 60—იანი წლები მთლიანად მოიცვა.

ამ ახალი ლიტერატურული სკოლის თეორეტიკოსი კონრად ნიკერბოკერი აღნიშნავს, რომ, თუკი ადრე პროტესტის აღიარებულ ფორმად ესე და სოციალური რომანი გვევლინებოდა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ასეთ ფორმად წმინდა სატირა იქცა.

"შავი იუმორი" გულისხმობს ნებისმიერი

სახის მორალური და სოციალური ფასეულობებისადმი ირონიულ დამოკიდებულობას. მისთვის მთავარია ყველაფერი არსებულის როგორც ფიქციის, ილუზიის, სიცრუის მხილება. იგი უარყოფს რეალურ, სიცოცხლისათვის აუცილებელ ფასეულობებს, შემდეგ საკუთარ თავსაც მიუბრუნდება და აღმოჩნდება თვითგანადგურების ზღვარზე. საბოლოო შედეგი ასეთი ~~სატირული~~ უარყოფისა — სრულად უსამტკმეტა და ეთიკური ვაკუუმი".

არცერთ ლიტერატურულ სკოლასა თუ შემოქმედებით პრინციპს არ დაუმსახურებია იმდენი უარყოფითი ეპითეტი, რამდენიც "შავ იუმორს". მას უწოდებენ "ჩამომხრჩვალის იუმორს," "ბნელ კომედიას" (ჯონ ოლდრიჯი), "იუმორს მომაკვდინებელი ნექტარ" (კონრად ნიკერბოკერი), "ავადმყოფურ-ხელოვნებას" (მ.შენდელსონი). ჯეს ბირი "შავ იუმორს" "შავ კომიკურ ფაშიზმს" უწოდებს და ახასიათებს მას როგორც "ხარბს, სკეპტიკურს, ცინიკურს, პესიმიზტურს, ღვთისმგმობელს და შავს".

ჯეს ბირი "შავ იუმორს" არც რეალისტურ და არც მოდერნისტულ მოვლენად არ თვლის, უფრო ასამართლებს მას, ვიდრე იცავს.

ასეთი უარყოფითი შეფასება არცაა გასაკვირი, რადგან "შავ იუმორში" უკიდურეს ზღვარს მიაღწია მოდერნისტულმა ტენდენციამ. იგი საკმაოდ გავლენიან სკოლად გადაიქცა ამერიკულ ლიტერატურაში. ეგზისტენციალიზმის პრინციპებიდან ამომავალი "შავი იუმორი" თავისი პოლემიკური ბუნების გამო მასვე ეწინააღმდეგება და აბსურდამდე დაჰყავს. იგი აშკარად არის მიმართული მისი ერთ—ერთი წინამორბედის "ბიტნიკების" წინააღმდეგ. "შავმა იუმორმა" უკუაგდო "ბიტნიკების" ამბოხი, რომელსაც ჯ. კერუაჯი და ა. გინსბერგი ედგნენ სათავეში. ისინი თავს ამერიკული სახელმწიფოს უკანასკნელ მოქალაქეებად თვლიდნენ და ყველას გაქცევისაკენ მოუწოდებდნენ. "შავი იუმორისტები" კი მზად იყვნენ ეცინათ ყველასა და ყველაფერზე, თუნდაც ეს ყოფილიყო ადამიანის ცდა შეეცვალა ჭვეყანა უკეთესით.

დიახ, ბრძოლის იარაღად "შავმა იუმორისტებმა" სიცილი აირჩიეს. ამ ჟანრის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო "სადისტური ანეკდოტების" სკოლებიდან და უნივერსიტეტებიდან ხალხის მასებში გავრცელებამ. "იუმორისტების" დაცინვის საგანს, ა. კლიფტონ ფედინენის აზრით,

გროტესკი, იმედის გაცრუება, საკუთარი თავისადმი სიძულვილის გრძობა წარმოადგენდა. აი, რას წერს ამის შესახებ ამ ლიტერატურული სკოლის თეორეტიკოსი მ.ფ. შულცი: იგი "აერთიანებს მსოფლალქმითა და ესთეტიკით მონათესავე მწერლებს, რომლებიც დაქვემდებარებულნი არიან დაცინვისა და შინაგანი გამოხატვის მიზანს წინასწარ მოცემული თემატიკისა და პრინციპების გარეშე". მაგრამ მიუხედავად ასეთი ერთიანობისა, "შავი იუმორისტები" მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: თ. საუზერნი აკრიტიკებს თაღლითებს, ჯ. დონლივის სააშკარაოზე გამოაქვს ოჯახური პრობლემები, უ. ბეროუზი დასცინის საზოგადოების წარმოდგენებს მორალზე. ეს მწერლები "სიშავით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან" (მ. მენდელსონი), მათი სიცილი "აუტანელი, გარყვნილი, სადისტურა და ავადმყოფურია" (კ. ნიკერბოკერი).

"შავი იუმორის" თეორეტიკოსის ამ სიტყვების დადასტურებაა ერთი ანექტოდი ჯეს ბირის წიგნიდან: "შეკითხვას: "რა არის შავი და მცოცავი?" — მოსდევს პასუხი: "ეს არის პარალიზებული ზანგი სპორტსმენი". ჯეს ბირი აკრიტიკებს "შავი იუმორის" სადიზმსა და არაადამიანურობას და მას "ავადმყოფურსაც" უწოდებს. ამის მაგალითად მოტანილია შემდეგი: "მე კრემაცია გავუკეთე ჩემს საწყალ, მოხუც დედიკოს და ამ ქილაში ვინახავ. ახლა ყოველ დილას საუზმეზე მე შემიძლია ერთ ჭიქა წყალში გახსნილი დედა დავლიო." ასეთი მაგალითები ზიზღსა და უსიამოვნო გრძობებს იწვევენ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "შავი იუმორისტები" დასცინიან არა მარტო ობიექტს—რეალურ სინამდვილეს, არამედ თვით მისი ასახვის ხერხს—ხელოვნებას. "შავი იუმორისათვის" უცხოა გმირულის, ტრაგიკულის კატეგორიები. მათთვის კომიკურიც კი არაა დამახასიათებელი. მათი იარაღია—ბურლესკი, პაროდია, გროტესკი, ირონია, "გეგი", სატირა მწვავე, ბოროტი, დაუნდობელი, რომლის ობიექტიცაა—ადამიანი და სამყარო. ძირითადი ადრესატი, ვისკენაც დაცინვაა მიმართული, ცნობილია: ამერიკული საზოგადოების სწობები და მათი იდეალები. კრიტიკოსები აღნიშნავენ ხოლმე ჯ. დონლივის "სისუსტეს", როდესაც მას ავიწყდება "ტოტალური სიცილი" და სატირული ნოტისაკენ იხრება.

"შავი იუმორის" ისტორია ფაქტიურად 20—იანი წლების ბოლოს დასრულდა, მაგრამ მის გარშემო დისკუსია დღესაც გრძელდება ამერიკულ კრიტიკაში (და არა

მხოლოდ ამერიკულში). ეს დავა მარტო "შავი იუმორისტების" შემოქმედებით პრინციპებს, თხრობის მანერის თავისებურებებს და ესთეტიკურ შეხედულებებს როდი ეხება. იგი ყოველისმომცველია და იხილავს მეორე მსოფლიო ომის შემდგომე ლიტერატურის ზოგად საკითხებსაც. მაგალითად ისეთ, დღემდე გაურკვეველ პრობლემას, როგორცაა სატირიკოსის ადგილი ამერიკულ ლიტერატურაში.

"შავი იუმორის" დამცველები იმასაც კი ამტკიცებენ, რომ მათ ლიტერატურას საფუძველი ჯ. სვიფტის, მ. ტვენის, მელვილის, ე. ჰემინგუეის, და სხვათა შემოქმედებაში ჩაეყარა. მ. მენდელსონი აკრიტიკებს ამ მოსაზრებას: "აშშ კრიტიკოსებს შორის წარმოიშვა ტენდენცია "აბსოლუტური პროზისა" და "შავი იუმორის" ფუძემდებლებად მიიჩნიონ არა მხოლოდ ჩვენი საუკუნის 30—იანი წლების ერთი მწერალი — ნათანიელ უესტი... არამედ სვიფტი და მარკ ტვენიც კი. რა თქმა უნდა, თუკი შემოვიფარგლებით "აბსურდიზმის" გაგებით როგორც ისეთი მიმართულებისა აშშ ლიტერატურაში, რომლისთვისაც არსებითია მხოლოდ ფორმალური ნიშნები, ძნელი არაა მიხვიდე დასკვნამდე, რომ ნახაენები დიდი შემოქმედნი მართლაც "შავი იუმორისტები" იყვნენ. ისინი ხომ ფართოდ იყენებდნენ პაროდias და იგავეს, ქმნიდნენ კარიკატურულ სურათებს, დაუსრულებლად აზვიადებდნენ და ამძაფრებდნენ. გარეგნული ანალოგიებით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება დავივიწყოთ, რომ სვიფტის, ტვენის, სალტიკოვ—შჩედრინის კარიკატურები ძალიან ხშირად გამოხატავენ მათ სურვილს გაენადგურებინათ ან გაეწყვიტათ შექმნილი უსახური სახეების წყობა. შესაბამისად, ისინი ისწრაფვოდნენ დაემტკიცებინათ პუშანური იდეალები. სატირული სურათები, სახეები, აზრები, რომლებიც გენიალური მამხილებლის კალმის ქვეშ წარმოიშობოდა, "აბსურდული" ეჩვენებოდათ მხოლოდ იმ კრიტიკოსებს, რომლებსაც მათი მეთოდოლოგიური პოზიციების სიღარიბის, მცდარობის გამო ხელოვნებაზე მხოლოდ ზედაპირულად შეუძლიათ იმსჯელონ.

ლ. ფეინბერგი სატირას რეალიზმის დამახასიათებელ თვისებად არ თვლის. ამის მტკიცების საფუძველს მას აძლევს ის, რომ რეალიზმი ასახავს ცხოვრებას ზუსტად, სატირა კი — ამახინჯებს. მისი მომბრეები ვერ ხედავენ განსხვავებას რეალისტურ სატირასა და "შავ იუმორს" შორის. მათ მიაჩნიათ, რომ ეს სკოლა სხვადასხვა ეპოქის,

ტვეენისა და მიმართულების ყველა იმ მწერალს აერთიანებს, რომელსაც გროტესკი და პაროდია აურჩევიათ ყოველდღიურობის პირქუში სურათების ხატვის საშუალებად. ამ თვალსაზრისის მომხრეებმა პოლემიკა ძირითადად ამერიკული პრესის ფურცლებზე გააჩაღეს და აქ მოყვანილ მწერალთა სიაში მოახვედრეს რეალისტური სატირის ისეთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლები, როგორცაა ჯოზეფ პელფრი და კურტ ვონეგუტი.

რა ტიტულით არ შეამკეს ამერიკელმა კრიტიკოსებმა კურტ ვონეგუტი: „შავი იუმორის აბსურდისტი“, „პოპ ართის“, „ახალი რომანის“, „სუპერლიტერატურის“ წარმომადგენელი, „პოსტ-მოდერნისტი მარკ ტვენი“, „ღარიბთათვის „შავი იუმორის“ მომპოვებელი“. ჯერომ კლინკოვიცი წერს, რომ ვონეგუტმა მკითხველისათვის შექმნა სრულიად შეშლილი სამყარო, იგი არაფრით ჩამოუვარდება „შავ იუმორისტებს“. მის რომანს „სასაკლავო ნომერი ხუთი“ ჩარლზ პარისი უწოდებს „რომანს ომზე“. თვითონ კურტ ვონეგუტი არაერთ ინტერვიუში უარყოფს ყოველგვარ ეპითეტს, „შავ იუმორისტობას“, და თავს რეალისტური სატირის წარმომადგენლად თვლის. მართლაც, თუკი კარგად ჩაუუკვირდებით, გასაგებია, რომ კურტ ვონეგუტის მეთოდი „უძველესია მსოფლიო ლიტერატურაში.“ იგი სათავეს იღებს ჯერ კიდევ ლუკიანუსთან. იგი კვებავდა როტერდამელის, ვოლტერის, ფრანსის შემოქმედებას. XX საუკუნეში იგი მეორედ დაიბადა, როდესაც გამოიწვია „გამასულელებელი ლიტერატურის“ ენითაუწერელი აყვავება.

ამერიკელი კრიტიკოსების მიერ რეალისტი და მოდერნისტი სატირიკოსების ერთ სიაში გაერთიანება შესაძლოა იმან გამოიწვიოს, რომ „შავი იუმორისტებისათვის“ დამახასიათებელი სატირული საშუალებები ორივესთან გვხვდება. გროტესკის, ალოგიკური მსჯელობის და ქცევების, პაროდის სიქარბემ ათქმევინა ამერიკელ კრიტიკოსებს (და არა მარტო ამერიკელებს: მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედიაც იგივე აზრს იზიარებს — ტ. 6. გვ. 678), რომ ჯოზეფ პელფრის რომანი „შესწორება — 22“ „შავი იუმორის“ ნიმუშს წარმოადგენს. მაგრამ ფაქტიურად საქმე გვაქვს რეალისტური სატირის უბრწყინვალეს ნიმუშთან. მასში სატირის თითქმის ყველა ხერხსა და საშუალებას ვხვდებით,

რომლებსაც დიდი ხნის ტრადიცია აქვთ და სათავეს იღებენ არა თუ სვიფტთან და გრაზმ როტერდამელთან, ფრანსუა რაბლესა და სერვანტესთან, არამედ ტვეენალის, არისტოფანესა და ლუკიანუს ნაწარგებში.

ვინ არის „შავი იუმორის“ გმირი/და რით განსხვავდება რეალისტური სატირის პერსონაჟისაგან? **სიზ-ნიუსიუსი**

ორივე შემთხვევაში ძირითადად საქმე გვაქვს პატარა ადამიანთან: მაგრამ „შავ იუმორში“ გმირის სახე სტატიკურია, ავტორის მსგავსად ისიც გაუცხოების მსხვერპლი გამხდარა. მან ზურგი იბრუნა საზოგადოებისაგან და საით მიეჭანება, ვერ გაუგია, რადგან უსუსურია არჩევანის წინაშე, მთლიანად გარემოებაზე დამოკიდებული და რეალური სინამდვილე ახვევს თავის არჩევანს. ადამიანებს შორის იმდენად დიდია გაუცხოების სენი, რომ მათ არ შესწევთ უნარი ერთმანეთის შეცნობისა. ფაუნდის, ელიოტის, სტაინის იდეიდან — მტრულ სამყაროში ადამიანის მარტოობის შესახებ — „შავი იუმორისტები“ ავითარებენ თეორიას იმის შესახებ, რომ ხალხი ვერასდროს ვერ შეძლებს ერთმანეთის შეცნობას.

რეალისტური სატირის ნაწარმოებში მთავარი გმირი ასევე პატარა ადამიანი — მიკროსამყაროს ცენტრშია და მის გარშემო თავს იყრიან სხვა პერსონაჟები. ყოველგვარი ეპიზოდი, ან შემთხვევა მთავარ გმირთან არის დაკავშირებული. გმირებს შორის ხშირია კონფლიქტი და უსიამოვნება, რის შედეგადაც ისინი გარკვეულ სიმშვიდეს მოიპოვებენ. ხშირად ასეთი ნაწარმოების გმირი ახირებული, უცნაური და თავისებურია, რაც საშუალებას აძლევს მწერალს სატირული ხერხების გროტესკის, გაზვიადებისა თუ პაროდის ფართოდ გამოყენებისა. აბსურდული მსჯელობა და აზროვნება მისი დამახასიათებელი თვისებებია. მიუხედავად ამისა, გმირი ავტორის სიმპათიას იმსახურებს, იგი მთლიანად მის მხარეზეა და უთანაგრძნობს მას. გარკვეული სახით გმირი არის ავტორის „მე“ და მის აზრებს გამოხატავს.

„შავი იუმორი“ თანდათანობით ისტორიის კუთვნილება ხდება. ბევრმა მისმა წარმომადგენელმა შეიცვალა თვალსაზრისი, რეალისტური სატირისა და „მასობრივი ლიტერატურის“ ბოზიციებზე გადავიდა. თანამედროვე მოდერნიზმი შინაგან რღვევას განიცდის.





ღელს გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 100 წლისთავია. გალაკტიონი 100 წლის ბერძუბა გამხდარა და ამით მის ცხოვრებას გაუმანძილებია წინ. ძნელი წარმოსადგენია ბიბლიური წინასწარმეტყველივით მოხუცი და საუკუნის თანატოლი გალაკტიონი.

მიდის გალაკტიონი ჩვენგან, ყოველდღიურად შორს მიდის, რათა სულიერად კიდევ უფრო დაგვიახლოვდეს ჩვენ, ჩვენს სულებში ჩაიშენოს ახალი ბუდეები, იბარტყოს, იფრანოს და, ემილ ანტუან ბურდელის არწივივით, ილავლივოს მადლიერი შთამომავლობის სულის კაბადონებზე.

თუ ცად ამალღებული მაცხოვარი ფიზიკურად შორღებოდა თავის მოწაფეებს, საშაგიეროდ სულიერად უფრო უახლოვდებოდა მათ. ამის შესახებ ხაზგასმით აღნიშნავდა კიდევ გასული საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე გაბრიელ ეპისკოპოსი.

სწორედ ასევე მოხდა გალაკტიონის წასვლითაც ამა ქვეყნიდან.

“სული გაფრინდა ცაში მტრედივით, სხეული დარჩა ცოდვილ მაწაზე”. ქრისტე სხეულით ამალღდა ცაში, გალაკტიონი სულით. ერთმაც სიყვარული დატოვა დედამიწაზე და მფორემაღ...

საუკუნის გადასახედიდან ჩვენ თრ გალაკტიონს ვხედავთ: მოხუცსა და ქაბუკ, მარადუბერებელ შემოქმედს: პოეტსა და მხატვარს, მხატვარსა და პოეტს. ასტრალური სამყაროს ეს ორი ეთერული სხეული სულიწმინდასავით ჩასახლდა ერთ დროს დიდი შთაზროვნის წმინდა ქურჭელში, იბარტყა, იზარდა და მერე ნეკნიდან კი არა, გონებიდან იშვა ამ სულიწმინდის ორი ნაყოფი: ლექსა და მხატვრობა.

გამომდინარე აქედან, უკვე უფლებაც აღარა გვაქვს, გალაკტიონს მარტოოდენ

ერთადერთი ბერძუბა ეუწოდოთ, რამეთუ მის პიროვნებაში ორი ღმერთი შეუფებს დადებითა თვისითა: ღმერთი ლექსისა და ღმერთი მხატვრისა. ეს ორი ნიჭი, ეს ორი სამყარო ისე შეძერწვია ერთმანეთს, როგორც ჯვარს ჯვარცმული მაცხოვარი, ხოლო ყოველივე ეს — გოლგოთას მთას; როგორც ეკლესიას გუმბათი, გუმბათს ჯვარი, ჯვარი — ცას, ცას მზე და მთვარე, მთის მწვერვალები და ვარსკვლავები.

ღიახ, ამ საუკუნოვანი ბერძუბის სხეულს მეორე სიცოცხლის ხეც შეძერწვია მყარად, ვითარცა ჯვარი პატიოსნის ბიბლიურ ხეს ფიქვი, კედარი და კვიპაროსი ერთღროულად. ასეც შემოუნახავს იერუსალიმის ერთ — ერთი ეკლესიის ხატს იმ სამჯიში ხის პოეტური და არარსებული პიბრილი და ამასთან ერთად ის ქაღარა მებაღეც, ეხნაც ქრისტემდე ათი საუკუნეთი იდრე შეძერწა და დარგო აღნიშნული ხე, რათა ათასი წლის შემდეგ მისი ტორსისაგან გამოთლილი მძიმე ჯვარი მაცხოვარს ვია დოლოროსას გზით ეტარებინა, ვიდრე გოლგოთამდე. და აქვს კიდევ გალაკტიონს ერთი ასეთი უსახელო ნახატი, პირობითად “ჯვარცმა” რომ შეიძლება ეუწოდოთ; ჯვარცმა თავად მგოსნისა და არა მაცხოვრისა. თავად შეხედეთ წამებული პოეტის თაბაშირის ნიღაბს ლიტერატურის მუხეუქმის საგამოფენო დარბაზში...

ისტორიამ გამოჩენილ ადამიანთა სახის არაერთი ნიღაბი იცის: დანტეს ნიღაბი, ნიღაბი ბეთპოვენიისა; ლადო ჯაფარიძის მიერ თვით კუბოში ჩახატული ტოლსტოის სახის გრაფიკული ნიღაბი... და კიდევ ვინ იცის, რამდენი ასეთი ორეული, მაგრამ წამებისა თუ ტანჯვის ისეთი დღესასწაული, გალაკტიონის თაბაშირის ნიღაბში რომ ჩასახლებულა, შეუძლებელია აღმოაჩინოთ სიღმე, და ეს გასაკვირიც არაა: ეს იმ საბედისწერო ტრაგიკული ნახტომის ახარეკლია, გალაკტიონმა რომ შეასრულა 1959 წლის 17 მარტს.

(ფიქრები გ. ტაბიძის ნახატების ვარშენო მისი დაბადების 100 წლისთავის გამო: 1891—1991)

არადა სულ ფრთებს ნატრობდა გალაკტიონი: ფრთები, ფრთები გვინდაო, — გაიძახოდა იგი, მაგრამ, ვაგლახ, რომ მხრებზე არ ესხა მაშინ მისთვის კუთვნილი მთავარანგელოზის ფრთები: გადახტა სარკმლით და მიწის ნაცვლად, სული დალია საკუთარი სხეულის ჯვრის სისხლიან კადონზე.

და ასე იგემა ხორციით სიკვდილი...

მხოლოდ ესაა, ჯვრის სარეცელზე გალაკტიონი უშარავეანდოდ არის დახატული. არც იკადრებდა მაცხოვრის გვირგვინის დადგმას. შარავეანი თავს ზემოთ აუმაღლებია მხატვარს და მის მრავალწლიურ ნიშბში ჯვრის ცისკენ აზიდული მკლავი ჩაუსვამს, ხოლო ყველაფერი ეს, მწუხარე ფიგურებთან ერთად, საკუთარ სვედიან სტრიქონებში ჩაუქსოვ ჩაუჭედია:

“იზრდება და მძლავრდება ახალგაზრდობა, ისინი სცვლიან მოხუცებს, ყურს გვიგდებენ მიცვალებულნი.

დიდხანს ძვირფას საფლავეებს ეხვიათ ძილი, მაგრამ ჩვენ ისევ უნდა აღვადგინოთ მათი დიდება“, — წერს ჯვარცმის გრაფიკული ნახატის ზემოთ გალაკტიონი და ამ სიტყვებს საგანგებო ხაზით გამოყოფს მომდევნო სტრიქონებიდან, რომლებშიაც მოგვიწოდებს ვიფიქროთ იმ ხალხზე, კედლებსა და სამრეკლოებს რომ აშენებდნენ, მალალ სამრეკლოებზე რომ არისხებდნენ ზარებს და “თავიანთ სახელსა სჭრიდნენ ფოლადის ზარებზე; მათზე, რომლებიც ყოველთვის გაგახსენდებიან, როცა წამების ჯვარს დაინახავთ; ამ მორწმუნეებზე, რომელთაც თავი დასდევს... სარწმუნოებისათვის; რომელნიც მღვდელთმსახურებას ასრულებდნენ თავიანთ სალოცავ ტაძარში და მთრთოლვარე ხელით ანთებდნენ სანთლებს... მშვენიერების წინ; ვიფიქროთ ასეთ ტანჯვაზე, მათ ცრემლებზე; ვიფიქროთ სასაფლაოზე, სადაც დამშვიდებით განისვენებენ ამდენი წასულნი...”

ჯვრის ძირში, სადაც თითქოს დედამიწაზე პირველი ადამიანის — ადამის თავის ქალაა დამარხული, მიწისკენ თავდახრილი ქალი მიანიშნებს მკითხველს: “ამ უზარმაზარ, ბნელსა და ერთი შეხედვით ცარიელ სივრცეში ცხოვრობენ ჩვენი ძვირფასი მიცვალებულნი...”

აი, სტრიქონთა და ტკივილთა ის პოეტური ქსოვილი, რომლებიც თან ერთვებიან გალაკტიონის ჯვარცმის კომპოზიციას, როგორც მისი განუყოფელი ხაზი და სვედ ს აპოლოგია.

ყოველ ახალ ნახატს შინაარსის

შესაბამისი ტექსტი ახლავს თან, რომლებიც ავსებენ ნახატის კომპოზიციურ ნაწილს და მეტ შინაარსობრივ დატვირთვას აძლევენ მათ...

აგერ გუმბათდამსხვრეულ ტაძარს და პაერში შეტორტმანებულ ჯვარს გვერდით პატარა განმარტებით მინაწერი უკეთებს გალაკტიონი, რომელსაც სიტყვა “ვინიეტკებით” ასათაურებს და ამასთან ორმაგი ხაზით გამოყოფს მსხვერპლული მინაწერიდან.

მაინც სად იხილა გალაკტიონმა ასეთი დამსხვრეული ტაძარი? იქნებ შშობლიურ ქვეყნში, მისი ეზოს მოსაზღვრე ძველ სასაფლაოზე, სადაც ერთ დროს ამაყად იდგა “მემდევში ანტიქრისტეს ხელით შემუსრული ტაძარი? ამ წმინდა სახლ — სამლოცველოს საკურთხევილიდან მოძღვრავდნენ თავიანთ სამწყსოს გალაკტიონისა და ტიციანის მამები; აქ ავლვარებდა თეთრ ოლარებს აღმოსავლეთის სარკმელში შემოჭრილი მზის სხივი...

იყო და არა იყო რა...

ალარ არის ის პატარა ტაძარი, რომლის ჩრდილი ფეხაკრეფით გადადიოდა ხოლმე გალაკტიონისა და ტიციანის ეზოებში.

ალარ არიან წინაპართაგან...

ალარც იმ ეზოს უკანასკნელი მოპიკანი, ტიციან ტაბიძის უმცროსი ძმა — ბატონი სიმონია ცოცხალი, რომელიც ამ ოცდაათი ოდღე წლის წინ, ქვეყნში მასთან სტუმრობის დროს, სინანულით გვიამბობდა უკვე არარსებულ ეკლესიაზე და ტიციანის ლექსის — “მღვდელი და მალარიას” ხელნაწერზე, მიცვალებულ მამას რომ ჩააყოლა პოეტმა კუბოში...

1970 წლის გვიან შემოდგომაზე, როდესაც შორაპნიდან ფოთისკენ მიმავალმა ჩვენმა ხის ხომალდმა — “ოქროს საწმისმა” — მდინარე რიონზე, ზედ გალაკტიონის ეზოს ჭიშკართან ჩაუშვა ღუზა, ბატონი სიმონი ერთადერთი გვეგვებოდა გალაკტიონის ამავე ჭიშკართან ნახევრადშიშველ არგონავტ მებლვაურებს.

ხოლო მის უკან, სასაფლაოს ხეთა ტოტებში, ჩიტის გულივით ფეთქავდა დიდ წინაპართა აჩრდილების და დახვრეული სამლოცველოს სვედა.

ო, რა დიდებული იქნებოდა, იმ წუთებში წარხოცილი ტაძრის ადგილზე მწუხარე სამრეკლოსავით რომ ასუეტილიყო გალაკტიონის გრაფიკული ნახატი — შედევი — “სახარება იოანესი” — თავისი მრისხანე სახითა და ყოველადამთრგუნველი შეძახილით!

მართალია, იოანე მახარებლის ხმის

გამგონე არავინ იქნებოდა იმ დროს და არც მის ძახილზე აღდგებოდა დანგრეული ტაძარი, მაგრამ ოცდაათი წლის წინ დაძრული მრისხანე ექო ბოლოს და ბოლოს მაინც მოაღწევდა ჩვენამდე.

და აკი მოაღწია კიდევ: აღდგა ქართული ეკლესია. გალაკტიონის დამსხვრეულ ტაძარს გუმბათი უმთელდება - თითქოს, მაგრამ მისსავე მრისხანე იოანე მახარებელს სახე ჯერ კიდევ ნერვიული და ამორგებული აქვს, რაზეთუ სატაშფანდუროდ ჯერ კიდევ ვერ მიგვიყვანია ბოლომდე ჭყვიშის ტაძრისკენ მიმავალი ჩვენი გზა, გზა, რომელმაც მკვდრეთით უნდა აღადგინოს ხსენებული სამლოცველო.

ვის და რას არ ხატავს გალაკტიონის ნერვიული და მოუსვენარი ყალბი. აქ, ამ ერთი ამოსუნთქვით შესრულებულ ჩანახატებში, ერთმანეთს შერწყმია რეალური და ირეალური სამყარო; არსებული და არარსებული, ადამიანთა მოწესრიგებული და ქაოტური სახეები და მათში ჩაქსოვილი ძვირფასი სახელები: რუსთაველი, აბოლონი, ვერპარნი, ედგარ პო, გუდიაშვილი, ვალ. გაფრინდაშვილი, ი. ერენბურგი, ვ. შკლოვსკი, ტიჩინა, კუკრინიკსები; აკიდემიის რომელიღაც მაშინდელი ტელეფონის ნომერი: 3—74—66... და დაუსრულებლად მისივე ავტოგრაფი — "გალაკტიონ ტაბიძე" — ქართული, უცხოური თუ რუსული ასოებით ამავე გრაფიკულ ნახატებში ჩაწნული და ჩაქსოვილი.

1990 წელს გალაკტიონ ტაბიძის ნახატების გამოფენამ ლიტერატურის მუხ-

ეუმის საგამოფენო დარბაზში ყველას ნათლად დაანახა პოეტი—მხატვრის შემოქმედების სიღრმადე.

დიდია გალაკტიონ ტაბიძის გრაფიკულ ნახატთა სერია — ეს პოეტი-მხატვრის ერთი ლამაზი ალბომი ანუ კიდევ მკარვე სიცოცხლე და მეორე უკვდავება.

ქართული ლექსის უგვირგვინო შეფეს, რომელიც არანაკლებად დიდებულ ავტორტრეტებს [ქმნიდა] [ქმნიდა] გუდიაშვილის ფუნჯით დახატული პორტრეტი ერჩია. ამიტომაც გამოეცხადა ერთ მშვენიერ დღეს სახელოსნოში ბატონ ლადოს. დამხატეო, მოწიწებით მიუთითა მისგან მირთმეულ ცარიელ ტილოზე, დატოვა იქვე, თავად კი ერთი საათით გაუიდა ქუჩაში და ... მეტად აღარც დაბრუნებულა ფუნჯის დიდოსტატთან. ტილო კი დღესაც გუდიაშვილის ოჯახში ინახება ხელუხლებლად...

გ.ტაბიძის დაბადების ამ ასწლოვან თარიღთან დაკავშირებით თავს უფლებას მივცემ მოკრძალებით გავიხსენო გალაკტიონისა და ჩემი ბაბუის იპოლიტე ვართაგავას ოსტატ—შეგირდობის წლები თბილისის სასულიერო სემინარიიდან. სწორედ ამ ამბავმა მოიყვანა ერთ დღეს გალაკტიონ ტაბიძე ჩვენს ოჯახში, რათა თავის ყოფილ მასწავლებელთან — იპოლიტე ვართაგავასთან ერთად, დღევანდელ გ.ტაბიძის ქუჩაზე, შიხმანის ფოტოატელიეში, სამახსოვრო სურათი გადაეღო. არც ბაბუას გაუწბილებია თავისი საყვარელი მოსწავლე...

1 იანვარი, 1991 წელი,
თბილისი.



შეცდომების ვასწორება:

ჩვენი ეურნალის 1-2 ნომრებში დაიბეჭდა პოლონელი მწერლის იან პარანდოვსკის „სიტყვის ალქიმია“. გაიპარა ტექნიკური ხასიათის უზუსტობანი. ნაწარმოები რუსულიდან თარგმნა ანდუყაფარ ქეიშვილმა. №2 გარეკანზე კი დაბეჭდილია წმ. პირველმოწამე საქართველოს ეკლესიისა-რაჟდენი.



გალაკტიონ ტაბიძე, ²⁶ ნახატები გრაფიკული სერიიდან

